საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

პროკოფი რატიანი

საქართველოს ახალი ისტორიის ნარკვევები



თბილისი
„მეცნიერება"
1986

63.3(2Г)
ჩ 262

წინამდებარე „ნარკვევებში“ ქვეყნდება ავტორის გამოკვლევები, რომლებშიც განხილულია საქართველოს ახალი ისტორიის საკვანძო საკითხები. მათ შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს ნაშრომს „საქართველო XIX საუკუნის მეორე ნახევარში“.

გარდა ამისა, წიგნში ქვეყნდება გამოკვლევები, რომლებშიც განხილულია საქართველოს XIX ს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი, რევოლუციურ დემოკრატიული მოძრაობის ისტორია, დახასიათებულია გამოჩენილი მარქსისტისა და რევოლუციური მოღვაწის ალ. წულუკიძის ეკონომიკური, სოციალური და ეროვნული შეხედულებები.

რედაქტორი ისტორიის მეცნ. დოქტორი შ. ხანთაძე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი არჩ. ბარამიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ასათიანი

ჩ 0505010000
M 607(06)—86 192—86

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986

ნაწილი პირველი

საქართველო XIX საუკუნის მეორე ნახევარში

თავი I

ბურჟუაზიული რეფორმები საქართველოში

§ 1. სოციალურ-პოლიტიკური ვითარება რეფორმების წინ

გლეხთა მოძრაობის გაძლიერება. დიდი აჯანყებები

XIX საუკუნის 60-იანი წლები უდიდესი გარდატეხის ხანაა საქართველოს ისტორიაში. ამ დროს გატარდა საგლეხო რეფორმა და სხვა ბურჟუაზიული რეფორმები; დაიწყო კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება. ეს ნიშნავდა ფეოდალური წყობილების საბოლოო დამარცხებას და კაპიტალისტური წყობილების გამარჯვებას.

საგლეხო რეფორმა, ისევე როგორც სხვა ბურჟუაზიული რეფორმები, ნაკარნახევი იყო საზოგადოების მატერიალური ცხოვრების მთელი წინანდელი განვითარებით, ის შედეგი იყო იმ მწვავე კონფლიქტისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში აღმოცენდა, ერთი მხრივ, ახალი (ბურჟუაზიულ) საწარმოო ძალების განვითარებასა და, მეორე მხრივ, იმ დროს გაბატონებულ ძველ (ფეოდალურ) წარმოებით ურთიერთობას შორის. წარმოების ძველი წესისა და მისი დამცველი ბატონყმური სახელმწიფოს წინააღმდეგ აღდგნენ დაჩაგრული და უუფლებო კლასები, აღდგა, უპირველეს ყოვლისა, გლეხობა, რომელიც ვეღარ იტანდა გაძლიერებულ ფეოდალურ ექსპლოატაციას. გლეხთა სტიქიური ანტიფეოდალური მოძრაობა, რომელმაც საფუძველი შეუქმნა ბატონყმურ წყობილებას, საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა 50-იანი წლების მეორე ნახევარსა და 60-იანი წლების დასაწყისში.

გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე, რომელიც კარგად იცნობდა მაშინდელი საქართველოს ვითარებას, გადმოგვცემს, რომ ყმა გლეხთა განთავისუფლების საკითხი საქართველოში განსაკუთრებით მწვავედ დაისვა რუსეთ-თურქეთის

ომის (1853—1856) დროიდან და ქართველი საზოგადოების ყოველი ელემენტი ააღელვაო. „გლეხთა საკითხი.... — ამბობს ის, — საქართველოში იზრდებოდა არა დღეობით, არამედ საათობით, ამიტომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში არაჩვეულებრივი ძალით განვითარდა"[1].

განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი და თანაც მაშინდელი საქართველოს ვითარებისათვის მეტად დამახასიათებელი მოვლენა იყო სამეგრელოს გლეხთა დიდი აჯანყება, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1856—1857 წლებში. მემამულეების მიერ გლეხთა ჩაგვრა და ბატონყმური ექსპლოატაცია სამეგრელოში უფრო მძიმე იყო, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში. სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი, რომელიც ყველაზე მსხვილი მემამულე იყო, სრულიად არ ფიქრობდა გლეხობის გაჭირვებული მდგომარეობის შემსუბუქებაზე, ის მხოლოდ საკუთარი მამულებისა და შემოსავლის გადიდებაზე ზრუნავდა. მას ბაძავდნენ მისი ხელქვეითი თავადები და აზნაურები. სამეგრელოს გლეხობისათვის განსაკუთრებით საძულველი შეიქმნა მრავალრიცხოვანი ოჯახი თავად ჩიქოვანებისა, რომლებიც მთავრის სახლთუხუცესის როლს ასრულებდნენ და გლეხობას შეუბრალებლად აწიოკებდნენ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს სამეგრელოს გლეხობა კიდევ უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა. სამეგრელოს ტერიტორია მტერმა დროებით ჩაიგდო ხელში. საძულველმა თურქებმა მრავალი უწესობა ჩაიდინეს: მათ მთლიანად გადაწვეს მთავრის სასახლე ზუგდიდში და აჩეხეს ზუგდიდის მშვენიერი დეკორაციული ბაღი, გადაწვეს აგრეთვე სავაჭრო დუქნები ზუგდიდში, გააჩაღეს ადამიანებით ვაჭრობა და მრავალი ახალგაზრდა მეგრელი ვაჟი და ქალი თურქეთში წაიყვანეს, მონებად აქციეს. მტერს ხელს უწყობდნენ ადგილობრივი თავადები და აზნაურები, რომლებიც ყაჩაღურად ესხმოდნენ თავს გლეხებს, იჭერდნენ და ჰყიდდნენ მათ. ომმა გააჩანაგა ისედაც ღარიბი გლეხობის მეურნეობა და უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო მშრომელი ხალხი.

რუსეთის არმიამ, რომელსაც აქტიურად ეხმარებოდნენ ქართველებისაგან შემდგარი ჯარის ნაწილები, არა ერთი მძიმე დამარცხება აგემა თურქეთის ჯარს; მას შემდეგ, რაც დაეცა თურქეთის ძლიერი ციხე-სიმაგრე ყარსი, მტერი იძულებული გახდა საქართველოს ტერიტორიაც დაეცალა. სამეგრელოში კვლავ დამყარდა მშვიდობიანობა. მხვრამ თავადაზნაურობამ, იმის ნაცვლად, რომ დახმარება გაეწია გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი გლეხობისათვის, გადაწყვიტა ომით გამოწვეული ზარალი გლეხობის კისრიდან ამოეღო,

---

1 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I, გვ. 162.

რისთვისაც გაამრავლა ბეგარა-გადასახადები. ამრიგად, ომის შედეგები მთელი სიმძიმით დააწვა თავს ბატონყმობისაგან ისედაც გაძვალტყაეებულ მეგრელ გლეხობას. ცხადია, ასეთ ვითარებას გლეხთა მღელვარება უნდა გამოეწვია.

აჯანყების პირველი ნაპერწკალი გაჩნდა 1856 წლის შემოდგომაზე სოფელ თამაკონში. ამას მოჰყვა ყმა გლეხების მძლავრი გამოსვლა სოფელ სალხინოში, რაც მალე მთელი სამეგრელოს გლეხთა მრისხანე აჯანყებად გადაიქცა. მოთმინებიდან გამოსულმა ყმებმა ერთმანეთს ერთგულების ფიცი მისცეს და ოციათასამდე შეიარაღებული გლეხი დაიძრა თავისი კლასობრივი მტრების — თავადებისა და აზნაურების წინააღმდეგ. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ კეტებით, ნაჯახებით, ხმალ-ხანჯლებით, შუბებით, დამბაჩებითა და თოფებით. აჯანყებულებს ჰქონდათ წითლად შეღებილი მატერიის დროშები. მათი ხელმძღვანელები ისევ გლეხები იყვნენ, გამოჩენილი მეთაურები იყვნენ: უტუ მიქავა, უტუ თოდუა, კოჩა თოდუა, ლევან კვარაცხელია, დათიკა გეგია და სხვები.

აჯანყებულმა გლეხებმა დაამარცხეს და უკუაქციეს მათ წინააღმდეგ წამოსული თავადაზნაურთა შეიარაღებული რაზმები. ბრძოლით დაიკავეს სამეგრელოს სამთავროს ცენტრი ზუგდიდი და ხელთ იგდეს ძალაუფლება თითქმის მთელს სამეგრელოში. მათ შექმნეს დროებითი მმართველობა (სამხედრო შტაბი), რომელიც სოფლებში ნიშნავდა ნდობით აღჭურვილ პირებს, ანუ მამასახლისებს. აჯანყებული გლეხები რისხვად ეცხინებოდნენ საძულველ მებატონეებს, წვავდნენ და ანადგურებდნენ მათ სახლ-კარს, ათავისუფლებდნენ ყმებს. ისინი არ ინდობდნენ არც ანაფორიან ექსპლოატატორებს, ებრძოდნენ და არბევდნენ რეაქციულ სამღვდელოებას. აჯანყებულთა ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი იყო: „თავადთა და აზნაურთა წოდება არ უნდა არსებობდეს, რადგან ყველა ადამიანები ძმები არიან". ეს ფაქტი კარგად გვიჩვენებს, რომ მაშინდელ საქართველოში უკვე ძლიერად ქროდა ახალი დროის ქარი!

აჯანყებით თავზარდაცემულმა სამეგრელოს თავადაზნაურობამ დახმარებისათვის მეფის მთავრობას მიმართა. ცარიზმმა, რომელიც ისედაც უკვე დიდი ხანია ფიქრობდა სამეგრელოში სამთავრო ხელისუფლების გაუქმებას და იქ უშუალოდ რუსეთის ადმინისტრაციის დაწესებას, ისარგებლა მარჯვე შემთხვევით, სამეგრელოში ჯარის ნაწილები შეიყვანა და გლეხთა აჯანყება ძალით ჩაახშო, ამავე დროს სამეგრელოში რუსული მმართველობა დაამყარა.

აჯანყებული გლეხები ამის შემდეგაც კიდევ დიდხანს განაგრძობდნენ ბრძოლას როგორც საკუთარი თავდაზნაურობის, ისე მისი ინტერესების დამცველი ცარიზმის სამხედრო ძალების წინააღმდეგ, მაგ-

რამ გლეხობის ბრძოლა სტიქიურ ხასიათს ატარებდა, მას აკლდა დისციპლინა, შეგნებულობა და დარაზმულობა. გლეხობას ჯერ კიდევ არ ჰყავდა ხელმძღვანელი მუშათა კლასის სახით, ამიტომ მას არ შეეძლო გამარჯვება მოეპოვებინა.

ამრიგად, სამეგრელოს გლეხთა დიდი, ანტიფეოდალური აჯანყება დამარცხდა. მისი ხელმძღვანელები და აქტიური მონაწილეები მეფის მთავრობამ დააპატიმრა და შორეულ ციმბირში გადაასახლა. მაგრამ აჯანყებას უკვალოდ როდი ჩაუვლია, ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაში მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი იმ დიდი ბრძოლისა, რომელსაც იმ დროს ქართველი გლეხობა ეწეოდა ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ.

რეფორმის წინ გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. მათი უბრალო ჩამოთვლაც კი წარმოდგენას გვაძლევს, თუ რა ფართო გაქანება მიიღო გლეხთა მღელვარებამ.

1857 წელს ყმა გლეხობის სერიოზულ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი იმერეთში. ნოემბერში იარაღი აისხეს ქუთაისის მაზრის ამაღლების უბნის გლეხებმა, ხოლო მალე მათ მაგალითს მიბაძეს ბაღდადის უბნის გლეხებმა, რომლებმაც ვეღარ აიტანეს მემამულე ჩხეიძეების მხრივ შევიწროება და ყაჩაღური ძარცვა. აჯანყებულთა წინააღმდეგ ქუთაისის გუბერნატორმა დაუყოვნებლივ გაგზავნა ზარბაზნებით შეიარაღებული ქვეითი ჯარი. აჯანყება ჩააქრეს, ხოლო მისი აქტიური მონაწილეები (16 გლეხი) რუსეთის შორეულ კუთხეებში გადაასახლეს.

1862 წელს გლეხთა მღელვარება და შეიარაღებული გამოსვლა მოხდა გურიაში. დიდი მემამულეების — გურიელების, ნაკაშიძეებისა და მაჭუტაძეების ყმა გლეხები გამოვიდნენ თავიანთი მებატონეების წინააღმდეგ. აჯანყება ფართო ხასიათს იღებდა. მაგრამ ცარიზმი აქაც დიდი ჯარით მიეშველა მემამულეებს და აჯანყებული გლეხები იძულებული გახდნენ იარაღი დაეყარათ.

1863 წელს გლეხთა მოძრაობა გაიშალა ქართლის რაიონებშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია გლეხთა მღელვარება ქსნის ხეობაში დიდი მემამულე ერისთავების წინააღმდეგ, სურამის რაიონში — მემამულე სუმბათაშვილების წინააღმდეგ და სოფელ ერთისში — მემამულე გაბაშვილების წინააღმდეგ. იმავე წელს სისხლისმღერელ შეტაკებას ჰქონდა ადგილი აჯანყებულ გლეხებსა და მეფის ჯარებს შორის სამეგრელოში. 1864 წელს მოხდა გლეხთა სერიოზული გამოსვლა თბილისის მაზრასა და თიანეთის ოკრუგში (სოფ. მატანი) მემამულეების — თარხანმოურავებისა და ჩოლოყაშვილების წინააღმდეგ, ხოლო 1865 წელს გლეხთა მღელვარება განმეორდა სამეგრელოს სოფ-

ლებში ჯვარსა და ლიაში მემამულე დადიანების წინააღმდეგ. მაგრამ იმ ხანად ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აფხაზეთის გლეხთა დიდი აჯანყება.

ეს მოხდა 1866 წელს ზაფხულში. აფხაზეთის მშრომელი გლეხობისათვის ძალიან მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ერთი მხრივ, მემამულეთა გაძლიერებულმა ექსპლოატაციამ, ხოლო მეორე მხრივ, წინა წლების მოუსავლიანობამ და ყვავილის ფართოდ გავრცელებულმა სენმა გლეხები უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო. ამას დაემატა ისიც, რომ მეფის მოხელეებმა დაიწყეს საგლეხო რეფორმისათვის მზადება და გავრცელდა ხმები, რეფორმის პირობების მიხედვით გლეხებმა მათივე მიწები უნდა გამოისყიდონ, ხოლო ნაწილი მიწებისა ჩამოეჭრებათო. ყოველივე ეს საკმარისზე მეტიც იყო იმისათვის, რომ მშრომელთა მოთმინების ფიალა ავსილიყო და სიცოცხლეგამწარებულ ხალხს იარაღისათვის მოეკიდა ხელი. გლეხობას აჯანყებისათვის აქეზებდნენ აგრეთვე თურქეთის დაქირავებული აგენტები, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, რომ ამ გზით რუსებს განდევნიდნენ და აფხაზეთს ისევ თურქეთი დაიბრუნებდა.

აჯანყება ბზიფის რაიონში დაიწყო. გლეხებმა უარი თქვეს, ღამორჩილებოდნენ მეფის მოხელის, უხეშობით განთქმული ჩერეპოვის განკარგულებას მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის თაობაზე მისთვის ცნობების წარდგენის შესახებ და აჯანყებისათვის მზადებას შეუდგნენ. მაშინ საქმეში ჩაერია სოხუმის ოლქის უფროსი პოლკოვნიკი კონიარი, რომელიც თვითონ გაემგზავრა ადგილზე და მოლაპარაკება გამართა შეიარაღებულ გლეხებთან. ამ დროს გლეხები სოფელ ლიხნის ფართო მოედანზე იყვნენ შეკრებილი. პოლკოვნიკის მუქარის სიტყვებმა დამშვიდების ნაცვლად კიდევ უფრო აღელვა ხალხი. ატყდა განგაში, გაისმა სროლის ხმა. შეშინებულმა კონიარმა და მისმა თანმხლებმა პირებმა იქადრეს გაქცევა. ადგილობრივი მემამულეების დახმარებით მათ მოახერხეს დამალვა აფხაზეთის მთავრის ყოფილ სასახლეში. მაგრამ გამძვინვარებულმა ხალხმა სასახლე ბრძოლით აიღო, პოლკოვნიკი კონიარი და საძულველი მოხელე ჩერეპოვი მოჰკლა. ხოლო ყაზახთა ასეული, რომელიც გლეხების წინააღმდეგ იყო გაგზავნილი, ცხარე შეტაკებაში სასტიკად დაამარცხა. ამის შემდეგ მრავალრიცხოვანი შეიარაღებული გლეხი, რომლებსაც სულ ახალი და ახალი რაზმები ემატებოდა აფხაზეთის სხვადასხვა კუთხიდან, სოხუმისაკენ დაიძრნენ. 27 იელისს აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს აფხაზეთის სამთავროს ცენტრს ქ. სოხუმს და თავგანწირული ბრძოლის შემდეგ იმავე დღეს ხელთ იგდეს ქალაქი. მათ ვერ აიღეს მხოლოდ ქალაქის ციხე, სადაც მთავრობის ჯარი იყო გამაგრებული. მეორე დღეს სოხუმს გემებით მოადგა ფოთიდან გამოგზავნილი მთავრო-

ბის დიდი ჯარი, რომელმაც დაამარცხა აჯანყებულები და დიდი ზარალით უკუაქცია ქალაქიდან. აჯანყებულებმა მთებისაკენ დაიხიეს, ძალები გადააჯგუფეს და ორი დღის შემდეგ (30 ივლისს) კვლავ შეუტიეს ქალაქს. დილის ხუთ საათზე რაზმებად დაწყობილი შეიარაღებული გლეხები, წითელი დროშით ხელში, სამხედრო სიმღერებით მიუახლოვდნენ ქალაქს და განაახლეს იერიშები. მაგრამ მთავრობის კარგად შეიარაღებული, რეგულარული ჯარის დამარცხება მათ ვერ შეძლეს.

აფხაზეთის მშრომელებს ძვირად დაუჯდათ თავიანთი გაბედული გამოსვლა მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ. მეფის მთავრობამ აფხაზეთში თავი მოუყარა დიდძალ ჯარს და აჯანყება მთელი სისასტიკით ჩაახშო. აფხაზეთში შეუბრალებელი ტერორი გამეფდა.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან ნათელია, რომ რეფორმისწინა ხანაში საქართველოს გლეხობამ დაუნდობელი და ფართო შეიარაღებული ბრძოლა გააჩაღა როგორც „საკუთარი" მემამულეების აღვირახსნილი ექსპლოატაციის, ისე რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

თბილისის ღარიბი მოსახლეობის აჯანყება 1865 წელს

გლეხობასთან ერთად ფეოდალური წყობილებისა და მისი დამცველი მონარქიული სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძოდა ქალაქის ღარიბი მოსახლეობა — უბრალო მუშა ხალხი, ხელოსნები და წვრილი ვაჭრები, აგრეთვე ნაწილობრივ ახალფეხადგმული საშუალო და მსხვილი ბურჟუაზია.

ძველი წყობილების მწვავე კრიზისისა და მეფის მთავრობის წინააღმდეგ მძლავრი პროტესტის გამოხატულება იყო თბილისის ღარიბი მოსახლეობის აჯანყება 1865 წლის ივნისში. ამ აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ ამქრებად გაერთიანებული ხელოსნები და წვრილი ვაჭრები, მუშები, სოფლიდან სამუშაოს საძებნელად ჩამოსული გლეხები და, საერთოდ, ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ფართო ფენები, აგრეთვე ბურჟუაზიის ზოგიერთი წარმომადგენელი — ეგრეთ წოდებული „პირველხარისხოვანი მოქალაქეები".

ამქართა ორგანიზაციები საქართველოში, ისევე როგორც ევროპისა და აზიის მთელ რიგ სახელმწიფოებში, უძველესი დროიდან არსებობდა. მას შემდეგ, რაც ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვნად განვითარდა შრომის დანაწილება და სოფლიდან ქალაქებში გამოქცეულმა ყმებმა ფართო გასაქანი მისცეს ხელოსნობის განვითარებას, თანდათან აუცილებელი გახდა ხელოსანთა კავშირების შექმნა, რომლებსაც გვიან, XVIII—XIX საუკუნეებში, საქართველოში ამქრებს ეძახ-

დნენ[2]. ფეოდალური წყობილების პირობებში ხელოსნებისათვის აუცილებელი იყო შეკავშირება უმთავრესად იმიტომ, რომ მათ უხდებოდათ თავი დაეცვათ გაბატონებული თავადაზნაურული არისტოკრატიის ყაჩაღური ძალადობისაგან; გარდა ამისა, ხელოსნებს შეკავშირება სჭირდებოდათ იმისათვის, რომ წარმატებით გაეწიათ კონკურენცია სოფლიდან გამოქცეული, ღატაკად ქცეული გლეხების ახალი და ახალი ჯგუფებისათვის, რომლებიც ქალაქებში გროვდებოდნენ და ხელოსნობას ჰკიდებდნენ ხელს. უფრო გვიან ამქრული ორგანიზაციები შექმნეს აგრეთვე ვაჭრებმა.

თბილისის ხელოსანთა და ვაჭართა ამქრების ბრძოლა ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ თავიანთი უფლებებისათვის საუკუნეთა განმავლობაში გრძელდებოდა. ამ ბრძოლის ხასიათსა და შედეგებს ამა თუ იმ ეპოქაში განსაზღვრავდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საერთო მდგომარეობა: როცა თბილისი ეკონომიური აღმავლობის ხანაში იყო, ვაჭარ-ხელოსანთა და საერთოდ მოქალაქეთა კავშირების გავლენა იზრდებოდა და მაშინ ისინი თვითონ განაგებდნენ არა მარტო თავიანთ საქმეებს, არამედ ზოგჯერ ქალაქის მმართველობაც მათს ხელში იყო, ხოლო როცა ქალაქის ეკონომიური ცხოვრება დაცემის გზაზე იდგა, გაბატონებული ფეოდალური არისტოკრატია ადვილად ახერხებდა ამქრების შევიწროებასა და მოქალაქეთა ექსპლოატაციის გაძლიერებას.

XVIII საუკუნის ბოლოსათვის ქართველი მეფეები აქტიურად ერეოდნენ ამქრების საქმიანობაში და უმეტესწილად ამქართა უფროსებსაც — ამქრის უსტაბაშებს — თვითონ ნიშნავდნენ. ამქრები უამრავ გადასახადებს იხდიდნენ, კანონიერი უფლებები კი თითქმის სრულიად არ გააჩნდათ. საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ ხანებში, როცა განუწყვეტელი ომიანობა იყო და საქართველოში დიდი ჯარი იდგა, მეფის მთავრობას სჭირდებოდა ადგილობრივი ვაჭრებისა და ხელოსნების სამსახური და იგი ცდილობდა მათი ინტერესების ერთგვარ დაცვას, მაგრამ შემდეგ, როცა ცარიზმი თავისი კოლონიური პოლიტიკის გატარებას აქტიურად შეუდგა, ამქრების შევიწროება და ექსპლოატაცია თანდათან გაძლიერდა, რაც თბილისის ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

უკმაყოფილებას ადგილი ჰქონდა თბილისის მსხვილ ვაჭრებსა და მრეწველებს შორისაც. ადგილობრივი ბურჟუაზია ამ დროს (რეფორმისწინა ხანებში) ეკონომიურად საკმაოდ ძლიერი იყო, მაგრამ უფლებრივად ისიც არსებითად წვრილი ბურჟუაზიის (ე. ი. ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრების) მდგომარეობაში იმყოფებოდა. მართალია,

---

2 „ამქარი" ანუ „ჰამქარი" სპარსული სიტყვაა და თანამოსაქმეს ნიშნავს.

„პირველხარისხოვანი“ და „საპატიო“ მოქალაქენი, ე. ი. მდიდარი ბურჟუები ხელოსნებსა და ღარიბ მედუქნეებზე ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, რადგან თავიანთი სიმდიდრის წყალობით ადვილად ახერხებდნენ საერთო ენის გამონახვას გაბატონებულ თავადაზნაურობასთან, მაგრამ მათ ასეთი მდგომარეობა აღარ აკმაყოფილებდათ, — ეკონომიური ძლიერების ზრდასთან ერთად ისინი უკვე, თუმცა ჯერ კიდევ ყრუდ, აყენებდნენ პოლიტიკური უფლებების, ქვეყნის მართვა-გამგეობაში ბურჟუაზიის მონაწილეობის საკითხს; ასეთი მოთხოვნილების გამოხატულება იყო, კერძოდ, მათი მისწრაფება — ხელში ჩაეგდოთ თბილისის საქალაქო მმართველობა. ბურჟუაზია უკმაყოფილო იყო აგრეთვე იმითაც, რომ მეფის მთავრობამ, მას შემდეგ, რაც რუსეთის საქონელმა ფართოდ გაიკაფა გზა საქართველოსაკენ, თანდათან ხელი აიღო არა მარტო ადგილობრივი ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრების, არამედ აგრეთვე ადგილობრივი ბურჟუაზიის ინტერესების დაცვაზეც; ადგილობრივი ბურჟუაზია მას უკვე ნაკლებად სჭირდებოდა, ახლა მისი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი მეტროპოლიის მრეწველობის განვითარება იყო, საქართველოს კი მისთვის მხოლოდ გასაღების ბაზრისა და ნედლეულის ბაზის როლი უნდა შეესრულებინა.

ქალაქის მოსახლეობის უკმაყოფილება განსაკუთრებით გაძლიერდა რეფორმისწინა ხანაში. ამ დროს თბილისში კლასობრივი და ეროვნული მოტივებით გამოწვეული ბრძოლა უაღრესად მწვავე ხასიათს იღებს. უკმაყოფილების მთავარი ცენტრები იყო ამქართა ორგანიზაციები[3], სადაც განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდა ყველაზე უუფლებო და ღარიბი ფენა, — ქარგლებისა და შეგირდების ფენა. ეს უკანასკნელი თავისი მდგომარეობით უახლოვდებოდა თბილისის ფაბრიკებსა და ქარხნებში, აგრეთვე მოიჯარადრეებთან დროებით სამუშაოზე მომუშავე მუშებს, რომლებიც არაადამიანურ პირობებში ცხოვრობდნენ და ყოველთვის მზად იყვნენ აქტიური გამოსვლისათვის. ამ პროლეტარულ და ნახევრადპროლეტარულ ელემენტებს გარდა, თბილისში იმ დროს ცხოვრობდნენ მრავალრიცხოვანი ყმა გლეხები, რომელთა დიდი უმრავლესობა გამოქცეოდა ბატონყმობის მძიმე უღელს და თავს აფარებდა დიდ ქალაქს; ისინი, ლუკმა-პურის ძებნაში, ხშირად დეკლასირებული ელემენტების რიგებს ავსებდნენ.

ამრიგად, 60-იანი წლების დასაწყისში თბილისის ღარიბი მოსა-

---

3 ამ დროს თბილისში ასამდე ამქართა ორგანიზაცია ითვლებოდა. ამქრებად გაერთიანებული იყვნენ: კალატოზები, დურგლები, მშენებლები, ზეინკლები, შეაგურენი, ხარატები, მეიარაღენი, მეუნაგირენი, თერძები, მეფურნეები, მექუდეები, სირაჯები, მარკიტანტები და სხვები.

ხლეობის (ამქრის წევრების, მუშების, ყმა გლეხების) ცხოვრების მდგომარეობა რეალურ საფუძველს ჰქმნიდა მათი აქტიური რევოლუციური გამოსვლებისათვის. ამას ემატებოდა უკმაყოფილება ბურჟუაზიისა, რომელიც ცდილობდა ხალხის მოძრაობა თავისი უფლებების მოსაპოვებლად გამოეყენებინა. ყოველივე ამის გამო, თბილისში მეტისმეტად დაძაბული პოლიტიკური ვითარება იქმნებოდა. ახლა აჯანყებისათვის საჭირო იყო მხოლოდ საბაბი, და ასეთი საბაბიც მალე გამოჩნდა.

1865 წლის გაზაფხულზე მთავრობამ შემოსაელის გადიდების მიზნით, გადაწყვიტა ქალაქში შემოეღო ახალი დიდი გადასახადები სამიკიტნოებზე, ცხენებზე, საწყობებზე, მიწაზე და მოსახლეთა წიგნში მცხოვრებთა გაწერაზეც კი. ამ ამბავმა ხალხის მოთმინების ფიალა აავსო. ამქრებმა უარი განაცხადეს ასეთი გადასახადების გადახდაზე და დაიწყეს საიდუმლო კრებების მოწყობა, ერთმანეთისადმი ერთგულების ფიცის მიცემა. მათ ჯერ თხოვნით მიმართეს მთავრობას გაეუქმებინა ახალი გადასახადები, მაგრამ თხოვნამ რომ არ გაჭრა, მთელ ქალაქში დაკეტეს დუქნები, სახელოსნოები და ქუჩაში გამოვიდნენ.

27 ივნისს, კვირა დილით, ერევნის (ამჟამად ლენინის) სახელობის მოედანზე, პოლიცმეისტერის სამმართველოს წინ თავი მოიყარა აუარებელმა ხალხმა, ათიათასამდე კაცმა. აღელვებული ხალხი ხმამაღლა აცხადებდა თავის მოთხოვნებს და ძალის გამოყენებით იმუქრებოდა. ვერც პოლიციის ძალებმა და ვერც თბილისის გუბერნატორმა ვერ შეძლეს აღშფოთებული ხალხის დაშოშმინება. მაშინ მოედანზე მოვიდა კავკასიაში მეფისნაცვლის მოვალეობის ამსრულებელი პოეტი-გენერალი გრიგოლ ორბელიანი.

„პოეტს ეგონა, — გადმოგვცემს მისი ბიოგრაფი ი. მეუნარგია, — რომ მისი დამსახურება, გვაროვნობა. მაღალი თანამდებობა, საზოგადო პატივისცემა და ტკბილი ენით მართალი სიტყვის თქმა საკმაო იქნებოდა ამბოხების დასაწყნარებლად, მაგრამ... დიდად შეცდა!..

— „შვილებო, გონს მოდით, დამშვიდდით, კანონი ყველასათვის ერთია. კაცი მთავარმართებელი ვარ და ცხენის ხარჯს მეც ვიხდი", — უთხრა ხალხს პოეტმა.

— ეჰ, დალოცვილო, — უპასუხა პოეტს ერთმა კინტომ, — თქვენი საქმე სულ სხვა არის: თქვენ ცხენს ინახავთ, ჩვენ ცხენი გვინახავს. აი, რა განსხვავებაა ჩვენს შორის. საიდან მივცეთ მომეტებული ხარჯი, თუ არა გვაქვს?"[4].

გაჯავრებული ორბელიანი აჯანყებულებს მოუწოდებდა სიმშვი-

---

[4] ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, I, 1954, გვ. 87.

დისაკენ, მაგრამ ხალხი ბობოქრობდა და არ დაემორჩილა მის მოთხოვნას. მალე მოედანზე გამოჩნდნენ ჟანდარმები და თბილისის გარნიზონის ჯარები, მაგრამ მათაც ვერაფერი გააწყვეს, ხალხმა ისინი უკუაქცია. დაახლოებით 5 საათზე აბობოქრებული თბილისელების ერთი ნაწილი წავიდა ველიამინოვის ქუჩით ქალაქის თავის შერმაზანაშვილის სახლისაკენ, მის დასარბევად. საძულველი შერმაზან-ვართანოვის სახლი დაუნდობლად მიწასთან გაასწორა, მისი ავეჯი და ქონება გააცამტვერა. ამის შემდეგ ხალხი წავიდა სალდათის ბაზრისაკენ, სადაც მას ამბოხებულთა ახალი, დიდი ტალღა მიემატა. სალდათის ბაზრიდან აჯანყებულთა დიდი კოლონები გადავიდნენ მიხაილოვის (ამჟამად კარლ მარქსის) ხიდით და ჩუღურეთისაკენ გაემართნენ. აქ ხალხმა დაარბია გადასახადის ამკრეფის ბაჟბეუკ-მელიქოვის სახლი, ხოლო თვითონ ბაჟბეუკ-მელიქოვი, რომელმაც წინააღმდეგობის გაწევა სცადა, ქვებით ჩაქოლა.

მთავრობამ სასწრაფოდ მოახდინა თავისი ძალების მობილიზაცია და შეტევაზე გადავიდა. აჯანყებულებს მოულოდნელად თავს დაესხა კაზაკთა ცხენოსანი რაზმი. რაზმის უფროსის ზარიძის ბრძანებით ჯარმა სროლა აუტეხა ხალხს, რომელიც ქვებით იგერიებდა თავით ფეხამდე შეიარაღებულ ყაზახთა იერიშებს. მალე ზარიძის რაზმს ახალი სამხედრო ძალები მიემატა და გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. ეს მოხდა მიხაილოვის ხიდთან. შეტაკების მრავალი მონაწილე, მათ შორის თვით ზარიძეც, მძიმედ დაიჭრა, იყვნენ მოკლულებიც. მეორე დღეს, 28 ივნისს, კიდევ უფრო სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა მთავრობის ძალებსა და აჯანყებულ ხალხს შორის, აველაბრის ხიდთან (მეტეხის ციხესთან), ბრძოლაში რამდენიმე ათეული კაცი იქნა მოკლული.

მთავრობას ეშინოდა, რომ თბილისის მოსახლეობის აჯანყება გაფართოვდებოდა და საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებსაც მოედებოდა. ამიტომ სასწრაფოდ იქნა გამოწვეული სხვადასხვა ადგილებიდან ჯარის მრავალრიცხოვანი ნაწილები და დედაქალაქს ალყა შემოარტყეს. აჯანყების ჩასაქრობად ქალაქში შეიქმნა სამხედრო შტაბი, მთავარი ქუჩები ჯარმა დაიკავა. ამავე დროს შეშინებულმა მთავრობამ მანევრს მიმართა: მან გადაწყვიტა თავის მხარეზე გადაებირებინა აჯანყების მონაწილე ბურჟუაზია და შეძლებული მოქალაქეები, ამ მიზნით მთავრობის ერთგული ქალაქის თავი შერმაზან-ვართანოვი გადააყენა და მის ადგილზე თბილისის ბურჟუების სასურველი კანდიდატი აბესალომოვი დანიშნა; გარდა ამისა, ხალხსაც დაპირდა, გადასახადების გადახდა შეჩერებული იქნებაო.

ასეთი ზომების მიღებით მთავრობამ შედარებით მოკლე დროში მოახერხა აჯანყების ჩაქრობა. ბურჟუაზიამ, რომელიც ღარიბ ხალხს

აჯანყებისათვის აქეზებდა, აქაც გვიჩვენა თავისი ბუნება, მან ადვილად გამონახა საერთო ენა მთავრობასთან და ხალხს გადამწყვეტ მომენტში უღალატა. აჯანყება დამარცხდა იმის გამო, რომ იგი მოუმზადებელი იყო და სტიქიურ ხასიათს ატარებდა, — აჯანყებულებს არ ჰქონდათ სათანადო ორგანიზაცია და დისციპლინა, არ ჰქონდათ იარაღი. ამასთან, მათ ჯერ კიდევ არ ჰყავდათ ხელმძღვანელი ორგანიზებული და შეგნებული მუშათა კლასის სახით, ხოლო ბურჟუაზიას არ აღმოაჩნდა ხალხის ხელმძღვანელობის უნარი.

აჯანყების აქტიური მონაწილეები: მინას ჭოჩაკოვი (ყრუაშვილი), დავით ჯანაზიზოვი, იოსებ დამბურაჩევი, ალექსი მაღრაძე, გიორგი შესხიევი, თედო ნარიძე, ყარაზ აღამალოვი, ასლან მესროფოვი, კაცია ბერიძე, სიკო ნაზაროვი, ქიტესა აბულაძე, სტეფანე აივაზოვი, ფირან შიჭინაძე და სხვები, სულ 80 კაცი, მიცემული იქნენ პასუხისგებაში. მათ უმრავლესობას მიესაჯა სხვადასხვა ვადით პატიმრობა და ციმბირში საკატორღო მუშაობა. სასჯელისაგან განთავისუფლებული იქნენ „პირველხარისხოვანი მოქალაქეები“: გრიგოლ და დანიელ იზმიროვები, ივანე და ილარიონ ფორაქაშვილები, ამბარცუმ ენფიაჯიანცი და სხვა მათი მსგავსი მდიდრები.

მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა თბილისის ღარიბი მოსახლეობის აჯანყებას. ნ. ნიკოლაძემ, რომელიც იმ დროს საზღვარგარეთ იმყოფებოდა, ამ საკითხზე ფრიად საინტერესო კრიტიკული წერილი მოათავსა ა. გერცენის გაზეთ „კოლოკოლში“, რომელიც ლონდონში გამოდიოდა[5]. იმავე გაზეთში ხელმოუწერლად დაიბეჭდა თბილისიდან გაგზავნილი წერილი, რომლის ავტორი, იტყობინებოდა რა „თბილისის მცხოვრებთა სისხლისმღერელი დემონსტრაციების“ შესახებ. შემდეგი გამაფრთხილებელი სიტყვებით მიმართავდა მეფის რუსეთის მთავრობას: „აჯანყება კი არ არის საშიში მთავრობისათვის, არამედ საშიშია ამ აჯანყებათა გამომწვევი მიზეზები; მოხახეთ და მოსპეთ ეს მიზეზები და აღარავინ აღარ აჯანყდება თქვენს წინააღმდეგ“[6].

ამრიგად, ბურჟუაზიული რეფორმების წინ საქართველოში როგორც ბატონყმური უღლის ქვეშ მგმინავი გლეხობა, ისე ქალაქის ღარიბი მოსახლეობა აქტიურად იბრძოდა მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ, სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის. საქართველოში იმ დროს აშკარად გამოხატული რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა.

---

5 იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I, გვ. 193—202.
6 იქვე, გვ. 356.

ახალი იდეოლოგიის გაჩენა

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ახალი იდეები, თეორიები და შეხედულებები საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების შედეგად წარმოიშობიან ხოლმე; ისინი, ჩვეულებრივად, მაშინ აღმოცენდებიან, როდესაც მატერიალური ცხოვრების განვითარების პირობები საზოგადოების წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს, ე. ი. იმ დროს, როდესაც ახალი იდეები და შეხედულებები აუცილებლად საჭირონი არიან საზოგადოების განვითარებისათვის, მისი წინსვლისათვის.

ასე მოხდა ჩვენშიც რეფორმისწინა ხანაში. საქართველოს მატერიალური ცხოვრების განვითარების პირობებმა, მისმა ახალმა ეკონომიურმა და სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ გამოიწვია ბატონყმური წესწყობილებისა და თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო შეხედულებების აღმოცენება, — ახალი დემოკრატიული და რევოლუციური იდეოლოგიის გაჩენა. ამ იდეოლოგიის ჩამოყალიბებასა და ფართოდ გავრცელებას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, მოწინავე ქართული კულტურის დიდი ტრადიციების არსებობამ, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთის გამოჩენილი მწერლებისა და მოაზროვნეების შეხედულებათა შეთვისებამ ქართველი ახალგაზრდობის მიერ.

რუსეთის დედაქალაქებში — პეტერბურგსა და მოსკოვში, აგრეთვე ოდესაში, კიევში და სხვა ქალაქებში ბევრი ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა. აქ ისინი ეცნობოდნენ რუსეთის მოწინავე მწერლებისა და მოაზროვნეების, კერძოდ, დიდი რევოლუციონერი დემოკრატების — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის, აგრეთვე პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ნეკრასოვის, სალტიკოვ-შჩედრინისა და სხვათა შეხედულებებს. მარტო პეტერბურგის უნივერსიტეტში 60-იანი წლების დასაწყისში რამდენიმე ათეული ქართველი სტუდენტი სწავლობდა. მათ, თავიანთ სომეხ და აზერბაიჯანელ მეგობრებთან ერთად, შედგენილი ჰქონდათ „კავკასიელების წრე“, რომლის წევრები გატაცებით სწავლობდნენ და ითვისებნენ ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის რევოლუციურ იდეებს. ბევრი ქართველი სტუდენტი პირადადაც კი იცნობდა რუსეთის რევოლუციონერების მაშინდელ ბელადს ნ. ჩერნიშევსკის და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

მაგრამ 60-იანი წლების მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა არ კმაყოფილდებოდა მარტო რუსული მწერლობისა და აზროვნების შესწავლით; იმავე რუსული ლიტერატურის საშუალებით ის ეცნობოდა და სწავლობდა აგრეთვე დასავლეთ ევროპის პროგრესულ მწერალთა და მოაზროვნეთა შეხედულებებს, ეცნობოდა და ითვისებდა მატერიალისტურ, ჰუმანისტურ და სოციალისტურ შეხედულებებს.

ამასთან ერთად ქართველი ახალგაზრდობა გულდასმით და სიყვარულით სწავლობდა მისი სამშობლოს შესანიშნავ ლიტერატურას — შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და სხვათა უკვდავ ნაწარმოებებს, რომლებმაც აგრეთვე დიდად შეუწყვეს ხელი მათი პროგრესული შეხედულებების ჩამოყალიბებას.

ამრიგად, საქართველოს მატერიალური ცხოვრების პირობებმა განსაზღვრა, ხოლო რუსეთის, დასავლეთ ევროპისა და საქართველოს მოწინავე მწერალთა და მოაზროვნეთა შეხედულებებმა ხელი შეუწყო გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში დემოკრატიული და რევოლუციური იდეოლოგიის გაჩენას. ეს იდეოლოგია დაუპირისპირდა ძველ, ფეოდალურ-არისტოკრატიულ და კლერიკალურ იდეოლოგიას და სასტიკი ბრძოლა გაუმართა მას.

ქართველი ახალგაზრდობის ის თაობა, რომელთა შემოქმედებასა და მოღვაწეობაში მკაფიოდ აისახა ზემოხსენებული ახალი, დემოკრატიული და რევოლუციური იდეები, ცნობილია ქართველი სამოციანელების ანუ თერგდალეულების სახელწოდებით[7]. თერგდალეულთა თაობას ეკუთვნიან: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, დანიელ ჩონქაძე, იაკობ გოგებაშვილი, ანტონ ფურცელაძე, კირილე ლორთქიფანიძე, დავით ყიფიანი, სერგეი მესხი, მიხეილ ყიფიანი, ნიკო ღოღობერიძე, ბესარიონ ღოღობერიძე, პეტრე ნაკაშიძე, პეტრე უმიკაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, დავით მიქელაძე, აგრეთვე ცნობილი მეცნიერები — ივანე თარხნიშვილი, ვასილ პეტრიაშვილი, პეტრე მელიქიშვილი და სხვები.

ქართველი ხალხის ეს სახელოვანი და განათლებული შვილები თვითონ იყვნენ უშუალო მოწმე და მხილველი ყმა-გლეხებისა და ქალაქის მუშა ხალხის აუტანელი გაჭირვებისა, მათი ცრემლების, ოფლისა და სისხლის ღვრისა; ამიტომაც განიმსჭვალნენ ისინი მუქთახორების წინააღმდეგ სასტიკი სიძულვილით, ხოლო უბრალო მშრომელი ხალხისადმი — უსაზღვრო პატივისცემითა და სიყვარულით. თერგდალეულები ეპოქის სიმაღლეზე აღმოჩნდნენ, ისინი გაბედულად გამოექომაგნენ დაჩაგრულ კლასებს და ხმა აღიმაღლეს გლეხთა გათელილი უფლებების დასაცავად. მათ ყმა გლეხთა ღარიბული ქოხები თავადების ბრწყინვალე სასახლეებზე მაღლა დააყენეს და მძლავრი ყიჟინა დასცეს ძირმომპალ ბატონყმურ წყობილებას.

ბატონყმობის წინააღმდეგ პროტესტის ხმა ყველაზე ადრე რაფიელ ერისთავის პოეზიაში გაისმა. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი თავადაზნაურთა წრიდან იყო გამოსული და პირველ ხანებში ლექსებს

---

7 ასეთი სახელი მათ იმის გამო უწოდეს, რომ მდინარე თერგს იქით, ე. ი. რუსეთში ჰქონდათ სწავლა მიღებული.

მხოლოდ ღვინისა და სიყვარულის თემებზე წერდა, მაშინდელი სინამდვილის გავლენით ის ჩაუფიქრდა ცხოვრების უკუღმართობას და ალიმაღლა ხმა დაჩაგრული გლეხობის დასაცავად. რაფიელ ერისთავი უშუალო მოწმე იყო სამეგრელოს გლეხთა აჯანყებისა და სწორედ ამ აჯანყების გავლენით დაწერა მან 1857 წელს ლექსი „მთხოვნელი მსაჯულისადმი“, რომელშიც პირველად ქართულ პოეზიაში გარკვევით არის დასმული მწვავე სოციალური საკითხი — ბატონისა და ყმის დამოკიდებულების უკანონობის საკითხი. „სხვა რად ჰპატრონობს ჩემსა ნაშობსაო“, — კითხულობს ამ ლექში პოეტის მიერ ამეტყველებული, განაწამები ყმა-დედა, რომელსაც სისხლისმსმელმა ბატონმა შვილი წაართვა. როგორც სამართლიანად მიუთითებს ილია ჭავჭავაძე, „ეს პირველი ხმა იყო ჩვენში სამწედ უსამართლოდ ჩაგრულთათვის“.

რ. ერისთავის სოციალურ ლექსებს მოჰყვა ჯერ დანიელ ჭონქაძის შესანიშნავი მოთხრობის „სურამის ციხის“ (1859—1860), ხოლო შემდეგ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის უკვდავი ნაწარმოებების (1859—1862) გამოქვეყნება თავადაზნაურულ-ლიბერალური მიმართულების ჟურნალ „ცისკარში“. მაშინ „ცისკარი“ ერთადერთი ქართული ჟურნალი იყო და თუმცა ახალი თაობის შეხედულებები ძირეულად ეწინააღმდეგებოდა ამ ჟურნალის მიმართულებას, მაგრამ თერგდალეულები მაინც იძულებული იყვნენ, ვიდრე საკუთარ ჟურნალს დააარსებდნენ, მასში ეთანამშრომლათ.

„სურამის ციხის“ გამოქვეყნება თავისი დროისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენა იყო. სრულიად უცნობი ახალგაზრდა მწერალი, რომელიც თვითონაც დაბალი წრიდან იყო გამოსული, უშიშრად გამოეკრძალა ყმა გლეხებს და სამარცხვინო ბოძზე გააკრა ძველი წყობილება და მისი დამცველები. განსაკუთრებით საინტერესოა დ. ჭონქაძის მიერ დახატული ოსმან-აღას (ნოდარის) ტიპი; ესაა ცხოვრების უკუღმართობით უკიდურესობამდე მისული მებრძოლი გლეხი, რომელიც შურს იძიებს მისი ადამიანური უფლებების გათელვისა და მიწასთან გასწორებისათვის, ბატონის მიერ უღელში შებმული და დალუპული დედისათვის; ოსმან-აღა იარაღით უსწორდება თავის ბატონს და მის ცოლ-შვილსაც აღარ ინდობს. ამ ტიპის დახატვით დანიელ ჭონქაძემ უჩვენა ყმა გლეხებს ის გზა, რომელსაც ისინი უნდა დასდგომოდნენ სოციალურ უსამართლობათა მოსასპობად. ეს იყო გაბედული რევოლუციური გამოსვლა.

დიდმა ქართველმა მწერლებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა „ცისკარში“ მოათავსეს მრავალი დემოკრატიული და რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილი შესანიშნავი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოები. ეს ნაწარმოებები შეეხებოდა როგორც

ეროვნულ, ისე სოციალურ პრობლემებს და გამოხატავდა ქართველი ხალხის მაშინდელ სულისკვეთებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძის ღრმააზროვან სტატიებს „ორიოდე სიტყვა კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“ (1860 წ.) და „პასუხი“ (1861 წ.), რომლებშიც გაბედულად და მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული ახალი თაობის მთელი რიგი სახელმძღვანელო პრინციპები. ამ სტატიებმა უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა მაშინდელ საზოგადოებაში. ძველი თაობის ინტელიგენცია, — როგორც აშკარა რეაქციონერები, ისე თავადაზნაურული ლიბერალები, — ერთსულოვნად ეღდგნენ ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების წინააღმდეგ. გაიმართა სასტიკი იდეოლოგიური ბრძოლა. ახალი თაობის წარმომადგენელთა შემდგომი თანამშრომლობა „ცისკარში“ შეუძლებელი გახდა. და აი, 1863 წელს არსდება ახალი, უაღრესად პროგრესული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. ამ ჟურნალის დამაარსებელი და რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც თერგდალეულთა იდეური ხელმძღვანელი და ბელადი გახდა.

გამოჩენილი თერგდალეული ნ. ნიკოლაძე „საქართველოს მოამბის“ გამოცემის გამო წერდა: „...რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესისა და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეაფარა „ცისკარს“ და ამნაირად იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შუა, ჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდუღდა ძველსა და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში“[8]. ეს სიტყვები სწორად გამოხატავდა მაშინდელ ვითარებას.

„საქართველოს მოამბეში“, დობროლიუბოვის, ლერმონტოვის, ჰიუგოსა და სხვა გამოჩენილ ავტორთა საუკეთესო ნაწერების თარგმანებთან ერთად, იბეჭდება ქართველი ავტორების ორიგინალური მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებები. პირველად სწორედ ამ ჟურნალში დაიბეჭდა ილიას უკვდავი მოთხრობა „კაცია, ადამიანი?!“ მთლიანად, ხოლო ნაწილობრივ ისეთი შედევრები, როგორიცაა „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“ და „გლახის ნაამბობი“. მთელი რიგი უაღრესად მნიშვნელოვანი პუბლიცისტური ნაშრომები მოათავსეს ჟურნალში ილიას თანამებრძოლებმა: კირილე ლორთქიფანიძემ, გიორგი წერეთელმა, დავით ყიფიანმა, ვახტანგ თულაშვილმა, მიხეილ ყიფიანმა, პეტრე ნაკაშიძემ და სხვებმა. ამ ნაწერებმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს ძველ, უკვე დრომოჭმულ და დახავსებულ შეხედულებებს;

---

[8] ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“, იხ. ჟურნ. „კრებული“, 1872, № 10, 11, 12.

ამიერიდან ფეოდალურ-კლერიკალური იდეოლოგია უკვე საფუძვლიანად დამარცხებული იყო.

„საქართველოს მოამბემ“ უდიდესი როლი შეასრულა ქართული კულტურისა და აზროვნების განვითარების ისტორიაში. მასში, როგორც სარკეში, აისახა რეფორმისწინანდელი საქართველოს რეოლუციურად განწყობილი მშრომელი მასების სულისკვეთება. მართალია, ჟურნალმა მხოლოდ ერთ წელიწადს გაძლო, მაგრამ მისი იძულებითი დახურვის შემდეგ, თერგდალეულებს სრულიადაც არ დაუყრიათ, იარაღი, — ისინი მხოლოდ ძალებს იკრებდნენ და ახალი ბრძოლებისათვის ემზადებოდნენ.

§ 2. საგლეხო რეფორმის მომზადება. ბატონყმობის გაუქმება

ბატონყმობის გაუქმება რუსეთში

XIX საუკუნის 50-იან წლებში აშკარა გახდა, რომ ბატონყმობის მოსპობის გარეშე შეუძლებელი იყო რუსეთის ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლა, მისი საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება. ყირიმის ომმა და გლეხთა მოძრაობის უმაგალითო ზრდამ თვით რუსეთის მთავრობა და გაბატონებული კლასებიც კი დაარწმუნა, რომ ბატოყნობის გაუქმების გადადება აღარ შეიძლებოდა.

1855 წელს გარდაიცვალა რუსეთის მეფე ნიკოლოზ I და მის ნაცვლად ტახტზე ავიდა მისი შვილი ალექსანდრე II. ახალი მეფე ბატონყმობის მომხრე იყო, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო იძულებული გახდა რეფორმების გზას დასდგომოდა. 1856 წელს მეფემ მოსკოვის გუბერნიის თავადაზნაურებს განუცხადა: „ყმათა მფლობელობის არსებული წესი არ შეიძლება უცვლელი დარჩეს. უმჯობესია ბატონყმობა ზევიდან გაუქმდეს, ვიდრე ველოდოთ იმ დროს, როდესაც იგი თავისთავად გაიუქმებს თავს ქვემოდან“. ამის შემდეგ რუსეთში დაიწყო საგლეხო რეფორმისათვის მზადება.

გლეხთა განთავისუფლების პირობების ირგვლივ რუსეთის თავადაზნაურთა შორის ცხარე კამათი გაიმართა. შემუშავებულ იქნა სხვადასხვა პროექტები, რომლებშიც თავადაზნაურთა რეაქციული და ლიბერალური ჯგუფების შეხედულებები იყო ასახული. ამ ჯგუფებს შორის გაჩაღდა მწვავე ბრძოლა, მაგრამ, როგორც ლენინი მიუთითებდა, ეს იყო არა მოწინააღმდეგე კლასთა ბრძოლა, არამედ ერთი და იმავე კლასის შიგნით წარმოებული ბრძოლა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დათმობათა სიდიდეს და ფორმას შეეხებოდა.

რეაქციონერი მემამულეებიც და ლიბერალებიც იბრძოდნენ თავიანთი ინტერესებისათვის, მიწისა და ძალაუფლების შენარჩუნები-

სათვის. მათ სურდათ რუსეთი კაპიტალიზმის განვითარების ისეთი გზით წაეყვანათ, რომლის დროსაც მემამულეთა ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობა ხელუხლებელი დარჩებოდა. სწორედ ასეთი გზით ვითარდებოდა კაპიტალიზმი პრუსიაში, ამიტომ ლენინმა მას განვითარების „პრუსიული“ გზა უწოდა.

ყმა გლეხების ინტერესების დასაცავად რუსეთში გაბედულად აღიმაღლა ხმა რევოლუციონერთა ახალმა თაობამ, რომელსაც გამოჩენილი რევოლუციონერი-დემოკრატი და მარქსამდელი პერიოდის დიდი სოციალისტი ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი (1828—1889) ხელმძღვანელობდა. ჩერნიშევსკიმ და მისმა სახელოვანმა თანამებრძოლებმა ნ. დობროლიუბოვმა (1836—1861) და ნ. ნეკრასოვმა (1821—1877) ჟურნალ „სოვრემენიკის“ ფურცლებზე ნათელჰყვეს, რომ გლეხთა ე. წ. „განთავისუფლება“ სინამდვილეში ყმების მოტყუება იყო და წამოაყენეს გლეხთა რევოლუციის გაბედული პროგრამა. გლეხთა გათვითცნობიერებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ა. გერცენის (1812—1870) მიერ ჟურნალ „პოლიარნაია ზვეზდაში“ და გაზეთ „კოლოკოლში“ გაჩაღებულ რევოლუციურ აგიტაციას.

ნ. ჩერნიშევსკისა და მისი თანამებრძოლების შეხედულებები გამოხატავდნენ ბატონყმობის უღელქვეშ მგმინავი რუსი გლეხობის იდეოლოგიას. რუსეთის გლეხობა სტიქიურად იბრძოდა კაპიტალიზმის რევოლუციური გზით განვითარებისათვის, რომლის დროსაც ძალით ემხობა თავადაზნაურულ-მონარქიული წყობილება, ხდება ბატონყმობისა და მისი ნაშთების სრული მოსპობა და ბოლო ეღება მემამულეთა მიწათმფლობელობას. განვითარების ამ გზას ლენინმა „ამერიკული“ გზა უწოდა.

1861 წლის 19 თებერვალს ალექსანდრე II ხელი მოაწერა მანიფესტს ბატონყმობის გაუქმების შესახებ და გლეხთა მოწყობის დებულებას, რომელიც ცნობილია „19 თებერვლის დებულების“ სახელწოდებით. გაბატონებულმა კლასებმა მიაღწიეს თავიანთ მიზანს: „დებულება“ ითვალისწინებდა გლეხთა განთავისუფლებას ისეთი პირობებით, როდესაც უზრუნველყოფილი იყო თავადაზნაურობის ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის შენარჩუნება, გლეხობის ინტერესები კი დავიწყებულ იქნა; მართალია, ყმა გლეხებმა პირადი თავისუფლება მიიღეს, მაგრამ მათი ეკონომიური მდგომარეობა არათუ არ გაუმჯობესებულა, არამედ კიდევ უფრო გაუარესდა.

რუსეთის გლეხობამ მეფის მანიფესტს ბატონყმობის გაუქმების შესახებ გაძლიერებული რევოლუციური მოძრაობით უპასუხა. გლეხთა მღელვარებისა და აჯანყებათა ტალღა მთელ რუსეთს მოედო.

საგლეხო რეფორმისათვის მზადება საქართველოში. ლიბერალური თავადაზნაურობის პოზიცია

საქართველოს ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება კვალდაკვალ მისდევდა რუსეთის ცხოვრების განვითარებას. ამიტომ, ბატონყმობის გაუქმება ამ პერიოდში საქართველოშიც გადაუდებელი ამოცანა გახდა.

1856—1862 წლებში კავკასიაში მეფისნაცვლად იყო ფელდმარშალი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი. ხოლო 1862—1882 წლებში — დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი. ბარიატინსკის განკარგულებით რეფორმისათვის სამზადისს საქართველოშიც შეუდგნენ. პეტერბურგიდან ოფიციალური მითითება ამის შესახებ 1861 წლის მარტში იქნა მიღებული. ამის შემდეგ შეიქმნა ცენტრალური საგლეხო კომიტეტი („საბატონო გლეხთა მომწყობი ა/კავკასიის ცენტრალური კომიტეტი"), რომელსაც ევალებოდა რეფორმისათვის მზადების ხელმძღვანელობა და სათანადო პროექტის შედგენა. გარდა ამისა, მთავრობამ განიზრახა ყოველ მაზრაში შეექმნა თავადაზნაურთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი სამაზრო კომიტეტები, რომლებიც ცენტრალურ საგლეხო კომიტეტს წარმოუდგენდნენ თავიანთ მოსაზრებებს გლეხთა განთავისუფლების პირობების შესახებ. ასეთი კომიტეტების შედგენა კიდევაც დაიწყეს აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ ეს საქმე მემამულეთა წინააღმდეგობას წააწყდა და მალე ჩაიშალა. ქართველ თავადაზნაურობას ეშინოდა, რომ მცირერიცხოვანი კომიტეტები ვერ შეძლებდნენ მისი ინტერესების სათანადოდ დაცვას, ამიტომ მოითხოვა გლეხთა განთავისუფლების პირობების შემუშავება თავადაზნაურთა ყრილობებისათვის მიენდოთ. მთავრობა დათმობაზე წავიდა და მემამულეთა სურვილი დააკმაყოფილა.

ამრიგად, ყმების განთავისუფლება მებატონეთა უღლისაგან იმაეე მებატონეებს მიანდვეს. რაც შეეხება გლეხებს, მათ არათუ მონაწილეობა არ მიაღებინეს მათივე განთავისუფლების პირობების შემუშავებაში, არამედ ყოველნაირად უმალავდნენ თვით ფაქტს ბატონყმობის გაუქმებისათვის მზადების შესახებ.

1861 წლის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს (თბილისის გუბერნიის) მაზრებში მიმდინარეობდა თავადაზნაურთა ყრილობები, მაგრამ ამ ყრილობებმა თითქმის ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. რეფორმისათვის მზადება მეტისმეტად ჭიანურდებოდა, რადგან თავადაზნაურობა გააფთრებით იბრძოდა თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის შესანარჩუნებლად. რეაქციონერი ქართველი თავადაზნაურობა იმაზეც კი არ თანხმდებოდა, რომ ყმა გლე-

ხობისათვის დაეთმო რუსეთის მეფის მიერ დამტკიცებული „19 თებერვლის დებულებით“ გათვალისწინებული ნამცეცები.

ქართველი თავადაზნაურობის მაშინდელი პოზიციის დასახასიათებლად საინტერესო მასალას გვაძლევს აღმოსავლეთ საქართველოს მსხვილ მემამულეთა მიერ გამოთქმული შეხედულებანი ყმების „განთავისუფლებაზე“, რომლებიც ერთად არის შეკრებილი და ეწოდება: „შეკრება ბატონყმობაზედ 240 მებატონის 21 ჰაზრ-სა“. ერთ-ერთ „ჰაზრში“, რომელსაც ხელს აწერს გორის მაზრის 74 მემამულე (ერისთავები, ამილახვრები, აბაშიძეები. ჯავახიშვილები. ციციშვილები, მაღალაშვილები, თარხნიშვილები და სხე.), ნათქვამია შემდეგი: „რა რომ გლეხებს თავისუფლება გამოეცხადებათ. ჩვენი ოჯახები მაშინვე დაეცემიან, ჩუენ კარითი-კარათ უნდა ვეთრიოთ და მოწყალება ვითხოვოთ. აღარ გვეყოლება მოსამსახურე. აღარც ვენახებისა და მიწის შემმუშავებელი, აღარც საქონლისთვის მწყემსი და აღარც შვილების გამომზრდელი ძიძა“[9].

რაკი სამაზრო ყრილობებმა შედეგი არ გამოიღო, 1862 წლის აპრილში თბილისში მოწვეულ იქნა აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა საგუბერნიო ყრილობა, რომელმაც მოახერხა შეემუშავებინა ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები საგლეხო რეფორმის პროექტის შესადგენად. ამ პრინციპების საფუძველზე, პროექტის შედგენა ყრილობამ დაავალა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს დიმიტრი ყიფიანს.

დ. ყიფიანი ტიპიური წარმომადგენელია ქართველი თავადაზნაურობის იმ ლიბერალური ჯგუფისა, რომელიც როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა ჩამოყალიბდა XIX საუკუნის 40—50-იანი წლების პერიოდში. ამ ჯგუფში შედიოდნენ: დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, იოსებ მამაცაშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ნიკოლოზ ჰავჰავაძე, მიხეილ თუმანიშვილი, ივანე კერესელიძე და სხვები. მათი ორგანო იყო ჟურნალი „ცისკარი“.

მას შემდეგ, რაც რუსეთის ცარიზმმა სავსებით გადაიბირა და გაიერთგულა ქართველი თავადაზნაურობა, მისმა მოწინავე ნაწილმა ლიბერალიზმის დროშას შეაფარა თავი. ლიბერალები გრძნობდნენ ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების დრომოჭმულობას და კიდევაც აკრიტიკებდნენ მას, მაგრამ მათი კრიტიკა მთავრობის მიერ ნებადართულ ფორმებს არ სცილდებოდა. ისინი, რუსეთის ლიბერალების მსგავსად, მოითხოვდნენ ბატონყმური მეურნეობის იმგვარად გადაკეთებას, რომ შეეგუებინათ იგი ახალ ვითარებასთან, კაპიტალის-

[9] დოკუმენტი იხ. პ. გუგუშვილის ნაშრომში „ქართული ჟურნალისტიკა“, 1941, გვ. 403.

ტურ წყობილებასთან, ხოლო მემამულეთა სახელმწიფო და მათი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობა ხელუხლებლად დაეტოვებინათ. ჯერ კიდევ რეფორმამდელ ხანაში ლიბერალები მოუწოდებდნენ ქართველ თავადაზნაურობას დასდგომოდა კაპიტალიზმის გზას. დიმ. ყიფიანი 1848 წელს გაზეთ „კავკაზში“ წერდა: „დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც რუსეთის თავადაზნაურობა ზიზღით უცქეროდა მრეწველობას, მაგრამ იმავე დროის მოთხოვნილებამ აიძულა უკუეგდო ეს ცუდი ცრუმორწმუნეობანი და რამდენი არის ამჟამად უწარჩინებულეს თავადაზნაურთა შორის მდიდარი ფაბრიკანტები და მრეწველები, რომელთა მაგალითი შეიძლება გადაიქცეს საუკეთესო წასაბაძად ქართველ თავადაზნაურობისათვის“[10].

ამრიგად, ქართველი თავადაზნაურული ლიბერალები გაბურჟუების გზაზე შემდგარი მემამულეების იდეოლოგები იყვნენ და კაპიტალიზმის „პრუსიული“ გზით განვითარებისათვის იბრძოდნენ.

ქართველი თავადაზნაურული ლიბერალების დამსახურება ის იყო, რომ ისინი ამჩნევდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულობას და აქტიურად მოღვაწეობდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო ფრონტზე. მათ მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით ქართული ლიტერატურის, პრესისა და თეატრის აღორძინების საქმეში.

მაგრამ ლიბერალების სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები ვერ სცილდებოდა თავადაზნაურულ-მემამულურ იდეოლოგიას. რეფორმის პერიოდში ლიბერალების დიდმა ნაწილმა თავი შეირცხვინა მით, რომ აშკარად მიემხრო რეაქციონერი თავადაზნაურობის პოზიციას და გლეხთა უმიწოდ განთავისუფლებას მოითხოვდა. ასე მოიქცა დიმიტრი ყიფიანიც. მან დიდი შრომა გასწია იმისათვის, რომ ერთგულად დაეცვა მემამულეთა ინტერესები, რისთვისაც ის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ თავის წინამძღოლად აირჩია.

დ. ყიფიანის მიერ შედგენილი საგლეხო რეფორმის პროექტი აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობამ განიხილა ჯერ თავის სამაზრო კრებებზე, შემდეგ კი საგუბერნიო ყრილობაზე, რომელიც შედგა თბილისში 1863 წელს. ეს პროექტი მოიწონა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა უდიდესმა უმრავლესობამ, 536 მემამულემ, ამიტომ მას „უმრავლესობის“ პროექტი ეწოდა. თავადაზნაურთა მცირე ნაწილმა (14 მემამულე), რომელიც უმრავლესობის პროექტს არ მიემხრო, შეადგინა ცალკე პროექტი. მათ პროექტს „უმცირესობის“ პროექტი უწოდეს. გარდა ამისა, საკუთარი პროექტი წარადგინა აგრეთვე მცხვილმა მემამულემ, გენერალმა ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკიმ, რომელსაც ქართლში კაპიტალისტურად მოწყობილი დიდი

[10] გაზეთი „კავკაზი“, 1848, № 2.

მეურნეობა ჰქონდა. ეს პროექტები ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა, ყველა ბატონყმური და რეაქციონური შინაარსისა იყო და ყმა გლეხების სრულიად უმიწაწყლოდ განთავისუფლებას ითვალისწინებდა. რეაქციონერ ქართველ თავადაზნაურობას უნდოდა, რომ გლეხებისათვის არ მიეცა მიწები და ისინი ხიზნების მდგომარეობაზე გადაეყვანა.

მხოლოდ ორმა მოწინავე ინტელიგენტმა ლიბერალური თავადაზნაურობის ბანაკიდან, სახელდობრ გენერალმა კონსტანტინე მამაცაშვილმა და მოსამართლე ნიკოლოზ ჭავჭავაძემ, გამოიჩინა ეპოქის სულისკვეთების შედარებით სწორი გაგება და მთავრობას წარუდგინეს ყმების განთავისუფლების საკუთარი პროექტები, რომლებშიც მოითხოვდნენ გლეხებისათვის მიწის განსაზღვრული რაოდენობით მიცემას. მათი აზრით, ეს აუცილებელი იყო საქართველოს ეკონომიური ცხოვრების შემდგომი წინსვლისათვის. მართალია, ეს პროექტები ზემოხსენებული პროექტებისაგან განსხვავდებოდა და მათზე უკეთესი იყო, მაგრამ გლეხთა მდგომარეობის რაიმე მნიშვნელოვან გაუმჯობესებას არც ესენი ითვალისწინებდნენ. ეს პროექტებიც თავისი შინაარსით არ სცილდებოდა კაპიტალიზმის „პრუსიული“ გზით განვითარების მომხრე ლიბერალების პროგრამას, ე. ი. იმავე გაბურჟუების გზაზე შემდგარი მემამულეების იდეოლოგიის ფარგლებს.

ახალი თაობის წარმომადგენლებს, — თერგდალეულებს, — რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ უშუალო მონაწილეობა მიეღოთ საგლეხო რეფორმისათვის მზადებაში; ისინი იძულებული იყვნენ გლეხობის ინტერესები პრესისა და ლიტერატურის საშუალებით დაეცვათ. მაგრამ მათმა მოწინავე იდეებმა მაინც ჰპოვა გამოხატულება რეფორმისათვის მზადების ოფიციალურ მასალებში. არსებობს ერთი უაღრესად საყურადღებო ხელმოუწერელი დოკუმენტი სათაურით „კრიტიკული შენიშვნები“[11], რომელიც თავის დროზე წარდგენილი ყოფილა ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში. დოკუმენტში მოცემულია საგლეხო რეფორმის პროექტის მკაცრი კრიტიკა და წამოყენებულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი წინადადებები, რომელთა მიზანია რეფორმის დროს ყმა გლეხობის ინტერესების დაცვა. წერილის ავტორი მოითხოვს, რომ გლეხებს მიწები არ ჩამოეჭრათ, რადგან მათ ისედაც არაფერი გააჩნიათ; ის მოითხოვს აგრეთვე გლეხთა ბეგარა-გადასახადების მნიშვნელოვნად შემცირებას და ა. შ. ვინ იყო ამ წერილის ავტორი, ჯერჯერობით არ არის საბოლოოდ დადგენილი,

---

[11] იხ. კრებული „Сельское хозяйство и аграрные отношения“, 1950, ტ. II, გვ. 173—203.

მაგრამ მისი შინაარსი მოწმობს, რომ ასეთი დოკუმენტი მხოლოდ ახალი თაობის გამოჩენილ წარმომადგენელს შეეძლო დაეწერა.

ახალი თაობის ბრძოლა გლეხობის ინტერესებისათვის

დაჩაგრული ქართველი გლეხობის ინტერესების ერთადერთი დამცველები იყვნენ ახალი თაობის წარმომადგენლები — თერგდალეულები, რომლებიც ჯერ კიდევ პეტერბურგში სასწავლებლად ყოფნის დროს ჩაებნენ რევოლუციურ მოღვაწეობაში. 1861 წლის 19 თებერვლის რეფორმამ ვერ დააკმაყოფილა რუსეთის გლეხობა და მან მეფის მიერ ბოძებულ „განთავისუფლებას" მღელვარებით უპასუხა. გლეხობის გამოსვლებს აქტიურად დაუჭირა მხარი რუსეთის რაზნოჩინცულმა (ასე უწოდებდნენ ხალხის ქვედა ფენებიდან გამოსულ რევოლუციონერებს) ინტელიგენციამ, რომელსაც ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი მეთაურობდნენ. ამ რევოლუციონერების გავლენით 1861 წელს პეტერბურგის სტუდენტებმა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები მოაწყვეს. სტუდენტთა მოძრაობის ჩასაქრობად მთავრობამ ჯარის ნაწილები გამოიყენა. რამდენიმე ასეული სტუდენტი დააპატიმრეს და კრონშტადტის ციხეში ჩაჰყვეს. პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველ სტუდენტთა დიდი ჯგუფი, რომელთაგან ბევრი დაპატიმრებული იყო და თავიანთ რუს მეგობრებთან ერთად რამდენიმე თვე იჯდა კრონშტადტის ციხეში. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ გამოჩენილი თერგდალეულები: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ბ. ღოღობერიძე და სხვები.

თერგდალეულთა იდეური ბელადი ილია ჭავჭავაძე იმ დროს პეტერბურგში არ იმყოფებოდა და სტუდენტთა დემონსტრაციაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია. მიუხედავად ამისა, მთავრობამ რეპრესიები მაინც გაავრცელა: 1861 წლის 12 ოქტომბერს ი. ჭავჭავაძე, დემონსტრაციაში აქტიურად მონაწილე მეგობრებთან ერთად, გამორიცხული იქნა უნივერსიტეტიდან. საქართველოში ჩამოსვლისთანავე მან თავის გარშემო შემოიკრიბა მოწინავე ახალგაზრდობის ჯგუფი და უაღრესად ფართო ლიტერატურული და პოლიტიკური საქმიანობა გააჩაღა.

ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების — აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ანტონ ფურცელაძისა და სხვათა ანტიბატონყმურ ნაწერებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს ქართველი გლეხობის გამოფხიზლებისა და კლასობრივი გათვითცნობიერებისათვის. ბატონყმური წყობილებისა და იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ი. ჭავჭავაძის უკვდავ სოციალურ ნაწარმოებებს: „აჩრდილს", „ქაკო ყაჩაღს", „გლა-

ხის ნაამბობს", „კაცია-ადამიანს?!". ამ ნაწარმოებებში გატარებულია გლეხური რევოლუციის იდეა. პოემა „აჩრდილში" ილია ჭავჭავაძე აშკარად მოითხოვს „კაცთა ცხოვრების შემფერხებელი ბორკილის დამსხვრევას" და „შრომის ახსნას". აქ იგი გაბედულად აყენებს ახალი თაობის მთავარ საბრძოლო ლოზუნგს: „ძმობა, ერთობა და თავისუფლება". პოემა „კაკო ყაჩაღში" ილია ჭავჭავაძე სიყვარულით უმღერის XIX საუკუნის პირველი ნახევრის გლეხთა მოძრაობის ცნობილ ბელადს არსენა ოძელაშვილს და ხატავს მეამბოხე გლეხთა ისეთ ტიპებს (კაკო, ზაქრო), რომლებიც იარაღით ხელში უსწორდებიან საძულველ ბატონებს. მებრძოლი გლეხის ასეთივე ტიპია დახატული მოთხრობაში „გლახის ნაამბობი" გაბროს სახით. ასეთი ტიპების დახატვით ილია ჭავჭავაძე ასწაელიდა გლეხობას თუ რა გზას უნდა დადგომოდა იგი, რათა ბოლო მოღებოდა იმ ბატონყმურ სიდამპლეს, რომელიც ასე დამაჯერებლად წარმოგვიდგინა მწერალმა „კაცია-ადამიანში?!"; იგი მოუწოდებდა ქართველ გლეხობას იარაღისაკენ, ე. ი. ფეოდალური წყობილების რევოლუციური გზით დამხობისაკენ.

მაგრამ ილია ჭავჭავაძე მარტო ლიტერატურული მოღვაწეობით როდი კმაყოფილდებოდა; ის ამავე დროს პრაქტიკულად იბრძოდა გლეხობის ინტერესების დასაცავად. ამის გამო თავადაზნაურობამ შეიძულა ილია ჭავჭავაძე და სდევნიდა მას. იმდროინდელი მოღვაწე ქრისტეფორე მამაცაშვილი გადმოგვცემს, რომ თავადაზნაურთა ერთ-ერთ კრებაზე ილია ჭავჭავაძე ძლივს გადარჩენილა სიკვდილს. აი, რას წერს მამაცაშვილი: „ოქმის წაკითხვის შემდეგ დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე და ხმამაღლა განაცხადა, რომ გლეხს მიწა უნდა მიეცესო. კრების უმრავლესობა ამ კადნიერმა აზრმა აღაშფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა, ლანძღვა-გინებით ილიასაკენ გაიწია და ყვიროდა: „გამიშვით გამიშვით! ეხლავე უნდა მოვკლაო". გაგიჟებული თავადი შეაკავეს და ძლივსძლივობით გაიყვანეს კრებიდან"[12].

ასევე სდევნიდა თავადაზნაურობა თერგდალეულთა მეორე გამოჩენილ ბელადს, დიდ ქართველ პოეტს აკაკი წერეთელს. მებატონეთა განსაკუთრებული გულისწყრომა გამოიწვია აკაკის ლექსებმა „მუშური" და „გლეხის აღსარება", რომლებშიც ბატონყმური წყობილების დაუნდობელი და უაღრესად მახვილი კრიტიკაა მოცემული. აი, რას ამბობს თვითონ პოეტი იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც მას „გლეხის აღსარების" გამოქვეყნების გამო შეემთხვა: „ამ ლექსმა, რომელიც ბატონყმობის გადავარდნამდეა დაწერილი, ძალიან უსიამოვნება გამოიწვია თავადებში და ბევრი მტერიც შემძინა. ერთმა

---

12 იხ. კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", 1907, გვ. 67.

მათგანმა, თავადმა მიქელაძემ, სასიკვდილოდ შემომიტია და ალალბედზედ გადამარჩინეს"[13].

ასე თავდადებით იბრძოდნენ თერგდალეულები მშრომელი გლეხობის ინტერესების დასაცავად. მართალია, მათ ვერ შეძლეს რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ბოლომდე თანმიმდევრულად გატარება, რადგან თვითონაც არ იცოდნენ მშრომელი ხალხის ბედნიერების მოპოვების ნამდვილი გზები, მაგრამ, ამის მიუხედავად, მათ ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი გლეხობისა და საერთოდ საქართველოს მშრომელი მასების გარეოლუციონერების საქმეში.

ბატონყმობის გაუქმება საქართველოში

ქართველი თავადაზნაურობის სხვადასხვა ჯგუფების მიერ შედგენილი რეფორმების პროექტები, — ე. წ. „უმრაველესობის" და „უმცირესობის", აგრეთვე ცალკეული მემამულეების მიერ წარდგენილი პროექტები, — განხილულ იქნა ჯერ ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში, სადაც ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, ხოლო შემდეგ პეტერბურგში, მთავარი საგლეხო კომიტეტისა და კავკასიის კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე. მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა დაეცვა მემამულეთა ინტერესები, მაგრამ ის ამავე დროს იძულებული იყო ანგარიში გაეწია, ერთი მხრივ, გლეხთა მზარდი უკმაყოფილებისათვის, რომელიც ადვილად შეიძლებოდა რევოლუციაში გადაზრდილიყო, ხოლო მეორე მხრივ, ხაზინის ინტერესებისათვის, ე. ი. იმისათვის, რომ გლეხს არსებობის მინიმალური პირობები მაინც ჰქონოდა, რათა ხაზინისათვის გადასახადების გადახდა შესძლებოდა. ამიტომ მთავრობამ უარყო ქართველი თავადაზნაურობის მოთხოვნა გლეხების სრულიად უმიწოდ განთავისუფლებისა და მათი ხიზნების მდგომარეობაზე გადაყვანის შესახებ. მთავრობამ მთელი მიწა მებატონის საკუთრებად აღიარა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა დაეტოვებინა გლეხებისათვის მიწის მცირე ნაკვეთები იმ პირობით, რომ ამ ნაკვეთებით სარგებლობისათვის გლეხებს გარკვეულ ვადამდე მემამულეებისათვის ეხადათ მძიმე გადასახადი, ამ ვადის გასვლის შემდეგ კი გამოესყიდათ მათგან ნაკვეთები და თვითონ გამხდარიყვნენ მიწის მესაკუთრენი. ამ ნაკვეთების გამოსყიდვამდე ყმობიდან განთავისუფლებულ გლეხებს „დროებით ვალდებული გლეხები" ეწოდებოდა. ამ უმნიშვნელო დათმობით მთავრობას უნდოდა თავიდან აეცდინა გლეხთა რევოლუცია, მშვიდობიანი და უმტკივნეულო რეფორმების გზით შემოებრუნებია

---

13 ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ., სრ. კრებული, 1950, ტ. I, გვ. 426.

ქვეყანა ახალი, კაპიტალისტური განვითარებისაკენ და ამავე დროს შეენარჩუნებინა მიწა და ძალაუფლება გაბატონებული კლასისათვის, — თავადაზნაურობისათვის.

1864 წლის 13 ოქტომბერს მთავრობამ დააშტკიცა მთავარი დებულებები, რომლებშიც ჩამოყალიბებული იყო თბილისის გუბერნიის გლეხთა განთავისუფლების პირობები. იმავე წლის 8 ნოემბერს ქალაქ თბილისში და აღმოსავლეთ საქართველოს უეზდო სამაზრო ცენტრში ერთდროულად, საზეიმო ვითარებაში იქნა გამოცხადებული ბატონყმობის გაუქმება.

„13 ოქტომბრის დებულებები“, ზოგიერთი არაარსებითი ცვლილებებით, შემდეგში გავრცელებული იქნა დასავლეთ საქართველოზედაც. ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთი რაჭითურთ, და გურია) ბატონყმობის გაუქმება გამოცხადდა 1865 წლის ნოემბერში, ხოლო სამეგრელოში 1867 წლის თებერვალში. აფხაზეთში ბატონყმობა გაუქმდა 1870 წელს, სვანეთში კი 1871 წელს. მთავრობის მითითებით, ბატონყმობის გაუქმების გამოცხადება ყველგან ხდებოდა დიდი ზეიმით, რომლის ცერემონიალი წინასწარ იყო შემუშავებული. ამით მთავრობას უნდოდა გლეხობაზე შთაბეჭდილების მოხდენა, მისთვის თვალის ახვევა და საქმის ისე მოჩვენება, თითქოს რეფორმით გლეხობა ბედნიერი გახდებოდა. მაგრამ ზეიმობდნენ მხოლოდ მთავრობის ჩინოვნიკები და თავადაზნაურობა, რომლებიც რეფორმის „წარმატებით“ ჩატარებისათვის რუსეთის მეფემ ჯილდოებით აავსო; რაც შეეხება გლეხობას, — მას საზეიმო არაფერი ჰქონდა, რადგან მალე მიხვდა, რომ მოტყუებული დარჩა. გლეხობის ფართო მასები რეფორმას აშკარა უკმაყოფილებით შეხვდნენ.

ქართველი გლეხობის მაშინდელ სულისკვეთებას კარგად გამოხატავს ხალხური ლექსი, რომელიც ბატონყმობის გაუქმების პირველ ხანებშივეა შექმნილი:

ბატონყმობა გადაეარდა
ასე როდი მეგონა.
თუ ხელმწიფე ტყუილს იტყოდა
ასე როდი მეგონა!

საგლეხო რეფორმა რუსეთშიც მემამულეთა ინტერესების სასარგებლოდ გატარდა და ბატონყმური რეფორმა იყო. მაგრამ საქართველოში რეფორმის ეს ბატონყმური ხასიათი კიდევ უფრო მეტად იგრძნობოდა, რადგან აქ გაცილებით მეტი რაოდენობით რჩებოდა ბატონყმობის ნაშთები. თუ როგორ მოატყუეს და გაძარცვეს გლეხობა რეფორმის გატარებისას, ამას მოწმობს შემდეგი ციფრები: აღმოსავლეთ საქართველოში რეფორმამდე ყმა გლეხებს სარგებლობაში

ჰქონდათ 84 665 დესეტინა მიწა, რეფორმის შემდეგ კი დაუტოვეს მხოლოდ 55 679 დესეტინა, დანარჩენი 28 986 დესეტინა მათ ჩამოაჭრეს და მემამულეებს გადასცეს (ამას ეწოდებოდა „ჩამონაჭრები"). ამის შედეგად, თუ რეფორმამდე ერთი ყმა გლეხი საშუალოდ სარგებლობდა 5,2 დესეტინა მიწით, რეფორმის შემდეგ საშუალოდ თითოეულ დროებით ვალდებულ გლეხს დარჩა მხოლოდ 3,4 დესეტინა (აქ შედიოდა როგორც კარმიდამო და ბაღ-ვენახი, ისე სახნავ-სათესი მიწები). კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იყვნენ დასავლეთ საქართველოს გლეხები. მარტო შორაპნის მაზრის ყმა გლეხებს „განთავისუფლების" შემდეგ მებატონეთა სასარგებლოდ ჩამოაჭრეს 7 256 დესეტინა მიწა, რაჭის მაზრის გლეხებმა კი „ჩამონაჭრების" სახით რეფორმამდე მათ სარგებლობაში არსებული მთელი მიწების მესამედი დაკარგეს. ამის შედეგად დროებით ვალდებული გლეხების მცირემიწიანობამ უკიდურესობამდე მიაღწია. ქუთაისის გუბერნიაში საშუალოდ თითოეულ დროებით ვალდებულ გლეხს დარჩა მხოლოდ 2,5 დესეტინა მიწა. შორაპნის მაზრაში დროებით ვალდებულ გლეხებს ჩამოჭრის შემდეგ საშუალოდ 2,7 დესეტინა მიწის ნაკვეთები დარჩათ, ლეჩხუმის მაზრაში 2,1 დესეტინა, რაჭის მაზრაში — 1,9 დესეტინა, ოზურგეთის მაზრაში — 1,3 დესეტინა და ა. შ. სამეგრელოს, აფხაზეთის და სვანეთის გლეხების მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელი იყო.

კანონით გლეხებს არ მიეცათ არც ტყე და არც პირუტყვის საძოვარი ადგილები. ასეთი ადგილებით სარგებლობისათვის მათ მემამულისათვის უნდა ეძლიათ მძიმე გადასახადი. იმ გლეხებს, რომლებსაც რეფორმამდე მიწა არ ჰქონიათ, აგრეთვე შინაყმებსა და ხიზნებს მიწა სრულიად არ მიეცათ. ასეთი გლეხების რიცხვი მრავალ ათასს აღწევდა. დროებით ვალდებულ გლეხებს იმ მცირე მიწის ნაკვეთებით სარგებლობისათვის, რომლებიც მათ კანონით გამოუყვეს (ამ ნაკვეთებს „ნადელებს" ეძახდნენ), მებატონის სასარგებლოდ უნდა ეხადათ გაცილებით მეტი გადასახადი, ვიდრე ისინი ბატონყმობის დროს იხდიდნენ. ამასთან ერთად, ახლა მათ სახელმწიფო ბეგარა-ვალდებულებებიც უნდა შეესრულებინათ და, ამრიგად, შეეავათის მაგიერ, ორმაგი ჩაგვრის მძიმე უღელი ეწვიათ. გლეხების მდგომარეობას კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა ე. წ. ურთიერთთავდებობის წესის შემოღება, რაც იმას ნიშნავდა, რომ გლეხები ერთმანეთისათვის თავიანთი ქონებით იყვნენ პასუხისმგებელი გადასახადის გადახდაზე. ასეთი წესი რეფორმამდე საქართველოში არ ყოფილა.

ამრიგად, გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა რეფორმის შედეგად არათუ არ გაუმჯობესებულა, არამედ მნიშვნელოვნად გაუარესდა; მათ მიწის ნაკვეთები შეუმცირდათ, გადასახადები კი გაუდიდ-

დათ. სამაგიეროდ, მემამულეთა ინტერესები სავსებით დაცული იყო. მათ გადაეცათ გლეხებისაგან ჩამოჭრილი მიწის ნაკვეთები, რაც მრავალ ათეულ ათას დესეტინას აღწევდა; გარდა ამისა, მეფემ მის ერთგულ თავადაზნაურობას გლეხებისათვის პირადი თავისუფლების მინიჭების საზღაურად „უწყალობა“ დიდი ფულადი დახმარება: თითოეული ყმის განთავისუფლებისათვის ქართველმა თავადებმა და აზნაურებმა ხაზინიდან მიიღეს 25-დან 50 მანეთამდე, რაც რამდენიმე მილიონ მანეთს აღწევდა და იმ დროის კვალობაზე დიდ თანხას შეადგენდა. მემამულეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც თითქოს არასაკმარისი მიწა ჰქონდა, დებულებით სულ გაათავისუფლეს გლეხებისათვის მიწის მიზომვის ვალდებულებისაგან. იმ გლეხებს, რომლებსაც თავიანთი სისხლით და ოფლით მორწყული მიწები უნდა გამოესყიდათ, მემამულეები ყოველნაირად ავიწროებდნენ, უზომავდნენ მათ მდარე, ან სულ უვარგის მიწებს, აიძულებდნენ დათანხმებულიყვნენ მიწით სარგებლობის კაბალურ პირობებზე. მემამულეები გლეხების საკუთარი მიწების პირდაპირ მიტაცებასაც არ ერიდებოდნენ.

ასე მოატყუეს და შეავიწროეს ისედაც დაბეჩავებული გლეხები რეფორმის დროს. ამიტომ ამბობდა დიდი ლენინი: „უბადალებული „განთავისუფლება“ იყო გლეხების ყოველად უსინდისო გაძარცვა, იგი წარმოადგენდა მათ მიმართ მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას“[14].

მაგრამ მიუხედავად თავისი ბატონყმური ხასიათისა, საგლეხო რეფორმა მაინც ბურჟუაზიული რეფორმა იყო და უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიაში. რეფორმის შედეგად გლეხს პირადი თავისუფლება მიეცა. ამიერიდან მემამულეს აღარ შეეძლო გლეხის არც ყიდვა და გაყიდვა, არც გაცვლა ან გაჩუქება, როგორც ამას ბატონყმობის დროს ჰქონდა ადგილი. მემამულე ვეღარ ჩაერეოდა გლეხის პირად ოჯახურ ცხოვრებაში, ვერ აუკრძალავდა მას ქორწინებას, ვერ გაუყიდდა ქონებას. გლეხს უფლება მიეცა თავისი სახელით დაედო ხელშეკრულება, ჩაბმულიყო ვაჭრობა-მრეწველობაში, შეეძინა უძრავ-მოძრავი ქონება, გამხსნელიყო სასამართლოში მომჩივნად თუ მოპასუხედ, მიეტოვებინა სოფელი, გლეხის წოდება და ჩაწერილიყო „მოქალაქედ“ ან ვაჭრად, ერთი სიტყვით. გლეხი იურიდიულად თავისუფალი ადამიანი გახდა და თუმცა ჯერ კიდევ არასრული მოქალაქური უფლებები გააჩნდა, მაგრამ წინანდელ უუფლებობასთან შედარებით ეს მაინც უკეთესი მდგომარეობა იყო. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში კაპიტალიზმის შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის.

---

[14] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 17, გვ. 126.

უმიწოდ დარჩენილ და მცირემიწიან გლეხებს სხვა გზა აღარ ჰქონდათ, ისინი დაქირაველებულ მუშებად უნდა გადაქცეულიყვნენ.

საგლეხო რეფორმამ როგორც რუსეთში, ისე განსაკუთრებით საქართველოში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის მრავალი ნაშთი დატოვა. საჭირო გახდა მშრომელი ხალხის ხანგრძლივი და მეღარი ბრძოლა ამ ნაშთების აღმოფხვრისათვის.

ნ. ნიკოლაძის გამოსვლა ა. გერცენის „კოლოკოლში"

თერგდალეულები ვერ დააკმაყოფილა კუდმოკვეცილმა საგლეხო რეფორმამ და ისინი მკაცრად აკრიტიკებდნენ რეფორმას და მის ავტორებს, — უმთავრესად თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებში. რეფორმის წინააღმდეგ პრესაში აშკარად გამოსვლა, მაშინდელი მძიმე საცენზურო პირობების გამო, საქართველოში შეუძლებელი იყო. მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაშინდელი ევროპის შედარებით თავისუფალ ატმოსფეროში შეიძლებოდა ბატონყმური რეფორმის წინააღმდეგ აშკარა პროტესტით გამოსვლა და მებატონე-„განმათავისუფლებელთა" სამარცხვინო ბოძზე გაკვრა. ეს ამოცანა ჩინებულად შეასრულა სახელოვანმა თერგდალეულმა ნიკო ნიკოლაძემ.

პეტერბურგის უნივერსიტეტიდან გარიცხვის შემდეგ ნ. ნიკოლაძე ერთხანს რუსეთშივე მოღვაწეობდა. გაზეთ „ნაროდნოე ბოგატსტვოს" ფურცლებზე მან მრავალი რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთებით გაჟღენთილი წერილი მოათავსა, მაგრამ მალე ცენზურა აუმხედრდა და იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო. აქ ნ. ნიკოლაძე დაუკავშირდა გამოჩენილ რუს რევოლუციონერ-დემოკრატს ალექსანდრე გერცენს და მისი გაზეთის „კოლოკოლის" აქტიური თანამშრომელი გახდა. 1865 წელს ამ გაზეთის ორ ნომერში (ივნის-ივლისში) დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის ვრცელი წერილი „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში", რომელშიც გამოხატულია დემოკრატიული ქართველი ახალგაზრდობის საერთო აზრი რეფორმაზე.

ნ. ნიკოლაძემ საგლეხო რეფორმას უწოდა „მძარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება". მან დაწვრილებით გაარჩია რეფორმის დებულების მუხლები და დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ მეფემ მოატყუა ხალხი, გლეხობა. ნიკოლაძე მიუთითებს, რომ რეფორმას საქართველოში ოდნავადაც არ გააუმჯობესებია გლეხობის მდგომარეობა, რადგან გლეხთა საკითხის გადაჭრა იმით დამთავრდა, რომ მთავრობამ „ყმა გლეხებს სახელი შეუცვალა და უწოდა მემამულეთა მიწებზე დაბახლებული გლეხები"[15]. დებუ-

15 ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I, გვ. 177.

ლებით გლეხებისათვის გათვალისწინებულ ზოგიერთ უმნიშვნელო დათმობებს ნიკოლაძე დაცინვას უწოდებს და მრისხანე სამხილებლო სიტყვებით მიმართავს მეფის მთავრობას:

„სადღაა აქ ბატონყმობის მოსპობა? ცარიელი სიტყვით ბევრი რამ შეგიძლიათ ილაქლაქოთ, მაგრამ თქვენს სიტყვას ვინ რას დაუჯერებს, როცა საქმე არ აგვირგვინებს მას: აბა, სადაა გლეხთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება?.. მოეპოვება თუ არა რაიმე აზრი (საღ აზრს ვინღა დაეძებს) თქვენს, ეგრეთწოდებულ, რეფორმას... როდესაც გლეხს ხელიდან ეცლება მიწა, წყალი, საწვავი მასალა და თითქმის ჰაერიც კი? რაღა შეადგენს თქვენი რეფორმის შინაარსს?“[16].

ნ. ნიკოლაძემ მკაცრად გააკრიტიკა აგრეთვე ქართველი თავადაზნაურული ლიბერალები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მთავრობას გლეხების მოტყუებაში. „ამ ვაჟბატონებზე ლაპარაკიც კი არ ღირსო“[17], — წერდა ნიკოლაძე.

ნ. ნიკოლაძის ეს წერილი ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების შესანიშნავი ნიმუშია. წერილის ავტორი საესებით დგას ჩერნიშევსკი-დობროლუბოვის პოზიციებზე და დაჩაგრული ქართველი გლეხების რევოლუციურ სულისკვეთებას გამოხატავს.

§ 3. ცვლილება სოფლის მმართველობაში. საქალაქო და სასამართლო რეფორმები

სასოფლო მმართველობა

საგლეხო რეფორმასთან ერთად რუსეთში გატარდა მთელი რიგი სხვა ბურჟუაზიული რეფორმები, მათ შორის: საერობო რეფორმა, საქალაქო რეფორმა და სასამართლო რეფორმა.

1864 წელს რუსეთში შეიქმნა ე. წ. „ერობები“ ანუ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები (სამაზრო და საგუბერნიო). ერობის ხმოსნებს ირჩევდნენ მიწისმფლობელები და გლეხები, აგრეთვე ქალაქის შეძლებული მცხოვრებნი. არჩევნები ხდებოდა საადგილმამულო ცენზის საფუძველზე. ამას ისიც ემატებოდა, რომ მთავრობის ორგანოები გლეხებს აიძულებდნენ ხმოსნებად კულაკები აერჩიათ. ამის გამო ერობები მსხვილი მიწათმფლობელობისა და ბურჟუაზიის ორგანოები იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერობების შექმნას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ერობები ხელს უწყობდნენ კაპიტალიზ-

---

[16] იქვე, გვ. 182.
[17] იქვე, გვ. 172.

მის განვითარების დაჩქარებას, მათ გაჰყავდათ გზები და რკინიგზები, აარსებდნენ ბანკებს, აწყობდნენ სკოლებს, საავადმყოფოებს და სხვ.

საქართველოში საერობო რეფორმა არ გატარებულა. ერობების ნაცვლად აქ შემოიღეს ყოველგვარ უფლებამოკლებული „სოფლის საზოგადოებანი", რომლებიც აერთიანებდნენ ერთი სოფლის (ზოგჯერ კი რამდენიმე სოფლის) ტერიტორიაზე მცხოვრებ გლეხებს განურჩევლად იმისა, თუ რომელ უწყებას ეკუთვნოდნენ ისინი. მთელი სოფლის საზოგადოების მოსახლეობა კომლობრივ შეადგენდა სოფლის ყრილობას, რომელიც ირჩევდა სოფლის მამასახლისს. სოფლის ყრილობა და მის მიერ არჩეული სოფლის მამასახლისი, აგრეთვე სოფლის გლეხთა სასამართლო ერთად შეადგენდა „სასოფლო მმართველობას", რომელსაც არსებითად არავითარი უფლებები არ გააჩნდა. სასოფლო მმართველობის თითქმის მთელი საქმიანობა ამოიწურებოდა გლეხებში გადასახადების აკრეფით და სახელმწიფო ბეგარა-სამუშაოების შესრულებისადმი თვალყურის დევნებით. სოფლის ყრილობის მიერ არჩეული პირები შემდეგ მთავრობის ორგანოებს უნდა დაემტკიცებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში არჩეულად არ ჩაითვლებოდნენ. სოფლის მმართველები მოვალე იყვნენ უსიტყვოდ შეესრულებინათ პოლიციისა და მთავრობის სხვა ორგანოების ყოველგვარი მითითებები. მაზრის უფროსი და მისი ხელქვეითები (ჩაფარი და პოლიციის სხვა მოხელეები) გლეხების მიერ არჩეულ თანამდებობის პირებს აბუჩად იგდებდნენ და არაიშვიათად მათრახითაც კი უმასპინძლდებოდნენ. სოფლის საზოგადოების წესდება ისე იყო შედგენილი, რომ სასოფლო მმართველობას მხოლოდ მდიდრების უფლებების დაცვა ევალებოდა, გლეხების ინტერესები კი ყველას ადვილად შეეძლო ფეხქვეშ გაეთელა.

გლეხობის ინტერესების დასაცავად და სოფლის თვითმმართველობის უფლებების გასაფართოებლად დიდი ბრძოლა ჩაატარეს თერგდალეულებმა. მეფის მთავრობის მიერ შემოღებულ თვითმმართველობის წესდებას განსაკუთრებით მწვავედ ესხმოდა თავს ილია ჭავჭავაძე. აი, რას ამბობდა იგი სოფლის სამმართველოს დამოკიდებულების შესახებ გლეხობისადმი:

„სოფლის სასამართლოც ამ დღეშია, მას, წესდების ძალით, ხელი მიუწვდება მარტო გლეხკაცზედ. თუ გლეხკაცმა დააშავა რამე, წაუხდინა რამ ვისმე, ან პირობა არ აუსრულა, ყველას, სოფელში მცხოვრებს: თავადს, აზნაურს, მღვდელს, დიაკვანს, მედუქნეს ნება აქვთ იქავე თვალწინ, უხარჯოდ, მოუცდენლად, სოფლის სასამართლოს შემწეობით, გადაახდევინოს გლეხს სასჯელი, თუ საზღაური; და თუ არა გლეხმა გლეხს დაუშავა რამე, წაუხდინა, პირობა არ აუსრულა, საწყალი გლეხი იძულებულია ათს, ოცს, ოც-და-ათს ვერსტზედ გაიქ-

ცეს, მომრიგებელ მოსამართლეს მიჰმართოს, რამდენიმე დღე წასვლა-მოსვლაში დაჰკარგოს, მერე რამდენიმე თვე საქმის გარჩევას ელოდოს, მერე კიდევ დაიბარონ, კიდევ მოსცდეს რამდენიმე დღე წასვლა-წამოსვლაში, ჭამა-სმაში ტყუილ-უბრალო ხარჯი გასწიოს. ეს ყველა იმისთანა მძიმე რამ არის გლეხისათვის, რომ მის გამო გლეხი უფრო ხშირად იძულებულია თავისი დაჩაგვრა არა გლეხისაგან გულში გაბოროტებით ჩაიმარხოს, ხელი აიღოს საჩივარზედ, გული აიყაროს კანონზედაც, რომელიც მისთვის აქე მიუწედომელია — როცა დიდი სჩაგრავს, გული აიყაროს თავის სამმართველოსედაც, რომელიც უღონოა დიდის წინაშე.

რა წარმომადგენელია უფლებისა იგი წყობა, რომელიც დიდის წინ ნაცრად იქცევა ხოლმე და დაბლის წინ — ცეცხლად?! რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც დიდისაგან გაჰირვებულს არ ესარჩლება, არას შველის, და რომელიც დიდისათვის კი თავს გამოიდებს ხოლმე, როცა პატარისაგან გაუჭირდება რამ!... ჩვენის სოფლის სამმართველო და მისნი მოხელენი პოლიციის ბრმა მსახურებს და დარაჯებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე სოფლის საზოგადოების ინტერესებს"[18].

თერგდალეულები არ კმაყოფილდებოდნენ მარტო სოფლის საზოგადოებისა და მისი სამმართველოს კრიტიკით; ისინი ამავე დროს გაბედულად აკრიტიკებდნენ მეფის რუსეთის მთელ სახელმწიფო წყობილებას და მოითხოვდნენ ხალხის უფლებების გაფართოებას.

საქალაქო მმართველობის რეფორმა

1870 წლამდე რუსეთის ქალაქებს მართავდა ჯერ კიდევ ეკატერინე II-ის დროს შემოღებული ექვსხმოსნიანი საბჭოები (რუსულად ამ საბჭოს ერქვა „დუმა"), რომლის ხმოსნებს ანუ დეპუტატებს ირჩევდნენ წოდებრივი პრინციპის მიხედვით. საგლეხო რეფორმის პარალელურად რუსეთში დაიწყეს მზადება საქალაქო რეფორმის გასატარებლად. 1864 წელს საქალაქო რეფორმის პროექტი უკვე მზად იყო, მაგრამ მეფე ალექსანდრე II-მ მხოლოდ 1870 წლის ივნისში დაამტკიცა იგი. ამ დროიდან რუსეთის ქალაქებში შემოვიდა მმართველობის ახალი სისტემა, რომელიც 1874 წელს გავრცელდა თბილისზე, ხოლო უფრო გვიან — საქართველოს სხვა ქალაქებზეც.

ჯერ კიდევ რუსეთის ქალაქებში რეფორმების გატარებამდე, 1866 წელს, თბილისში გატარდა ქალაქის მმართველობის ნაწილობრივი რეფორმა, რაც უშუალო შედეგი იყო თბილისის ღარიბი მო-

---

18 ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, თბ., 1928, გვ. 64—70.

სახლეობის 1865 წლის აჯანყებისა. ამ აჯანყების შემდეგ მთავრობა იძულებული იყო ქალაქის მსხვილი ბურჟუაზიის მიმართ ერთგვარ დათმობაზე წასულიყო და წინანდელი „ექვსხმოსნიანი საბჭოები" შეეცვალა ახალი საქალაქო მმართველობით, რომელიც ირჩეოდა ქალაქის ყველა წოდების მიერ გაცილებით უფრო ფართო საარჩევნო სისტემის საფუძველზე და მოქალაქეთა ქონებრივი ცენზის გათვალისწინებით, ე. ი. მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების გათვალისწინებით. 1866 წლის ნაწილობრივი რეფორმით ქალაქის მართველობაში დიდი უფლებები ენიჭებოდა გაბურჟუების გზაზე შემდგარ თავადაზნაურობას და ახალ ფეხადგმულ მსხვილ ბურჟუაზიას. ესინი ერთმანეთს შორის იყოფდნენ მთელ ძალაუფლებას. რაც შეეხება ხელოსნებს, წვრილ ვაჭრებს და მუშებს, რომლებიც ქალაქის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ, მათი მონაწილეობა ქალაქის მმართველობაში არათუ არ გაფართოებულა, არამედ კიდევ უფრო შემცირდა. მეფის მთავრობა ყოველნაირად ავიწროებდა ქალაქის ღარიბ მოსახლეობას და ზღუდავდა მის უფლებებს. მთავრობის ასეთი პოლიტიკა გამოიხატა კერძოდ, ამჭრების წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებში; 1867 წლის მარტში გამოიცა კანონი, რომლის ძალით ამჭართა მრავალი ათეული ორგანიზაცია დაშლილ იქნა. 100 ამჭრიდან თბილისში მხოლოდ 17 ამჭარი-ღა დარჩა, ამათაც საესებით წაართვეს დამოუკიდებელი მოქმედების ყოველგვარი უფლება და პოლიციური სახელმწიფო აპარატის სრულ კონტროლს დაუმორჩილეს.

1866 წლის ნახევრულმა რეფორმამ ვერ დააკმაყოფილა ქალაქის მსვხილი ბურჟუაზია. იგი კვლავ განაგრძობდა ბრძოლას თავადაზნაურობის წოდებრივი პრივილეგიების მოსპობისა და საკუთარი უფლებების გაფართოებისათვის. ამით აიხსნება, რომ რუსეთში გატარებული საქალაქო რეფორმის დებულება, რომელიც მეფემ 1870 წელს დაამტკიცა, 1874 წლს თბილისზეც გაავრცელეს. ეს რეფორმა ახალი ნაბიჯი იყო თბილისის მმართველობის ბურჟუაზიული გარდაქმნის გზაზე. ახალი რეფორმით სრულიად ისპობოდა წოდებრივი საარჩევნო სისტემა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა ქალაქის ყველა მცხოვრებს, ვინც გადასახადს იხდიდა, მიუხედავად მათი წოდებრივი კუთვნილებისა. ახალი დებულებით, ქალაქის საბჭოს ხმოსნების ამომრჩეველები იყოფოდნენ სამ კატეგორიად იმისდა მიხედვით, თუ რამდენ გადასახადს იხდიდნენ ისინი: პირველ კატეგორიაში ითვლებოდნენ ყველაზე დიდი გადასახადების გადამხდელები, ე. ი. მდიდრები, მეორეში — საშუალო სიდიდის გადასახადის გადამხდელები, ხოლო მესამეში — მცირე გადასახადის გადამხდელები, ე. ი. ღარიბები. თითოეული კატეგორიის ამომრჩეველებს ერთნაირი

რაოდენობის ხმოსნები შეეძლოთ აერჩიათ ქალაქის საბჭოს შემადგენლობაში მაშინ, როდესაც დიდი გადასახადის გადამხდელთა რიცხვი ძალიან ცოტა იყო, ღარიბები კი ამომრჩეველთა უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ. ამრიგად არჩევნებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქონებრივ ცენზს: ერთი მუჭა მდიდარი მემამულეები და მსხვილი ბურჟუაზია ქალაქის ნამდვილი ბატონ-პატრონები ხდებოდნენ.

თერგდალეულებმა, რომლებიც ენერგიულად იბრძოდნენ ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის, აქაც აღიმაღლეს თავიანთი ხმა და პრესის საშუალებით მოითხოვეს ქალაქის საბჭოს არჩევნებში ღარიბი მოსახლობის ფართო მონაწილეობა. ნ. ნიკოლაძემ მთელი რიგი წერილები მიუძღვნა თბილისის ქალაქის მეურნეობის მოწესრიგებისა და საქალაქო მმართველობის დემოკრატიზაციის საკითხებს. მან პირველმა მოითხოვა საქალაქო არჩევნებში ქონებრივი ცენზის გაუქმება და „მცხოვრებთა მთელი მასის მონაწილეობის მიღება თვითმმართველობაში და არჩევნებში".

მაგრამ თერგდალეულებს არ შეეძლოთ გადამწყვეტი გავლენა მოეხდინათ მთავრობის პოლიტიკაზე, ხოლო ბურჟუაზია სუსტი და მხდალი იყო და ის მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად მასთან შეთანხმებასა და შერიგებაზე ოცნებობდა. ამ გარემოებამ საშუალება მისცა მეფის მთავრობას შედარებით ადვილად და მცირე დათმობებით დაეკმაყოფილებინა ბურჟუაზია და ჩამოეშორებინა იგი ქალაქის მშრომელთა ფართო ფენებისათვის. სწორედ ქართველი ბურჟუაზიის ხისუსტით აიხსნება ის ფაქტი, რომ საქალაქო მმართველობის რეფორმები საქართველოში, თბილისს გარდა, მეტის-მეტად გააჭიანურეს. ქუთაისსა და ბათუმში რეფორმა მხოლოდ 1888 წელს გატარდა, სოხუმსა და ფოთში — 1892 წელს, ხოლო გორში, დუშეთში, ახალციხეში, ახალქალაქში, სიღნაღსა და თელავში — 1894 წელს. ამ ქალაქებში რეფორმა ბევრად უფრო კუდმოკვეცილი და გაუბრალოებული იყო, ვიდრე თბილისში.

თბილისის ბურჟუაზიას თავისი უფლებების გაფართოებისათვის ბრძოლა საქალაქო რეფორმის შემდეგაც არ შეუწყვეტია. მაგრამ ამიერიდან ეს ბრძოლა მიმართული იყო არა იმდენად მეფის მთავრობის წინააღმდეგ, არამედ არსებითად მხოლოდ გაბურჟუების გზაზე შემდგარი ქართველი თავადაზნაურობის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა თავისი წოდებრივი პრივილეგიები გამოეყენებინა და ქალაქის მართვა-გამგეობა ხელში ჩაეგდო. საარჩევნო ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო 1879 წელს, როცა ირჩევდნენ ქალაქის თავს (თავმჯდომარეს). ამ არჩევნებში სასტიკად დამარცხდა წინანდელი ქალაქის თავი, ლიბერალური თავადაზნაურობის წარმო-

მადგენელი, ცნობილი მოღვაწე დ. უიფიანი და მის მაგიერად ქალაქის თავად აირჩიეს მსხვილი კაპიტალისტი ა. ყორღანოვი. როცა ამ უკანასკნელმა უარი თქვა ქალაქის თავობაზე, მის ნაცვლად აირჩიეს მეორე კაპიტალისტი მატინოვი. ეს ფაქტი თბილისის ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი გამარჯვების მაჩვენებელი იყო.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საქალაქო რეფორმა მეტისმეტად გაჭიანურდა, ნახევრულ ხასიათს ატარებდა და მოკლებული იყო ნამდვილი დემოკრატიულობის ნასახსაც კი, მას მაინც დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარებისათვის. საქალაქო მმართველობის ახალი ორგანოები გაცილებით მაღლა იდგნენ წინანდელ წოდებრივ ორგანოებზე, შეეფერებოდნენ ახალ ვითარებას და ხელს უწყობდნენ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას.

სასამართლო რეფორმა

რუსეთში გატარებულ ბურჟუაზიულ რეფორმებს შორის ყველაზე თანმიმდევრული იყო სასამართლო რეფორმა, რომელიც განხორციელდა 1864 წელს. ამ რეფორმით ძველი, წოდებრივ-ბატონყმური სასამართლო, რომელიც ჯერ კიდევ ეკატერინე II-ის დროიდან არსებობდა, შეცვლილ იქნა ახალი, ბურჟუაზიული სასამართლოთი. თუ წინანდელი სასამართლო მთლიანად მთავრობის პოლიციურ-ბიუროკრატიული ადმინისტრაციის ხელში იყო და თვით მოსამართლესაც მთავრობა ნიშნავდა, ხოლო საქმის გამოძიება-გარჩევა საიდუმლოდ ხდებოდა და დაუსრულებლად ჭიანურდებოდა, სასამართლო რეფორმის შემდეგ მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა: ახალი დებულებით სასამართლო მთავრობის ორგანოებისაგან დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო. საქმეების გამოძიებას პოლიციის ნაცვლად აწარმოებდნენ სასამართლოს მოხელეები — გამომძიებლები, საქმეთა გადაწყვეტაში მონაწილეობას იღებდნენ მოსახლეობის მიერ არჩეული ნაფიცი მსაჯულები, ბრალდებულს იცავდნენ ექილები, ხოლო ბრალდებას ასაბუთებდა პროკურატურა; შემოღებულ იქნა ადვოკატთა მოსამართლეთა არჩევითობა. სასამართლოს სხდომები ახლა საჯაროდ იმართებოდა ხალხის თანდასწრებით. ნებადართული იქნა სასამართლო პროცესების ანგარიშების გამოქვეყნება პრესაში. ერთი სიტყვით, ახალი სასამართლო ფორმალურად უახლოვდებოდა „კანონის წინაშე ყველას თანასწორობის“ ბურჟუაზიულ პრინციპს და თუმცა არსებითად შორს იყო ამ პრინციპიდან და შეძლებული კლასების ინტერესების სადარაჯოზე იდგა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო და შეეფერებოდა რუსეთის სახელმწიფოში შექმნილ ახალ, კაპიტალისტურ ურთიერთობას.

რუსეთში გატარებულ ბურჟუაზიულ სასამართლო რეფორმას, მიუხედავად მისი შედარებითი თანმიმდევრული ხასიათისა, თვით ბურჟუაზიული დემოკრატიის თვალსაზრისითაც კი ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლი ახლდა. სოფლად, სპეციალურად გლეხთა საქმეების გასარჩევად დატოვებულ იქნა წოდებრივი სათემო სასამართლო, რომელიც მოვალე არ იყო გლეხების მიმართ საერთო კანონები დაეცვა და უფლება ჰქონდა თავისი შეხედულებისამებრ გლეხი გაეჯოხა; პოლიტიკურ დამნაშავეებს ძალიან ხშირად, სრულიად გაუსამართლებლად, ადმინისტრაციული წესით ასახლებდნენ ციმბირში; გარდა ამისა, სასამართლოს მოხელეებისათვის დაწესებული იყო სხვადასხვა ცენზი (ქონებრივი, განათლების და სხვ.), რის შედეგად მოსამართლეებად, მსაჯულებად, ვექილებად მხოლოდ შეძლებული კლასების წარმომადგენლებს შეეძლოთ ყოფილიყვნენ. ამრიგად, სასამართლოს აპარატი მთლიანად მდიდრების ხელში იყო და მშრომელ ხალხს ფაქტიურად არ შეეძლო მასში მონაწილეობის მიღება.

მიუხედავად ამისა, მეფის მთავრობამ არ მოისურვა საქართველოსა და ამიერკავკასიაში სასამართლო რეფორმის იმ სახით გატარება, როგორც ეს რუსეთში გატარდა. ამის მიზეზად ასახელებდნენ „მოსახლეობის მოუმზადებლობას“ და ადგილობრივ „სპეციფიკურ პირობებს“, სინამდვილეში კი მიზეზი იყო მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკა: ცარიზმი ცდილობდა კოლონიებში თავისი ადმინისტრაციის შეუზღუდველი თვითნებობა შეენარჩუნებინა და ფორმალური უფლებაც კი არ მიეცა კოლონიების ხალხებისათვის კანონიერება ეძიათ. ამით აიხსნება, რომ საქართველოში სასამართლო რეფორმას თითმის გამოცლილი ჰქონდა ის დადებითი შინაარსი, რომელიც რუსეთში გატარებულ რეფორმას გააჩნდა.

საქართველოში სასამართლო რეფორმა გატარდა 1867 წლის კანონის საფუძველზე, რომლითაც გაუქმდა წინანდელი წოდებრივი სასამართლოები და შეიქმნა შემდეგი ახალი სასამართლოები: მომრიგებელი განყოფილებანი მომრიგებელი მოსამართლეებით, საოლქო სასამართლოები და სასამართლო პალატა. მომრიგებელი განყოფილებანი ითვლებოდნენ სასამართლოს ყველაზე დაბალ ინსტანციებად და არსებობდნენ საქართველოს ყველა მაზრაში; შემდგომი, უფრო მაღალი ინსტანცია იყო საოლქო სასამართლოები, რომლებიც არსებობდნენ თბილისისა და ჭუთაისის გუბერნიებში; სასამართლო პალატა კი ითვლებოდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის უმაღლეს სასამართლო ორგანოდ. პალატის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლებოდა სენატში. რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოში არ გატარებულა სასამართლო რეფორმის მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრინციპები, სახელდობრ: არ შემოღებულა მოსამარ-

თლეთა არჩევითობა — მოსამართლეებს წინანდებურად მთავრობა ნიშნავდა და ისინიც, მაშასადამე, მთლიანად მთავრობაზე იყვნენ დამოკიდებული; არ შეიცვლიათ აგრეთვე ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რასაც დიდი ანგარიშენელობა ჰქონდა საქმეების სწორად გადაწყვეტისათვის: საქმის გამოძიება სპეციალური გამომძიებლების ნაცვლად თვით მოძრიგებელ მოსამართლეებს დააკისრეს და სხვ. ერთისიტყვით, მოსახლეობის მიერ არჩეული სასამართლოს მაგიერ საქართველოში დაარსდა მთავრობის მოხელეთა სასამართლოები, რომლებიც მთლიანად და სავსებით ცარიზმის ბიუროკრატიული აპარატის ხელში იყო. ამ სასამართლოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ხალხის განსაკუთრებით შემაწუხებელი ნაკლი ის იყო, რომ საქმეების წარმოება ხდებოდა რუსულ ენაზე, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობისათვის იმ დროს სრულიად გაუგებარი იყო. ამიტომ იყო, რომ სასამართლო რეფორმამ საქართველოში ძალიან მცირე დადებითი ნაყოფი გამოიღო. ხალხს წინანდებურად სძულდა მისთვის გაუგებარი სასამართლო და გულში იგროვებდა უსამართლობით და ჩაგვრით გამოწვეულ უსაზღვრო ბოღმას.

ქართველი ხალხის სულისკვეთება და მეფის სასამართლოებისადმი მისი სიძულვილი ნათლად გამოიხატა ხალხის მაწინდელი მოწინავე წარმომადგენლების — თერგდალეულების შემოქმედებასა და მოღვაწეობაში. მეტად დამახასიათებელია, კერძოდ, აკაკი წერეთლის შესანიშნავი ლექსები „გლეხების ლოცვა", „ახალი სამართალი" და სხვ., რომლებშიც მწვავე სატირით დაუნდობლად გამათრახებულია მაშინდელი უბადრუკი სასამართლოს მოხელეები, — ცარიზმისა და ბურჟუა-მემამულეების ლაქიები.

თერგდალეულთა დამოკიდებულება 60-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმის, კერძოდ კი სასამართლო რეფორმის მიმართ კარგად არის გამოხატული აკაკის შემდეგ სიტყვებში: „ახალი რეფორმები შემოდიოდა... სახელით ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ სახრავად კი არ ვარგოდა. მაგალითად, რალა ნაყოფს გამოიტანდა ის სამსჯავრო, სადაც ხალხის ენა აკრძალული იყო. ენის უცოდნელობის გამო ხალხი უნდა გამლოლტ-გამცვეთელებს ჩავარდნოდა ხელში?"[19].

ასეთია მოკლედ საქართველოს ბურჟუაზიული რეფორმების ისტორია. აქედან ჩანს, რომ რევოლუციური სიტუაციით შეშინებული მეფის მთავრობა იძულებულია ანგარიში გაუწიოს რუსეთის სახელმწიფოში შექმნილ ახალ ვითარებას და მთელი რიგი რეფორმები გაატაროს როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. ეს რეფორმები, მიუხედავად მათი შეზღუდულობისა და ნახევრულობისა, მაინც მნიშვნე-

[19] აკაკი, რჩეული ნაწერები, 1940, გვ. 465.

ლოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ვ. ი. ლენინი ამბობდა: „1861 წელს რუსეთშიც მოხდა გადატრიალება, რასაც შედეგად მოჰყვა საზოგადოების ერთი ფორმის შეცვლა მეორე ფორმით — ბატონყმობის შეცვლა კაპიტალიზმით"[20].

საქართველოში ეს გადატრიალება მოხდა 1864—1871 წლებში. ამიერიდან კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში გაცილებით უფრო სწრაფად წავიდა წინ.

თავი II

კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში

§ 1. კაპიტალიზმის განვითარება მრეწველობაში

კაპიტალიზმის მანუფაქტურული პერიოდი. პირობების მომზადება მანქანური ინდუსტრიისათვის

მეურნეობის ფეოდალურ-ბატონყმური სისტემას საქართველოში გაბატონებული ბდგომარეობა ეჭირა ბურჟუაზიული საგლეხო რეფორმის დამთავრებამდე, ე. ი. დაახლოებით 70-იანი წლების დასაწყისამდე. ამ დროისათვის კი ფეოდალიზმის ეპოქა დაძრულდა და დაიწყო ახალი ხანა, — კაპიტალიზმის ეპოქა.

მაგრამ ისტორიულად კაპიტალისტური წყობის ცოტად თუ ბევრად დამთავრებული ფორმები ჯერ კიდევ ფეოდალური საზოგადოების წიაღში მწიფდებოდნენ. საქართველოს მრეწველობამ ფეოდალიზმის ეპოქაში განელო კაპიტალისტური წარმოების ისეთი საფეხურები, როგორიცაა კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია და მანუფაქტურა.

მანუფაქტურა ეწოდება ისეთ კაპიტალისტურ წარმოებაა, სადაც იყენებენ დაქირავებულ მუშებს, რომლებიც ხელით მუშაობენ და სადაც ადგილი აქვს შრომის განაწილებას[1]. მანუფაქტურულ წარმოებას საქართველოში ვხვდებით ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენში მანუფაქტურა კიდევ უფრო ვითარდება, ხოლო ბურჟუაზიული რეფორმების წინ და თვით რე-

---

[20] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 560.

[1] „მანუფაქტურა" სიტყვასიტყვით ხელით შრომას ნიშნავს.

ფორმების პერიოდში, ე. ი. 50—60-იანი წლების მანძილზე, ის თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს აღწევს. ამ დროს მანუფაქტურული წარმოება ამზადებს პირობებს მანქანურ ანუ საფაბრიკო-საქარხნო წარმოებაზე გადასასვლელად.

მანუფაქტურულ საწარმოებს საქართველოში აარსებდნენ ვაჭარ-შემსყიდველები, მევახშეები, გამდიდრებული ხელოსანი-ოსტატები. აგრეთვე, გაბურჟუების გზაზე შემდგარი თავადაზნაურობის ცალკეული წარმომადგენლები. ზოგიერთ მანუფაქტურულ საწარმოში (სახელოსნოში) კაპიტალისტები აერთიანებდნენ ერთი და იგივე სპეციალობის ხელოსნებს, რომლებიც შრომის განაწილების საფუძველზე ამზადებდნენ გასაყიდ საქონელს (მაგალითად, ფეხსაცმელს), ზოგან კი კაპიტალისტები თავს უყრიდნენ სხვადასხვა სპეციალობის ხელოსნებს, რომლებიც იმავე შრომის განაწილების საფუძველზე ამზადებდნენ ისეთ საქონელს, რომლის გაკეთება მრავალი სახის სპეციალისტის შრომას მოითხოვდა (მაგალითად, ეტლებს). მანუფაქტურული ტიპის საწარმოებში დიდი რაოდენობით მზადდებოდა საქართველოს ადგილობრივი ბაზრისათვის საჭირო საქონელი: ბამბის, აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, ფეხსაცმელები, ქუდები, რკინის სხვადასხვა იარაღები, სამშენებლო მასალა, თიხისა და მინის ჭურჭელი, საღვინე ქასრები, ხის ავეჯი, საპონი და მრავალი სხვა. მარტო თბილისის გუბერნიაში 60-იან წლებში არსებობდა 450-მდე მანუფაქტურული საწარმო, რომლებშიც 5000-ზე მეტი დაქირავებული მუშა შრომობდა. ამ რიცხვში არ შედის სოფელ ადგილებში არსებული მრავალრიცხოვანი გლეხური სარეწები, რომლებიც ხშირად მანუფაქტურული ტიპის საწარმოებს წარმოადგენდნენ. მანუფაქტურულ წარმოებასთან ერთად საქართველოში იმ დროს ძალზე დიდი ადგილი ეჭირა აგრეთვე წვრილ ხელოსნურ და კუსტარულ (შინამრეწველურ) წარმოებას, რადგან მანუფაქტურამ, თავისი განვითარების მაღალ საფეხურზეც კი, ვერ შეძლო მოეცვა მთელი საზოგადოებრივი წარმოების სფერო.

მანუფაქტურული საწარმოებიდან, განსაკუთრებით 50-იანსა და 60-იან წლებში, თანდათან გამოიყო ცალკეული დიდი საწარმოები, რომლებშიც გაჩნდნენ პირველი მანქანები, თუმცა აქ ხელით შრომა ჯერ ისევ გაბატონებული იყო. ასეთი მსხვილი მანუფაქტურების გაჩენა საქართველოს მრეწველობაში ნიშნავდა მანუფაქტურული პერიოდიდან მანქანურ ინდუსტრიაზე გადასასვლელად პირობების მომზადებას. თუ როგორ თანდათანობით მზადდებოდა ეს პირობები და როგორ გადაიქცა მსხვილი მანუფაქტურა ნამდვილ კაპიტალისტურ ფაბრიკად, ეს კარგად ჩანს საქართველოში მინის წარმოების განვითარების მაგალითზე.

საქართველოს ცხოვრების ახალმა პირობებმა, კერძოდ სასაქონლო (საბაზრო) ღვინის წარმოების სწარფმა გაფართოებამ და ღვინის ექსპორტის საჭიროებამ, მოითხოვა საქართველოში მინის წარმოების განვითარება, რასაც საფუძველი ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩაეყარა. 50-იანსა და 60-იან წლებში, გორის ახლოს, სოფ. ღვარებში (ატენის ხეობაში) მოქმედებდა მინის დიდი მანუფაქტურული საწარმო, რომელიც მემამულე ელიზბარ ერისთავს ეკუთვნოდა და 1843 წლიდან არსებობდა. ეს საწარმო წელიწადში ამზადებდა 100 ათასამდე ღვინის ბოთლს, აგრეთვე დიდი რაოდენობით სარკის მინას და სააფთიაქო ჭურჭელს. საწარმოში მრავალი ათეული დაქირავებული მუშა შრომობდა. მინის დამზადების მთელ პროცესში სისტემატურად იყო დაცული შრომის განაწილება. მუშაობა ხელით წარმოებდა, მაგრამ უკვე მექანიკური ძალაც იყო გამოყენებული. კერძოდ, იყენებდნენ წყლის ბორბალს, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავდა ცეცხლგამძლე თიხისა და სხვა მასალის დასანაყავი (გასაფხვიერებელი) მოწყობილობა. ამ საწარმოს მუშაობა უფრო და უფრო უმჯობესდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაიყვანეს ფოთი-თბილისის რკინიგზა (1872 წ.) და საქართველოსაკენ გზა გამოიკაფა რუსეთისა და ევროპის მინის ქარხნების პროდუქციამ, ღვარების მანუფაქტურულმა საწარმომ ვეღარ გაუძლო კონკურენციას და არსებობა შეწყვიტა. ამის შემდეგ საქართველოში მინის წარმოების შემდგომი განვითარება შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ რუსეთისა და ევროპის მინის მრეწველობის მიღწევათა გათვალისწინებით, ე. ი. იმ დროის ტექნიკით მოწყობილი ნამდვილი ქარხნის შექმნით. ეს ასეც მოხდა. ღვარების მანუფაქტურული საწარმოს დახურვიდან რამდენიმე წლის შემდეგ, სახელდობრ 1882 წელს, ბორჩალოს მაზრაში ამოქმედდა იმ დროისათვის საკმაოდ დიდი მინის ქარხანა, რომელიც, როგორც მაშინ წერდნენ, „სავსებით ევროპულ ყაიდაზე იყო მოწყობილი". ეს ქარხანა ეკუთვნოდა გერმანელ კაპიტალისტს ბარონ კუჩენბახს. ქარხანა ამზადებდა წლიურად 300 ათას ღვინის ბოთლს. 200 ათას ლამპის შუშას, 200 ათას სააფთიაქო შუშას, 100 ათას მინის სურას და ა. შ. მთელი ეს პროდუქცია საქართველოსა და ამიერკავკასიაში სჭიდებოდა.

მაგრამ საქართველოში მსხვილი მანუფაქტურების განვითარებას და მათში მანქანების დანერგვას ხელს უშლიდა მეფის მთავრობის პოლიტიკა. მეტროპოლიის მთავრობა არ იყო დაინტერესებული კოლონიაში მრეწველობის განვითარებით, რადგან ის პირველ რიგში რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა. ამ მხრივ დამახასიათებელია თბილისის ახლოს, სოფ. დრეში. 1853 წელს გერმანელი კაპიტალისტის კ. მეიცნერის თაოსნობით აშენებული მაუდის მსხვილი

საწარმოს ისტორია. ამ საწარმოში მანქანებს უკვე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. კერძოდ, აქ იყო: მატყლის სატენტი და სატრიალო 2 მანქანა, ძაფის გამომყვანი და სართავი მანქანები 120 თითისტარით, ორი მექანიკური სატეხარო დგიმი, მთელავი მანქანა, სარეცხი მანქანა, საკრეჭი მანქანა და სხვ. მასში უნდა ემუშავნა 260 მუშას. აქედან ჩანს, რომ ეს საწარმო სრულიად ალარ ჰგავს ძველებურ მანუფაქტურულ საწარმოს და ნამდვილი ფაბრიკაა. მაგრამ მეფის მთავრობა წინ აღუდგა ამ ფაბრიკის სრული დატვირთვით ამუშავებას. უარი უთხრა მის მეპატრონეს დაკვეთების მიცემაზე, რასაც ადრე ჰპირდებოდნენ, და 1860 წელს ფაბრიკა დაიხურა. ფინანსთა მინისტრი პირდაპირ მიუთითებდა, რომ ამ ფაბრიკის სრული დატვირთვით მუშაობა „ზარალს მიაყენებდა შიდა (რუსეთის) გუბერნიებში არსებულ ფაბრიკებს".

ასე აფერხებდა ცარიზმი კოლონიებში მრეწველობის განვითარებას, მაგრამ ცარიზმის სურვილების მიუხედავად, ისტორია თავისი გზით მიდიოდა, კაპიტალისტური მრეწველობა საქართველოში შეუჩერებლივ ვითარდებოდა.

ეკონომიური ცხოვრების წინსვლისა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო საქართველოში სამიმოსვლო გზებისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა რადიკალური გაუმჯობესება. მეფის მთავრობა მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავდა საქართველოში სამიმოსვლო გზების მშენებლობასა და რემონტზე, აგრეთვე კავშირგაბმულობის საშუალებათა გაუმჯობესებაზე. ეს მას სჭირდებოდა, ერთი მხრივ, სტრატეგიული მიზნებისათვის, ე. ი. ირანთან და თურქეთთან ომების წარმატებით წარმოებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, თვით საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების ასათვისებლად და მის ბაზრებზე რუსეთის საქონლის შესატანად. რკინიგზების გაყვანამდე რუსეთ-საქართველოს შორის მთავარ სამიმოსვლო გზად ითვლებოდა საქართველოს სამხედრო გზა. ამ გზის რემონტსა და შენახვაზე დიდძალი სახსრები იხარჯებოდა. 50-იანი წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აგრეთვე შავი ზღვის გზით რუსეთ-საქართველოს დაკავშირებას. ამ დროისათვის რუსეთის დიდი სამრეწველო ცენტრები სამხრეთ რუსეთის რკინიგზებით უკავშირდებიან შავ ზღვას და დღის წესრიგში დგება საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ნავსადგურების კეთილმოწყობის საკითხი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჭ. ფოთს, საიდანაც მდ. რიონზე ორპირამდე ეწყობა ორთქლის გემების რეგულარული მიმოსვლა.

აი, როგორ აგვიწერს ორპირში პირველი გემის მოსვლას შემთხვევით იქ დამსწრე, მთავრობის ერთ-ერთი მოხელე კ. ბოროზდინი: „...სახლის აივანზე ვიჯდა, რამდენიმე მგზავრი, ფოთში მიმავალი. ლა-

პარაკობდნენ მეორე დღისათვის ნავის დაქირავების შესახებ. ამ დროს ზორი-ახლოდან ზარბაზნის ხმა მოისმა. ნეტავ, რა ამბავი უნდა იყოს? აქ ზარბაზანს რა უნდოდა? ...ეზოში ჩოჩქოლი ასტყდა და იძახდნენ: „ორთქლმავალი! ორთქლმავალიო!“. თვალის დახამხამებაში გამოვცვივდით ნაპირზე და დავინახეთ პირველი და სრულიად მოულოდნელი ორთქლმავალი გემი, რომელიც დიდის ხმაურობით მოაპობდა რიონის ტალღებს.

ყველას სიხარული აუწერელი იყო. გემმა კიდევ მოგვცა სალამი ზარბაზნის საშუალებით, ხოლო ნაპირიდან ყველამ „ვაშა“ შებღავლა ხმამაღლა. და როცა გემი ნავსადგურს მიადგა, ერთი წამის განმავლობაში მოცვივდა აუარებელი ხალხი, კიბე ჩაუშვეს და გემის კაპიტანი ნაპირზე გადმოვიდა. ის ყველამ გულში ჩაიხუტა, როგორც სასიხარულო სტუმარი“[2].

1858—1872 წლებში (ე. ი. რკინიგზის გაყვანამდე) ფოთსა და ორპირს შორის რეგულარულად, კვირაში ორჯერ, მიმოდიოდნენ ორთქლის გემები: „აკერმანი“, „თავადი ბარიატინსკი“, „გოლუბჩიკი“, „ნოვოსელსკი“. 50-იან წლებში ასეთივე ტიპის გემი „თავადი ვორონცოვი“ დადიოდა მდ. მტკვარზე კასპიის ზღვიდან მინგეჩაურამდე, საიდანაც სამხედრო დანიშნულების ტვირთები და საეკლესიო საქონელი სახმელეთო გზით გადმოჰქონდათ თბილისში.

ამავე პერიოდში მოხდა კავშირგაბმულობის საშუალებათა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. გაფართოვდა საფოსტო სადგურების ქსელი, განსაკუთრებით საქართველოს სამხედრო გზაზე. 1861 წლიდან საფოსტო კარეტები და ფურგონები თბილისიდან ქავქავისაკენ (ახლანდელი ორჯონიკიძე) გადიოდნენ ყოველდღიურად. 1857 წელს გაიხსნა ყოველკვირეული ექსტრა-ფოსტა თბილის-ოდესას შორის. ამავე ხანებში მოეწყო ტელეგრაფი, რომლის ქსელი სწრაფად განვითარდა. 70-იანი წლების დამდეგისათვის საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის მთავარი ქალაქები ტელეგრაფით დაკავშირებული იყვნენ ერთმანეთთან და რუსეთის სამრეწველო ცენტრებთან.

მნიშვნელოვნად განვითარდა აგრეთვე საქართველოს ადგილობრივი გზები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს. მაგისტრალურ საფოსტო გზას, რომელიც სოხუმიდან ყულევის, ქუთაისის, სიმონეთის, ბელაგორის, სურამისა და გორის გამოვლით თბილისამდე მოდიოდა, მრავალი განშტოება ჰქონდა და ამ გზას უკავშირებდა ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს: ზუგდიდს, ფოთს, ოზურგეთს, ონს, საჩხერეს, ბაღდადს და მრავალ სხვას. გორიდან საფოსტო გზა მიდიოდა ბორ-

---

[2] კ. ბოროზდინი, სამეგრელო, 1934, გვ. 302—303.

ჯომის გაყოლით ახალციხემდე. 1861 წელს დაიწყო ახალი გზის მშენებლობა თელავისაკენ გომბორზე გაყოლით. 70-იან წლებში საურმე გზა გაჰყავთ ზეკარის გადასასვლელზე, რომელიც ქუთაისს ახალციხესთან აკავშირებდა. იმავე ხანებში მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ გზას, რომელიც თბილისიდან მანგლისზე და წალკაზე გაყოლით ახალქალაქამდე მიდიოდა. ყველა ამ გზას მრავალი განშტოება ჰქონდა. თითქმის მთელი საქართველო გზებით დაისერა.

მიუხედავად ამისა, ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების სწრაფი ზრდის პირობებში მაინც მეტისმეტად მწვავედ იგრძნობოდა როგორც სამიმოსვლო გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის გაძლიერების," ისე სატრანსპორტო საშუალებათა რადიკალურად ეაუმჯობესების საჭიროება. ღღის წესრიგში დადგა საქართველოში რკინიგზების მშენებლობის საკითხი.

მანუფაქტურიდან მანქანურ ინდუსტრიაზე გადასვლა. სამრეწველო გადატრიალება

კაპიტალიზმის მანუფაქტურულმა პერიოდმა, რომელმაც როგორც უკვე ითქვა, თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს საქართველოში XIX საუკუნის 50—60-იან წლებში მიაღწია, მოამზადა პირობები კაპიტალიზმის მესამე, უმაღლესი სტადიისათვის, — მანქანური ინდუსტრიისათვის. მანუფაქტურიდან მსხვილ მანქანურ ანუ საფაბრიკო-საქარხნო წარმოებაზე სწრაფი გადასვლა საქართველოში დაიწყო XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან. ამ დროიდან წარმოებაში მანამდე გაბატონებულ ხელით შრომას თანდათან სცვლის მანქანა, რომელიც წარმოების წამყვანი ძალა ხდება. ეს იწვევს ნამდვილ ტექნიკურ გადატრიალებას საქართველოს მრეწველობაში და მასთან ერთად მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნას.

წარმოებაში მანქანების გამოყენების ცალკეულ მაგალითებს საქართველოში ჩვენ ვხედებით კაპიტალიზმის განვითარების მთელ მანუფაქტურულ პერიოდში, თვით ამ პერიოდის დასაწყისშიც კი. მაგრამ მანქანების გამოყენება კიდევ უფრო გახშირდა დიდ მანუფაქტურულ საწარმოებში, რომლებიც შემდეგში ფაბრიკებმა შეცვალეს.

კაპიტალისტური ფაბრიკა ეწოდება ისეთ მსხვილ წარმოებას, რომელიც დამყარებულია დაქირავებული მუშების ექსპლოატაციაზე და ამზადებს საქონელს მანქანათა სისტემის გამოყენებით. ასეთი ფაბრიკები და ქარხნები საქართველოში პირველად უცხოელმა მრეწველებმა ააშენეს. ჯერ კიდევ 1851 წელს კაპიტალისტმა შტუპემ თბილისში აამუშავა მექანიკური ქარხანა, რომელიც დამყარებული იყო ევროპიდან მოტანილ მანქანებზე. იმავე ხანებში თბილისში გაიხსნა თუჯის ნაკეთობათა ჩამომსხმელი ქარხანა, ხოლო 1865 წელს ინგლი-

სელმა კაპიტალისტმა რუქსმა გახსნა მსხვილი მექანიკური ქარხანა. 1863 წელს უცხოელმა კაპიტალისტებმა ბოლნისის ხეობაში (სოფ. ჩათახში) არსებული რკინის მადნის ბაზაზე, რომლის დამუშავება ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ხდებოდა, ააშენეს რკინისა და თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც წლიურად 65 000 ფუთ თუჯს იძლეოდა.

70-იანი წლებიდან საქართველოს მრეწველობაში დგება ახალი ხანა. ამ დროიდან სწრაფად და ფართო მასშტაბით ვითარდება ფაბრიკა-ქარხნებისა და რკინიგზების მშენებლობა, აგრეთვე სამთამადნო მრეწველობა, და საფუძველი ეყრება კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციას. მანქანურ ინდუსტრიაზე გადასვლის ეს პროცესი ნიშნავდა სამრეწველო გადატრიალებას, რომელიც ჩვენში სულ რაღაც ორისამი ათეული წლის განმავლობაში მოხდა. ამ გადატრიალებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

ჯერ კიდევ 1862 წელს კავკასიის მაშინდელმა მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ მეფეს წარუდგინა თბილისსა და ფოთს შორის რკინიგზის გაყვანის პროექტი, რომელიც მეფემ დაამტკიცა 1864 წელს. რკინიგზის მშენებლობა კონცესიის საფუძველზე მიანდეს ინგლისელ კაპიტალისტებს, რომლებიც მალე შეუდგნენ მუშაობას და უკვე 1872 წლის მეორე ნახევარში დაიწყო მატარებლების რეგულარული მოძრაობა ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზზე (არ იყო დამთავრებული მარტო წიფის გვირაბი). 1877 წელს სადგურ რიონიდან გაყვანილ იქნა რკინიგზის ხაზი ქუთაისამდე და ამრიგად, დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი ცენტრი, ქუთაისი რკინიგზით დაუკავშირდა, ერთი მხრივ, მთელი საქართველოს დედაქალაქს თბილისს, ხოლო მეორე მხრივ, შავ ზღვას. 1883 წელს დამთავრდა რკინიგზის გაყვანა ბათუმ-სამტრედიასა და თბილის-ბაქოს შორის, რითაც რკინიგზის ხაზი გადაიჭიმა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. 1886 წელს რკინიგზის ხაზი გაიყვანეს აგრეთვე ქუთაისიდან ტყიბულამდე.

რკინიგზებმა დააახლოვა და ეკონომიურად შეაკავშირა საქართველოს სხვადასხვა კუთხეები, დააჩქარა აღებ-მიცემობის განვითარება და წიაღისეული სიმდიდრეების დამუშავება, გამოაცოცხლა ცხოვრება. რკინიგზა თავისთავადაც უდიდეს კაპიტალისტურ საწარმოს წარმოადგენდა, მაგრამ ამასთანავე ის ხელს უწყობდა მრეწველობის მრავალი დარგის განვითარებას. 1869—1872 წლების მანძილზე თბილისში, ხაშურში, სამტრედიასა და ფოთში გაიხსნა მსხვილი მექანიკური სახელოსნოები, რომლებიც სპეციალურად რკინიგზის მშენებლობას ემსახურებოდნენ. 1883 წელს თბილისში შეიქმნა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კაპიტალისტური საწარმო იყო საქართველოში. რკინიგზის მთავარ

სახელოსნოებში რამდენიმე ათასი მუშა მუშაობდა. რკინიგზების მშენებლობას თან სდევდა სამთამადნო მრეწველობის სწრაფი განვითარება. განსაკუთრებით ფართოდ 70-იან და 80-იან წლებში ვითარდება ქვანახშირისა და მარგანეცის მრეწველობა.

ქვანახშირის მრეწველობის უმნიშვნელოვანეს ცენტრად გადაიქცა ტყიბულის საბადო, სადაც ქვანახშირის ამოღება ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან მიმდინარეობდა. 70-ან წლებამდე ტყიბულის ქვანახშირს იყენებდნენ შავი ზღვის ფლოტის გემებზე, აგრეთვე საქართველოს ქალაქებში შენობების გასათბობად. მაგრამ უგზოობის გამო, ქვანახშირის გადატანა მოხმარების ადგილამდე ძალიან ძვირი ჯდებოდა. რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა ქვანახშირის მრეწველობის განვითარებას. რკინიგზების გაყვანის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ქვანახშირის გადატანის ხარჯები დიდად შემცირდა, რის შედეგად გაიზარდა მოთხოვნილება ქვანახშირზე. გარდა ამისა, ახლა აუარებელი ქვანახშირი სჭირდებოდა თვით რკინიგზას ორთქლმავლებისათვის. ასე შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ქვანახშირის ამოღების გასაფართოებლად. ამის შედეგად, თუ 1870 წელს ტყიბულში ამოღებული იყო მხოლოდ 145 000 ფუთი ქვანახშირი, 1880 წელს ამოღებულ უკვე 320 000 ფუთი, ხოლო 1890 წელს — 600 000 ფუთი. რკინიგზის გაყვანამ გააადვილა აგრეთვე ქვანახშირის მრეწველობის ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. მაგალითად, 1887 წელს ტყიბულში გაიყვანეს პირველი საბრემსბერგო გზა, რომლის სიგრძე 720 საჟენს უდრიდა. მიუხედავად ამისა, ქვანახშირის ამოღების ტექნიკა ამ ხანებში მაინც ჯერ კიდევ მეტად პრიმიტიული იყო.

70-იან წლებში, მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში მეტალურგიის სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით, არაჩვეულებრივად იზრდება მოთხოვნილება მარგანეცის მადანზე. ამ ძვირფასი მადნის დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის საბადო ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასაწყისში იქნა აღმოჩენილი ჭიათურის მიდამოებში (სოფლების: რგანის, ზედა რგანის, პერევისის. შუქრუთის, მღვიმევის, დარკვეთისა და სხვა ტერიტორიაზე). მაგრამ მისი სამრეწველო დამუშავება დაიწყო მხოლოდ 1879 წლიდან. მარგანეცის ამოღება თავიდანვე უმაღლესი სისწრაფით ვითარდებოდა. 1879 წელს ამოღებული იქნა 51 000 ფუთი მარგანეცი, უკვე ორი წლის შემდეგ, ე. ი. 1880 წელს კი მარგანეცის ამოღებამ მიაღწია 254 000 ფუთს, 1885 წელს — 1 756 000 ფუთს, ხოლო 1890 წელს — 10 468 000 ფუთს. მარგანეცის წარმოება საქართველოს სამთამადნო მრეწველობის წამყვან დარგად გადაიქცა. ჭიათურის მარგანეცმა უაღრესად ფართო გამოყენება ჰპოვა არა მარტო რუსეთის მზარდ მრეწველობაში, არამედ აგრეთვე ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ამერიკის შერთებული შტატებისა და სხვა

დიდი კაპიტალისტური საწარმოების მრეწველობაში. ქართულმა მარგანეცმა უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა მსოფლიო ბაზარზე. 1892 წელს საქართველოში მოპოვებული მარგანეცი შეადგენდა მარგანეცის ექსპორტი—მარგანეცის მსოფლიო ექსპორტის 53,8 პროცენტს. განეცის ექსპორტი მარგანეცის მსოფლიო ექსპორტის 53,8 პროცენტს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში მარგანეცის მოპოვების ტექნიკა მეტისმეტად პრიმიტიული იყო, მარგანეცის მრეწველობის ასეთ სწრაფ განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კაპიტალისტური გზით განვითარებისათვის.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის (ისევე როგორც მთელი ამიერკავკასიისათვის) აგრეთვე ბაქოს ნავთის მრეწველობის განვითარებას 70—80-იან წლებში. აფშერონის ნახევარკუნძულზე ნავთობის მოპოვებას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ თვით XIX საუკუნის 70-იან წლებამდე ნავთობს იქ მცირე რაოდენობით ილებდნენ და ბაქოს მრეწველობას მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. 70-იანი წლებიდან დაწყებული, და განსაკუთრებით კი ბაქო-ბათუმს შორის რკინიგზის გაყვანის შემდეგ, ბაქოს ნავთის მრეწველობა ზღაპრული სისწრაფით ვითარდება. თუ 1850 წელს ბაქოში ამოიღეს 260 000 ფუთი ნავთი, ხოლო 1862 წელს 340 000 ფუთი, სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან ნავთის ამოღების ზრდა შემდეგ სურათს გვაძლევს: 1872 წელს ამოიღეს 1 500 000 ფუთი ნავთი, 1873 წელს — 3 000 000 , 1876 წელს — 10 000 000, 1885 წელს — 116 000 000, ხოლო 1890 წელს — 242 900 000 ფუთი. იწყება ნავთის ნამდვილი ციებ-ცხელება. ნავთის მრეწველობაში აბანდებენ თავიანთ კაპიტალს არა მარტო ადგილობრივი მრეწველები (მირზოევი, კოკორევი, გუჩონინი, ზუბალაშვილი, ბეგთაბეგოვი, ლიანოზოვი, ბენკენდორფი, მურომცევი, ერისთავი, ტერ-აკოფოვი, ჯაყელი და სხვ.), არამედ აგრეთვე ევროპის უდიდესი კაპიტალისტები — „ფულის მეფეები" — ძმები ნობელები, როტშილდი და სხვები, რომლებმაც შეავიწროვეს ადგილობრივი (აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი და ქართველი) კაპიტალისტები და ხელში ჩაიგდეს ბაქოს ნავთის მრეწველობის დიდი ნაწილი. ბაქოს ნავთმა უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიჭირა მსოფლიო ბაზარზე, სადაც ის წარმატებით უწევდა კონკურენციას ამერიკულ ნავთს.

ბაქოს ნავთის მრეწველობის განვითარებამ დიდად შეუწყო ხელი ქალაქ ბათუმში მრეწველობის ზრდას. მას შემდეგ, რაც ბათუმი რკინიგზით თბილისსა და ბაქოს დაუკავშირდა, სწრაფად გაიზარდა იქ ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი. განსაკუთრებით ფართოდ ვითარდებოდა მრეწველობის ის დარგები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ბაქოდან მიღებული ნავთის ექსპორტთან საზღვარგარეთ.

თუ რამდენად სწრაფად იზრდებოდა ბათუმიდან ნავთისა და ნავთობის დანარჩენი პროდუქტების გატანა მსოფლიო ბაზარზე, ეს კარგად ჩანს შემდეგი, ციფრებიდან: 1883 წელს ბათუმიდან გატანილ იქნა 3 349 000 ფუთი ნავთი და ნავთობის სხვა პროდუქტები, 1885 წელს — 10 409 000, ხოლო 1891 წელს 48 872 000 ფუთი. ბათუმიდან გატანილ ნავთს უდიდესი ადგილი ეჭირა მსოფლიო ბაზარზე. მაგალითად, 1888 წელს ბათუმიდან გატანილი ნავთი შეადგენდა ნავთის მსოფლიო მოხმარების 21,2 პროცენტს. ნავთის შესანახად კაპიტალისტებმა ბათუმში ააშენეს უზარმაზარი რკინის რეზერვუარები, რომლებშიც მილიონობით ფუთი ნავთი ინახებოდა. საზღვარგარეთ ნავთი გაჰქონდათ ჩასასხმელი გემებით, კასრებითა და თუნუქის ბიდონებით, რომლებსაც ხის ყუთებში აწყობდნენ. ამასთან დაკავშირებით ფარიაოდ განვითარდა ნავთის საექსპორტო ტარის (ბიდონებისა და ყუთების) წარმოება. ბიდონები კეთდებოდა თეთრი თუნუქისაგან, რომელიც საზღვარგარეთიდან (ინგლისიდან) შემოჰქონდათ. მთელ რუსეთში საზღვარგარეთიდან შემოტანილი თუნუქის უდიდესი ნაწილი ბათუმის მრეწველობას ხმარდებოდა. მაგალთად, 1889 წელს რუსეთში შემოიტანეს 1 076 724 ფუთი თუნუქი, აქედან 1 059 161 ფუთი მარტო ბათუმის მრეწველობას მოხმარდა. ხის ყუთებისათვის საჭირო იყო აუარებელი ხე-ტყის მასალა, რომელიც ბათუმში მიჰქონდათ როგორც საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან, ისე რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან. განსაკუთრებით ბევრი ხე-ტყის მასალა შემოჰქონდათ ავსტრიიდან. აქედან მისი გადაზიდვა ხდებოდა ჯერ რკინიგზით ოდესამდე, ხოლო შემდეგ გემებით ბათუმამდე. 1890 წელს ბათუმში გემებით შემოტანილ იქნა 2 700 000 ფუთი ხე-ტყის მასალა.

საექსპორტო ტარის პირველი ქარხანა ბათუმში ააშენეს 1883 წელს კაპიტალისტებმა ბუნგემ და პალაშკოვსკიმ. ეს ქარხანა მოწყობილი იყო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. იგი ყოველდღიურად ამზადებდა 12 000 ბიდონს და 6 000 ხის ყუთს. 1896 წელს ქარხანა გადავიდა როტშილდის ხელში და კიდევ უფრო გაფართოვდა. 1891 წელს ქარხანა უკვე ყოველდღიურად ამზადებდა 36 000 ბიდონს და 18 000 ხის ყუთს. მასში 150-ზე მეტი მექანიკური დაზგა იდგა და წარმოების ძირითადი პროცესები მექანიზებული იყო. ქარხანას გააჩნდა აგრეთვე სპილენძის სადნობი ღუმელი, სამჭედლო ბრძმედები და მრავალი სხვა ტექნიკური მოწყობილობა. ქარხანა ყოველწლიურად ხარჯავდა 150 000 ფუთ ქვანახშირს (ტყიბულისას), აგრეთვე 1000 კუბურ საჟენ შეშას. მასში ერთდროულად 1300-ზე მეტი მუშა მუშაობდა. ამ ქარხნის გარდა, იმავე 80-იან წლებში ბათუმში აშენდა ათამდე მსხვილი ქარხანა, რომლებიც აგრეთვე ნავთის საექსპორტო ტარას ამზადებდნენ, მათი ყოველდღიური პროდუქცია უდრიდა დაახ-

ლებით 100 000 ბიდონს და 60 000 ხის ყუთს. თუნუქისა და ხე-ტყის გარდა, ნავთის საექსპორტო ტარის წარმოებისათვის საჭირო იყო აგრეთვე დიდი რაოდენობით ლურსმანი, მავთული, კალა, თუთია, მარილმჟავა, ტყვია და სპილენძი. ეს მასალები შემოჰქონდათ რუსეთიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან და ევროპის სხვა ქალაქებიდან. ბათუმი ამ დროს გაცხოველებულ საეკონომიკო ურთიერთობას აწარმოებდა რუსეთისა და ევროპის მსხვილ სამრეწველო ცენტრებთან.

ამ წლებში საკმაოდ ფართოდ ვითარდებოდა აგრეთვე საქართველოს მსუბუქი მრეწველობა, რომელშიც სწრაფად მიმდინარეობს სამრეწველო გადატრიალების პროცესი. 70-იანსა და 80-იან წლებში მანქანური წარმოება ხდება მსუბუქი მრეწველობის ნამდვილ საფუძვლად და მანუფაქტურების ადგილს თანდათან ფაბრიკა-ქარხნები იპყრს. 1870 წელს მდიდარმა ვაჭარმა გ. მირზოევმა თბილისში აამუშავა მსხვილი საფეიქრო ფაბრიკა, რომელიც მოწყობილი იყო უახლესი ტექნიკის საფუძველზე. ამ ფაბრიკაში მოქმედებდა ინგლისიდან ჩამოტანილი ორთქლის მანქანები, 300 საფეიქრო დაზგა და 11 000 თითისტარი. ფაბრიკა ქსოვდა მიტკალს, რიფსს, ფანელს, ტილოს; იქ 600-ზე მეტი მუშა მუშაობდა. 1875 წელს თბილისში კაპიტალისტმა გ. ადელხანოვმა ააშენა ტყავის გადამმუშავებელი დიდი ფაბრიკა, რომელშიც აგრეთვე ორთქლის ქვაბები მუშაობდა. ქარხანა ტექნიკურად კარგად იყო მოწყობილი. ქარხანასთან 1885 წლიდან გაიხსნა ფეხსაცმელების საკერავი მექანიკური სახელოსნო, რომელიც წლიურად 50 000 ჩექმას ამზადებდა. 70-იანი წლების ბოლოდან მანქანები იპრება აგრეთვე აგურის მრეწველობაში. 80-იან წლებში თამბაქოს გადამმუშავებელ მანუფაქტურებს სცვლის თამბაქოს მსხვილი ფაბრიკები. თამბაქოს გადასამუშავებელ წარმოებაში ტექნიკურ გადატრიალებას იწვევს მექანიკური საჭრელი დაზგა, რომელსაც თან მოჰყვა ორთქლისა და ბენზინის (შიდაწვის) ძრავების გამოყენება. ამავე ხანებში მექანიზაცია ფეხს იკიდებს აგრეთვე ხე-ტყის მრეწველობაში.

ასე თანდათან დაიპყრო მანქანურმა წარმოებამ მრეწველობის სხვადასხვა დარგები, მოახდინა ტექნიკური გადატრიალება მრეწველობაში და დასაწყისი მისცა ქვეყნის კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციას.

მრეწველობის შემდგომი განვითარება. ქალაქების ზრდა

90-იან წლებში საქართველოში ხდება საფაბრიკო-საქარხნო და სამთამადნო მრეწველობის შემდგომი მნიშვნელოვანი განვითარება, რკინიგზის ხაზების გაფართოება. ქალაქების სწრაფი ზრდა. ამასთან, ამ პერიოდის მრეწველობის წამყვან დარგებს ახასიათებს წარმოების კონცენტრაციის პროცესი და მონოპოლიებისაკენ მისწრაფება.

90-იან წლებამდე ამიერკავკასიის რკინიგზის ნორმალურ მუშაობას დიდად აფერხებდა წიფის გვირაბის დაუმთავრებლობა, რის გამო უამრავი ტვირთის გადაზიდვა სურამის ქედზე ერთხანს ურმებითა და ეტლებით ხდებოდა. ამასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 1872 წელს, პოეტი გრიგოლ ორბელიანი ერთ-ერთ კერძო წერილში ამბობდა: „რკინის გზა მუშაობს კარგად, მაგრამ ძველად ნათქვამია: „კარგი ფონი ერთს ადგილს აღრჩობსო“. ეს რკინის გზაც კარგია, მაგრამ სურამის მთაზე კი ჰხოცავს მგზავრებსა, ახლა მთაზე გადადიან და გადააქვთ პოეოზკებით ეს ამდენი საქონლის ბარგი, ეს ძნელი დაბრკოლება გამოუჩნდა ვაჭრობასა“. ეს დაბრკოლება საბოლოოდ აცილებული იქნა 1890 წლის 1-ლ აპრილს, როცა გაიხსნა წიფის გვირაბი. ამიერიდან დიდად გაიზარდა ტვირთზიდვა ბაქო-ბათუმსა და თბილის-ბათუმფოთს შორის. 1894 წელს გაიხსნა ხაშურ-ბორჯომის რკინიგზის ხაზი, რამაც ხელი შეუწყო ბორჯომის ხეობაში არსებული მდიდარი ტყეების სამრეწველო დამუშავებას. 1895 წელს დამთავრდა რკინიგზის ვიწროლიანდაგიანი ხაზის მშენებლობა შორაპან-ჭიათურას შორის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მარგანეცის მრეწველობის შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის.

საქართველოს სამთამადნო მრეწველობამ 90-იან წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. მრეწველობის ამ დარგში წამყვანი ადგილი წინანდებურად ქვანახშირსა და მარგანეცს ეჭირა. რაღაც ათი წლის განმავლობაში რამდენჯერმე გაიზარდა ქვანახშირის ამოღება ტყიბულში. ამის შედეგად, თუ 1890 წელს ამოღებული იყო 600 000 ფუთი ქვანახშირი, უკვე 1900 წელს ქვანახშირის ამოღებამ ტყიბულში მიაღწია 3 875 000 ფუთს. კიდევ უფრო სწრაფად ვითარდებოდა მარგანეცის მრეწველობა. მარგანეცის მოპოვების ზრდას ამ პერიოდში გვიჩვენებს შემდეგი ციფრები: 1890 წელს მოპოვებული იყო 10 468 000 ფუთი, მარგანეცი, 1894 წელს — 11 118 000. 1898 წელს— 10 259 000, 1899 წელს — 34052 000, ხოლო 1900 წელს — 40 363 000 ფუთი. ამ დროს ჭიათურაში მოპოვებული მარგანეცი ამ მადნის მთელი მსოფლიო მოპოვების 54,4 პროცენტს უდრიდა. რუსეთს გარდა, ჭიათურის მარგანეცის ძირითადი მომხმარებლები იყვნენ

ისეთი კაპიტალისტური სახელმწიფოები, როგორიცაა: გერმანია, ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, ჰოლანდია, ბელგია, საფრანგეთი, ავსტრია, უნგრეთი და სხვები. 90-იანი წლებიდან ბოლოდან მოკიდებული მნიშვნელოვნად უმჯობესდება მარგანეცის ამოღებისა და გაწმენდის ტექნიკა. ამ დროს ჰიათურაში ჩნდება ბრემსბერგები და საჰაერო გზა, აგრეთვე მაღაროდან წყლის ამოსაქაჩავი ახალი ტექნიკა, შემოდის ელექტრონით განათება, შენდება პირველი მადნის სარეცხი (გამამდიდრებელი) ქარხნები და სხვ.

ამავე პერიოდში განვითარების მნიშვნელოვან დონეს მიაღწია საქართველოს მსუბუქმა და საშენ მასალათა მრეწველობამ. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება თამბაქოსა და ტყავის გადამმუშავებელი მრეწველობა. 1896 წელს საქართველოში მუშაობდა თამბაქოს 10 მსხვილი ფაბრიკა (თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში), რომელთა წლიური პროდუქცია 1 350 000 მანეთს აღემატებოდა. თამბაქოს მრეწველობაში ხელის დაზგების ნაცვლად ფართოდ დაინერგა ორთქლისძრავიანი დაზგები. 90-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს თამბაქოს მრეწველობა წარმატებით უწევდა კონკურენციას და ავიწროებდა სამხრეთ რუსეთის (მაგალითად, როსტოვის) თამბაქოს ფაბრიკების ნაწარმს. საქართველოში დამზადებული თამბაქოს მზა ნაწარმი ფართო მასშტაბით გაჰქონდათ არა მარტო რუსეთის იმპერიის გუბერნიებში, არამედ უცხოეთშიც, — ირანში, თურქეთში, ეგვიპტეში და სხვაგან. ასევე წარმატებით ვითარდებოდა ტყავის გადამმუშავებელი მრეწველობა. განსაკუთრებულ პოპულარობით სარგებლობდა გ. ადელხანოვის ფირმა, რომელშიც 1500 კაცი მუშაობდა. ამ ფირმამ რუსეთის სამრეწველო გამოფენებზე რამდენჯერმე (1882, 1890, 1896, წლებში). მიიღო ოქროსა და ვერცხლის მედლები. მისი წლიური პროდუქცია 2 მილიონ მანეთს აღემატებოდა. ტყავის მრეწველობაში განუწყვეტლივ ხორციელდებოდა ტექნიკური გაუმჯობესებანი. 1891 წლიდან შემოღებული იქნა ტყავის დათრიმვლა ელექტრობით. საშენ მასალათა მრეწველობაში განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა აგურის მექანიზებული წარმოება. დიდი რაოდენობით მზადდებოდა სტანდარტული აგური თბილისში, სადაც აგურის მრავალი ქარხანა მუშაობდა. აგურის წარმოებაში სათბობ მასალად იყენებდნენ უმთავრესად მაზუთს, რისთვისაც აგურის ქარხნებში იდგმებოდა ორთქლის ქვაბები. საგრძნობლად განვითარდა ამ პერიოდში აგრეთვე ხე-ტყის მრეწველობა. 1897 წელს საქართველოში 100-ზე მეტი ხე-ტყის სახერხი ქარხანა იყო. ამ ქარხნების უმეტესობა პატარა საწარმოები იყო, რომლებშიც 10—15 მუშა მუშაობდა და თითო ქვაბიანი ლოკომობილი და ერთი ან ორი სახერხი დაზგა იდგა.

მრეწველობის წამყვან დარგებში სულ უფრო ფართო მასშტაბით

ხორციელდებოდა ტექნიკური პროგრესი. ამ მხრივ თბილისთან ერთად დიდ წარმატებას მიაღწია ბათუმის მრეწველობამ. ბათუმის ნავთის ტარის წარმოებაში ამ დროს ფართოდ ინერგება გაუმჯობესებული მანქანები და ორთქლის ძრავები, შემდეგ კი ელექტროენერგიაც. ბათუმის მრეწველობის მაგალითზე კარგად ჩანს წარმოების კონცენტრაციის პროცესი, რასაც მაშინ ადგილი ჰქონდა საქართველოს მრეწველობაში. კაპიტალისტებს შორის გაჩაღებული სასტიკი საკონკურენციო ბრძოლის შედეგად, თუ 1890 წელს ბათუმში 36 ნავთის სავაჭრო-საექსპორტო ფირმა და 45 ნავთის ტარის ქარხანა და სახელოსნო იყო, 90-იანი წლების მიწურულისათვის წერილი ფირმების დიდი უმრავლესობა განადგურდა და ნავთის ტარის წარმოება, ისევე როგორც ნავთის ექსპორტი, თითქმის მთლიანად ხელში ჩაიგდეს ისეთმა უმსხვილესმა ფირმებმა, როგორიც იყვნენ: როტშილდის, ძმები ნობელების, მანთაშევისა და სხვა ფირმები. მძაფრი საკონკურენციო ბრძოლისა და წარმოების კონცენტრაციის ამ ეთსავე პროცესს, რაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული კაპიტალის კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციასთან, ადგილი ჰქონდა მარგანეცის მრეწველობაშიც. 90-იან წლებში მარგანეცის მოპოვებასა და ექსპორტში განუხრელად იზრდება მსხვილი კაპიტალის ხვედრითი წონა, ხოლო წვრილი კაპიტალისტები თანდათან ნაღგურდებიან და მათი ხვედრითი წონა მარგანეცის მრეწველობაში განუწყვეტლივ ეცემა. წარმოების კონცენტრაციის ამ პროცესმა 90-იანი წლების ბოლოსათვის წარმოშვა თავისუფალი საკონკურენციო ბრძოლის შეზღუდვისა და მრეწველთა მონოპოლიური გაერთიანებისაკენ მისწრაფება. 1896 წელს შეიქმნა ადგილობრივ მრეწველთა ორგანიზაცია—„შავი ქვის მრეწველთა ყრილობა“. მისი მუდმივი ორგანო იყო „შავი ქვის მრეწველთა საბჭო“, რომლის მუშაობაში ჩაბმული იყო დასავლეთ საქართველოს ბურჟუაზიული ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ საბჭოს ინიციატივით შეიქმნა ადგილობრივ კაპიტალისტთა პირველი მონოპოლიური გაერთიანება — სინდიკატი „შავი ქვის“ სახელწოდებით რომელიც 200-ზე მეტ ადგილობრივ მრეწველს აერთიანებდა. ამ გაერთიანების ძირითადი მიზანი იყო საკონკურენციო ბრძოლის შენელება და ადგილობრივი მრეწველების უშუალოდ გასვლა მსოფლიო ბაზარზე, უცხო კაპიტალის ჩაურეველად და მისთვის გვერდის აელით. მაგრამ ეს სინდიკატი მალე დაიშალა რადგან მან არათუ არ შეანელა, არამედ კიდევ უფრო გაამწვავა კონკურენცია მსხვილ და წვრილ მრეწველებს შორის.

მრეწველობის განუხრელმა ზრდამ და საავაჭრო ბრუნვის გაფართოებამ, აგრეთვე კაპიტალისტური ურთიერთობის განივთარებამ სოფლად, განაპირობეს საქართველოს ქალაქების არაჩვეულებრივად სწრაფი ზრდა რეფორმისშემდგომ ხანაში, კერძოდ, 80-იან და 90-ან

წლებში. საქართველოს მოსახლეობა ამ პერიოდში საერთოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ ქალაქის მოსახლეობა გაცილებით სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე სოფლის მოსახლეობა. 1866 წელს საქართველოში (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) მოსახლეობის რიცხვი უდრიდა 1 300 400 კაცს, 1886 წელს — 1 731 500 კაცს, ხოლო 1897 წელს — 2 034 700 კაცს. ამასთან, მოსახლეობის ამ საერთო ჯამში ქალაქის მოსახლეობის პროცენტული ოდენობა უფრო და უფრო მატულობდა, სოფლის მოსახლეობისა კი კლებულობდა. თუ 1866 წელს სოფლის მოსახლეობა მთელი საქართველოს მოსახლეობის 82 პროცენტს შეადგენდა, 1897 წელს 79 პროცენტამდე დავიდა. სამაგიეროდ, ქალაქის მოსახლეობა 1866 წელს მთელი მოსახლეობის მხოლოდ 18 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 1897 წელს 21 პროცენტამდე ავიდა. ქალაქის მოსახლეობის ზრდა სოფლის მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა იმიტომ, რომ მრეწველობა სულ უფრო მეტად იზიდავდა სოფლის გაღატაკებულ გლეხობას, რომელსაც თავის სარჩენად სხვა აღარაფერი სახსარი დარჩენოდა, გარდა საკუთარი მარჯვენისა. გაღატაკებული და გაპროლეტარებული გლეხები მასობრივად სტოვებდნენ თავიანთ სოფლებს და ლუკმა-პურის საძებრად მიდიოდნენ ქალაქში.

განსაკუთრებით დიდად გაიზარდა და განვითარდა საქართველოს დედაქალაქი თბილისი, რომელიც იმ დროს მთელი ამიერკავკასიის სავაჭრო-სამრეწველო და ადმინისტრაციული ცენტრი იყო. კ. მარქსი ამბობდა, რომ „თბილისი, ეს არის ცენტრალური პუნქტი აზიაში რუსეთის ბატონობისაო". მართლაც ასე იყო. თბილისში იყოფებოდა კავკასიის მეფისნაცვალი მთელი თავისი უზარმაზარი სამხედრო აპარატით, აქვე იყო საგუბერნიო დაწესებულებანი და მრავალრიცხოვანი სამხედრო ნაწილები. რკინიგზების გაყვანის შემდეგ თბილისი გადაიქცა აგრეთვე ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო ცენტრად. ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა. მათ შორის სამრეწველო პროლეტარიატის რიცხვი. მარტო რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, რომელიც 1883 წელს ბაქო-ბათუმის რკინიგზის ხაზის დამთავრებასთან დაკავშირებით ხაშურიდან თბილისში იქნა გადმოტანილი, 3 ათასზე მეტი მუშა მუშაობდა. 1879 წელს ერთ-ერთი მაშინდელი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე თბილისის შესახებ წერდა: „თბილისი მეტად გაიზიდა, გამრავლდა ხალხითა, ასე რომ მიხაილოვსკის ხიდი ვეღარ იტევს მიმომსვლელთა ეკიპაჟებსა, ფურგუნებსა, ურმებსა; ერთი თეატრი ვეღარ ჰყოფნის ქალაქის მცხოვრებთა, და ამის გამო გაიმართა „ცრუ-ეოკ", რომლის წევრები ირიცხებიან შვიდაზე მეტნი"[3]. 90-იანი წლების ბოლოსათვის თბილისში 1500-მდე შედარებით მსხვილი ფაბრიკა

3 იხ. ზუგდიდის მუზეუმის შრომები, ტ. 1, გვ. 325.

და ქარხანა ითელებოდა, გარდა ამისა, იყო მრავალი სავაჭრო და საკრედიტო დაწესეულება. სულ თბილისის სავაჭრო-სამრეწველო და საკრედიტო დაწესებულებების რიცხვი ამ დროს 5 ათასზე მეტი იყო. თბილისის მცხოვრებთა საერთო რიცხვი 1865 წელს უდრიდა 71 051 კაცს, 1897 წლისათვის კი მოსახლეობის რიცხვი 159 590 კაცამდე გაიზარდა. თანდათან უმჯობესდებოდა საქალაქო მეურნეობა, კერძოდ, ტრანსპორტი და კანალიზაცია. შენდებოდა ქვის დიდი სახლები და ახალი ხიდები, ფართოვდებოდა წინანდელი ვიწრო ქუჩები. XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისმა საბოლოოდ დაჰკარგა ძველი, ფეოდალური ქალაქის სახე და გადაიქცა კაპიტალისტურ ქალაქად. 1861 წელს აშენდა თბილისის პირველი წყალსადენი, რომელმაც 27 წელიწადს გაძლო. 1887 წელს მეორე, უფრო დიდი (აღჩალის) წყალსადენი აშენდა. 1884 წელს რუსთაველის პროსპექტზე (მაშინ გოლოვინის პროსპექტი ერქვა) გაყუანილ იქნა ცხენის რკინიგზა, რომელიც შემდეგში ტრამვაიმ შეცვალა. ცენტრალური ქუჩები, სადაც ბურჟუაზია და მდიდარი თავადაზნაურობა ცხოვრობდა, იმ დროის შესაფერისად კარგად იყო კეთილმოწყობილი, მაგრამ ქალაქის განაპირა უბნები, სადაც მშრომელი მოსახლეობა ცხოვრობდა, მოკლებული იყო ყოველგვარ კეთილმოწყობას; თბილისის განაპირა ქუჩებში გაუვალი ტალახი და სრული ანტისანიტარია სუფევდა.

დედაქალაქთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდნენ და განვითარდა აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქები. შეიქმნა ბევრი ახალი ქალაქი, სარკინიგზო კვანძი და დაბა. საქართველოს ქალაქებში მოსახლეობის ზრდას თვალნათლივ გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები: ქუთაისში 1865 წელს 11 807 მცხოვრები ითელებოდა, 1897 წელს კი მცხოვრებთა რიცხვმა 32 476 კაცს მიაღწია; ბათუმში 1886 წელს ცხოვრობდა 14 803 კაცი, 1897 წელს კი—28 512. გორში 1865 წელს— 5 054, 1897 წელს — 10 269; თელავში 1865 წელს — 7 240, 1897 წელს — 13 929; ფოთში 1865 წელს — 1612, 1897 წელს — 7 998; ოზურგეთში 1865 წელს — 700, 1897 წელს — 4 710 კაცი და ა. შ. თბილისის შემდეგ განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა დასავლეთ საქართველოს ცენტრი ქალაქი ქუთაისი, რომელიც გუბერნიის ცენტრს წარმოადგენდა. ქუთაისის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა ჰიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარების შემდეგ. იმ დროს ქუთაისში თავს იყრის დასავლეთ საქართველოს ბურჟუაზიული და დემოკრატიული ინტელიგენციის დიდი ნაწილი და მრავლდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი. ხდება ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საგრძნობი გამოცოცხლება. დიდი სისწრაფით ვითარდება ქალაქი ბათუმი, რომელიც თურქეთის უღლისაგან აჭარის განთავისუფლების დროისათვის სო-

ფელს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალაქს, 90-იანი წლების ბოლოს კი საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრად გადაიქცა. მარგანეცის მრეწველობამ წარმოშვა ახალი მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრი — ჭიათურა, ხოლო მარგანეცის ექსპორტის გაუგონარი სისწრაფით ზრდამ გამოიწვია ქალაქ ფოთის გადაქცევა საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაესადგურად. რკინიგზის ტრანსპორტმა წარმოქმნა მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძები: ხაშური, ზესტაფონი, სამტრედია და სხვა, რომლებიც შემდეგ ქალაქებად გადაიქცნენ.

ამრიგად, 70—80-იანი წლების მანძილზე საქართველოში შეუნელებლად მიმდინარეობს სამრეწველო გადატრიალება და საფუძველი ეყრება კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციას; ამ დროს ხდება რკინიგზების სწრაფი მშენებლობა და სამთამადნო და მსუბუქი მრეწველობის ფართო განვითარება; ძველი, მანუფაქტურული მრეწველობის ადგილს, რომელიც ხელით შრომას ეყრდნობოდა, თანდათან იჭერს ახალი, მანქანური წარმოება, რომლის საფუძველს შეადგენს მანქანა. 90-იან წლებში კიდევ უფრო სწრაფად მიმდინარეობს ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდა, ფართოვდება საფაბრიკო-საქარხნო და სამთამადნო მრეწველობა, იზრდება ქალაქები და საქალაქო მეურნეობა. კაპიტალისტური წარმოების წესი, რომელიც საქართველოში საბოლოოდ მკვიდრდება და გაბატონებული ხდება, ამ პერიოდში გარკვევით ამჟღავნებს განვითარების ახალი, უმაღლესი სტადიის — მონოპოლისტური კაპიტალიზმის ანუ იმპერიალიზმის ნიშნებს. მრეწველობის ასეთი მასშტაბით განვითარება უდიდეს ცვლილებებს იწვევს საქართველოს ეკონომიურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მრეწველობა საბოლოოდ გამოეყოფა მიწათმოქმედებას და ღრმავდება წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის, ქალაქი ბატონდება სოფელზე; კაპიტალიზმი, რომელიც იმ დროს მსოფლიო მასშტაბით იმპერიალიზმის ხანაში შედის, ჩვენშიც ამწვავებს ანტოგონისტურ კლასებად დაყოფილი საზოგადოების ყველა წინააღმდეგობას და ქმნის ნიადაგს მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლებისათვის.

საქართველოს მრეწველობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება ის იყო, რომ იგი დიდად იყო დამოკიდებული რუსეთისა და უცხოეთის კაპიტალზე. საქართველო იმ დროს ცარიზმის კოლონია იყო და რუსეთის ბურჟუაზია მიისწრაფოდა გადაექცია საქართველოს მრეწველობა მეტროპოლიის მრეწველობის უბრალო დანამატად. თავის მხრივ ევროპის კაპიტალისტები, რომლებიც თავისუფლად დაპარპაშობდნენ მეფის რუსეთის იმპერიაში, ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები და უზრუნველეყოთ თავიანთი ქარხნებისათვის იაფი ნედლი მასალა. ამით

აიხსნება, რომ საქართველოს მრეწველობის განვითარებამ მიიღო ცალმხრივი ხასიათი: ვითარდებოდა უპირატესად მრეწველობის მარტო ის დარგები, რომლებიც მეტროპოლიისა და უცხო ქვეყნების კაპიტალისტებისათვის იყო სასარგებლო (მაგ. სამთამადნო მრეწველობა და მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთი დარგი), ხოლო მძიმე მრეწველობა, რომელიც ყოველი დამოუკიდებელი ქვეყნის ეკონომიკის საფუძველთა საფუძველია, თითქმის სრულიად არ ვითარდებოდა. ცარიზმი და უცხოეთის ბურჟუაზია ყოველნაირად უშლიდნენ ხელს საქართველოში მძიმე მრეწველობის განვითარებას, რის გამო 90-იანი წლების ბოლოსაც კი ჩვენში მანქანათმშენებლობა მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ასე მოესპო საქართველოს დამოუკიდებელი ინდუსტრიული განვითარების საშუალება, რის გამო იგი დიდხანს დარჩა აგრარულ ქვეყნად. საქართველოს მშრომელთა კოლონიური ექსპლოატაცია, რომელიც ხასიათდებოდა იმპერიალისტური ძარცვა-გლეჯისა და ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლოატაციის ყველაზე უხეში ფორმების შეერთებით, კიდევ უფრო ამწვავებდა წინააღმდეგობებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და ქმნიდა ნიადაგს ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის.

§ 2. კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში

საავჭრო მიწათმოქმედების ზრდა

სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების პროცესი გაცილებით უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა ვიდრე მრეწველობაში. მიუხედავად ამისა, უკვე 50—60-იანი წლების პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობა მნიშვნელოვანი სიღრმით და მასშტაბით ვითარდება. განსაკუთრებით სწრაფად კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება საქართველოს სოფელში ხდებოდა რეფორმისშემდგომ ხანაში — 70-იანი წლების დასაწყისიდან 90-იანი წლების ბოლომდე. XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს მიწათმოქმედების ისტორია არსებითად ბატონყმური საწარმოო ურთიერთობის ბურჟუაზიული ურთიერთობით შეცვლის ისტორიაა.

ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ახალი სამეურნეო ორგანიზმი, რომელიც ჩვენში ბატონყმური ნაჭუჭიდან გამოდის, არის საავჭრო მიწათმოქმედება და კაპიტალიზმი... საავჭრო მიწათმოქმედების ზრდა რუსეთში განუწყვეტლივ მიმდინარეობს, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, და ეს საავჭრო მიწათმოქმედება გარდუვალად იქცევა კაპიტალისტურ-

მიწათმოქმედებად, თუმცა ამ გადაქცევის ფორმები უაღრესად მრავალფეროვანია და იცვლება ცალკეულ რაიონებში"[1].

დიდი ლენინის ეს სიტყვები სავსებით სწორია საქართველოს მიმართაც. კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურულ პერიოდში საქართველოში არა მარტო მრეწველობის თანდათან გამოცალკევება ხდებოდა მიწათმოქმედებისაგან, არამედ თვით მიწათმოქმედებაშიც მიმდინარეობდა რაიონების სპეციალიზაცია კულტურებისა და დარგების მიხედვით; ამის გამო სწრაფად იზრდებოდა საქონლის გაცვლა-გამოცვლის საჭიროება, რაც თავის მხრივ სასაქონლო წარმოების გაფართოებას იწვევდა; სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის პროდუქტები სულ უფრო მეტი რაოდენობით იქცეოდა საქონლად, განუხრელად იზრდებოდა საბაჟრო მიწათმოქმედება, რომელიც თანდათან კაპიტალისტურ ხასიათს იღებდა. რკინიგზების გაყვანამ და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ზრდამ კიდევ უფრო დააჩქარა საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პროცესი.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში იმ დროს ყველაზე დიდი ადგილი მარცვლეულის (პურის, სიმინდის) მეურნეობას ეჭირა. პური განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ითესებოდა თბილისის გუბერნიაში (გორის, დუშეთის, თელავის, ახალქალაქისა და სხვა მაზრებში), სიმინდი კი — ქუთაისის გუბერნიაში (ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის, შორაპანისა და სხვა მაზრებში). ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სოფლიდან მარცვლეული დიდი რაოდენობით გადის არა მარტო შინაურ ბაზარზე, არამედ მსოფლიო ბაზარზეც. 1862 წელს ინგლისელებმა დასავლეთ საქართველოდან გაიტანეს 1 მილიონი მანეთის სიმინდი. სასაქონლო-საბაჟრო მარცვლეულის ზრდა დიდი სისწრაფით მიმდინარეობს რკინიგზების გაყვანის შემდეგ 70-იანი წლებიდან. 1887 წელს მარტო გორისა და ახალქალაქის მაზრებიდან მოსახლეობამ ბაზარზე გასასყიდად გაიტანა 302 657 მანეთის ხორბლეული (პური, ქერი), ხოლო 1896 წელს უკვე მარტო გორის მაზრის მოსახლეობამ გაიტანა 601 662 მანეთის (700 739 ფუთი) ხორბლეული. კიდევ უფრო მეტი რაოდენობით გადიოდა ბაზარზე სიმინდი. 90-იანი წლების დასაწყისში დასავლეთ საქართველოდან მსოფლიო ბაზარზე გადიოდა წლიურად საშუალოდ 5—6 მილიონი ფუთი სიმინდი.

მარცვლეულის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი დარგი მიწათმოქმედებაში მევენახეობა-მეღვინეობა იყო. ამ დარგში ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ფართოდ ვითარდება კაპიტალისტური სასაქონლო წარმოება. მევენახეობა-მეღვინეობის ძირითადი რა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15, გვ. 149—150.

ონი იყო კახეთი (სიღნაღისა და თელავის მაზრები). კახური ღვინო განთქმული იყო მთელ ამიერკავკასიაში და ის არა მარტო ადგილობრივ ბაზრებზე ბატონობდა. არამედ რუსეთშიც მნიშვნელოვანი რაოდენობით იგზავნებოდა. 70-იანი წლებიდან სასაქონლო ღვინის წარმოება ფართოდ ვითარდება აგრეთვე ქართლსა და იმერეთში (გორის, შორაპნის, ქუთაისის და სხვ. მაზრებში), რომლებიც რკინიგზებთან ახლოს იყვნენ და ღვინის ექსპორტისათვის ხელსაყრელი პირობები ჰქონდათ. განსაკუთრებით დაწინაურდა შორაპნის მაზრა, საიდანაც 80-იან წლებში სხვადასხვა ბაზრებზე რკინიგზით ყოველწლიურად საშუალოდ 250 000 ვედრო ღვინო იგზავნებოდა. მეღვინეობის მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა სვირი, რომლის მცხოვრებლები ღვინით ვაჭრობით დიდ შემოსავალს იღებდნენ. თავისი კარგი ხარისხით სახელი გაითქვა რაჭის მაზრაში დამზადებულმა ღვინომ, ე. წ. „ყიფიანურმა" (ხვანჭკარის სასოფლო საზოგადოება). სულ საქართველოში იმ დროს საშუალოდ დაახლოებით 5—6 მილიონი ვედრო ღვინო მზადდებოდა. აქედან თითქმის ერთ მესამედს მწარმოებელი თვითონვე მოიხმარდა, ორი მესამედი კი ბაზარზე გასასყიდად გადიოდა. ღვინის წარმოების ზრდასთან ერთად იზრდებოდა სასაქონლო სპირტისა და არყის წარმოება. 1894 წელს საქართველოში 700-ზე მეტი სპირტ-არყის სახდელი ქარხანა ითვლებოდა, რომლებშიც 2 320 მუშა შუშაობდა. ამ ქარხნებმა ერთ წელიწადში 55 899 ვედრო სპირტი და არაყი გამოხადეს.

ფართო საეაჭრო ხასიათს ღებულობს მეცხოველეობის პროდუქცია. მეცხოველეობას საქართველოს სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით მთის ზონის მოსახლეობაში, უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ბაზარზე დიდი რაოდენობით გამოდიოდა სახორცე პირუტყვი, უმთავრესად ცხვარი, ღორი და თხა, აგრეთვე მეფრინველეობის პროდუქტები (ქათამი, ინდაური, კვერცხი და სხვ.) 80-იან და 90-იან წლებში მარტო თბილისში წლიურად საშუალოდ მოიხმარებოდა 1 155 000 ქათამი და ვარია, 90 000 ინდაური, ბატი და იხვი. დიდი რაოდენობით გადიოდა მეცხოველეობის პროდუქტები არა მარტო ამიერკავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში, არამედ მსოფლიო ბაზარზეც. მარტო ქუთაისის გუბერნიის სოფლებიდან წლიურად საშუალოდ ბაზარზე გამოჰქონდათ 2 500 000 მანეთის მეფრინველეობის პროდუქტი. 90-იან წლებში დაავლეთ საქართველოდან ევროპაში ყოველწლიურად გადიოდა 1 200 000 მანეთის კვერცხი, რომელიც მიჰქონდათ ლონდონის, ჰამბურგის, ბერლინის, პარიზისა და სხვა ბაზრებზე.

მეცხოველეობის ბაზაზე ფართოდ იყო განვითარებული შინამრეწველობა, რომელიც თანდათან კაპიტალისტურ ხასიათს ღებულობდა. თვითნაკეთ საფეიქრო დაზგაზე გლეხი-ოსტატები ართავდნენ და

ქსოვდნენ მატყლის ქსოვილებს ბაზარზე გასატანად. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა ამზადებდა მაღალი ხარისხის მაუდს, ე. წ. „თივთიკს“, რომელიც ფაბრიკულს არ ჩამოუვარდებოდა. თიანეთის, დუშეთის, გორის, ბორჩალოს და სხვა მაზრების შინამრეწველები გასაყიდად ამზადებდნენ ჩოხა-ახალუხებს, ნაბდებს, ქუდებს, ხურჯინებს. დიდი რაოდენობით მზადდებოდა საბაზროდ რძის პროდუქტები—ყველი და კარაქი. თუშური და ოსური ყველი, აგრეთვე საუცხოო მეგრული სულგუნი მთელ საქართველოში იყო განთქმული. ვითარდებოდა მეცხოველეობის პროდუქტების ქარხნული დამუშავებაც. ბორჩალოს მაზრაში კაპიტალისტმა კუჩენბახმა მეცხოველეობის დიდი ფერმა შექმნა და ყველის წარმოების ქარხანა ააშენა. 80-იან წლებში კუჩენბახის ქარხანა წლიურად უშვებდა 21 000 მანეთის პროდუქციას, სახელდობრ: 970 ფუთ შვეიცარულ და ჰოლანდიურ ყველს, 315 ფუთ ჩვეულებრივ ყველს და 250 ფუთ კარაქს. ამავე მაზრაში არსებობდა ალექსანდროპოლის ამხანაგობისა და ნიდიგერის ყველის ქარხნები, რომლებიც წლიურად 15 600 მანეთის პროდუქციას უშვებდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სოფლის მეურნეობაში უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აგრეთვე მეთამბაქოება, მებამბეობა და მეაბრეშუმეობა. რეფორმამდე საქართველოში ძალიან ცოტა თამბაქო მოჰყავდათ, რის გამო თამბაქო მცირე აზიის სხვადასხვა პროვინციებიდან შემოჰქონდათ, მაგრამ რეფორმის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. მთავრობამ მაღალი ბაჟები დააწესა უცხოეთიდან შემოტანილ თამბაქოზე და ამ გარემოებამ, აგრეთვე რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომმა, მკვეთრად შეამცირა თამბაქოს იმპორტი და შექმნა ხელსაყრელი პირობები ამ მნიშვნელოვანი ტექნიკური კულტურის ადგილობრივად გასავრცელებლად. ამის შედეგად მეთამბაქოეობა სწრაფად განვითარდა ჩვენში და უკვე 90-იანი წლების დასაწყისში თამბაქოს პლანტაციებს 2000-მდე დესეტინა მიწა ეჭირა. თამბაქოს მოსავლიანობის ზრდა ამ პერიოდში შემდეგ სურათს იძლევა: 1860 წელს მთელ საქართველოში მოუყვანიათ 20 ათასი ფუთი თამბაქო, 1870 წელს — 40 ათასი, 1880 წელს — 80 ათასი, ხოლო 1890 წელს — 180 ათასი ფუთი. შემდეგში კიდევ უფრო გაფართოვდა თამბაქოს პლანტაციები, რომლებსაც უმთავრესად სავაჭრო-სამრეწველო მნიშვნელობა ჰქონდათ. მეთამბაქოეობის ძირითადი რაიონები დასავლეთ საქართველოში იყო: აფხაზეთი, აჭარა და ოზურგეთის მაზრა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — სიღნაღის მაზრა. განსაკუთრებით ბევრი და კარგი ხარისხის თამბაქო მოჰყავდათ სოხუმის ოლქში. საქართველოს თამბაქო არა მარტო ამიერკავკასიის ადგილობრივ ბაზრებზე სალდებოდა, არამედ დიდი რაოდენობით გადიოდა აგრეთვე რუსეთსა და უცხოეთში, კერძოდ, გერმანიაში, ეგვიპტეში

(ალექსანდრიაში), ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრიაში, ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიაში, პოლონეთში და სხვ.

ბამბის კულტურის განვითარებით საქართველოსა და ამიერკავკასიაში რუსეთის ფაბრიკანტები ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაინტერესდნენ, მაგრამ მისი ფართო მასშტაბით გავრცელება მხოლოდ 60-იანი წლებიდან დაიწყო. ამ დროს ჩრდილო ამერიკაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა და ევროპაში ამერიკული ბამბის შემოტანა მკვეთრად შემცირდა. ამის შედეგად ბამბის პლანტაციების ფართობი საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში უდიდესი სისწრაფით გაიზარდა. შემდგომში მსოფლიო ბაზარზე კვლავ გამოჩნდა იაფი ამერიკული ბამბა, რამაც ჩვენში ბამბის პლანტაციების დიდი შემცირება გამოიწვია, მაგრამ 80-იანი წლებიდან მებამბეობა მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში. მებამბეობის ძირითადი რაიონი იყო ქუთაისის მაზრა (სოფლები: სიმონეთი, სალომინაო, ბზვანი, ამაღლება, ვანი, ფარცხანაყანევი და სხვ.). 80-იან წლებში მარტო ქუთაისის გუბერნიიდან რუსეთის ფაბრიკებისათვის წლიურად 6 000 ფუთი ბამბა იგზავნებოდა.

მეაბრეშუმეობა ჯერ კიდევ რეფორმისწინა ხანაში იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უაღრესად განვითარებული დარგი. ამ პერიოდში ყოველწლიურად საქართველოში გამოყვადათ 350—400 ათას ფუთამდე აბრეშუმის პარკი. საქართველოდან საზღვარგარეთ ძალიან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ აბრეშუმის თესლი. მაგალითად, 1864 წელს მარტო ბათუმის ნავსადგურიდან ევროპაში გატანილ იქნა 1 700 ფუთი აბრეშუმის პარკი. მაგრამ 1865 წელს აბრეშუმის თესლით მოვაჭრე უცხოელებმა საქართველოში შემოიტანეს აბრეშუმის ჭიის გამანადგურებელი ავადმყოფობა პებრინი, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა მეაბრეშუმეობას. 80-იანი წლებიდან მიღებული იქნა ენერგიული ზომები აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობის წინააღმდეგ (თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში ამ მიზნით დაარსდა სპეციალური მეაბრეშუმეობის სადგურები), რის შედეგადაც მეაბრეშუმეობა კვლავ ფართო მასშტაბით იქნა აღდგენილი. 1887 წელს მარტო ქუთაისის გუბერნიაში გამოყვანილ იქნა 2 500 ფუთი აბრეშუმის პარკი. ათი წლის შემდეგ კი გუბერნიაში პარკის გამოყვანამ მიაღწია 40 000 ფუთს. აბრეშუმის პარკის დიდი ნაწილი რუსეთსა და ევროპაში გაჰქონდათ, მცირე ნაწილს კი ადგილობრივი ფაბრიკები ამუშავებდნენ. 1895 წელს დაბა ხონში ადგილობრივმა ვაჭარმა სანაძემ გახსნა აბრეშუმის პარკის გადასამუშავებელი ფაბრიკა-სახელოსნო, რომელშიც წლიურად 1 250 ფუთ პარკს ამუშავებდა. იმავე წელს ასეთი ფაბრიკა-სახელოსნო გახსნეს კუხის სასოფლო საზოგადოების გლეხებმა. 1895 წლიდან საქართველოში არსდება მეაბრეშუმეთა კოოპერატიუ-

ლი ამხანაგობები, რომლებმაც დიდად შეუწყვეს ხელი მეაბრეშუმეობის განვითარებას.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საკაჭრო-სასაქონლო ხასიათს იღებს აგრეთვე მეხილეობა. მეხილეობის ძირითადი რაიონები იყო გორისა და ახალციხის მაზრები. 80-იან და 90-იან წლებში ჩნდება სანიმუშო სეხილის ბაღები და სანერგეები, თბილისსა და ქუთაისში არსდება მებაღეობის სპეციალური სკოლები, ქართული ხილი დიდი რაოდენობით გადის ბაზარზე. ამავე ხანებში საგრძნობლად ვითარდება საკაჭრო მებოსტნეობა, მეფუტკრეობა და სოფლის მეურნეობის მრავალი სხვა დარგი. ამავე პერიოდს ეკუთვნის საქართველოში ჩაის კულტურის დანერგვის ცდები. ჩაის თესლი საქართველოში პირველად 1845 წელს იქნა შემოტანილი პეკინიდან. ჩაის პირველმა ბუჩქებმა კარგად გაიხარა სოხუმში, ზუგდიდსა და ოზურგეთში. საკაჭრო ხასიათის ჩაის პლანტაციები ჩნდება 90-იანი წლებიდან. ამ პერიოდში ჩაის ყველაზე მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობა იყო აჭარაში, ჩაქვის რაიონში.

საქართველოს ბუნებრივი და კლიმატური პირობები ხელს უწყობდა ჩვენში ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელებას. მეფის მთავრობა, რაკი მიზნად ისახავდა საქართველო გადაექცია ნედლეულის ბაზად რუსეთის მრეწველობისათვის, თვითონვე ზრუნავდა აქ ისეთი კულტურების ფართოდ გავრცელებაზე, რომლებიც რუსეთში კლიმატური პირობების გამო არ ხარობდნენ. ამით აიხსნება, რომ 1850 წელს მთავრობამ შექმნა „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“, რომლის მიზანი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა იყო. ამ საზოგადოებამ, რომელსაც თვით მთავრობის უმაღლესი მოხელეები განაგებდნენ, გარკვეული სარგებლობა მოუტანა საქართველოს სოფლის მეურნეობას XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

ასე ვითარდებოდა ჩვენში საკაჭრო მიწათმოქმედება, რომელიც გარდაუვალად იქცეოდა კაპიტალისტურ მიწათმოქმედებად; ბატონყმური ნაშუაშიდან სოფლის მეურნეობაშიც იბადებოდა ახალი სამეურნეო ორგანიზმი, რომლის საფუძველს კაპიტალისტური ურთიერთობა შეადგენდა.

ფეოდალური მეურნეობიდან კაპიტალისტურზე გადასვლა

ჯერ კიდევ რეფორმამდელ საქართველოში, როგორც მემამულურ, ისე გლეხთა მეურნეობაში, იწყება წარმოების ფეოდალური წესიდან კაპიტალისტურზე გადასვლის პროცესი. რეფორმის შემდეგ ეს პროცესი გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს.

საგლეხო რეფორმის შემდეგ გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი

საესებით უმიწაწყლოდ დარჩა გლეხობის დიდ ნაწილს კი თუმცა გააჩნდა საკუთარი ან იჯარით აღებული მიწის მცირე ნაკვეთები, მაგრამ ეს ნაკვეთები იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ გლეხობის მინიმალურ საარსებო მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებდა. საზოგადოების მატერიალური დოვლათის უშუალო მწარმოებელი — გლეხობა, მცირემიწიანობის გამო უკიდურეს გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი. ამავე დროს რეფორმამ თითქმის ხელუხლებლად დატოვა მემამულეთა მიწათმფლობელობა. მემამულეთა უშუალო განკარგულებაში მყოფი მიწების ფართობი რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა, რადგან მას მიემატა იმ ნაკვეთების ჩამონაჭრები, რომლებსაც გლეხები ამუშავებდნენ.

მას შემდეგ, რაც მემამულეებმა დაჰკარგეს იაფი მუშახელი ყმების სახით, მათ წინაშე მწვავედ დადგა საკითხი: როგორ დაემუშავებინათ თავიანთი უზარმაზარი მიწის ფართობები?

— მემამულეთა ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა თვითონვე გასძღოლოდა თავის მეურნეობას და შეეგუებია იგი ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობისათვის, რისთვისაც ხელი მიჰყო მუშების დაქირავებას, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეძენას და მეურნეობის რაციონალურად მოწყობას. ასეთი მემამულეები წლიურად, სეზონურად, ან დღიურად დაქირავებულ სასოფლო-სამეურნეო მუშებს საკუთარი (ე. ი. მემამულეთა) ინვენტარით ამუშავებდნენ თავიანთ მსხვილ ლატიფუნდიებში და დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ბაზრისათვის. თუ როგორ აფართოებდნენ ნათესებს და ადიდებდნენ სასაქონლო პროდუქციას ქართველი მემამულეები, ეს კარგად ჩანს გორისა და თელავის მაზრების მემამულეთა ხორბლეულის ნათესების ზრდის მაგალითზე. გორის მაზრის მემამულეებმა 1862 წელს თავიანთი ნათესებიდან მიიღეს 22 585 ჩეტვერტი ხორბლეული (ჩეტვერტი 7 ფუთს უდრის), 1882 წელს მათ მიიღეს უკვე 108 510, ხოლო 1886 წელს — 180 000 ჩეტვერტი ხორბლეული. თელავის მაზრის მემამულეებმა 1862 წელს მიიღეს 12 820 ჩეტვერტი ხორბლეული, 1899 წელს კი — 150 000 ჩეტვერტი ხორბლეული. ასევე სწრაფად იზრდებოდა კაპიტალიზმის გზაზე დამდგარი მემამულეების მეურნეობა საქართველოს სხვა მაზრებშიც. ასეთი მემამულეები არა მარტო მარცვლეულის ფართობებს ზრდიდნენ, არამედ მნიშვნელოვნად ადიდებდნენ აგრეთვე ენახის ფართობს, ნერგავდნენ ტექნიკურ კულტურებს, აშენებდნენ ფაბრიკა-ქარხნებს და ეწეოდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა სამრეწველო გადამუშავებას. ტყის მფლობელი მემამულეები აშენებდნენ ხე-ტყის სახერხ ქარხნებს და დიდი რაოდენობით ამზადებდნენ გასაყიდ ხე-ტყეს. განსაკუთრებით მსხვილი ლატიფუნდიები, რომლებიც ძირითადად კაპი-

ტალისტურად იყო მოწყობილი, ჰქონდათ თავადებს: აღმოსავლეთ საქართველოში — ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის, გ. ერისთავს, კ. ერისთავს, ს. ანდრონიკაშვილს, დ. აფხაზს, ფ. გურამიშვილს, ლ. მელიქოვს, ორბელიანებს და სხვ. დასავლეთ საქართველოში კი — მ. ერისთავს, ნ. ჩიჯავაძეს, ლ. ლორთქიფანიძეს და სხვ. მსხვილ ლატიფუნდიებში ფართოდ იყენებდნენ დაქირაებულ შრომას, რომელიც გაცილებით ნაყოფიერი იყო, ვიდრე ყმის შრომა, ავრცელებდნენ გაუმჯობესებულ თესლეულს და ჯიშიან პირუტყვს, ნერგავდნენ ახალ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს, აუმჯობესებდნენ მეურნეობის წარმოების მეთოდებს.

ეს იყო კაპიტალიზმის განვითარების ისეთი გზა, როდესაც წარმოების ძველი წესისა და ძველი წყობილების რევოლუციური ნგრევის ნაცვლად, ხდება ფეოდალური მეურნეობის თანდათანი ევოლუცია და მისი შეგუება ახალ, კაპიტალისტურ ურთიერთობასთან: სწორედ აქეთ მოუწოდებდნენ ქართველ მემამულეებს თავადაზნაურული ლიბერალები, რომლებიც ამჩნევდნენ, რომ ძველმა ცხოვრებამ დრო მოჭამა და ქართველი ხალხის ცხოვრებაში ღრმა ცვლილებები ხდება. ცნობილი ლიბერალი კ. მამაცაშვილი 1862 წელს გაზეთ „გუთნის დედაში“ წერდა: „აწინდელი სოფლის მოსახლეობა, რომელიც იყო საკმაო ჩვენთა წინაპართათვის, იმათსა მდაბიურსა ცხოვრებაში, არ არს შესაფერისი ჩვენის დროის ცხოვრებისა. ჩვენი დრო არის ისეთი, რომ ერთისა მდგომარეობიდან გადავდივართ მეორეში და თანდათან უტევებთ ყოველსა დაძველებულსა ჩვეულებასა“.

მაგრამ ყველა მემამულეს როდი შეეძლო ახალი ეითარების შესაფერისად გარდაექმნა თავისი მეურნეობა. ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის რღვევისა და სასაქონლო მეურნეობის განვითარების პირობებში, როცა ფული საზოგადოებრივი ცხოვრების გადამწყვეტი ფაქტორი შეიქმნა, უსაქმურობას მიჩვეული ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი ვაჭრებისა და მევახშეების ხელში ჩავარდა და ვალებში ჩაეფლო, მას არც საკმარები გააჩნდა მეურნეობის განვითარებისათვის და არც საამისო უნარი ჰქონდა. ასეთ მემამულეებს არ ჰქონდათ იმის შესაძლებლობა, რომ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი შეეძინათ, დაქირავებული მუშებისათვის ფული ეძლიათ და მეურნეობა ახალ, რაციონალურ საფუძვლებზე მოეწყოთ; ამიტომ ისინი ამჯობინებდნენ არ შეეწუხებინათ თავი მეურნეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვით და უფრო იოლი გზით წასულიყვნენ — მიწა იჯარით გაეცათ ან გაეყიდათ.

მემამულეთა მიწებს იჯარით იღებდნენ როგორც ღარიბი და უმიწაწყლო გლეხები, რომლებსაც გაჭირვება აიძულებდათ იჯარის კაბალურ პირობებზე დათანხმებულიყვნენ, ისე ბურჟუაზიის წარმო-

მადგენლები — ვაჭარ-მრეწველები და კულაკები, რომლებიც მეურნეობის გაფართოებისა და გამდიდრებისაკენ მიისწრაფოდნენ. ეს უკანასკნელები ხშირად მიწის დიდ ფართობებს იგდებდნენ ხელში და დაქირავებული შრომის გამოყენების შედეგად მნიშვნელოვანი რაოდენობით ამზადებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ბაზარზე გასატანად. სწორედ ეს ბურჟუა-მოიჯარეები იყვნენ სასაქონლო მარცვლეულის მთავარი მწარმოებლები. ხშირად მათ ასეულობით ჰექტარი მიწა ჰქონდათ იჯარით აღებული, ამასთან ჰყავდათ ცხვრის ფარები და მსხვილფეხა რქიანი პირტყვის ჯოგები, იძენდნენ იარაღ-მანქანებს და ა. შ. თბილისის მაზრის სოფ. ლისის მცხოვრებს, კულაკს ე. ოგანეზოვს იჯარით აღებული ჰქონდა თავად ბებუთოვებისაგან 300 დესეტინა, ხოლო ელენე გრუზინსკაიასაგან 100 დესეტინა მიწა; გარდა ამისა, მას საკუთარი მიწაც ჰქონდა. მასვე ჰყავდა ავრეთვე ცხვრის დიდი ფარა. ასეთი მსხვილი კულაკები სოფლებში იშვიათი როდი იყო.

კულაკებისა და ვაჭარ-მრეწველების მიერ იჯარით აღებულ მიწაზე მეურნეობა კაპიტალისტური გზით ვითარდებოდა. აქ სოფლის მუშის ხარჯზე, მისი არაადამიანური ექსპლოატაციით მდიდრდებოდნენ არა მარტო ბურჟუა-მოიჯარეები, რომლებიც პირდაპირ ითვისებდნენ მუშის მიერ შექმნილ ზედმეტი ღირებულების ერთ ნაწილს, არამედ ავრეთვე მიწის მფლობელი მემამულეები, რომლებიც რენტის სახით ითვისებდნენ იმავე მუშის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულების მეორე ნაწილს.

ბურჟუა-მოიჯარეებს მემამულეები თავიანთ მიწას უფრო ფულადი რენტის მიღების მიზნით აძლევდნენ. მაგრამ ხშირად მემამულეები მიწას იჯარით იძლეოდნენ იმ მიზნითაც, რომ თავიანთი მეურნეობა უზრუნველეყოთ იაფი მუშახელით. ასეთ შემთხვევებში ისინი მიმართავდნენ ღარიბ და სამუალო გლეხობის დაკაბალებას. ისინი აიძულებდნენ მიწის სიმცირით შეწუხებულ გლეხებს რომ მიწის საიჯარო ფასი გადაეხადათ მემამულის მიწაზე თავიანთი მუშაობით, რაც მათ უნდა შეესრულებინათ საკუთარი ინვენტარითა და გამწევი ძალით. ეს არსებითად იგივე ძველი, ბატონყმური ბეგარის ახალი ფორმა იყო, რომელსაც შრომამიგება ეწოდებოდა. საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის ეს ძველი ფორმა ფართოდ იყო გავრცელებული და კიდევ დიდხანს არსებობდა კაპიტალისტური ურთიერთობის ფორმებთან ერთად. 1896 წლის ცნობებით, მარტო თბილისის გუბერნიაში იმ გლეხების რიცხვი, რომლებიც მიწას იჯარით იღებდნენ, უდრიდა 12 092 კომლს. მცირემიწიანობა კიდევ უფრო მწვავედ იგრძნობოდა დასავლეთ საქართველოს გლეხობაში. აქ ზოგჯერ გლეხები მაღალი საიჯარო ფასითაც ვერ შოულობდნენ მიწას და იძულებული

იყვნენ მიწისათვის თავისი სახლკარიდან მრავალი ათეული კილომეტრის დაშორებით წასულიყვნენ. შორაპნის მაზრის გლეხები არაიშვიათად მეზობელი გორის მაზრის მემამულეებისაგან იღებდნენ იჯარით მიწას; ეს მიწები ხშირად 50—60 კმ იყო დაშორებული მოიჯარე გლეხების სახლ-კარიდან. რაჭის მაზრიდან გლეხები, რომლებიც განსაკუთრებით განიცდიდნენ მიწის ნაკლებობას, კახეთშიც კი მიდიოდნენ იმისათვის, რომ იქ იჯარით აეღოთ მიწა, მაგალითად, სოფ. ღარიდან საშოვარზე გასული 25 გლეხი იჯარით ამუშავებდა სოფ. წინანდალში მემამულე ჭავჭავაძის ვენახს. მოიჯარე გლეხები მემამულეს მოსავლის ნახევარს აძლევდნენ. მიწის სიმცირის გამო საიჯარო ფასი რეფორმის შემდეგ მეტისმეტად დიდი იყო. ვენახის საიჯარო ფასი უველგან მოსავლის ნახევარი იყო, დანარჩენი მიწისა კი მერყეობდა მოსავლის მეოთხედიდან ნახევრამდე.

შრომამიგების სისტემა ფეოდალური მეურნეობის პირდაპირი გადმონაშთი იყო და ის აფერხებდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარებას, რადგან ემყარებოდა ნატურალურ მეურნეობას, პრიმიტიულ გლეხურ ტექნიკას და გლეხის პირდაპირ დამოკიდებულებას მემამულისაგან. მაგრამ სასაქონლო მეურნეობისა და სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება თანდათან ძირს უთხრიდა შრომამიგების სისტემის განხორციელების პირობებს და გზას უკაფავდა კაპიტალიზმის განვითარებას. გლეხობის დაშლის შედეგად თანდათან ვრცელდებოდა შრომამიგების ისეთი სახე, როცა იჯარას იღებს გაღატაკებული გლეხი, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი ინვენტარი და გამწევი ძალა. ასეთი მოიჯარე გლეხი თანდათან იქცეოდა დაქირავებულ მუშად, სოფლის პროლეტარად.

ამრიგად, საქართველოს სოფლის მეურნეობაში ფეოდალური სისტემა უფრო და უფრო სწრაფად უთმობდა ადგილს კაპიტალისტურ სისტემას. ქართველ თავადაზნაურობას ვერ უშველა ვერც მეფის მიერ გლეხობის „განთავისუფლებისათვის" ნაბოძებმა მილიონებმა, ვერც შრომამიგების სისტემამ და გლეხობის სასტიკმა ექსპლოატაციამ. ვერც ნადელებში. აგრეთვე მიწის რენტის სახით აღებულმა მსხვილმა თანხებმა. კაპიტალიზმი თანდათან და ულმობლად ანგრევდა ფეოდალური წყობილების თვით საფუძველს — მემამულეთა საკუთრებას მიწაზე. რეფორმისშემდგომ ხანაში მემამულეების მიერ მიწის გაყიდვამ მასობრივი ხასიათი მიიღო. მიწაც ისეთივე საქონელი გახდა, როგორიც სოფლის მეურნეობის პროდუქტები. 9 წლის განმავლობაში, — 1879-დან 1888 წლამდე, — თბილისის გუბერნიაში გაიყიდა 35 173 დესეტინა მიწა. მიწას ჰყიდდნენ თავადები და აზნაურები. ხოლო ყიდულობდნენ შეძლებული და საშუალო გლეხები, ვაჭრები და კაპიტალისტები. 80-იან წლებში მარტო ბორჩალოს მაზრაში თავადმა ორ-

ბელიანებმა გაყიდეს 12 629 დესეტინა მიწა. ამ მიწების დიდი ნაწილი შეიძინეს კაპიტალისტმა კუჩენბახმა და თბილისელმა ვაჭარმა ხუდადოვმა. დიდი რაოდენობით იყიდებოდა მემამულეთა მიწები დასავლეთ საქართველოშიც. 1868—1879 წლებში მარტო ქუთაისის მაზრაში გაიყიდა 10 754 დესეტინა მიწა. პარაზიტული ცხოვრების შედეგად ვალებში ჩაფლული თავადაზნაურობა ხშირად მიმართავდა მიწების დაგირავებას ბანკებში. 1875—1899 წლების პერიოდში საქართველოს ბანკებში დაგირავებული იყო 800-ზე მეტი მამული 260 505 დესეტინის საერთო ფართობით. დაგირავებული მამულების დიდი ნაწილის გამოხსნას მემამულეები ვეღარ ახერხებდნენ და მათი მამულები საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა. ოდესღაც „ბრწყინვალე" წოდება — თავადაზნაურობა ეკონომიურად დაეცა და დაკნინდა: რეფორმის შემდეგ, განსაკუთრებით კი 90-იანი წლებისათვის ეს წოდება სრული გადაგვარების გზაზე იდგა.

ქართველი თავადაზნაურობის მაშინდელი მდგომარეობა და სულისკვეთება კარგად ჩანს გრიგოლ ორბელიანის ერთი კერძო წერილიდან, სადაც ნათქვამია: „აქაური ამბავი არა არის რა მწუხარების მეტი. ყოველის მხრით ისმის კვნესა, ყოვლის თავადაზნაურის სახე არის მოღრუბლული გამწარებულის ფიქრებითა სილარიბისა გამო; მთლად ჩვენი საზოგადოება არის ჩაფლული გადუხდელს ვალში და გამომძსნელი არსად არის, არა თუ საქმით. ცარიელი სიტყვაც არ ისმის ნუგეშისცემისა. მთლად საქართველო იყიდება, და თუ გამოჩნდა ვინმე ფულიანი, ის დიახ. იაფად და ადვილად შეიქმნება ბატონად ქართლისა და კახეთისა"[5].

ზემონათქვამიდან ნათელია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში შეუჩერებლივ მიმდინარეობდა ფეოდალური მეურნეობიდან კაპიტალისტურზე გადასვლის პროცესი. მაგრამ ამ პროცესს ადგილი ჰქონდა არა მარტო მემამულეთა და მსხვილ ვაჭარ-მრეწველთა მეურნეობაში, არამედ აგრეთვე გლეხთა მეურნეობაშიც. ლენინი გვასწავლის, რომ სამაქონლო მეურნეობის განვითარებისას გლეხი მიწათმოქმედებაში, დამოუკიდებლად იმისა, სანადელო მიწაზე ეწევა იგი მეურნეობას თუ რომელიმე სხვა მიწაზე, წვრილ ბურჟუას წარმოადგენსო. სწორედ ასეთი იყო ამ პერიოდში ჩვენი გლეხობაც. ჯერ კიდევ რეფორმამდე, ხოლო განსაკუთრებით რეფორმისმომდევნო ხანაში საქართველოს გლეხური მეურნეობის ეკონომიკა აშკარად კაპიტალისტურ ნიშანთვისებებს ატარებდა. ამასთან, რაც უფრო ფართოდ ვითარდებოდა სასაქონლო მეურნეობა, მით უფრო სწრაფად

---

[5] იხ. ზუგდიდის მუზეუმის შრომები, ტ. 1, გვ. 323.

ხდებოდა გლეხობის დაშლა და გლეხური მეურნეობის ჩაბმა კაპიტალისტურ მეურნეობაში.

გლეხობის დაშლა. საშოვარზე ხიარული

შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და საქაჭრო-სასაქონლო მეურნეობის განვითარებასთან ერთად, მიმდინარეობდა გლეხობის დაშლა მდიდრებად და ღარიბებად. ქართველი გლეხობის დაშლის, ანუ ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი განსაკუთრებით გაღრმავდა რეფორმის შემდეგ, როცა მიწის მესაკუთრე გლეხობის მნიშვნელოვანი ფენა გაჩნდა.

თუ რამდენად დიდი იყო იმ დროს გლეხთა ქონებრივი უთანასწორობა, ეს კარგად ჩანს სახელმწიფო გლეხთა მიწათმფლობელობის მაგალითზე. 80-იან წლებში სახელმწიფო გლეხთა ერთ ნაწილს არა მარტო სახაზინო მიწები ჰქონდა თავის განკარგულებაში, არამედ საკუთრი (ნაყიდი) მიწებიც საკმაოდ გააჩნდა იმისათვის, რომ ოჯახის მოთხოვნილებაც დაეკმაყოფილებინა და ბაზარზეც მნიშვნელოვანი რაოდენობით გაეტანა პროდუქტები. ამავე დროს სახელმწიფო გლეხთა მეორე ნაწილს სრულიად არ გააჩნდა მიწა და იძულებული იყო ან მემამულეთა მიწა დაემუშავებინა იჯარით, კაბალური პირობებით, ან კიდევ საკუთარი მარჯვენა გაექირავებინა. გორის მაზრის სახელმწიფო გლეხთაგან 547 კომლს გააჩნდა საკუთარი (ნაყიდი) მიწა. მართალია, მათ უმრავლესობას საკუთარი მიწა 2 დესეტინაზე ნაკლები ჰქონდა. მაგრამ ათეულობით იყვნენ ისეთი გლეხებიც, რომლებსაც სახელმწიფო მიწებთან ერთად თითოეულს 10 დესეტინამდე და უფრო მეტიც ჰქონდათ საკუთარი მიწები. თბილისის მაზრის სოფელ მარტყოფში 203 კომლ სახელმწიფო გლეხს სულ არ ჰქონია სახაზინო მიწა და ისინი იძულებული იყვნენ იჯარით აეღოთ მემამულეთა მიწები. ამავე დროს ამ სოფლის 162 კომლ სახელმწიფო გლეხს ჰქონდა 3-დან 6 დესეტინამდე საკუთარი მიწა, 103 კომლს — 6-დან 12 დესეტინამდე მიწა. იყვნენ ისეთი კომლებიც, რომლებიც ფლობდნენ 15-დან 40 დესეტინამდე საკუთარ მიწას. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა მაზრებშიც. სულ თბილისის გუბერნიაში სახაზინო მიწა არ ჰქონდა 2034 კომლ სახელმწიფო გლეხს. ასევე ღრმად იყო ფეხგადგმული ქონებრივი უთანასწორობა ქუთაისის გუბერნიაში. შორაპნის მაზრაში 110 კომლი სახელმწიფო გლეხი სრულიად უმიწაწყლო იყო. 669 კომლს ერთ დესეტინაზე ნაკლები მიწა ჰქონდა, ხოლო 1987 კომლი 1-დან 2 დესეტინამდე მიწას ფლობდა. ამავე დროს, მაზრაში, რამდენიმე ასეულ გლეხს საკუთრად ჰქონდა 6-დან 10 დესეტინამდე მიწა, ხოლო 99 კომლს თითოეულს 10-დან 20 დესეტინამდე და უფრო მეტი მიწაც ჰქონდა. დაახლოებით ასეთივე სურათი იყო სხვა მაზრებშიც.

მაგრამ მდიდარი გლეხები მარტო მიწის შეძენით როდი კმაყოფილდებოდნენ; ისინი ფლობდნენ აგრეთვე დიდი რაოდენობით მუშა პირუტყვს და სასოფლო სამეურნეო ინვენტარს. 80-იან წლებში სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხთა 48 პროცენტს სულ არ ჰყავდა მუშა პირუტყვი, 1 346 კომლ გლეხს კი მხოლოდ თითო უღელი ხარი გააჩნდა; ამავე დროს მაზრაში 594 კომლ სახელმწიფო გლეხს თითოეულს 3—5 უღელი ხარი ჰყავდა, ხოლო 550 კომლს — თითოეულს 5—10 უღელი; ცოტა უფრო გვიან თელავის მაზრაში ითვლებოდა 11 354 გლეხური მეურნეობა, ამათგან 6 969 მეურნეობას, ანუ 61 პროცენტს, სრულიად არ გააჩნდა მუშა პირუტყვი. ამავე დროს ასობით იყვნენ ისეთი გლეხები, რომლებსაც 7—10 უღლამდე და უფრო მეტი ხარიც ჰყავდათ. ღარიბ გლეხებს არც სასოფლო-სამეურნეო იარაღები ჰქონდათ. 80-იან წლებში სოფელ ველისციხეში გუთანი ჰქონდა მხოლოდ 35 კომლს, ანუ სახელმწიფო გლეხთა 6 პროცენტს. ესენი იყვნენ სოფლის მდიდრები. თბილისის მაზრის სოფელ ლილოში 121 სახელმწიფო გლეხიდან გუთანი მთელი თავისი მოწყობილობით გააჩნდა მხოლოდ 2 კომლს.

გლეხთა ქონებრივ დიფერენციაციას ადგილი ჰქონდა არა მარტო ბარის სოფლებში, არამედ მთაშიც. აქ მეურნეობის მთავარ დარგს მეცხოველეობა წარმოადგენდა და გლეხის სიმდიდრეც შინაური ცხოველის (უმთავრესად ცხვრის) რაოდენობით გაიზომებოდა. 80-იან წლებში თიანეთის მაზრაში მრავალი იყო ისეთი გლეხი, რომელსაც 1000 სულზე მეტი ცხვარი ჰყავდა, ამავე დროს გლეხთა მნიშვნელოვან ნაწილს სრულიად არ ჰყოლია ცხვარი. მაგალითად, წოვათუშეთში 25 კომლს 500-ზე მეტი ცხვარი ჰყავდა თითოეულს, 8 კომლს — 1000-ზე მეტი თითოეულს, ხოლო 3 კომლს — 2 000-ზე. მეტი თითოეულს. ამავე დროს წოვათუშეთის 39 კომლს სულ არ ჰყოლია ცხვარი. ფარსმის საზოგადოებაში 124 კომლიდან 24 კომლს ცხვარი სრულიად არ ჰყოლია, ხოლო არტანის საზოგაოდებაში უცხვარო იყო კომლთა ნახევარი. ღარიბი მთიელები მდიდრების დაქირავებულ მწყემსებად მუშაობდნენ.

განსაკუთრებით მკვეთრად გლეხთა ქონებრივმა დიფერენციაციამ თავი იჩინა მესაკუთრე გლეხთა შორის. ბატონყმური დროებით ვალდებულებიდან თავდახსნილი გლეხის მეურნეობა არავითარი იურიდიული ნორმებით არ იყო შეზღუდული და მესაკუთრე გლეხი თავისი მიწის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი იყო. ამიტომაც მესაკუთრე გლეხთა მეურნეობაში უფრო შეუზღუდველად მოქმედებდნენ კაპიტალიზმის მგლური კანონები: ერთი მხრივ, ხდებოდა მიწისა და სხვა საწარმოო საშუალებების კონცენტრაცია და თავმოყრა ერთი მუჭა მდიდრების ხელში, ხოლო მეორე მხრივ, გლეხების დიდი ნაწილის

გაღატაკება, მისი მეურნეობის სრული გაჩანაგება; გადაუხდელი ვალებისათვის გლეხს ახლა ველარავინ დაიყმევებდა. მაგრამ სამაგიეროდ, გაღატაკებული გლეხი ჰკარგავდა მიწას და სხვა საწარმოო საშუალებებს, ხდებოდა გლეხობის ექსპროპრიაცია.

ასე გაჩნდა საქართველოს სოფელში ახალი სოციალური ტიპები: **სოფლის ბურჟუაზია ანუ კულაკობა** და **სოფლის მეურნეობის პროლეტარიატი**, რომლებიც კაპიტალისტური საზოგადოების კლასებს წარმოადგენენ.

კულაკებმა თავიანთ ხელში მნიშვნელოვან სიმდიდრეს მოუყარეს თავი. ისინი ფლობდნენ დიდი რაოდენობით მიწას, როგორც საკუთარს, ისე მემამულეებისაგან იჯარით აღებულს, აგრეთვე მუშა პირუტყვს, სასოფლო სამეურნეო ინვენტარს, მიწათმოქმედების პროდუქტებს, ნედლეულის გადასამუშავებელ საწარმოებს, წისქვილებს, სოფლის დუქნებს და ა. შ. ღარიბი გლეხებისა და მოჯამაგირეების სასტიკი ექსპლოატაციით კულაკები დიდი რაოდენობით ამზადებდნენ ბაზარზე გასატანად პროდუქტებს, აგრეთვე ეწეოდნენ მევახშეობას და ყოველნაირად წოვდნენ სისხლს ღარიბ და საშუალო გლეხობას.

სოფლის პროლეტარიატი მოკლებული იყო საწარმოო საშუალებებს. მას, უკეთეს შემთხვევაში, მიწის მცირე ნაკვეთი და სრულიად უმნიშვნელო მეურნეობა გააჩნდა, რის გამო იძულებული იყო თავისი სამუშაო ძალა გაეყიდა, მოჯამაგირედ დამდგარიყო და მით ეარსებნა. დაახლოებით ასეთსავე მდგომარეობაში იყო სოფლის ღარიბი გლეხობა, რომელსაც მიწის პატარა ნაკვეთთან ერთად მცირეოდენი პირუტყვიც ჰყავდა. ღარიბი გლეხი ნახევრადპროლეტარს წარმოადგენდა. მას, ისევე, როგორც სოფლის პროლეტარს, არ ყოფნიდა თავისი პური და სიმინდი, რის გამო იძულებული იყო საკუთარი მარჯვენის გაქირავებით ეშოვნა დამატებითი საზრდო. 80-იან წლებში სიღნაღის მაზრაში მცხოვრები ღარიბი გლეხის გერმანე კოჭლამაზაშვილის მეურნეობის მთელი წლიური შემოსავალი 136 მანეთს შეადგენდა, ოჯახის აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კი მას გაცილებით მეტი სახსრები სჭირდებოდა. ამიტომ ეს გლეხი იძულებული იყო ქირაზე ემუშავნა. ამავე დროს მის მეზობელს კულაკს გიგია კოჭლამაზაშვილს ყოველწლიურად ბაზარზე გასაყიდად გაჰქონდა 3 200-ზე მეტი მანეთის მეცხოველეობის პროდუქტები: სახორცე პირუტყვი, ყველი, კარაქი, მატყლი და სხვ. ქონებრივი უთანასწორობის ასეთი სურათი დამახასიათებელი იყო მთელი მაშინდელი საქართველოსათვის.

კულაკებსა და ღარიბ გლეხობას შორის შუალედურ რგოლს წარმოადგენდა საშუალო გლეხობა, რომელიც მეურნეობას პირადი შრომითა და საკუთარი საწარმოო საშუალებებით ეწეოდა. მართალია, ასე-

თი გლეხი ხელსაყრელ პირობებში ახერხებდა ოჯახის უზრუნველყოფას აუცილებელი რაოდენობის პროდუქტებით, მაგრამ მისი მდგომარეობა არამტკიცე და მერყეევი იყო. საშუალო გლეხობა განიცდიდა დაშლას. მისი ძალიან მცირე ნაწილი მდიდრდებოდა და კულაკად გადაქცევას ახერხებდა, დიდი ნაწილი კი ღარიბი გლეხობის დონეზე ქვეითდებოდა. გლეხობის დაშლა საშუალო გლეხობის ხარჯზე საფუძველს უთხრიდა მემამულეთა ფეოდალურ-ბატონყმურ მეურნეობას და აჩქარებდა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას, რამდენადაც მდიდარი გლეხი, რომელსაც საშუალება ჰქონდა მემამულის მიწა ფულადი იჯარით აეღო, უარს ამბობდა შრომამიგების კაბალურ პირობებზე, გალატაკებული გლეხი კი, რომელსაც მუშა პირუტყვი და ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი არ გააჩნდა, შრომამიგების სისტემისათვის აღარ გამოდგებოდა და ის დაქირავებულ მუშად იქცეოდა.

თუ რამდენად შორს წავიდა საქართველოს სოფელში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება და გლეხთა ძირითადი მასების გაღატაკება რეფორმის შემდეგ, ამას მოწმობს გლეხების მასობრივი გასვლა საშოვარზე, ე. ი. მათი გადაქცევა დაქირავებულ მუშებად. კაპიტალიზმმა ყველაფერი ყიდვა-გაყიდვის საგნად აქცია. ექსპროპრიაციაქმნილ გლეხობას, რომელსაც გასაყიდი არაფერი ჰქონდა, ისღა დარჩენოდა, რომ თავისი სამუშაო ძალა გაეტანა ბაზარზე. სოფლის პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული მასების ერთი ნაწილი ისევ სოფლის მეურნეობაში რჩებოდა მოჯამაგირედ ან დროებით დაქირავებულ მუშად, მეორე ნაწილი კი იძულებული იყო თავის სახლკარს მოშორებოდა და სამუშაო ეძებნა სხვადასხვა ქალაქებში, სამრეწველო ადგილებში, რკინიგზებზე, ნავსადგურებში და ა. შ. თუ გლეხი საშოვარზე თავისი მაზრიდან სხვაგან წავიდოდა, მას პასპორტი უნდა აეღო. გაცემული პასპორტების რიცხვის მიხედვით მარტო 1892 წელს რაჭის მაზრიდან საშოვარზე წასულა 6 635 კაცი. ზუგდიდის მაზრიდან — 4 220, ხოლო ქუთაისის მაზრიდან 3 477 კაცი. სულ ქუთაისის გუბერნიიდან ამ წელს საშოვარზე წასულა 21 059 კაცი. სინამდვილეში საშოვარზე წასულთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო, რადგან ბევრი გლეხი უპასპორტოდ მიდიოდა. ამ დროს ქართველ გლეხს ნახავდით არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიის ქალაქებში, არამედ რუსეთის ბევრ ქალაქსა და ნავსადგურშიც.

ლუკმაპურის საძებრად სოფლიდან გადმოხეთქილი გაჭირვებული გლეხები არავითარ სამუშაოს არ ერიდებოდნენ. ნაწილი ფაბრიკებსა და ქარხნებში ეწყობოდა, დანარჩენები კი სხვადასხვაგვარ სამუშაოს ასრულებდნენ: მუშაობდნენ ტვირთის მზიდავებად, ხუროებად, ქვისმთლელებად, მეპურეებად, მზარეულებად, წყლის მზიდავებად (თუ-

ლუხჩებად), მენახშირეებად და ა. შ. ათასობით გლეხი ჩაბმული იყო ხე-ტყის მრეწველობაში. მარტო გორის მაზრიდან ხე-ტყის წარმოებაში 1892 წელს ჩაბმული იყო 2 984 კაცი; ხე-ტყის დამზადება-დაცურებაზე ბევრი გლეხი მუშაობდა აგრეთვე ლეჩხუმის, რაჭის, ქუთაისის ოზურგეთისა და სხვ. მაზრებში. გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეწეოდა ცხენებითა და ხარებით ტვირთის გადაზიდვას. მარტო ახალქალაქის მაზრაში 1886 წელს ფურგონით, ურმითა და საპალნე ცხენით ტვირთის ზიდვას ეწეოდა 2 050 კაცი. მეფურგონეები, მეურმეები და ჩალვადრები დიდი რაოდენობით ეზიდებოდნენ სხვადასხვა ტვირთს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის ქალაქებსა და მსხვილ სამრეწველო ცენტრებში. შორაპნის მაზრის გლეხებისათვის, განსაკუთრებით ჰიათურის რკინიგზის საზის გაყვანამდე, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მარგანეცის ზიდვას ურმებით. მარგანეცის გადამზიდაობა ამ მაზრაში გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა.

საშოვარზე გასული გლეხების ცხოვრების პირობები ძალიან მძიმე იყო. ხშირად მათ არ გააჩნდათ თავშესაფარი და ღია ცის ქვეშ ათევდნენ ღამეს. მუშაობდნენ თავის დაზოგვით. ყოველგვარ ამინდში, იკვებებოდნენ მარტო შავი პურით, იტანდნენ ათასგვარ გაჭირვებას. სწორედ მათ მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავი ლექსი „მუშა“, რომელშიც რეალისტურად, ცხოვრების დიდი ცოდნით არის დახატული საშოვარზე წასული გაღატაკებული ქართველი გლეხის ცხოვრება.

ბაზრის გაფართოება და სავაჭრო მოძრაობის ზრდა. საკრედიტო სისტემის განვითარება

ბაზარი საქართველოში, ისე როგორც სხვა ქვეყნებშიც, გაჩნდა შრომის საზოგადოებრივი განაწილებისა და სასაქონლო წარმოების გაჩენასთან ერთად, როგორც ამ მოვლენების პირდაპირი შედეგი და გამოხატულება. კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ბაზარიც, იზრდებოდა ვაჭრობა. სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა და გლეხობის დაშლა განუწყვეტლივ ქმნიდა და აფართოებდა შინაურ ბაზარს კაპიტალიზმისათვის.

60-იანი წლების მეორე ნახევარში მარტო თბილისში სამი ათასამდე დუქანი და სავაჭრო დაწესებულება ითვლებოდა (მათ შორის იყო 17 ქარვასლა). ამ დროს თბილისის საშინაო ვაჭრობის წლიური მოცულობა უდრიდა 8 251 000 მანეთს. განუხრელად ვითარდებოდა ვაჭრობა საქართველოს სხვა ქალაქებშიც. ჯერ კიდევ 1860 წელს გაზეთ „კავკაზი“ ქუთაისის შესახებ წერდა, მისი ბაზარი სავსეა ხალხით, რომელიც ახლო-მახლო სოფლებიდან მოტანილი სხვადასხვა ადგილობრივი პროდუქტით ვაჭრობსო. თბილისსა და ქუთაისს გარდა, სამი-

ნაო ვაჭრობის ყველაზე დიდი ცენტრები იყო ქალაქები: ბათუმი, სოხუმი, გორი, ახალციხე. ოზურგეთი. უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პუნქტები იყო აგრეთვე დასავლეთ საქართველოში: ზუგდიდი, ხონი, სამტრედია, ოჩამჩირე, გუდაუთი, სენაკი, ზესტაფონი, ჭიათურა, საჩხერე, ტყიბული, ონი, ამბროლაური, ლაილაში, ცაგერი, ჩოხატაური, ლანჩხუთი, ქობულეთი ჯიხაიში, ანაკლია და სხვ. ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში: ცხინვალი, თელავი, სიღნაღი, ხაშური, სურამი, ახალქალაქი, მცხეთა, მუხრანი, ანანური, ფასანაური, დუშეთი, თიანეთი და სხვ.

ახალქალაქის, გორისა და სიღნაღის მაზრებიდან ბაზარზე გამოდიოდა უმთავრესად ხორბლის მარცვლეული და ფქვილი; ზუგდიდისა და სენაკის მაზრებიდან — სიმინდი; თელავის, ქუთაისის, შორაპნისა და რაჭის მაზრებიდან — ღვინო და მევენახეობის სხვა პროდუქტები; სოხუმის ოლქიდან — თამბაქო; გორისა და ახალციხის მაზრებიდან—ხილი; თიანეთის, დუშეთისა და სხვა მთიანი ზონის მაზრებიდან — მეცხოველეობის პროდუქტები და ა. შ. ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ყოველი კუთხე ჩაება გაცხოველებულ ალებ-მიცემობაში.

სახალხო-კაპიტალისტური მეურნეობის განუხრელმა განვითარებამ გამოიწვია არა მარტო საშინაო, არამედ აგრეთვე საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი გაფართოება. საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ჩაბმას მსოფლიო სავაჭრო ბრუნვაში აჩქარებდა ამავე პერიოდში რუსეთში კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება. ვ. ი. ლენინი სამართლიანად მიუთითებდა, რომ „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საკონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის"[6]. ამის შედეგად XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ბაზარი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის ბაზართან და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ვაჭრობაში.

საქართველოს ვაჭრობა ეროვნული ბაზრის ფარგლებს ფართო მასშტაბით გასცილდა ჯერ კიდევ რკინიგზების გაყვანამდე, — 50—60-იან წლებში. საქართველოს დედაქალაქი თბილისი, რომელიც იმ დროს ამიერკავკასიის სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა, მთელს რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სამრეწველო ქალაქი იყო. 60-იანი წლების მეორე ნახევარში თბილისის საგარეო ვაჭრობის წლიური მოცულობა უდრიდა 9 500 000

---

[6] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

მანეთს. თბილისის საეკრო ბრუნვაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა რუსეთთან ვაჭრობას. 60-იან წლებში ყოველწლიურად თბილისში რუსეთიდან შემოჰქონდათ დაახლოებით 3 500 000 მანეთის საქონელი, ხოლო თბილისიდან რუსეთში გაჰქონდათ დაახლოებით 1 000 000 მანეთის საქონელი. თბილისელი ვაჭრები რუსეთის საქონელს ყიდულობდნენ უმთავრესად ნიჟეგოროდის ბაზრობაზე. აგრეთვე ბოსკოვში, ხარკოვში, ტულაში, ვორონეჟში, ოდესაში, პოლტავაში და სხვა დიდ ქალაქებში. რუსეთის საქონელი საქართველოში რკინიგზების გაყვანამდე უმეტესწილად შემოდიოდა მდინარე ვოლგის გზით ქ. ასტრახანამდე. აქედან კასპიის გზით და ხმელეთით ქ. ვლადიკავკაზამდე (ახლანდელი ორჯონიკიძე), შემდეგ კი საქართველოს სამხედრო გზით თბილისამდე. შემოჰქონდათ უმთავრესად: მანუფაქტურა, რკინის ნაკეთობანი, სპილენძის, ფაიფურისა და მინის ჭურჭლეულობა, პურის არაყი, ჩაი, სანთელი, პარფიუმერია და სხვ.

ფართოდ იყო გაჩაღებული ვაჭრობა აგრეთვე ევროპისა და აზიის სახელმწიფოებთან. 60-იან წლებში ევროპის სახელმწიფოებიდან თბილისში ყოველწლიურად შემოჰქონდათ დაახლოებით 2 000 000 მანეთის საქონელი, ხოლო თბილისიდან ევროპის სახელმწიფოებში გაჰქონდათ დაახლოებით 900 000 მანეთის საქონელი. იმავე ხანებში აზიის სახელმწიფოებიდან (უმთავრესად ირანიდან და თურქეთიდან) თბილისში ყოველწლიურად შემოჰქონდათ დაახლოებით 800 000 მანეთის საქონელი. ხოლო თბილისიდან აზიის სახელმწიფოებში გაჰქონდათ—1 300 000 მანეთის საქონელი. ევროპულ საქონელს ყიდულობდნენ უმთავრესად ისეთ დიდ საეკრო-სამრეწველო ცენტრებში, როგორიცაა: ლონდონი, პარიზი, მარსელი, ჰამბურგი, ლაიფციგი, ტრიესტი და სხვ. ევროპის საქონელი თბილისში შემოჰქონდათ უმთავრესად ჯერ ფოთის ნავსადგურიდან, ხოლო აჭარის შემოერთების შემდეგ აგრეთვე ბათუმის ნავსადგურიდან. აზიის სახელმწიფოებიდან საქონელი შემოდიოდა უმთავრესად თბილის-ერევნისა და თბილის-ბაქოს გზებით, ამასთან ერთად თურქეთთან ვაჭრობაში დიდ როლს ასრულებდა ახალციხის გზა, აგრეთვე საზღვაო გზა ტრაპიზონსა და ბათუმ-ფოთს შორის.

საქართველოს საშინაო და საგარეო ვაჭრობის მოცულობა განსაკუთრებით მკვეთრად იზრდება 70-იანი წლებიდან, რაც შედეგი იყო რკინიგზების მშენებლობისა და საფაბრიკო-საქარხნო ინდუსტრიის განვითარებისა. თუ რამდენად სწრაფად ვითარდებოდა ვაჭრობა, ეს კარგად ჩანს რკინიგზებზე ტვირთბრუნვის გადიდების უაღრესად მაღალი ტემპებით. 1874 წელს ამიერკავკასიის რკინიგზებით გადატანილი იქნა 9 843 000 ფუთი ტვირთი, 1879 წელს — 30 149 000 ფუთი. 1884 წელს — 61 112 000 ფუთი, 1889 წელს — 108 817 000 ფუთი,

ხოლო 1894 წელს — 149 538 000 ფუთი. ვაჭრობის სწრაფი ზრდის მაჩვენებელია აგრეთვე საქართველოს სამრეწველო ქალაქებში სავაჭრო ბრუნვისა და ტვირთბრუნვის არაჩვეულებრივი გადიდება. 1890 წლისათვის ქალაქ თბილისის სავაჭრო ბრუნვამ 37 500 000 მანეთს მიაღწია. ფოთის ნავსადგურიდან 80-იან წლებში საქონლის გატანა-შემოტანა 7,5 მილიონ ფუთს უდრიდა, 90-იან წლებში კი 30 მილიონ ფუთს მიაღწია. ბათუმის ნავსადგურიდან საქონლის გატანა-შემოტანა 1893 წელს 59 მილიონ ფუთს უდრიდა, 1898 წელს კი 79 მილიონ ფუთამდე ავიდა.

ვაჭრობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა საკრედიტო სისტემაც. თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ერთადერთი საკრედიტო დაწესებულება ჩვენში ე. წ. საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზი იყო, მეორე ნახევარში საკრედიტო დაწესებულების რიცხვმა საქართველოში რამდენიმე ათეულს მიაღწია. 1866 წელს გაიხსნა რუსეთის სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა. 70-იან წლებში ზედიზედ იხსნება „საურთიერთო კრედიტის თბილისის საზოგადოება", თბილისის კომერციული ბანკი, სათავადაზნაურო ბანკები თბილისსა და ქუთაისში, „საურთიერთო კრედიტის (ნდობის) საზოგადოებანი" თბილისსა და ფოთში, ი. ჩითაზოვის, ი. ემინოვის, ივ. კონსტ. მუხრან-ბატონისა და სხვათა კერძო ბანკები. 1880 წელს თბილისში არსებული მარტო სამი უმსხვილესი საკრედიტო დაწესებულების საერთო წლიურმა ბრუნვამ 668 მილიონ მანეთს მიაღწია.

ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი 70-იანი წლებიდან მოკიდებული, საქართველოში კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად უმაგალითო სისწრაფით ხდება როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრის გაფართოება და სავაჭრო მიმოქცევის ზრდა, ჩნდება მრავალი საკრედიტო დაწესებულება, იზრდება ფულის ტრიალი, ვაჭრობაში ებმება საქართველოს ყველაზე მიყრუებული კუთხეებიც კი.

ასე შეაკავშირა კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოს სხვადასხვა კუთხე ერთ მთელად და დაუკავშირა ის მსოფლიო ბაზარს. სამიწათმოქმედო კაპიტალიზმმა საფუძვლიანად შეარყია საქართველოს სოფლის მეურნეობის საუკუნეობრივი უძრაობა და მძლავრი ბიძგი მისცა საწარმოო ძალების განვითარებას. ოდესღაც კარჩაკეტილი და ფეოდალური ქვეყანა, რომელიც დაბალი კულტურის მქონე მუსლიმანურმა სახელმწიფოებმა მრავალი საუკუნით მოსწყვიტეს ცივილიზებულ ქვეყნებებს, რუსეთთან მჭიდრო კავშირის მეოხებით კვლავ დაუახლოვდა ევროპის მოწინავე ქვეყნებს და აქტიურად ჩაება საერთაშორისო ეკონომიურ ცხოვრებაში.

მართალია, რუსეთის მთავრობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ატარებდა უხეშ კოლონიურ პოლიტიკას, რითაც კიდევ უფრო

ამწვავებდა კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს და აძლიერებდა მშრომელი ხალხის ძარცვას, მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოს განვითარება კაპიტალიზმის გზით და მისი ეკონომიური ცხოვრების უშუალოდ დაკავშირება რუსეთსა და ევროპის სახელმწიფოების ცხოვრებასთან, უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პროგრესული მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

§ 3. რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომი და მასში ქართველი ხალხის მონაწილეობა

რუსეთ-თურქეთის ომის დაწყება. საომარი მოქმედებანი ამიერკავკასიაში

ბურჟუაზიულმა რეფორმებმა, მიუხედავად მათი ნახევრულობისა, გზა გაუხსნა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებას და ხელი შეუწყო რუსეთის სახელმწიფოს გაძლიერებას. რეფორმები გატარდა აგრეთვე რუსეთის არმიაში. 1874 წლიდან შემოღებული იქნა საყოველთაო სამხედრო ბეგარა, რამაც საგრძნობლად გააძლიერა არმიის ბრძოლისუნარიანობა. მიუხედავად ამისა, რეფორმის მომდევნო ხანაში რუსეთი ტექნიკურ-ეკონომიურად ჯერ კიდევ ჩამორჩენილი სახელმწიფო იყო. არმიის რეორგანიზაციაც დამთავრებული არ იყო.

რუსეთის ეკონომიური გაძლიერება და მისი საგარეო ვაჭრობის ზრდა, რასაც თან სდევდა რკინიგზების განსაკუთრებით სწრაფი მშენებლობა რუსეთის სამხრეთში, განსაზღვრავდა მეფის მთავრობის საგარეო პოლიტიკის აქტიურობას ბალკანეთისა და შაის ზღვის მიმართულებით. 70-იან წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, განემტკიცებინა რუსეთის ეკონომიური და სამხედრო პოზიციები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ხოლო მეორე მხრივ, გაექარწყლებინა პარიზის 1856 წლის დამამცირებელი ხელშეკრულების მნიშვნელობა და მიეღწია იმისათვის, რომ სრუტეების კარები გაღებულიყო რუსეთისათვის. ამით აიხსნება, რომ რუსეთის მთავრობა მხარს უჭერდა ბალკანეთში მცხოვრებ სლავ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც მიმართული იყო საძულველი თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ.

1875 წელს თურქეთის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო ბალკანეთის ორ პროვინციაში — ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, რომლებშიც მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ სლავური მოდგმის ხალხი — სერბიელები. მალე თურქეთის წინააღმდეგ აჯანყების დროშა ალმართა აგრეთვე ბულგარელმა ხალხმა. თურქეთმა აჯანყებულთა

წინააღმდეგ დიდი სამხედრო ძალა გამოიყვანა და სისხლში ახრჩობდა სლავი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. აჯანყებულთა მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. რუსეთის დახმარებამ მათ მიმართ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, რადგან თურქეთის ზურგს უკან იდგა ინგლისი, რომელიც აქტიურად ეხმარებოდა თურქეთს და აქეზებდა მას რუსეთის წინააღმდეგ ომი დაეწყო; ინგლისს ეშინოდა რუსეთის გაძლიერებისა და ყოველნაირად ცდილობდა, რომ არ გაეშვა იგი ხმელთაშუაზღვისაკენ. მაგრად ჩაეკეტა სრუტეები. რუსეთის წინააღმდეგ ფარულად მოქმედებდა აგრეთვე ავსტრია-უნგრეთი, რომელსაც თვითონ სურდა ბალკანეთში გაბატონება. ასეთ პირობებში წათამამებული თურქეთის სულთანი აბდულჰამიდი არავითარ დათმობაზე არ მიდიოდა და რუსეთი იძულებული გახდა ომი დაეწყო. 1877 წლის 12 (24) აპრილს ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყების შესახებ. იმავე დღეს რუსეთის ჯარებმა გადალახეს თურქეთის საზღვრები როგორც ევროპაში — ბალკანეთის მიმართულებით, ისე ამიერკავკასიაში.

ომის მთავარი ასპარეზი იყო ბალკანეთში. იქ მოქმედებდა რუსეთის ე. წ. დუნაის არმია, რომელშიც 257 ათასი კაცი ითვლებოდა. ეს არმია სწრაფად მიადგა მდინარე დუნაის, მაგრამ გაზაფხულზე ამ მდინარის გადალახვა შეუძლებელი იყო. რუსეთს ჯარებმა დუნაის გადალახვა მოახერხეს მხოლოდ ივნისში. ამ დროიდან დაიწყო ბალკანეთის ფრონტზე აქტიური სამარი მოქმედება. ამიერკავკასიაში კი რუსეთის ჯარებმა ომის პირველსავე ეტაპზე მოიპოვეს მნიშვნელოვანი გამარჯვებები. კავკასიის არმიამ, რომელშიც 70 ათასი კაცი ითვლებოდა, სასტიკი დამარცხებები აგემა თურქეთის ე. წ. ანატოლიის არმიას.

კავკასიის ჯარები გაყოფილი იყო ორ მთავარ ჯგუფად: პირველი ჯგუფი, ანუ ე. წ. მოქმედი კორპუსი, განლაგებული იყო ფრონტის ხაზზე ახალციხიდან არარატამდე და აწარმოებდა შეტევით ოპერაციებს; მეორე ჯგუფი კი, რომელიც რიონისპირა მხარის ჯარებს სახელწოდებას ატარებდა, განლაგებული იყო დასაელეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მისი ამოცანა იყო ბათუმის დაკავება და შავი ზღვის სანაპიროს დაცვა იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი ზღვიდან დესანტს გადმოსხამდა. გარდა ამისა, ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი განლაგებული იყო ალაზნის ველზე.

შემტევმა ჯარებმა აპრილშივე დაიკავეს ქ. ბაიაზეთი და მთელი ბაიაზეთის დაბლობი, აგრეთვე. ქ. ყალზევანი (ქაგიზმანი) და მრავალი სხვა დასახლებული პუნქტი. მაისში თურქებმა სადესანტო ჯარები გადმოსხეს სოხუმსა და ოჩამჩირეში და ამრიგად, ახალი ფრონტი გახსნეს. მიუხედავად ამისა, კავკასიის არმიის შეტევა წარმატებით

გრძელდებოდა. 5 მაისს რუსეთის ჯარებმა იერიშით აიღეს ქალაქი და მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე არტაანი. ამავე დროს ალყა შემოარტყეს თურქეთის უძლიერეს სიმაგრეს ქ. ყარსს. ბათუმის მიმართულებითაც რუსეთის ჯარები წინ მიიწევდნენ. თურქები მთელ ფრონტზე უკან იხევდნენ. მაგრამ ივნისში მდგომარეობა შეიცვალა. თურქეთმა კავკასია-მცირე აზიის ფრონტზე დამხმარე ძალები გადმოისროლა და რუსების შეტევა შეაჩერა. რუსეთის სარდლობა იძულებული გახდა ყარსის ალყა მოეხსნა და თავდაცვაზე გადასულიყო. ამავე დროს თურქებმა, რომლებსაც აქტიურად ეხმარებოდნენ ინგლისელები, გააძლიერეს შემოტევა აფხაზეთის მხრიდან. ივნისში გააფრთებული ბრძოლები მიმდინარეობდა მდინარე კოდორისა და ოჩამჩირის მიდამოებში. ოჩამჩირე ორჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. თურქების წინააღმდეგ ამ რაიონში მოქმედი ინგურის რაზმის გასაძლიერებლად რუსეთის სარდლობამ დამხმარე ძალები გაგზავნა. ივლისის შუა რიცხვებში თურქეთის ჯარი დამარცხებული იქნა და იძულებული გახდა სოხუმისაკენ დაეხია. 20 აგვისტოს რუსეთის ჯარებმა იერიშით დაიკავეს სოხუმი და აფხაზეთის ტერიტორია გაწმინდეს თურქებისაგან.

აფხაზეთში გადმოსხმულ სადესანტო ჯარებზე თურქეთი და მის ზურგს უკან მდგომი ინგლისი დიდ იმედებს ამყარებდნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ თურქების გამოჩენა აფხაზეთში გამოწვევდა საყოველთაო აჯანყებას რუსების წინააღმდეგ არა მარტო აფხაზეთში, არამედ ჩეჩნეთსა და დაღესტანშიც. მაგრამ მათი იმედი არ გამართლდა. მართალია, თურქეთის მრავალრიცხოვანმა აგენტებმა მოახერხეს აქაიქ უკმაყოფილო ელემენტების გადაბირება, მაგრამ მშრომელი გლეხობის დიდმა ნაწილმა მათ მხარი არ დაუჭირა და საყოველთაო აჯანყების მოწყობის ცდები ჩაიფუშა. მიუხედავად ამისა, რუსეთის სარდლობა იძულებული იყო სიფრთხილის ზომები მიეღო და თურქეთის აგენტების საქმიანობის ასალაგმავად თაეისი ჯარების საგრძნობი ნაწილი დაებანდებინა ზურგში. ალაზნის ველზე განლაგებულმა ჯარის ნაწილებმა, რომელსაც გენერალი ანდრონიკაშვილი მეთაურობდა. კახეთის გლეხობის აქტიური მხარდაჭერით, სექტემბერ-ოქტომბერში გაანადგურა დაღესტნის მთიელთა ჯგუფები. რომლებიც თურქი აგენტების პროვოკაციას აჰყვნენ, იარაღი აისხეს და საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ.

ამრიგად, თურქეთის ძლიერმა სადესანტო არმიამ და მის მა დამხმარე მრავალრიცხოვანმა აგენტურამ სრული მარცხი განიცადა. სექტემბრის მეორე ნახევარში ფრონტზე მოქმედმა კორპუსმა, რომელსაც გენერალი ლორის-მელიქოვი მეთაურობდა, განაახლა აქტიური საომარი მოქმედება. 3 ოქტომბერს მოხდა დიდი ბრძოლა ქ. ყარსის ახლოს ალაჯა-ავლიარის მიდამოებში. ანატოლიის ნაქები არმია, რო-

შელსაც მუხთარ-ფაშა მეთაურობდა, განადგურდა. ამ არმიის გადარჩენილი სამი დივიზია რუსებს ტყვედ ჩაუვარდა. ეს იყო რუსეთის არმიის დიდი გამარჯვება, რომელიც გადამწყვეტი მნიშვნელობის აღმოჩნდა. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ იქნა დაწყებული ყარსის ხელახალი გარემოცვა. რასაც მამაცი გენერალი ლაზარევი ხელმძღვანელობდა. 5 ნოემბერს, ღამით დაიწყეს გმირული იერიში მცირე ასიის უძლიერესი ციხე-სიმაგრის ყარსის ასაღებად. რუსმა ჯარისკაცებმა უმაგალითო სიმამაცე გამოიჩინეს და უკვე მეორე დილას ყარსი აღებული იყო.

ამ დამარცხებამ თავზარი დასცა თურქეთის მთავრობას. ამავე დროს ყარსის აღებამ ხელი შეუწყო რუსეთის არმიის წარმატებებს ომის მთავარ ასპარეზზე. 28 ნოემბერს დაეცა თურქეთის უდიდესი სიმაგრე ბალკანეთში პლევნა. რუსეთის არმიამ 20-გრადუსიან ყინვაში გადალახა ბალკანეთის მთები და დაიწყო ფართო შეტევა თურქეთის დედაქალაქ კონსტანტინოპოლის მიმართულებით. რუსეთის ჯარებმა ზედიზედ სასტიკად დაამარცხეს მოწინააღმდეგის არმიები. მაღე თურქეთის წინააღმდეგობა გატეხილ იქნა. 1878 წლის იანვარში თურქეთმა იარაღი დაყარა და ზავი ითხოვა.

ომმა გვიჩვენა რუსეთის ტექნიკურ-ეკონომიური და სამხედრო მოუმზადებლობა. რუსეთის ჯარი მოწინააღმდეგეზე უფრო ცუდად იყო შეიარაღებული, არ იყო საკმარისი რაოდენობით ვაზნებიც კი: მიუხედავად ამისა, რუსი ჯარისკაცის სიმამაცემ უზრუნველყო რუსული იარაღის კიდევ ერთი შესანიშნავი გამარჯვება.

ქართველი ხალხის მონაწილეობა ომში თურქეთის წინააღმდეგ

რუსეთის გამარჯვებას თურქეთზე დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ რუსეთის არმიას როგორც ბალკანეთში, ისე ამიერკავკასიაში აქტიურად უჭერდა მხარს ადგილობრივი მოსახლეობა. ბალკანეთის სლაველები, ისევე როგორც ქართველებისა და სომხების მნიშვნელოვანი ნაწილი. იმ დროს თურქეთის ბატონობის მძიმე უღელქვეშ იტანჯებოდნენ, რის გამოც ამ ხალხებისათვის რუსეთ-თურქეთის ომმა სახალხო-განმათავისუფლებელი ომის ხასიათი მიიღო. ამით აიხსნება, რომ ქართველი ხალხი ყოველნაირად ეხმარებოდა რუსეთის არმიას როგორც ზურგში, ისე ფრონტზე. ამ ომში მრავალმა ქართველმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა გვიჩვენა გმირობისა და თავდადების ნიმუშები.

თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას კმაყოფილებით შეხვდა არა მარტო მეფის ერთგული ქართველი თავადაზნაურობა, არამედ მთელი ქართველი ერი. სხვანაირად შეუძლებელი იყო, რადგან ქართველებს კარგად ახსოვდათ ის ნგრევა, აწიოკება და დაუსრულებელი

ტანჯვა, რომელსაც მათი სამშობლო თურქი დამპყრობლებისგან მძიმე საუკუნეთა განმავლობაში განიცდიდა. გარდა ამისა, ქართველები ამ ომს უკავშირებდნენ თავიანთი დიდი ხნის ოცნების განხორციელებას: თურქეთის მიერ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიასა და იქ მცხოვრები თანამოძმე ქართველების განთავისუფლებას.

თუ რამდენად ერთსულოვანი იყო ქართველი ხალხის დახმარება და მხარდაჭერა რუსეთის არმიისადმი, ამას გვიჩვენებს ომის დროს ქართველი გლეხობისა და ქალაქების ღარიბი მოსახლეობის თავდადების მრავალრიცხოვანი მაგალითები. როდესაც მთავრობა შეუდგა ქართული ლაშქრის (მილიციის) საჭარისო ნაწილების შედგენას, გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ხალისით და თავისი სურვილით ეწერებოდა ლაშქარში. გაზეთი „დროება“ იტყობინებოდა, რომ შორაპნის მაზრაში მთავრობის მოთხოვნილებით ყოველ ას გლეხზე ორი კაცი უნდა გაეწვიათ ლაშქარში, მაგრამ სინამდვილეში ჯარში წასვლის მსურველი ყოველ ას გლეხზე ოცი გლეხი აღმოჩნდაო. განსაკუთრებით ბევრი მსურველი ჯარში წასვლისა იყო გურიის გლეხობაში. რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წწ. ომის მონაწილე ი. მაყაშვილი. რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა გურიის ლაშქრის საბრძოლო დამსახურებას, გადმოგვცემს, რომ ახალგაზრდები ცრემლმორეულნი ითხოვდნენ დაუყოვნებლივ ჩაერიცხათ ისინი ჯარში. მარტო ოზურგეთის მაზრამ გამოიყვანა 4 000 ახალგაზრდა მოლაშქრე. ჯარში თავისი ნებით შემსვლელთა რიცხვი დიდი იყო აგრეთვე თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში. ახალციხის ქალაქის მოსახლეობამ საკუთარი ინიციატივით შეადგინა ლაშქარი და შეაგროვა მნიშვნელოვანი ფულადი სახსრები მის შესაიარაღებლად. სულ საქართველოში შედგენილი იყო მოლაშქრე მილიციელთა 102 ასეული, რომლებშიც 18 395 კაცი ითვლებოდა. მათში 63 ასეული ქვეითი ჯარი იყო, ხოლო 39 ასეული — ცხენოსანი. ამასთან ერთად არსებობდა ე. წ. საერობო დაცვა, რომელშიც 1 800 შეიარაღებული კაცი ითვლებოდა. გარდა ამისა, ქალაქებში და ფრონტისპირა სოფლებში მოსახლეობის (გლეხობის, ხელოსნების და სხვ.) შეიარაღებული რაზმები ეწეოდნენ საყარაულო სამსახურს. სულ საქართველოში რუსეთ-თურქეთის ომის დროს თოფქვეშ იყო არა ნაკლებ 25 ათასი კაცისა.

ქართული ლაშქრის (მილიციის) ნაწილები ფრონტზე მამაცურად იბრძოდნენ რუსეთის არმიის რეგულარული ნაწილების მხარდამხარ. ბათუმის მიმართულებით წარმოებულ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლებში თავი ისახელეს პირველი და მეორე ქვეითი ქართული ლაშქრის ნაწილებმა, რომლებშიც ქართლ-კახეთის წარგზავნილები იბრძოდნენ, აგრეთვე გურიის სახელოვანმა პირველმა ქვეითმა ლაშქარმა. აფხაზეთის მხრიდან თურქეთის დესანტის შემოტევის დროს გმირულად

იბრძოდა ქუთაისის პირველი და მეორე ქვეითი ლაშქარი და ქუთაისის ცხენოსანი არარეგულარული პოლკი. ასევე მამაცურად იბრძოდნენ ინგურის რაზმის სხვა ქართული ნაწილებიც, რომლებიც მთელი რაზმის დაახლოებით ნახევარს შეადგენდნენ. მოქმედ კორპუსში არტაანისა და ყარსისათვის ბრძოლებში თავდადებული და გაბედული მოქმედებით თავი გამოიჩინეს ახალციხისა და თიანეთის (თუშების) რაზმებმა.

ქართული ნაწილების სიმამაცესა და მაღალ სამხედრო ოსტატობას ქებით იხსენიებდნენ რუსეთის არმიის გამოჩენილი გენერლები და ოფიცრები. გენერალი კოლიუბაკინი, რომელიც მოწმე იყო ქობულეთის მიდამოებში ქართული ნაწილების შესანიშნავი ბრძოლისა, წერდა: „გავიდნენ რა საკმაოდ ჩქარ მდინარე კინტრიშზე და სძლიეს რა მრავალრიცხოვან წინააღმდეგობებს, გაბედული ქართველები სისტემატურად აწარმოებდნენ გააფრთებულ ბრძოლას, იერიში იერიშზე მიჰქონდათ და, მიუხედავად იმისა, რომ სერიოზულ ზარალს განიცდიდნენ, მაინც ფრიად წარმატებით მიწევდნენ წინ". იგივე გენერალი გურიის პირველი ქვეითი ლაშქრის შესახებ, რომელსაც შტაბს-კაპიტანი იასე გურიელი მეთაურობდა, წერდა: „ყველანი ხარკს უხდიან გურიის ლაშქრის დაუვიწყარ გმირობას, ლაშქრისა, რომელიც ამ დღეებში, როგორც ჩვენი მსუბუქი ქვეითი ნაწილი და ადგილმდებარეობასთან უფრო გაცნობილი, მუდამ წინ იყო და თავის მხრებზე გადაიტანა ომის მთელი სიმძიმე".

ქართული ლაშქრის რიგითი ჯარისკაცები და მეთაურები, აგრეთვე ის ქართველი ოფიცრები და გენერლები, რომლებიც რუსულ რეგულარულ ნაწილებს მეთაურობდნენ, ძალიან ხშირად გვიჩვენებდნენ თავდადებისა და გმირობის ნიმუშებს. დაუვიწყარია 16 ქართველი გლეხის გმირობა, რომლებიც ომის დაწყების პირველსავე დღეს ნებაყოფლობით გამოცხადდნენ ქობულეთის რაზმის უფროსთან და ითხოვეს ნებართვა თურქების წინააღმდეგ მოქმედ მოწინავე ჯარის ნაწილში ჩარიცხვისა. ეს გლეხები სოფელ ლიხაურიდან მოვიდნენ და ხუთი თვის განმავლობაში მამაცურად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ. 1877 წლის 23 ოქტომბერს, უძნელესი საბრძოლო დავალების შესრულების დროს, თექვსმეტივე ლიხაურელი ეაქკაცი გმირული სიკვდილით დაეცა.

რუსეთ-თურქეთის ომში დამსახურებულად გაითქვეს სახელი ქართველმა გენერლებმა: ზაქარია ჭავჭავაძემ, რომელიც ღირსეულად უფროსობდა მოქმედი კორპუსის ცხენოსან ჯარს და გააფთრებულ ბრძოლებში ექვსჯერ იქნა დაჭრილი; ალექსი ქავთარაძემ, რომელიც მთელი ომის განმავლობაში დერბენტის 154-ე ქვეითი პოლკის მეთაური იყო და იშვიათი გაბედულებით მიჰყავდა თავისი პოლკი იე-

რიშებზე თურქების მთავარი ძალების წინააღმდეგ; მიხეილ ამირეჯიბმა, რომელიც ელიზავეტპოლის პოლკს მეთაურობდა ქ. არტაანისათვის ბრძოლებში, აგრეთვე ალაჯის სიმაღლეებთან გამართულ სისხლისმღვრელ შეტაკებებში სიმამაცისა და მხედართმთავრული ოსტატობის მაგალითები გვიჩვენა; ივანე ამილახვარმა, რომელიც შესანიშნავად მეთაურობდა ერევნის რაზმის ცხენოსან ჯარს და სხვებმა. გენერლებთან ერთად რუსეთ-თურქეთის ომში თავი ისახელა მრავალმა ქართველმა ოფიცერმა, სახელდობრ: პოლკოვნიკმა მიქელაძემ, პოდპოლკოვნიკმა კვინიტაძემ, მაიორმა იოსელიანმა, მაიორმა ჭავჭავაძემ, შტაბს-კაპიტანმა ორბელიანმა, პორუჩიკმა ფანჩულიძემ და მრავალმა სხვამ. ამ მამაცმა ოფიცერებმა თავიანთი გმირობითა და თაედადებით ხელი შეუწყვეს მტერზე გამარჯვებას.

მაგრამ ქართველი ხალხის წვლილი რუსეთ-თურქეთის ომში მარტო სამხედრო ოპერაციებში მისი აქტიური მონაწილეობით როდი ამოიწურებოდა. იმის გამო, რომ ომის ასპარეზი მეტისმეტად ახლოს იყო, ზოგჯერ კი საომარი მოქმედება თვით საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, ჩვენი სამშობლო გადაქცეული იყო სამხედრო ბანაკად და ომში ამა თუ იმ სახით თითქმის მთელი ქართველი ხალხი მონაწილეობდა. მოქმედ არმიას ხალხი დახმარებას უწევდა სურსათით, ფურაჟით, ტვირთების გადაზიდვით, ბინებით და სხვა მატერიალური საშუალებებით. არმიის შეუფერხებელი მომარაგება საომარი მასალებითა და სურსათით, უდიდეს ძალღონეს მოითხოვდა. ამ ამოცანის შესასრულებლად ათასობით ქართველი გლეხი მუშაობდა ურმებით, ცხენებითა და აქლემებით. კავკასიის არმიის სარდლობა თავის ერთ-ერთ მოხსენებაში თვითონ აღიარებდა, „ტვირთის გადაზიდვა ისეთ უზარმაზარ ოდენობამდე ავიდა, რომ გადაზიდვის საშუალებათა მოსახლეობაში შეგროვებამ უკიდურეს ფარგლებს მიაღწიაო". მიუხედავად ამისა ხალხი სძლევდა ყოველგვარ დაბრკოლებას და უზრუნველყოფდა ფრონტის მოთხოვნილებებს.

რუსეთ-თურქეთის ომში ქართველი ხალხის საუკუნოვანი მტრის—თურქეთის დამარცხებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ თურქეთის მიერ მიტაცებულ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელმაც ასეული წლების მანძილზე თურქი ასიმილატორების მხრივ უხეში ძალადობის მიუხედავად, შეინარჩუნა სიყვარული თავისი დედა სამშობლოს—საქართველოსადმი, ცდილობდა თავი დაეღწია თურქეთის ბატონობისათვის და გადასულიყო რუსეთის მხარეზე. საზღვრისპირა სოფლებ-ს ქართული მოსახლეობის (ქართველი მაჰმადიანების) დიდი უმრავლესობა მეგობრულად ხვდებოდა თავის განმათავისუფლებელ

რუსებსა და ქართველებს და პირველი შესაძლებლობისთანავე გადადიოდა მათ მხარეზე. მარტო სოფ. ზემო ქობულეთიდან რუსების მხარეზე თავისი ნებით გადავიდა 26 ოჯახი 125 სულის რაოდენობით. დაახლოებით ასეთივე სურათი იყო სხვა სოფლებშიც.

ამრიგად, ქართველმა ხალხმა, მიუხედავად, იმისა, რომ ცარიზმი მისი მოსისხლე მტერი იყო, რუსეთ-თურქეთის ომში ერთსულოვნად დაუჭირა მხარი რუსეთს, რადგან მას ესმოდა, რომ ომში რუსეთის გამარჯვება ხელს შეუწყობდა მისი საკუთარი სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილებას. ქართველი ხალხის აქტიურმა დახმარებამ ფრონტზე და ზურგში მნიშვნელოვნად გაუადვილა რუსეთის არმიას მტრის წინააღმდეგობის დაძლევა და სახელოვან გამარჯვებათა მოპოვება.

ისტორიული საქართველოს მიწა-წყლის შემოერთება

1878 წლის თებერვალში კონსტანტინოპოლის ახლოს, დაბა სან-სტეფანოში ხელშეკრულება რუსეთსა და თურქეთს შორის. ამ ხელშეკრულებით თურქეთი იძულებული იყო მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყო, რაც ძირითადად შეესაბამებოდა როგორც რუსეთის მიერ ომში დასახულ მიზნებს, ისე ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ჩაგრულ ხალხთა ინტერესებს. ამიერკავკასიაში სან-სტეფანოს ხელშეკრულებით რუსეთს უერთდებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები და სიმაგრეები, როგორიცაა: არტაანი, ყარსი, ბაიაზეთი და ბათუმი, აგრეთვე ალაშქერთის მთელი დაბლობი და მის ახლო-მახლო მდებარე ტერიტორიები.

სან-სტეფანოს ხელშეკრულება მნიშვნელოვნად აძლიერებდა რუსეთის პოზიციებს. მაგრამ რუსეთის გაძლიერებას ვერ ურიგდებოდნენ ინგლისი და ავსტრია, რომლებმაც დაუინებით მოითხოვეს სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვა. 1878 წლის ივლისში ბერლინში შედგა ევროპის დიდ სახელმწიფოთა კონგრესი, რომელმაც სან-სტეფანოს ხელშეკრულება ახალი ხელშეკრულებით შესცვლა. რუსეთი, რომელსაც არ შეეძლო ეომა ინგლისისა და ავსტრიის წინააღმდეგ, იძულებული გახდა დათანხმებულიყო ზავის გაცილებით უფრო ცუდ პირობებზე. მიუხედავად ამისა, ომის შედეგებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც რუსეთისათვის, ისე ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ხალხებისათვის.

ბერლინის ხელშეკრულებით რუსეთმა შემოიერთა თურქეთის მიერ წინათ მიტაცებული სამხრეთ-საქართველოს მიწა-წყლის ნაწილი, სახელდობრ: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არ-

ტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი — ოლთისი[7]. ამათგან აჭარა-ჭობულეთს, შავშეთსა და კლარჯეთს რუსული ადმინისტრაციული დაყოფით ეწოდათ ბათუმის ოლქი (1886 წლიდან ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა), ხოლო კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი (ოლთისი) ყარსის ოლქის შემადგენლობაში შევიდა.

ასე დაუბრუნდა საქართველოს თავისი დაკარგული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება ასრულდა. მრავალი ათეული ათასი ქართველი, რომლებიც სამი საუკუნის განმავლობაში იტანჯებოდნენ თურქეთის ბარბაროსულ-დესპოტური სახელმწიფოს უღელქვეშ, კვლავ დაუბრუნდა თავის დედა სამშობლოს — საქართველოს. ქართველი ხალხი აღფროვანებით შეეგება თავისი დაკარგული ძმების დაბრუნებას მის ოჯახში. 1878 წლის ნოემბერში თბილისს ეწვია თურქეთის მონობიდან განთავისუფლებულ თანამოძმეთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ შერიფ და ნური-ბეგ ხიმშიაშვილები და ჰუსეინ-ბეგ აბაშიძე. საქართველოს დედაქალაქმა მათ საზეიმო შეხვედრა მოუწყო. ქართველმა ხალხმა სერიოზული დახმარება გაუწია თურქეთისაგან განთავისუფლებულ თავის თანამოძმეებს, მათი ეკონომიური და კულტურული ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში.

მესხეთი ანუ ზემო ქართლი, რომელიც წინათ საქართველოს ერთერთი ეკონომიურად და კულტურულად ყველაზე განვითარებული კუთხე იყო, თურქების ხანგრძლივი ბატონობის ხანაში თანდათან დაქნინდა, დაქვეითდა და გაღატაკდა. შემოერთების პერიოდში მესხეთი, — ეს ოდესღაც აყვავებული მხარე, — უკიდურესად ჩამორჩენილი და პრიმიტიული მეურნეობის ფეოდალურ-კარჩაკეტილი ქვეყანა იყო, ხოლო მისი დაბეჩავებული ხალხი, რომელსაც თურქი ასიმილატორები საუკუნეების განმავლობაში უბნელებდნენ გონებას ისლამის ფანატიკური დოგმებით, სრული გადაგვარების გზაზე იდგა.

შემოერთების შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ეკონომიური და კულტურული აღმავლობის იმ პროცესმა, რომელიც იმ დროს კაპიტალიზმის განვითარების შედეგად საქართველოში მიმდინარეობდა, მისი ახლად შემოერთებული ნაწილიც მალე ჩაითრია. ამის შედეგად, თურქეთის უღლისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე, 80—90-იან წლებში მნიშვნელოვნად ვითარდებოდა მრეწველობა და სავაჭრო-სასაქონლო მიწათმოქმედება, ბათუმისა და ყარსის ოლქებ-

---

7 მესხეთის ტერიტორიის მეორე ნაწილი, სახელდობრ: სამცხე, ჯავახეთი, ფლაკაციო და ერუშეთი (რაც რუსული დაყოფით უდრიდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებს და ფოცხოვის უბანს), რუსეთმა ჯერ კიდევ 1829 წელს, ადრიანოპოლის ზავით შემოიერთა.

ში ეკონომიური ცხოვრების აღმავლობას განსაკუთრებით შეუწყო ხელი რკინიგზის ხაზების გაყვანამ თბილისი-ბათუმსა (1883 წ.), და თბილისი-ყარსს (1889 წ.) შორის.

მაგრამ თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიის შემოერთებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ამ მხარის ეკონომიური და კულტურული აღორძინებისათვის, არამედ მთელი საქართველოს ეკონომიური ცხოვრების აღმავლობისათვის. ეს განსაკუთრებით შეეხება ქ. ბათუმს, რომელმაც უაღრესად დიდი როლი ითამაშა საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებაში. თურქების ხელში ბათუმი წარმოადგენდა პატარა სოფელს, რომელშიც 3 ათასამდე მცხოვრები იყო, განთავისუფლების შემდეგ კი ბათუმი უდიდესი სისწრაფით ვითარდებოდა და სულ მალე გადაიქცა საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სავაჭრო-სამრეწველო ქალაქად.

რუსეთ-თურქეთის ომის შედეგებმა ხელსაყრელი პირობები შექმნა კაპიტალიზმის განვითარებისათვის როგორც, საერთოდ, რუსეთის იმპერიაში, ისე, კერძოდ, საქართველოსა და ამიერკავკასიაში. რუსეთის ხელში ისეთი ქალაქების გადასვლამ, როგორიც იყო ართვინი, ყარსი და ბათუმი, აგრეთვე შავ ზღვაზე რუსეთის გავლენის გაძლიერებამ, ხელი შეუწყო რუსეთში ვაჭრობისა და მრეწველობის ზრდას, კაპიტალიზმის განვითარებას. რუსეთის კაპიტალიზმი კი სულ უფრო და უფრო მეტად ითრევდა საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ბრუნვაში.

აქედან ცხადია, რომ რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომსა და მის შედეგებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. მან, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ქართველი ერის კონსოლიდაციას, ხოლო მეორე მხრივ, დააჩქარა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების პროცესი. გარდა ამისა, ამ ომში ქართველი ხალხის მონაწილეობას ის დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ რუსები და ქართველები ერთმანეთს კიდევ უფრო უკეთ დაუახლოვდნენ; რუსი და ქართველი ჯარისკაცის მხარდამხარ ბრძოლამ საერთო მტრის წინააღმდეგ და მათ მიერ ერთად დაღვრილმა სისხლმა გააღრმავა და გააძლიერა რუსი და ქართველი ხალხების ტრადიციული საბრძოლო თანამეგობრობა.

თავი III

ქართველი ერის ჩამოყალიბება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოება. თერგდალეულთა მოღვაწეობა.

§ 1. ქართველი ერის ჩამოყალიბება

ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი

ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის დაშლას და კაპიტალისტური წყობილების გამარჯვებას შედეგად მოჰყვა ქართველი ბურჟუაზიული ერის ჩამოყალიბება და ქართული კულტურის უმაგალითო აღორძინება, — მისი ნამდვილი რენესანსი.

კაცობრიობის განვითარების ადრინდელ საფეხურებზე, თვით განვითარებული ფეოდალური წყობილების დროსაც კი, ერები არ არსებობდნენ. ერების გაჩენა დაკავშირებულია განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქასთან, სახელდობრ, — აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქასთან. მაგრამ ერის ელემენტები — ენა, ტერიტორია, კულტურული ერთობა და სხვა, — ერთბაშად კი არ შექმნილა, არამედ იქმნებოდნენ თანდათანობით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ჯერ კიდევ წინაკაპიტალისტურ პერიოდში. იმ დროს ამ ელემენტებს არ შეეძლოთ ერის შექმნა, რადგან ერის ჩამოყალიბებისათვის პირობები ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული. ასეთი ხელსაყრელი პირობები მხოლოდ აღმავალი კაპიტალიზმის პერიოდში შეიქმნა. ამიტომ, ფეოდალური წყობილების რღვევისა და კაპიტალისტური წყობილების განვითარების პროცესი, ამავე დროს, ადამიანთა ერებად ჩამოყალიბების პროცესიც იყო. ასე ყალიბდებოდნენ ერებად, მაგალითად, ევროპის თანამედროვე დიდი ერები — ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი და იტალიელი ერები, რომლებიც ბურჟუაზიული ერები არიან. ასეთივე ბურჟუაზიული ერები იყვნენ რუსი, უკრაინელი, ქართველი და სხვა ერები რუსეთში წინათ, ვიდრე იქ საბჭოთა ხელისუფლება გაიმარჯვებდა.

ქართველი ერის შექმნის პროცესი ხანგრძლივი ისტორიული პროცესია. ქართველი ერის ისეთი ელემენტები, როგორიცაა ერთიანი ქართული ენა და საერთო ქართული ტერიტორია, აგრეთვე ქართველების კულტურული ერთობა, ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის ჩასახვამდე დიდი ხნით ადრე გაჩნდა, მაგრამ წინაკაპიტალისტურ პერიოდში ამ ელემენტებს არ შეეძლო ქართველი ერის შექმნა. ფეოდალიზმის ხანაში ქართველი ერის შექმნისათვის პირობები არ არსებობდა. საქართველო დაქუცმაცებული იყო ცალკე დამოუკიდებელ

სამთავროებად და არ გააჩნდა არც ეროვნული ბაზარი, არც ისეთი ეკონომიური და კულტურული ცენტრები, რომლებიც შეძლებდნენ ქართველი ხალხის სამეურნეო დაქუცმაცებულობის მოსპობას და საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ერთ ეროვნულ მთელად შეკავშირებას.

ქართულ ენას, რომელიც ერთადერთი ძველი სამწერლობო ენაა იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფში, უძველესი დროიდან ეპირა უპირატესი მდგომარეობა ქართველურ და მათ მონათესავე ტომებში. უკვე მერვე საუკუნიდან ქართული ენა ითვლება ერთადერთ სამწერლობო და ოფიციალურ სახელმწიფო ენად არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლის სამეფოში), არამედ აგრეთვე დასავლეთ საქართველოშიც (აფხაზეთის სამეფოში), მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს დასავლეთ საქართველო პოლიტიკურად არ ყოფილა დამოკიდებული ქართლის სამეფოსაგან. მეთორმეტე საუკუნიდან იწყება ახალი ხანა ქართული ენის განვითარებაში. რუსთაველმა სალიტერატურო ქართული ხალხურ ენას მიუახლოვა. მაგრამ შემდგომში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება შეფერხდა, რასაც არ შეეძლო არ დაებრკოლებინა ქართული ენის განვითარებაც. საჭირო გახდა საქართველოს მოწინავე ადამიანთა ბრძოლა მრავალი საუკუნის განმავლობაში იმისათვის, რომ სალიტერატურო ქართული ენა ნამდვილად მთელი ქართველი ხალხის საერთო სახალხო ენად გადაქცეულიყო.

ასევე დიდი ხნის ისტორია აქვს ქართველი ხალხის ტერიტორიულ ერთიანობას. ქართველი ტომები უძველესი დროიდანვე ერთ მთლიან მასად ცხოვრობენ დაახლოებით იმავე ტერიტორიაზე, რაც დღესაც უჭირავს ქართველ ხალხს. ფეოდალურ საქართველოში ჯერ კიდევ საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ გაერთიანებამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა იმ ტერიტორიის ერთიანობის შეგნება, რომელიც ქართველი ტომებით იყო დასახლებული. ქართლის სამეფოს ისტორიკოსები არ კმაყოფილდებოდნენ მარტო აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის გადმოცემით, ისინი მთელი საქართველოს მიწა-წყალს შეეხებოდნენ და მთელი საქართველოს ისტორიას მოგვითხრობდნენ. განსაკუთრებით მაღალ საფეხურს საქართველოს ტერიტორიულმა ერთობამ, — მაშასადამე, ამ ერთობის შეგნებამაც, — მიაღწია ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების ხანაში — XI—XIII საუკუნეებში, როცა საქართველო არა მარტო ტერიტორიულად, არამედ პოლიტიკურადაც ერთიანი იყო. სწორედ ამ პერიოდში წარმოიშვა ქართველი ხალხის სამშობლოს საერთო სახელი „საქართველო“. გვიანფეოდალურ ხანაში, როცა ქართველ ხალხს მძიმე დრო დაუდგა და ჩვენი ქვეყანა ჟამთა სიავის შედეგად კვლავ

დაიშალა ცალკე სამეფო-სამთავროებად, საქართველოს ტერიტორიული ერთობის შეგნება თუმცა შესუსტდა, მაგრამ სავსებით მაინც არასოდეს არ გამქრალა. მაგალითად, XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი გორგიჯანიძე მოგვითხრობს საერთო სამშობლოზე — საქართველოზე, რომლის ცალკეული კუთხეები ერთმანეთში გაინაწილეს შაჰმა და სულთანმა. ქართველი ხალხის მოწინავე ნაწილი მუდამ იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. 1790 წელს, ერთი მხრივ, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორესა და, მეორე მხრივ, იმერეთის მეფე სოლომონ მეორეს, სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანსა და გურიის მთავარ სიმონ გურიელს შორის დაიდო „ივერიელთა[1] მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული“ სამოკავშირეო-ხელშეკრულება, რომელშიც კარგად ჩანს საქართველოს ტერიტორიული ერთობის შეგნება. მაგრამ საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების ლიკვიდაციისა და ქვეყნის მთელი ტერიტორიის რეალური ერთობისათვის, მაშინდელ საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობდა არც სამეურნეო-ეკონომიური და არც პოლიტიკური პირობები.

საქართველოს სამეურნეო და პოლიტიკური დაქუცმაცებულობის მოსპობა და მისი სხვადასხვა კუთხეების ერთ ეროვნულ მთელად შეკავშირება შეეძლო მხოლოდ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების მნიშვნელოვანი მასშტაბით განვითარებას და ქვეყნის მთელი ეკონომიური ცხოვრების სერიოზულ აღმავლობას. ცხადია, ქართველი ხალხის ეკონომიური ცხოვრების ერთობა ვერ შეიქმნებოდა ერთბაშად; ეს ერთობაც ვითარდებოდა თანდათან, ხანგრძლივი დროის მანძილზე. ჯერ კიდევ ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და ეკონომიური აღმავლობის ხანაში — XII—XIII საუკუნეებში, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ფართოდ განვითარების შედეგად საქართველოში სწრაფად ვითარდებოდა ვაჭრობა და ხელოსნობა, ჩნდებოდა ახალი ქალაქები და ამრიგად, იქმნებოდა პირობები ფეოდალიზმის წიაღში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვისა და განვითარებისათვის, რაც ცხადია, ქართველი ბურჟუაზიული ერის ჩამოყალიბების დასაწყისის მომასწავებელიც იქნებოდა. მაგრამ მრავალრიცხოვანი გარეშე მტრების გამანადგურებელი თავდასხმების შედეგად, მომდევნო ხანაში ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება დაქვეითდა და მოიშალა, სწორედ ეკონომიური ცხოვრების დაქვეითებამ გამოიწვია საქართველოს მთლიანი სახელმწიფოს ცალკე სამეფო-სამთავროებად დაყოფა, რაც XV საუკუნეში მოხდა. ამ დროიდან მოკიდებული დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს ეკონომიური ცხოვრება განსაკუთრებით მძიმე იყო. მიუხედავად ამისა, ეკონომიური წინსვლის ძაფი. მისი გამოცოცხლების ტენდენციები მთლიანად არასოდეს არ შეწყვეტილა.

[1] „ივერიელთა“ აქ ნიშნავს „ქართველთა“.

ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლება და აღმავლობა საგრძნობი ხდებოდა საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში ყოველთვის, როგორც კი იქ მშვიდობიანობა ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროით დამყარდებოდა. ასე მოხდა, მაგალითად, კახეთში XVI საუკუნეში, ქართლში XVII საუკუნეში, ხოლო უფრო ფართო მასშტაბით — ქართლ-კახეთსა და იმერეთში — XVIII საუკუნეში, როცა კიდევაც დაიწყო ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი. სწორედ ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლებისა და აღმავლობის ეს პროცესები ასაზრდოებდა საქართველოს ტერიტორიული, ენობრივი და კულტურული ერთობის შეგნებას და ამზადებდა პირობებს ქართველი ერის შესაქმნელად, მაგრამ იმდენად ძლიერი აღმოჩნდა დაბალი კულტურის მუსლიმანურ სახელმწიფოთა მტრული გარემოცვა და მათი უარყოფითი გავლენა ჩვენი ქვეყნის საშინაო ცხოვრებაზე, რომ საქართველომ ვერ შეძლო საკუთარი ძალებით უზრუნველეყო ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი მნიშვნელოვანი განვითარება. ასეთი შესაძლებლობა მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ შეიქმნა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში უდიდესი მოვლენები ხდებოდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. რუსეთის დახმარებით საქართველომ თავი დააღწია ირანისა და თურქეთის ჩამორჩენილი სახელმწიფოების დამღუპველ გავლენას. შეწყდა საუკუნეობრივი უთანასწორო ომები, ტყვეებით ვაჭრობა და ლეკთა თავდასხმები. ქართველმა ხალხმა დაიბრუნა თურქების მიერ მიტაცებული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. მას მიეცა საშუალება მშვიდობიან შრომას, ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების აღორძინებას შესდგომოდა. დრომოჭმული ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება ამ დროს სწრაფად ირღვეოდა. ერთიმეორეზე უქმდებოდა სამთავროები, ისპობოდა ეკონომიური და პოლიტიკური ბარიერები საქართველოს ცალკე კუთხეებს შორის, ვითარდებოდა ალებ-მიცემობა. ფეოდალური წყობილების რღვევისა და კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პროცესი განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს XIX საუკუნის 30—40-იან წლებიდან. ამ დროიდან მიმდინარეობს განსაკუთრებით ინტენსიურად ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესიც.

აქედან ცხადია, რომ ქართველი ერის ელემენტები დიდი ხნიდან, ჯერ კიდევ წინაკაპიტალისტური პერიოდიდან არსებობდნენ; ფეოდალური წყობილების განვითარების მსვლელობაში ძალიან ადრე, სახელდობრ XII—XIII საუკუნეებში მომზადდა შინაგანი პირობები ერის ჩამოყალიბების პროცესის დასაწყებად, მაგრამ სინამდვილეში, მთელ რიგ მიზეზთა გამო, ეს პროცესი გაცილებით უფრო გვიან. დაახლოებით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, განსაკუთრებით ინტენსიურად კი XIX საკუნის 30—40-იანი წლებიდან წარიმართა. ამ პრო-

ცესის დაჩქარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას. რუსეთის დაწინაურებული ცხოვრება ხელს უწყობდა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას და ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების პრო ცესის დაჩქარებას.

ქართველი ერის ჩამოყალიბების დამთავრება XIX საუკუნის მეორე ნახევარში

ქართველი ერის შექმნისათვის პირობები საბოლოოდ მომწიფდა მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ კი 60—70-იან წლებში. ამ დროისათვის ქართველები წარმოადგენდნენ ისტორიის ქარცეცხლში გამოვლილ ადამიანთა მყარ ერთობას, რომელსაც ახასიათებდა ერის ოთხივე ძირითადი ნიშანი: ენის ერთობა, ტერიტორიის ერთობა, ეკონომიური ცხოვრების ერთობა და ფსიქიკური წყობის ერთობა, რაც თავს იჩენდა კულტურის ერთობაში.

ქართული ლიტერატურული ენის ხალხურობისათვის ბრძოლა, რომელიც ჯერ კიდევ გენიალურმა რუსთაველმა დაიწყო, მრავალი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. გვიანფეოდალურ ხანაში მისთვის იღვწოდნენ ქართული კულტურის ისეთი მოწინავე და გამოჩენილი ადამიანები, როგორიც იყვნენ დავით გურამიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი. მაგრამ ამ ბრძოლას წინ გადაუღახავი სიძნელეები ეღობებოდა. ენის განვითარებას ხელს უშლიდა, ერთი მხრივ, შინაური ფეოდალურ-კლერიკალური რეაქცია, რომელიც დრომოჭმული ფეოდალური წყობილების იდეოლოგია იყო და ხალხისაგან მოწყვეტილი გაბატონებული არისტოკრატიის ინტერესებს ემსახურებოდა (ასეთი იყო, მაგალითად, ანტონ I სკოლა), ხოლო მეორე მხრივ, სპარსელი და თურქი ასიმილატორების მრავალსაუკუნოვანი დამანგრეველი მოქმედების გავლენა, რაც ქართულ ენას სრულ მოსპობას უქადდა. ამ სიძნელეთა დაძლევისა და ქართული ლიტერატურული ენის საერთო-სახალხო ენად გადაქცევისათვის პირობები მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა. ეს პირობები კარგად გამოიყენეს 60-იანი წლების გამოჩენილმა მოღვაწეებმა — თერგდალეულებმა, რომლებმაც თავიანთი ბრძოლა ძველი წყობილების დამცველთა წინააღმდეგ სწორედ ქართული ენისათვის, მისი ხალხურობისათვის ბრძოლით დაიწყეს. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვით ახალი ქართული ენისა და ლიტერატურის ფუძემდებლებს ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს, აგრეთვე გამოჩენილ ქართველ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს. სწორედ მათ დაამკვიდრეს და გააბატონეს ქართულ ლიტერატურაში ხალხის ენა, რომელიც მანამდე რეაქციული არისტოკრატიისა და სამღვდელოებისაგან დევნილი იყო და მარტო ღარიბთა ქოხებში აფარებდა თავს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ძირითადად დამთავრდა აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და შეიქმნა პირობები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქართული მიწა-წყლის საიმედოდ დაცვას თურქი და სპარსელი აგრესორების ხელყოფისაგან. რუსეთის არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებმა ირან-თურქეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში, აგრეთვე შამილის დამარცხებამ, საბოლოოდ უზრუნველყო საქართველოს ტერიტორიული უშიშროება.

მაგრამ ქართველი ერის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი იყო აგრეთვე შინაგანი ეკონომიური კავშირი, რომელიც საქართველოს ცალკეულ ნაწილებს შეამჭიდროებდა და ერთ მთელად გადააქცევდა. ასეთი ეკონომიური კავშირის გაჩენა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში განაპირობა ისეთმა დიდმა მოვლენებმა, როგორიც იყო: ბატონყმური წყობილების დამხობა, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარება საქართველოს ცალკეულ კუთხეებს შორის და ამის შედეგად აღებ-მიცემობის არაჩვეულებრივი გაფართოება. გზებისა და რკინიგზების მშენებლობა, ქალაქების ზრდა, კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფი განვითარება როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, და ა. შ.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრების აღორძინებამ ხელი შეუწყო ქართველების ფსიქიკური წყობის ერთობის შექმნას, რაც აგრეთვე ქართველი ერის ჩამოყალიბების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო. ქართველი ერის სულიერი სახე, მისი „ეროვნული ხასიათის" თავისებურებანი ყალიბდებოდა ხანგრძლივი დროის მანძილზე. მისი ჩამოყალიბება განსაზღვრა არა მარტო ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა საქართველოს გეოგრაფიული გარემოს თავისებურებანი, მოსახლეობის სიმჭიდროვე და სხვა მისთანები, არამედ, უმთავრესად, ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების პირობების თავისებურებებმა. მამაცი, ნიჭიერი და თავისუფლებისმოყვარე ხალხი საუკუნეთა განმავლობაში ებრძოდა ურიცხვ გარეშე მტერს, ქედს არ იხრიდა სიძნელეთა წინაშე და თუმცა ბევრი ტანჯვა-ვაება გამოიარა, მაგრამ ყველა განსაცდელს გაუძლო და შეინარჩუნა თავისი ენა, ტერიტორია და კულტურა. ძნელი დასანახი არ არის იმ ხალხის მებრძოლი სული და მშვიდობისმოყვარეობა, რომელმაც ჩვეულებრივი მისალმების სიტყვებად აქცია „გამარჯვება" და „მშვიდობით" ყოფნა.

ქართველი ხალხის ფსიქიკური წყობის ერთიანობის გამოხატულებაა მისი ეროვნული კულტურის სპეციფიკურ თავისებურებათა ერთობა. ქართველი ხალხის სულიერი თვისებები აღბეჭდილია ქართული კულტურის ისეთ ძეგლებში, როგორიცაა: რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", დ. გურამიშვილისა და ნ. ბარათაშვილის ლექსები, ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა გამოჩენილ ქართველ მწერალთა უკვდავი მხა-

ტვრული ქმნილებები. XIX საუკუნის 60—70-იან წლებში, აგრეთვე ნაწილობრივ 80-იან წლებშიაც, ქართული კულტურა გეევლინება როგორც შედარებით ერთიანი, ქართველი ერისათვის საერთო კულტურა.

ასე დამთავრდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესი, რომელიც შედეგი იყო ქართველების ხანგრძლივი და რეგულარული ურთიერთკავშირისა, მათი ერთად ცხოვრების, შრომისა და ბრძოლისა საუკუნეთა მანძილზე, თაობიდან თაობამდე.

ქართველი ერის შემადგენლობა

ქართველი ერის შემადგენლობაში შევიდნენ როგორც ქართველი ტომები, ისე ზოგიერთი არაქართველური წარმოშობის ეთნიკური ელემენტები. ქართველი ერის ძირითადი ბირთვი, მისი უდიდესი უმრავლესობა შეადგინეს ქართველმა ტომებმა: ქართებმა, მეგრელებმა და სვანებმა (ქართებში შედიან: ქართლელები, კახელები, იმერლები, გურულები, რაჭველები, ლეჩხუმლები, ფშავ-ხევსურები, მთიულ-მოხევეები და სხვები). სწორედ ეს ქართველი ტომები და თემები გადაიქცნენ ქართველ ერად. მაგრამ ამათთან ერთად ქართველ ერში შევიდნენ აგრეთვე ისეთი არაქართველური მოდგმის ხალხთა ცალკეული ჯგუფები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ ერთ ტერიტორიაზე და ერთი კულტურულ-ისტორიული ცხოვრებით. ასეთებია: სომხების, ებრაელების, ბერძნების და სხვათა მნიშვნელოვანი ჯგუფები, რომლებიც ძალიან დიდი ხნის წინათ გადმოსახლდნენ საქართველოში და ქართველი ხალხის ცხოვრების საერთო ფერხულში ჩაებნენ. ამათგან ბევრმა შეითვისა ქართული ენა და ქართველი ერის განუყოფელი ნაწილი გახდა: ისინი ახლა ეროვნებით ქართველები არიან.

როგორც ვთქვით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში დამთავრდა ქართველი ერის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი. მაგრამ ამ ხანაში მაინც არ მომხდარა საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე მთელი ხალხის ერთ ერად შედუღება. საქართველოს ტერიტორიაზე იმ დროს ცხოვრობდნენ როგორც ქართველური, ისე არაქართველური წარმოშობის ადამიანთა მნიშვნელოვანი ჯგუფები, რომლებიც მრავალი ისტორიული მიზეზის გამო, არ შესულან ქართველი ბურჟუაზიული ერის შემადგენლობაში, თუმცა მის ცხოვრებასთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული. ასეთები იყვნენ, მაგალითად, აჭარლები, რომლებიც ეთნიკურად ქართველ ტომებს, კერძოდ, ქართებს ეკუთვნიან. მაგრამ ძალიან დიდხანს იყვნენ მოწყვეტილი თავიანთ დედა-სამშობლოს — საქართველოს და ამის გამო ეკონომიურად ჩამორჩნენ. აჭარლები მხოლოდ 70-იანი წლების მიწურულში განთავისუფლდნენ თურქეთის მრავალსაუკუნოვანი ბატონობისაგან და თუმცა ამის შემდეგ

სწრაფად წავიდა წინ მათი სამეურნეო აღორძინების პროცესი, მაგრამ თურქი ასიმილატორების მოქმედების მავნე გავლენის აღმოფხვრა და ამ მხარის სერიოზული კულტურულ-ეკონომიკური დაწინაურება ხანგრძლივ დროს მოითხოვდა; ასეთები იყვნენ, შემდეგ, აფხაზები, რომბიც ეთნიკურად ქართველთა ახლო მონათესავენი არიან, მაგრამ ისინიც ძალიან დიდხანს იტანჯებოდნენ თურქეთის უღელქვეშ, რამაც მათი ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენა გამოიწვია. მართალია, აფხაზები ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში განთავისუფლდნენ თურქეთის ბატონობისაგან, მაგრამ 60-იან წლებამდე, ე. ი. აფხაზეთის დამოუკიდებელი სამთავროს გაუქმებამდე, და უფრო გვიანაც ეს მხარე ეკონომიურად მოწყვეტილი იყო დანარჩენ საქართველოს და ძალიან ნელა ვითარდებოდა; ასეთები იყვნენ, დაბოლოს, ოსები, რომლებიც ეთნიკურად არ ეკუთვნიან ქართველურ ან მის მონათესავე ტომთა რიცხვს, მაგრამ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ ქართველებთან ერთად ერთ კულტურულ-ისტორიულ ვითარებაში და იზიარებენ მათს ჭირსა და ლხინს. სამხრეთ-ოსეთი მაღალმთიანი მხარეა და მისი საწარმოო ძალების განვითარება აგრეთვე ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

მიუხედავად ამ დამაბრკოლებელი მიზეზებისა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეების, მათ შორის აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, ეკონომიური და კულტურული კავშირი სულ უფრო და უფრო მჭიდრო ხდებოდა. საქართველოს ეკონომიური ცხოვრების განვითარებასთან ერთად მიმდინარეობდა ქართველი ერის შემდგომი კონსოლიდაციის პროცესი.

ასეთია, მოკლედ, ბურჟუაზიული ქართველი ერის შექმნის ისტორია და მისი შემადგენლობა.

§ 2. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გაძლიერება და ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გაძლიერება XIX საუკუნის მეორე ნახევარში

საქართველოს რუსეთთან შეერთებას, როგორც უკვე ითქვა, დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონოდა საქართველოსათვის. რუსეთის დაწინაურებული ცხოვრების გავლენით საქართველოს ცხოვრება განუხრელად მიდიოდა წინ. მაგრამ ეს ხდებოდა მეფის მთავრობის სურვილებისაგან დამოუკიდებლად, საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების შესაბამისად, კანონებისა, რომლებიც არ ემორჩილებიან ადამიანების, მათ შორის თვით მეფეების ნება-სურვილებს. რაც შეეხება მეფის მთავრობას, ცარიზმს, — ის რუ-

სეთის ყველა ხალხის, მათ შორის რუსი ხალხის უბოროტესი მტერი იყო. ცარიზმმა რუსეთი გადააქცია „ხალხთა საპყრობილედ“, სადაც გამეფებული იყო არარუს ერთა ჩაგვრისა და შევიწროების პოლიტიკა, — უხეში კოლონიური პოლიტიკა.

მეფის რუსეთი აღმოსავლეთ ევროპის ტიპიური მრავალეროვანი სახელმწიფო იყო, რომელსაც მწვავე სოციალურ წინააღმდეგობებთან ერთად, უაღრესად ღრმა ეროვნული წინააღმდეგობანი ღრღნიდნენ. დასავლეთ ევროპაში ბურჟუაზიული ერების ჩამოყალიბების პროცესი ისტორიულად დაემთხვა ამ ერების დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოებად გადაქცევის პროცესს, რის გამო, როცა იქ ხალხები ერებად ყალიბდებოდნენ, იმავე დროს თავიანთ საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოებსაც ქმნიდნენ. მაგრამ აღმოსავლეთ ევროპაში საქმე სხვაგვარად წარიმართა: აქ მსხვილი, ცენტრალიზებული სახელმწიფოები ერების შექმნაზე ადრე წარმოიქმნენ; ამის შედეგად აღმოსავლეთ ევროპაში გაჩნდა რამდენიმე მრავალეროვანი ბურჟუაზიული სახელმწიფო, რომლებიც შედგებოდნენ ერთი ძლიერი, გაბატონებული ერისა და რამდენიმე სუსტი, დამორჩილებული ერისაგან. როდესაც დამორჩილებულმა მცირე ერებმა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის გამოიღვიძეს, მათ ველარ მოახერხეს თავიანთი დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების შექმნა, რადგან დამპყრობელ ერთა გაბატონებული კლასების გადაულახავ წინააღმდეგობას წააწყდნენ.

სწორედ ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოც. რუსეთის სახელმწიფოს სათავეში იდგა ისტორიულად ჩამოყალიბებული ძლიერი და დარაზმული თავადაზნაურული სამხედრო ბიუროკრატია, რომელიც საქართველოში ენერგიულად და თანმიმდევრობით ატარებდა აშკარა კოლონიურ პოლიტიკას. ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში მეფის თვითმპყრობელობამ მოსპო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყველა ნიშანი და გადააქცია საქართველოს სამეფო-სამთავროები რუსეთის სახელმწიფოს ჩვეულებრივ გუბერნიებად, რომლებსაც თვითმპყრობელობის მოხელეები მართავდნენ. ქართველმა ხალხმა საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე თავის ზურგზე განიცადა რუსეთის ბიუროკრატიული სახელმწიფოს უხეშობისა და თვითნებური მოპყრობის მთელი სიმწვავე.

მაგრამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის მთავრობა მაინც იძულებული იყო მაშინდელი ვითარებისათვის ანგარიში გაეწია და კოლონიური პოლიტიკა საქართველოში შედარებით ფრთხილად ეწარმოებინა. იმ დროს რუსეთის სამხედრო სტრატეგიული პოზიციები შავ ზღვაზე და კავკასიაში ჯერ კიდევ სუსტი იყო. რუსეთის წინააღმდეგ გააფთრებით იბრძოდნენ ირან-თურქეთის არმიები და შამილის მრავალრიცხოვანი მიურიდები. რუსეთთან საქართველოს აკავშირებდა

ერთადერთი გზა — საქართველოს სამხედრო გზა; არ იყო რკინიგზები, არ ხერხდებოდა გემების რეგულარული მიმოსვლა შავ ზღვაზე და ა. შ. ასეთ პირობებში ქართველი ხალხის დახმარებას რუსეთის არმიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. თავისი დაუძინებელი მტრების — ირანელი და თურქი დამპყრობლებისადმი უსაზღვრო სიძულვილით გამსჭვალულმა ქართველმა ხალხმა რუსეთს ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. რუსეთის არმიას ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა არა მარტო ადგილობრივი პირობების კარგად მცოდნე ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც ერთგულად მსახურობდა რუსეთის არმიაში, არამედ ქართველი გლეხობა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობაც. გლეხებისაგან იქმნებოდა რეგულარული ჯარის დამხმარე ლაშქარი—ე. წ. მილიცია, გლეხები ამარაგებდნენ ჯარს სურსათითა და ფურაჟით, მათ გაჰყავდათ გზები და ა. შ. ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ არმიისა და მისი ზურგის მომსახურების საქმეში საქართველოს ქალაქების მცხოვრებლები — მუშები, ხელოსნები და ვაჭრები. გარდა ამისა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ იმ დროს რუსეთიდან შემოტანილი საქონელი ვერ აკმაყოფილებდა განვითარებული ადგილობრივი ბაზრისა და თვით რუსეთის არმიის მოთხოვნებს მშვიდობიანობის დროსაც კი, გასაგები გახდება, რატომ იყო მეფის მთავრობა იძულებული ფრთხილი კოლონიური პოლიტიკა ეწარმოებინა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. რუსული იარაღის გამარჯვების შედეგად განმტკიცდა რუსეთის პოზიციები კავკასიაში და შავი ზღვის რაიონში. 1859 წელს საბოლოოდ იქნა დამარცხებული შამილი და კავკასიის შემოერთება დამთავრდა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ სწრაფად ვითარდება სასაქონლო-კაპიტალისტური მეურნეობა. რუსეთი საქართველოსა და ამიერკავკასიას უკავშირდება რკინიგზებით, ამასთან ერთად ეწყობა გემების რეგულარული მიმოსვლა შავ ზღვაზე, რუსეთის ფაბრიკებისა და ქარხნების ნაწარმი სულ უფრო ფართოდ შემოდის ჩვენში. რუსეთის წინაშე პრაქტიკულად დგება საქართველოს ეკონომიური დაპყრობის ამოცანა, ე. ი. რუსეთის კოლონიად მისი საბოლოოდ გადაქცევის ამოცანა. ამ მოვლენებმა გამოიწვიეს XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მნიშვნელოვანი გაძლიერება საქართველოში.

ეკონომიურ სფეროში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ძირითადი მიზანი იყო გადაექცია საქართველო არა მარტო რუსეთის საქონლის გასაღების ბაზრად, არამედ აგრეთვე რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებისათვის საჭირო ნედლეულის ბაზად, ე. ი. რუსეთის მრეწველობის უბრალო დანამატად. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ საქართველოს

მრეწველობა ვითარდებოდა ცალმხრივად და ის თითქმის მთლიანად დამოკიდებული იყო რუსეთის და უცხოეთის კაპიტალზე.

რუსეთი ტექნიკურ-ეკონომიურად იმ დროს, ევროპის მოწინავე კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან შედარებით, ჩამორჩენილი ქვეყანა იყო და თვითონაც ნახევრად კოლონიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. რუსეთში თავისუფლად დათარეშობდნენ უცხოელი კაპიტალისტები, რომლებიც ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებსაც დაპატრონებოდნენ. უცხოელი კაპიტალისტები ქართველი ხალხის მხეცურ ექსპლოატაციას და მის სიმდიდრეთა ყაჩაღურ ძარცვას ეწეოდნენ. ამას ემატებოდა ადგილობრივ მემამულეთა და კაპიტალისტთა მიერ მშრომელი ხალხის უხეში ექსპლოატაცია და ყველფა, რაც ბატონყმურ ექსპლოატაციაზე უარესი იყო.

მეფის თვითმპყრობელობის კოლონიური ეკონომიური პოლიტიკა ითვალისწინებდა აგრეთვე საქართველოს მიწა-წყალზე კოლონიზატორული ელემენტების მასობრივად დასახლებას. კოლონისტებს ეძლეოდათ საუკეთესო მიწები და მთელი რიგი პრივილეგიები ადგილობრივ მკვიდრთა შევიწროების ხარჯზე. თვითმპყრობელობა შეგნებულად აღვივებდა ეროვნულ და რელიგიურ შუღლს სხვადასხვა ეროვნების ხალხებს შორის, ატარებდა ხალხების ერთმანეთზე წასისინების, მათ შორის მტრობისა და შეხლა-შემოხლის ხელოვნურად გამოწვევის პოლიტიკას.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში ცარიზმის უხეში კოლონიური პოლიტიკა გამოხატულებას პოულობდა ქართველი ხალხის უფლებების ყოველმხრივ შეზღუდვაში როგორც სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ისე სასამართლოში, სკოლაში, პრესაში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ა. შ. მეფის მთავრობამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, საქართველოსათვის კუდმოკვეცილი ერობა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოც კი ვერ გაიმეტა, რის გამო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და სასამართლო ბოლომდე მეფის პოლიციური აპარატის ხელში დარჩა. ხალხი გაურბოდა ადმინისტრაციისა და სასამართლოს ორგანოებს როგორც შავ ჭირს, რადგან მათ მხრივ შევიწროებისა და დამცირების მეტს ვერაფერს ხედავდა. მმართველებსა და მოსამართლეებს სრულებით არ ესმოდათ იმ ხალხის ენა, რომელსაც ისინი „მართავდნენ". ქართველი ხალხი მოკლებული იყო მშობლიურ ენაზე საქმის წარმოებისა და ლაპარაკის უფლებას.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ცარიზმი აშკარად დაადგა საქართველოს სრული რუსიფიკაციის გზას, ქართველი ერისა და მისი კულტურის მოსპობის გზას. ამ მიზნის მისაღწევად განსაკუთრებულ როლს ანიჭებდნენ სკოლას, რომელსაც, მეფის მრჩეველი შავრაზმე-

ლი მოღვაწეების აზრით, შეეძლო სრულიად დაეევიწყებინა ქართველი ხალხისათვის მშობლიური ენა და გადაეგვარებინა, მოესპო ქართველი ერი. ამით აიხსნება, რომ 60-იანი წლებიდან მოკიდებული მეფის მთავრობა სულ უფროდაუფრო ავიწროებდა ქართულ ენას, ხოლო შემდეგ სავსებით განდევნა იგი სკოლებიდან. 90-იან წლებში სკოლებში ქართულ ენაზე არათუ სწავლება, არამედ ლაპარაკიც კი სასტიკად აკრძალული იყო. ქართველ მასწავლებლებს სამუშაოდან ხსნიდნენ და მათ მაგიერ ქართული ენის სრულიად უცოდინარ პედაგოგებს ნიშნავდნენ.

გაუგონარ დევნას და შევიწროებას განიცდიდა ქართული პრესა. მეფის მთავრობა ყოველი ღონისიძებით ცდილობდა შეეზღუდა ქართულ ენაზე ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემა, ხოლო იმ მცირეოდენ გაზეთებსა და ჟურნალებს, რომლებიც მოწინავე ქართველი მოღვაწეების თავდადებული მეცადინეობით მაინც გამოდიოდა, სასტიკი ცენზურის არტახებში აქცევდა. მთავრობამ ჯერ კიდევ 1849 წელს დააარსა სპეციალური ორგანო „კავკასიის საცენზურო კომიტეტი", რომლის ამოცანას შეადგენდა ჩაეხშო ადგილობრივ პრესაში ყოველგვარი თავისუფალი აზრის გამოვლინება. განსაკუთრებით სასტიკად იდევნებოდა ის წერილები და მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც ქართველი ხალხის ეროვნული მისწრაფებები იყო გამოხატული. საქმე იქამდე მივიდა, რომ მთავრობის ორგანოებმა 1882 წელს ოფიციალურად აკრძალეს ჩვენი სამშობლო თვით სახელის — „საქართველოს" ხსენება, „საქართველოს" მაგივრად პრესას უნდა ეხმარა „თბილისის გუბერნია" და „ქუთაისის გუბერნია".

უკეთეს მდგომარეობაში არც ქართული წიგნების გამოცემის საქმე იყო. ცენზურა კრძალავდა არა მარტო იმ ქართულ წიგნებს, რომლებიც ხალხის ცხოვრებას შეეხებოდა, არამედ ისეთ წიგნებსაც, რომლებშიც ქართველი მეფეების ცხოვრება იყო აღწერილი. 1890 წელს მთავრობამ აკრძალა ზ. გულისაშვილის მიერ შედგენილი „წიგნი სახალხო საკითხავად საქართველოს მეფეებზე". დამახასიათებელია, რომ თბილისის სახალხო სკოლების ინსპექტორი ა. გრენი, რომელსაც ეს წიგნი სარეცენზიოდ გადაეცა, შემდეგნაირად ასაბუთებდა მისი აკრძალვის აუცილებლობას. „მასში არ არის რაიმე ნებადაურთველი და მიუღებელი აზრი, მაგრამ, ჩემი აზრით, მაინც საშიში და მიზანშეუწონელია გაეცნოს ხალხი ამ წიგნს, რადგან ის იწვევს ეროვნულ გრძნობებს". ასეთი მაგალითები ხშირი იყო.

მეფის თვითმპყრობელობის ცენზურა და შავრაზმული პრესა სულს უხუთავდა აგრეთვე ქართულ თეატრს, რომელიც იმავე „ეროვნულ გრძნობებს აღვიძებდა. ცენზურა კრძალავდა, ან სრულიად ამახინჯებდა ისეთ პიესებს, რომლებიც მწვავე სოციალურ და ეროვნულ პრობლემებს ოდნავ მაინც შეეხებოდნენ. ქართული თეატრის მოღვაწე

ვ. გუნია, რომელიც გაზეთ „თეატრს“ რედაქტორობდა, 1886 წელს თავის დღიურში წერდა: „ცენზურამ ხელფეხი შემიკრა. სიტყვა არ მათქმევინეს, რა ვქნა არ ვიცი... ცენზურა მტანჯავს“[2]. ეს სიტყვები ძალიან დამახასიათებელია მაშინდელი პოლიტიკური ვითარებისათვის. რეაქციული რუსული პრესა, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა ცარიზმს, შეურაცხყოფდა და სასაცილოდ იგდებდა ქართველი ხალხის უწმინდეს ეროვნულ გრძნობებს. 1882 წელს რეაქციონერ კატკოვის გაზეთმა „მოსკოვსკი ვედომოსტმა“, თბილისის სცენაზე, დ. ერისთავის პიესის „სამშობლოს“ დადგმასთან დაკავშირებით, დაბეჭდა ცილისმწამებლური წერილი, რომელშიც სასაცილოდ აიგდო ქართველი ხალხის ეროვნული ემბლემა — ქართული დროშა. წერილში ნათქვამი იყო: გირჩევთ ქართველებმა თაეი დაანებოთ ბოდვას რაღაც წარსულზე და თქვენი დროშა ცირკს მიჰყიდოთ, იქ ტაკიმასხარები უკეთ გამოიყენებენ თქვენს დროშასო.

ასეთი იყო ცარიზმის უხეში კოლონიური პოლიტიკა. რომლის უღელქვეშ დიდხანს გმინავდა ყოველმხრივ შეიწროებული და დაჩაგრული ქართველი ხალხი.

ქართველი ერისა და მისი კულტურის დევნა-შეიწროებაში რუსეთის ცარიზმს ხელს უწყობდა რეაქციული ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც თავისი ვიწრო კლასობრივი ინტერესების შესაბამისად ერთგულად ემსახურებოდა მეფის მთავრობას და ჩინ-მედლებზე სცელიდა თავისი ქვეყნის თაეისუფლებას. საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ პერიოდში ქართველმა თავადაზნაურობამ, რომელმაც იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, სცადა დაეყენებინა „ნაციონალური საკითხი“. მას სურდა ქართეელი ხალხის ბედ-იღბალი ქართველი მეფეებისა და თავადაზნაურებისათეის გადაეცა. რისთვისაც მეფის რუსეთის წინააღმდეგ ქართველი გლეხობის უკმაყოფილების გამოყენებას ცდილობდა. მაგრამ ცარიზმმა მალე გამონახა საერთო ენა ქართველ თავადაზნაურობასთან, მიანიჭა მას ყოველგვარი პრივილეგიები და საბოლოოდ გაიერთგულა. რეაქციულმა ქართველმა თავადაზნაურობამ დაივიწყა ყოველგვარი „ნაციონალური საკითხი“, დაივიწყა სამშობლო ქვეყნის ინტერესები, მშობლიური ენაც კი და აქტიურად დაუჭირა მხარი საქართველოში ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას. იგი იქამდე დაეცა, რომ გაიზიარა მეფის მთავრობის მზაკვრული გეგმა ქართველი ერის მოსპობისა და ამ გეგმის თეორიული „დასაბუთებაც“ კი სცადა. 1872 წელს გაზეთ „კავკაზის“ დამატებად გა-

2 იხ. „ქართული თეატრის მოღვაწენი სასცენო ხელოვნების შესახებ. ეალერიან გუნია“. 1953, გვ. IX.

მოიცა თავად გ. კ. მუხრანსკის წიგნაკი: „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц". ამ წიგნაკში ის აზრი იყო განვითარებული, რომ პატარა ერების არსებობის დრო წავიდა და ახლა ისინი დიდ სახელმწიფოებში უნდა გაითქვიფონო. ასეთი „თეორიით" ავტორი ცდილობდა გაემართლებინა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა, — ქართველი ერისა და მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურის სრული მოსპობის პოლიტიკა.

საქართველოს მშრომელი მასები იტანჯებოდნენ ორმაგი ჩაგვრის უღელქვეშ, — ცარიზმის უხეში კოლონიური პოლიტიკისა და მისი ხელშემწყობი „საკუთარი" თავადაზნაურობის ექსპლოატაციის უღელქვეშ. ყოველივე ამას არ შეეძლო არ გამოეწვია ქართველი ხალხის უდიდესი გულისწყრომა და პროტესტი. აუტანელ სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას ქართველმა ხალხმა მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით უპასუხა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოება

რუსეთის თვითმპყრობელობა, როგორც უკვე ითქვა, ჩაგრავდა და ავიწროებდა არა მარტო ქართველ ხალხს, არამედ რუსეთის ყველა ხალხს. ცარიზმი გამოხატავდა რუსეთის ყველაზე რეაქციული ფეოდალური და ფინანსიური არისტოკრატიის ინტერესებს და ატარებდა, ერთი მხრივ, არარუსი ხალხების უხეში ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის, ხოლო, მეორე მხრივ, თვით რუსი ხალხის აუტანელი სოციალური ჩაგვრისა და სასტიკი ექსპლოატაციის პოლიტიკას. რუსეთის ხალხების წინაშე მთელი სიმწვავით იდგა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების ამოცანა.

რუსეთის ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში წამყვანი როლი შეასრულა დიდმა რუსმა ხალხმა, რომელმაც პირველმა აღმართა ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლის დროშა. როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, განმთავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში განვლო სამი მთავარი პერიოდი: 1) თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861-წლამდე; 2) რაზნოჩინცული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული — დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე; 3) პროლეტარული — 1895 წლიდან. რევოლუციონერთა პირველი თაობა, რომელმაც რადიშჩევის რევოლუციური ტრადიციები გააგრძელა და ცარიზმის წინააღმდეგ მრისხანე აჯანყება მოაწყო, დეკაბრისტები იყვნენ. მათ შემდეგ ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ გამოვიდნენ დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატები — ჰერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი. რუსი ხალხის ეს სახელოვანი შვილები აღიარებდნენ რუსეთის არარუსი ხალხების ეროვნულ

დამოუკიდებლობას და მხარს უჭერდნენ არარუსი ხალხების საუკეთესო წარმომადგენლებს ცარიზმისა და ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოში განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დაახლოებით ისეთივე მთავარი პერიოდები განვლო, როგორც რუსეთში. პირველი, ანუ თავადაზნაურული პერიოდი ჩვენში იწყება დაახლოებით 1832 წლიდან და გრძელდება 60-იანი წლების დასაწყისამდე; სამოციანი წლებიდან მოკიდებული ოთხმოცდაათიანი წლების ბოლომდე გრძელდება განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინცული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პერიოდი, ხოლო შემდეგ პროლეტარული პერიოდი იწყება.

საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაარსსა და მიმართულებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებმა. სხვანაირად შეუძლებელიც იყო. XIX საუკუნეში საქართველო რუსეთის სახელმწიფოში შედიოდა და უაღრესად მჭიდროდ იყო ჩაბმული რუსეთის ცხოვრების ფერხულში, რის გამო განიცდიდა რუსეთის არა მარტო პოლიტიკურსა და ეკონომიურ, არამედ, აგრეთვე, იდეოლოგიურ გავლენას. ამით აიხსნება, რომ საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთა იდეები, მათი სოციალურ-პოლიტიკური და სხვა შეხედულებანი ძირითადად ემთხვეოდა მათი რუსი მასწავლებლების — დეკაბრისტების, გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის იდეებს.

მაგრამ საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობას, რუსეთის მოძრაობისაგან განსხვავებით, გააჩნდა აგრეთვე თავისი საკუთარი, სპეციფიკური ამოცანები, რომლებიც საქართველოს მაშინდელი ცხოვრების პირობების თავისებურებებით იყო განპირობებული. საქართველო, რუსეთთან შედარებით, ეკონომიურად კიდევ უფრო ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. გარდა ამისა, საქართველო მეფის რუსეთის კოლონია იყო და განიცდიდა არა მარტო სოციალურ, არამედ აგრეთვე ეროვნულ ჩაგვრას, ე. ი. ორმაგი ჩაგვრის უღელქვეშ იტანჯებოდა. ამიტომ, თუ რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაარსსა და მიზანს სოციალურ უსამართლობათაგან მშრომელი ხალხის განთავისუფლება შეადგენდა, საქართველოში ამას დაემატა ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების ამოცანა. ამრიგად, რუსეთის განმთავისუფლებელი მოძრაობის გავლენით და საქართველოს მაშინდელი ცხოვრების პირობების თავისებურებათა შედეგად, წარმოიშვა საქართველოს ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც, როგორც უკვე ვთქვით, განვითარების სამი მთავარი პერიოდი განვლო, მსგავსად რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობისა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახვა დაკავშირებულია თავადაზნაურთა 1832 წლის ცნობილ შეთქმულებასთან. ეს შეთქმულება ძირითადად თავადაზნაურთა კლასის განწყობილებას და ინტერესებს გამოხატავდა, მაგრამ იდეურ-პოლიტიკური შემადგენლობის მხრივ შეთქმულება ერთგვაროვანი არ ყოფილა. მასში დიდგვარიან თავადიშვილებსა და ლიბერალურად განწყობილ თავადაზნაურობის წარმომადგენლებთან ერთად, რომლებიც ნეტ-ნაკლებად თავადაზნაურთა კლასის იდეოლოგიას გამოხატავდნენ, მონაწილეობდნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც თავიანთი შეხედულებებით ასახავდნენ ქართველი ხალხის, კერძოდ კი მისი ძირითადი და დაჩაგრული ნაწილის — გლეხობის მისწრაფებებსა და ინტერესებს. ეს იყო შეთქმულების მემარცხენე ჯგუფი, რომელმაც დასაბამი მისცა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მისი უველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო თავისი დროის მოწინავე და გამოჩენილი მოაზროვნე სოლომონ დოდაშვილი, აგრეთვე. მისი მეგობარი პოეტი ს. რაზმაძე.

მართალია, ს. დოდაშვილსაც არ ჰქონია სავსებით ნათელი და გარკვეული საზოგადოებრივი შეხედულებანი და მისი მსოფლმხედველობა შეთქმულების დასაწყისში ჯერ კიდევ ბუნდოვანი და ჩამოუყალიბებელი იყო, მაგრამ მისი გონებრივი განვითარება სწრაფად მიდიოდა წინ და მისი შეხედულებებიც თანდათან გარკვეული ხდებოდა, სწორედ ისევე, როგორც თანდათანობით ხდებოდა იმ ხანაში ქართველი გლეხობის კლასობრივი გათვითცნობიერება. ს. დოდაშვილმა მალე იგრძნო, რომ გლეხობის ინტერესები ძირფესვიანად განსხვავდებოდა თავადაზნაურთა ინტერესებისაგან, ის მიხვდა, რომ თავადაზნაურების მიერ დასმულ „ნაციონალურ საკითხს" არაფერი აქვს საერთო ქართველი ხალხის ნამდვილი სოციალური და ეროვნული განთავისუფლების ამოცანასთან. ამით აიხსნება, რომ ის შემდეგში ჩამოშორდა თავადაზნაურთა შეთქმულებას.

მეფის თვითმპყრობელობამ დასაწყისშივე სასტიკი ზომებით სცადა ჩაეხშო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მაგრამ მან ვერ შეძლო განმათავისუფლებელი იდეების მოსპობა. პირიქით, რაც უფრო ძლიერდებოდა ორმაგი ჩაგვრით შეწუხებული ხალხის დრტვინვა, მით უფრო ნოყიერი ნიადაგი იქმნებოდა განმათავისუფლებელი იდეების გასავრცელებლად. ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამ იდეებმა თავისი გამოხატულება ანარეკლი ჰპოვეს ისეთი გამოჩენილი მწერლებისა და მოაზროვნეების შემოქმედებაში, როგორიც იყვნენ: ს. დოდაშვილი, ა. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი და სხვ. შემდგომში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპზე ეს

იდეები გააღრმავეს, გააფართოეს და განამტკიცეს სამოციანი წლების სახელოვანმა მწერლებმა და მოაზროვნეებმა — თერგდალეულებმა.

თერგდალეულთა აზრები და იდეები წარმოადგენდნენ მაშინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შედეგს, მის გამოხატულებას იდეოლოგიურ სფეროში. ქართველი გლეხობა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა, რომლებიც მთელი ქართველი ხალხის დაახლოებით ცხრა მეათედს შეადგენდნენ, ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში იწყებენ თავიანთი ინტერესების გაგებას. ვიდრე ცარიზმი და ქართველი თავადაზნაურობა ერთმანეთს უნდობლად ეკიდებოდნენ, გლეხი და ხელოსანი ცოტად თუ ბევრად ორივე მხარეს სჭირდებოდა და ამდენად იძულებული იყვნენ ერთგვარი ანგარიშიც გაეწიათ მათთვის. მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი „შეთანხმდნენ“ და ცარიზმმა საქართველოში ფეხი მაგრად მოიკიდა. გლეხიცა და ქალაქის მშრომელიც დაეიწყებული იქნენ და კიდევ უფრო სასტიკი ორმაგი ექსპლოატაციის საგნად გადაიქცნენ. ფულადი მეურნეობის განვითარებით მადაგაღვიძებული ქართველი თავადაზნაურობა, რომელსაც მფარველად რუსეთის მეფის თვითმპყრობელური ტახტი მოევლინა, უკიდურესობამდე აძლიერებს გლეხის ექსპლოატაციას და აქტიურად უჭერს მხარს ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას. ასეთ ვითარებას არ შეეძლო თვალი არ აეხილა საქართველოს მშრომელებისათვის. თუ წინათ სიცოცხლეგამწარებული ქართველი გლეხი ხან თავად-აზნაურობას ეკედლებოდა და ცარიზმის მძიმე უღლის გადაგდებას მისი დახმარებით ლამობდა, ხან კი მეფის ჩინოვნიკებისა და მეფის კანონების იმედით არა ნაკლებ მძიმე ბატონყმური უღლის მოცილებაზე იცნებობდა, შემდეგში მას არ შეეძლო არ დაენახა, რომ ცარიზმიც და „საკუთარი“ თავადაზნაურობაც ორივე მისი მტერია. გლეხობა და მასთან ერთად ქალაქის მშრომელები თანდათან ერკვევიან ბურანიდან, თანდათან იზრდება მათი კლასობრივი თვითშეგნება. უკვე გურიის გლეხობის 1841 წლის აჯანყებაში გლეხობამ თავისი მახვილი აშკარად მიმართა ორივე მტრის — ცარიზმისა და ქართველი მიმამულეების წინააღმდეგ. მომდევნო ხანაში, განსაკუთრებით ყირიმის ომის დროიდან საგლეხო რეფორმამდე, გლეხობის ბრძოლამ ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ გრანდიოზული ხასიათი მიიღო. რეფორმის შემდგომ ხანაში ეს ბრძოლა არათუ არ შეწყვეტილა, არამედ თანდათან ძლიერებოდა და ამზადებდა პირობებს რუსეთის პირველი საერთო სახალხო რევოლუციისათვის.

ქართველი გლეხობის ბრძოლას მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ თავისი ხმა შეუერთა ქალაქის ღარიბმა მოსახლეობამ — მუშებმა, ხელოსნებმა. წვრილმა ვაჭრებმა, აგრეთვე ნაწილობრივ ახალფეხადგმულმა ბურჟუაზიამ. მათი ხმა განსაკუთრებით მძლავრად გაის-

შა 1865 წელს თბილისში, როცა, როგორც უკვე ვიცით, ადგილი ჰქონდა ღარიბი მოსახლეობის გრანდიოზულ აჯანყებას.

ამრიგად, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საფუძველს წარმოადგენდა დაჩაგრული და უუფლებო კლასების, ანუ ე. წ. „მესამე წოდების“ ბრძოლა ცარიზმისა და პრივილეგიური კლასების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა XIX საუკუნის მეორე ნახევარში უფრო და უფრო ფართოვდებოდა იმისდა მიხედვით, თუ როგორ ძლიერდებოდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა და მშრომელთა ექსპლოატაცია.

დაჩაგრული კლასების ბრძოლის გაფართოებასა და გაძლიერებას არ შეეძლო არ გამოეწვია ამ ბრძოლის იდეოლოგიური ფორმის გაძლიერებაც. ამით აიხსნება, რომ მეცხრამეტე საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების ასპარეზზე ცენტრალური ადგილი დაიჭირეს თერგდალეულებმა, — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწეებმა.

§ 3. ქართველი სამოციანელების ანუ თერგდალეულთა მოღვაწეობა

თერგდალეულების ბრძოლა ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების საქართველოს პროგრესული იდეური მოძრაობა, რომელიც მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ ქართველი გლეხობისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ბრძოლის იდეოლოგიურ გამოხატულებას წარმოადგენდა, რუსეთის საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკადი იყო, მაგრამ მას თავისი სპეციფიკური, რუსეთის იდეური მოძრაობისაგან განსხვავებული ნიშნებიც გააჩნდა.

როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რუსეთში გასული საუკუნის სამოციან წლებში „ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა“[3]. ამით აიხსნება, რომ რუსეთის ყველაზე პროგრესული მოღვაწეები თავიანთ უმთავრეს და უპირველეს ამოცანად ბატონყმობის დამხობასა და სოციალურ უსამართლობათა მოსპობას ისახავდნენ. ეს ამოცანა არანაკლები სიმწვავით იდგა საქართველოს პროგრესული მოღვაწეების — თერგდალეულების წინაშეც და ამიტომ იყო, რომ ისინი

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 628.

თავდადებით იბრძოდნენ ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ, მაგრამ ამასთან ერთად, როგორც უკვე ითქვა, მათ წინაშე იდგა აგრეთვე სხვა, უაღრესად მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხი, — ეროვნული ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლების საკითხი. თერგდალეულებს არ შეეძლოთ თავისუფლებისათვის ბრძოლა მარტო ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით შემოეფარგლათ; თვით ცხოვრება მოითხოვდა მათგან, რომ ამასთან ერთად გაეჩაღებინათ ბრძოლა ცარიზმის მიერ ქართველი ხალხისათვის წართმეული პოლიტიკური უფლებების დასაბრუნებლად. აი, რატომ მოხდა, რომ თერგდალეულებმა თავიანთ დროშას ერთ მხარეზე დააწერეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დიადი სიტყვები: „ძმობა, ერთობა და თავისუფლება“, ხოლო მეორე მხარეზე — ილია ჭავჭავაძის მიერ წამოყენებული ლოზუნგი: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“.

თავდაპირველად თერგდალეულებს საქართველოს თავისუფლება წარმოდგენილი ჰქონდათ მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სახით, რაც საყოველთაო-სახალხო აჯანყების საშუალებით უნდა მომხდარიყო. მაგრამ შემდგომში, როცა მათ დაინახეს, როგორ სწრაფად ვითარდებოდა რუსეთთან საქართველოს ეკონომიური თანამშრომლობა და ძლიერდებოდა რუსეთის დაწინაურებული ცხოვრების დადებითი გავლენა საქართველოს ცხოვრებაზე, თერგდალეულები დარწმუნდნენ, რომ რუსეთისაგან გამოყოფა იმ დროს აღარ იქნებოდა ხელსაყრელი საქართველოსათვის, არ იქნებოდა პროგრესული ნაბიჯი. ამიტომ თერგდალეულებმა გააჩაღეს ბრძოლა ქართველი ერის პოლიტიკური უფლებების გასაფართოებლად თვით რუსეთის იმპერიისავე ფარგლებში.

თავიანთ ბრძოლაში როგორც სოციალური, ისე ეროვნული განთავისუფლებისათვის თერგდალეულები ეყრდნობოდნენ რუსეთის მოწინავე ადამიანთა მხარდაჭერას. რუსი ხალხის საუკეთესო შვილები, გამოჩენილი რევოლუციური დემოკრატები ყოველთვის აღიარებდნენ არარუსი ხალხების, მათ შორის ქართველი ხალხის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული კულტურის განვითარების უფლებას. რუსეთის ყველა ხალხის, მათ შორის დიდი რუსი ხალხის, ნამდვილი განთავისუფლების საქმეს ისინი სამართლიანად უკავშირებდნენ ცარიზმის დამხობის ამოცანას.

თერგდალეულები კარგად ხედავდნენ, რომ არსებობს ორი რუსეთი — მეფის, კატკოვის და მისი მსგავსი რეაქციონერების რუსეთი და რევოლუციონერ-დემოკრატთა რუსეთი, — ჩერნიშევსკის რუსეთი. თერგდალეულები მთელი ძალღონით ებრძოდნენ მეფის რეაქციულ რუსეთს, რომელიც მათ უსაზღვროდ სძულდათ; ამავე დროს ისინი

ამაყობდნენ იმით, რომ პროგრესული რუსეთის მეგობრები იყვნენ და უსაზღვროდ უყვარდათ იგი. ქართველმა სამოციანელებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ რუსეთის მოწინავე ადამიანები არ თანაუგრძობდნენ რუსეთის გაბატონებული კლასების რეაქციულ კოლონიურ პოლიტიკას და გაბედულად ეკომაგებოდნენ რუსეთის განაპირა ქვეყნების ჩაგრულ ერებს. სწორედ მათ შესახებ ამბობდა ი. ჭავჭავაძე. „საბედნიეროდ რუსეთისა და მის მფარველობის ქვეშ მყოფ სხვადასხვა ერთა... არიან რუსეთში იმისთანა კაცნიც, რომელთაც ნამდვილად გაუგიათ ჭეშმარიტი დანიშნულება რუსის მოღვაწეობისა რუსეთის განაპირა ქვეყნებში“[4].

ამრიგად, თერგდალეულთა იდეოლოგიაში ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადანასკული ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლების ამოცანები. თერგდალეულები მთელი ძალღონით იბრძოდნენ ორივე ამ ამოცანის გადასაწყვეტად. მაგრამ რეაქციის გაძლიერების შემდეგ პირველ რიგში ისინი ეროვნულ საკითხს აყენებდნენ. თერგდალეულთა ხელმძღვანელები ამბობდნენ: ჯერ გვაცოცხლეთ და მერე გვასწავლეთ, როგორ გავმდიდრდეთო. ეს ნიშნავდა, რომ ეროვნული ჩაგერისაგან საქართველოს განთავისუფლება მათ მიაჩნდათ ერის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად. ყველა სხვა საჭირბოროტო საკითხი, მათ შორის თავადაზნაურთა და გლეხთა ურთიერთობის საკითხიც, თერგდალეულებმა ამ ძირითად საკითხს დაუქვემდებარეს.

ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით დიდ ქართველ მწერლებს ი. ჭავჭავაძეს და ა. წერეთელს, რომელთა მხატვრული ნაწარმოებები გაჟღენთილია ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის სულისკვეთებით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ი. ჭავჭავაძის უკვდავი ლექსები და პოემები: „ჩემი თარიარალი“, „ნანა“, „მესმის, მესმის“, ქართველი სტუდენტების სიმღერა“, „ბაზალეთის ტბა“, „აჩრდილი“, „ქართვლის დედა“, „მგზავრის წერილები“; აგრეთვე ა. წერეთლის შესანიშნავი ლექსები, პოემები და მოთხრობები: „სალამური“, „ძველ სამეფოს“, „ციცინათელა“, „აღმართ-აღმართ“, „გაზაფხული“, „ხანჯალს“, „ძირს“, „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, „პატარა კახი“ და „ბაში-აჩუკი“.

ჯერ კიდევ ჭაბუკობის დროს დაწერილ ლექსებსა და პოემებში ი. ჭავჭავაძე უდიდესი გაბედულებით აღვივებდა ხალხში ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იდეას.

---

[4] იხ. „იერია“, 1899, 27 ოქტომბერი.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა განსაკუთრებით ძლიერად გამოხატულია პოემაში „ქართვლის დედა", რომელიც თავისუფლების ნამდვილი ჰიმნია. პოემის ავტორი პირდაპირ მოუწოდებს ხალხს თვითმპყრობელობის დამხობისაკენ. განსაკუთრებით პოპულარული გახდა ქართველ ხალხში პოეტის მოწოდება:

„ქართველო, ხელი ხმალს იყარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა...

თავისუფლების შშოვნელი
ამ ქვეყნად მარტო თოფია,
შინ უღლით გაქნილს მშვიდობას
ომში სისხლის ღვრა სჯობია".

ასევე თავგამოდებით მოუწოდებდა ქართველ ხალხს შეფისა და მემამულეების წინააღმდეგ საბრძოლველად აკაკი წერეთელი.

V თერგდალეულები დაუნდობლად ებრძოდნენ არა მარტო აშკარა რეაქციონერებს, რომლებიც თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის ხელუხლებლობას იცავდნენ, არამედ აგრეთვე თავადაზნაურულ ლიბერალებს, რომლებიც სიტყვით „მთელი ქართველი ერის" დამცველად გამოდიოდნენ, საქმით კი ცარიზმისა და მსხვილი მემამულეების ინტერესებს ემსახურებოდნენ. ქართველი რეაქციონერებისა და ლიბერალების წინააღმდეგ თერგდალეულთა ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო პირველად 60-იანი წლების დასაწყისში, საგლეხო რეფორმის წინ, როდესაც საქართველოში რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა; მეორედ კი 70-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ბურჟუაზიული რეფორმების უარყოფითი მხარეები სავსებით გამომჟღავნდა და ახალი ძალით გაჩაღდა სოფლისა და ქალაქის მშრომელთა მოძრაობა მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ.

თერგდალეულთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამსახურება ის იყო, რომ ისინი აქტიურად გამოდიოდნენ ეროვნული კარჩაკეტილობისა და შეზღუდულობის წინააღმდეგ, დაუღალავად ქადაგებდნენ ხალხთა ურთიერთთანამშრომლობისა და მეგობრობის იდეას. თავიანთ ნაწერებში თერგდალეულები უმღეროდნენ ხალხთა მეგობრობას, შხარს უჭერდნენ და თანაუგრძნობდნენ დაჩაგრული ერების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ხოტბას ასხამდნენ ჩაგრულ ერთა გამოჩენილი ადამიანების ბრძოლას თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ. თერგდალეულები ოცნებობდნენ იმ დროზე, როცა თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა მათ სამშობლოშიც გაიყოლიებდა ხალხის მასებს ჩაგვრისა და მონობის დასათრგუნავად.

ბრძოლის ძირითად და უმთავრეს საშუალებად თერგდალეულებს ხალხში თავიანთი შეხედულებების ფართო პროპაგანდა მიაჩნდათ. პროპაგანდას თერგდალეულები უმთავრესად ლეგალური პრესის საშუალებით ეწეოდნენ, მაგრამ ზოგჯერ არალეგალურ საშუალებებსაც იყენებდნენ. თერგდალეულთა უმთავრესი ორგანოები იყო: ჟურნალები „საქართველოს მოამბე“ (1863 წ.), „მნათობი“ (1869—1872), „კრებული“ (1871—1873), „ივერია“ (1877—1885), გაზეთები „დროება“ (1866—1885) და „ივერია“ (1885—1906).

ქართველი სამოციანელების ანუ თერგდალეულების შეხედულებები ყველაზე მკაფიოდ და სრულად თავიანთ ნაწერებში ჩამოაყალიბეს გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა და მოაზროვნეებმა ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ და გიორგი წერეთელმა.

ი. გ. ჭავჭავაძე (1837—1907)

ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე დაიბადა სოფელ უვარელში, გაღარიბებული თავადის ოჯახში. ილიას მამა და ბიძები რუსეთის არმიაში მსახურობდნენ ოფიცრებად, ილიას სამი ბიძა — სვიმონი, გარსევანი და ალექსანდრე — გმირულად დაიღუპა სპარსეთისა და შამილის მიურიდების წინააღმდეგ ომში, ხოლო მეოთხე ბიძა — მიხეილი დაიღუპა კახეთზე მთიელების ერთ-ერთი თავდასხმის დროს. ასევე შამილის მიურიდებთან ბრძოლაში დაიღუპნენ ილიას ბაბუა პაატა და უფროსი ძმა კონსტანტინე. ილიას მამა გრიგოლიც მამაცურად იბრძოდა ირან-თურქეთისა და მათი აგენტების წინააღმდეგ, რისთვისაც საბრძოლო ჯილდოები დაიმსახურა.

ჭავჭავაძეების ოჯახი, ამდენ უბედურებათა შედეგად, ძალიან გაღარიბდა. მათი სახლი მეზობელი გლეხების სახლებისაგან ბევრით არაფრით განირჩეოდა. პატარა ილია მრავალი წლის განმავლობაში გლეხის ბავშვებთან ერთად იზრდებოდა. მათთან ერთადვე მიიღო მან პირველდაწყებითი განათლება სოფლის მთავარდიაკონთან, რომელმაც ილიას სამშობლო ქვეყნის სიყვარული ჩაუნერგა. ახალგაზრდა ილიას გონებრივ განვითარებაზე დიდი გავლენა ჰქონდა აგრეთვე დედამისს მარიამს, რომელიც ჭკვიანი და თავისი დროისათვის განათლებული ქალი იყო. 1848 წელს ილია სასწავლებლად ჩამოიყვანეს თბილისში. ერთ ხანს ის კერძო პანსიონში სწავლობდა, 1852 წელს კი შევიდა თბილისის გიმნაზიაში.

1857 წელს ილია ჭავჭავაძე სასწავლებლად გაემგზავრა პეტერბურგში და იმავე წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად. ოთხი წელიწადი გაატარა ილიამ რუსეთის დედაქალაქში. აქ ის გაეცნო რუსეთის მოწინავე ადამიანებს, მათ შორის ნ. გ. ჩერნიშევსკის. ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე უდიდესი

გულმოდგინებითა და ენერგიით მუშაობდა რუსეთისა და ევროპის მატერიალისტური ფილოსოფიის, აგრეთვე საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა დარგების მოწინავე წარმომადგენელთა ნაშრომების შესასწავლად. სწორედ პეტერბურგში ყოფნის დროს შეითვისა ი. ჭავჭავაძემ თავისი დროის მოწინავე რევოლუციურ-დემოკრატიული და ჰუმანისტური იდეები.

1861 წელს, პეტერბურგის სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობასთან დაკავშირებით, ი. ჭავჭავაძე გამორიცხეს უნივერსიტეტიდან. იმავე წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა. ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე ი. ჭავჭავაძემ თავის გარშემო შემოიკრიბა მაშინდელი საქართველოს დემოკრატიული და რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილი ახალგაზრდობა და გააჩაღა მძარფი იდეური ბრძოლა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. ი. ჭავჭავაძის მიერ დაარსებული პროგრესული ჟურნალი „საქართველოს მოამბე" გადაიქცა თერგდალეულთა თაობის ტრიბუნად, რომელიც აღვიძებდა ხალხს, მოუწოდებდა მას ბრძოლისაკენ.

„საქართველოს მოამბეს" მთავრობის ცენზურამ აუტანელი პირობები შეუქმნა, რის გამო ჟურნალი მალე დაიხურა. ამის შემდეგ ი. ჭავჭავაძე იძულებული გახდა სამსახური დაეწყო და თითქმის ათი წელიწადი დაჰყო საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. ერთ ხანს ქუთაისში მუშაობდა, შემდეგ კი თბილისისა და დუშეთის მაზრებში — შომრიგებელი შუამავლისა და მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობებზე. სამსახურთან ერთად ი. ჭავჭავაძე აქტიურად განაგრძნობდა ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას და კვლავ უწევდა ხელმძღვანელობას თერგდალეულთა საქმიანობას. გაზეთ „დროების" პირველი ნომრისათვის (1866 წ.) მან დაწერა ბრწყინვალე პროგრამული სტატია „ზოგიერთი რამ". მომდევნო წლებში „დროებისა" და „კრებულის" ფურცლებზე გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის მრავალი შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოები. რაიონებში სამსახური ი. ჭავჭავაძემ გამოიყენა ხალხთან დაახლოებისა და მისი ცხოვრების უკეთ შესწავლისათვის. კერძოდ, მან საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ხალხური სიტყვიერება. 1871—1873 წლებში ილიამ დუშეთიდან ჟურნალ „კრებულში" გამოსაქვეყნებლად გამოგზავნა მის მიერ შეგროვილი რამდენიმე ათასი „გლეხური სიმღერა".

სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, როდესაც ახალი ძალით გაჩაღდა თერგდალეულთა იდეური ბრძოლა ძველი წყობილების დამცველთა წინააღმდეგ, აუცილებელი შეიქმნა ილიას ისევ თბილისში დაბრუნება, რათა კვლავ უშუალოდ ჩასდგომოდა სათავეში ახალი თაობის მებრძოლ რაზმს. ნიკო ნიკოლაძე გადმოგვცემს: „საზღვარგარეთიდან რომ დაბრუნდი... ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყველა მა-

შინდელი ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯერე, დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დაეუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ-მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871—1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს „გროვით“ ქართული მწერლობის აღორძინების მოტრფიალენი“.

1873 წელს ილია ჭავჭავაძე თავს ანებებს სამსახურს და ბრუნდება თბილისში. 1875 წელს მას ირჩევენ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარედ. ამ ბანკის სახსრებით ილია მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ქართულ კულტურულ-საზოგადოებრივ დაწესებულებებს. 1877 წელს ი. ჭავჭავაძე აარსებს გაზეთ „ივერიას“, რომელიც შემდეგ ჟურნალად გადაკეთდა. 1886 წელს, როდესაც მთავრობის განკარგულებით „დროება“ დაიხურა, ი. ჭავჭავაძემ „ივერია“ კვლავ გაზეთად გადააკეთა და დიდი ხნის განმავლობაში ის ერთადერთი ქართული გაზეთი იყო. ფართო შემოქმედებითსა და მეცნიერულ მუშაობასთან ერთად, ი. ჭავჭავაძე ეწეოდა მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მის დროს საქართველოში არ ყოფილა თითქმის არც ერთი ქართული კულტურულ-საზოგადოებრივი დაწესებულება, რომლის შექმნასა და მუშაობაში მას მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს.

ილია ჭავჭავაძე იყო ქართველი ხალხის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩინილი მწერალი და მოაზროვნე. ის იყო უაღრესად ფართო ერუდიციისა და დიდი განათლების ადამიანი, სამშობლოს კეთილდღეობისათვის დაუღალავი მებრძოლი. ის რისხვად ევლინებოდა ქართველი ხალხის მტრებს, რომლებსაც ანადგურებდა ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის ბასრი იარაღით. სასტიკი ცენზურის პირობებში ის ახერხებდა გაეპარებინა პრესაში თვითმპყრობელობისა და ძველი წყობილების საწინააღმდეგო გაბედული აზრები. ხოლო, როცა ეს შეუძლებელი იყო, ის არ ერიდებოდა თავისი ნაწერების არელეგალური გზით გავრცელებას. 1871 წელს ი. ჭავჭავაძემ „გამოცანების“ სახით დაწერა მწვავე პამფლეტები, რომლებშიც სამარცხვინო ბოძზე გააკრა რეაქციონერ-კონსერვატორთა და ლიბერალთა მთელი ბანაკი. ეს „გამოცანები“ ხალხში არალეგალურად ვრცელდებოდა ხელნაწერების სახით. „დროების“ რედაქტორი ს. მესხი ერთ კერძო წერილში გადმოგვცემს იმ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას, რაც ამ პამფლეტებს თბილისში მოუხდენია. ის წერდა: „ორი ისეთი ხელნაწერი პამფლეტი გამოიიდა აქ ამ დღეებში, რომელმაც მთელი ქალაქი შესძრა“-ო. ასევე გამანადგურებელი პასუხი გასცა ი. ჭავჭავაძემ ცარიზმის ლაქია რეაქციონერ კატკოვს, რომელმაც თავის გაზეთში სასაცილოდ აიგდო ქართული

დროშა და შეურაცხჰყო ქართველი ხალხის ეროვნული გრძნობები.

ილია ჭავჭავაძე თავისი სამშობლოს უდიდესი პატრიოტი იყო და უსაზღვროდ უყვარდა თავისი ერი, განსაკუთრებით მისი დაჩაგრული ნაწილი — გლეხობა. მაგრამ ამასთან ერთად, ის უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა აგრეთვე სხვა ერებს, განსაკუთრებით დაჩაგრულ ერებს. მას არაერთხელ გამოუთქვამს თავისი მხურვალე სიმპათიები ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი იტალიელების, ირლანდიელების, პოლონელების, ჩეხების, უნგრელების, ბერძნებისა და სხვა ჩაგრულ ერთა მიმართ.

ილია ჭავჭავაძე ხედავდა, რომ მისი დროის კაპიტალისტური სახელმწიფოების ერები გაყოფილი იყვნენ ორ მოპირდაპირე, მტრულ ბანაკად — მუქთახორა ექსპლოატატორებისა და ექსპლოატირებულ მშრომელთა ბანაკად, რომელთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო გამართული. ამ ბრძოლაში ილია ჭავჭავაძის მთელი სიმპათიები ყველა ქვეყნის მშრომელი ხალხის — მუშებისა და გლეხების მხარეზე იყო. თუ რა მხურვალე თანაგრძნობით ეპყრობოდა ი. ჭავჭავაძე ევროპის მუშათა მოძრაობას, ეს ჩანს მისი შესანიშნავი ლექსიდან, რომელიც მიძღვნილია პარიზის კომუნისადმი. ამ ლექსში დიდი ქართველი პოეტი მიესალმება პარიზის კომუნარებს და მათ წითელ დროშას „ტევრთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელ დიდ დროშას“ უწოდებს, მათ მიერ დალვრილ სისხლს — „წმინდა სისხლს“, ხოლო მათ საქმეს — „ქვეყნის ხსნად მოელინებულ დიდ საქმეს“. კომუნის ჯალათებს ილია გაბედულად უწოდებს მტარვალთ და კომუნის დამარცხება ისტორიის შეფერხებად მიაჩნია.

მთელი თავისი გენიალობის მიუხედავად, ილია ჭავჭავაძემ ვერ შეძლო ამაღლებულიყო ისტორიის მატერიალისტურ, ე. ი. მარქსისტულ გაგებამდე. მას ჰქონდა სერიოზული თეორიული შეცდომები და ცალკეული გადახვევები იდეალიზმისაკენ. მან ვერ გაიგო საქართველოს მუშათა კლასისა და მისი რევოლუციური მოძრაობის ისტორიული როლი. მიუხედავად ამისა, ძალიან დიდი იყო ყოველივე იმის მნიშვნელობა, რისი გაკეთებაც მან შეძლო მაშინდელი საქართველოს დუხჭირ პირობებში — ჩამორჩენილობის, უუფლებობისა და თავისუფალი აზრის დევნის პირობებში.

ილია ჭავჭავაძე იყო ქართველი ხალხის დიდი განმანათლებელი, რომელიც ბევრ საკითხში გამოდიოდა როგორც ნამდვილი რევოლუციონერ-დემოკრატი. მან, თავის თანამოაზრეებთან ერთად, გამოაღვიძა და გაათვითცნობიერა ქართველი ერი, აამაღლა დაბალი კლასების

შეგნება და ხელი შეუწყო ხალხის მასების მომზადებას მომავალი რევოლუციისათვის.

ა. წერეთელი (1840—1915)

ილია ჭავჭავაძის უახლოესი თანამებრძოლი და თერგდალეულთა ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი იყო დიდი ქართველი პოეტი აკაკი როსტომის ძე წერეთელი. აკაკი დაიბადა სოფელ სხვიტორში (საჩხერის ახლოს), თავადის ოჯახში. მისი მამა როსტომი საშუალო შეძლების თავადად ითვლებოდა. ის თუმცა მახვილი გონების ადამიანი იყო, მაგრამ ძალიან მცირე განათლება ჰქონდა. მომავალი პოეტის აღზრდაზე დიდი გაელენა ჰქონდა მის დედას ეკატერინეს (ივანე აბაშიძის ასულს), რომელიც განათლებული და თავის სამშობლო ქვეყნის მოყვარული ადამიანი იყო. პატარა აკაკი აღსაზრდელად გააბარეს სოფელ სავანეში, ყმა გლეხის სადუნაშვილის ოჯახში, სადაც მან 6 წელი დაჰყო. ღარიბი გლეხის ოჯახში მიღებულ შთაბეჭდილებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოეტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის. სწორედ იქ იგრძნო მან პირველად ბატონყმური წყობილების მთელი უსამართლობა და განიმსჭვალა დაჩაგრული გლეხობისადმი სიყვარულით.

1850 წელს აკაკი ქუთაისის გიმნაზიაში შეიყვანეს. პოეტი ჩინებულად სწავლობდა, მაგრამ ვერ შეურიგდა სასწავლებელში გამეფებულ უხეშ რუსიფიკატორულ რეჟიმს და გიმნაზიის უკანასკნელი კლასიდან გამოვიდა. იმ დროს ის უკვე ოცნებობდა სამშობლოს განთავისუფლებაზე, ამიტომ გადაწყვიტა სამხედრო განათლება მიეღო. 1859 წელს აკაკი გაემგზავრა პეტერბურგში. მას განზრახული ჰქონდა სამხედრო სასწავლებელში შესულიყო, მაგრამ შემდეგ აზრი შეიცვალა და პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად ჩაირიცხა. რუსეთში ახალგაზრდა ქართველ პოეტს საუცხოოდ მომზადებული პირობები დახვდა. იმ დროს რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ ეტაპში შევიდა. როგორც თვითონ აკაკი გადმოგვცემს, „იმ დროს გამოვიდა სარატოველი სემინარიელი ჩერნიშევსკი, ჩაუდგა სათავეში ჟურნალ „სოვრემენიკს“ და დობროლიუბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად დასცა რუსეთს ყიფინა. ამოძრავდა რუსეთი... მისი ხელახალი დამონება შეუძლებელი იყო!“[5].

პეტერბურგში აკაკი გაეცნო ილია ჭავჭავაძეს და დაუმეგობრდა მას. მოწინავე ქართველ სტუდენტებთან ერთად, აკაკი უდიდესი გატაცებით ითვისებდა განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებს. ამავე ხანებში გაეცნო და დაუმეგობრდა აკაკი უკრაინის სახალხო პოეტს,

---

[5] აკაკი, რჩეული ნაწერები, 1940, გვ. 456—457.

გამოჩენილ რევოლუციონერ-დემოკრატს ტ. შევჩენკოს, რომელმაც მასზე დიდი გავლენა მოახდინა.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს აკაკიმ დაწერა მრავალი შესანიშნავი ლექსი, რომლებშიც უმღერა ხალხის თავისუფლებას. 1864 წელს აკაკი საქართველოში დაბრუნდა და ერთხანს ქუთაისში მოღვაწეობდა, შემდეგ კი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. მან უარი თქვა სამსახურში შესვლაზე და მთელი თავისი ძალღონე ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეალია. აკაკი დაუღალავად იღვწოდა ხალხის საკეთილდღეოდ, ის უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა თერგდალეულთა ჟურნალ-გაზეთების საქმიანობაში.

აკაკი წერეთელი ნამდვილი სახალხო პოეტი იყო. ის ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ახლოს ეცნობოდა ხალხის ცხოვრებას. მის გრძნობით სავსე ლექსებში ქართველი ხალხის, დაჩაგრული ქართველი გლეხობის სულისკვეთებაა გამოხატული. აკაკი ხშირად იყენებდა სატირას, რომლის მახვილი მიმართული იყო ხალხისათვის საძულველი მეფის ჩინოვნიკებისა და რეაქციული ქართველი თავადაზნაურობის წინააღმდეგ. აკაკის მართალი, პირდაპირი და მახვილი სიტყვა ძილს უფრთხობდა ძველი წყობილების დამცველებს. რაც უფრო ძლიერდებოდა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრა, მით უფრო მძლავრად გაისმოდა აკაკის ჩანგის ჟღერა ხალხის ინტერესების დასაცავად. მისი პოეზია აღვიძებდა ხალხს, უძლიერებდა მას გამარჯვების რწმენას, მოუწოდებდა ბრძოლისაკენ.

ამიტომ იყო აკაკი ქართველი ხალხის განსაკუთრებით საყვარელი პოეტი.

ნ. ნიკოლაძე (1843—1928)

გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი და მოაზროვნე ნიკო იაკობის ძე ნიკოლაძე დაიბადა ქ. ქუთაისში, ვაჭრის ოჯახში. მისი მამა იაკობი (ჩამომავლობით ყმა გლეხი), აგრეთვე ბაბუა და ბიძები დასავლეთ საქართველოში ცნობილი ვაჭრები იყვნენ. იაკობს მცირე განათლება ჰქონდა, მაგრამ ვაჭრობაში ძალიან დახელოვნებული იყო. სავაჭრო საქონელი მას რუსეთისა და ევროპის ქალაქებიდან მოჰქონდა. ნიკოს დედა ლიზა (ელისაბედი) ფირან ლორთქიფანიძის ასული, მშვენიერი მწიგნობარი და თავისი დროისათვის განათლებული ქალი იყო. „ვეფხისტყაოსანი" ზეპირად იცოდა. მან შეაყვარა პატარა ნიკოს ქართული წიგნების კითხვა. სწავლა ნიკო ნიკოლაძეს ძალიან ადრე დაუწყებინეს: ჯერ კერძო მასწავლებლებთან სწავლობდა, შემდეგ კი ქუთაისის გიმნაზიაში შეიყვანეს. ამ სასწავლებელში ნიკოლაძემ ცხრა წელი გაატარა. მაგრამ ცოდნა ვერაფერი შეიძინა. გიმნაზიაში ყველა საგანს რუსულად ასწავ-

ლიდნენ, მოსწავლეებს კი რუსული სრულიად არ ესმოდათ. ამის გამო მოსწავლეები გულგრილად ეკიდებოდნენ სწავლასაც და მასწავლებლებსაც, რომელთა ენა მათ არ ესმოდათ. თავის მოგონებაში ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს: „მგონია არც ერთ სასწავლებელში დედამიწის ზურგზე არ უნახავს კაცს ისეთი დაშორება და გულგრილობა მასწავლებლებს და მოსწავლეთ შუა, როგორც ქუთაისის გიმნაზიაში იმ დროს. როცა ჩვენ იქ ვსწავლობდით“[6].

1861 წელს ნ. ნიკოლაძე სასწავლებლად გაემგზავრა რუსეთში და პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა. მაგრამ უნივერსიტეტში სწავლა დიდხანს არ დასცალდა: სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის იმავე წელს დააპატიმრეს და ! ხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად კრონშტადტის ციხეში ჩასვეს. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ნიკოლაძეს დედაქალაქი უნდა დაეტოვებინა, მაგრამ მოახერხა იქ ცხოვრების ნებართვის მიღება და 1864 წლამდე კვლავ პეტერბურგში იმყოფებოდა, შემდეგ კი საზღვარგარეთ გაემგზავრა.

პეტერბურგში ცხოვრებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნ. ნიკოლაძისათვის. იქ მან პირველად გაიგონა და შეითვისა ის თავისუფალი სიტყვა, რომელზედაც ყმაწვილი ნიკოლაძე ჯერ კიდევ ქუთაისში ყოფნის დროს ოცნებობდა: „ამგვარი სიტყვისათვის ვიყავ წამოსული რუსეთისაკენ, მისი იმედით მიყვარდა სტუდენტობა. მისი პატივი აგერ სამი წლის განმავლობაში მემარხა გულში“, — ამბობს ნიკოლაძე თავის მოგონებაში. პეტერბურგში ყოფნის დროს ნიკოლაძე აქტიურად ჩაება განმათავისუფლებელ მოძრაობაში, იგი პირადად გაეცნო და დაუახლოვდა ნ. გ. ჩერნიშევსკის, რომელთანაც შემდეგში ახლო ურთიერთობა ჰქონდა. საზღვარგარეთ ყოფნის დროს ნ. ნიკოლაძე გაეცნო რუსეთის მეორე გამოჩენილ რევოლუციონერ-დემოკრატს ა. გერცენს და აქტიურად თანამშრომლობდა გერცენის „კოლოკოლში“, რომელიც ლონდონში გამოდიოდა.

1866 წელს, მეფე ალექსანდრე მეორეზე კარაკოზოვის თაყვანისმცემასთან დაკავშირებით, ნ. ნიკოლაძემ ჟენევაში გამოსცა ბროშურა: „მთავრობა და ახალი თაობა“, რომელშიც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა რუსეთის მთავრობას, თუმცა ტერორისტული აქტებს, როგორც ბრძოლის მეთოდს, ის უარყოფდა. 1868 წელს ნ. ნიკოლაძე ლ. მეჩნიკოვთან ერთად ჟენევაში სცემდა ჟურნალ „სოვრემენოსტს“ რუსულ ენაზე. ამავე წელს ჟენევაში ნ. ნიკოლაძის რედაქტორობით გამოიცა ნ. გ. ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი ტომი.

1869 წელს ნ. ნიკოლაძე ევროპიდან სამშობლოში დაბრუნდა და

---

[6] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 34.

აქტიურად ჩაება თერგდალეულთა ბრძოლაში ძველი წყობილების დამცველთა წინააღმდეგ. ის უშუალოდ მონაწილეობდა თერგდალეულთა ორგანოების „დროების“ და „კრებულის“ გამოცემაში, ხოლო შემდეგ (1878 წ.) დააარსა საკუთარი ორგანო გაზეთი „ობზორი“ (რუსულ ენაზე), რომელმაც ორ წელიწადს იარსება.

ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობამ გამოაცოცხლა და გააძლიერა თერგდალეულთა მოძრაობა 70-იან წლებში. მის ნიჭიერად დაწერილ, მახვილ პუბლიცისტურ წერილებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის. მოწინავე, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები, რომლებსაც იმ პერიოდში დაუღალავად ქადაგებდა ნ. ნიკოლაძე, ხელს უწყობდა ქართველი ხალხის გათვითცნობიერებას და მის ბრძოლას მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ.

გ. წერეთელი (1842—1900)

თერგდალეულთა შორის ფრიად თვალსაჩინო ადგილი ეჭირა აგრეთვე ნიჭიერ ქართველ მწერალს და მოაზროვნეს გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელს, რომელიც დაიბადა სოფელ გორისაში (ზემო იმერეთში), აზნაურის ოჯახში. გიორგი დედით ძალიან ადრე დაობლდა, შვილის აღზრდას ხელმძღვანელობდა მამა ექვთიმე, რომელიც განათლებული კაცი იყო და მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებშიც თანამშრომლობდა. ექვთიმემ აქტიური მონაწილეობა მიიღო იმ კამათში, რომელიც ახალი თაობის წარმომადგენლებმა გააჩაღეს ლიბერალური ბანაკის წინააღმდეგ, ის ძველი თაობის პოზიციებს იცავდა. პატარა გიორგიმ პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. ცხრა წლის რომ გახდა, ქუთაისის გიმნაზიაში შეიყვანეს. შემდეგში გ. წერეთელმა დაწერა მოთხრობა „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“, რომელშიც გადმოგვცა გიმნაზიაში სწავლის დროის შთაბეჭდილებანი და მკვეთრად გააკრიტიკა იქ გამეფებული აღზრდის ძველი, ანტიპედაგოგიური სისტემა.

1860 წელს გ. წერეთელმა დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, რის შემდეგ სასწავლებლად პეტერბურგში გაემგზავრა. ის შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე; ამავე დროს გაეცნო მოწინავე სტუდენტებს და გულმოდგინედ დაეწაფა აკრძალული წიგნების კითხვას. გ. წერეთელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობაში. 1861 წლის სექტემბერში სტუდენტებმა გრანდიოზული პოლიტიკური დემონსტრაცია მოაწყვეს დედაქალაქის ქუჩებში. ამ დემონსტრაციის აქტიური მონაწილეები, მათ შორის გ. წერეთელი და ბევრი სხვა ქართველი სტუდენტი (ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე, ბ. ღოღობერიძე და სხვ.), მთავრობამ დააპატიმრა. გ. წერეთელი და მისი მეგობრები რამდენიმე

თვეს ისხდნენ ჯერ პეტრეპაჭლეს, ხოლო შემდეგ კრონშტადტის ციხეში.

სტუდენტობის წლებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა გ. წერეთლის მოწინავე მსოფლმხედველობა. მან საფუძვლიანად შეისწავლა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები და ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნის დროს ჩაება იმ იდეურ ბრძოლაში, რომელიც საქართველოში გაჩაღდა თერგდალეულებსა და ძველი, თავადაზნაურული იდეოლოგიის წარმომადგენლებს შორის.

1863 წლის ბოლოს გ. წერეთელი სამშობლოში დაბრუნდა და გეერდში ამოუდა ახალ თაობას. ჟურნალ „საქართველოს მოამბის" დახურვის შემდეგ თერგდალეულთა ერთმა ჯგუფმა (ნ. ღოღობერიძე, ვ. თულაშვილი, ს. მელიქიშვილი და სხვ.) ი. ჭავჭავაძის მითითებით და მხარდაჭერით, დაიწყო ზრუნვა ქართულ ენაზე პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთის „დროების" გამოცემისათვის. ამ გაზეთის გამოცემის ნებართვა მიღებულ იქნა 1866 წელს. მის რედაქტორად მიწვეული იყო გ. წერეთელი, რომელიც მას რედაქტორობდა 1869 წლამდე. 1868 წელს გ. წერეთელი აარსებს „სასოფლო გაზეთს", რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში რედაქტორობს. 1871 წელს გ. წერეთლის რედაქტორობით გამოსვლას იწყებს თერგდალეულთა ახალი სალიტერატურო ჟურნალი „კრებული", რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ახალი თაობის შეხედულებათა გავრცელების საქმეში. 1873 წელს გ. წერეთელი გაემგზავრა საზღვარგარეთ, სადაც 1877 წლამდე დარჩა. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, განსაკუთრებით კი 80-იანი წლებიდან, გ. წერეთელი ეწეოდა დიდ პრაქტიკულ მუშაობას, რომლითაც მან მიზნად დაისახა ხელი შეეწყო საქართველოში მრეწველობის განვითარებისათვის.

ფართო საზოგადოებრივ და სარედაქტორო მუშაობასთან ერთად, გ. წერეთელი დაუღალავად მუშაობდა მხატვრული ლიტერატურის დარგში, აგრეთვე ეწეოდა ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას. გ. წერეთლის შემოქმედებაში რეალისტურად აისახა საქართველოში ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პროცესი. მისი მრავალრიცხოვანი ნიჭიერად დაწერილი მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები დიდი სიცხადით გამოხატავენ თერგდალეულთა თაობის იდეოლოგიას.

გ. წერეთლის ნაწერებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძველი, ფეოდალურ-კლერიკალური იდეოლოგიის დამარცხებისა და ახალი, დემოკრატიული იდეების გავრცელების საქმეში.

თერგდალეულთა სოციალურ-პოლიტიკური იდეალები. „სამართლიანი საზოგადოება“

თერგდალეულები თვითმპყრობელობისა და ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ რომ იბრძოდნენ, ამავე დროს ახალი, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებზე დამყარებული საზოგადოების აშენებაზე ოცნებობდნენ. მათ სურდათ ადამიანთა შორის ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარება, რომლის დროს ადგილი არ ექნებოდა ადამიანთა არც სოციალურ და არც ეროვნულ ჩაგვრას, მოისპობოდა წოდებათა შორის ყოველგვარი პრივილეგიები და კანონის წინაშე ყველა ადამიანი ერთნაირი უფლებებით ისარგებლებდა.

თერგდალეულებმა კარგად იცოდნენ, რომ მაშინ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობდა ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი საზოგადოებრივი წყობილება. ნ. ნიკოლაძე 1875 წელს წერდა: „დედამიწის ზურგზე დღემდე ჯერ კიდევ არ არის არც ერთი ხალხი, რომლის საზოგადოებრივი წყობილება შეიძლებოდა ჩაგვეთვალა დამაკმაყოფილებლად, ყველაზე უფრო განათლებული და ბედნიერი ხალხები ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები, — სხვებზე რომ არ ვილაპარაკოთ, — იტანჯებიან საზოგადოებრივი და ეკონომიური ურთიერთობის მოუწესრიგებლობით. ისინი აღიარებენ, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობა არ უნდა იქნეს სამუდამო, რომ საჭიროა სწრაფვა უფრო სამართლიანი წყობილებისაკენ, საზოგადოებრივ ვალდებულებათა და უფლებათა უკეთესი განაწილებისაკენ. თანამედროვე წყობილებით უკმაყოფილება, მისწრაფება მსოფლიოში ადამიანური დამოკიდებულების, „საზოგადოებრივი ჰარმონიის“ დამყარებისაკენ დამახასიათებელია ყველა ხალხისათვის“[7]. ამით აიხსნება თერგდალეულთა მისწრაფება გამოენახათ გზები ისეთი სამართლიანი საზოგადოების ასაშენებლად, სადაც დამყარებული იქნებოდა „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“.

თერგდალეულებს მიაჩნდათ, რომ მათ „სამართლიან საზოგადოებას“ საფუძვლად უნდა დადებოდა შრომა. მათი აზრით, ყველა ადამიანი, რა წოდებისაც არ უნდა ყოფილიყო ის, მოვალე იყო ეშრომა. ხოლო იმისათვის, რომ შრომა ნამდვილად განთავისუფლებულიყო ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან, თერგდალეულების აზრით, მშრომელები უნდა გაერთიანებულიყვნენ ისეთ ასოციაციებად და კოოპერაციულ ამხანაგობებად, რომლებიც დაეხმარებოდნენ ყველა წევრს მეურნეობის უკეთ მოწყობაში და მასთან დაიცავდნენ მათ ყოველგვარი ჩაგვრისაგან. თავიანთი თეორიები თერგდალეულებმა შეიმუშაეს

---

[7] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 120.

რუსეთისა და ევროპის უტოპისტი-სოციალისტების (ჩერნიშევსკის, სენ-სიმონისა და სხვათა) შეხედულებების გავლენით. მაგრამ თერგდალეულები, ისევე როგორც ზოგიერთი მათი მასწავლებელი, არ მოითხოვდნენ არც კერძო საკუთრებისა და არც კლასების საესებით მოსპობას.

თერგდალეულებს გულწრფელად სწამდათ, რომ მათი „სამართლიანი საზოგადოება", თუკი ის აშენდებოდა, ქართველ ხალხს ნამდვილ ბედნიერებას მოუტანდა. მაგრამ ისინი ღრმად ცდებოდნენ. თერგდალეულები არ იცნობდნენ მარქსის თეორიას და არ ესმოდათ, რომ შეუძლებელია შრომის განთავისუფლება და ადამიანთა ჩაგვრის მოსპობა ისე, თუ არ მოისპო კერძო საკუთრება მიწაზე და წარმოების საშუალებებზე, თუ არ მოისპო ანტაგონისტური კლასები. ! საგლეხო რეფორმის შემდეგ თერგდალეულებს ეგონათ, რომ ისინი შეძლებდნენ ახსნა-განმარტების, დარწმუნებისა და თანდათანობით რეფორმების გზით მოეპოვებინათ ხალხისათვის უფლებები. მაგრამ მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ იმ დროს შეუძლებელი იყო საზოგადოების ყველა წევრისათვის თანასწორი უფლებების მოპოვება, თუ წინასწარი ძალით არ იქნებოდა დათრგუნვილი ძლიერება გაბატონებული კლასებისა, რომლებიც ყველა საშუალებით იცავდნენ თავიანთ პრივილეგიებს. ამიტომ თერგდალეულთა გეგმები უტოპიური და განუხორციელებელი იყო.

! თერგდალეულებმა ვერ შეძლეს ეპოვათ სწორი გზა მომავალი, ნამდვილად სამართლიანი და თანასწორი საზოგადოების, ე. ი. სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის. მათი „სამართლიანი საზოგადოება" სინამდვილეში ისევ უსამართლო, ბურჟუაზიული საზოგადოება იყო, რადგან ის იმავე კერძო საკუთრებას ეყრდნობოდა, რომელიც განუწყვეტლივ წარმოშობს ქონებრივ უთანასწორობას და ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას. მიუხედავად ამისა, თერგდალეულთა ბრძოლას სამართლიანი საზოგადოებისათვის, ქვეყნად ძმობის, თანასწორობისა და თავისუფლების დამყარებისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია, ეს ბრძოლა ხელს უწყობდა მშრომელი ხალხის შეგნების ზრდას და მის მომზადებას ნამდვილად სამართლიანი და ბედნიერი საზოგადოებრივი წყობილებისათვის საბრძოლველად.

თავი IV

აგრარული საკითხი საქართველოში რეფორმისშემდგომ პერიოდში. ქართველი ხალხოსნები

§ 1. მიწათმფლობელობა საქართველოში რეფორმის შემდეგ და გლეხთა აგრარული მოძრაობა

მეფისა და მემამულეების მიწათმფლობელობა. კაპიტალიზმის განვითარების ორი გზა

საგლეხო რეფორმამ, როგორც ზემოთ დაინახეთ, ვერ გაამართლა ქართველი გლეხობის იმედები. ეს რეფორმა თვით მემამულეების ხელით გატარდა და ბატონყმური ხასიათის რეფორმა იყო. მართალია, ყმა გლეხი პირადად განთავისუფლდა, მაგრამ ის თითქმის ყველგან უმიწაწყლოდ დარჩა, რის გამო კიდევ უფრო მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩავარდა, ვიდრე ბატონყმობის დროს იყო. საგლეხო რეფორმამ არსებითად ხელუხლებლად დატოვა მემამულეთა მიწათმფლობელობა.

ყველაზე დიდი მემამულე თვით მეფის თეითმპყრობელობა იყო. მეფის მთავრობამ სხვადასხვა გზით ხელში ჩაიგდო საქართველოს მიწის უდიდესი ნაწილი. საგლეხო რეფორმის შემდეგ მეფის ხაზინას ეკუთვნოდა 3 862 723 ჰექტარი მიწა, რაც მთელი მიწის ფართობის 57,6 პროცენტს შეადგენდა (გარდა ამისა, 127 060 ჰექტარი მიწა საუფლისწულო უწყებას ეკუთვნოდა). სახაზინო მიწებს მეფის მთავრობა თავისი კოლონიური პოლიტიკის მიზნებისათვის იყენებდა; ყველაზე საუკეთესო მიწებს უცხო კოლონიზატორულ ელემენტებს ურიგებდა, ადგილობრივ მცხოვრებლებს კი მამაპაპეული მიწიდან ჰყრიდა და ხშირად ადგილებში ასახლებდა. გარდა ამისა, მთავრობა სახაზინო მიწებით უხვად აჯილდოებდა ცარიზმის ერთგულ მოხელეებს — რუსეთის დიდ თავადებსა და აზნაურებს, აგრეთვე უცხოელ ვაჭრებსა და ფაბრიკანტებს. სახაზინო მიწებზე მცხოვრებ გლეხებს სახელმწიფო გლეხები ეწოდებოდა. ისინი მიწის დიდ სივიწროვეს განიცდიდნენ, თუმცა სხვა კატეგორიის გლეხებთან (დროებით ვალდებულნი, ხიზნები) შედარებით, მიწის მხრივ, უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ხაზინის შემდეგ მიწის ყველაზე დიდი მფლობელები იყვნენ ქართველი თავადები და აზნაურები. რეფორმის შემდეგ მათ საკუთრებაში ჰქონდათ 2 091 354 ჰექტარი მიწა. თავადაზნაურობაში მიწები ერთნაირად როდი იყო განაწილებული; ამ წოდების წამყვან ძალას წარ-

მოადგენდნენ მსხვილი მიწათმფლობელები, რომელთა ხელში საუკეთესო მიწების უდიდესი მასივები, ე. წ. ლატიფუნდიები იყო თავმოყრილი. თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა 467 უმსხვილესი მემამულე. თითოეული მათგანი 500 დესეტინაზე მეტ მიწას ფლობდა. მათი მიწები შეადგენდა მთელი გუბერნიის კერძომფლობელობაში არსებული მიწების 62,7 პროცენტს. ჭუთაისის გუბერნიაში კი მარტო 92 ლატიფუნდია შეადგენდა კერძო მიწების 52,7 პროცენტს. ამ უმსხვილეს მემამულეთა დიდი უმრავლესობა თავადები და აზნაურები იყვნენ, რომლებიც მიწისმფლობელი მოსახლეობის სრულიად უმნიშვნელო უმცირესობას (დაახლოებით 1 პროცენტს) შეადგენდნენ.

ეს ლატიფუნდიები წარმოადგენდა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების ყველაზე დიდ გადმონაშთს, — რეაქციის ეკონომიურ დასაყრდენს. მართალია, ლატიფუნდიებიც ვითარდებოდა კაპიტალიზმის გზით და ხდებოდა მათი თანდათან ევოლუცია, მაგრამ ეს იყო კაპიტალიზმის განვითარების ე. წ. „პრუსიული გზა“, რომელიც, ერთი მხრივ, თვითმპყრობელობის ხელუხლებლობას და მემამულეთა ინტერესებისა და პრივილეგიების დაცვას უზრუნველჰყოფდა, ხოლო მეორე მხრივ, მშრომელი გლეხობის ტანჯვისა და ექსპლოატაციის კიდევ უფრო გაძლიერებას იწვევდა. ამით აიხსნება, რომ გლეხობამ ბატონყმური წყობილების ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი მახვილი ბატონყმური ლატიფუნდიების წინააღმდეგ მიმართა. გლეხობა ამისათვის იბრძოდა, რომ მოესპო მემამულეთა ლატიფუნდიები, ექსპლოატაციის ყველა ბატონყმურ-კაბალური წესები და გაეფართოებინა თავისუფალი გლეხური მიწათმფლობელობა. ესეც კაპიტალიზმის განვითარება იქნებოდა, მაგრამ ეს იყო ბევრად უკეთესი გზა, — ე. წ. „ამერიკული გზა“, რომელიც შექმნიდა პირობებს გლეხთა კეთილდღეობის მნიშვნელოვნად ამაღლებისათვის.

ამრიგად, რეფორმის შემდეგ საქართველოს სოფელში კაპიტალიზმის განვითარების ანუ ბურჟუაზიული აგრარული ევოლუციის ორი სხვადასხვა გზა დაისახა: რეაქციული და რევოლუციური; პირველისათვის იბრძოდნენ მეფის თვითმპყრობელობა და მემამულეები, ხოლო მეორისათვის — გლეხობა.

ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი ამბობდა: „გლეხთა და მემამულეთა ინტერესების ბრძოლა, რომელიც წითელ ზოლად გადის რუსეთის რეფორმისშემდგომ მთელ ისტორიაში და ჩვენი რევოლუციის[1] უმნიშვნელოვანეს ეკონომიურ საფუძველს შეადგენს, არის ბრძოლა

---

[1] იქ ლაპარაკია რუსეთის პირველ რევოლუციაზე. — რედ.

ბურჟუაზიული აგრარული ევოლუციის ამა თუ იმ ტიპისათვის... ბრძოლის მთავარი საგანია ბატონყმური ლატიფუნდიები"[2].

გლეხობის გაჭირვებული მდგომარეობა

როგორც დავინახეთ, მეფის ხაზინისა და ქართველი თავადაზნაურობის ხელში თავმოყრილი იყო მიწების უდიდესი ნაწილი. რეფორმისშემდგომ პერიოდში მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელში ჩაიგდეს აგრეთვე ვაჭარ-მრეწველებმა, ფინანსისტებმა, მთავრობის მოხელეებმა და სხვა პარაზიტულმა ელემენტებმა. რაც შეეხბა მიწის უშუალო დამმუშავებელს — გლეხობას, მას სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით ჰქონდა საკუთარი მიწა. სულ საქართველოს გლეხობის საკუთრებაში არსებული მიწების რაოდენობა უდრიდა 418 110 ჰექტარს, რაც მიწის საერთო ფართობის მხოლოდ 6,4 პროცენტს შეადგენდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ მიწების დიდი ნაწილიც გლეხთა ზედაფენის — კულაკების ხელში იყო, ადვილი წარმოსადგენია ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიც მშრომელი ქართველი გლეხობა იმყოფებოდა რეფორმისშემდგომ ხანაში.

უმიწობის გამო, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ყოფილი შინაყმები, დროებით ვალდებული გლეხები და ხიზნები. ბატონყმობის გაუქმების დროს ყმობიდან განთავისუფლებულ გლეხთა მნიშვნელოვან ნაწილს (შინაყმებს) მიწა სრულიად არ მიუღიათ, თბილისის გუბერნიაში უმიწოდ განთავისუფლდა 1444 კომლი, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 4000 კომლი გლეხი. ცხადია, ამ პროლეტარებად ქცეულ გლეხებს არსებობის არავითარი წყარო არ გააჩნდათ, გარდა საკუთარი მარჯვენის გაქირავებისა.

უკეთეს მდგომარეობაში არც დროებით ვალდებული გლეხები იყვნენ. საუკუნეების განმავლობაში ბატონყმური უღლისაგან ილაჯგაწყვეტილი და დაბეჩავებული ნაყმევი უმეტეს შემთხვევაში ეელარ ახერხებდა მემამულისაგან იმ მცირე ნაკვეთის გამოსყიდვასაც კი, რომელიც მას „ჩამონაჭრების" წართმევის შემდეგ დაუტოვეს. დროებით ვალდებულ გლეხების მიერ ნადელების გამოსყიდვა მთელ საქართველოში ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მაგრამ განსაკუთრებით ძნელი და გამოუვალი მდგომარეობა ამ მხრივ აღმოსავლეთ საქართველოში შეიქმნა. აქ გლეხობის უდიდესმა ნაწილმა (80 პროცენტმა) ვერ შეძლო ნადელების გამოსყიდვა და ბოლომდე დარჩა „დროებით ვალდებულების" ე. ი. ფაქტიურად იმავე ბატონყმური დამოკიდებულების მდგომარეობაში.

საგლეხო რეფორმის დროს სრულიად დავიწყებულ იქნა ხიზნე-

---

[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 13, გვ. 295—296.

ბის ინტერესები. ხიზნების გაჩენა შედეგი იყო იმ აუტანელი პირობებისა, რომელშიც ქართველი გლეხობა ცხოვრობდა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების დროს. ბატონყმური უღლის სიმძიმე, განუწყვეტელი შინაფეოდალური ომები, უცხო დამპყრობელთა თარეში და სხვა მისთანა მიზეზები ხშირად აიძულებდნენ გლეხებს მიეტოვებინათ მამაპაპეული სახლ-კარი და ბედის საძიებლად სხვაგან წასულიყვნენ. თავისი მებატონეებისაგან გამოქცეული გლეხები ჩვეულებრივად თავს აფარებდნენ სხვა მემამულეებთან. ასეთ შეხიზნულ გლეხებს საკუთარი მიწა არ გააჩნდათ და იძულებული იყვნენ კაბალური პირობებით დაემუშავებინათ მემამულეთა მიწები. რეფორმის წინ საქართველოში ხიზნების რაოდენობა 8 ათას კომლს აჭარბებდა. საგლეხო რეფორმა ხიზნებს სრულიად არ შეხებია, ისინი კვლავ უმიწოდ დარჩნენ.

საგლეხო რეფორმის შემდეგ, ერთი მხრივ, იმის გამო, რომ ნაყმევ გლეხებს ჩამოაჭრეს იმ მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც ბატონყმობის დროს მათ სარგებლობაში იყო, ხოლო მეორე მხრივ, სასაქონლო მეურნეობის სწრაფი განვითარების შედეგად ძკვეთრად გაიზარდა მიწის საიჯარო ფასი. რაკი მიწაზე მოთხოვნილება გაიზარდა, მემამულეებმა ადვილად მოახერხეს მოიჯარადრე გლეხები და ხიზნები გაცილებით მძიმე ეკონომიურ პირობებში ჩაეყენებინათ, ვიდრე ისინი ბატონყმობის დროს იმყოფებოდნენ. გლეხობის გაჭირვებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებდა რეფორმის შემდეგ ყოველგვარი გადასახადების შეუჩერებელი ზრდა. გლეხობისათვის განსაკუთრებით შემაწუხებელი იყო გადასახადები ტყით და საძოვრით სარგებლობისათვის. საგლეხო რეფორმამდე ტყეებით და საძოვრებით სარგებლობისათვის გლეხები გადასახადს არ იხდიდნენ. ვახტანგ მეფის კანონით, რომელიც ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეობდა, მემამულეები მოვალე იყვნენ გლეხებისათვის უფასოდ მიეცათ ტყეებითა და საძოვრებით სარგებლობის უფლება. რეფორმის შემდეგ კი მდგომარეობა შეიცვალა: ტყითა და საძოვრით სარგებლობისათვის გლეხს მაღალი გადასახადი დაუწესეს. გლეხობას მძიმე უღლად აწვა აგრეთვე საეკლესიო გადასახადები. სამღვდელოება ერთგულად ემსახურებოდა გაბატონებულ კლასებს და აბრუებდა ისედაც დაბეჩავებულ გლეხობას ყალბი რელიგიური ქადაგებით, მოუწოდებდა მას მოთმინებისაკენ, ექსპლოატატორებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობისაკენ.

უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხობის გაჭირვებული მდგომარეობით სარგებლობდნენ ვაჭარ-მევახშეები და კულაკები, რომლებიც გამოუვალ კაბალში აგდებდნენ ღარიბ გლეხებს. ვაჭარი-მევახშე ხშირად მუქთად იგდებდა ხელში არა მარტო გლეხის მონაგარს — პურს, ღვინოს, პირუტყვსა და სხვას, არამედ მის პატარა ნაგლეჯ მიწას და ღა-

რიბულ სახლ-კარსაც. სოფლად მეტისმეტად მომრავლდნენ კულაკები, რომლებსაც ხალხმა „სოფლის წურბელები“ დაარქვა. ვაჭრებმა და კულაკებმა სოფლის თვალსაჩინო ადგილებში წამოჭიმეს სავაჭრო დუქნები, რომელთა საშუალებით ისინი ატყავებდნენ მშრომელ გლეხობას.

ვაჭარ-მევახშეებისა და კულაკების მხრივ გლეხობის ძარცვისა და მოტყუების მოსასპობად, ახალი თაობის ინტელიგენტებმა (თერგდალეულებმა, ხალხოსნებმა და სხვ.) დაიწყეს პროპაგანდა გლეხთა კოოპერაციული საწარმოო და სამომხმარებლო ამხანაგობების, აგრეთვე ურთიერთდამხმარე სალაროებისა და საკრედიტო ბანკების შესაქმნელად. ასეთი ამხანაგობები და საკრედიტო დაწესებულებები მართლაც შეიქმნა საქართველოში 70-იან და 80-იან წლებში, მაგრამ მათ ოდნავადაც ვერ იხსნეს გლეხობა გაჭირვებისაგან. ვაჭრები, კულაკები და სხვა მდიდრები ადვილად ახერხებდნენ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდებას და მათგან სარგებლობაც მხოლოდ მათ რჩებოდათ. სხვანაირად შეუძლებელიც იყო — კაპიტალისტური წყობილების დროს არავითარ კოოპერატივებს, ბანკებს და ამხანაგობებს არ შეეძლოთ გაჭირვებისაგან მშრომელი ხალხის ხსნა.

ამრიგად, რეფორმისშემდგომ ხანაში ქართველი გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მშრომელ გლეხობას სულს უხუთავდა უმიწაწყლობა და ფეოდალურ-ბურჟუაზიული ექსპლოატაციის არაჩვეულებრივი გაძლიერება, უამრავი გადასახადები და ვაჭარ-კულაკების მხრივ ძალმომრეობა. ქართველი ხალხი იტანჯებოდა არა მარტო კაპიტალიზმის განვითარების, არამედ კიდევ უფრო მეტად მისი განუვითარებლობის გამო — ძლიერი ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების არსებობის გამო. ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებას დაემთხვა მისი ეროვნული უფლებების შეზღუდვა და ცარიზმის უხეში კოლონიური პოლიტიკის გაძლიერება, რაზედაც ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი.

ცხადია, ყველა ამ მიზეზს არ შეიძლებოდა ხალხის პროტესტი და ღელვარება არ გამოეწვია.

კლასთა ბრძოლის გამწვავება სოფლად

რეფორმისშემდგომ ხანაში საქართველოში სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა პოლიტიკური ვითარება სოფლად, იზრდებოდა გლეხთა უკმაყოფილება და მზადდებოდა პირობები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისათვის. გლეხთა უკმაყოფილებისა და ღელვარების მიზეზები ბევრი იყო. ამ მიზეზებს შორის ერთერთი მთავარი ადგილი ეჭირა მეფის თვითმპყრობელობის ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკას: ცარიზმის მოხელეთა აღვირახსნილ თვითნებობას, სასამართლოსა და ადმინისტრაციის ბიუროკრატიულ-პოლიტიკურ

რეჟიმს, ქართული ენის დევნას და სხვა ამის მსგავს მოვლენებს. მაგრამ გლეხთა მღელვარების ყველაზე. მთავარი და გადამწყვეტი მიზეზი მაინც აგრარული ურთიერთობა იყო.

ჯერ კიდევ რეფორმის პერიოდში საქართველოში ადგილი ჰქონდა გლეხთა აშკარა უკმაყოფილებისა და პროტესტის მრავალ ფაქტს. ნაბატონარსა და ნაყმევს შორის მტრული შეხლა-შემოხლა თავიდანვე ფართო ხასიათს იღებს. უკვე გარიგების სიგელების შედგენის დროს გლეხობამ ხმა აღიმაღლა მემამულეების მხრივ ძალადობის წინააღმდეგ. პირველად გლეხები იმედს მეფის კანონზე ამყარებდნენ და სასამართლოების გზით ცდილობდნენ თავიანთი ინტერესების დაცვას. მარტო 1866 წელს თბილისის გუბერნიის გლეხობამ სასამართლოში შეიტანა 3 274 საჩივარი მემამულეების მიერ მისი საკუთარი მიწის ნაკვეთების უკანონოდ მითვისების გამო.

მაგრამ გლეხები მალე დარწმუნდნენ, რომ მეფის სასამართლო სრულებით არ ზრუნავდა მათი კანონიერი საჩივრების დაკმაყოფილებაზე და იძულებული გახდნენ მოძალადეებისათვის თვითონვე გაეწიათ წინააღმდეგობა. 70-იანი წლებიდან მოკიდებული საქართველოს სოფლებში ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა ისეთი ფაქტები, როგორიცაა: გლეხების მიერ გადასახადების გადახდაზე უარის თქმა, ტყისა და საძოვრების ძალით გამოყენება, მემამულეთა სახლ-კარისა და ქონების გადაწვა და განსაკუთრებით საძულველ თავადაზნაურთა და მეფის მოხელეთა მკვლელობა. გლეხთა წინააღმდეგობა არაიშვიათად ატარებდა წინასწარ მოფიქრებულ და მასობრივ ხასიათს. ზოგჯერ მთელი სოფლის, ან რამდენიმე სოფლის გლეხები ერთმანეთს ფიცს აძლევდნენ და უარს აცხადებდნენ გადასახადების გადახდაზე. გლეხები ბარაღს ისხამდნენ და ცდილობდნენ ძალით დაეცვათ თავიანთი სასიცოცხლო ინტერესები.

1867 წელს გორის მაზრის სოფელ ჯართისხევის დროებით ვალდებული გლეხები აუჯანყდნენ თავად ერისთავს და უარი უთხრეს მას სანადელო გადასახადების მიცემაზე. მათ მეზობელი გლეხებიც შეუერთდნენ. ჯოხებით შეიარაღებულმა გლეხებმა გააქციეს მაზრიდან გამოგზავნილი მოხელე და ეკლესიაში ერთმანეთის ერთგულებაზე ფიცი დადეს. საქმეში პოლიცია ჩაერია და მრავალი გლეხი დააპატიმრა, მაგრამ აღელვებული გლეხობის დამშვიდება მანამდე ვერ შეძლეს, სანამ თავადი ერისთავი იძულებული არ გახდა უარი ეთქვა გადასახადის დიდ ნაწილზე.

ასეთივე ამბავი დატრიალდა 1868 წელს თელავის მაზრაში, ხოლო 1869 წელს — ოზურგეთის მაზრაში. თელავის მაზრის სოფელ შალაურის გლეხებმა — წიგნაძეებმა უარი უთხრეს მემამულე მაჭავარიანს სანადელო მეოთხედის გადასახადზე, მათ იარაღი აისხეს, მემა-

შულეს სცემეს, ხოლო მის დასახმარებლად მოსულ მთავრობის მოხელეებს სიკვდილით დაემუქრნენ. მთავრობა გამოექომაგა მემამულეს და სასტიკად გაუსწორდა წიგნაძეებს: გადასახადები მათ ძალით გადაახდევინეს, ხოლო „ბუნტის“ მოთავეები (12 კაცი) ხანგრძლივი ვადით საპატიმროში ჩასვეს. ასეთივე სიმკაცრით ჩაახშო მთავრობამ ოზურგეთის მაზრის სოფელ ნანეიშვილისეულის გლეხების გამოსვლა თავად მიხეილ ერისთავის წინააღმდეგ. ამ გამოსვლის მეთაურები, გლეხები გიორგაძე და ვაჩეიშვილი მთავრობამ ბაქოს გუბერნიაში გადაასახლა.

ამგვარი ფაქტები მოწმობენ, რომ საგლეხო რეფორმის შემდეგ საქართველოში კლასთა ბრძოლა სრულიადაც არ შენელებულა. ქართველმა გლეხობამ მალე იგრძნო, რომ მიუხედავად იმ დიდი ზეიმისა, რომელიც მთავრობამ ბატონყმობის გაუქმების გამო მოაწყო, რეფორმა უსირცხვილო მოტყუება იყო. შემდგომში გლეხობა დარწმუნდა, რომ რეფორმის შედეგად მისი ცხოვრება არათუ გაუმჯობესდა, არამედ განუწყვეტლივ უარესდებოდა.

გლეხთა მასობრივი სტიქიური გამოსვლები 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში

გლეხთა აგრარულ მოძრაობას საქართველოში ადგილი ჰქონდა მთელი რეფორმისშემდგომი პერიოდის განმავლობაში, მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა გლეხთა სტიქიური მოძრაობა 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში. იმ დროს საქართველოში, ისევე როგორც მთელ რუსეთში, კვლავ შეიქმნა რევოლუციური სიტუაცია.

უკვე 1874 წელს თავი იჩინა სამეგრელოს გლეხთა მღელვარების ნიშნებმა. ზუგდიდის მაზრის ბევრ სოფელში გლეხებმა უარი განაცხადეს გადასახადების გადახდაზე. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა, რომელმაც პირადად შემოიარა მაზრის სოფლები, მთელ რიგ ადგილებში კაზაკთა ეგზეკუციები ჩააყენა და სამხედრო ძალით შეძლო გლეხობის წინააღმდეგობის დაძლევა. მაგრამ გლეხობის „დამშვიდება“ ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. 1876 წელს იმავე ზუგდიდის მაზრაში იფეთქა გლეხთა ახალმა, დიდმა ამბოხებამ. ამბოხება დაიწყეს სოფ. ლიას და ფახულანის დროებით ვალდებულმა გლეხებმა, რომლებმაც უარი უთხრეს თავად დადიანს ყოველგვარი სანადელო გადასახადის მიცემაზე. მალე მათ სხვა სოფლების გლეხობაც შეუერთდა და დაიწყო გლეხთა ფართო მოძრაობა. გლეხები მოითხოვდნენ დროებითი ვალდებულების მოსპობას და სანადელო მიწის მათ საკუთრებაში დამტკიცებას. „ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ცხრა წელი შესრულდა, ამიერიდან ჩვენ თავს ვალდებულად აღარ ვთვლით, რაიმე გადასახადი ვაძლიოთ ჩვენს წინანდელ ბატონსო“, — ამბობდნენ გლეხე-

30. მთავრობამ სოფელ ლიაში გაძლიერებული ეგზეკუცია ჩააყენა, მაგრამ გლეხობამ გადაწყვიტა მთავრობის ჯარისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწია. გლეხთა მოძრაობა სწრაფად ფართოვდებოდა, მღელვარება მეზობელი მაზრების გლეხობასაც მოედო. რამდენიმე ათასი სახელდახელოდ შეიარაღებული გლეხი დადიოდა სოფლიდან სოფლად და ხალხს საყოველთაო აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. მთავრობამ სასწრაფოდ მიიღო სამხედრო ზომები. ზუგდიდში დამატებით გაიგზავნა რეგულარული ჯარის ორი ქვეითი ბატალიონი. სოფელ ლეწერწუმესთან მოხდა დიდი შეტაკება შეიარაღებულ გლეხებსა და მთავრობის რეგულარულ ჯარებს შორის. ამ შეტაკებაში 18 კაცი მოკლეს, ხოლო 30 — დაიჭრა. მეფის მთავრობამ ცეცხლითა და მახვილით ჩაახშო სამეგრელოს გლეხთა აგრარული მოძრაობა.

დაახლოებით იმავე ხანებში დაიწყო გლეხთა აჯანყება სვანეთში. ამ მთიან მხარეში კიდევ უფრო მეტად იგრძნობოდა მიწის სიმცირე, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში. საგლეხო რეფორმის დროს სვანეთის საუკეთესო მიწები მთავრობამ საკუთრებაში დაუმტკიცა თავადებსა და აზნაურებს — დადეშქელიანებს, იოსელიანებს, ქურდიანებს, დევდარიანებს და სხვებს. გლეხებს კი მოუზომეს ყველაზე მწირი მიწები, — კომლზე საშუალოდ 4 ქცევა, რაც მათ სახნავ-სათესადაც უნდა ჰყოფნოდათ და სათიბადაც.

1875 წლის ზაფხულში მთავრობის მოხელეები სვანეთში მიწების გაზომვას შეუდგნენ მოსახლეობაზე ახალი გადასახადების გაწერის მიზნით. ამ ღონისძიებამ გაჭირვებული სვანების მოთმინების ფიალა ავსო და გლეხთა მღელვარება გამოიწვია. აჯანყება თავისუფალ სვანეთში დაიწყო. გლეხთა მრავალრიცხოვანმა რაზმებმა თავი მოიყარეს სოფელ კალაში და აქაურ ეკლესიაში ერთმანეთს ერთგულების ფიცი მისცეს. გლეხებმა გადაწყვიტეს ბოლომდე ებრძოლათ თავიანთი ინტერესების დასაცავად. აჯანყებულთა წინააღმდეგ ქუთაისიდან დიდძალი ჯარი გაიგზავნა, რომელსაც თავად დადეშქელიანის რაზმიც შეუერთდა. მთავრობის ჯარმა, რომელსაც თვითონ ქუთაისის გუბერნატორი მალაფეევი და გენერალი ციტოვიჩი მეთაურობდნენ, შეძლო გლეხთა რაზმების გაფანტვა და მათი მეთაურების დაპატიმრება. მაგრამ მეორე წელს სვანეთის გლეხთა ამბოხებამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო. მთავრობამ მათ წინააღმდეგ კვლავ მნიშვნელოვანი ძალები გაგზავნა. ჯარს ნაბრძანები ჰქონდა სასტიკად ჩაეხშო გლეხთა წინააღმდეგობა და დაენგრია ამბოხებულთა სოფლები. სისხლიანი ტრაგედია დატრიალდა სოფელ ხალდეში. შეიარაღებული შეტაკების დროს გლეხებმა მოჰკლეს მაზრის უფროსი გრინევსკი და რაზმის უფროსი ლეუსი. ამის შემდეგ მთავრობამ სვანეთში გაგზავნა რეგულარული ჯარისა და მილიციის დიდი შენაერთები, რომლებმაც

ნამდვილი საომარი მოქმედება გააჩაღეს სვანეთის სოფლებში. ხალდე, რომელიც საარტილერიო მომზადების შემდეგ იერიშით იქნა აღებული, მთავრობის ჯარებმა მიწასთან გაასწორეს: თითქმის ყველა სახლი დაწვეს, ხოლო კოშკები ნაღმებით ააფეთქეს. აჯანყების აქტიური მონაწილენი — რამდენიმე ათეული გლეხი — პასუხისგებაში მისცეს და კატორღაში გაგზავნეს.

ასე სასტიკად გაუსწორდა მეფის თვითმპყრობელობა სვანეთის მშრომელ გლეხობას, რომელიც მიწის სიმცირემ და გაჭირვებამ აიძულა იარაღით გამოსულიყო თავისი ელემენტარული ადამიანური უფლებების დასაცავად.

სამეგრელოსა და სვანეთის გლეხობის შემდეგ მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ აღდგა კახეთის გლეხობა. ეს მოხდა 1878 წელს ჭიზიყში. გლეხთა მღელვარება აქაც უმიწაწყლობამ. სიღატაკემ და აუტანელმა გადასახადებმა გამოიწვია. ამას დაემატა რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომთან დაკავშირებით გლეხთა ახალი, მძიმე დაბეგვრა, ვაჭარ-კულაკების მხრივ სოფლის მშრომელთა ძარცვა-გლეჯის გაძლიერება და დიდი მოუსავლიანობა. ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც თურქეთის მომხრე ევროპის სახელმწიფოებმა სანსტეფანოს საზავო ხელშეკრულების გამო განგაში ატეხეს და საერთაშორისო მდგომარეობა კვლავ გართულდა, მეფის მთავრობამ ხელახალი მობილიზაცია გამოაცხადა. ზაფხულში, პურის მკის დროს, გლეხებს უბრძანეს მილიციაში ჩარიცხულიყვნენ, მდიდრებს კი, რომლებსაც მოხელეებისათვის ქრთამის მიცემა შეეძლოთ, მობილიზაციიდან ათავისუფლებდნენ. გლეხობამ ვეღარ აიტანა გაჭირვება, შეურაცხყოფა და დამცირება, შეიარაღდა კეტებით, ხანჯლებით, ცულებით და დაიძრა სიღნაღის მაზრის თავადობისა და მეფის მოხელეების წინააღმდეგ. მაზრის უფროსი გრაფი ტიზენჰაუზენი, ჯარების სარდალი გენერალი ორბელიანი და სხვა მოხელეები ამ დროს ბაკურციხეში ქეიფობდნენ თავად ვაჩნაძის სახლში. 5 ივნისს ამ სახლს ალყა შემოარტყა ხუთი ათასზე მეტმა ამბოხებულმა გლეხმა. მათ დაარბიეს ვაჩნაძის სახლი, შეუბრალებლად სცემეს ტიზენჰაუზენს, ორბელიანს და მათ თანმხლებ პირებს. ხოლო შემდეგ სოფლებს მოედნენ და იწყეს მამასახლისების, კულაკების, მეღუქნეების, მღვდლებისა და სოფლის სხვა წურბელების დარბევა. კარდანახში, ანაგაში, ვაქირში, მაჩხაანში, საქობოში, ბოდბისხევსა და სხვა სოფლებში. გლეხებმა აღკლეს და დაანგრიეს თავიანთი კლასობრივი მტრების სახლები, სცემეს და დააპატიმრეს ხალხის შემწუხებელი პირები. მაგრამ მთავრობამ სამხედრო ძალის გამოყენებით ადვილად მოახერხა უიარაღო გლეხთა მღელვარების ჩაქრობა. ამბოხების აქტიური მონაწილენი (21 კაცი) მეფის მთავრობამ გაასამართლა და კატორღაში გაგზავნა. კატორღაში

გაგზავნილთა შორის იყო ორი ქალი, — მელანია ხელაშვილი და სა-ბედა გულხადარაშვილი, რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ გაჭირ-ვებული ხალხის უფლებებისათვის.

80-იანი წლების დასაწყისში, მიუხედავად მეფის თვითმპყრობე-ლობის მიერ მიღებული სასტიკი ზომებისა, გლეხთა უკმაყოფილებას და მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს მთელ საქართველოში ჰქონდა ადგილი. ფართოდ გაერცელდა მეფისა და მემამულეების წი-ნააღმდეგ ბრძოლის ისეთი თავისებური ფორმა, როგორიცაა ყაჩაღო-ბა, ანუ ფირალობა. განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი ფირალობამ მიიღო გურიაში. სიცოცხლეგამწარებული გლეხები იარაღს ისხამდნენ და ტყეში გარბოდნენ, რათა შური ეძიათ თავიანთ კლასობრივ მტრებ-ზე. ხალხი თანაუგრძნობდა და ყოველნაირად ეხმარებოდა ფირალებს, რის გამო მთავრობა ვერ ახერხებდა მათ შებყრობას. განსაკუთრებუ-ლი პოპულარობით სარგებლობდნენ ფირალები: გოგია ლომჯა-რია, დათუნა სურგულაძე, ნიკოლოზ მეხუზლა, დავით მიქელაიშვილი, სისონა დარჩია და სხვები. მათ შეიარაღებული რაზმები ჰყავდათ და რისხვად ევლინებოდნენ მემამულეებს, ვაჭრებს, მთავრობის მოხე-ლეებს, ხოლო ღარიბ ხალხს — შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ. 1881 წელს ფირალებმა მოჰკლეს ოზურგეთის მაზრის უფროსის მოა-დგილე თავადი ნაკაშიძე, დაარბიეს და ქონება ჩამოართვეს ოზურგე-თის მდიდარ ვაჭარს თუმანოვს, თავს დაესხნენ გურიის ეპისკოპოსს და წაართვეს ქონება. ფირალები უშიშრად შედიოდნენ სოფლებში, ჰკლავდნენ გლეხობის შემავიწროებელ პირებს და ანადგურებდნენ მათ ქონებას. მთავრობამ გურიაში თავი მოუყარა დიდძალ ჯარს, რომელ-საც გენერალი სმეკალოვი მეთაურობდა. ოზურგეთის მაზრაში სამ-ხედრო წესები გამოცხადდა. ცარიზმმა უხეში ძალის გამოყენებით შეძლო გურიის გლეხთა უკმაყოფილების დროებით ჩახშობა, მაგრამ მან ვერ გატეხა გლეხების ნებისყოფა. გურული გლეხები, მთელი სა-ქართველოს გლეხებთან ერთად, ახალი ბრძოლებისათვის ემზადე-ბოდნენ.

80-იან წლებში გლეხთა სერიოზული მღელვარება იყო აგრეთვე ზემო იმერეთში. 1886 წელს თავად აბაშიძის წინააღმდეგ გამოვიდნენ კაცხის, რგანის, მორძგვეთის, საზანოს, საქარისა და სხვა სოფლების გლეხები. მებატონის დასახმარებლად მთავრობამ ჯარის ნაწილები გაგზავნა. განსაკუთრებით თავგამოდებით იბრძოდნენ სოფელ მორ-ძგვეთის გლეხები, რომლებმაც ეკლესიაში ერთმანეთს ფიცი მისცეს და გადაწყვიტეს უარი თქვეს აბაშიძისათვის სანადელო გადასახადის მი-ცემაზე. მორძგვეთელებმა ქვების სროლით გააძევეს სოფლიდან მაზ-რის მოხელეები და თვით თავადი აბაშიძე. იმერეთის გლეხობის მღელ-ვარებაც მთავრობამ სამხედრო ნაწილების დახმარებით ჩააქრო.

მეფის მთავრობამ ამჯერადაც შეძლო გლეხთა მოძრაობის დამარცხება. უიარაღო გლეხობა, რომელსაც არ გააჩნდა სათანადო ორგანიზაცია და ჯერ კიდევ არ ჰყავდა ხელმძღვანელი მუშათა კლასის სახით, იძულებული იყო უკან დაეხია. 80—90-იან წლებში საქართველოში, ისევე როგორც მთელი რუსეთის იმპერიაში, გამეფდა სასტიკი რეაქცია, რასაც თან სდევდა თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის მხრივ მშრომელი ხალხის ექსპლოატაციის უმაგალითო გაძლიერება.

მაგრამ რეპრესიებს, თავისუფალი აზრის დევნა-შევიწროებასა და მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერებას არ შეიძლებოდა ადრე თუ გვიან ხალხის მასების უკმაყოფილების ახალი აზვირთება არ გამოეწვია. საქართველოში თანდათან მწიფდებოდა პირობები დიადი სახალხო რევოლუციისათვის.

§ 2. ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში

70-იანი წლების რევოლუციური ხალხოსნები

მშრომელი გლეხობის ინტერესების დამცველად 70-იან წლებში გამოვიდა ქართველი დემოკრატიული ახალგაზრდობის ახალი ჯგუფი, რომლის წევრები ხალხოსნების სახელით არიან ცნობილი. ხალხოსნები მიზნად ისახავდნენ მეფის მთავრობის დამხობას და გლეხობისათვის მიწისა და თავისუფლების მოპოვებას. ამ მიზნის მისაღწევად ისინი გავიდნენ „ხალხში“ რათა გაეჩაღებინათ რევოლუციური აგიტაცია და აემხედრებინათ გლეხობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ხალხოსნური მოძრაობა ჩაისახა რუსეთში 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში. ხალხოსნებმა ვერ შეძლეს რუსეთის სამოციანი წლების გამოჩენილი რევოლუციონერ-დემოკრატების — ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის შეხედულებათა განვითარება და სრულიად მცდარი გზით წავიდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ რუსეთში კაპიტალიზმს ნიადაგი არ აქვს და, მაშასადამე, ვერც პროლეტარიატი განვითარდებაო. ისინი ოცნებობდნენ სოციალიზმზე, მაგრამ არ ესმოდათ პროლეტარიატის როლი და მთავარ რევოლუციურ ძალად გლეხობა მიაჩნდათ. რუსული გლეხური თემი მათ სოციალიზმის ჩანასახად და საფუძვლად ეჩვენებოდათ. ხალხოსნებს სრულიად არ ესმოდათ საზოგადოების განვითარების კანონები და ფიქრობდნენ, რომ ისტორიას ქმნიან არა კლასები და კლასთა ბრძოლა, არა ხალხი, არამედ ცალკეული გამოჩენილი პიროვნებანი — „გმირები“, რომლებსაც თითქოს ბრმად მიჰყვება ხალხი, „ბრბო“.

ხალხოსანთა თეორეტიკოსები და ხელმძღვანელები იყვნენ: ნ. ბაკუნინი, პ. ლავროვი, პ. ტკაჩოვი, ნ. მიხაილოვსკი და სხვები. მათ შეიმუშავეს და გაავრცელეს მცდარი, წვრილბურჟუაზიული და იდეალისტური თეორიები, რომლებსაც არასწორი გზით მიჰყავდათ რუსეთის რევოლუციური მოძრაობა.

ხალხოსნები არ იცნობდნენ გლეხობას, მათ არ გააჩნდათ სწორი რევოლუციური თეორია და თუმცა მათ შორის იყვნენ გამოჩენილი რევოლუციონერები, ხალხისათვის თავდადებული გმირები, ხალხი მაინც არ გაჰყვა მათ. მათი საიდუმლო ორგანიზაციები მთავრობამ აღმოაჩინა და გაანადგურა, მრავალი ხალხოსანი დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს.

ამის შემდეგ ხალხოსნები ინდივიდუალური ტერორის გზას დაადგნენ, მათ პეტერბურგში შექმნეს პარტია „ნაროდნაია ვოლია". 1881 წლის 1 მარტს ნაროდოვოლცებმა მოჰკლეს მეფე ალექსანდრე II. მაგრამ თვითმპყრობელობის რეაქციული პოლიტიკა ამის შედეგად ოდნავადაც არ შეცვლილა. მოკლული მეფის მაგიერ ტახტზე ავიდა მისი შვილი ალექსანდრე III, რომელმაც კიდევ უფრო სასტიკი რეაქციული რეჟიმი დაამყარა. ხალხოსანთა ტერორის ტაქტიკა უაღრესად მცდარი და საზიანო იყო მშრომელთა რევოლუციური ბრძოლისათვის, ის ასუსტებდა რევოლუციონერთა ძალებსა და ხელს უწყობდა მთავრობის რეაქციის გაძლიერებას. ხალხოსნები მარქსიზმის მოწინააღმდეგეები იყვნენ. რუსეთში მარქსიზმი გზას იკაფავდა და იწრთობოდა ხალხოსნების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში.

70-იან წლებში რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მრავალი ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ხალხოსნური იდეების გავლენის ქვეშ მოექცა და აქტიურად ჩაება ხალხოსნურ მოძრაობაში. ზოგიერთი ქართველი სტუდენტი თვით რუსეთის ხალხოსნურ ორგანიზაციებში იღებდა უშუალო მონაწილეობას, დანარჩენები კი სამშობლოში დაბრუნდნენ და ხალხოსნური იდეების გავრცელებას შეუდგნენ.

რუსეთის ხალხოსნურ ორგანიზაციებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თვალსაჩინო ქართველი ხალხოსნები: ივანე ჯაბადარი, გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), მიხეილ ჩიკოიძე, ალექსანდრე ციციშვილი, ანთიმოზ გამყრელიძე, ისიდორე ქიქოძე, რომან ფავლენიშვილი და სხვები. როცა მთავრობამ რუსეთის ხალხოსანთა ორგანიზაციები აღმოაჩინა, პასუხისგებაში მიცემულ იქნენ ამ ორგანიზაციების ქართველი მონაწილეებიც. მეფის სასამართლომ თითქმის ყველა მათგანს ხანგრძლივი პატიმრობა და შორეულ ციმბირში გადასახლება მიუსაჯა.

საქართველოში ხალხოსნური იდეები გავრცელდა 70-იანი წლების დასაწყისში. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი დემოკრატიული ახალგაზრდობის ძირითადი ნაწილი იმ დროს თერგდალეულთა იდეებით იყო გატაცებული და გაზეთ „დროების“ და ჟურნალ „კრებულის“ ირგვლივ იყო შემოკრებილი, ხალხოსნებს რევოლუციურად განწყობილ ქართველ ახალგაზრდობაში მაინც ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. მათ შექმნეს მრავალრიცხოვანი ფარული წრეები და ენერგიული არალეგარული მუშაობა გააჩაღეს. 1873—1876 წლებში საიდუმლო ხალხოსნური ორგანიზაციები შეიქმნა საქართველოს ბევრ ქალაქსა და სოფელში. განსაკუთრებით ძლიერი ხალხოსნური ორგანიზაციები არსებობდა თბილისში, გორში, ქუთაისში, ოზურგეთში. აგრეთვე გორისა და თელავის მაზრების სოფლებში. საქართველოში ხალხოსანთა მოძრაობის ხელმძღვანელები და აქტიური მონაწილეები იყვნენ ეგნატე იოსელიანი, ისიდორე ქიქოძე, მიხეილ ყიფიანი, სტეფანე ჭრელაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, შიო დავითაშვილი, გოლა ჩიტაძე, ვასო დეკანოზიშვილი, ალ. ნანეიშვილი, ვარლამ გაბიჩვაძე, ანტონ ლორთქიფანიძე, მელიტონ ნაკაშიძე, დავით ფურცელაძე, ვასილ სამადაშვილი, მათე კერესელიძე, ოლღა ყიფიანი, იოსებ ბაქრაძე, არსენ კალანდაძე, ილიკო ჭიჭინაძე, სოფიო ჯორჯაძე, ზაქარია გულისაშვილი, მიხეილ ასათიანი, მიხ. გურგენიძე, დიმიტრი ნაზარიშვილი და სხვები. ხალხოსნებთან ახლოს იდგნენ და მათ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე მთელი რიგი ქართველი მწერლები და პუბლიცისტები, კერძოდ: ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი). ესტატე მჭედლიძე (ბოსლეველი), ზაქარია ჭიჭინაძე და სხვები.

ქართველ ხალხოსნებს მიაჩნდათ, რომ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთის ყველა ხალხის ბრძოლა ერთმანეთთან დაკავშირებული უნდა ყოფილიყო და ერთიანი გეგმით წარმართულიყო. ამიტომ. მათ მჭიდრო კავშირი დაამყარეს რუს ხალხოსნებთან. ხალხოსანი შიო დავითაშვილი თავის მოგონებაში მოგვითხრობს: „ჩვენ, ადგილობრივი რევოლუციონერები, მიზნად ვისახავდით მოგვემზადებია მთელი კავკასიის მოსახლეობა, განურჩევლად ეროვნებისა. საერთო აჯანყებისათვის და როდესაც შიდა რუსეთში ბრძოლის საათი დარეკავდა, აქაც მზად უნდა ვყოფილიყავით“.

რუსი ხალხოსნები, არა მარტო იდეურ ხელმძღვანელობას უწევდნენ ქართველ ხალხოსნებს, არამედ შეძლებისდაგვარად პრაქტიკულად ეხმარებოდნენ მათ. კერძოდ, ისინი ამარაგებდნენ მათ რევოლუციური ლიტერატურით ხალხში გასავრცელებლად. ქართველ ხალხოსნებს კავშირი ჰქონდათ უცხოეთთანაც (შვეიცარიასთან), საიდანაც აგრეთვე იღებდნენ რევოლუციურ ლიტერატურას. ამ მხრივ მათ და-

ხმარებას უწევდა ევროპაში მყოფი ქართველი სტუდენტების საზოგადოება „უღელი“, რომელიც დაარსდა 1873 წელს ჟ. ციურიხში.

ქართველი ხალხოსნების სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები ძირითადად ისეთივე იყო, როგორიც რუსეთის ხალხოსანთა შეხედულებები, მაგრამ მათი პროგრამა ზოგიერთ საკითხში მაინც განსხვავდებოდა რუსი ხალხოსნების პროგრამისაგან. ეს განსხვავება გამოწვეული იყო საქართველოს მაშინდელი ცხოვრების თავისებურებებით, კერძოდ, მისი კოლონიური მდგომარეობით. ქართველ ხალხოსნებს არ შეეძლოთ გვერდი აევლოთ ქართველი ხალხის ეროვნული ტკივილებისათვის და მათ კიდევაც შეიტანეს თავიანთ პროგრამაში ეროვნული საკითხი. მაგრამ, თერგდალეულებისაგან განსხვავებით, ხალხოსნები პირველ რიგში სოციალურ პრობლემებს აყენებდნენ, ეროვნულ საკითხს კი მეორე რიგში განიხილავდნენ. ქართველი ხალხოსნების რევოლუციურ აგიტაციას, მათს „ხალხში სიარულს“ თითქმის არაფითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. მიუხედავად იმისა, რომ 70-იანი წლების ქართველი ხალხოსნები შესანიშნავი რევოლუციონერები იყვნენ და თავგანწირვით იბრძოდნენ, გლეხობამ მაინც არ ათხოვა ყური მათს აგიტაციას. ეს იმით აიხსნება, რომ ხალხოსნები ვერ იცნობდნენ გლეხობის ცხოვრებას და არ იცოდნენ ის გზა, რომელსაც შეეძლო მშრომელი ხალხისათვის თავისუფლებისა და ბედნიერების მოპოვება.

1876 წელს ქართველი ხალხოსნების ორგანიზაცია გასცა მის რიგებში შეპარულმა პროვოკატორმა ი. იოსელიანმა. მეფის მთავრობამ მოახერხა მოკლე ხანში გაენადგურებინა ხალხოსანთა ძირითადი ჯგუფები. ხალხოსნური მოძრაობის აქტიურ მონაწილეთა უმრავლესობა დააპატიმრეს. მათი მთავარი ხელმძღვანელებიდან ორი — ეგნატე იოსელიანი და მიხეილ ყიფიანი — ციმბირში გადაასახლეს, ხოლო ისიდორე ქიქოძე თურქეთში გადაიხვეწა.

ამრიგად, რევოლუციური ხალხოსნები, რომლებიც არასწორ გზას ადგნენ და ხალხის მასებისაგან მოწყვეტილი იყვნენ, დამარცხდნენ. მაგრამ მათ თავდადებულ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მაინც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის გამოღვიძებისა და ახალგაზრდობის რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

80—90-იანი წლების ხალხოსნები

მას შემდეგ, რაც ხალხოსნების ფარული ორგანიზაციები მეფის პოლიციამ გაანადგურა, ხოლო „ხალხში სიარულის“ ტაქტიკას არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყვა, ქართველმა ხალხოსნებმა ახალი გზების ძიება დაიწყეს: მათი ერთი ნაწილი რუსეთის ფარული ნაროდნიკული ორ-

განიზაციის „ნაროდნაია ვოლიას“ თვალსაზრისზე დადგა და კვლავ განაგრძობდა არალეგარულ რევოლუციურ საქმიანობას, ხოლო მეორე, უფრო მრავალრიცხოვანმა ნაწილმა ხელი აიღო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პირდაპირი რევოლუციური ბრძოლის იდეაზე და ქართველი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით, ამხანაგობების დაარსებით და სხვა მისთანა ლეგალური ღონისძიებებით ფიქრობდა.

80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში კვლავ შეიქმნა ხალხოსანთა საიდუმლო წრეები, რომლებიც „ნაროდნაია ვოლიას“ პოზიციებზე იდგნენ და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ტერორისტულ მეთოდს აღიარებდნენ. ერთი ასეთი წრე თვით „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელთა უშუალო დახმარებით ჩამოყალიბდა. მასში შედიოდნენ საქართველოში მყოფი რუსი ოფიცრები — სერგეი შეპელოვი, პავლე იაკიმოვი, ნიკოლოზ ალიხანოვი, იოსებ ლიპმანი, აგრეთვე ცნობილი ქართველი ხალხოსნები — სტეფანე ჭრელაშვილი, მიხეილ ყიფიანი, მარიამ შარვაშიძე, შიო დავითაშვილი და სხვები. ამავე ხანებში ჩამოყალიბდა ხალხოსან-ნაროდოვოლცების მეორე წრე, რომელსაც ვოლა ჩიტაძე მეთაურობდა. ამ წრემ მიიზიდა არა მარტო მოსწავლე ახალგაზრდობა, არამედ ზოგიერთი მუშაც. მასთან დაახლოებული იყვნენ აგრეთვე ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, ნოე ჟორდანია და სილიბისტრო ჯიბლაძე. ნაროდოვოლცებს საქართველოში რაიმე მნიშვნელოვანი გაველენა არ ჰქონიათ.

ქართველი ხალხოსნების იმ ნაწილმა, რომელმაც ხელი აიღო რევოლუციურ ბრძოლაზე, 80-იანი წლებიდან ლეგალური კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა გააჩაღა. „რაკი ხალხში გასვლით ვერა გავაწყვეთ რა, — გადმოგვცემს ხალხოსანი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი, — ჩვენი მოქმედების ფრონტი და ტაქტიკა შევცვალეთ, გადავწყვიტეთ, მასწავლებლებს გვემოქმედნა მოსწავლე ახალგაზრდობაზე, ხელოსნებზე, გვემართნა იაფფასიანი სახალხო წარმოდგენები“. ასეთი უწყინარი საშუალებებით ფიქრობდნენ ისინი ხალხისათვის კეთილდღეობისა და ბედნიერების მოპოვებას.

ლეგალურმა ხალხოსნებმა 80-იანი წლების დასაწყისში თავიანთი ბეჭდვითი ორგანოებიც შექმნეს. 1881—1883 წლებში მათი თაოსნობით ქუთაისში გამოდიოდა გაზეთი „შრომა“, ხოლო იმავე ხანებში თბილისში მათივე თაოსნობით ჟურნალი „იმედი“ გამოდიოდა. ამ ორგანოების ფურცლებზე ხალხოსნურმა შეხედულებებმა დაჰკარგეს წინანდელი რევოლუციური ელფერი და არსებითად ბურჟუაზიული ლიბერალების პოზიციამდე ჩამოქვეითდნენ.

ხალხოსნური იდეების მცდარობა 80-იანი და განსაკუთრებით კი 90-იანი წლებიდან თანდათან ნათელი ხდებოდა. კაპიტალიზმის განვითარება და კლასთა ბრძოლის გამწვავება როგორც საქართველოში, ისე რუსეთში ძირს უთხრიდა ხალხოსნურ შეხედულებებს. 90-იან წლებში ხალხოსნობა როგორც იდეური მიმდინარეობა საბოლოოდ გაკოტრდა.

ხალხოსნური მოძრაობის ისტორიულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის გლეხური დემოკრატიის იდეოლოგიას წარმოადგენდა. მაგრამ ეს ითქმის უფრო რევოლუციურ ხალხოსნებზე. რაც შეეხება ხალხოსან-ლიბერალებს, რომლებიც ვითომ მშრომელი გლეხობის ინტერესების დასაცავად მოღვაწეობდნენ — ისინი არსებითად მხოლოდ გლეხობის გამდიდრებული ზედაფენის ინტერესების გამომხატველნი იყვნენ.

ხალხოსნებმა ვერ გაიგეს მუშათა კლასის ისტორიული როლი. ისინი ხელს უშლიდნენ მუშათა და გლეხთა ნამდვილი რევოლუციური მოძრაობის განვითარებას. ამით აიხსნება, რომ მუშათა კლასის იდეოლოგიამ — მარქსიზმმა დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღა ხალხოსნური შეხედულებების წინააღმდეგ.

თავი V

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებანი 80—90-იანი წლების საქართველოში. რეაქციის გაძლიერება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

§ 1. თერგდალეულთა ჯგუფის დაშლა. ახალი დემოკრატიული მიმართულებები. ბრძოლა სოციალურ-ეკონომიური პროგრესისათვის

ქართველი ბურჟუაზიის როგორც კლასის ჩამოყალიბება. თერგდალეულთა ჯგუფის დაშლა

თერგდალეულთა მოღვაწეობა, როგორც ზემოთ დავინახეთ, წარმოადგენდა იდეოლოგიის სფეროში იმ ბრძოლის გამოხატულებას, რომელსაც აწარმოებდა მოსახლეობის დაჩაგრული და უუფლებო ნაწილი (ე. წ. „მესამე წოდება") გაბატონებული თავადაზნაურობისა და მისი დამცველი მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

მუშათა კლასის გაჩენამდე ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ მთავარი მებრძოლი ძალა გლეხობა იყო, მაგრამ მას გვერდში

ედგა და აქტიურად ეხმარებოდა ქალაქის ღარიბი მოსახლეობა (მუშები, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები) და ნაწილობრივ ბურჟუაზია, რომელიც აგრეთვე უუფლებო კლასი იყო. გლეხობას, ქალაქის ვაჭარ-ხელოსნებს და ბურჟუაზიას ერთი დროშის ქვეშ აერთიანებდა დრომოჭმული ბატონყმური წყობილებისადმი სიძულვილი, მაგრამ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მათ შორის თავი იჩინა ეკონომიურმა ანტაგონიზმმა, რასაც შედეგად მოჰყვა „მესამე წოდების“ დაშლა და ბურჟუაზიის ინტერესების მკვეთრი დაპირისპირება ქალაქისა და სოფლის წვრილი მწარმოებლების, ე. ი. „ხალხის“ ინტერესებისადმი.

ეხებოდა რა იმ მიზეზებს, რამაც ბურჟუაზიისა და მშრომელი ხალხის, — ამ ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასების, — დროებითი სოლიდარობა გამოიწვია, ვ. ი. ლენინი ამბობდა: „იმდროინდელი სოლიდარობა გამოწვეული იყო იმდროინდელი მატერიალური პირობებით, რომლებიც ვეღარ დაბრუნდება: ბატონყმობა ყველას ერთნაირად ავიწროებდა — ყმა-ბურმისტრსაც, რომელსაც ფული დაეგროვებინა და საამური ცხოვრება უნდოდა; ყაირათიან გლეხსაც, რომელსაც ბატონი სძულდა ბეგარისა, მის მეურნეობაში ჩარევისა და გაცდენისათვის; პროლეტარ-შინაყმასაც და გაღატაკებულ გლეხსაც. რომელსაც მიჰყიდდნენ ხოლმე ვაჭარს დასამონებლად; მისგან იტანჯებოდა ვაჭარი — მეფაბრიკეც, მუშაც, შინამრეწველიც და ხელოსანიც. ყველა ამ ადამიანთა შორის მხოლოდ ის კავშირი იყო, რომ ყველა ისინი მტრულად უყურებდნენ ბატონყმობას. ამ სოლიდარობის საზღვრებს იქით უმძაფრესი სამეურნეო ანტაგონიზმი იწყებოდა“[1].

ბატონყმობისა და მისი ნაშთების მოსპობასა და კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, ისპობოდა „მესამე წოდების“ დროებითი სოლიდარობაც და მის ადგილს თანდათან იჭერდა გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა, ერთი მხრივ, ქალაქისა და სოფლის ბურჟუაზიასა, ხოლო მეორე მხრივ, ქალაქისა და სოფლის წვრილ მწარმოებლებს (გლეხები, ხელოსნები და სხვ.) შორის, რომლებიც ქართველი ერის უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ. ბურჟუაზიული წყობილების ამ წინააღმდეგობებმა ჯერ კიდევ 70-იან წლებში იჩინეს თავი, 80—90-იან წლებში კი მათი შემდგომი გაღრმავება და გაფართოება მოხდა.

საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის მბრძანებელი სიმაღლეები უმეტესწილად უცხო კაპიტალისტების ხელში იყო. უცხოელი ვაჭრები და მრეწველები დაეპატრონენ საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს, მათ ეკუთვნოდათ რკინიგზები, მნიშვნელოვანი ფაბრიკა-ქარხნები, ნავსადგურები, გემები, საუკეთესო სახლები, დიდი მაღაზიები, საწყობები და ა. შ. უცხოელი კაპიტალისტები, სარგებლობ-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 349.

დნენ რა საქართველოს ეკონომიური ჩამორჩენილობით, ძარცვავდნენ ქართველ ერს, ეწეოდნენ მუშებისა და გლეხების სასტიკ ექსპლოატაციას, ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ გაჰქონდათ.

მაგრამ რეფორმისშემდგომ ხანაში თვალსაჩინოდ მოღონიერდა ეროვნული ბურჟუაზიაც. 70—80-იან წლებში ხდება ქართველი ბურჟუაზიის როგორც კლასის ჩამოყალიბება და ამ დროიდან ის იწყებს თავისი კლასობრივი ინტერესების შეგნებას. 90-იანი წლების ბოლომდე ქართველი ბურჟუაზია ჯერ კიდევ აღმავალი კლასი იყო, რომელიც ხელს უწყობდა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას. მაგრამ ეკონომიურად ის ძალიან სუსტი იყო და არ შეეძლო არც ძლიერი უცხო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლა, არც მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ აშკარად გამოსვლა. ქართველმა ბურჟუაზიამ ვერ შეძლო სათავეში ჩადგომოდა მეფის თვითმპყრობელობის რეჟიმით უკმაყოფილო წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს და გაეჩაღებინა რევოლუციური ბრძოლა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილებისათვის, როგორც ეს თავის დროზე მოიმოქმედა, მაგალითად, საფრანგეთისა და ევროპის სხვა დიდი სახელმწიფოების ბურჟუაზიამ. ქართველი ბურჟუაზია, ისევე როგორც რუსეთის ბურჟუაზია, სუსტი და მერყეევი იყო, ის სულ მცირე დათმობებს სჯერდებოდა და ყოველთვის მზად იყო ეღალატა ხალხისათვის, წასულიყო კომპრომისზე თავადაზნაურობისა და მეფის წინაშე. უკვე 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართველი ბურჟუაზიის მოწინავე წარმომადგენლებიც კი თანდათან ივიწყებენ ხალხის კულტურისათვის ზრუნვას და მთელ თავის ენერგიას „გამდიდრების“ საქმეს ახმარენ. 90-იანი წლების ბოლოდან ქართველი ბურჟუაზია ჰკარგავს პროგრესულობის ყოველგვარ ნიშანწყალს და რეაქციულ ძალად იქცევა.

ამრიგად, ბატონყმობის გაუქმებამ და რეფორმის შემდეგ კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია „მესამე წოდების“ დაშლა, დააჩქარა ქართველი ბურჟუაზიის როგორც კლასის შექმნა. ქონებრივი უთანასწორობის ზრდამ მკვეთრად გაჰყო და ერთმანეთს დაუპირისპირა ბურჟუაზიისა და ღარიბი ხალხის ინტერესები ჯერ ეკონომიურ, ხოლო შემდეგ პოლიტიკურ სფეროშიც საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთ განვითარებას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია და გამოიწვია კიდევაც თერგდალეულთა ჯგუფის, როგორც ერთიანი იდეური მიმდინარეობის დაშლა.

პროლეტარიატის დიდი ბელადი კარლ მარქსი გვასწავლის რომ ბურჟუაზიასა და ხალხს შორის წინააღმდეგობის ფესვები ბურჟუაზიის აღმოცენებასთან ერთად გაჩნდა, მაგრამ ეს წინააღმდეგობა მკვეთრად თავს იჩენს მხოლოდ „მესამე წოდების“ დაშლის შემდეგ. „ბურ-

ჟუაზიისა და ხალხის მკვეთრი ანტაგონიზმი, — ამბობს მარქსი, — რა-საკვირველია, მხოლოდ იმ მომენტიდან იწყება, როგორც კი ბურჟუა-ზია აღარ უპირისპირდება თავადაზნაურობასა და სამღვდელოებას როგორც მესამე წოდება"[2].

აქედან ნათელია, რომ წინააღმდეგობათა ფესვები თერგდალეულ-თა იდეოლოგიაშიც იმთავითვე იყო მოცემული, მაგრამ ვიდრე თერ-გდალეულთა ჯგუფის მთავარი ამოცანა სოციალურ სფეროში ბატონ-ყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლა იყო, მისი საკუთარი შინაგანი წინააღმდეგობანი დაფარული იყო და ნაკლებად ჩანდა. თერგ-დალეულთა შინაგანმა წინააღმდეგობებმა აშკარად იჩინა თავი, რო-გორც კი რეფორმების ხანა დამთავრდა და დღის წესრიგში დადგა ქვეყნის ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების შემ-დგომი განვითარების გზების საკითხი.

ეკონომიური ცხოვრების განვითარებამ გაჰყო თერგდალეულთა გზები. ამით აიხსნება, რომ სწორედ ეკონომიური ხასიათის პრობლე-მა, — სახელდობრ, ბანკის საკითხი, — გახდა პირველი მიზეზი მათი განხეთქილებისა.

სათავადაზნაურო ბანკის როლისა და მნიშვნელობის შესახებ თერგდალეულებს შორის კამათი ჯერ კიდევ 1873 წელს გაიმართა. მაგრამ მაშინ ამ კამათს განხეთქილება არ გამოუწვევია. 1876 წლის გაზაფხულზე თერგდალეულებმა დიდი ზეიმით იდღესასწაულეს თა-ვიანთი მთავარი ორგანოს გაზეთ „დროების" არსებობის ათი წლის იუბილე. იმ ხანებში თერგდალეულთა შორის ჯერ კიდევ თანხმობა და ერთსულოვნება სუფევდა, მაგრამ მალე მდგომარეობა შეიცვალა. იმა-ვე წელს ბანკის ირგელივ ცხარე კამათი გაიმართა თერგდალეულთა ორ გამოჩენილ ხელმძღვანელს — ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლა-ძეს შორის. ი. ჭავჭავაძე გავიდა „დროების" რედაქციიდან და 1877 წელს დააარსა ახალი ორგანო—გაზეთი „ივერია". ცოტა ხნის შემდეგ „დროების" რედაქციას დაშორდნენ აგრეთვე ნ. ნიკოლაძე და გ. წერე-თელი. ნ. ნიკოლაძემ 1878 წელს რუსულ ენაზე გამოსცა გაზეთი „ობ-ზორი". ახალ ორგანოებს შორის გაჩაღდა კამათი მწვავე პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე.

ასე დაიწყო თერგდალეულთა ჯგუფის დაშლა და ახალი საზოგა-დოებრივ-პოლიტიკური მიმართულებების ჩამოყალიბება 70-იანი წლების მიწურულში. თერგდალეულები ორ ბანაკად გაიყვნენ: ერთი მათგანი აშკარად გამოხატავდა აღმავალი ქართველი ბურჟუაზიის მისწრაფებებს, მეორე კი ისევ „მთელი ქართველი ერის" ინტერესე-

---

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1849, გვ. 81.

ბის დაცვაზე ლაპარაკობდა, მაგრამ არსებითად წვრილბურჟუაზიულ-გლეხური იდეოლოგიის გამომხატველი იყო.

ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულება. მისი მერყეობა და ლიბერალიზმის პოზიციებზე გადასვლა

ახალი იდეური მიმართულება, რომელიც თერგდალეულთა ჯგუფის დაშლის შემდეგ ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგებმა შექმნეს, თავისი არსებობის პირველ პერიოდში პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულება იყო და აქტიურად იბრძოდა ცარიზმისა და რეაქციული თავადაზნაურობის წინააღმდეგ. ამ მიმართულების ხელმძღვანელები და თვალსაჩინო მოღვაწეები იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), დავით ერისთავი, გიორგი თუმანიშვილი, იონა მეუნარგია, ალექსანდრე ჯაბადარი, გიორგი ლასხიშვილი და სხვები.

ახალი მიმართულების წარმომადგენლებმა თავიანთი შეხედულებების ქადაგება ჯერ გაზეთ „დროების" და „ტფილისკი ვესტნიკის"[3] ფურცლებზე დაიწყეს, შემდეგ კი უფრო ფართო პროპაგანდა გააჩაღეს თავიანთი გაზეთების — „ობზორის", „ნოეოე ობოზრენიეს" და „კვალის", აგრეთვე ჟურნალ „მოამბის" საშუალებით.

გაზეთი „ობზორი", რომელიც, როგორც უკვე ითქვა, 1878 წელს დააარსა ნ. ნიკოლაძემ, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე და მებრძოლი გაზეთი იყო. ცენზურული პირობების მიუხედავად, გაზეთი ახერხებდა აშკარად გაეტარებინა მეფის მთავრობის საწინააღმდეგო პოლიტიკური ხაზი, რისთვისაც მისი რედაქტორი რამდენჯერმე მისცეს სამართალში. 1880 წლის ზაფხულში ნ. ნიკოლაძე მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის ადმინისტრაციული წესით გადაასახლეს სტავროპოლში. ამის შემდეგ „ობზორმა" მალე არსებობა შეწყვიტა.

ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების წარმომადგენლები ძალიან აკრიტიკებდნენ თავიანთი წინანდელი თანამოაზრეების, — ი. ჭავჭავაძისა და მისი ჯგუფის, — პოზიციას ქართველი თავადაზნაურობასთან დამოკიდებულების საკითხში. ისინი არ იზიარებდნენ ამ ჯგუფის ილუზიებს, რომ თითქოს შესაძლებელი იყო ქართველი ერის ინტერესებისათვის თავადაზნაურობის მოწინავე, კულტურული ნაწილის გამოყენება. ისინი ამბობდნენ: თავადაზნაურობამ როგორც წოდებამ დიდი ხანია მოჭამა თავისი დრო და მას ახლა აღარავისთვის არ შეუძლია რაიმე სარგებლობის მოტანაო. ნ. ნიკოლაძე ხაზგასმით მიუ-

---

[3] გაზ. „ტფილისკი ვესტნიკი" („თბილისის მოამბე") გამოდიოდა 1873—1880 წლებში. მისი დამაარსებელი და რედაქტორი იყო მოწინავე მოღვაწე კ. ბებუთოვი.

თითებდა: „თავადაზნაურობას როგორც წოდებას — უკვე აღარავითარი როლი არ შეუძლია შეასრულოს ხალხის ცხოვრებაში“.

მაშ, ვინ უნდა ყოფილიყო ხალხის (ერის) ხელმძღვანელი, მისთვის ბედნიერების მომტანი? ამ კითხვაზე ნ. ნიკოლაძე ასეთ პასუხს იძლეოდა: „ერის და ქვეყნის გამომყვანი სიღარიბისა და მონობისაგან, უმეცრებისა და უსწორმასწორობისაგან ყოველთვის და ყველგან მარტო... ბურჟუაზია ყოფილა და იქნება“. ასევე ფიქრობდა გ. წერეთელიც.

ასეთი შეხედულებიდან გამომდინარეობდა მათი უარყოფითი დამოკიდებულება სათავადაზნაურო-სამიწათმოქმედო ბანკების მიმართ. ისინი ფიქრობდნენ, რომ თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო-სამიწათმოქმედო ბანკები ჩვენი ქვეყნისათვის მხოლოდ ზიანის მომტანია და აუცილებელია, რომ ისინი სამრეწველო ბანკებად გადავაქციოთ, რათა ხელი შევუწყოთ ქართველი ბურჟუაზიის საქმიანობას.

ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების მოღვაწენი სავსებით მართალნი იყვნენ, როცა ქართველ თავადაზნაურობას დრომოჭმულ წოდებად სთვლიდნენ და უარყოფდნენ მის დადებით მნიშვნელობას ხალხის ცხოვრების წინსვლა-გაუმჯობესებაში, მაგრამ ისინი სრულიად არ იყვნენ მართალი, როცა ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების იმედებს სუსტ და მერყეულ ქართველ ბურჟუაზიაზე ამყარებდნენ: მათ არ ესმოდათ, რომ ისტორიული ვითარების სხვადასხვაობის გამო ქართველ ბურჟუაზიას არ შეეძლო ისეთივე მოწინავე, რევოლუციური როლი ეთამაშნა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, როგორც თავის დროზე საფრანგეთის, ინგლისისა და ევროპის სხვა სახელმწიფოების ბურჟუაზიამ ითამაშა ევროპის ხალხთა ცხოვრებაში.

80—90-იან წლებში ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენლები პრაქტიკულ სამეურნეო მუშაობაში ჩაებნენ და მთელი ძალღონით ცდილობდნენ დაეჩქარებინათ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება. ნ. ნიკოლაძე რკინიგზის სამსახურში შევიდა, უცხოელ კაპიტალისტებს დაუახლოვდა და საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების დამუშავების დაჩქარებას ცდილობდა, შემდეგ კი ფოთის ქალაქის თავად მუშაობდა; ასევე მოიქცა გ. წერეთელიც. 80-იან წლებში მან დიდი ენერგია დახარჯა ჭალის მთაში (ზემო იმერეთშია) ნავთის საძიებო სამუშაოების მოსაწყობად; გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი) სათაეში უდგება ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოს. ასეთსავე ხასიათის პრაქტიკულ საქმიანობას ეწევიან ამ მიმართულების სხვა მოღვაწენიც. ბურჟუაზიულმა თაოსნობამ ამ მოწინავე მოღვაწეებს თანდათან დაავიწყა ხალხის ინ-

ტერესებისათვის ზრუნვა და უკვე 80-იან წლების მეორე ნახევრიდან შესამჩნევი ხდება მათ მიერ წინანდელი დემოკრატიული პოზიციების დაკარგვა.

1887 წელს ნ. ნიკოლაძემ დაწერა წერილი, სათაურით: „ძველი შეცდომები“[4], რომელშიც ხელი აიღო თავის ადრინდელ რევოლუციურ-დემოკრატიულ შეხედულებებზე. ამ წერილში ნ. ნიკოლაძემ „ახალგაზრდული ენთუზიაზმით“ გამოწვეული შეცდომა უწოდა იმ შესანიშნავ წერილს, რომელიც 1865 წელს მან საქართველოში ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით ა. გერცენის „კოლოკოლში“ გამოაქვეყნა. ამავე ხანებში ის შეუდგა ქართველ ვაჭარ-მრეწველთა შორის ამხანაგობათა და აქციონერულ საზოგადოებათა შექმნის პროპაგანდას, რომლის მიზანი ქართველი კაპიტალისტების ეკონომიური გაძლიერება იყო.

ამრიგად, თუ წინათ აქტიური თერგდალეული ნ. ნიკოლაძე ქართველი გლეხებისა და, საერთოდ, ღარიბი ხალხის გაჭირვებიდან გამოყვანას და ამ მიზნით მათთვის ამხანაგობათა შექმნას ქადაგებდა, ახლა მისი მთავარი საზრუნავი კაპიტალისტების კიდევ უფრო მეტი გამდიდრება და ამ მიზნით მათთვის აქციონერული საზოგადოებების შექმნა გადაიქცა.

90-იან წლებში, რუსეთსა და საქართველოში მუშათა მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით, ბურჟუაზიული მიმართულების მთელმა რიგმა თვალსაჩინო მოღვაწეებმა სცადეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ტრადიციების გამოცოცხლება. გ. წერეთელმა 1893 წელს დააარსა ყოველკვირეული გაზეთი „კვალი“. ამ გაზეთის ფურცლებზე ბურჟუაზიულ-ლიბერალური შინაარსის წერილებთან ერთად ფართოდ იბეჭდებოდა რევოლუციურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობის წერილები, რომელშიც ახალი თაობის წარმომადგენლები მუშათა კლასის იდეოლოგიის — მარქსიზმის შეხედულებათა პროპაგანდას ეწეოდნენ. ამავე ხანებში ჰქონდა ადგილი გ. წერეთლის, გ. ზდანოვიჩის (მაიაშვილის) და ზოგიერთი სხვა ბურჟუაზიული მოაზროვნის ცდებს, დაახლოებოდნენ მარქსიზმს. ამ მიზნით მათ დაიწყეს თავიანთი შეხედულებების მარქსისტულ სამოსელში გახვევა და მარქსისტული ფრაზეოლოგიით შელამაზება, მაგრამ სინამდვილეში მათ შეხედულებებს მარქსიზმთან საერთო არაფერი ჰქონია.

90-იანი წლების ბოლოდან ბურჟუაზიულმა მიმართულებამ საბოლოოდ დაჰკარგა თავისი პროგრესულობა.

---

[4] ეს წერილი არ დაბეჭდილა, რადგან მაშინდელმა ცენზურამ აკრძალა.

წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულება. თერგდალეულთა იდეების დრომოჭმულობა

თერგდალეულთა ერთიანი იდეური მიმართულების დაშლის შემდეგ, საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში, — იმ დრომდე, ვიდრე სამოღვაწეო ასპარეზზე მარქსისტული ახალგაზრდობა გამოვიდოდა, — ყველაზე მნიშვნელოვან პროგრესულ მიმართულებას წარმოადგენდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ირგვლივ შემოკრებილი გვიანდელი თერგდალეულების ჯგუფი, რომელიც თავისი იდეურ-კლასობრივი შინაარსით ძირითადად წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების ჯგუფი იყო. ეს ჯგუფი მთელი ძალღონით ცდილობდა 80—90-იანი წლების შეცვლილ ისტორიულ ვითარებაში კვლავ შეენარჩუნებინა თერგდალეულთა იდეური პოზიციები და მიუხედავად კლასობრივი და ეროვნული ბრძოლის სასტიკი გამწვავებისა, მაღლა ეჭირა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა.

მას შემდეგ, რაც ნ. ნიკოლაძე და გ. წერეთელი ჩამოშორდნენ გაზეთ „დროებას“, ი. ჭავჭავაძე და მისი უახლოესი თანამოაზრენი კვლავ დაუახლოვდნენ „დროების“ რედაქციას. ი. ჭავჭავაძემ გაზეთი „ივერია“ ჟურნალად გადააკეთა და ერთხანს ორიენ ორგანოს—„დროებას“ და „ივერიას“ — თვითონ ხელმძღვანელობდა სერგეი მესხთან და ივანე მაჩაბელთან ერთად. 1885 წელს მთავრობის საწინააღმდეგო შიმართულებისათვის თვითმპყრობელობამ გაზეთი „დროება“ დახურა. ამის შემდეგ ი. ჭავჭავაძე იძულებული გახდა „ივერია“ კვლავ გაზეთად გადაეკეთებინა და მრავალი წლის განმავლობაში ის იყო ერთადერთი ყოველდღიური ქართული გაზეთი. ამ გაზეთის ირგვლივ თავს იყრიდნენ და მასში თანამშრომლობდნენ არა მარტო მაშინდელი დემოკრატიული მიმართულების მოღვაწეები, არამედ აგრეთვე ლიბერალებიც, მაგრამ „ივერიის“ თანამშრომელთა ძირითად ბირთვს მაინც დემოკრატები შეადგენდნენ.

წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების დემოკრატ მოღვაწეთა ჯგუფში, რომელიც ამავე დროს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფი იყო, შედიოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი, სერგეი მესხი, ივანე მაჩაბელი, დავით მიქელაძე, ბესარიონ ღოღობერიძე, გრიგოლ ყიფშიძე, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), ნიკო ხიზანაშვილი, მუშა პოეტი იოსებ დავითაშვილი და სხვები.

ამავე ჯგუფს შეუერთდნენ 80-იანი წლების დასაწყისში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული დიდი ქართველი მწერლები ალექსან-

დრე ყაზბეგი (1848—1893) და ვაჟა-ფშაველა (1861—1915). რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში დაეყრდნენ საქართველოს მთის რაიონების ცხოვრების თავისებურებებს და ხელახლა გააცოცხლეს და გააძლიერეს თერგდალეულთა მოწინავე იდეები. მთიელთა ყოფაცხოვრებაში კაპიტალისტური ურთიერთობა შედარებით გვიან შეიჭრა. ამიტომ იქ 80-იანი წლების დასაწყისისათვის ჯერ კიდევ არსებობდა პირობები თერგდალეულთა იდეების შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისათვის. ეს პირობები კარგად გამოიყენეს ა. ყაზბეგმა და ვაჟა-ფშაველამ, რომლებმაც თავიანთ უკვდავ მხატვრულ ნაწარმოებებში ჩააქსოვეს სამოციანელების საერთო-საგანმანათლებლო და პროგრესული იდეები — სამშობლოსათვის თავდადება. ხალხის სამსახური, ერის ტკივილები და მისი განკურნებისათვის პრძოლა. ადამიანთა შორის საყოველთაო თანხმობა და სიყვარული, ძმობა, ერთობა, მეგობრობა და ა. შ.

მაგრამ თუ მთის პირობებში ჯერ კიდევ არსებობდა ნიადაგი და შეიძლებოდა რეალისტურ და პროგრესულ ლიტერატურას მთელი ხალხის, მთელი ერის საერთო ინტერესების დაცვაზე ელაპარაკნა, ბარში 80—90-იანი წლების პერიოდში მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა: ერი, ანუ „მესამე წოდება", რომელიც წინათ მხოლოდ ერთ მუჭა თავადაზნაურობასა და სამღვდელოებას უპირისპირდებოდა. — ამ დროისათვის დაიშალა: ბურჟუაზია თავისი გზით წავიდა და მან გლეხობის ინტერესები დაივიწყა. თვითონ გლეხობაც თავის მხრივ დაიშალა: მისი ერთი ნაწილი — კულაკობა, ბურჟუაზიას შეუერთდა, მეორე ნაწილი კი სავსებით გაღატაკდა და პროლეტარიატის რიგები შეავსო. რაც შეეხება მცირენაკვეთიან, საშუალო გლეხებს, რომლებიც დიდი გაჭირვებით ახერხებდნენ თავიანთი მეურნეობის გაძღოლას, — ისინი სოფლის წვრილ ბურჟუაზიას წარმოადგენდნენ და მუდამ მერყეობდნენ, — მათი ნაწილი კულაკებში გაძრომას ცდილობდა, მაგრამ ხშირად კოტრდებოდა და კულაკის ან ვაჭრის მოჯამაგირედ იქცეოდა.

ასეთ პირობებში „მთელი ერის" საერთო ინტერესებზე ლაპარაკი უნიადაგო იყო. ქართველ ერში ამ დროს ფაქტიურად უკვე „ორი ერი" გაჩნდა: ბურჟუაზიისა და გაბურჟუების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის „ერი" და გაღატაკებული ან უკვე გაღატაკების გზაზე დამდგარი „ხალხის ერი". ამის შესაბამისად, ერთიანი ქართული კულტურის ნაცვლად, ფაქტიურად ორი კულტურა ჩაისახა: ბურჟუაზიის კულტურა და მშრომელი ხალხის კულტურა.

ამრიგად, ცხოვრების განვითარება ამზადებდა პირობებს ახალი, პროლეტარული იდეოლოგიისა და კულტურისათვის. ცხოვრება წინ წავიდა, თერგდალეულთა საერთო-საგანმანათლებლო იდეები კი მო-

ძველდნენ და აღარ შეეფერებოდნენ ისტორიულ ვითარებას, „მთელი ერის" თვალსაზრისმა თავისი დრო მოჭამა. ახალ პირობებში სამოციანელთა დემოკრატიული იდეების შემდგომი განვითარება შეიძლებოდა მხოლოდ ამ იდეების პროლეტარულ იდეოლოგიასა და კულტურასთან დაახლოებით, კერძოდ, კლასთა ბრძოლის თეორიისა და რევოლუციურ შეტაკებათა აუცილებლობის აღიარებით. მაგრამ თერგდალეულებმა ვერ შეძლეს ამ ერთადერთი სწორი გზით წასულიყვნენ; მათ ვერ გაიგეს მუშათა კლასის ისტორიული როლი და იმის ნაცვლად, რომ გადაჭრით უკუეგდოთ თავიანთი მცდარი კონცეფცია, დაჟინებით იცავდნენ ძველ, უკვე დრომოჭმულ შეხედულებებს, თანაც ცდილობდნენ. რომ ეს შეხედულებები როგორმე 80—90-იანი წლების ვითარებისათვის შეეგუებინათ. ეს იყო გვიანდელი თერგდალეულობა.

1877—1881 წლებში ი. ჭავჭავაძემ დაწერა ვრცელი წერილები, რომელთაც საერთო სათაურად აქვთ „ცხოვრება და კანონი". ამ წერილებში, აგრეთვე მთელ რიგ სხვა წერილებში, რომლებიც 80-იან წლებში დაიწერა, ი. ჭავჭავაძე ცდილობდა დაესახა ისეთი ახალი, სამართლიანი საზოგადოების აშენების გზები, რომელიც უზრუნველყოფდა ქართველი ხალხის ბედნიერ ცხოვრებას. მაგრამ ვერც ი. ჭავჭავაძემ და ვერც მისმა თანამოაზრეებმა ვერ შეძლეს ეპოვათ ნამდვილი სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობილი საზოგადოების შექმნის გზები. კლასთა ბრძოლისა და რევოლუციის აუცილებლობის აღიარების ნაცვლად, მათ წამოაყენეს წოდებათა (კლასთა) შერიგების ყალბი თეორია, რომელიც ამბობდა: ყველა ქართველი, რა წოდებისაც არ უნდა იყვნენ ისინი, ძმები არიან და ერთმანეთს კი არ უნდა ებრძოდნენ, არამედ ძმურად უნდა შეერთდნენ და შეხმატკბილებულად იცხოვრონო. მაგრამ როგორ უნდა მოხერხებულიყო მდიდრისა და ღარიბის, მჩაგვრელისა და ჩაგრულის შერიგება, მათი ერთად ძმურად ცხოვრება?

ი. ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა კარგად იცოდნენ, რომ იმდროინდელ საქართველოში, ისევე როგორც რუსეთსა და ევროპაში, ადგილი ჰქონდა მწვავე და სასტიკ კლასობრივ ბრძოლას, ერთი მხრივ, კაპიტალისტებსა და მემამულეებს, ხოლო, მეორე მხრივ, მუშებსა და ღარიბ გლეხობას შორის; ამ ბრძოლაში თვითონ ილია და მისი თანამებრძოლებიც მონაწილეობდნენ და სიტყვით, თუ საქმით აქტიურად ეხმარებოდნენ ღარიბ, დაჩაგრულ ხალხს; მათ იცოდნენ აგრეთვე ისიც, რომ ქართველი თავადაზნაურობა დრომოჭმული და გადაგვარებული წოდება იყო, ხოლო ქართველი ბურჟუაზია სუსტი და მხდალი, რის გამო არ შეეძლო ერისათვის წინამძღოლობა (ჰეგემონობა) გაეწია; მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობდნენ ყველა

კლასის და წოდების შერიგებას და მთელი ქართველობის გაერთიანებას. რა იყო ამის მიზეზი?

ამის მიზეზი იყო საქართველოს მაშინდელი ცხოვრების თავისებურებები, კერძოდ, მისი კოლონიური მდგომარეობა. წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ ჩვენს ქვეყანაში კლასთა ბრძოლის გამწვავება დაასუსტებდა ქართველ ხალხს, რასაც ცარიზმი იმისათვის გამოიყენებდა, რომ სრულიად მოესპო საქართველო, როგორც ერი. ამიტომ, სწორედ ისინი მოითხოვდნენ ქართველი ხალხის ერთიანობას, რათა უფრო მედგარი წინააღმდეგობა გაეწიათ მეფის თვითმპყრობელობის ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკისათვის. გაერთიანებულ ქართველ ერს სათავეში უნდა ჩასდგომოდა არა ძველი, გადაგვარებული თავადაზნაურობა, არამედ თავადაზნაურთა ახალი, განათლებული თაობა, რომელიც თვითონვე აიღებდა ხელს თავის წოდებრივ პრივილეგიებზე და პატიოსნად ემსახურებოდა ქართველი ერის ინტერესებს.

მაგრამ ამ კეთილშობილ ადამიანთა სურვილები უტოპიური ღა განუხორციელებელი იყო. ისინი ივიწყებდნენ, რომ რუსეთის მეფის მთავრობა სწორედ მემამულეთა და კაპიტალისტთა, მათ შორის ქართველ მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესების დამცველი იყო, ხოლო ქართველი თავადაზნაურობა და ბურჟუაზია თავიანთ ვიწრო, კლასობრივ ინტერესებს გაცილებით მაღლა აყენებდა, ვიდრე ეროვნულ ინტერესებს.

ვერავითარი პროპაგანდა და ვერავითარი განათლება ვერ აიძულებდა ქართველ თავადაზნაურობას ხელი აეღო თავის საუკუნოობით განმტკიცებულ პრივილეგიებზე და ქართველი გლეხობის თანასწორუფლებიანი წოდება გამხდარიყო. ამიტომ წოდებათა შერიგების ქადაგება და ამ გზით ქართველი ერის გაძლიერება, ფუჭი ოცნება იყო. პირიქით. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ღრმავდებოდა და სასტიკი ხდებოდა კლასობრივი ბრძოლა. 80—90-იან წლებში ამ ბრძოლაში აქტიურად ჩაება აგრეთვე საქართველოს მუშათა კლასი, რომელიც დღითიდღე ძლიერდებოდა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ მწვრომელი მასების ხელმძღვანელი და ავანგარდი ხდებოდა.

ასე გამოეცალა საფუძველი თერგდალეულთა იდეოლოგიას და მათ მცდარ პოლიტიკურ კონცეფციას. 80-იანი წლებიდან მოკიდებული, განსაკუთრებით კი 90-იან წლებში თანდათან ნათელი გახდა ამ კონცეფციის დრომოჭმულობა, ხოლო რუსეთის პირველი რევოლუციის შექა-ქუხილმა მისი სრული გაკოტრება და კრახი გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ გვიანდელი თერგდალეულების საერთო იდეური ხაზი მცდარი იყო, მათ აქტიურ ბრძოლას ცარიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ უქმად როდი ჩაუვლია; ამ ბრძოლას თავის დროზე

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ქართველი ხალხის პოლიტიკური გათვითცნობიერების, ისე განსაკუთრებით ცარიზმის შემავიწროებელი კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების დაცვისა და ქართული კულტურის თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის.

ბრძოლა გავლენისათვის ეკონომიურ სარბიელზე. სამიწათმოქმედო ბანკები. თბილისის თვითმმართველობა

რეფორმისშემდგომ ხანაში კაპიტალიზმის განვითარებამ გაარღმავა საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგობანი და გაამწვავა ბრძოლა სხვადასხვა კლასებს შორის, გამოიწვია უაღრესად მძაფრი სამეურნეო ანტაგონიზმი. 80—90-იან წლებში, როცა ყველასათვის აშკარა გახდა ფულადი კაპიტალის როგორც მაშინდელი ცხოვრების გადამწყვეტი ფაქტორის მნიშვნელობა, ბრძოლამ ეკონომიურ სფეროში გაბატონებისათვის განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. ეკონომიურ სარბიელზე გავლენისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ: თავადაზნაურობა, რომელიც ცდილობდა გარდაექმნა მემამულური მეურნეობა და შეენარჩუნებინა ეკონომიური ძლიერება, მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია და ქალაქისა და სოფლის წვრილი მწარმოებელი (გლეხი, ხელოსანი), რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო და ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

მჭიდროდ კლასების ეკონომიური ჭიდილობა და ანტაგონიზმი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ვლინდებოდა, მაგრამ განსაკუთრებით რელიეფურად იგი გამოვლინდა იმ ცხარე ბრძოლაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისისა და ქუთაისის თავადაზნაურთა სამიწათმოქმედო ბანკების ხელმძღვანელობაში, აგრეთვე თბილისის თვითმმართველობაში გაელენის მოპოვებისათვის.

თბილისის თავადაზნაურთა სამიწათმოქმედო, ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა, საგლეხო რეფორმის გატარებისთანავე დაიბადა: იმ თანხიდან, რომელიც თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ ყმების განთავისუფლებისათვის მიიღო მეფის მთავრობისაგან, ნაწილი გადადებულ იქნა საადგილმამულო ბანკის დასაარსებლად. ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, 1875 წელს მუშაობას შეუდგა თბილისის ბანკი, 1876 წელს ასეთივე ხასიათის ბანკი გაიხსნა ქუთაისში.

სამიწათმოქმედო ბანკებით დაინტერესდნენ თერგდალეულები, რომლებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს როგორც ბანკების წესდების შემუშავებაში, ისე თვით ბანკების პრაქტიკულ მუშაობაში. მათ მოახერხეს ხელში ჩაეგდოთ ორივე ბანკის ხელმძღვანელობა. თბილისის ბანკის დირექტორად არჩეულ იქნა ი. ჭავჭავაძე, ხოლო ქუთაისის ბანკის დირექტორად — ბ. ღოღობერიძე.

თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო-სამიწათმოქმედო ბანკების საქმიანობა და მათ ირგვლივ გამართული ცხარე კამათი, აგრეთვე ამ ბანკების ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები დიდი ხნის განმავლობაში იქცევდა საქართველოს ფართო საზოგადოებრიობისა და პრესის განსაკუთრებულ ყურადღებას. ბანკებისადმი ინტერესი ძალიან დიდი იყო. ყველა ბანკის არჩევნებზე ლაპარაკობდა, ხოლო თვით ბანკებში კამათი ზოგჯერ ხელჩართულ შეტაკებამდე მიდიოდა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ამ ბანკებთან დაკავშირებული იყო მაშინდელი საზოგადოების სხვადასხვა კლასების სასიცოცხლო ეკონომიური ინტერესები.

ი. ჭავჭავაძე, ბ. ღოღობერიძე და მათი თანამოაზრენი ბანკებს უყურებდნენ, როგორც მთელი ქართველი ერისათვის სასარგებლო დაწესებულებებს. მათი აზრით, ბანკებს ხელი უნდა შეეწყო ქართველი ხალხის, მისი ყველა წოდების ეკონომიური გაძლიერებისა და საერთო ეროვნული კულტურულ-საზოგადოებრივი დაწესებულებების საქმიანობისათვის. ამიტომ, მთელი მათი მეცადინეობა იქით იყო მიმართული, რომ ხელი შეეწყოთ და იაფი კრედიტით დახმარებოდნენ საზოგადოების გამრჯე და ყაირათიან ელემენტებს, რომლებსაც მეურნეობის წინ წაწევის უნარი ჰქონდათ, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ წოდებას ეკუთვნოდნენ ისინი. გარდა ამისა, ისინი ახერხებდნენ ბანკის სახსრებიდან მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება გაეწიათ სხვადასხვა სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ხელს უწყობდნენ ქართული კულტურის განვითარებას.

მაგრამ წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების მოღვაწეთა ამ ხაზს არ ეთანხმებოდნენ არც მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიისა და არც თავადაზნაურობის იდეოლოგები. როგორც ზემოთ დავინახეთ, ნ. ნიკოლაძემ და ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების ზოგიერთმა სხვა წარმომადგენელმა ჯერ კიდევ 70-იან წლებში გააჩაღეს ბრძოლა ბანკის გამო ი. ჭავჭავაძისა და ბ. ღოღობერიძის წინააღმდეგ. შემდგომში, 80—90-იან წლებში მათ კიდევ უფრო გააძლიერეს ბრძოლა ბანკებში გავლენის მოსაპოვებლად. მართალია, თბილისის ბანკში მათ ვერ მიაღწიეს მიზანს, მაგრამ სამაგიეროდ ქუთაისის ბანკში ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლების გავლენა მნიშვნელოვნად გაძლიერდა, რასაც თან მოჰყვა ბ. ღოღობერიძისა და მისი თანამოაზრეების გავლენის მკვეთრი შემცირება. ეს იმით აიხსნება, რომ დასავლეთ საქართველოში იმ დროს ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული კაპიტალისტური მრეწველობა გაცილებით უფრო განვითარებული იყო (ბათუმი, ქუთაისი, ფოთი, ჭიათურა, ტყიბული და სხვ.) ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში.

თბილისის საადგილმამულო ბანკს მთავარი საფრთხე სხვა მხრით მოევლინა: ბანკის ხელმძღვანელობას აქ ოპოზიციაში ჩაუდგა ძლიერი თავადაზნაურულ-ლიბერალური არისტოკრატია, რომელიც სიტყვით მთელი ქართველი ერის ინტერესებზე ლაპარაკობდა, მაგრამ საქმით თავადაზნაურთა ვიწრო, კლასობრივ ინტერესებს იცავდა. ქართველი თავადაზნაურობა, როდესაც ის თბილისის ბანკს აარსებდა, მიზნად ისახავდა მხოლოდ თავისი წოდების ეკონომიური ინტერესები დაეცვა. მას სურდა ბანკის საშუალებით გადაერჩინა თავისი ჩამორჩენილი მემამულური მეურნეობა განადგურებისაგან და ამასთან ერთად მიეცა თავისი შვილებისათვის ახალი დროის შესაფერი სწავლა-განათლება. მაგრამ ბანკმა ვერ გაამართლა თავადაზნაურთა იმედები. პირიქით, მან კიდევ უფრო დააჩქარა თავადაზნაურთა მეურნეობის განადგურება, ძირი გამოუთხარა მემამულურ მიწათმოქმედებას. უზრუნველ ცხოვრებას მიჩვეული ქართველი ფეოდალები ხალისით სესხულობდნენ ფულს ბანკისაგან, მაგრამ შემდეგ მის გადახდას ვეღარ ახერხებდნენ და ბანკი საჯარო ვაჭრობით ჰყიდდა მათ მამულებს. ცხადია, ამ გარემოებას თავადაზნაურთა გულისწყრომა უნდა გამოეწვია და გამოიწვია კიდევაც.

თავადაზნაურულ ოპოზიციას 80-იანი წლების დასაწყისში სათავეში ჩაუდგა თბილისის ბანკის ერთ-ერთი დამაარსებელი, ლიბერალური მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, რომელმაც მკაცრად გაილაშქრა ი. ჭავჭავაძისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ. დ. ყიფიანი ბრალს დებდა მათ თავადაზნაურობისადმი ღალატში, რომლის სახსრებითაც დაარსდა ბანკი. ი. ჭავჭავაძე თავის მხრივ ყიფიანს ბრალს სდებდა საკითხისადმი ვიწრო, წოდებრივ მიდგომაში და მთელი ქართველი ერის, მისი გამრჯე და მშრომელი ნაწილის ინტერესების უგულებელყოფაში. ყიფიანი ამ ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისში თავადაზნაურობამ კვლავ შეადგინა ახალი, კიდევ უფრო ძლიერი ოპოზიცია და ხელახლა გაიმართა ბრძოლა. ამჯერად უკმაყოფილო თავადაზნაურობის მთავარი ხელმძღვანელის როლში გამოვიდა ი. ჭავჭავაძის ჯგუფიდან გასული ნიჭიერი მოღვაწე ი. მაჩაბელი. ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო და დიდხანსაც გრძელდებოდა, მაგრამ გამარჯვება კვლავ ი. ჭავჭავაძესა და მის მომხრეებს დარჩათ. ი. ჭავჭავაძის ჯგუფის გამარჯვებას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, თავადაზნაურთა ეკონომიურმა დაუძლურებამ. ხოლო მეორე მხრივ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანმა გაძლიერებამ, რაც ცარიზმის უხეში კოლონიური პოლიტიკის გაძლიერებით იყო გამოწვეული.

ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგობებმა ამავე ხანებში მკვეთრად იჩინა თავი აგრეთვე თბილისის ცხოვრებაში. მას შემდეგ, რაც საქალაქო მმართველობის რეფორმა გატარდა და ქალაქის ბატონ-პატრონი მსხვილი ბურჟუაზია გახდა, მისი დამოკიდებულება მეფის

მთავრობისადმი შეიცვალა. თუ 1865 წელს თბილისის ბურჟუაზია ღარიბ ხალხთან ერთად ქუჩაში გამოვიდა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა, საქალაქო რეფორმის შემდეგ, განსაკუთრებით კი 80-იანი წლებიდან მოკიდებული, ის თანდათან ხდება თვითმპყრობელობის ერთგული და საიმედო საყრდენი. ცარიზმის მხრივ მცირე დათმობით კმაყოფილი თბილისის ბურჟუები ყოველნაირად ცდილობდნენ მეფის ტახტისადმი თავიანთი ერთგულება დაემტკიცებინათ. მეფის გვარეულობის წარმომადგენლის ან მთავრობის მსხვილი მოხელის გამოჩენისას, ქალაქის მესვეურები დიდი საჩუქრებით ხელდამშვენებულნი, მუხლმოდრეკილნი ეგებებოდნენ მათ და ცარიზმისადმი ერთგულებას ეფიცებოდნენ. თბილისის ბურჟუაზია მნიშვნელოვან სახსრებს ხარჯავდა თბილისში დაბანაკებული მეფის ჯარებისა და პოლიციის შესანახად.

ამავე დროს სულ უფრო ღრმავდებოდა ის უფსკრული, რომელიც ქალაქის მდიდრებს ღარიბი მოსახლეობისაგან ჰყოფდა. ჩაიგდეს რა ხელში ძალაუფლება, მსხვილმა ვაჭრებმა, მრეწველებმა და ბანკირებმა არ დააყოვნეს შეეევიწროებინათ ქალაქის ღარიბი მოსახლეობა — მუშები, ხელოსნები, გლეხები და წვრილი ვაჭრები. თბილისის მაშინდელი მმართველების „მოღვაწეობის“ ხასიათი კარგად ჩანს „ნაძალადევის“ ღარიბებისა და ავლაბრის სომეხი გლეხებისადმი ქალაქის საბჭოს მესვეურთა დამოკიდებულებიდან.

90-იანი წლების დასაწყისში ქალაქის განაპირას, რკინიგზის ხაზს გადაღმა მდებარე თავისუფალ ტერიტორიაზე თბილისის უსახლკარო მცხოვრებლებმა მასობრივად დაიწყეს ქოხების შენება. ქალაქის მმართველობამ ღარიბებს ქოხების დანგრევა მოსთხოვა და პოლიცია მიუსია. ქოხების პატრონმა ღარიბებმა არა ერთი თხოვნა შეიტანეს, რომ მიწა მათთვის იჯარით მიეცათ და სათანადო ფასი გადაეხდევინებინათ, მაგრამ არავითარმა თხოვნამ არ გაჭრა, ქალაქის გამგეობა ულმობელი იყო. მდგომარეობა მეტისმეტად გამწვავდა. ხელისუფლება, რომელიც შიშობდა, რომ უკმაყოფილება ქალაქის მშრომელთა ფართო მასებს მოედებოდა, იძულებული გახდა ქალაქის გამგეობის არაადამიანური მოთხოვნის შესრულება შეეჩერებინა.

ანალოგიური ამბავი დატრიალდა ავლაბარშიც, სადაც ჯერ კიდევ მეფე ერეკლე მეორის დროიდან ცხოვრობდა რამდენიმე ათეული კომლი ღარიბი სომეხი გლეხი. მდიდარმა ვაჭრებმა ახნაზაროვმა და ჭიშმიშოვმა მოინდომეს ამ გლეხთა მიწების ხელში ჩაგდება. ქალაქის საბჭომ მხარი დაუჭირა მდიდრებს, დაადგინა ჩამოერთმია მიწა გლეხებისათვის და გადაეცა იგი იჯარით მდიდარი ვაჭრებისათვის. ამრიგად, ღარიბი სომეხი გლეხები, რომლებიც თავისი სამშობლოდან ყიზილბაშების ძალადობის შედეგად იყვნენ გადმოხვეწილი და მრავალი

ტანჯვა ჰქონდათ გამოვლილი, ახლა კვლავ უმიწაწყლოდ დარჩნენ და მდიდარი ვაჭრების კაბალაში ჩაცვივდნენ. ღარიბ სომეხ გლეხებს გამოექომაგნენ და აქტიურად დაუჭირეს მხარი მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა. ილია ჭავჭავაძემ ამ საქმის გამო გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდა მრავალი წერილი, რომელშიც ენერგიულად იცავდა გლეხებს და საჯაროდ ამხელდა ბურჟუაზიის ყალთაბანდობას.

აქედან ცხადია, რომ 90-იან წლებში ქალაქის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ღარიბი მოსახლეობის უკმაყოფილებისათვის ნიადაგი სავსებით მომზადებული იყო.

მაგრამ მსხვილი ბურჟუაზიის მოქმედებით არა მარტო ქალაქის პროლეტარული და წვრილბურჟუაზიული ელემენტები იყვნენ უკმაყოფილო, არამედ თავადაზნაურული არისტოკრატიაც. ბურჟუაზია თანდათან ძირს უთხრიდა მემამულეთა ეკონომიურ ძლიერებას და თვითონ ეუფლებოდა ქალაქის მთელ სიმდიდრეს. ამ მდგომარეობას არ შეეძლო არ გაემწვავებია წინააღმდეგობა ბურჟუაზიასა და თავადაზნაურობას შორის, არ შეეძლო არ გამოეწვია მათ შორის მძაფრი ეკონომიური ანტაგონიზმი.

ასე მომწიფდა თბილისში პირობები, რომელსაც სხვადასხვა კლასებს შორის წინააღმდეგობის გამწვავება უნდა გამოეწვია. სწორედ ამ ანტაგონიზმის პოლიტიკურ გამოხატულებას წარმოადგენდა ის ცხარე ბრძოლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 90-იან წლებში თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსანთა არჩევნების დროს.

საარჩევნო ბრძოლა წარმოებდა უმთავრესად თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას შორის. რაც შეეხება ქალაქის პროლეტარულ და წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს, მათი ხმა საარჩევნო ბრძოლაში არ ისმოდა, რადგან ხმოსანთა არჩევნებში მონაწილეობისათვის ქონებრივი ცენზი იყო დაწესებული, რის გამო ქალაქის ღარიბი მოსახლეობა მოკლებული იყო არჩევნებში მონაწილეობის უფლებას.

პირველად საარჩევნო ბრძოლა 1890 წელს გამწვავდა, მაგრამ განსაკუთრებით სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა შემდგომი — 1893 და 1897 წლების არჩევნების დროს. მსხვილი ბურჟუაზიის მთავარ დაჯგუფებას, რომელიც ქალაქის ფაქტიური ბატონ-პატრონი იყო და არჩევნებშიც ერთიანი ფრონტით გამოდიოდა, წარმოადგენდა ე. წ. „დვორცოვი ნომრების“ ანუ „სოლოლაკელების“ პარტია, რომელიც უმთავრესად სომეხი ეროვნების ვაჭარ-მრეწველებისაგან შედგებოდა. მის წინააღმდეგ გააფრთებით იბრძოდა ქართველი თავადაზნაურობა. მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ გაილაშქრეს აგრეთვე წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების მოღვაწეებმა: ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა და სხვებმა. ამ უკანასკნელთა გამოსვლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ იმით აიხსნებოდა, რომ მსხვილი ბურჟუაზია

ავიწროებდა არა მარტო ეკონომიურად უკვე დაუძლურებულ თავადაზნაურობას, არამედ კიდევ უფრო მეტად ქალაქის ღარიბ მოსახლეობას — ხელოსნებს, მუშებს, გლეხებს, წვრილ ვაჭრებს, — ე. ი. „ერს“. არჩევნებში მონაწილეობდა აგრეთვე საშუალო შეძლების მქონე ახალგაზრდა ქართველი და სომეხი ბურჟუაზიის წარმომადგენელთა დაჯგუფება, რომელიც მთავარ მოწინააღმდეგეთა შერიგების ხაზს ატარებდა, მაგრამ ეს დაჯგუფება სუსტი იყო და საარჩევნო ბრძოლაზე მნიშვნელოვანი გაელენის მოხდენა არ შეეძლო.

თბილისის ქალაქის ხმოსანთა ზემოხსენებულ არჩევნებში გამარჯვება მსხვილ ბურჟუაზიას დარჩა. სხვანაირად შეუძლებელიც იყო. ბურჟუაზიულ საქართველოში, სადაც უკვე ყველაფერი ფულით იზომებოდა, გადამწყვეტი ძალა დიდი სიმდიდრის მქონე, აღმავალი ბურჟუაზია გახდა.

მსხვილი ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის წარმომადგენლებმა სცადეს თავიანთი კლასობრივი ბრძოლა ეროვნულ სამოსელში გაეხვიათ და სომეხ-ქართველთა ბრძოლად გაესაღებინა. მაგრამ ეს ცდა სრული მარცხით დამთავრდა. თბილისში მცხოვრები სომეხი და ქართველი მშრომელები არ აჰყვნენ ბურჟუებისა და მემამულეების პროვოკაციებს და ბოლომდე შეინარჩუნეს ის ძმური და მეგობრული განწყობილება, რომელიც მათში ძველიდანვე არსებობდა.

რაც შეეხება საქართველოს მოწინავე მოღვაწეთა გამოსვლებს სომეხი ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის წინააღმდეგ, — ეს გამოსვლები მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიის იდეოლოგების წინააღმდეგ. პროგრესული ქართველი ინტელიგენცია, მათ შორის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი — ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და ი. გოგებაშვილი, მუდამ უდიდესი პატივისცემით და სიყვარული ეპყრობოდნენ სომეხ ერს და მის მოწინავე ინტელიგენციას.

§ 2. ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის გაძლიერება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 80—90-იან წლებში

მეფის მთავრობის რეაქციული კურსი და ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება

I რევოლუციური სიტუაცია, რომელიც 1879—1880 წლებში რუსეთში შეიქმნა, ვერ გადაიზარდა რევოლუციაში. ცარიზმმა ისარგებლა წვრილბურჟუაზიული რევოლუციონერების სისუსტით და 80-იანი წლების დასაწყისიდან გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა რევოლუციური და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ. რუსეთში ხანგრძლივი და სასტიკი რეაქციის პერიოდი დაიწყო.

ალექსანდრე III-ის მეფობის ხანა (1881—1894) რუსეთის ისტორიაში, როგორც ლენინი მიუთითებდა, იყო „აღვირახსნილი, წარმოუდგენლად უაზრო და მხეცური"[5] თავადაზნაურული რეაქციის ხანა თვითონ მეფე ალექსანდრე III შეზღუდული გონების უხეში დესპოტი იყო. მან სამსახურიდან დაითხოვა მოლიბერალო მინისტრები (ლორის-მელიქოვი, მილიუტინი და სხვ.) და მთელი ძალაუფლება ჩააბარა უკიდურეს რეაქციონერს, სინოდის ობერ-პროკურორს პობედონოსცევს. შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა მეორე ასეთივე რეაქციონერი გრაფი დ. ტოლსტოი. მეფის მთავრობამ აშკარად გამოაცხადა თავისი რეაქციული კურსი და შეუდგა იმ მცირეოდენ რეფორმათა ლიკვიდაციას, რომელიც რუსეთში ალექსანდრე II-ის მეფობის დროს გატარდა.

თვითმპყრობელობის რეაქციის გაძლიერებასთან ერთად, გაძლიერდა დიდმპყრობელური შოვინიზმის იდეოლოგია. რომელიც უარყოფდა რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებ არარუს ხალხთა დამოუკიდებელი განვითარების უფლებას და მოითხოვდა მათს ძალდატანებით რუსიფიკაციას. დიდმპყრობელური ნაციონალიზმისა და შოვინიზმის იდეოლოგები იყვნენ: პობედონოსცევი, კატკოვი, დანილევსკი და სხვები, რომლებიც აშკარად ქადაგებდნენ კაცთმოძულეობას და სთესდნენ მტრობას რუსეთის ერებს შორის. ეს კაციჭამია შოვინისტები ყოველნაირად აღვივებდნენ სიძულვილს რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრები დაჩაგრული ერების მიმართ, რომლებსაც ისინი ზიზღით „ინოროდცებს" უწოდებდნენ. მცირე ერების ერთმანეთზე წასისინება, აბუჩად აგდება, ებრაელთა დარბევა და სხვა ასეთი სიმახინჯენი იმ დროს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

თვითმპყრობელობის რეაქციული პოლიტიკის გაძლიერებამ საქართველო უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ქართველი ხალხის ისედაც მძიმე ეროვნულ-კოლონიურმა ჩაგვრამ 80—90-იან წლებში უკიდურეს საზღვრს მიაღწია. ალექსანდრე III-ის მთავრობამ ერთიმეორეზე მიყოლებით გაატარა მკაცრი ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იყო ქართული კულტურის საბოლოო მოსპობა და ქართველი ხალხის ძალდატანებითი რუსიფიკაცია.

1882 წელს შეცვლილი იქნა კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციის ორგანიზაციული წყობა: გაუქმებულ იქნა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა და მის ნაცვლად დაარსდა მთავარმართებლის თანამდებობა. ამ ცვლილების მიზანი ის იყო, რომ საბოლოოდ მოესპოთ კავკასიის ადმინისტრაციის ავტონომიური უფლებები და ადგილობრივი გუბერნიები უშუალოდ დაემორჩილებინათ პეტერბურგის მთავრო-

---

[5] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 336.

ბისათვის. ეს იმას ნიშნავდა, რომ ცარიზმი აღარ ცნობდა საქართველოსა და კავკასიის რაიმე თავისებურებებსა და ახდენდა ადგილობრივი აპარატის საბოლოოდ გათქვეფას თვითმპყრობელობის ცენტრალურ აპარატში. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი, რომელიც 20 წელიწადი იყო კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე, რუსეთში გაიწვიეს. მთავარმართებლად დანიშნეს თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც ამ თანამდებობაზე 1890 წლამდე იმყოფებოდა. დონდუკოვ-კორსაკოვის შემდეგ მთავარმართებლად იყო თავადი შერემეტიევი, რომელიც 1896 წელს თავადმა გოლიცინმა შეცვალა. ეს ახლად მოვლენილი მმართველები უკიდურესი რეაქციონერები იყვნენ და ენერგიულად ატარებდნენ ქართველი ხალხის ჩაგვრის, მისი დამონების დიდმპყრობელურ-შოვინისტურ პოლიტიკას.

80-იანი წლებიდან მოკიდებული მთავრობამ გააძლიერა საქართველოს კოლონიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხი მიწის სიმცირეს განიცდიდა, საუკეთესო მიწებზე ცარიზმი უცხო ელემენტებს ასახლებდა. განსაკუთრებით ფართო ხასიათი კოლონიზაციამ მიიღო საქართველოს შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, სადაც მასობრივად ხდებოდა საკოლონიზატორო ელემენტების გადმოსახლება რუსეთის შორეული ადგილებიდან; ამავე დროს უმიწაწყლო ქართველ გლეხებს უარს ეუბნებოდნენ ამ ადგილებში დასახლებაზე. ცარიზმის ასეთი პოლიტიკა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ქართველ ხალხში.

ამავე ხანებში არაჩვეულებრივად გაძლიერდა ქართველი ხალხის მოწინავე ადამიანების დევნა, სასტიკი ცენზურა დაწესდა ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემაზე და გატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი ქართული ენის მოსასპობად. იმისათვის, რომ ქართველი ხალხის წინააღმდეგობის ძალა შეესუსტებინა და საქართველოს, როგორც ერის, მოსპობა გაეადვილებინა, ცარიზმი შეეცადა გაეთიშა ერთიანი ქართველი ერი ცალკე ნაწილებად და მისი სხვადასხვა კუთხეები ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა. ამ მიზნის მისაღწევად ცარიზმის მოხელეებმა გააჩაღეს კამპანია დედა სამშობლოსაგან აჭარის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის ჩამოსაშორებლად. მაგრამ რუსიფიკატორთა მზაკვრული გეგმები მთელი ქართველი ხალხის შეუპოვარ და თავგამეტებულ წინააღმდეგობას წააწყდა.

თვითმპყრობელობის უხეში კოლონიური პოლიტიკა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა მეფის მთავრობის მიერ ქართული სკოლების წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებში. ცარიზმის აგენტები 60-იანი წლებიდან მოკიდებული საქართველოს სკოლებში სულ უფრო ავიწროებდნენ ქართულ ენას, ხოლო 80—90-იან წლებში მათ თითქმის მოახერხეს მთლიანად განედევნათ დედა ენა საქართველოს სკოლებიდან.

ჯერ კიდევ 1873 წელს მთავრობამ გამოსცა დებულება, რომლის ძალით საშუალო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება მნიშვნელოვნად შეიზღუდა. თუ მანამდე თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სკოლებში ქართული ენის სწავლება სავალდებულო იყო, ამ დროიდან ქართული ენა მხოლოდ პირველ ოთხ კლასში ისწავლებოდა და ისიც როგორც არასავალდებულო საგანი. 1878 წელს სასწავლო ოლქის მზრუნველად, ე. ი. კავკასიის სასწავლო უწყების ხელმძღვანელად დაინიშნა რეაქციონერი მოღვაწე კ. იანოვსკი, რომელმაც სასტიკი იერიში მიიტანა ქართული ენის წინააღმდეგ. მან 1881 წელს შეადგინა ახალი სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვით დაწყებით სკოლებში ქართულ ენაზე სწავლა მხოლოდ პირველ და ნაწილობრივ მეორე კლასში უნდა ყოფილიყო. მოწაფეებს პირველი კლასიდანვე უნდა დაეწყოთ რუსული ენის შესწავლა, ხოლო უკვე მეორე კლასიდან საგნები ძირითადად რუსულად უნდა ესწავლათ; მესამე კლასიდან დედა ენა უკვე ზედმეტ ბარგად იყო გამოცხადებული. ცხადია, ასეთ პირობებში, რუსული ენის სრულიად უცოდინარი ქართველი ბავშვები ვერაფერს ვერ ისწავლიდნენ. მაგრამ ცარიზმის ერთგული მოხელეები ამაზეც არ შეჩერებულან. მათ უნდოდათ, რომ ქართული ენა სრულიად განედევნათ სკოლებიდან და კიდევაც მიაღწიეს თავის მიზანს. უკვე 80-იანი წლების ბოლოს ქართული ენა დაწყებითი სკოლებიდანაც განდევნეს და საგნების სწავლება ბავშვის სკოლაში შესვლის დღიდანვე რუსულ ენაზე წარმოებდა. სწორედ ამ დროს გავრცელდა საქართველოს სკოლებში სწავლების ე. წ. „მუნჯური მეთოდი“, რომლის მიხედვით რუსული სიტყვების მნიშვნელობის გასაგებად მასწავლებელი მოვალე იყო სათანადო საგანი ან მოვლენა ბავშვებისათვის თვალსაჩინოდ ეჩვენებინა. მაგალითად, „ჩაის დალევა“ რომ აეხსნა, მასწავლებელს მოწაფეთა თვალწინ თვითონ უნდა დაელია ჩაი; სიტყვა „ცურვის“ ასახსნელად მას სჭირდებოდა აემოძრაებია ხელები და ფეხები სწორედ ისე, როგორც მცურავი ამოძრავებს და ა. შ. ქართულ ენაზე ლაპარაკი სკოლებში სასტიკად აიკრძალა. ქართველ მასწავლებლებს სამუშაოდან ხსნიდნენ და მათ მაგიერად ქართული ენის სრულიად უცოდინარ პედაგოგებს ნიშნავდნენ.

ცხადია, ასეთ ძალადობას და ეროვნული უფლებების აბუჩად აგდებას ვერ შეურიგდებოდა ქართველი ხალხი და მისი მოწინავე, ღრმოკრატიული ინტელიგენცია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ბრძოლა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ

მეფის თვითმპყრობელობის მიერ ჩაგრული ხალხის ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებამ გამოიწვია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი, მძლავრი აღმავლობა. 80-იანი წლების დასაწყისში ამ მოძრაობის დროშის ქვეშ დადგა საქართველოს თითქმის ყველა საზოგადოებრივი ძალა, გარდა ქართველი თავადაზნაურობისა და სამღვდელოების უკიდურესად რეაქციული ნაწილისა. ამ დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ როგორც წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების მოღვაწენი, ისე ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების წარმომადგენლები, აგრეთვე ხალხოსნები. მათ გარდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ამ პერიოდში მხარს უჭერდნენ ლიბერალები, რომელთა მოძრაობა 80-იანი წლების დასაწყისში საგრძნობლად გამოცოცხლდა.

შემდეგში ლიბერალები და ბურჟუაზიულ პროგრესული მიმართულების წარმომადგენელთა დიდი ნაწილი თანდათან ჩამოშორდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ხელი აიღეს ქართველი ხალხის ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლაზე. რაც შეეხება წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების დემოკრატებს (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი, რ. ერისთავი და სხვ.), რომლებიც უმთავრესად გაზეთ „ივერიის“ ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი.—ისინი დარჩნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვან ძალად განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი, მესამე ეტაპის დასაწყისამდე, ე. ი. საქართველოში რევოლუციურ-მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბებამდე.

მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა, განსაკუთრებით კი გაზეთ „ივერიის“ ირგვლივ შემოკრებილმა დემოკრატებმა 80—90-იან წლებში დიდი და მძიმე ბრძოლა გადაიხადეს ცარიზმის კოლონიური, რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, ქართველი ერის პოლიტიკური უფლებების დასაცავად, ხალხის ენისა და კულტურის გადასარჩენად. თუ როგორი თავგანწირვით და შეუპოვრობით იბრძოდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე მოღვაწენი, ეს კარგად ჩანს იმ ბრძოლის ისტორიიდან, რომელიც საქართველოს სკოლებში დედა ენის სწავლების ირგვლივ გაჩაღდა.

როგორც კი გამომზეურდა სასწავლო ოლქის მზრუნველ იანოვსკის 1881 წლის სასწავლო გეგმა, მოწინავე ქართველი მოღვაწეები-

სათვის მაშინვე ნათელი გახდა, რომ საქმე ეხებოდა ქართული სკოლებიდან დედა ენის განდევნას, და მათ სასტიკი ბრძოლა გაუმართეს ცარიზმის აგენტებს. იანოვსკისა და მისი მიმდევრების წინააღმდეგ გამანადგურებელი კრიტიკული წერილები დაწერეს ი. ჭავჭავაძემ, ი. გოგებაშვილმა, ს. მესხმა და სხვებმა. ამ წერილებში ქართველი მოღვაწეები ეყრდნობოდნენ რუსეთისა და ევროპის გამოჩენილ პედაგოგთა (უშინსკი, პესტალოცი, დისტერვეგი და სხვ.) შეხედულებებს და სრული დამაჯერებლობით ნათელყოფდნენ, რომ იანოვსკის სასწავლო გეგმას და მის რუსიფიკატორულ პოლიტიკას არაფერი აქვს საერთო პედაგოგიკურ მეცნიერებასთან. საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენცია მძიმე ცენზურული პირობების მიუხედავად, 80-იან და 90-იან წლებში სისტემატურად აქვეყნებდა ქართულ და რუსულ პრესაში მებრძოლ წერილებს ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დასაცავად. ამავე მიზანს ემსახურებოდა მაშინდელი ქართული მხატვრული ლიტერატურა, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და ალ. ყაზბეგის უკვდავი პოეზია და პროზა.

ქართველ მოღვაწეებს თავიანთ ბრძოლაში მხარს უჭერდნენ რუსეთის მოწინავე, განათლებული ადამიანები, რომლებიც მთელი ძალღონით ებრძოდნენ დიდმპყრობელური შოვინიზმის რეაქციულ იდეოლოგიას.

რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები არ დაკმაყოფილებულან ბრძოლის მარტო იდეური იარაღით; ამასთან ერთად მათ შეძლეს გაეტარებინათ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციულ-პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იყო ქართული კულტურის დაცვა და მისი შემდგომი განვითარება. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვადასხვა საზოგადოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნას და ქართული სკოლებისათვის მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოების გამოცემის მოგვარებას.

ქართული სკოლებისათვის პირველხარისხოვანი სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემის საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა დიდმა ქართველმა პედაგოგმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა (1840—1912). მის მიერ შედგენილმა ბრწყინვალე სახელმძღვანელოებმა „დედა ენამ“ და „ბუნების კარმა“, აგრეთვე „რუსსკოე სლოვომ“ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართველ ხალხს. ამ სახელმძღვანელოებზე ქართველი ახალგაზრდობის არა ერთი თაობა აღიზარდა, თავისი სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით.

მართალია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა ბრძოლას არ შეეძლო შეეცვალა და არც შეუცვლია თვითმპყრობელობის შემავიწროებელი პოლიტიკა, რომელიც თვითმპყრობელობის დამხობამდე გრძელდებოდა, მაგრამ ამ ბრძოლას მაინც დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან ხელი შეუწყო ქართველი ხალხის სულიერი ძალების გაერთიანებას ქართველი ერის ინტერესების დასაცავად, მისი ენისა და კულტურის შესანარჩუნებლად და განსავითარებლად. განსაკუთრებით დიდი გავლენა ამ ბრძოლამ მოახდინა ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაზე.

მოსწავლე ახალგაზრდობის განსაკუთრებით ფართო რევოლუციურ გამოსვლებს 80-იან და 90-იან წლებში ადგილი ჰქონდა თბილისის სემინარიის მოსწავლეთა შორის. მოსწავლეთა რევოლუციური განწყობილების მაჩვენებელი იყო მოსწავლე ი. ლაღიაშვილის მიერ სემინარიის რექტორ ჩუდეცკის მკვლელობა 1886 წელს. სემინარიის მოსწავლეთა წინააღმდეგ მთავრობამ სასტიკი რეპრესიული ზომები მიიღო, მაგრამ რევოლუციური მოძრაობა მათ შორის კიდევ უფრო ძლიერდებოდა. 1893 წლის დეკემბერში სემინარიის მოსწავლეებმა მოაწყვეს მასობრივი რევოლუციური გამოსვლა, რომელიც თავისი მნიშვნელობით გასცილდა სემინარიის ფარგლებს და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანეს მოვლენად გადაიქცა.

ქართველ ახალგაზრდობაში რევოლუციური განწყობილების ზრდა, კერძოდ კი სემინარიის მოსწავლეთა ამბოხება, უშუალოდ იყო დაკავშირებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა საქმიანობასთან. ეს კარგად ესმოდათ პოლიციის მოხელეებსაც. თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის ერთ-ერთ საიდუმლო მოხსენებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ საქართველოში ეროვნული მოძრაობის მთავარი ხელმძღვანელი, რომელსაც უშუალო ბრალი მიუძღვის სემინარიის მოსწავლეთა ამბოხებაში, ილია ჭავჭავაძე არისო. ახალგაზრდობაში „მავნე“ პროპაგანდის გაწევისათვის მეფის ცენზურამ ი. ჭავჭავაძეს ადმინისტრაციული სასჯელი დაადო, ხოლო მისი გაზეთი „ივერია“ 8 თვით დახურა.

ყოველივე აქედან ჩანს, რომ მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები თავდადებით იბრძოდნენ ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. ისინი ფხიზლად იდგნენ სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე.

ლიბერალების მოძრაობა. დ. ყიფიანის გამოსვლა

თავადაზნაურული ლიბერალები, მას შემდეგ, რაც ისინი დამარცხდნენ თერგდალეულებთან ბრძოლაში, თანდათან განდევნილ იქნენ საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროდან. მათმა მოძრაობამ ერთხანს სრულიად დაჰკარგა საზოგადოებრივი მნიშვნელობა. მათი ჟურნალი „ცისკარი", მიუხედავად იმისა, რომ ცდილობდა თავისი აზრები ახალი დროისათვის შეეფარდებინა, თანდათან ჰკარგავდა მკითხველებს, კნინდებოდა შინაარსითაც და ფორმითაც და ბოლოს (1875 წელს) სრულიად დაიხურა.

მაგრამ 80-იანი წლების დასაწყისში მდგომარეობა შეიცვალა: ამ დროს კვლავ შეიქმნა პირობები ლიბერალური მოძრაობის გამოცოცხლებისათვის.

ფეოდალური მეურნეობის კაპიტალისტური გარდაქმნა საქართველოში ძალიან ნელი ტემპით და დიდი სიძნელეებით მიმდინარეობდა. გაბურჟუების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობა, რომლის ინტერესების გამომხატველი იყვნენ ლიბერალები, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისა და სამეურნეო ანტაგონიზმის ზრდის გამო, სულ უფრო მეტად გრძნობდა მთავრობის მხრივ დახმარებისა და თავისი წოდებრივი პრივილეგიების შენარჩუნების საჭიროებას. მემამულე-ბურჟუები ცდილობდნენ გადაერჩინათ დეგრადაციის გზაზე მყოფი თავიანთი მეურნეობა, შეეგუებინათ იგი კაპიტალიზმისათვის და ამრიგად, შეენარჩუნებინათ წინანდელი ეკონომიური ძლიერება. მაგრამ მათ ეკონომიურ ბატონობას თანდათან ეცლებოდა საფუძველი და თავადაზნაურობაც სულ უფრო მეტად ხდებოდა მთავრობისაგან დამოკიდებული.

წინათ, ვიდრე მეფის მთავრობა ირან-თურქეთისა და შამილის მიურიდების წინააღმდეგ ომებს აწარმოებდა, ადგილობრივი პირობების მცოდნე და კარგი მეომარი ქართველი თავადაზნაურობა მას ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა და მეფეც არ აკლებდა წყალობას თავის ერთგულ წოდებას. მაგრამ 80-იანი წლების დასაწყისიდან მდგომარეობა იცვლება. რუსეთ-თურქეთის (1877—1878) ომის შემდეგ, როცა მნიშვნელოვნად განმტკიცდა რუსეთის პოზიციები ამიერკავკასიასა და შავი ზღვის აუზში, რუსეთისათვის ქართველი თავადაზნაურობის როლი შემცირდა. ამასთან ერთად მას მოაკლდა მონარქის მხრუნველობა.

ამრიგად, მეფის მთავრობა გულგრილი გახდა ქართველი თავადაზნაურობის მოთხოვნილებათა მიმართ სწორედ მაშინ, როცა ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად საჭიროებდა დახმარებას. ქართველი თავადაზნაურობა შეეცადა ერთგულებით და ხვეწნა-მუდარით მოელბო თვითმპყრობელი მონარქის გული, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო: ქარ-

თვალმა თავადაზნაურობამ, მრავალი ცდის მიუხედავად, ვერ მიიღო ის კუდმოკვეცილი ერობაც კი, რომელიც მეფემ რუსეთის თავადაზნაურობას მისცა.

ასეთ პირობებში ალექსანდრე III-ის რეაქციამ და ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების უკიდურესმა შევიწროებამ ლიბერალური თავადაზნაურობაც გამოაცოცხლა და კვლავ გამოიყვანა საზოგადოებრივ სარბიელზე. ლიბერალებმა ქართველი ხალხის შელახულ ეროვნულ ინტერესებზე დაიწყეს ლაპარაკი და ხელი გაუწოდეს დემოკრატებს. მართალია, მეორე ხელით ისინი კვლავ მეფის მთავრობასთან და მსხვილ მემამულურ არისტოკრატიასთან იყვნენ დაკავშირებული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავისი ხმა მაინც საკმაოდ გაბედულად შეუერთეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა ხმას.

ლიბერალურ მოძრაობაში ქართველი თავადაზნაურობის მრავალი განათლებული წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის გამოჩენილი პოეტი გრიგოლ ორბელიანი, პოეტები: მამია გურიელი, გიორგი შარვაშიძე, გრიგოლ დადიანი (ქოლხიდელი) და სხვები. მაგრამ ამ მოძრაობის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ლიბერალური მოძრაობის ხელმძღვანელისა და თვალსაჩინო ქართველი საზოგადოებრივი მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის (1814—1887) გამოსვლა მეფის მოხელეთა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ 80-იანი წლების დამდეგს დ. ყიფიანმა ხმა აღიმაღლა ქართული ენის დასაცავად. მან მკაცრი წერილით მიმართა სასწავლო ოლქის მზრუნველ იანოვსკის, რომელმაც საქართველოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნა მოინდომა. „ვერც ჩინგის ხანმა, ვერც თემურ-ლენგმა, ვერც შაჰ-აბაზმა და ვერც ნადირ-შაჰმა ვერ შემუსრეს ჩვენი ხალხის მეობა და ახლა თქვენ გინდათ შემუსროთ?!“ — სწერდა ყიფიანი იანოვსკის და მოუწოდებდა ხელი აეღო თავის უგნურ განზრახვაზე. 1885 წელს დ. ყიფიანი არჩეულ იქნა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად. იმავე წელს მას შეტაკება მოუხდა კავკასიის მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვთან. მთავრობამ არ მოუწონა თავადაზნაურთა წინამძღოლს მშობლიური ენის დაცვისათვის ზრუნვა და ხელმწიფის მითითებით მას ოფიციალურად გაკიცხვა გამოუცხადეს. მაგრამ დ. ყიფიანი მტკიცე ხასიათის ადამიანი იყო და უკან არ დაიხია. 1886 წელს, როდესაც ი. ლაღიაშვილმა სასულიერო სემინარიის რექტორი რეაქციონერი ჩუდეცკი მოჰკლა, ამის გამო მეორე უკიდურესმა რეაქციონერმა ეგზარქოსმა პავლემ საჯაროდ დასწყევლა ქართველი ერი. ეგზარქოსის ასეთმა თავხედობამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქართველი ხალხში. ამ შემთხვევის გამო დ. ყიფიანმა ეგზარქოსს გაუგზავნა მკაცრი წერილი, რომელშიც მოითხოვდა, რომ ეგზარქოსს დაეტოვებია საქართველო.

თავისი ერის შელახული უფლებების ასე გაბედულად დაცვისათვის მეფის მთავრობამ გადაწყვიტა სასტიკად დაესაჯა დ. ყიფიანი, რომელიც იმ დროს უკვე ღრმა მოხუცი იყო. იმავე 1886 წელს დ. ყიფიანი გადააყენეს თანამდებობიდან და გადაასახლეს სტავროპოლში, ერთი წლის შემდეგ კი თვითმპყრობელობის აგენტებმა გადასახლებაში მყოფი მხცოვანი მოღვაწე ვერაგულად მოჰკლეს.

თვითმოქმედების ორგანოები. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ეროვნული თვითშეგნების ზრდა

დ. ყიფიანის დასაფლავებას უამრავი ხალხი დაესწრო. მისი დასაფლავება ქართველმა ხალხმა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მძლავრ საპროტესტო დემონსტრაციად გადააქცია.

როგორც უკვე ითქვა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები არ კმაყოფილდებოდნენ თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ მარტო იდეური ბრძოლით პრესის ფურცლებზე; ამასთან ერთად ისინი ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო, აგრეთვე სამეურნეო დაწესებულებები და საზოგადოებანი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქართული კულტურის დაცვას და მის შემდგომ განვითარებას, აგრეთვე ქართველი ხალხის სამეურნეო წინსვლას. ასეთ დაწესებულებებსა და საზოგადოებებს ისინი ხალხის თვითმოქმედების ორგანოებს უწოდებდნენ და მათზე ძალიან დიდ იმედებს ამყარებდნენ.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ისეთი საზოგადოებანი, როგორიც იყო: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, „ქართული დრამატიული საზოგადოება“, „ქართული საგამომცემლო საზოგადოება“, „სახალხო წიგნების გამომცემელი საზოგადოება“, „ღარიბ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოება“ და სხვა მათი მსგავსნი. ამავე მიზანს უსახავდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები თავადაზნაურთა სამიწათმოქმედო ბანკებს, აგრეთვე იმ კოოპერაციულ სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობებს, რომლებიც მათი მეცადინეობითა და აქტიური მხარდაჭერით იმ დროს საქართველოში იქმნებოდა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ამ დაწესებულებებისა და საზოგადოებების საშუალებით ქართველი ხალხი შეძლებდა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის დამარცხებას და თავისი სულიერი და მატერიალური ძალების გაძლიერებას.

ი. ჭავჭავაძე ამბობდა: „ჩვენი ბანკები, ჩვენი საზოგადოებანი — წერა-კითხვის გამავრცელებელი, დრამატიული, ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის, ჩვენი სკოლები, ქართველთა წიგნთა გამომცემელი ამხანაგობა, ყოველივე ესენი... ჩვენის თვითმოქმედების, თავისთავის

იმედის შვილები არიან და... თუმცა ტაატით, მაგრამ მაინც ძლიერდებიან და მატებით წინ მიდიან დღითიდღე ჩვენდა სასიხარულოდ და სანუგეშოდ".

თეითმოქმედების ორგანოებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ქართული ენის დაცვისა და ქართული კულტურის განვითარების საქმეში „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" შეასრულა. ეს საზოგადოება დაარსდა 1879 წელს. მისი დამაარსებლები და აქტიური ხელმძღვანელები იყვნენ დემოკრატი მოღვაწეები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი წარმომადგენლები: ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ბ. ღოღობერიძე, ა. წერეთელი, ნ. ცხვედაძე, რ. ერისთავი, ა. ფურცელაძე, ივ. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი და სხვები. სწორედ დემოკრატიული ინტელიგენცია იყო ამ საზოგადოების სული და გული მისი არსებობის მთელ მანძილზე. მაგრამ იმ მიზნით, რომ საზოგადოება ცარიზმის აგენტების მხრივ დევნა-შევიწროებისაგან დაეფარათ და მთავრობის ორგანოებში მისი წესდების დამტკიცებაც გაეადვილებინათ, დემოკრატმა მოღვაწეებმა საზოგადოების დაარსების საქმეში ჩააბეს (მის დამფუძნებელ წევრებად მიიწვიეს) ცნობილი ლიბერალები და ქართველი თავადაზნაურული არისტოკრატიის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლები, — თანამდებობის პირები, გენერლები და ა. შ. საზოგადოების პირველი თავმჯდომარე დ. ყიფიანი იყო, ხოლო მისი ამხანაგი, ანუ მოადგილე—ი. ჭავჭავაძე. შემდეგში, სახელდობრ, 1885 წლიდან საზოგადოებას უცვლელად ი. ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი" საზოგადოება მიზნად ისახავდა ქართველ ხალხში წერა-კითხვისა და ცოდნის გავრცელებას, ძველი ქართული უნიკალური წიგნებისა და ხელნაწერების, აგრეთვე ხალხური სიბრძნის — ფოლკლორის დაცვას, ქართველ ხალხში, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობაში პატრიოტული გრძნობების გაღვივებას. ამ მიზნით საზოგადოება საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, აგრეთვე საქართველოს გარეთ, სადაც კი ქართველები ცხოვრობდნენ, ქმნიდა სახალხო სკოლებს და აარსებდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, ადგენდა და სცემდა სახელმძღვანელოებს, აგრეთვე მასობრივი მკითხველისათვის განკუთვნილ პოპულარულ წიგნებს, აგროვებდა, იძენდა და შეძლებისდაგვარად სცემდა კიდეც ძველ ქართულ ხელნაწერებს და წიგნებს, აგროვებდა ფოლკლორულ მასალას და ა. შ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გაწეულ მუშაობას დიდი საგანმანათლებლო და პატრიოტული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხისათვის. მის მიერ დაარსებული სკოლები და სამკითხველოები, აგრეთვე მის მიერ გამოცემული წიგნები ხელს უწ-

ყობდნენ ქართველი ხალხის გათვითცნობიერებას და გამოფხიზლებას, ამზადებდნენ პირობებს მასების მოძრაობისათვის.

80—90-იან წლებში ქართველმა ხალხმა, ცარიზმის გააფრთებული წინააღმდეგობის მიუხედავად, არაერთხელ მოახდინა თავისი ეროვნული ინტერესების გაგებისა და ეროვნული სოლიდარობის აშკარა დემონსტრაცია. 1893 წელს განჯიდან თბილისში გადმოსვენებული იქნა გენიალური ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი. ეს ფაქტი უდიდეს საზოგადოებრივ მოვლენად გადაიქცა. გადმოსვენებას უამრავი ხალხი დაესწრო. საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ წარმომადგენლები. გაზეთი „კვალი" წერდა: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ძვლებიც ამდგარიყო და მოდიოდა დიდებით სამშობლოში. ერმა მუხლი მოუყარა თავის მომავლის სვე-ბედის წინასწარმეტყველსა. მას უშლიდნენ წინ მუხისა, დაფნისა და პურის თაველებისაგან შეკრულს გვირგვინებს". გადმოსვენების დროს სიტყვები წარმოთქვეს ა. წერეთელმა, ი. ჭავჭავაძემ, გ. წერეთელმა. დამსწრე ხალხის აღტყინება და სიხარული აუწერელი იყო.

1895 წელს თბილისში არაჩვეულებრივი ზეიმით იქნა გადახდილი შესანიშნავი ქართველი დემოკრატი პოეტის რაფიელ ერისთავის სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. ზეიმზე ჩამოვიდნენ ქართლ-კახეთიდან, იმერეთიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, გურიიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან გამოგზავნილი ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მრავალრიცხოვანი სტუმრები. ზეიმზე მიმავალ, თეთრ ცხენებშებმულ ლანდოში მჯდომ პოეტს, რომელსაც გვერდით ილია და აკაკი უსხდნენ, მთელი ქალაქი მიაცილებდა.

ცხადია, ხალხის ასეთი არაჩვეულებრივი აღფრთოვანება შემთხვევითი მოვლენა არ იყო. ი. ჭავჭავაძე ასე ხსნიდა ხალხის მიერ განსაკუთრებულ პატივისცემას რ. ერისთავისადმი: „რაფიელი ჩვენი სასიქადული პოეტია. პოეტის სიტყვა იგი ხელთუქმნელი საგანძურია. საცა ერი ჰპოებს ხოლმე თვისს უკეთესს ნააზრს და ნაგრძნობს, თვის უკეთესს სულთა-სწრაფვას, თვისს იმედს და სასოებას, თვისს თავმოსაწონებელს გულთა ძვრას, თვის ჭირსა და ლხინსა, თვისის ენის და მეტყველების სიკეკლუცე-მშვენიერებას და ერთობ თვისს საუნჯეს, იმ საუნჯეს, რომლითაც ერი ერობს, ადამიანი ადამიანობს".

ასეთივე განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნა თბილისში კრწანისის ომისა და მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალებიდან ასი წლის თარიღები. აღა-მაჰმად ხანის ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ ქართველ გმირთა ხსოვნის პატივსაცემად კრწანისის მინდორზე მრავალი ათეული ათასი ადამიანი შეგროვდა, ერეკლე მეფისა და დაღუპული გმირების ხსოვნას ხალხმა მუხლის მოყრით სცა პატივი.

ასეთი ფაქტები დამახასიათებელია ქართველი ხალხის მაშინდელი განწყობილებებისა და მისწრაფებებისათვის. სწორედ აქ იჩენდა თავს ეროვნული თვითშეგნების ზრდა, რაც პირდაპირი შედეგი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა იდეური ბრძოლისა და ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობისა, როგორიც „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ იყო.

მაგრამ არც „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და არც დანარჩენი ე. წ. „ხალხის თვითმოქმედების“ ორგანოები არ ყოფილა მასობრივი, ნამდვილად ხალხური დაწესებულებანი; მათში უფრო ინტელიგენციის მოწინავე ძალები მოღვაწეობდნენ, ხოლო მშრომელი მოსახლეობის ფართო მასები მათ მუშაობაში ნაკლებ მონაწილეობას იღებდნენ. მაშინდელმა მოწინავე ქართველმა ინტელიგენტებმა, რომლებიც წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას წარმოადგენდნენ, ვერ შეძლეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გადაექციათ საერთო-სახალხო მოძრაობად ცარიზმისა და ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ. ამის მიზეზი იყო მათი მცდარი სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი.

საქართველოს მშრომელი ხალხი სრული თანაგრძნობით ეპყრობოდა და მხარს უჭერდა დემოკრატიული ინტელიგენციის ბრძოლას ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და ქართველი ერის შელახული უფლებების დასაცავად, რადგან ეს მისი საკუთარი სისხლხორცეული საქმე იყო. მაგრამ მშრომელებისათვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელი იყო წოდებათა შერიგების თეორია, რადგან მუშებსა და გლეხებს ერთნაირად სტანჯავდა როგორც ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის მძიმე უღელი, ისე ქართველი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის აღვირახსნილი ექსპლოატაცია. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებს წოდებათა შერიგების ქადაგებით ქართველი ხალხის ერთიანობა, ე. ი. გაძლიერება სურდათ, სინამდვილეში კი ეს მათ ხალხისაგან აშორებდა, და, მაშასადამე, გაძლიერების ნაცვლად, ასუსტებდა ეროვნულ მოძრაობას. დემოკრატები არ ერიდებოდნენ კავშირს ლიბერალებთან და უმაღლეს თავადაზნაურულ არისტოკრატიასთან, მაგრამ სამაგიეროდ ამით ხალხის ფართო მასების ნდობას ჰკარგავდნენ.

90-იანი წლების საქართველოში კლასობრივი ბრძოლა უკიდურესად გამწვავებული იყო. ამ დროს 60-იანი წლების იდეები სრულიად აღარ შეეფერებოდნენ ვითარებას. საჭირო იყო ისეთი თეორია, რომელიც მშრომელ ხალხს დარაზმავდა როგორც რუსეთის ცარიზმის, ისე საქართველოს ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ საბრ-

ძოლველად. სწორედ ასეთი თეორიით შეიარაღა საქართველოს მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ.

მაგრამ ეს მოხდა უკვე განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე, პროლეტარულ ეტაპზე.

თავი VI

საქართველოს მუშათა კლასის ჩამოყალიბება და მუშათა მოძრაობის დასაწყისი. მარქსიზმის გავრცელება საქართველოში.

§ 1. საქართველოს პროლეტარიატის გაჩენა და მუშათა სტიქიური მოძრაობა 70—90-იან წლებში

ახალი კლასის — სამრეწველო პროლეტარიატის გაჩენა

კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში შედეგად მოჰყვა ბურჟუაზიული საზოგადოების ახალი კლასის — დაქირავებული მუშათა კლასის, ანუ სამრეწველო პროლეტარიატის გაჩენა. საქართველოს ისტორიაში ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა. პროლეტარიატი სწორედ ის კლასი იყო, რომელსაც ისტორიამ დააკისრა მშრომელი და დაჩაგრული ხალხის რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი (ჰეგემონი) გამხდარიყო, ძირფესვიანად მოესპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაზე დამყარებული წყობილება და აეშენებინა ახალი, კომუნისტური საზოგადოება.

გვიანფეოდალური ხანის საქართველოში, როდესაც ფეოდალურ-ბატონყმურ წყობილებას ჯერ კიდევ გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა, საგრძნობი რაოდენობით მოიპოვებოდნენ მცირემიწიანი და გაღატაკებული გლეხები, რომლებიც იძულებული იყვნენ თავისი სახლ-კარიდან შორს წასულიყვნენ და არსებობის საშუალებანი საკუთარი ძალის გაქირავებით მოეპოვებინათ. ასეთი გლეხები ხშირად შებატონეებთან შეთანხმებით მიდიოდნენ საშოვარზე, ზოგჯერ კი იძულებული იყვნენ მებატონის მათრახს გაქცეოდნენ და თავი ქალაქ ადგილებში შეეფარებინათ. იყვნენ ისეთი გლეხებიც (უმთავრესად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან), რომლებსაც ბატონი არ ჰყოლიათ, მაგრამ მცირემიწიანობის გამო იძულებული იყვნენ საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში ევლოთ ან ქალაქებში წასულიყვნენ და თავისი მარჯვენის გაქირავებით ეცხოვრათ. ეს გლეხები დაქირა-

ვებულ მუშებად იქცეოდნენ ხოლმე ხან დროებით, სეზონურად. ხან კი სამუდამოდ.

გაღატაკებული ადამიანების რიცხვი, რომლებსაც თავიანთი შრომა გაჰქონდათ ბაზარზე გასაყიდად, განსაკუთრებით გაიზარდა XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როცა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება ღრმა კრიზისს განიცდიდა. იმ დროს დაქირავებულ შრომას მნიშვნელოვანი რაოდენობით იყენებდნენ მანუფაქტურულ საწარმოებში, ხელოსნობაში და მსხვილ მემამულეთა მეურნეობებში. დაქირავებული მუშები დიდი რაოდენობით იყრიდნენ თავს თბილისში და საქართველოს სხვა სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში.

რეფორმამდელ ხანაში დაქირავებული მუშები უმთავრესად ქალაქის სხვადასხვა მშენებლობებზე, ტვირთის გადაზიდვაზე და სავაჭრო დაწესებულებებში იყვნენ დაბანდებული. მაშინდელ მუშათა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ აგრეთვე კაპიტალისტური ტიპის სახელოსნოებში მომუშაე ქარგლები და შეგირდები, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში მომუშავე მოჯამაგირეები. ამათ გარდა, მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობდა მანუფაქტურულ წარმოებაში. 60-იან წლებში კაპიტალისტური მანუფაქტურული საწარმოების რიცხვი, როგორც უკვე ნათქვამი იყო, მარტო აღმოსავლეთ საქართველოში 450-მდე ითელებოდა და მათში 5 000-ზე მეტი კაცი მუშაობდა.

ამრიგად, ჯერ კიდევ კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურულ პერიოდში, როდესაც მეურნეობის ფეოდალურ-ბატონყმურ სისტემას გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა, საქართველოში მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ დაქირავებული მუშები. მაგრამ იმ დროს მუშათა მასები, რომლებიც გაფანტული იყვნენ სხვადასხვა მანუფაქტურულ საწარმოებსა და წვრილ სახელოსნოებში, ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ ბურჟუაზიული საზოგადოების ახალ კლასს — მუშათა კლასს.

მუშათა კლასის, ანუ პროლეტარიატის გაჩენა დაკავშირებულია კაპიტალიზმის განვითარების უფრო მაღალ სტადიასთან, სახელდობრ: საფაბრიკო-საქარხნო წარმოებაზე (მანქანურ ინდუსტრიაზე) გადასვლასთან. როგორც ზემოთ დავინახეთ, საქართველოში სამრეწველო გადატრიალება, ანუ მანუფაქტურიდან მანქანურ ინდუსტრიაზე გადასვლა 70—90-იანი წლების პერიოდში განხორციელდა. სწორედ იმ დროს მოხდა დაქირავებული მუშათა მასების პროლეტართა კლასად ჩამოყალიბებაც.

რეფორმისშემდგომ ხანაში, სამრეწველო კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად, განუხრელად იზრდებოდა მრეწველობაში ჩაბმული მუშების რიცხვიც. მუშათა კლასის პირველი კადრები შეადგინეს მსხვილი

მანუფაქტურული საწარმოებისა და სახელოსნოების მუშებმა, ქარგლებმა და შეგირდებმა. შემდეგ მათ მიემატა სოფლიდან მასობრივად წამოსული გაპროლეტარებული გლეხები. ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში თავისუფალი მუშახელის მოზღვავებას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, თვით საგლეხო რეფორმამ, რომელმაც მკვეთრად გაადიდა უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხების რიცხვი და გააადვილა ბატონყმური მეურნეობიდან გლეხის მოწყვეტა, ხოლო მეორე მხრივ, გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის პროცესმა, რომელიც რეფორმის შემდეგ სწრაფად მიმდინარეობდა საქართველოს სოფელში და გლეხთა მასობრივ გაღატაკებას იწვევდა. საქართველოს მრეწველობა ეძებდა სოფლიდან წამოსულ თავისუფალ მუშახელს, რის გამო ქართველი გლეხები სამუშაოდ მიემგზავრებოდნენ რუსეთის იმპერიის სავაჭრო-სამრეწველო ქალაქებში: ოდესაში, ნოვოროსიისკში, დონის როსტოვში, ხარკოვში, ბაქოში და სხვაგან.

რამდენად სწრაფად იზრდებოდა რეფორმისშემდგომ ხანაში საქართველოს მრეწველობაში ჩაბმული მუშების რიცხვი, ეს ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: თუ 60-იან წლებში მთელი ამოსავალით საქართველოს კაპიტალისტურ მანუფაქტურულ წარმოებაში 5 ათასი მუშა ითვლებოდა, 90-იანი წლების ბოლოს მარტო თბილისში ყველა კატეგორიის მუშათა რიცხვმა 20 ათასს გადააჭარბა. ამათგან 12 ათასი კაცი სამრეწველო პროლეტარი იყო. ამავე ხანებში მუშათა რაოდენობა ქ. ბათუმში 11 ათასს აღწევდა, ჭიათურაში — 5 ათასს და ა. შ. საქართველოს მუშათა კლასის განვითარებისათვის დამახასიათებელი იყო არა მარტო მისი სწრაფი რაოდენობრივი ზრდა, არამედ აგრეთვე მუშათა კონცენტრაცია (თავმოყრა) მსხვილ საწარმოებში.

სამრეწველო პროლეტარიატის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე სოფლის მეურნეობაში ჩაბმული მუშების რაოდენობა. რეფორმისშემდგომ ხანაში სავაჭრო-სასაქონლო მიწათმოქმედების სწრაფი ზრდის შედეგად, მსხვილ ლატიფუნდიებსა და კულაკურ მეურნეობებში სულ უფრო მეტი რაოდენობით იყენებდნენ დაქირავებულ შრომას. გაღატაკებული და უმიწაწყლო გლეხები, რომლებიც მასობრივად მიდიოდნენ მოჯამაგირეებად მემამულეებთან და კულაკებთან, სოფლის პროლეტარიატს შეადგენდნენ და თავისი მდგომარეობით ყველაზე ახლოს იდგნენ ქალაქის ინდუსტრიულ მუშებთან.

ახალჩამოყალიბებულ პროლეტართა კლასს უაღრესად მძიმე, თითქმის აუტანელ პირობებში უხდებოდა ცხოვრება და მუშაობა. ხელფასი მეტისმეტად მცირე იყო, სამუშაო დღე კი 14 საათამდე გრძელდებოდა. მუშებს არ გააჩნდათ ბინები და იძულებული იყვნენ ნესტიან ქოხმახებში ეცხოვრათ. ფაბრიკებსა და ქარხნებში ჰუჭყი და ანტისანიტარია იყო გამეფებული. განსაკუთრებით მძიმე პირობებში

უხდებოდათ მუშაობა სამთამადნო მრეწველობის მუშებს. მარგანეცისა და ქვანახშირის მრეწველობაში არავინ ზრუნავდა გვირაბების გამაგრებაზე, რის გამო ხშირი იყო ქანების ჩამონგრევისა და მუშების ცოცხლად დამარხვის შემთხვევები. დასახიჩრებული და ავადმყოფი მუშები მოკლებული იყვნენ ყოველგვარ სამედიცინო დახმარებას.

მუშათა მძიმე საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობებს კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა კაპიტალისტების განუსაზღვრელი თვითნებობა, უკანონო ჯარიმები და მუშების პირდაპირი მოტყუება. მუშებს არავითარი იურიდიული უფლებები არ გააჩნდათ. ცარიზმის მთელი სახელმწიფო აპარატი კაპიტალისტების მხარეზე იყო, ხოლო მუშათა ელემენტარული ადამიანური უფლებების დასაცავად რაიმე კანონმდებლობაც კი არ არსებობდა.

საქართველოს მუშათა კლასის ცხოვრების პირობების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ მუშათა საშუალო ხელფასი აქ გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე სხვა, უფრო განვითარებულ ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ქართველი მუშების ფრიად მნიშვნელოვან ნაწილს სოფელთან კავშირი არ ჰქონდა გაწყვეტილი და მიწის მცირე ნაკვეთს ფლობდა. ეს ბადებდა შესაძლებლობას, რომ მისი ხელფასი კაპიტალისტებს მისი ღირებულების მინიმალურ ზღვარზე ქვემოთ დაეწიათ. მიწის მცირე ნაკვეთი, სახლი, ბოსტანი, ძროხა, ქართველ მუშას საშუალებას აძლევდა თავისი სამუშაო ძალა მინიმალურ ფასზე დაბლა გაეყიდა, რის გამო მისი ექსპლოატაცია გაცილებით უფრო მძიმე იყო, ვიდრე სხვა, უფრო განვითარებული ქვეყნების მუშებისა. წინათ, ამქრულ-ხელოსნური და მანუფაქტურული წარმოების პირობებში, მუშების კავშირი სოფელთან ამსუბუქებდა მათი ცხოვრების პირობებს. მაგრამ მსხვილი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, სოფელთან კავშირი ახლა მათი უსაზღვრო ექსპლოატაციის საფუძვლად გადაიქცა.

ქართველი პროლეტარიატის ცხოვრების ეს თავისებურება მეტნაკლებად სხვა, ეკონომიურად ნაკლებგანვითარებული ქვეყნების პროლეტარიატსაც ახასიათებდა. ამასთან დაკავშირებით, ფ. ენგელსი ამბობდა: „ის, რაც უფრო ადრინდელ ისტორიულ საფეხურზე მუშების შეფარდებითი კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენდა — მიწათმოქმედების კავშირი მრეწველობასთან, სახლის, ბოსტნის, მიწის ნაკვეთის მფლობელობა, უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ბინა — დღეს, მსხვილი მრეწველობის ბატონობის პირობებში, მუშისათვის იქცევა არა მარტო უაღრესად მძიმე ბორკილებად, არამედ უდიდეს უბედურებადაც. მთელი მუშათა კლასისათვის, იქცევა იმის საფუძვლად, რომ მოხდეს ხელფასის უმაგალითო შემცირება მის ნორმა-

ლურ დონესთან შედარებით, თანაც არა მარტო წარმოების ცალკეულ დარგებში და ცალკეულ რაიონებში, არამედ მთელ ქვეყანაში"[1].

აქედან ცხადია, თუ რატომ იყო განსაკუთრებით მძიმე და აუტანელი საქართველოს მუშათა კლასის ცხოვრებისა და შრომის პირობები მისი გაჩენის დღიდანვე.

ბურჟუაზიული საზოგადოების ახალი კლასის გაჩენა შეუმჩნეველი არ დარჩენია საქართველოს მაშინდელ მოწინავე ინტელიგენციას. ქართველი დემოკრატები მუშათა კლასს აშკარა სიმპათიით ეპყრობოდნენ და არაიშვიათად მათი ინტერესების დამცველადაც გამოდიოდნენ. მაგრამ საქართველოს ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული დემოკრატიზმის ყველაზე გამოჩენილმა წარმომადგენლებმაც კი ვერ გაიგეს და ვერ შეაფასეს მუშათა კლასის ნამდვილი ისტორიული როლი. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია პროლეტარიატს უყურებდა ჰუმანისტური თვალსაზრისით, როგორც საერთოდ დაჩაგრულ ადამიანებს, რომლებიც შებრალების ღირსნი არიან; მაგრამ მას წარმოდგენაც კი არ ჰქონია იმ დიდ ისტორიულ როლზე, რომელიც პროლეტარიატს უნდა შეესრულებინა ძველი სამყაროს ნგრევისა და ახალი, ნამდვილად სამართლიანი საზოგადოების აშენების საქმეში. ამით აიხსნება, რომ ქართველ დემოკრატებს პროლეტარიატის გაჩენა და გამრავლება დადებით ისტორიულ მოვლენად კი არ მიაჩნდათ, არამედ თავიანთი ქვეყნის უბედურებად. პროლეტარიატის გაჩენას ერის ორგანიზმში ისინი ადარებდნენ იარას, წყლულს, რომელიც სასწრაფო მკურნალობას საჭიროებს.

ასეთი მცდარი, წვრილბურჟუაზიული შეხედულება პროლეტარიატზე და მის ისტორიულ როლზე მარტო მაშინდელი ქართველი მოღვაწეებისათვის როდი იყო დამახასიათებელი; ეს შეხედულება დამახასიათებელი იყო თითქმის ყველა მარქსამდელი პერიოდის დემოკრატისა და სოციალისტისათვის.

მუშათა კლასის სტიქიური მოძრაობა 70—90-იან წლებში

კაპიტალისტების მხრივ სასტიკ ექსპლუატაციას და უაღრესად მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებს არ შეიძლებოდა არ გამოეწვია მუშათა კლასის უკმაყოფილება და პროტესტი. 70—90-იანი წლების პერიოდში საქართველოს პროლეტარიატი აქტიურად იბრძოდა თავისი ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად. იმ დროს საქართველოს მუშათა კლასს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეგნებული თავისი კლასობრივი ინტერესები და არ იცოდა თავისი განთავისუფლების ნამდვილი გზები. ამიტომ მისი ბრძოლა არ ატარებდა ორგანიზებული და შეგნებული

---

1 მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I. გვ. 640—641.

პოლიტიკური ბრძოლის ხასიათს; ეს იყო მუშათა სტიქიური მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა მუშათა კლასის ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას. მუშათა მოძრაობის ძირითად ფორმას მაშინ გაფიცვები წარმოადგენდა.

მუშათა პირველ დიდ გაფიცვას ადგილი ჰქონდა 1872 წელს თბილისში, მირზოევის საფეიქრო ფაბრიკაში, სადაც 600-ზე მეტი კაცი მუშაობდა. მეფაბრიკემ გადაწყვიტა. მუშების ისედაც მეტისმეტად დაბალი ხელფასი კიდევ უფრო შეემცირებინა, რამაც მუშების საერთო აღშფოთება გამოიწვია. მუშებმა ერთსულოვნად მიატოვეს სამუშაო. გაფიცვა მთელი კვირა გრძელდებოდა, მაგრამ მუშებს იმ დროს არ გააჩნდათ თავიანთი ორგანიზაციები, გაფიცვას აკლდა ორგანიზებულობა და იგი მარცხით დამთავრდა.

გაცილებით უფრო ორგანიზებულად ჩატარდა ზეიცერის ავეჯის ფაბრიკის (თბილისი) მუშათა გაფიცვა, რომელიც 1878 წელს მოხდა. ეს გაფიცვა გამოიწვია სამუშაო დღის გადიდებამ 14 საათიდან 16 საათამდე. გაფიცვას ხელმძღვანელობდა მუშა-ხელოსანთა კავშირი, რომელიც იმ ხანებში შეიქმნა. მეფაბრიკემ დახმარებისათვის მიმართა პოლიციას, რომელიც შეეცადა ძალით გაეტეხა მუშათა წინააღმდეგობა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. გაფიცულებსა და პოლიციას შორის შეტაკების დროს მოკლულ იქნა ერთი მუშა.

ზეიცერის ფაბრიკის მუშათა ენერგიულმა და მამაცურმა ბრძოლამ თავისი შედეგი გამოიღო: გაფიცულთა თითქმის ყველა მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნა. ეს იყო საქართველოს მუშების პირველი გაფიცვა, რომელიც გამარჯვებით დამთავრდა.

80-იანი წლებიდან საქართველოს მუშათა კლასის საგაფიცვო მოძრაობის ავანგარდში რკინიგზელი მუშები დგებიან. მუშათა მოძრაობის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი კერა იყო თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, სადაც 3 ათასამდე კაცი მუშაობდა. ამ სახელოსნოებში პირველი გაფიცვა 1886 წელს მოხდა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო 1887 წლის დიდი გაფიცვა, რომელიც სამუშაო დღის გადიდებამ გამოიწვია. 28 თებერვალს მუშებმა ერთსულოვნად მიატოვეს სამუშაო და მრავალრიცხოვან რაზმებად დაწყობილი გაემართნენ რკინიგზის სამმართველოსაკენ. აქ მათ ადმინისტრაციას წარუდგინეს 9 მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნები, რომლებიც მუშათა შძიმე ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას შეეხებოდა. მუშების წინააღმდეგ დაირაზმა თბილისის პოლიცია და რკინიგზის ჟანდარმერია, რომლებიც ცდილობდნენ ძალის გამოყენებით ჩაეხშოთ მუშათა გამოსვლა. 3 მარტს სახელოსნოებში თვითონ გუბერნატორი გამოცხადდა. მაგრამ მუშები ვერ შეაშინა ვერც პოლიციელთა ხიშტიანმა თოფებმა და ვერც გუბერნატორის მუქარამ, ისინი მედგრად იბრძოდნენ

თავიანთი მოთხოვნების დასაცავად. მთავრობამ მათ წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს მიმართა. მუშათა შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, გაფიცვა მარცხით დამთავრდა.

საქართველოს მუშათა კლასის რიგებში ქართველ მუშებთან ერთად აქტიურად იბრძოდნენ რუსი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების მუშები, რომლებიც თავიანთი ქართველი ძმების გვერდით მუშაობდნენ და მათ თანაბრად განიცდიდნენ ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მთელ სიმძიმეს. რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში განსაკუთრებით ბევრი იყვნენ რუსი მუშები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საქართველოში მუშათა მოძრაობის განვითარების საქმეში. 1887 წლის გაფიცვის დამარცხების შემდეგ მისი აქტიური მონაწილეები ქარხნიდან დაითხოვეს, გაფიცვის წამომწყები რუსი მუშები — ვასილ დიდენკო, ერმილე ჟურაულიოვი და ალექსანდრე გორჩაკოვი — მთავრობამ ეტაპით გადაასახლა რუსეთში, თავთავიანთ სოფლებში.

1889 წელს რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშებმა კვლავ გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა, მაგრამ მთავრობამ ამჯერადაც შეძლო მუშათა დამარცხება. გაფიცვის ხელმძღვანელები და აქტიური მონაწილეები დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს, ბრავალი მუშა სამუშაოდან დაითხოვეს.

იმავე ხანებში მუშათა გაფიცვები დაიწყო საქართველოს სხვა სამრეწველო ცენტრებშიც. 1889 წელს გაიფიცნენ ბათუმის ნობელის ქარხნის მუშები, ხოლო 1892 წელს ადგილი ჰქონდა ბათუმის მანთაშევის ქარხნის მუშათა გაფიცვას. ორივე ეს გაფიცვა მუშათა დამარცხებით დამთავრდა.

80—90-იან წლებში განსაკუთრებით მღელვარე იყო თბილისის თამბაქოს და ტყავის მრეწველობის მუშათა გაფიცვები. 1894 წელს ერთსულოვნად გამოაცხადეს გაფიცვა თბილისის ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშებმა. როცა მთავრობამ გაფიცვის ხელმძღვანელები დააპატიმრა, ხოლო მისი აქტიური მონაწილეები სამუშაოდან დაითხოვა, დანარჩენმა მუშებმა უარი თქვეს განეგრძოთ მუშაობა ფაბრიკის ჯოჯოხეთურ პირობებში და თავისი ნებით დატოვეს სამუშაო. ასეთივე სიმტკიცე გამოიჩინეს ენფიაჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშებმა, რომლებიც 1897 წელს გაიფიცნენ. ერთსულოვნებითა და მუშათა სიმტკიცით გამოირჩეოდა აგრეთვე ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშათა დიდი გაფიცვა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1899 წელს.

1898—1900 წლებში საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება. მთავრდება მუშათა სტიქიური, შეუგნებელი მოძრაობის ხანა და იწყება მუშათა მოძრაობის ახა-

ლი ეტაპი — ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მუშათა ორგანიზებული და შეგნებული პოლიტიკური ბრძოლის ეტაპი. ეს ახალი ეტაპი იწყება რკინიგზის მუშათა სახელოვანი გამოსვლით 1898 წელს, რომელსაც უკვე მუშათა მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ.

მუშათა პირველი ორგანიზაციები. მუშათა არალეგალური ხელნაწერი ჟურნალები

მუშათა კლასს მარტო თავისი ძალღონით, ინტელიგენციის დაუხმარებლად, არც ერთ ქვეყანაში არ შეუმუშავებია და არც შეეძლო შეემუშავებინა თავისი იდეოლოგია — მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრება. თავისი ძალღონით მას შეეძლო მხოლოდ იმის გაგება, რომ საჭიროა კავშირების შედგენა. მეპატრონეებთან ბრძოლა, მოთხოვნა მთავრობისაგან ამა თუ იმ სასარგებლო კანონების გამოცემისა და სხვ. ასე მოხდა საქართველოშიც.

70—90-იან წლებში, როცა საქართველოში პროლეტარიატს ჯერ კიდევ არ ესმოდა თავისი ისტორიული მისია და მისი მოძრაობა სტიქიურ-ეკონომიურ ხასიათს ატარებდა, მოწინავე მუშათა შორის შემუშავდა შეგნება, რომ აუცილებელია მუშათა ორგანიზაციების შექმნა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ შეერთებული ძალით ბრძოლა.

მუშათა პირველი ორგანიზაციები (წრეები, ამხანაგობები, კავშირები) საქართველოში შეიქმნა 70-იანი წლების მეორე ნახევარში მუშახელოსნების თაოსნობით. ამ დროს მოწინავე მუშები უფრო ხელოსანთა წრეებიდან გამოდიოდნენ. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ბევრ მუშახელოსანს სახელოსნო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. წერა-კითხვა იცოდა და ადვილად გასაგები. პოპულარული წიგნების კითხვაც შეეძლო.

1876 წელს, ზეიცერის ფაბრიკის მოწინავე მუშა-ხელოსნებმა იოსებ დავითაშვილმა და მიხა ჩოდრიშვილმა ჩამოაყალიბეს მუშათა თვითგანვითარების წრე. მუშები სისტემატურად იკრიბებოდნენ წრეში და კითხულობდნენ აკრძალულ წიგნებსა და ბროშურებს. ამ წრემ მოაწყო მუშათა წიგნთსაცავი-სამკითხველო. წიგნების შესაძენად ყოველი მუშა თვეში 20 კაპიკს იხდიდა. ასეთი თვითგანვითარების წრეები იმ ხანებში თბილისის სხვა ფაბრიკა-ქარხნებშიც ჩამოყალიბდა.

ზეიცერის ფაბრიკის მუშათა წრე თანდათან გაფართოვდა, მას შეუერთდნენ მუშები სხვა საწარმოებიდანაც და, ამრიგად, შეიქმნა თბილისის „მუშათა კავშირი“, რომელიც აღარ იფარგლებოდა მარტო საგანმანათლებლო საქმიანობით და ცდილობდა სათავეში ჩადგომოდა თბილისის მუშათა საგაფიცვო მოძრაობას. სწორედ ამ კავშირის მიერ გამოყოფილი კომიტეტი ხელმძღვანელობდა ზეიცერის ფაბრიკა-

ში 1878 წელს ჩატარებულ მუშათა გაფიცვას, რომელიც მუშების გამარჯვებით დამთავრდა.

1882 წელს თბილისის „მუშათა კავშირთან", აგრეთვე მუშათა წრეებთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა რევოლუციურ ხალხოსანთა ჯგუფმა. რომელსაც გოლა ჩიტაძე ხელმძღვანელობდა. გ. ჩიტაძე მუშათა წრეებს რევოლუციური ლიტერატურით ამარაგებდა. შემდეგში „მუშათა კავშირმა" გადაწყვიტა თვითონ მოეგვარებინა ქართულ ენაზე აკრძალული წიგნებისა და ბროშურების გამოცემა. 1884 წელს მან ჰექტოგრაფიულად გამოსცა გ. ჩიტაძის მიერ რუსულიდან თარგმნილი პოპულარული წიგნი „ოთხი ძმა". მაგრამ საგამომცემლო მუშაობის შემდგომი გაგრძელება ვეღარ შეძლო.

მუშათა ორგანიზაციების საქმიანობა განსაკუთრებით აქტიური ხდება 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან. 1889 წელს თბილისის მოწინავე მუშებმა დააარსეს არალეგალური ხელნაწერი ჟურნალი „მოშა", რომელშიც თვით მუშების მიერ დაწერილი წერილები იბეჭდებოდა. შემდეგში მუშათა ორგანიზაციები კიდევ უფრო აფართოებენ საჟურნალო მოღვაწეობას. 1891 წელს გამოდის მუშათა ახალი ხელნაწერი ჟურნალი „განთიადი", ხოლო 1892 წელს მესამე ასეთივე ჟურნალი „სხივი". ცოტა უფრო გვიან მეჩექმე მუშა ხელოსანთა ორგანიზაცია სცემდა ხელნაწერ ჟურნალს სათაურით: „სინათლე".

მუშათა ხსენებული ჟურნალების შინაარსი გვიჩვენებს, რომ საქართველოს მუშათა კლასის თვითშეგნება განუწყვეტლივ იზრდებოდა, მოწინავე მუშები თანდათან ერკვეოდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებში და ემზადებოდნენ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ გადამწყვეტი კლასობრივი ბრძოლისათვის. მუშათა პირველი ჟურნალებიდან აშკარად ჩანს აგრეთვე, რომ საქართველოს პროლეტარიატის პოლიტიკური მომზადება მაშინ ჯერ კიდევ ძალიან დაბალი იყო, მუშათა აზრი სხვადასხვა წვრილბურჟუაზიული იდეების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ხოლო კლასთა ბრძოლის მეცნიერულ. ე. ი. მარქსისტულ თეორიაზე მუშებს ჯერ წარმოდგენაც არ ჰქონდათ.

ხალხოსნურ შეხედულებებთან ერთად, იმ პერიოდში მუშათა კლასში ვრცელდებოდა აგრეთვე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები. ქართველ მუშებს, სოციალურ ჩაგვრასა და ექსპლოატაციასთან ერთად. ეროვნული ჩაგვრაც აწუხებდათ. ამიტომ. მათთვის გასაგები და მახლობელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები, მიუხედავად იმისა. რომ თავისი შინაარსით ეს იდეები წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მისწრაფებებს გამოხატავდა. მოწინავე მუშა-რევოლუციონერები (ი. დავითაშვილი, მ. ჩოდრიშვილი და სხვები) პირადადაც კი იყვნენ დაკავშირებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებთან და

საჭირო შემთხვევებში მათგან სათანადო რჩევა-დარიგებებს იღებდნენ. 90-იანი წლების შუა ხანებში მიხა ჩოდრიშვილმა მუშა-ხელოსანთა საზოგადოების დაარსება განიზრახა. მან თავისი ხელით დაწერილი საზოგადოების პროგრამა წინასწარ ი. ჭავჭავაძეს შეუთანხმა, მისი რჩევით შიგ შესწორებები შეიტანა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა საზოგადოების შექმნას.

90-იანი წლების მეორე ნახევარში თბილისსა და საქართველოს სხვა სამრეწველო ცენტრებში არაჩვეულებრივად გამრავლდა მუშათა წრეები, ამხანაგობები და კავშირები. ამ დროიდან მუშათა ორგანიზაციები თანდათან თავისუფლდებიან წვრილბურჟუაზიულ-ხალხოსნური იდეების გავლენისაგან და დგებიან მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დროშის ქვეშ.

მუშა რევოლუციონერთა პირველი თაობა

საქართველოს მუშათა კლასის ჩამოყალიბებისა და მუშათა მოძრაობის დაწყებისთანავე მუშების წრიდან გამოიყოფიან უნარიანი და მოწინავე ადამიანები, რომლებიც უდიდესი ენერგიითა და გაბედულებით იწყებენ ბრძოლას პროლეტარიატის ინტერესების დასაცავად.

მუშა-რევოლუციონერთა პირველი თაობის წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც უდიდესი შრომა გასწიეს მუშათა მოძრაობის გაძლიერებლად 70—90-იანი წლების პერიოდში, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მოწინავე მუშები: მიხა ჩოდრიშვილი, იოსებ დავითაშვილი, არაქელა ოქუაშვილი, ზაქრო ჩოდრიშვილი, ვანო სტურუა, მიხა ბოჭორიძე, ვასო ცაბაძე, გიორგი ნინუა და სხვები.

მიხა ჩოდრიშვილი რვა წლის ბავშვი იყო, როდესაც ღარიბმა მშობლებმა მოჯამაგირედ მიაბარეს სიღნაღელ ვაჭარს. 1866 წელს 13 წლის მიხა უკვე თბილისშია და სამუშაოს დაეძებს. ერთხანს ის შეგირდად მუშაობს დურგალთან, 1868 წლიდან კი ფაბრიკა-ქარხნებში გადადის და კადრის მუშა ხდება. „არ დამრჩენია ბათუმიდან ბაქომდე ქარხანა და ფაბრიკა, რომ არ მემუშავნოსო“, — იგონებდა შემდეგში მ. ჩოდრიშვილი. 70-იანი წლებიდან მ. ჩოდრიშვილი აქტიურად ებმება მუშათა მოძრაობაში და მუშათა ორგანიზაციების გამოჩენილი ორგანიზატორი ხდება (მას მუდამ გვერდში ედგა უმცროსი ძმა, შესანიშნავი რევოლუციონერი ზაქარია ჩოდრიშვილი). იოსებ დავითაშვილთან ერთად მიხა აარსებს თბილისის „მუშათა კავშირს“ და ხელმძღვანელობს ზეიცერის ფაბრიკის მუშათა გაფიცვას. 80-იანი წლების დასაწყისში მ. ჩოდრიშვილი უკავშირდება რევოლუციონერ ხალხოსნებს და აარსებს მუშათა საიდუმლო წრეებს, რომლებშიც 80-მდე მოწინავე მუშა ითვლებოდა. ამ პერიოდში მ. ჩოდრიშვილი სამუშაოდ გადადის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, საიდანაც დაითხოვეს 1889 წლის

გაფიცვაში აქტიური მონაწილეობისათვის. იმავე წელს მიხა ბათუმში მიემგზავრება და მუშაობას იწყებს ნობელის ქარხანაში. აქ ის გაეცნო რევოლუციონერ მწერალს ეგნატე ნინოშვილს, რომელმაც მასზე დიდი გავლენა მოახდინა. 90-იან წლებში მ. ჩოდრიშვილი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებს მუშათა საგაფიცვო მოძრაობაში, თანაც ბევრს მეცადინეობს, ეცნობა მარქსისტულ მოძღვრებას და უყოყმანოდ დგება სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე. ამ დაუღალავმა მებრძოლმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

მუშა-პოეტი, ქართლის ყმა გლეხის შვილი იოსებ დავითაშვილი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში 1876—1887 წლებში. 1878 წელს ზეიცერის ფაბრიკის მუშათა გაფიცვის მოწყობისათვის იოსები სამუშაოდან დაითხოვეს და დიდხანს უმუშევრად დადიოდა. პოეტს დიდი გაჭირვებით უხდებოდა ლუკმაპურის შოვნა, მაგრამ გულს არ იტეხდა და სიკვდილამდე ერთგულად ემსახურებოდა მშრომელი ხალხის საქმეს. 80-იანი წლების დასაწყისში ის მჭიდროდ დაუკავშირდა რევოლუციონერ ხალხოსნებს. ესწრებოდა ხალხოსანთა საიდუმლო კრებებს და ასრულებდა მათ დავალებებს, ხალხოსნები ფართოდ ავრცელებდნენ ხალხში ი. დავითაშვილის ნაწერებს.

1880 წელს ი. დავითაშვილმა მუშა-ხელოსნების დახმარებით ბოახერხა გამოეცა თავისი ლექსების კრებული „სტვირის“ სახელწოდებით. გულწრფელად დაწერილმა მშვენიერმა ლექსებმა მაშინვე მიიპყრო მკითხველთა ფართო საზოგადოების ყურადღება და მის ავტორს პოპულარობა მოუპოვა.

ი. დავითაშვილის შემოქმედება მოწმობს, რომ საქართველოს მუშათა კლასმა ჯერ კიდევ მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე, უაღრესი სიძნელისა და ჩამორჩენილობის პირობებში შეძლო თავისი წრიდან წარმოეშვა ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც ამაღლდნენ მაშინდელი დემოკრატიული აზროვნების დონემდე. ი. დავითაშვილის შემოქმედებას წერილბურჟუაზიულ-გლეხური და ხალხოსნური მიმართულების მოაზროვნეთა აშკარა გავლენა აჩნევია. ნიჭიერ მუშა პოეტს არ დასცალდა მარქსისტულ აზროვნებას გასცნობოდა. ის გარდაიცვალა 1887 წელს.

რევოლუციური მოღვაწეობის სახელოვანი გზა განვლეს აგრეთვე ზაქარია ჩოდრიშვილმა, არაქელა ოქუაშვილმა, ვანო სტურუამ, მიხა ბოჭორიძემ და მათი თაობის სხვა მოწინავე მუშებმა. ესენი იყვნენ საქართველოს ყველაზე დაჩაგრული კლასების — მუშებისა და ღარიბი გლეხების შვილები. თითოეულმა მათგანმა ძალიან ადრე, თითქმის ბავშვობაში იგემა დაქირავებული მუშის მწარე ხვედრი. თბილისის, ბათუმისა და საქართველოს სხვა ქალაქების ფაბრიკა-ქარხნებში მათ

გაიარეს რევოლუციური აღზრდის მკაცრი სკოლა და გადაიქცნენ მუშათა მოძრაობის შესანიშნავ ორგანიზატორებად, 90-იან წლებში ისინი გაეცნენ მუშათა კლასის მსოფლმხედველობას — მარქსიზმს და გადაჭრით დადგნენ მის მხარეზე.

1898—1900 წლების პერიოდში, როდესაც საქართველოს მუშათა მოძრაობა ახალ, უფრო მაღალ ეტაპზე ავიდა, მუშა რევოლუციონერთა პირველმა თაობამ უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთების საქმეში.

ზემოხსენებული მოწინავე მუშები, რომლებსაც შემდეგ შეუერთდნენ გ. თელია. ს. ტერ-პეტროსიანი (ქამო) და მრავალი სხვა, პროფესიული რევოლუციონერები გახდნენ და მთელი სიცოცხლე მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლას შესწირეს.

§ 2. რევოლუციური მოძრაობა საქართველოში და მუშათა კლასის იდეოლოგიის — მარქსიზმის გავრცელება

რევოლუციური მოძრაობა საქართველოში მარქსიზმის გავრცელებამდე. წვრილბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმი

რევოლუციურ მუშაობას მარქსიზმის გავრცელებამდე საქართველოში, — როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სფეროში, — ეწეოდნენ თერგდალეულები და ხალხოსნები. აგრეთვე, ნაწილობრივ, 80-იანი წლების ბურჟუაზიულ-პროგრესული და წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების დემოკრატები. მეცნიერული სოციალიზმის გავრცელებამდე რევოლუციური მოძრაობა ატარებდა წვრილბურჟუაზიულ ხასიათს და მისი იდეები შეიცავდა არა მარტო საერთო დემოკრატიულ მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს, არაშედ აგრეთვე წვრილბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმის მოძღვრებასაც.

ვ. ი. ლენინი ამბობდა: „თ ვ ი თ ე უ ლ ნაციონალურ კულტურაში მოიპოვება, განუვითარებლად მაინც, დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი, ვინაიდან თ ვ ი თ ე უ ლ ერში არის მშრომელი და ექსპლოატირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობები გარდუვალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას“[2].

საქართველოს მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ცხოვრების პირობებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში წარმოშვეს სოციალისტური იდეოლოგიის მნიშვნელოვანი ელე-

---

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 20, გვ. 10.

შენტები, რომლებიც მაშინ დამოუკიდებელი მიმდინარეობის სახით კი არ არსებობდა, არამედ საერთო დემოკრატიული აზროვნებისაგან გაუყოფელი იყო. გაზეთი „დროება“, აგრეთვე ჟურნალები: „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“ და „კრებული“ სავსე იყო სხვადასხვა ელფერის სოციალისტური აზრებით, რომლებიც უფრო ხშირად ევროპისა და რუსეთის უტოპისტ-სოციალისტებისაგან იყო ნასესხები. სოციალისტური აზროვნების ელემენტები განსაკუთრებით უხვად არის გაბნეული თერგდალეულთა ისეთი წარმომადგენლების ნაწერებში, როგორიც იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ა. ფურცელაძე, გრ. თარხან-მოურავი და სხვები. თერგდალეულები ოცნებობდნენ შრომის განთავისუფლებასა და ისეთი იდეალური საზოგადოების შექმნაზე, სადაც ადგილი აღარ ექნებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას და ექსპლოატაციას. ამით აიხსნება, რომ ისინი ენერგიულად ეწეოდნენ რევოლუციურ-დემოკრატიული და სოციალისტური იდეების პროპაგანდას.

მაგრამ თერგდალეულები მარტო იდეების პროპაგანდით როდი შემოიფარგლენ, მათ სცადეს ზოგიერთი პრაქტიკული რევოლუციური ნაბიჯის გადადგმაც. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1873 წელს პარიზში არალეგალური ქართული გაზეთის „დროშის“ გამოცემა. გამოცემის ინიციატორები იყვნენ თერგდალეულები: დ. მიქელაძე და ნ. ნიკოლაძე, აგრეთვე მათი თანამოაზრე, მოწინავე სომეხი მოღვაწე პ. იზმაილოვი. სულ გამოცემული იქნა გაზეთის ათი ნომერი. გაზეთი ქადაგებდა სოციალისტურ აზრებს, აგრეთვე ამიერკავკასიის ხალხთა თავისუფალი ფედერაციის შექმნის იდეას. გაზეთის მესამე ნომერში დაიბეჭდა დ. მიქელაძის წერილი, რომელშიც ავტორი მოუწოდებდა ქართველ ხალხს იარაღი აეღო და ერთსულოვნად გამოსულიყო ცარიზმის წინააღმდეგ.

1874 წელს ქენევაში ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, ს. მღსხისა და სხვა თერგდალეულთა ინიციატივით ჩატარდა კავკასიელი ახალგაზრდობის კონგრესი, სადაც განხილული იყო ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხები. კონგრესის მონაწილეთა ერთი ნაწილი იცავდა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის იდეას, მეორე ნაწილს კი დამოუკიდებელი ფედერაციისათვის ბრძოლა მიზანშეუწონლად მიაჩნდა და მოითხოვდა, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიის მოწინავე ახალგაზრდობას თავისი ძალები რუსეთის პროგრესულ ძალებთან გაეერთიანებინა და მასთან ხელიხელჩაკიდებული ებრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, სამართლიანი წესწყობილების დასამყარებლად.

1870 წელს თერგდალეულებმა თბილისში დააარსეს საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც ოფიციალურად „ივანოვის ბიბლიოთეკის“ სახელით იყო ცნობილი. ამ ბიბლიოთეკის მთავარი მიზანი ხალხში, — გან-

საკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობაში, — დემოკრატიული და სოციალისტური შინაარსის აკრძალული წიგნების გავრცელება იყო. ეს იყო თავისებური პოლიტიკური კლუბი, სადაც თავს იყრიდა მაშინდელი მოწინავე ინტელიგენცია. ბიბლიოთეკაში საიდუმლოდ ინახებოდა და რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას საკითხავად ეძლეოდა ჩერნიშევსკის, ბელინსკის, დობროლიუბოვის, პისარევისა და სხვა რევოლუციონერ-დემოკრატთა და სოციალისტთა აკრძალული ნაწერები. ასეთივე ბიბლიოთეკა იყო ქუთაისში, ანტონ ლორთქიფანიძის ბინაში.

თერგდალეულთა ამგვარ საქმიანობას შედეგად მოჰყვა მოსწავლე ახალგაზრდობაში რევოლუციური სულისკვეთების გაღვივება. საქართველოს სასწავლებლებში, განსაკუთრებით კი თბილისის სემინარიაში, რომლის მსმენელები მოსახლეობის შედარებით დაბალი ფენებიდან იყვნენ გამოსული, უკვე 70-იანი წლების დასაწყისში შეიმჩნევა მთავრობის საწინააღმდეგო სერიოზული საქმიანობა. 1873 წელს მთავრობამ დააპატიმრა სემინარიის სამი მოსწავლე (კეზელი, მაჭარაშვილი და ჭრელაშვილი), რომლებსაც ბრალად ედებოდათ უპატივცემლობის გამოჩენა თვით კავკასიის მეფისნაცვლისადმი (სემინარელებმა ბაღში შეხვედრის დროს მეფისნაცვალს სალამი არ მისცეს, თანაც გავლისას სიცილი აუტეხეს). ამ შემთხვევის გამო მთავრობის მიერ წარმოებულმა კვლევა-ძიებამ გამოარკვია, რომ მოსწავლეები მასობრივად კითხულობდნენ აკრძალულ წიგნებს. დავით კეზელს უპოვეს მის მიერ დაწერილი პროკლამაცია „საქართველოს ახალთაობას“, რომელშიც ახალგაზრდა ავტორი ლაპარაკობდა მომავალ ბრძოლაზე „ტირანიისაგან მისი დაჩაგრული სამშობლოს განსათავისუფლებლად“.

განსაკუთრებით ფართოდ რევოლუციური მუშაობა, როგორც ზემოთ უკვე დავინახეთ, გააჩაღეს 70-იანი წლების ხალხოსნებმა, რომლებმაც ცარიზმის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლის მაგალითები გვიჩვენეს. ქართველ ხალხოსნებს, რუსი ხალხოსნების მსგავსად, თავი სოციალისტებად მიაჩნდათ. თავიანთ ნაწერებში ისინი პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ მათი მიზანი სოციალისტური წყობილების დამყარებაა.

სინამდვილეში როგორც ხალხოსნების, ისე თერგდალეულების და სხვა ქართველი სოციალისტების შეხედულებები წვრილბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმის ნაირსახეობებს წარმოადგენდნენ და პროლეტარულ სოციალიზმთან არსებითად საერთო არაფერი ჰქონდათ. ვერც თერგდალეულებმა და ვერც ხალხოსნებმა ვერ გაიგეს კლასთა ბრძოლის მნიშვნელობა და ვერ შეაფასეს პროლეტარიატის ისტორიული როლი, რის გამო მათი ოცნება იდეალურ და სამართლიან საზოგადოებაზე — სოციალიზმზე — ფუჭ ოცნებად დარჩა.

წვრილბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმი ჩამორჩენილი მოძღვრება იყო და ნამდვილ, მეცნიერულ სოციალიზმს გზის გაკაფვა სწორედ მის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით უხდებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც თერგდალეულთა, ისე ხალხოსანთა მოძღვრება შეიცავდა ძვირფას კრიტიკულ ელემენტებს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მშრომელი მასების გათვითცნობიერებისათვის.

კრიტიკულ-უტოპიური სოციალიზმი, ისევე როგორც დემოკრატიზმი, საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების აუცილებელი საფეხური იყო და საქართველოს ცხოვრების მაშინდელი ჩამორჩენილობის პირობებში უაღრესად პროგრესულ ისტორიულ როლს თამაშობდა. წვრილბურჟუაზიული რევოლუციონერები და სოციალისტები მარქსიზმის წინამორბედები იყვნენ.

წვრილბურჟუაზიული იდეების კრიზისი და ახალი გზების ძიება. ე. ნინოშვილის მოღვაწეობა

საქართველოს ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო წვრილბურჟუაზიულმა თეორიებმა ჩვენში დიდი გამძლეობა გამოიჩინეს და მათ დიდხანს ეჭირათ საზოგადოებრივ ასპარეზზე გაბატონებული მდგომარეობა. მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში მდგომარეობა შეიცვალა. ამ დროს მოწინავე მოღვაწეებისათვის აშკარა გახდა როგორც 60-იანელთა იდეების, ისე ხალხოსნური სოციალიზმის კრახი, რაც კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ და კლასობრივი ანტაგონიზმის ზრდამ გამოიწვია.

რუსეთის მოწინავე რევოლუციონერებმა უკვე 80-იანი წლების დასაწყისში დაინახეს ხალხოსნური კონცეფციის გაკოტრება, გაემიჯნენ მას და გაბედულად ააფრიალეს მარქსიზმის დროშა. მარქსიზმის გამოჩენილმა პროპაგანდისტმა გ. პლეხანოვმა (1856—1918 წწ.), რომელიც წინათ ხალხოსანი იყო, გაწყვიტა კავშირი ხალხოსნებთან და 1883 წელს საზღვარგარეთ (ჟენევაში) დააარსა პირველი მარქსისტული ორგანიზაცია „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი. პლეხანოვმა დაწერა მრავალი მარქსისტული ნაშრომი, რომლებითაც გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ხალხოსნურ სოციალიზმს და გზა გაუკაფა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას რუსეთში. ამავე დროს პლეხანოვის ჯგუფს სერიოზული შეცდომები გააჩნდა. ეს ჯგუფი ვერ აფასებდა გლეხობის, როგორც მუშათა კლასის მოკავშირის როლს და ქადაგებდა სრულიად მცდარ აზრს: მუშათა კლასის მოკავშირე ლიბერალური ბურჟუაზია უნდა იყოსო.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის დაარსებამ და რუსეთში მარქსიზმის გავრცელებამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე. საქართველოში გაბატონებული

წვრილბურჟუაზიული თეორიების მდგომარეობა შეირყა. დაიწყო ახალი გზების ძიება. მოწინავე ქართველმა რევოლუციონერებმა ზურგი აქციეს და ბრძოლა გამოუცხადეს როგორც ხალხოსნების, ისე გვიანდელი თერგდალეულების შეხედულებებს. თავიანთ ბრძოლაში მშრომელი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის მათ თვალი მიაპყრეს პროლეტარიატის დიდი ბელადების კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებას.

საქართველოს საზოგადოებრივი აზრის განვითარების ეს უაღრესად მნიშვნელოვანი გარდამავალი პერიოდი, ე. ი. მისი შემობრუნება წვრილბურჟუაზიული აზროვნებიდან მარქსიზმისაკენ, მშვენივრად აისახა გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერი მწერლის ეგნატე ნინოშვილის მოღვაწეობასა და შემოქმედებაში.

ეგნატე თომას ძე ინგოროყვა-ნინოშვილი (1859—1894) დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ ჩირგვეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ბავშვობა მან გაჭირვებასა და მძიმე შრომაში გაატარა. სწავლას მოწყურებულმა ეგნატემ 1876 წელს მოახერხა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში შესვლა, მაგრამ იქიდან მალე გამორიცხეს სასწავლებელში დამყარებული რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ მოწინავე მოწაფეთა გამოსვლაში აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის. ამის შემდეგ ის ერთ ხანს სოფლის მასწავლებლად მუშაობდა და თვითგანვითარების გზით იმაღლებდა თავის ცოდნას, კითხულობდა რევოლუციურ ლიტერატურას. 1884 წელს ეგნატე თბილისში ჩამოვიდა და სტამბაში დაიწყო მუშაობა ასოთამწყობად. 1886 წელს ე. ნინოშვილი სწავლის გაგრძელების მიზნით მიემგზავრება საზღვარგარეთ, საფრანგეთში, მაგრამ მძიმე მატერიალური პირობების გამო, მალე იძულებული ხდება ისევ სამშობლოში დაბრუნდეს. 1889 წელს ის ბათუმში ჩავიდა და ერთ ხანს ნავსადგურში მუშაობდა ტვირთმზიდველ მუშად, ხოლო შემდეგ როტშილდის ქარხანაში შევიდა შავ მუშად.

თავისი მძიმე და ეკლიანი ცხოვრების გზაზე ე. ნინოშვილი ახლოს გაეცნო მუშებისა და გლეხების დუხჭირი ცხოვრების პირობებს და განიმსჭვალა მშრომელი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულით. მან გადაწყვიტა მთელი სიცოცხლე ხალხის სამსახურისათვის შეეწირა.

თავის შესანიშნავ მოთხრობებში ე. ნინოშვილმა მაღალი მხატვრული ოსტატობით ასახა ყოველმხრივ დაჩაგრული და შეიწროებული ქართველი გლეხის ცხოვრება. მოთხრობაში „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ ე. ნინოშვილმა დიდი მხატვრული ძალით დახატა სახე გადაგვარებული ქართველი ფეოდალისა, რომელიც ყოველად უსაქმურ, ზნეობრივად დაცემულ და ქვეყნის შემაწუხებელ „რაინდად“ გადაქცეულა; მოთხრობაში „მოსე მწერალი“ მან არანაკლები სიძლიერით დახატა მეფის გაიძვერა, მატყუარა, მოხელის ტიპი.

ე. ნინოშვილმა გააგრძელა და ახალ პირობებში განავითარა ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები. თუ დ. ჭონქაძის ოსმან-აღა და ი. ჭავჭავაძის კაკო, ზაქრო და გაბრო ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხობის ტიპიური წარმომადგენლები არიან ე. ნინოშვილის ნაწარმოებებში გლეხები ებრძვიან უკვე არა მარტო ბატონყმობის ეელურ გადანაშთებს, არამედ აგრეთვე ახალგაჩენილ სოფლის ბურჟუებს — კულაკებს. ასეთია, მაგალითად, სიმონა ძალაძე, რომელიც უპირისპირდება ღარიბი გლეხის ახალ მტერს, სოფლის კულაკების წარმომადგენელს დავით დროიძეს.

ისტორიულ რომანში „ჯანყი გურიაში“ ე. ნინოშვილმა დიდი დამაჯერებლობით გვიჩვენა ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ. ამ რომანში გამოყვანილია რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენტი გიორგი, რომლის პირით ავტორმა საკუთარი აზრები გადმოგვცა. გიორგის ესმის, რომ ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლება შეუძლებელია ისე, თუ პირველ რიგში მისი სოციალური განთავისუფლება არ მოხდა. ის მოუწოდებს ქართველ გლეხობას, რომ მან თავისი ბრძოლა ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ დაუკავშიროს რუსი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას.

მაღალმხატვრულ მოთხრობებთან ერთად, ე. ნინოშვილმა დაწერა აგრეთვე შესანიშნავი პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც საფუძვლიანად არის გაკრიტიკებული წინანდელი თაობის წარმომადგენელთა მცდარი შეხედულებები და წამოყენებულია მწერლის პროგრესული შეხედულებები მთელ რიგ ძირითად სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე.

ე. ნინოშვილი არ დაკმაყოფილდა მარტო რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ქადაგებით. მან თავის გარშემო შემოიკრიბა მისი დროის მოწინავე რევოლუციური ახალგაზრდობის ჯგუფი, რომელსაც აღარ აკმაყოფილებდა წინანდელი დემოკრატიული და ხალხოსნური შეხედულებები და ცდილობდა მარქსიზმის მიერ ნაჩვენები გზით წასულიყო. მაგრამ ხალხისათვის თაედადებულ მწერალ-მებრძოლს აღარ დასცალდა სათავეში ჩასდგომოდა რევოლუციური მოძრაობის ახალ, მარქსისტულ ეტაპს.

ე. ნინოშვილი გარდაიცვალა 1894 წლის მაისში.

მარქსიზმის გავრცელება საქართველოში. პირველი მარქსისტული ორგანიზაცია „მესამე დასი“

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლების კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მოძღვრების შესახებ ცნობები ქართულ დემოკრატიულ პრესაში საკმაოდ ფართოდ ქვეყნდებოდა უკვე 70—80-იან წლებში. მაგრამ იმ დროს მოწინავე ქართველ ინტელიგენციას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სწორი წარმოდგენა მარქსისტულ მოძღვრებაზე.

კ. მარქსის გენიალური ნაშრომი „კაპიტალი“ რუსულ ენაზე გამოიცა 1872 წელს. ნ. ნიკოლაძე „კაპიტალის“ რუსულ თარგმანს გაეცნო ჯერ კიდევ მის გამოქვეყნებამდე — 1869 წელს. ცოტა უფრო გვიან, ევროპაში ყოფნის დროს, ნ. ნიკოლაძე პირადად გაეცნო მეცნიერული სოციალიზმის შემქმნელს კ. მარქსს.

70-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც საქართველოში მოვიდა ცნობა პარიზის კომუნის შესახებ, მნიშვნელოვნად გაძლიერდა მოწინავე საზოგადოებრიობის ინტერესი მარქსის მოძღვრებისა და მუშათა პირველი ინტერნაციონალისადმი. გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება წერილები ევროპის მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომლებშიც თერგდალეულები არა ერთხელ სიმპათიით იხსენიებენ კ. მარქსს და მის მოძღვრებას. მუშათა პირველი ინტერნაციონალის შესახებ „დროება“ თავის მკითხველებს აუწყებდა: „ეს ასოციაცია არის მთელი ქვეყნის მუშათა შემაერთებელი, ის ცდილობს, რომ ყველა მუშას ერთი აზრი, ერთი წადილი და ერთგვარი მოქმედება ჰქონდესო“.

განსაკუთრებით ფართოდ მარქსის მოძღვრებაზე ქართული დემოკრიტიული პრესა 80-იანი წლების დასაწყისიდან მსჯელობს. ამ დროს მთელი რიგი ავტორები — ი. ჭავჭავაძე, გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ე. მჭედლიძე (ბოსლეველი) და სხვები — თავიანთი შეხედულების დასაბუთებისას იშველიებენ კ. მარქსის, როგორც უდიდესი ავტორიტეტის მქონე მეცნიერის, აზრებს. ყველაზე ვრცლად მარქსის აზრები გადმოსცა გ. ზდანოვიჩმა საყურადღებო ნაშრომში: „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“, რომელიც დაიბეჭდა 1882 წელს ჟურნალ „ივერიაში“.

მაგრამ იმ პერიოდის ქართველი მოაზროვნეები ვერ ამაღლდნენ ისტორიის მარქსისტული გაგების დონემდე და ვერ გაიგეს მუშათა კლასის ისტორიული როლი, რადგან საქართველოს მაშინდელი ცხოვრების პირობები ამისათვის ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული. მარქსიზმი მუშათა კლასის იდეოლოგიაა. საქართველოში კი მუშათა კლასი იმ პერიოდში მხოლოდ ყალიბდებოდა და წვრილბურჟუაზიული მოღვაწეები ვერ ამჩნევდნენ ამ კლასის მზარდ ძალას. ქართველი დემოკრატები ცდილობდნენ მარქსიზმი თავიანთი ბურჟუაზიული და წვრილ-

ბურჟუაზიული შეხედულებებისათვის შეეგუებიათ, რასაც შედეგად მხოლოდ მარქსიზმის დამახინჯება და გაყალბება მოსდევდა.

მარქსიზმის, როგორც მუშათა კლასის იდეოლოგიის, გავრცელება საქართველოში იწყება მხოლოდ 90-იანი წლების დამდეგიდან, როდესაც კლასობრივი ანტაგონიზმის ზრდამ და მუშათა მოძრაობის აღმავლობამ მოამზადეს პირობები მუშათა მასებში მეცნიერული სოციალიზმის რევოლუციური თეორიის გასავრცელებლად.

საქართველოში მარქსიზმის გავრცელების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს, ერთი მხრივ, რუსეთიდან გადმოსახლებულმა სოციალ-დემოკრატებმა — იოსებ კოგანმა, ივანე ლუზინმა, გიორგი ფრანჩესკიმ, ნიკოლოზ კაზარენკომ და სხვებმა, ხოლო მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპაში ნამყოფმა ქართველმა მარქსისტებმა — ნოე ჟორდანიამ, კარლო ჩხეიძემ და სხვებმა.

რევოლუციური ქართველი ახალგაზრდობის იმ ჯგუფმა, რომელმაც მწერალ ე. ნინოშვილის გარშემო მოიყარა თავი, პირველი ოფიციალური კრება მოაწყო 1892 წლის 25 დეკემბერს (ძველი სტილით) დაბა ზესტაფონში, სადაც მაშინ ე. ნინოშვილი მსახურობდა. კრების მიზანი იყო შეემუშაებინა რევოლუციონერთა მომავალი მოქმედების პროგრამა.

ზესტაფონის კრებას ესწრებოდნენ: ეგნატე ნინოშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ჟორდანია, მიხა ცხაკაია, კარლო ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი და სხვები. ამ ჯგუფთან კავშირი ჰქონდა აგრეთვე ფილიპე მახარაძეს, რომელიც მაშინ ქ. ვარშავაში ცხოვრობდა. პირველსავე კრებაზე გამოირკვა, რომ ჯგუფის შემადგენლობა იდეურად ერთგვაროვანი არ იყო. კრების ბევრი მონაწილე ნაროდნიკული სოციალიზმის და სხვა წერილბურჟუაზიულ-ოპორტუნისტული შეხედულებების აშკარა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

1894 წლის დასაწყისში ჯგუფის წევრები მეორედ შეიკრიბნენ. ამჯერად, კრება შედგა თბილისში, მიხა ცხაკაიას ბინაზე. ამ კრებამ გადაჭრით დაგმო ნაროდნიკული შეხედულებები და აღიარა კლასთა ბრძოლის იდეა. იმავე წლის მაისში, ე. ნინოშვილის დასაფლავების დროს წარმოთქმულ სიტყვებში, ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა საჯაროდ გამოაცხადეს თავიანთი პროგრამა. განსაკუთრებით მკაფიოდ ეს პროგრამა ჩამოყალიბებული იყო სილ. ჯიბლაძის სიტყვაში.

ე. ნინოშვილის დასაფლავების მეორე დღეს მისმა თანამოაზრეებმა კვლავ მოაწყვეს კრება სოფ. ნიგოითში. კრებამ ერთსულოვნად დაადგინა, რომ ჯგუფის წევრები საჯაროდ გამოსულიყვნენ პრესაში თავიანთი პროგრამით და გაემართათ ბრძოლა წინანდელი წერილბურჟუაზიული შეხედულებების წინააღმდეგ, რაც განხორციელდა კიდეც.

გაზეთ „კვალის“ ფურცლებზე დაიწყო მათი საპროგრამო წერილების ბეჭდვა.

ასე შეიქმნა პირველი მარქსისტული ორგანიზაცია „მესამე დასი“[3], რომელმაც დასაბამი მისცა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას საქართველოში.

„მესამე დასი“ თავისი იდეური შემადგენლობით ერთგვაროვანი არ ყოფილა. მისი უმრავლესობა, ნ. ჟორდანიას მეთაურობით, წარმოადგენდა ოპორტუნისტულ მიმდინარეობას, რომელიც უხეშად ამახინჯებდა რევოლუციური მარქსიზმის მოძღვრებას.

„მესამე დასის“ უმრავლესობა აღიარებდა კლასთა ბრძოლის იდეას, მაგრამ მუშათა კლასის როლის მარქსისტულ გაგებამდე არასოდეს არ მისულა. მარქსიზმს ის მხოლოდ სიტყვიერად, გარეგნულად ემხრობოდა, სინამდვილეში კი უხეშად ამახინჯებდა მას, რადგან უარყოფდა ყველაზე მთავარს მარქსიზმში, მის სულსა და გულს — მოძღვრებას პროლეტარულ რევოლუციაზე და პროლეტარიატის დიქტატურაზე.

„მესამე დასის“ უმრავლესობა უარყოფდა გლეხობის, როგორც მუშათა კლასის მოკავშირის, როლს. ის ჭადაგებდა, რომ რევოლუციაში მუშათა კლასის მოკავშირე ლიბერალური ბურჟუაზია უნდა იყოსო. ამასთან ის არ სცნობდა მუშათა კლასის, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ჰეგემონის (ხელმძღვანელის) როლს.

„მესამე დასის“ უმრავლესობა პროლეტარიატს მოუწოდებდა კავშირი შეეკრა ბურჟუაზიასთან, რომელიც, მისი აზრით, რევოლუციის ხელმძღვანელი ძალა იყო. ნ. ჟორდანია ყოველ ნაბიჯზე აქებდა და ხოტბას ასხამდა ბურჟუაზიას, რომელსაც ის ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლად ნათლავდა.

ჟორდანიას ყველაზე იდეალურ წყობილებად ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური ინგლისის სახელმწიფო წყობილება მიაჩნდა. ინგლისის დედოფლის ვიქტორიას გარდაცვალების გამო, ის წერდა: „ვიქტორიას მეფობა არის მეფობა ხალხისა და ინგლისის ერს მხოლოდ მის დედოფლობაში მიეცა მოქმედების სრული თავისუფლება... დედოფლის გარდაცვალებას ღრმად იგლოვებს მთელი ინგლისი და ეს იქნება ნამდვილი გლოვა ხალხისა“.

„მესამე დასის“ უმრავლესობა ეროვნულ საკითხში იმავე აზრს იცავდა, რომელზეც ბურჟუაზიის იდეოლოგები იდგნენ: მან წამოა-

---

3 სახელწოდება „მესამე დასი“, შემოიღო მწერალმა გიორგი წერეთელმა, რომელიც XIX ს. მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ მოძრაობას სამ მიმართულებად ანუ დასად ყოფდა. თუმცა ასეთი დაყოფა არ არის სწორი და მეცნიერული, მაგრამ სახელწოდება „მესამე დასი“ მაინც გავრცელდა და უკვე საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

ყენა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის საერთო ეროვნული მოქმედების თეორია, რომლის მიზანი ის იყო, რომ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მოძრაობის ინტერესებისათვის დაექვემდებარებინა.

ზემოთ ნათქვამიდან ადვილი გასაგებია, თუ რატომ დაიახლოვა და დაუთმო თავისი გაზეთის ფურცლები „მესამე დასის“ უმრავლესობის წარმომადგენლებს ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგმა გ. წერეთელმა. გაზეთ „კვალის“ ირგვლივ შემოკრებილ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ მოაზროვნეებსა და „მესამე დასის“ უმრავლესობის წარმომადგენლებს შორის პირდაპირი იდეური ნათესაობა არსებობდა.

„მესამე დასის“ უმრავლესობამ „კვალის“ ფურცლებზე ბრძოლა გააჩაღა როგორც ხალხოსნური, ისე წერილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების ინტელიგენციის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბრძოლა წარმოებდა არა რეაოლუციური მარქსიზმის, არამედ მარქსიზმის ვულგარიზატორთა პოზიციებიდან, მას მაინც ჰქონდა ერთგვარი დადებითი ისტორიული მნიშვნელობა. გაზეთ „ივერიის“ ირგვლივ შემოკრებილი ხალხოსნებისა და გვიანდელი თერგდალეულების პოლიტიკური შეხედულებები, როგორც უკვე ითქვა, ამ დროს დრომოჭმული შეხედულებები იყო და ღირსი იყო დაგმობისა და უკუგდებისა, მაგრამ აკრიტიკებდნენ რა წინანდელ მოღვაწეთა შეცდომებს, „მესამე დასის“ უმრავლესობის წარმომადგენლები ვერ ხედავდნენ მათი მოღვაწეობის დადებით მხარეებს. კერძოდ, ნ. ჟორდანიამ და მისმა ჯგუფმა ვერ გაიგო დიდი ქართველი მწერლის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელის ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობის მნიშვნელობა და მის მცდარ პოლიტიკურ კონცეფციასთან ერთად (კლასთა შერიგების ქადაგება), ხელაღებით უარყო მთელი მისი შემოქმედება, აგრეთვე მისი და მისი თანამოაზრეების თავდადებული ბრძოლა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დასაცავად. ნ. ჟორდანიას კრიტიკული გამოსვლები ი. ჭავჭავაძისა და 60-იანი წლების სხვა მოღვაწეების წინააღმდეგ წარმოადგენდა კლასიკური მემკვიდრეობისადმი მარქსისტულ შეხედულებათა უხეში დამახინჯებისა და გაყალბების ნიმუშს.

„მესამე დასის“ შემადგენლობაში თავიდანვე იყვნენ ისეთი მოღვაწეები, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ნ. ჟორდანიას ოპორტუნისტულ შეხედულებებს. ასეთებს ეკუთვნოდნენ: ე. ნინოშვილი, მ. ცხაკაია და ფ. მახარაძე. მაგრამ იმ დროს ამ მოღვაწეებსაც არ ჰქონდათ საფუძვლიანად შეთვისებული მარქსის მოძღვრება და ჟორდანიას ჯგუფის წინააღმდეგ ბრძოლას კი არ ეწეოდნენ, არამედ მასთან შეშარიგებლობის ხაზს ატარებდნენ. ფ. მახარაძე თავის წერილებში თვითონაც უხეშ შეცდომებს უშვებდა. ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობას ის აკ-

რიტიკებდა იმავე ვულგარული მარქსიზმის პოზიციებიდან, რასაც ნამდვილ, რევოლუციურ მარქსიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა.

ამრიგად, პირველი ქართული მარქსისტული ორგანიზაცია „მესამე დასი“, იქ გაბატონებული ნ. ჟორდანიას ჯგუფის წყალობით, 1892—1898 წლების პერიოდში ოპორტუნისტული გზით მიდიოდა. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციის მუშაობას იმ დროს მაინც ჰქონდა ერთგვარი დადებითი მნიშვნელობა, რადგან იგი ქადაგებდა კლასთა ბრძოლის თეორიას და ცდილობდა მუშებს შორის მარქსისტული ლიტერატურის გავრცელებას.

მარქსისტული მოძღვრების შესანიშნავი ცოდნით იმ ხანებში გამოირჩეოდნენ საქართველოში მცხოვრები რუსი სოციალ-დემოკრატები, რომელთა მოღვაწეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში მარქსიზმის იდეების გავრცელების საქმეში.

1893 წელს მექანიკოსმა ვ. აფანასიევმა, მასთან დაახლოებულ მოწინავე ქართველ მუშებთან ერთად, თბილისში მოაწყო არალეგალური ბიბლიოთეკა, რომელიც კარგად იყო მომარაგებული რევოლუციური ლიტერატურით. ბიბლიოთეკას გააჩნდა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის მიერ გამოცემული თითქმის ყველა წიგნი. ბიბლიოთეკასთან შეიქმნა მუშათა წრე, სადაც მუშა-რევოლუციონერები იკრიბებოდნენ. წრის წევრებს კავშირი ჰქონდათ პეტერბურგთან, ბაქოსთან და რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებთან, საიდანაც არალეგალურ ლიტერატურას ღებულობდნენ. ამ წრესთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ალექსი მაქსიმეს ძე პეშკოვს — მომავალ სახელგანთქმულ მწერალს მაქსიმ გორკის, რომელიც მაშინ თბილისში ცხოვრობდა.

დიდ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა ინჟინერი ი. კოგანი, რომელიც კარგად მომზადებული მარქსისტი იყო. ის ხშირად გამოდიოდა მუშათა არალეგალურ კრებებზე. 1896 წელს ი. კოგანი თბილისში ხელმძღვანელობდა რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენტების რუსულ წრეს, სადაც სწავლობდნენ „კაპიტალს“ და სხვა მარქსისტულ ლიტერატურას.

იმავე 1896 წელს ბათუმში რევოლუციური მუშაობა გააჩაღეს ი. ლუზინმა და გ. ფრანჩესკიმ, რომლებმაც ბათუმის მუშებს შორის შექმნეს პირველი სოციალ-დემოკრატიული წრე. მათ მოახერხეს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური მანიფესტის“ ქართულ ენაზე თარგმნა და ჰექტოგრაფიულად გამოცემა. იმავე ხანებში რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ნ. კოზარენკო, რომელმაც, მ. ცხაკაიასთან ერთად, ქუთაისში აქტიური მონაწილეობა მიიღო მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრის შექმნასა და მარქსისტული ლიტერატურის გავრცელებაში.

ასეთი მოღვაწეობით რუსმა სოციალ-დემოკრატებმა ხელი შეუწყვეს საქართველოში მარქსიზმის გავრცელებას. მაგრამ მუშათა ფართო მასებთან კავშირის დამყარება და მუშათა მოძრაობის წარმართვა ცარიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის გზით მათაც ვერ მოახერხეს, მათი მუშაობა, არსებითად, არ გასცილებია მუშათა წრეებში ვიწრო პროპაგანდის საფეხურს.

ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, რომ 1893—1898 წლების პერიოდში საქართველოში საგრძნობი მუშაობა იყო გაწეული მარქსიზმის გავრცელებისა და მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესაქმნელად. მაგრამ „მესამე დასის“ უმრავლესობა, რომელსაც ნ. ჟორდანია მეთაურობდა, სჯერდებოდა მარქსიზმის იდეების მშვიდობიან და ლეგალურ პროპაგანდას, ისიც დამახინჯებული სახით. ჟორდანიას ჯგუფს საკმარისად მიაჩნდა მუშებში საწრეოპროპაგანდისტული მუშაობა ეწარმოებინა, ხოლო არალეგალური რევოლუციური პრესის მოწყობასა და მუშებში მასობრივი პოლიტიკური აგიტაციის გაშლას ეს ჯგუფი ზედმეტად სთვლიდა, რადგან სრულიადაც არ აპირებდა საქართველოს მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ წარემართა.

მუშათა მოძრაობის ახალი ეტაპის დასაწყისი

რუსეთში მუშათა მასობრივი მოძრაობა 90-იანი წლების შუა ხანებამდე ვითარდებოდა სტიქიურად, მარქსისტული რევოლუციური თეორიის გავლენის გარეშე. თუმცა გ. პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა დაიწყო მარქსიზმის გავრცელება და გადადგა პირველი ნაბიჯი მუშათა მოძრაობასთან დასაახლოვებლად, მაგრამ სოციალიზმი და მუშათა მოძრაობა მაინც ჯერ კიდევ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდნენ. მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთებისა და მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის შექმნის ამოცანა რუსეთში გადაწყვიტა პროლეტარიატის გენიალურმა ბელადმა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი (ულიანოვი) დაიბადა 1870 წლის 10(22) აპრილს ქ. სიმბირსკში (ამჟამად ქ. ულიანოვსკი). მისი მამა ილია ნიკოლოზის ძე, — პროფესიით პედაგოგი, — თავისი დროისათვის ფრიად განათლებული და მოწინავე ადამიანი იყო. ლენინი სკოლაში შესანიშნავად სწავლობდა და სიმბირსკის გიმნაზია ოქროს მედლით დაამთავრა.

რევოლუციური მოღვაწეობისადმი ინტერესი ლენინს გაუღვიძა მისმა ძმამ ალექსანდრე ულიანოვმა, რომელიც ნაროდოვოლცების ორგანიზაციის წევრი იყო და 1887 წლის ზაფხულში სიკვდილით დასაჯეს

მეფე ალექსანდრე მესამეზე თავდასხმის მოწყობისათვის. ძმის დაღუპვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა, 17 წლის ლენინზე. მასში კიდევ უფრო განმტკიცდა რწმენა წასულიყო რევოლუციური გზით, მაგრამ არა ისეთით, რომლითაც მისი ძმა მიდიოდა; ლენინმა უკვე მაშინ დაინახა, რომ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ის გზა, რომლითაც ხალხოსანი რევოლუციონერები მიდიოდნენ, მცდარი იყო.

1887 წელს ლენინი შევიდა ყაზანის უნივერსიტეტში. მაგრამ იმავე წლის დეკემბერში სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის ის დააპატიმრეს, უნივერსიტეტიდან გარიცხეს და სოფელში გადაასახლეს. ყაზანში დაბრუნებისთანავე (1888 წ.) ლენინი აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. ამ დროს ის შედის ყაზანის მარქსისტულ წრეში, რომელიც ნ. ფედოსეევმა ჩამოაყალიბა. 1889 წელს ლენინი გადავიდა ქ. სამარაში, სადაც სამარის მარქსისტთა პირველი წრე ჩამოაყალიბა. პრაქტიკულ რევოლუციურ მუშაობასთან ერთად, ლენინი ეწეოდა უდიდეს თეორიულ მუშაობას. უკვე იმ დროს ის ყველას აკვირვებდა მარქსიზმის შესანიშნავი, ღრმა ცოდნით.

1893 წლის აგვისტოში ლენინი პეტერბურგში გადავიდა და სათავეში ჩაუდგა პეტერბურგის მარქსისტულ წრეებს. ლენინი შეიყვარეს პეტერბურგის მუშებმა, რომლებთანაც ის წრეებში მეცადინეობდა. ლენინი სულ მალე გახდა პეტერბურგის მარქსისტთა ყველასაგან აღიარებულ ხელმძღვანელად.

1894 წელს ლენინმა დაწერა გენიალური ნაშრომი „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ იბრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“, რომელიც მიმართული იყო ხალხოსნობის წინააღმდეგ. ლენინმა საბოლოოდ გაანადგურა ხალხოსნობა, როგორც იდეური მიმდინარეობა. ამასთან ერთად ლენინმა გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა ე. წ. „ლეგალურ მარქსისტებს“ (სტრუვე, ტუგან-ბარანოვსკი და სხვ.), აგრეთვე „ეკონომისტებს“ (კუსკოვა, პროკოპოვიჩი და სხვ.), რომლებიც უხეშად ამახინჯებდნენ მარქსიზმს და ხელს უშლიდნენ მუშათა რევოლუციური, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარებას.

მარქსიზმის ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით ლენინმა უზრუნველჰყო პირობების მომზადება მარქსიზმის შემდგომი გავრცელებისა და პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის შესაქმნელად. 1895 წელს ლენინმა გააერთიანა პეტერბურგის მუშათა მარქსისტული წრეები და შექმნა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“, რომელიც მუშათა პროლეტარული, მარქსისტული პარტიის პირველი ჩანასახი იყო. პეტერ-

ბურგის „ბრძოლის კავშირმა“, ლენინის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასის ბრძოლა ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისათვის დაუკავშირა ცარიზმის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლას, გააჩაღა მუშებს შორის მასობრივი აგიტაცია და შეუდგა მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების განხორციელებას. ამიერიდან რუსეთის მუშათა მოძრაობაში ახალი ხანა იწყებოდა.

დიდმა ლენინმა რუსეთის მუშათა კლასი წაიყვანა მეცნიერული სოციალიზმის მიერ ნაჩვენები გზით, — მეფისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ სასტიკი კლასობრივი ბრძოლის გზით. ჯერ კიდევ 1894 წელს ლენინი ამბობდა: „რუსი მუშა აღსდგება და სათავეში ჩაუდგება ყველა დემოკრატიულ ელემენტს, დაამხობს აბსოლუტიზმს და წაიყვანს რუსეთის პროლეტარიატს (ყველა ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად) ა მ კ ა რ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბ რ ძ ო ლ ი ს პ ი რ დ ა პ ი რ ი გ ზ ი თ ძლევამოსილი კომუნისტური რევოლუციისაკენ“[1].

რუსეთის ისტორიის მთელმა მსვლელობამ დაადასტურა ლენინის ამ გენიალური წინასწარმეტყველების სისწორე.

ლენინის რევოლუციურმა მოღვაწეობამ და მისმა უკვდავმა ნაშრომებმა, აგრეთვე მის მიერ შექმნილმა პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა“ უდიდესი გავლენა მოახდინეს მუშათა მოძრაობაზე მთელი რუსეთის იმპერიაში. საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა XIX საუკუნის ბოლოს რუსეთში გადმოინაცვლა. 90-იან წლებში მუშათა მოძრაობა ყველგან, მათ შორის ამიერკავკასიაშიც, აღმავლობას განიცდიდა.

90-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოსა და ამიერკავკასიაში მუშათა მოძრაობის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა „მესამე დასის“ უმრავლესობის ოპორტუნისტულ შეხედულებათა განადგურებისა და საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის მარქსიზმთან შეერთების ამოცანა. ამ დიდი ისტორიული ამოცანის შესრულება მოუხდა „მესამე დასის“ უმცირესობას, მის ძირითად რევოლუციურ ბირთვს, რომელშიც შედიოდნენ: ლ. კეცხოველი, ი. სტალინი, მ. ცხაკაია, ა. წულუკიძე, პ. ჯაფარიძე და სხვები. „მესამე დასის“ რევოლუციური ბირთვი წარმოადგენდა პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის ჩანასახს საქართველოში. იმავე ხანებში მოხდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული წრეების გაერთიანება და შეიქმნა ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, რომელიც სათავეში ჩაუდგა თბილისის მუშათა რევოლუციურ ბრძოლას.

1898—1900 წლების პერიოდში „მესამე დასის“ ბირთვის ხელ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. I, გვ. 356.

მძღვანელობით მოხდა საქართველოს მუშათა კლასის გადასვლა ვიწრო საწრეო პროპაგანდიდან მასობრივ აგიტაციაზე, რითაც საქართველოშიც დაიწყო მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების პრაქტიკული განხორციელება.

საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა-განმტკიცებისა და მუშათა შორის ფართო პოლიტიკური აგიტაციის გაშლის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გამოჩენილმა რუსმა რევოლუციონერებმა ვიქტორ კურნატოვსკიმ და მიხეილ კალინინმა, რომლებიც საქართველოში გადმოსახლებული იყვნენ მეფის მთავრობის მიერ, რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

„მესამე დასის" რევოლუციურ ბირთვს უდიდესი იდეური ბრძოლის ჩატარება მოუხდა „მესამე დასის" უმრავლესობის ოპორტუნისტულ შეხედულებათა გასანადგურებლად, რადგან უამისოდ შეუძლებელი იყო საქართველოს მუშათა მოძრაობის შემდგომი განვითარება და ახალი ტიპის პარტიის ორგანიზაციების შექმნა. ამ ბირთვმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ნ. ჟორდანიას ჯგუფის ოპორტუნიზმს და პირველმა მოგვცა სხვადასხვა წვრილბურჟუაზიული და ნაციონალისტური იდეოლოგიების ნამდვილი მარქსისტული კრიტიკა. ამხილა და მკაცრი კრიტიკის ცეცხლში გაატარა ხალხოსნური, თავადაზნაურულ-ლიბერალური, ბურჟუაზიულ-ლიბერალური და სხვა მტრული მიმდინარეობანი, რომლებიც ხელს უშლიდნენ მუშათა კლასის იდეოლოგიის გავრცელებას.

„მესამე დასის" რევოლუციურმა ბირთვმა მხურვალედ დაუჭირა მხარი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც მთელი რუსეთის საერთო რევოლუციური მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო. რუსეთის პროლეტარიატი, ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით, გადაჭრით იცავდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას და დაუნდობლად ებრძოდა ცარიზმის დიდმპყრობელურ-შოვინისტურ პოლიტიკას. მიდიოდნენ რა დიდი ლენინის გზით, ქართველმა მარქსისტებმა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საერთო რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას დაუკავშირეს და რუსეთის დემოკრატიული რევოლუციის ინტერესებს დაუმორჩილეს; მათ გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადეს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და დაანახვეს მშრომელ ხალხს, რომ ეროვნული ჩაგვრის მოსპობა მხოლოდ რუსეთის ყველა ეროვნების ხალხთა ერთობლივი რევოლუციური ბრძოლით შეიძლებოდა.

ასე ავიდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა განვითარების ახალ, მესამე ეტაპზე, — პროლეტარულ ეტაპზე.

საქართველოს მუშებმა და გლეხებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ცარიზმისა და ბურჟუაზიის დამხობის ამოცანა იყო ის დიადი მიზანი, რომლის განხორციელებისათვის ქართველმა ხალხმა, რუსეთის ყველა ხალხთან ერთად, გამოიჩინა არაჩვეულებრივი სიმტკიცე და ენერგია. საქართველოს მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მოწინავე რიგებში მიდიოდნენ. ქართველმა ხალხმა წარმოშვა სახელოვან და უშიშარ რევოლუციონერთა მთელი თაობა, რომელთა სახელებით მთელი საბჭოთა ხალხი ამაყობს.

თავი VII

ქართული კულტურა XIX საუკუნის მეორე ნახევარში

§ 1. მეცნიერება, განათლება, პრესა

მეცნიერება

კაპიტალისტური ურთიერთობის გამარჯვებამ და ქართველი ერის ჩამოყალიბებამ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში შექმნა პირობები ეროვნული კულტურის სწრაფი განვითარებისათვის. თვითმპყრობელობის უხეში კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა, მისი მოწინავე ინტელიგენციის თავდადებული მოღვაწეობის შედეგად, ამ პერიოდში შეძლო უზრუნველეყო თავისი შრავალსაუკუნოვანი კულტურის მნიშვნელოვანი აღმავლობა. 60-იანი წლების დემოკრატ მოღვაწეებს კულტურა და განათლება ხალხის კეთილდღეობის უპირველეს პირობად მიაჩნდათ. ამიტომ იყო, რომ ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ ხალხის განათლებისათვის, ქართული კულტურის უკლებლივ ყველა დარგის ფეხზე დაყენებისა და განვითარებისათვის. თერგდალეულებს, ხალხოსნებს და სხვა ქართველ დემოკრატებს საგანმანათლებლო მოღვაწეობა უდიდეს პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნდათ. სწორედ მათი მეოხებით გადაიქცა ქართული კულტურა უაღრესად დემოკრატიულ და ჰუმანისტურ კულტურად, რომელმაც თავის მიზნად საზოგადოების დაბალი კლასების განათლება დაისახა.

ქართული კულტურის საერთო აღმავლობამ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა მეცნიერების განვითარებაში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით ფართოდ ვითარდებოდა საზოგადოებრივი მეცნიერებანი. ქართული მატერიალისტური აზროვნება მნიშვნელოვნად წინ წასწია და საზოგადოებრივი მეცნიერების მრავალი დარგი

ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა ისეთი გამოჩენილი მწერლებისა და მოაზროვნეების პუბლიცისტურმა ნაშრომებმა, როგორიც იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ა. წერეთელი, ა. ფურცელაძე, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი, რ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი, გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ე. ნინოშვილი და სხვები. განსაკუთრებით თვალსაჩინო მიღწევები მოპოვებულ იქნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ისეთ დარგებში, როგორიცაა: ფილოსოფია, ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორიოგრაფია და ეთნოგრაფია. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებიდან საქართველოს შვილებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქიმიასა და ფიზიოლოგიაში.

ქართული ფილოსოფიური აზროვნება, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები გააჩნია, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღწევს უაღრესად მნიშვნელოვან წარმატებებს. მართალია, იმ დროს მოწინავე ქართველი მოაზროვნეები არ წერენ სპეციალურ ფილოსოფიურ ტრაქტატებს და თავიანთ აზრებს ხალხისათვის ადვილად გასაგებ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ნაშრომებში გადმოგვცემენ, მაგრამ ამ ნაშრომებიდან ბევრია ღრმა ფილოსოფიური ნაშრომი, რომლებშიც წამოყენებულია მატერიალისტური ფილოსოფიის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ი. ჭავჭავაძის, გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის ნაშრომები. იმდროინდელი ქართული ფილოსოფიური აზროვნების უმთავრესი მიღწევა ის არის, რომ იგი ამარცხებს ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების დროს გაბატონებულ იდეალისტურ და თეოლოგიურ აზროვნებას და გარკვევით დგება მატერიალიზმის პოზიციებზე. იდეალიზმის დამარცხებასა და მატერიალისტური ფილოსოფიის გამარჯვებას საქართველოში დიდად შეუწყო ხელი მოწინავე ქართველი მოაზროვნეების მიერ გამოჩენილი რუსი მატერიალისტი ფილოსოფოსების — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის იდეების შეთვისებამ.

რუსეთსა და საქართველოში მატერიალისტური აზროვნების გავლენის ზრდამ აიძულა ლიბერალური ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი გადაესინჯა იდეალისტური ფილოსოფიის მოძღვრება, შეელამაზებინა მისი დებულებები და მოეცა იდეალისტურ-რელიგიური შეხედულებების მატერიალისტური „დასაბუთება“. 1858 წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოიცა გაბრიელ ეპისკოპოსის (გერასიმე ქიქოძის) ნიჭიერად დაწერილი კაპიტალური ნაშრომი „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელშიც ავტორი ცდილობს დაეყრდნოს ბუნებისმეტყველების უახლეს ფაქტებს და მათი საშუალებით ახლებურად დაასაბუთოს იდეალისტური ფილოსოფიის ძირითადი დებულებები. ქართული ეკლესიის ამ განათლებულ მსახურს

სურდა რელიგია მეცნიერებასთან „მოერიგებინა“, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევებმა საბოლოოდ გამოუთხარეს ძირი იდეალისტურ ფილოსოფიას.

მიუხედავად ქართული ფილოსოფიური აზრის დიდი წარმატებებისა, XIX საუკუნეში მაინც არ მოხერხდა იდეალიზმის საბოლოო დაძლევა და თანმიმდევრული, მთლიანი მატერიალისტური შეხედულებების შემუშავება. იმ ეპოქის ქართველმა მოაზროვნეებმა ვერ შეძლეს დიალექტიკური მატერიალიზმის დონეზე ასვლა. მათ ჰქონდათ სერიოზული თეორიული შეცდომები და აშკარა იდეალისტური გადახვევები საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პრობლემების გაგებაში.

მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველოში ფართოდ გავრცელდა მარქსისტული ფილოსოფია, ხდება უდიდესი გარდატეხა ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებაში. საბოლოოდ დამარცხდა იდეალიზმი და გაიმარჯვა მარქსისტულმა დიალექტიკურმა მატერიალიზმმა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხების მეცნიერული შესწავლისათვის. მას შემდეგ, რაც თერგდალეულებმა, ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, ლიტერატურის სფეროდან განდევნეს ანტონ I-ის არქაული ენა და სალიტერატურო ქართულ ენად საერთო-სახალხო ენა დაამკვიდრეს, საენათმეცნიერო საკითხებისადმი ინტერესი გაიზარდა. ქართული ენისა და ლიტერატურის პრობლემების დამუშავებას თვალსაჩინო ნაშრომები უძღვნეს ცნობილმა მეცნიერებმა: დავით ჩუბინაშვილმა, ალექსანდრე ცაგარელმა, ნიკო მარმა და ალექსანდრე ხახანაშვილმა. ქართული ენის გრამატიკის საკითხების დასამუშავებლად სერიოზული შრომა გასწიეს აგრეთვე: დიმიტრი ყიფიანმა, თედო ჟორდანიამ, მოსე ჯანაშვილმა, იაკობ გოგებაშვილმა, სილოვან ხუნდაძემ, პეტრე ჭარაიამ და სხვებმა.

იმის გამო, რომ საქართველოში იმ დროს არ არსებობდა უნივერსიტეტი, ან სხვა სამეცნიერო ინსტიტუტები, ქართველი მეცნიერები იძულებული იყვნენ რუსეთის ქალაქებში წასულიყვნენ და იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში ემუშავათ. პეტერბურგის უნივერსიტეტში ნაყოფიერად მოღვაწეობდა პროფესორი დ. ჩუბინაშვილი, რომელიც 1853 წლიდან განაგებდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას. დ. ჩუბინაშვილის მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის შიერ შედგენილ საუცხოო ქართულ-რუსულ, ქართულ-რუსულ-ფრანგულსა და რუსულ-ქართულ ლექსიკონებს. მოსკოვის უნივერსიტეტში ასეთსავე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა პროფესორი ა. ხახანაშვილი,

რომელმაც ოთხტომიანი ნაშრომი მიუძღვნა ქართული ლიტერატურის ისტორიას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი იყო პროფესორ ა. ცაგარლის (1844—1929) მოღვაწეობა ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ თბილისში. ქართველი ღარიბი მღვდლის შვილმა ა. ცაგარელმა 1865 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, შემდეგ გიმნაზიის სრული კურსი და 1867 წელს სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა პეტერბურგში, სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ცოდნის გასაღრმავებლად წავიდა ევროპაში. ისმენდა ლექციებს მიუნხენსა და ვენაში. დ. ჩუბინაშვილის შემდეგ (1871 წ.) ა. ცაგარელი მიიწვიეს პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელად. 1880 წელს მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მუშაობდა პროფესორად, 1897 წელს კი მიანიჭეს დამსახურებული პროფესორის წოდება.

ა. ცაგარელი თერგდალეულთა თაობის უშუალო გავლენას განიცდიდა. ეს იყო გამოჩენილი ენათმეცნიერი, რომელიც დაუღალავად მუშაობდა ქართული ენის, აგრეთვე ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის შესასწავლად. ა. ცაგარლის საენათმეცნიერო ნაშრომებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი კაპიტალური გამოკვლევა — „მეგრული ეტიუდები", რისთვისაც ავტორს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა. ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ა. ცაგარლის მიერ სამ ტომად გამოცემულ ქართული მწერლობის ძეგლთა აღწერილობას, ხოლო ქართულ ისტორიოგრაფიას ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მის მიერ გამოცემულმა დოკუმენტებმა, რომლებიც ასახავენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას მე-18 საუკუნეში.

საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის დარგში უაღრესად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ისტორიკოსები და ეთნოგრაფები დიმიტრი ბაქრაძე, სულხან ბარათაშვილი, მოსე ჯანაშვილი, თედო ჟორდანია, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი), რაფიელ ერისთავი, ექვთიმე თაყაიშვილი, თედო სახოკია, სოლომონ ზვანბა და სხვები.

საქართველოს ისტორიის საკითხების მეცნიერულ დამუშავებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით დ. ბაქრაძეს (1827—1890) და მ. ჯანაშვილს (1855—1934), რომლებიც თერგდალეულთა შეხედულებების გავლენას განიცდიდნენ და ცდილობდნენ ქართული ისტორიოგრაფია მეცნიერულ ნიადაგზე დაეფუძნებინათ.

დ. ბაქრაძემ უმაღლესი სასულიერო განათლება მიიღო მოსკოვში, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უარი თქვა სასულიერო

მოღვაწეობაზე და მთელი სიცოცხლე საქართველოს ისტორიის შესწავლას შესწირა. მის ნაშრომთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოკვლევები: „კავკასია ქრისტიანობის ძველ ძეგლებში“, „ქართული პალეოგრაფია“, „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, „ისტორია საქართველოს უძველესი დროიდან X საუკუნემდე“ და სხვ. მეცნიერულ მუშაობასთან ერთად დ. ბაქრაძე დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა, მისი თაოსნობით დაარსდა საეკლესიო მუზეუმი ქართული ისტორიული ძეგლების, უძვირფასესი ხელნაწერების დასაცავად. მისი უახლოესი მონაწილეობით ჩამოყალიბდა აგრეთვე „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“, რომელმაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე დასვა საკითხი არქეოლოგთა მე-5 ყრილობის საქართველოში ჩატარების შესახებ. ეს ყრილობა ჩატარდა თბილისში 1881 წელს. მან ხელი შეუწყო საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის გაღრმავებულ შესწავლას. ყრილობის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა დ. ბაქრაძე. მეცნიერებაში დიდი დამსახურებისათვის ის არჩეული იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

საქართველოს ისტორიის მეცნიერული დამუშავებისათვის დაუღალავად იღვწოდა აგრეთვე პროფესორი მ. ჯანაშვილი. მან განსაკუთრებით დიდი შრომა გასწია ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა მეცნიერული გამოცემისათვის. 1884 წელს მ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებისათვის XIX საუკუნის საქართველოში პირობები არ არსებობდა, რის გამო ქართველ მეცნიერებს სამშობლოს გარეთ უხდებოდათ მოღვაწეობა. რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობდნენ და გამოჩენილი მეცნიერების სახელი მოიხვეჭეს ფიზიოლოგმა ივანე თარხნიშვილმა, და ქიმიკოსებმა ვასილ პეტრიაშვილმა და პეტრე მელიქიშვილმა.

პროფესორი ივანე თარხნიშვილი (1846—1908) შესანიშნავი მატერიალისტი მოაზროვნე იყო. მისი მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა სამოციანი წლების რუსეთისა და საქართველოს რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის გავლენით. ივ. თარხნიშვილი მუშაობდა სახელგანთქმული რუსი ფიზიოლოგის ი. სეჩენოვის ხელმძღვანელობით და მისი ერთ-ერთი უნიჭიერესი მოწაფე იყო. 1877 წელს 31 წლის ი. თარხნიშვილმა მიიღო პროფესორის წოდება და დაიკავა სეჩენოვის კათედრა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. 1871 წელს ახალგაზრდა მეცნიერმა თბილისში წაიკითხა ლექციების ციკლი თემაზე: „ნერვული სისტემის როლი ცხოველთა მოძრაობაში“. რომელიც შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოიცა. ამ ლექციებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა მაშინდელ საზოგადოებასა და პრესაში. ივ. თარ-

ხნიშვილის მრავალრიცხოვან ნაშრომებს, რომლებიც ხანგრძლივი ექსპერიმენტული კვლევა-ძიების ნაყოფია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთში მატერიალისტური ფიზიოლოგიის განვითარებისათვის.

პროფესორი პეტრე მელიქიშვილი (1850—1927), რომელიც ხანგრძლივად მოღვაწეობდა ოდესის უნივერსიტეტში, ქართველი ხალხის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მეცნიერი გახდა. 1869 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია, ხოლო 1872 წელს ოდესის უნივერსიტეტი. 1885 წელს ის უკვე ქიმიის მეცნიერებათა პროფესორი იყო. შემდეგ მან მიიღო დამსახურებული პროფესორის წოდება და არჩეულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. პ. მელიქიშვილი იყო თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი რექტორი.

პ. მელიქიშვილი თერგდალეულთა მოწინავე წრეს ეკუთვნოდა და თავისი სამშობლოს დიდი პატრიოტი-მეცნიერი იყო. ქიმიაში უმნიშვნელოვანესი აღმოჩენებისათვის პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ 1899 წელს პ. მელიქიშვილს და მის მოწაფეს, რუსეთის გამოჩენილ მეცნიერს ლ. პისარჟევსკის ლომონოსოვის პრემია მიანიჭა. პ. მელიქიშვილის ნაშრომებს, რომლებსაც დიდად აფასებდა და თავის კვლევა-ძიებაში იყენებდა გენიალური რუსი ქიმიკოსი დ. მენდელეევი, საპატიო ადგილი უჭირავს ქიმიის განვითარების ისტორიაში.

პ. მელიქიშვილთან ერთად ოდესის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა მისი მეგობარი, გამოჩენილი პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი (1845—1908). ვ. პეტრიაშვილის მრავალრიცხოვანი მეცნიერული ნაშრომებიდან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის გამოკვლევებს აგროქიმიის დარგში, რომლებიც პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ სოფლის მეურნეობის განვითარებას. რამდენიმე ვრცელი ნაშრომი ვ. პეტრიაშვილმა ქართულად დაწერა და საქართველოში გამოაქვეყნა. მისმა ამ ნაშრომებმა დიდად შეუწყო ხელი ჩვენში ღვინის დაყენების, რძის დამუშავებისა და სხვა ამგვარი საკითხების შესახებ ცოდნის გაღრმავებას.

ამრიგად, მიუხედავად ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით გამოწვეული უაღრესად მძიმე პირობებისა, ქართველმა ხალხმა შეძლო XIX საუკუნის მეორე ნახევარში საგრძნობლად წაეწია წინ მშობლიური მეცნიერება და თან გარკვეული წვლილი შეეტანა დიდი რუსეთის მეცნიერების განვითარებაში.

განათლება

XIX საუკუნის მეორე ნახევარში და შემდეგაც მეფის რუსეთი სწავლა-განათლების მხრივ ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. მთავრობა მხოლოდ გაბატონებული კლასებისათვის აარსებდა სკოლებს, ხალხის განათლებაზე კი სრულიად არ ზრუნავდა. ცარიზმი შეგნებულად ცდი-

ლობდა სიბნელესა და უმეცრებაში ჰყოლოდა მშრომელი მასები. სწორედ ამიტომ ამბობდა ვ. ი. ლენინი: „მთავრობა რუსეთში სახალხო განათლების უდიდესი მტერიაო“[1].

მეფის მთავრობის მტრული დამოკიდებულება სახალხო განათლებისადმი კიდევ უფრო აშკარად იჩენდა თავს კოლონიურ საქართველოში. XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში არსებობდა მხოლოდ ერთი გიმნაზია (თბილისში) და რამდენიმე სამაზრო ორკლასიანი სასწავლებელი. ამ სკოლების დანიშნულება ის იყო, რომ მოემზადებინა მეფის მთავრობის ერთგული ჩინოვნიკები ადგილობრივი თავადაზნაურობის წრიდან. გლეხობა კი იმ დროს მოკლებული იყო სწავლის უფლებას. გლეხის შვილებისათვის სკოლის კარი დაკეტილი იყო.

60-იანი წლების რეფორმების ხანაში მეფის მთავრობა, რომელსაც არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების შედეგად მომხდარი სამეურნეო და კულტურული აღმავლობისათვის, იძულებული გახდა გაემრავლებინა საშუალო სკოლების (გიმნაზიების, რეალური და სასულიერო სასწავლებლების) რიცხვი და თან დაბალი წოდების ბავშვებისათვისაც გაეხსნა დაწყებითი სკოლები, რომლებსაც „სახალხო სკოლები“ უწოდეს. ამ სკოლების შენახვა მთლიანად ხალხს დაეკისრა, სწავლა კი მთავრობის მიერ დამტკიცებული პროგრამითა და პოლიციური აპარატის ზედამხედველობით წარმოებდა.

ქართველმა გლეხობამ სცადა ფართოდ გამოეყენებინა სწავლის უფლება და ენერგიულად შეუდგა სკოლების გახსნას. 60—70-იან წლებში სახალხო დაწყებითი სკოლების რიცხვი საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა: თითქმის ყველა სოფლის საზოგადოება ცდილობდა სკოლის გახსნას. გლეხები საკუთარი ხარჯით აშენებდნენ სკოლის შენობებს, იძენდნენ სასკოლო ინვენტარს, იხდიდნენ მასწავლებელთა ხელფასს. მაგრამ სახალხო სკოლებისადმი გლეხობის ინტერესი სულ მალე განელდა. რეაქციის გაძლიერებასთან ერთად, მთავრობა სულ უფრო მეტად ავიწროვებდა სკოლებს: სკოლის ხელმძღვანელობა პოლიციას დააკისრეს, მასწავლებლებად ნიშნავდნენ შეუფერებელ პირებს, რომელთაგან ბევრმა სრულიად არ იცოდა ქართული ენა. სწავლისა და აღზრდის ერთადერთი მეთოდი მოსწავლეთა განუკითხავი ცემა-ტყეპა იყო. ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ 80-იან წლებში სახალხო სკოლებიდან საგანგებოდ განდევნეს დედაენა. გლეხობამ დაინახა, რომ სკოლას მისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს და ხარჯი კი დიდი სჭირდება. ამიტომ გლეხობამ შეიძულა სა-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 155.

ხალხო სკოლები. 80-იან წლებში ზოგიერთი სოფლის გლეხებმა ძალით დაანგრიეს მათ მიერვე აგებული სკოლის შენობები და ცეცხლს მისცეს სასკოლო ინვენტარი. ეს ბუნებრივი შედეგი იყო მეფის მთავრობის ანტიხალხური საგანმანათლებლო პოლიტიკისა.

მაგრამ ძიუხედავად იმისა, რომ მეფის თვითმპყრობელობა ხელს უშლიდა და აფერხებდა ქართველ ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას, XIX საუკუნის მეორე ნახევარში სახალხო განათლების საქმე მაინც საგრძნობლად გაუმჯობესდა. 90-იანი წლების ბოლოს წერაკითხვის მცოდნეობის მხრივ საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა რუსეთის იმპერიაში. საქართველოში განათლების შედარებით სწრაფად წინსვლა აიხსნებოდა, ერთი მხრივ, ქართველი ხალხის დიდი კულტურული ტრადიციებით, რაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში არაჩვეულებრივი სისწრაფით გამოცოცხლდა და გაძლიერდა, ხოლო მეორე მხრივ, თერგდალეულთა ენერგიული საგანმანათლებლო მოღვაწეობით, კერძოდ კი მათ მიერ შექმნილი „წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური მუშაობით.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველმა ხალხმა წარმოშვა გამოჩენილ პედაგოგთა მთელი თაობა, რომელიც თავდადებით მუშაობდა ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღსაზრდელად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღვაწლი სახალხო განათლების დარგში მიუძღვის დიდ ქართველ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს, რომლის სახელმძღვანელოები „დედა-ენა“, და „ბუნების კარი“ ქართველი მოსწავლეების უსაყვარლესი წიგნები გახდა. ი. გოგებაშვილი თავის პედაგოგიურ მოღვაწეობაში ეყრდნობოდა მოწინავე რუსული პედაგოგიკის ფუძემდებლის კონსტანტინე უშინსკის იდეებს. ი. გოგებაშვილთან ერთად სახალხო განათლების ფრონტზე უაღრესად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი პედაგოგები: ნიკო ცხვედაძე, ილია წინამძღვრიშვილი, ზაქარია გულისაშვილი, ანთიმოზ ჯუღელი, ლუარსაბ ბოცვაძე, ნიკო ჯანაშია, ალექსი ჭიჭინაძე, ივანე როსტომაშვილი და მრავალი სხვა.

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილმა დიდი შრომა გასწია იმისათვის, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში უნივერსიტეტი გახსნილიყო, მაგრამ მათი ყოველი ცდა ამაო აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის არსებობისათვის პირობები მომზადებული იყო, მეფის მთავრობამ გადაჭრით უარი თქვა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნაზე. მეფის თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკა მიზნად ისახავდა სიბნელესა და უმეცრებაში ჰყოლოდა რუსეთის დაჩაგრული ხალხები, მათ შორის ქართველი ხალხი.

ქართული პრესა

ქართული კულტურის აღმავლობის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში პრესის სწრაფი განვითარება. მეფის მთავრობა ყოველნაირად ზღუდავდა ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემას, ცენზურა უფლებას არ აძლევდა მათ დაებეჭდათ თუნდაც მცირედი სიმართლე ხალხის ჭირ-ვარამზე. ხშირი იყო პროგრესული გაზეთების დახურვისა და „ურჩი" რედაქტორების პასუხისგებაში მიცემის შემთხვევები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოწინავე ინტელიგენციის დაუღალავი მეცადინეობის მეოხებით განუხრელად იზრდებოდა ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების რიცხვი და ტირაჟი. ქართულ პრესაში ამ დროს წამყვანი ადგილი ეჭირა დემოკრატიულ გაზეთებსა და ჟურნალებს, რომლებიც ხალხის ინტერესებისათვის ზრუნვას ისახავდნენ მიზნად.

რეფორმისწინა ხანაში ერთადერთი ქართული ორგანო იყო ლიბერალური თავადაზნაურობის ჟურნალი „ცისკარი", რომელიც 1852 წელს დააარსა მწერალმა გიორგი ერისთავმა. 1853 წელს „ცისკრის" გამოცემა შეწყდა, მაგრამ 1857 წელს მისი განახლება მოახერხა ივანე კერესელიძემ, რომლის რედაქტორობით ეს ჟურნალი 1875 წლამდე გამოდიოდა. „ცისკარი" იდეურად ჩამორჩენილი ჟურნალი იყო. მაგრამ მაინც დადებით როლს თამაშობდა იმ დრომდე, ვიდრე საქართველოში ახალი, დემოკრატიული პრესა გაჩნდებოდა. თერგდალეულები თავიანთი ახალი, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ქადაგებით პირველად „ცისკრის" ფურცლებზე გამოვიდნენ.

1863 წლის მანძილზე ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა ახალი თაობის მებრძოლი ჟურნალი „საქართველოს მოამბე". ამ ჟურნალით იწყება ქართული დემოკრატიული პრესის ისტორია. „საქართველოს მოამბეში" დობროლიუბოვის, ლერმონტოვის, ჰიუგოსა და სხვა გამოჩენილ მწერალთა საუკეთესო ნაწერების თარგმანებთან ერთად, იბეჭდებოდა მოწინავე ქართველი მწერლების შესანიშნავი მხატვრული და პუბლიცისტური თხზულებანი. სწორედ აქ დაიბეჭდა პირველად ი. ჭავჭავაძის უკვდავი მოთხრობა „კაცია, ადამიანი?!" აგრეთვე ნაწილობრივ პოემები „აჩრდილი", „კაკო ყაჩაღი" და მოთხრობა „გლახის ნაამბობი". აქვე დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის თანამებრძოლთა მრავალი, დემოკრატიული სულისკვეთებით გაჟღენთილი ნაწარმოები.

„საქართველოს მოამბეში", როგორც სარკეში, აისახა რეფორმისწინანდელი საქართველოს რევოლუციურად განწყობილი მშრომელი მასების სულისკვეთება. ამ ჟურნალმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ძველ, უკვე დრომოჭმულ ფეოდალურ იდეოლოგიას.

მას შემდეგ, რაც უაღრესად მძიმე ცენზურული პირობების გამო „საქართველოს მოამბე" დაიხურა, თერგდალეულებმა დაიწყეს ზრუნ-

ვა საკუთარი გაზეთის გამოცემაზე. 1866 წელს მათ მოახერხეს დაეარსებინათ გაზეთი „დროება“, რომელიც 1885 წლამდე გამოდიოდა. თავდაპირველად „დროებას“ კვირაში ერთხელ უშვებდნენ, 1874 წლიდან—კვირაში სამჯერ, 1877 წლიდან კი — ყოველდღიურად. „დროება“ თერგდალეულთა მთავარი ორგანო იყო და თითქმის ოცი წლის განმავლობაში წარმოადგენდა მოწინავე ქართული აზრის შესანიშნავ ტრიბუნას. გაზეთში იბეჭდებოდა გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და მოაზროვნეების მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებები, რომლებშიც გაბედულად იყო წამოყენებული მწვავე სოციალური და ეროვნული პრობლემები.

1871—1873 წლებში „დროებას“ თან ერთვოდა სალიტერატურო ჟურნალი „კრებული“, რომელმაც აგრეთვე უაღრესად დიდი როლი შეასრულა თერგდალეულთა იდეების გავრცელების საქმეში. „კრებული“ მთლიანად „დროების“ იდეურ პოზიციებზე იდგა. დაახლოებით იმავე დროს (1869—1872) გამოდიოდა ჟურნალი „მნათობი“, რომელიც ძირითადად თერგდალეულთა შეხედულებებს იზიარებდა, მაგრამ ამასთანავე ხშირად ხალხოსნურ იდეებსაც ქადაგებდა. 1868—1880 წლებში თერგდალეულები სცემდნენ აგრეთვე „სასოფლო გაზეთს“, რომელშიც იბეჭდებოდა პოპულარული წერილები, უმთავრესად, სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

1885 წელს მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულებისათვის თვითმპყრობელობამ გაზეთი „დროება“ დახურა. ამის შემდეგ მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა თავი მოიყარეს ი. ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ გარშემო. გაზეთი „ივერია“ დაარსდა ჯერ კიდევ 1877 წელს, როდესაც თერგდალეულთა ბანაკში განხეთქილება მოხდა და ი. ჭავჭავაძე გავიდა „დროების“ რედაქციიდან. მაგრამ შემდეგ, როცა „დროებას“ ჩამოშორდნენ ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების მეთაურები ნ. ნიკოლაძე და გ. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე და მისი უახლოესი თანამოაზრენი კვლავ დაუბრუნდნენ „დროების“ რედაქციას. გაზეთი „ივერია“ კი ჟურნალად გადააკეთეს. „დროების“ დახურვის შემდეგ ი. ჭავჭავაძე იძულებული გახდა „ივერია“ კვლევ გაზეთად გადაეკეთებინა და მრავალი წლის განმავლობაში ის იყო ერთადერთი ყოველდღიური ქართული გაზეთი. ამ გაზეთის ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი და მასში თანამშრომლობდნენ არა მარტო მაშინდელი დემოკრატი მოღვაწეები, არამედ თავადაზნაური ლიბერალებიც, მაგრამ „ივერიის“ თანამშრომელთა ძირითად ბირთვს მაინც წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების დემოკრატები შეადგენდნენ. გაზეთმა „ივერიამ“ უაღრესად დიდი როლი შეასრულა 80—90-იან წლებში ცარიზმის რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში.

90-იან წლებში ქართულ დემოკრატიულ პრესას შეემატა გაზეთი „კვალი“ (დაარსდა 1893 წ.) და ჟურნალი „მოამბე“ (დაარსდა 1894 წ.) ორივე ეს ორგანო ბურჟუაზიული მიმართულებისა იყო. მათში მოწინავე, დემოკრატიული შინაარსის წერილებთან ერთად იბეჭდებოდა ბურჟუაზიულ-ლიბერალური შინაარსის წერილებიც. გაზეთი „კვალი“ ფართოდ ათავსებდა აგრეთვე რევოლუციურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობის წერილებს, რომლებშიც ავტორები კლასთა ბრძოლის იდეის პროპაგანდას ეწეოდნენ. შემდეგში „კვალი“ პირველი ქართული მარქსისტული ორგანიზაციის „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობის ორგანოდ იქცა.

XIX საუკუნის მიწურულში მუშათა მოძრაობის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოში არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთის შექმნის საკითხი. 1901 წელს „მესამე დასის“ რევოლუციურმა უმცირესობამ მოახერხა გამოეცა მებრძოლი არალეგალური ორგანო გაზეთი „ბრძოლა“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო მარქსისტული გაზეთი იყო მთელ რუსეთში. „ბრძოლამ“ დასაბამი მისცა მუშათა კლასის პრესას საქართველოში. მაგრამ ნიადაგი ასეთი პრესისათვის ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საერთო-დემოკრატიულმა პრესამ მოამზადა.

საერთო-დემოკრატიული ქართული პრესის განვითარებაში განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვით: ი. ჭავჭავაძეს, გ. წერეთელს, ს. მესხს, ნ. ნიკოლაძეს, ა. წერეთელს, ივ.მაჩაბელს, კ. ლორთქიფანიძეს, ა. ფურცელაძეს და სხვებს. როგორც უკვე ვიცით, ი. ჭავჭავაძე რედაქტორობდა „საქართველოს მოამბეს“ და „ივერიას“, გარდა ამისა, ის უშუალო მონაწილეობას იღებდა „დროებისა“ და „კრებულის“ ხელმძღვანელობაში. გ. წერეთელი მთელი რიგი წლების განმავლობაში რედაქტორობდა „დროებას“, „კრებულს“, „სასოფლო გაზეთს“ და „კვალს“. თერგდალეულთა მთავარი ორგანოს გაზეთ „დროების“ ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო ნიჭიერი ჟურნალისტი და პუბლიცისტი ს. მესხი (1844—1883), რომელიც ათ წელიწადზე მეტ ხანს რედაქტორობდა „დროებას“ და მთელი თავისი ცოდნა და ენერგია ამ გაზეთის წარმატებას შესწირა. ასევე თავდადებით იღვწოდნენ ქართული დემოკრატიული პრესისათვის დანარჩენი თერგდალეულები.

გამოჩენილ ქართველ მწერლებთან და პუბლიცისტებთან ერთად, საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის პრესაში აქტიურად მონაწილეობდა თერგდალეულთა მოწინავე იდეებზე აღზრდილი ნიჭიერი ჟურნალისტების მთელი თაობა. 60-იანი წლებიდან მოკიდებული, ქართველი ჟურნალისტები უფრო და უფრო გაბედულად გამოდიოდნენ ხალხის ინტერესების დასაცავად. თუ უფროსი თაობის

ჟურნალისტთა—ივანე კერესელიძის, მიხეილ თუმანიშვილის (მოლაყბის), ნიკოლოზ ბერძენიშვილისა და სხვათა აზროვნებაში ჯერ კიდევ ლიბერალური შეხედულებები სჭარბობდა, შემდეგ არაჩვეულებრივად მრავლდება რიცხვი რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებების მქონე ჟურნალისტებისა და პუბლიცისტებისა, რომლებიც გვერდში ედგნენ მოწინავე ქართველ მწერლებს. 70—80-იან წლებში განსაკუთრებით ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ პუბლიცისტები და ჟურნალისტები: ესტატე მჭედლიძე (ბოსლეველი), ნიკოლოზ ავალიშვილი, დავით მიქელაძე (მეველე), მიხ. გურგენიძე, ალექსანდრე ნანეიშვილი, რომანოზ ფანცხავა (ხომლელი), გრიგოლ ყიფშიძე და სხვები. ბევრი მათგანი არ კმაყოფილდებოდა ჩვეულებრივი საჟურნალო-საგაზეთო წერილებით და აქვეყნებდა სერიოზულ ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაშრომებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის.

ქართულ გაზეთებთან ერთად XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში გამოდიოდა აგრეთვე სხვადასხვა მიმართულების რუსული და სომხური გაზეთები. 1878—1880 წლებში გამოდიოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი „ობზორი“, რომელსაც ნ. ნიკოლაძე რედაქტორობდა. ეს გაზეთი გაბედულად გამოდიოდა ხალხის ინტერესების დასაცავად. მთავრობის ოფიციალური ორგანო იყო გაზეთი „კავკაზი“, რომელიც 1846 წლიდან არსებობდა. ამ გაზეთში მთავრობის მოხელეებსა და რეაქციონერ მოღვაწეებთან ერთად ქართველი ლიბერალებიც მონაწილეობდნენ. 1873 წელს გამოსვლა იწყო ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების გაზეთმა „ტიფლისკი ვესტნიკმა“, რომელიც კ. ბებუთოვმა, დააარსა; გაზეთმა 1880 წლამდე იარსება. 1884 წელს გამოსვლას იწყებს ამავე მიმართულების ახალი გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, რომელიც ადგილობრივი ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა. 1872 წელს თბილისში დაარსდა სომხური ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების გაზეთი „მშაკი“ („მუშაკი“), რომელსაც გ. არწრუნი რედაქტორობდა.

პერიოდული პრესის ზრდასთან ერთად სწრაფად იზრდებოდა აგრეთვე ქართული წიგნის გამოცემა. თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში რამდენიმე წლის განმავლობაში საშუალოდ თითო წიგნი გამოდიოდა, საუკუნის მეორე ნახევარში ეს საშუალო რიცხვი წელიწადში რამდენიმე ათეულ წიგნს აღწევდა. ასე მაგალითად, 1868 წელს დაიბეჭდა 11 სახელწოდების ქართული წიგნი, 1878 წელს — 45, 1893 წელს — 93, ხოლო 1899 წელს — 112. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ანბანისა და სხვა სახელმძღვანელოების გამოცემას. მარტო 1868—1892 წლების განმავლობაში დაიბეჭდა 100 სახელწოდების ქართული სახელმძღვანელო.

რეფორმისშემდგომ ხანაში საგრძნობლად გაფართოვდა ქართული წიგნის მკითხველთა წრე. გაჩნდა ახალი, ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული მკითხველი. საუკუნეობრივი ფეოდალური უძრაობისა და ძილისაგან გამოფხიზლებული ხალხის მასები დაეწაფნენ წიგნს, ცოდნას. ამით აიხსნება, რომ რეფორმისშემდგომ ხანაში უაღრესად გაძლიერდა მოთხოვნილება არა მარტო სასკოლო სახელმძღვანელოებზე, არამედ მხატვრულ ლიტერატურაზეც. უკვე დიდი ტირაჟებით იბეჭდება ქართველი მწერლების ნ. ბარათაშვილის, გ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და სხვათა ნაწერები, აგრეთვე რუსეთისა და უცხოეთის მწერლების თხზულებათა თარგმანები. განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი შ. რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნისადმი“, რომელიც რამდენჯერმე დაიბეჭდა. მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ზრუნავდა იმისათვის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ იაფად გამოეცა და ხალხისათვის ხელმისაწვდომი გაეხადა. თუ რამდენად გაიზარდა ხალხში წიგნისადმი სიყვარული, ამას მოწმობს ხალხური „არსენას ლექსის“ არაჩვეულებრივი წარმატება. ამ პატარა წიგნაკს ხალხი ბაზარზე გამოსვლისთანავე იტაცებდა. 1872 წლიდან მოკიდებული 1892 წლამდე „არსენას ლექსი“ ოცდახუთჯერ გამოიცა.

ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში როგორც ქართული პერიოდული პრესის, ისე ქართული წიგნის გამოცემა სწრაფად ვითარდებოდა. ეს იყო ქართული ეროვნული კულტურის აღმავლობის ერთერთი უტყუარი ნიშანი.

§ 2. ლიტერატურა და ხელოვნება

ქართული ლიტერატურა

ქართული კულტურის წინსვლას განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ასახავდა მხატვრული ლიტერატურის განვითარება. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ლიტერატურის გამოჩენილმა კლასიკოსებმა ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ, ა. ყაზბეგმა და სხვებმა შექმნეს ბრწყინვალე პოეტური და პროზაული ნაწარმოებები, რომლებშიც არაჩვეულებრივი სიძლიერით გამოჩნდა ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენია.

ქართული ლიტერატურის წარმატებას ხელი შეუწყო მისმა მჭიდრო კავშირმა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. მოწინავე ქართველი მწერლები იმავე დროს იყვნენ მოწინავე მოაზროვნეები და საზოგადოებრივი მოღვაწენი, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის. ქართველმა დემოკრატმა მწერლებმა გადაჭრით

უარყვეს ხელოვნების იდეალისტური თეორია, რომლის ლოზუნგი იყო „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, და რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის დახმარებით მეიმუშავეს ხელოვნების ახალი, მატერიალისტური მოძღვრება, რომელიც ხელოვნების მიზანს ხალხისადმი სამსახურში ხედავდა. ამის შესაბამისად ქართულ ლიტერატურაში გაბატონდა მოწინავე შემოქმედებითი მეთოდი — რეალიზმი.

ქართული რეალისტური ლიტერატურა იზრდებოდა და ვითარდებოდა შეურიგებელ ბრძოლაში ფეოდალური წყობილების დროს გაბატონებული, ხალხისაგან მოწყვეტილი იდეალისტურ-კლერიკალური კულტურის წინააღმდეგ, საერთო-სახალხო ენისა და ლიტერატურისათვის. რეალისტი მწერლები უდიდესი სიყვარულით და სიმართლით აშუქებდნენ მშრომელი ხალხის ცხოვრებას, ამასთანავე ისინი გაბედულად აკრიტიკებდნენ ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრაზე დამყარებულ წყობილებას და მოუწოდებდნენ ხალხს უკეთესი მომავლისაკენ. მათი რეალიზმი კრიტიკული რეალიზმი იყო.

პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართულ ლიტერატურაში რეალიზმის დამკვიდრებისათვის გადადგა დრამატურგმა გიორგი ერისთავმა (1811—1864), რომლის შემოქმედება 40—50-იან წლებში გაიფურჩქნა. მართალია, თავის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებში მწერალი არსებითად ვერ გასცდა ლიბერალური თავადაზნაურობის მსოფლმხედველობას. მაგრამ მხატერულ ნაწარმოებებში რეალიზმის მეთოდის მომარჯვებამ მას საშუალება მისცა დიდი სიმართლით დაეხატა რეფორმისწინა ხანის საქართველოს ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები. გ. ერისთავმა დაწერა შესანიშნავი კომედიები: „დავა“, „გაყრა“, „ძუნწი“. „წარსული დროების სურათები“ და სხვა, რომლებშიც ნიჭიერად არის ასახული. ერთი მხრივ, ფეოდალური წყობილების რღვევა და ქართველი თავადაზნაურობის გადაგვარება, ხოლო მეორე მხრივ, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება და სავაჭრო ბურჟუაზიის ზრდა.

გ. ერისთავის რეალისტური ხაზი დრამატურგიაში განაგრძეს ზურაბ ანტონოვმა (1820—1854) და აკსენტი ცაგარელმა (1857—1902). ზ. ანტონოვმა დაწერა კომედიები: „მზის დაბნელება საქართველოში“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“, „მე მინდა კნეინა გავხდე“ და სხვები. ეს კომედიები, განსაკუთრებით კი „მზის დაბნელება საქართველოში“, წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრის სცენაზე. ნიჭიერი დრამატურგის ა. ცაგარლის პიესებიგან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა კომედიები: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ხანუმა“, „ციმბირელი“ და სხვ.

ქართული რეალისტური ლიტერატურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ლავრენტი არდაზიანის (1815—1870)

რომანს „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, რომელშიც დახატულია რეფორმისწინა ხანის საქართველოში ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების ტიპიური სურათი.

განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულება 50-იანი წლების ბოლოს კრიტიკულმა რეალიზმმა ჰპოვა დანიელ ჭონქაძის (1830—1860) შემოქმედებაში. მისი შესანიშნავი მოთხრობა „სურამის ციხე“ ქართული ლიტერატურის პირველი დიდი პროზაული ნაწარმოებია, რომელშიც აისახა ბატონყმური უღლისაგან დაჩაგრული გლეხობის სულისკვეთება.

60-იანი წლებიდან იწყება ქართული რეალისტური ლიტერატურის ნამდვილი აყვავების ხანა. ამ დროს დაიწყეს თავიანთი შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებების გამოქვეყნება ქართული ლიტერატურის კორიფეებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. ილიას უკვდავი ლექსები, პოემები და მოთხრობები, — „ყვარლის მთებს“, „გუთნის დედა“, „ნანა“, „მესმის, მესმის“, „კომუნის დაცემის დღე“, „აჩრდილი“, „კაკო ყაჩალი“, „განდეგილი“, „კაცია ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“, ოთარაანთ ქვრივი“ და მრავალი სხვა; აკაკის ბრწყინვალე პოეტური და პროზაული ნაწარმოებები „სალამური“, „მუშური“, „გლეხის აღსარება“, „ციცინათელა“, „აღმართ-აღმართ“, „გაზაფხული“, „ხანჯალს“, „თორნიკე ერისთავი“, „პატარა კახი“, „ნათელა“, „ბაში-აჩუკი და სხვ.,—უდიდესი სიღრმითა და სიძლიერით აშუქებენ საქართველოს მაშინდელი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, გამოხატავენ ქართველი ხალხის სულისკვეთებას, მის აზრებს, ფიქრებსა და მისწრაფებებს. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ახალი ქართული ენისა და ლიტერატურის ფუძემდებლები არიან. ქართველი ხალხის ეს საამაყო მწერლები მრავალი ათეული წლის განმავლობაში მეთაურობდნენ ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის წინსვლას.

XIX საუკუნის მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში, ილიასა და აკაკისთან ერთად, უაღრესად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი რეალისტი მწერლები, — პროზაიკოსი გიორგი წერეთელი (1842—1900) და პოეტი რაფიელ ერისთავი (1824—1901).

გ. წერეთელი ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად დაუღალავად მუშაობდა მხატვრული პროზის დარგში. მან დაწერა რომანები „პირველი ნაბიჯი“ და „გულქანი“, მოთხრობები „რუხი მგელი“, „მამიდა ასმათი“, „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“, „განწირული“ და სხვ. ამ ნაწარმოებებში, განსაკუთრებით კი რომანში „პირველი ნაბიჯი“, დიდი სიმართლით არის ასახული საქართველოში ფეოდალური წყობილების რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესი.

რ. ერისთავის პოეზიის მთავარი თემა ქართველი გლეხის ცხოვრება იყო. პოეტი ჯერ კიდევ საგლეხო რეფორმამდე დიდი ხნით ადრე

გამოექომაგა ჩაგრულ გლეხობას. შემდეგში მან გამოაქვეყნა მრავალი შესანიშნავი, დიდი გულწრფელობით დაწერილი ლექსი, რომლებშიც ღარიბი გლეხობის ფიქრები და გრძნობებია გამოხატული. რ. ერისთავის პოეზია შეეხო ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრის პრობლემასაც. მისი მშვენიერი პატრიოტული ლექსი „სამშობლო ხევსურისა“ მთელმა ქართველმა ხალხმა შეიყვარა. რ. ერისთავმა ვერ შეძლო დაეხატა მეამბოხე, რევოლუციონერ გლეხთა ტიპები.

60—70-იან წლებში განაგრძობდა ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას გამოჩენილი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანიც. ამ პერიოდში მისმა პოეზიამ განიცადა ახალი, დემოკრატიული თაობის აზროვნების გავლენა. 1876 წელს გ. ორბელიანმა გამოაქვეყნა ლექსი „მუშა ბოქულაძე“, რომელიც ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი შესანიშნავი პოეტური ნაწარმოებია.

80—90-იან წლებში ქართული რეალისტური ლიტერატურა ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებებით გაამდიდრეს დიდმა ქართველმა დემოკარტმა მწერლებმა ვაჟა-ფშაველამ და ალექსანდრე ყაზბეგმა. მხატვრული სიტყვის ამ გამოჩენილმა ოსტატებმა თავიანთ უკვდავ პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებში არაჩვეულებრივი ძლიერებით ასახეს ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან გამოწვეული ტკივილები. ვაჟა-ფშაველას და ა. ყაზბეგის ნაწარმოებთა გმირების მოქმედება მთის რაიონებში მიმდინარეობს, მაგრამ მათი ფიქრები და მისწრაფებები მთელი ქართველი ხალხის სულისკვეთებას გამოხატავს. ვაჟა-ფშაველას მრავალრიცხოვანი ლექსები და მოთხრობები, განსაკუთრებით კი მისი უკვდავი პოემები — „გოგოთურ და აფშინა“, „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველის მჭამელი“ და სხვა, ქართული ლიტერატურის ფასდაუდებელი განძია. ქართული რეალისტური პროზის განვითარებისათვის უარღესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ა. ყაზბეგის ისეთ შესანიშნავ მოთხრობებსა და რომანებს, როგორიცაა „ელგუჯა“, „ელისო“, „მამის მკვლელი“, „ხევისბერი გოჩა“, „მოძღვარი“ და სხვები.

70—80-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირეს ხალხოსნური მიმართულების მწერლებმა: ეკატერინე გაბაშვილმა (1851—1938), ანტონ ფურცელაძემ (1839—1919), ნიკო ლომოურმა (1852—1915), სოფრომ მგალობლიშვილმა (1851—1925), ზაქარია (შაქრო) გულისაშვილმა (1857—1913) და სხვებმა. მათ ბიერ დაწერილ მრავალრიცხოვან მოთხრობებში დახატულია ქართველი გლეხობის ცხოვრება და მოცემულია მაშინდელი წყობილების კრიტიკა ხალხოსნური იდეების თვალსაზრისით. ხალხოსანი მწერლები, განსაკუთრებით ა. ფურცელაძე და ე. გაბაშვილი, განიცდიდნენ თერგდალეულთა იდეების ძლიერ გავლენას. მხატვრულობის თვალსაზრისით

ხალხოსან მწერალთა ნაწარმოებები არ გამოირჩევა მაინცდამაინც შაღალი ოსტატობით. გამონაკლისს წარმოადგენს ე. გაბაშვილისა და ნ. ლომოურის პროზა, რომელიც ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების სიმაღლეზე დგას.

90-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოდიან ნიჭიერი რეალისტი მწერლები ეგნატე ნინოშვილი, დავით კლდიაშვილი, იროდიონ ევდოშვილი, ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი და სხვები. ამ მწერალთა მხატვრულ ნაწარმოებებში აისახა ის დიდი სოციალ-პოლიტიკური ცვლილებები, რომელიც იმ დროს მოხდა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ე. ნინოშვილმა (ინგოროყვამ), როგორც ითქვა, განაგრძო და განაითარა ქართული რეალისტიური-დემოკრატიული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები. მან დაწერა შესანიშნავი მოთხრობები: „გოგია უიშვილი“, „პალიასტომის ტბა“, „მოსე მწერალი“, „განკარგულება“, „სიმონა“, „ქრისტინე“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ და სხვ. აგრეთვე ისტორიული რომანი „ჯანყი გურიაში“. ე. ნინოშვილის ნაწარმოებთა უმრავლესობა მიძღვნილია ღარიბი გლეხობის ცხოვრებისადმი. მწერალი ხატავს მებრძოლი გლეხების ტიპებს, რომლებიც იარაღით ხელში იბრძვიან არა მარტო ბატონყმური წყობილების ნაშთების, არამედ, აგრეთვე, ახალგაჩენილი სოფლის ბურჟუების (კულაკების) წინააღმდეგ.

ე. ნინოშვილი სწავლობდა მუშათა კლასის ცხოვრებას და წერდა მოთხრობას მუშათა ცხოვრებიდან, მაგრამ მას აღარ დასცალდა თავისი განზრახვის შესრულება. მისი გზა წარმატებით განაგრძო პოეტმა იროდიონ ევდოშვილმა (ხოსიტაშვილმა) (1873—1915). თავის შესანიშნავ, რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილ ლექსებში ირ. ევდოშვილმა ჯერ კიდევ 90-იან წლებში უმღერა საქართველოს გმირულ მუშათა კლასს, რომელიც ემზადებოდა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

დავით კლდიაშვილის (1862—1931) შემოქმედებაში განსაკუთრებით მკაფიოდ აისახა ქართველი თავადაზნაურობის გადაგვარების პროცესი. მისი ნიჭიერად, ძლიერი იუმორით დაწერილი მოთხრობები და პიესები — „სოლომონ მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება“, „დარისპანის გასაჭირი“ და სხვები, — არაჩვეულებრივი სიზუსტითა და სიმართლით გადმოგვცემენ ეკონომიურად და სულიერად დაკნინებული წოდების, — „შემოდგომის აზნაურების“ — ცხოვრებას.

ქალაქისა და სოფლის ცხოვრების, აგრეთვე საქართველოს ისტორიული წარსულის რეალისტური სურათები დახატეს თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებში მწერლებმა: ვ. ბარნოვმა, შ. არაგვისპირელმა

(დედაბრიშვილმა), ლალიონმა (არსენ მამულაშვილმა), ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამ, დუტუ მეგრელმა (დიმიტრი ხოშტარიამ), საბავშვო მწერალმა შიო მღვიმელმა და სხვებმა, რომლებმაც 90-იან წლებში დაიწყეს თავიანთი შემოქმედებითი გზა.

XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, თუ რა გზით შეიძლებოდა ხალხისათვის ბედნიერების მოპოვება, მათი მსოფლმხედველობა ისტორიულად შეზღუდული იყო. ამით აიხსნება, რომ მათ ნაწერებში ეხვდებით იდეურ შეცდომებსა და ამა თუ იმ ნაკლოვანებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმდროინდელმა ქართულმა ლიტერატურამ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. ეს იყო რეალისტური და დემოკრატიული ლიტერატურა, რომელიც ხალხის ინტერესებს ემსახურებოდა.

თეატრი

ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქართული თეატრი აღდგენილ იქნა 1850 წელს, დრამატურგ გიორგი ერისთავის თაოსნობით. ეს თეატრი თავიდანვე რეალისტური ხელოვნების გზას გაჰყვა. მის სცენაზე იდგმებოდა გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის შესანიშნავი პიესები, უმთავრესად კომედიები, რომლებშიც ავტორები სატირის შოლტით ამათრახებდნენ გადაგვარებულ თავადაზნაურობას, ვაჭარ-მევახშეებს, მეფის მოხელეებს.

მუდმივი თეატრის აღდგენა დიდი კულტურული მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში, მაგრამ ახლად აღდგენილ თეატრს უაღრესად ძნელ პირობებში უხდებოდა არსებობა და განვითარება. მეფის მოხელეები ყოველნაირად დევნიდნენ და ავიწროებდნენ ქართულ თეატრს: წაართვეს მას შენობა, სასტიკი ცენზურა დაუწესეს რეპერტუარზე და ა. შ. ყოველივე ამის გამო, 1856 წელს გ. ერისთავის თეატრის დასი დაიშალა. მას შემდეგ 70-იანი წლების ბოლომდე მუდმივი დასი აღარ ყოფილა და ქართული თეატრი მხოლოდ სცენისმოყვარეთა ძალებით ახერხებდა არსებობის შენარჩუნებას.

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების ახალი, მეტად ნაყოფიერი საფეხური იწყება 1879 წლიდან, როდესაც თბილისში ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ხელმძღვანელობით მოწინავე ქართველ მოღვაწეთა ჯგუფმა მოახერხა პროფესიული დრამატული თეატრის ხელახლა აღდგენა. ერთი წლის შემდეგ დრამატული თეატრი დაარსდა აგრეთვე ქუთაისში. იმ დროს ქართულ თეატრში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მსახიობები და რეჟისორები ვასო აბაშიძე (1854—1926), ლადო მესხიშვილი (1857—1930), ნატო გაბუნია (1859—1910), მაკო საფაროვა-აბაშიძისა (1860—1940), კოტე ყიფიანი (1849—1921), კოტე მესხი (1859—1914) და ვალერიან გუნია (1862—1938). ესენი იყვნენ

ქართული სცენის უნიჭიერესი ოსტატები, რომლებმაც თეატრალური ხელოვნება მანამდე არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს.

80—90-იანი წლების რეაქციის ხანაში ქართულმა თეატრმა უდიდესი პროგრესული როლი ითამაშა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. თეატრის სცენაზე იდგმებოდა ორიგინალური და ნათარგმნი რეალისტური პიესები ისეთი გამოჩენილი მწერლებისა, როგორიც იყვნენ: გ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ა. გრიბოედოვი, ნ. გოგოლი, ა. ოსტროვსკი, უ. შექსპირი, ფ. შილერი და სხვები. თეატრის წარმატებას ხელს უწყობდა მისი მჭიდრო კავშირი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებთან, რის შედეგად ქართული თეატრის სცენა განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდის ტრიბუნად გადაიქცა. მაყურებელთა შორის განსაკუთრებით ფართო პოპულარობით სარგებლობდა შესანიშნავი პატრიოტული პიესები — დ. ერისთავის „სამშობლო“, ხოლო ცხრაასიანი წლების დამდეგს ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“, რომლებიც უშუალოდ ეხმაურებოდნენ ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების იდეებს.

ქართული თეატრი და მისი მოღვაწენი უაღრესად მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული რუსული თეატრის, კერძოდ, მოსკოვის სახელგანთქმული მცირე თეატრის მოწინავე მოღვაწეებთან და ყოველთვის სარგებლობდნენ მათი დახმარებითა და მხარდაჭერით. ბევრმა ქართველმა თეატრალურმა მოღვაწემ განათლება რუსეთში მიიღო და მოწინავე რუსული ხელოვნების უშუალო გავლენა განიცადა. ქართული თეატრის კავშირს რუსეთის თეატრებთან დიდად შეუწყო ხელი ნიჭიერი დრამატურგის, რეჟისორისა და მსახიობის ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის ხანგრძლივმა და ნაყოფიერმა მოღვაწეობამ მოსკოვის მცირე თეატრში.

სახვითი ხელოვნება

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში შეიქმნა ახალი, ღრმად ეროვნული სახვითი ხელოვნება, რომელიც წარმოადგენდა ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების უაღრესად მნიშვნელოვან ისტორიულ საფეხურს. განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატება დაეტყო ფერწერას. ქართველმა მხატვრებმა, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და თავიანთ შემოქმედებაში ხალხურობის პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, შექმნეს მრავალი შესანიშნავი, ხალხის ცხოვრების რეალისტურად ამსახველი ტილო.

60—70-იან წლებში ნაყოფიერად მუშაობდა მხცოვანი მხატვარი გრიგოლ მაისურაძე (1814—1885), რომლის შემოქმედებაში სულ უფრო მეტად იჩენდა თავს დემოკრატიულ-რეალისტური ხელოვნების სულისკვეთება. გ. მაისურაძე პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ყოფილი

ყმა იყო, ის ჯერ კიდევ 1837—1844 წლებში სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. გ. მაისურაძემ მრავალი საუკეთესო პორტრეტი შექმნა და საგრძნობლად წასწია წინ ქართული პორტრეტული მხატვრობა. 60-იან წლებში დაიწყო მუშაობა ნიჭიერმა თვითნასწავლმა მხატვარ-გრავიორმა გრიგოლ ტატიშვილმა (1838—1911), რომელმაც დიდი როლი ითამაშა ქართული გრაფიკის განვითარებაში.

ახალი ქართული სახვითი ხელოვნება განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება 80-იანი წლების დასაწყისიდან. ამ დროს შემოქმედების სარბიელზე გამოვიდნენ შესანიშნავი მხატვრები რომანოზ გველესიანი (1859—1884) და ალექსანდრე ბერიძე (1858—1917), რომლებმაც მნიშვნელოვნად გააღრმავეს და გააფართოეს ქართული ფერწერის რეალისტური ტრადიციები. რ. გველესიანი და ა. ბერიძე პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდნენ. არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებულმა რ. გველესიანმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე შექმნა საინტერესო რეალისტური ნაწარმოებები: „კახელი დოქით", „უცნობის პორტრეტი", „ქართველი მანდილოსანი", „ალავერდის ხიდი", „მოედანი" და სხვები. ა. ბერიძის მრავალრიცხოვან ნაწარმოებთაგან საუკეთესოა: „მწყემსი", „სალამურზე დამკვრელი ბიჭი", „მოხუცი ქალი აივანზე", „პატარა გოგონა წინდას ქსოვს" და სხვ. ა. ბერიძემ დიდი როლი ითამაშა აგრეთვე ქართული თეატრალური მხატვრობის განვითარებაში.

ახალი ქართული რეალისტური ფერწერის ნამდვილი ფუძემდებელი და უდიდესი წარმომადგენელია გამოჩენილი მხატვარი გიგო გაბაშვილი (1862—1936), რომელმაც მრავალი ბრწყინვალე მხატვრული ტილო შექმნა. გ. გაბაშვილი ახალგაზრდობიდანვე გატაცებული იყო მხატვრობით. 1886—1888 წლებში გ. გაბაშვილი სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. აქ ის გულმოდგინედ დაეწაფა მოწინავე რუსული სახვითი ხელოვნების შესწავლას. განსაკუთრებით გატაცებული იყო დიდი რუსი მხატვრის ი. რეპინის შემოქმედებით. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გ. გაბაშვილმა მოაწყო თავისი ნაწარმოებების გამოფენა (1891 წ.), რომელზედაც 70-მდე სურათი წარმოადგინა. ამ გამოფენამ გ. გაბაშვილს გამოჩენილი რეალისტი მხატვრის სახელი დაუმკვიდრა. 1894 წელს გ. გაბაშვილმა იმოგზაურა შუა აზიაში და მრავალი კოლორიტული სურათი შექმნა სამარყანდისა და ბუხარის ცხოვრებიდან. იმავე წელს ის გაემგზავრა ევროპაში სწავლის გასაღრმავებლად, წარმატებით დაამთავრა მიუნხენის სამხატვრო აკადემია (1897 წ.), იმოგზაურა იტალიასა და საბერძნეთში.

გ. გაბაშვილმა ორი ათასზე მეტი სურათი დაგვიტოვა. მათი უდიდესი უმრავლესობა ასახავს ქართველი ხალხის ცხოერების სხვადასხვა მხარეს და საქართველოს თვალწარმტაც ბუნებას. ღრმა იდეურ-მხატვ-

რული ჩანაფიქრითა და შესრულების ოსტატობით განსაკუთრებით გამოირჩევა „სამი მოქალაქე", „მძინარე ხევსური", „მთრალი ხევსური", „ბაზარი სამარყანდში", „ალაერდობა", „ტივებზე", „მუსიკოს დე როზას პორტრეტი", „უცნობი ქართველი თავადის პორტრეტი", „განთიადზე სასაფლაოს ეკლესიასთან", „ჰიდაობა" და მრავალი სხვა.

ახალი ქართული ფერწერის გამოჩენილი წარმომადგენელია აგრეთვე ალექსანდრე მრევლიშვილი (1866—1933), რომლის შემოქმედება 90-იან წლებში გაიფურჩქნა. ალ. მრევლიშვილმა 1890 წელს წარმატებით დაამთავრა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი. შემდეგ იგი სწავლობდა პარიზში, მოგზაურობდა იტალიასა და გერმანიაში. ა. მრევლიშვილი დიდხანს ცხოვრობდა გლეხებს შორის თავის სამშობლო მცხეთაში და თვითონაც სოფლის მეურნეობას ეწეოდა, მან ზედმიწევნით კარგად შეისწავლა ღარიბი გლეხობის ცხოვრება.

ა. მრევლიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა რეეოლუციურ-დემოკრატიული ხელოვნების სულისკვეთება. მხატვარმა მთელი თავისი შემოქმედება ღარიბი და დაჩაგრული ხალხის ცხოვრების რეალისტურ ასახვას მიუძღვნა. ა. მრევლიშვილმა შექმნა ღრმად იდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებები: „დაბალი ღობე", „სოფლის კანცელარიის წინ", „დრამის აკრეფა", „ჯვარედინ გზაზე", „სოფლელი ბიჭი და მდიდარი ქალები" და სხვები.

90-იან წლებში დაიწყეს თავიანთი შემოქმედებითი გზა, აგრეთვე, ღარიბი გლეხის წრიდან გამოსულმა დიდად ნიჭიერმა მხატვრებმა ანტონ გოგიაშვილმა (1878—1907) და მოსე თოიძემ (1871—1954), რომელთა მრავალრიცხოვანი ნაწარმოებები ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ.

90-იანი წლების ბოლოს იწყებს მოღვაწეობას გამოჩენილი ქართველი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე (1876—1951), რომელიც ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებელია. მისი პირველი მნიშვნელოვანი ქანდაკება „შოთა რუსთაველი" გამოფენილი იყო 1897 წელს. შემდგომ ი. ნიკოლაძემ შექმნა მრავალი შესანიშნავი რეალისტური ნაწარმოები.

ახალი ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებას ხელი შეუწყო მისმა სიახლოვემ მოწინავე რუსულ ხელოვნებასთან. ქართველი მხატვრები რუსული რეალისტური მხატვრობის დიდ გავლენას განიცდიდნენ. ისინი სწავლობდნენ ისეთი სახელოვანი ოსტატებისაგან, როგორიც იყვნენ: ი. რეპინი, ი. კრამსკოი, ვ. სურიკოვი, პ. პეროვი, ი. ლევიტანი და სხვ. რუსი მხატვრები ხშირად ჩამოდიოდნენ და მოღვაწეობდნენ საქართველოში. აარსებდნენ აქ სამხატვრო სკოლებს,

ეხმარებოდნენ ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს ფერწერის ოსტატობის ათვისებაში.

ქართული მუსიკა

ქართველმა ხალხმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე შექმნა უაღრესად მდიდარი, მრავალფეროვანი და ლამაზი მუსიკა, რომელშიც ასახულია ხალხის ფიქრები და გრძნობები, განცდები და მისწრაფებები. ქართული ხალხური მუსიკა ორიგინალური და თავისებური მუსიკაა. მისი დამახასიათებელი თავისებურებაა მრავალხმიანობა (ქართული ხალხური სიმღერა ძირითადად სამხმიანია). თუ წინათ, ფეოდალიზმის ეპოქაში, ქართული პროფესიული მუსიკა უმთავრესად ეკლესიის ხელში იყო და მის ინტერესებს ემსახურებოდა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საფუძველი ჩაეყარა ახალ, საერო პროფესიულ მუსიკალურ ხელოვნებას, რომელიც იზრდებოდა და ვითარდებოდა ხალხური მუსიკის საფუძველზე, რუსეთისა და ევროპის განვითარებული მუსიკალური კულტურის მიღწევათა ფართოდ გამოყენებით.

საქართველოში მუსიკალური ცხოვრება საგრძნობლად გამოცოცხლდა უკვე 50—60-იან წლებში. 1851 წელს თბილისში მოწვეულ იქნა იტალიური დასი და გაიხსნა საოპერო თეატრი, რამაც ხელი შეუწყო მუსიკალური კულტურის ზრდა-განვითარებას. ამავე დროს გაძლიერდა ინტერესი ქართული ხალხური მუსიკისადმი. გამოჩნდნენ განათლებული ქართველი პროფესიული მუსიკოსები, რომლებმაც შეამზადეს პირობები ახალი ეროვნული მუსიკალური ხელოვნების შესაქმნელად.

ახალი ქართული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი პირველი გამოჩენილი მოღვაწე იყო ნიჭიერი მომღერალი ხარლამპი სავანელი (1845—1890), რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებთან, ხ. სავანელი გენიალურ რუს კომპოზიტორ პ. ჩაიკოვსკისთან ერთად სწავლობდა პეტერბურგის კონსერვატორიაში, მისი დამთავრების შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა და გატაცებით შეუდგა ქართული საერო პროფესიული მუსიკის აღორძინების საქმეს. 1873 წელს მან დააარსა საგუნდო კურსები, რომელიც შემდეგ გაფართოვდა და იქცა მუსიკალურ კურსებად, ხოლო 1885 წელს გადაკეთდა პირველ ქართულ მუსიკალურ სასწავლებლად, რომლის საფუძველზედაც შეიქმნა შემდეგ საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორია.

ხ. სავანელთან ერთად 60—80-იან წლებში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა და მუსიკალური კურსების დაარსებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა შესანიშნავი ქართველი პიანისტი და კომპოზიტორი ალოიზ მიზანდარი (1838—1912). ა. მიზანდარი ჯერ პეტერბურგში სწავლობ-

და, შემდეგ რამდენიმე წელს პარიზსა და ვენაში მოღვაწეობდა. 1868 წლიდან კი თბილისში დასახლდა და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ხალხში პროფესიული მუსიკალური განათლების გავრცელების საქმეს ემსახურებოდა.

80-იან წლებში ქართული მუსიკის წარმატებისათვის მოღვაწეთა წრე მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 1885 წელს ლადო აღნიაშვილმა (1860—1904) დააარსა ქართული ხალხური სიმღერების გუნდი, რომლის ხელმძღვანელად მოიწვია ჩეხი მუსიკოსი ი. რატილი. გუნდი მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, აწყობდა ეთნოგრაფიულ კონცერტებს, ეწეოდა ქართული ხალხური მუსიკის პროპაგანდას. იმავე ხანებში სამოღვაწეო სარბიელზე გამოვიდა შესანიშნავი მუსიკოსებისა და კომპოზიტორების მთელი ჯგუფი, რომელთაგან ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში განსაკუთრებით თვალსაჩინო როლი შეასრულეს: ფილიმონ ქორიძემ (1830—1911), მელიტონ ბალანჩივაძემ (1862—1937), ილია კარგარეთელმა (1867—1939), ანდრია ყარაშვილმა (1857—1925), ზაქარია ჩხიკვაძემ (1862—1930), ანდრია ბენაშვილმა (1850—1908) და სხვებმა. ისინი სიყვარულით აგროვებდნენ ხალხურ სიმღერებს, ეწეოდნენ ქართული მუსიკის პროპაგანდას, ამზადებდნენ და ზრდიდნენ მუსიკოსთა ახალ კადრებს. მათვე გადადგეს პირველი სერიოზული ნაბიჯები კომპოზიციის (მუსიკის შეთხზვის) დარგში.

იმდროინდელი ჩვენი მუსიკის მოღვაწეები იბრძოდნენ ახალი, რეალისტური და დემოკრატიული ქართული მუსიკალური კულტურისათვის. ამ ბრძოლაში მათ დიდ დახმარებას უწევდნენ რუსეთის მუსიკალური საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენლები. რუსეთის გამოჩენილი კომპოზიტორები დიდად აფასებდნენ ქართულ ხალხურ მუსიკას. ბევრი მათგანი (მაგალითად, მ. გლინკა, მ. ბალაკირევი, ა. რუბინშტეინი, პ. ჩაიკოვსკი, მ. იპოლიტოვ-ივანოვი და სხვები) საგანგებოდ სწავლობდა და შემდეგ თავის ნაწარმოებებში იყენებდა ქართული ხალხური მუსიკის ჰანგებს. განსაკუთრებით დიდი დახმარება გაუწია ქართველ მუსიკოსებს რუსეთის გამოჩენილმა კომპოზიტორმა მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვმა (1859—1935), რომელიც დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული მუსიკალური კულტურის აღორძინების საქმეში.

80—90-იან წლებში ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარება საგრძნობლად წავიდა წინ. შეიქმნა და ფართოდ გავრცელდა ქართველი კომპოზიტორების რომანსები, მომწიფდა პირობები საოპერო ხელოვნების განვითარებისათვის. 1897 წელს პეტებურგში

დაიდგა ნაწყვეტები მ. ბალანჩივაძის ოპერიდან „თამარ ცბიერი“. ეს იყო ქართული ოპერის შექმნის პირველი ცდა. მ. ბალანჩივაძის მიერ დაწყებული გზა განაგრძეს ზაქარია ფალიაშვილმა (1872—1933) და დიმიტრი არაყიშვილმა (1873—1953), რომლებიც შემოქმედებით სარბიელზე გამოვიდნენ XX საუკუნის დასაწყისში.

ქართული მუსიკალური კულტურის შემდგომი განვითარებისათვის განსაკუთრებით ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას. მისმა უკვდავმა ოპერებმა („აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), ქართული პროფესიული მუსიკა გაუთანაბრა რუსეთისა და ევროპის საოპერო ხელოვნების მწვერვალებს.

1958 წ.

ნაწილი მეორე

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სოციალური არსის საწორი გაგებისათვის

(ერთი მცდარი ისტორიული კონცეფციის გამო)*

ვისაც ქართული ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებისათვის უკანასკნელ 20—25 წლის მანძილზე თვალი უდევნებია, მას არ შეეძლო არ შეემჩნია XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის, კერძოდ, თერგდალეულთა მოღვაწეობისა და აზროვნების ისტორიის შესასწავლად ქართველი მეცნიერების მიერ გაწეული უაღრესად ნაყოფიერი მუშაობა, რომლის შედეგები გარკვევით აისახა ჯერ კიდევ 1958 წელს აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით გამოცემულ სასკოლოსა და დამხმარე სახელმძღვანელოებში. მრავალი მეცნიერის (მათ შორის ამ სტრიქონების ავტორის) ხანგრძლივ კვლევა-ძიების შედეგად, ეჭვმიუტანლად დადგინდა, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლების გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი, რომლებსაც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მეთაურობდნენ, არ ყოფილან არც თავადაზნაურთა იდეოლოგები ანუ რეაქციონერები, არც ბურჟუაზიის იდეოლოგები ანუ ლიბერალები. თერგდალეულები იყვნენ მშრომელი ხალხის (გლეხობა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა) იდეოლოგები, მისი ინტერესების, სულისკვეთებისა და მისწრაფებების გამომხატველნი; ისინი იყვნენ ნამდვილი რევოლუციონერი დემოკრატები. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელები და მედროშენი. ამით აიხსნება, რომ თერგდალეულები დაუნდობლად ებრძოდნენ არა მარტო ცარიზმსა და მის კოლონიურ პოლიტიკას. არამედ საქართველოს გაბატონებული კლასების წარმომადგენლებსაც — როგორც აშკარა რეაქციონერებს, ისე თავადაზნაურულ და ბურჟუაზიულ ლიბერალებს; თერგდალეულები იბრ-

* ეს სტატია დაიბეჭდა ჟურნ. „მნათობში", 1978 წელს.

ძოდნენ ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. მართალია, ამ შესანიშნავმა ადამიანებმა ვერ მიაგნეს მშრომელთა განთავისუფლების ნამდვილ გზას, მაგრამ მათ მოღვაწეობას მაინც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა: თერგდალეულებმა გამოაღვიძეს და გაანათლეს ქართველი ხალხი, მოამზადეს იგი 1905 წლის სახელოვანი რევოლუციისათვის.

ნათქვამიდან თავისთავად გამომდინარეობს ის უდავო ჭეშმარიტება, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც თერგდალეულები ხელმძღვანელობდნენ, გამოხატავდა არა ექსპლოატატორული კლასების — თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ინტერესებს, არამედ მშრომელი ხალხის ინტერესებს; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო თავისი დროის უაღრესად პროგრესული მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის განთავისუფლებას როგორც სოციალური, ისე ეროვნული ჩაგვრისაგან.

ეს ჭეშმარიტება ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ ამ ოცი წლის წინათ იყო მეცნიერულად დასაბუთებული, და იმდენად დამაჯერებლად, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილმა შესაძლებლად მიიჩნია მისი სასკოლო სახელმძღვანელოში შეტანა. მას შემდეგ არ აღმოჩენილა არც ერთი მეცნიერულად შემოწმებული ფაქტი, რომელიც ზემოთ ჩამოყალიბებულ დებულებებს ოდნავ მაინც ეჭვის ქვეშ დააყენებდა; პირიქით, გამოქვეყნდა ახალი სერიოზული გამოკვლევები, რომლებშიც თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის დამადასტურებელი უამრავი, მანამდე უცნობი ფაქტია გამომზეურებული. ხსენებული ფაქტები, რომლებიც ახალი საარქივო მასალებით დასტურდება, უდიდესი დამაჯერებლობით მოწმობენ, რომ ქართველი სამოციანელები, რუს სამოციანელებთან ერთად, რომლებსაც ნ. ჩერნიშევსკი ხელმძღვანელობდა, უაღრესად აქტიურ ლეგალურ და არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად, ცარიზმისა და ექსპლოატატორული კლასების დასამხობად.

ასეთ ვითარებაში ჩვენ სრული საფუძველი გვქონდა გვეფიქრა, რომ ამიერიდან არც თერგდალეულთა საზოგადოებრივი შეხედულებებისა და არც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სოციალურ-კლასობრივი ბუნების საკითხი აღარ შეიძლებოდა სადავო ყოფილიყო; იმედი გვქონდა, რომ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს მკვლევრები, რომლებიც ღირსნი არიან ამ სახელისა, საბოლოოდ აიღებდნენ ხელს თერგდალეულების ირგვლივ წინათ გავრცელებულ ვულგარულ შეხედულებებზე და სათანადოდ დააფასებდნენ სამოციანელთა ღვაწლს ქართველი ხალხის ისტორიაში. მაგრამ ჩვენი იმედი, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა, — ტრადი-

ციის ძალა გაცილებით უფრო გამძლე და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდით.

უკანასკნელ ხანებში კვლავ გამოჩნდნენ მკვლევრები, რომლებიც უგულებელყოფენ თანამედროვე მეცნიერების თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრინციპებსაც, ისტორიულ ფაქტებსაც და თერგდალეულთა მემკვიდრეობის შეფასებას ისეთივე ვულგარული შეხედულებების მიხედვით გვთავაზობენ, როგორიც საქართველოში 20—30-იან წლებში იყო გავრცელებული; ისინი ყოველნაირად ცდილობენ გააცოცხლონ და ოდნავ შელამაზებული სახით აღადგინონ ე. წ. „ძველი თეორია“, რომლის მიხედვით „კაკო ყაჩაღისა“ და „განთიადის“ ავტორები ბურჟუაზიის იდეოლოგებად არიან გამოცხადებული. ფრიად სამწუხაროა, რომ ამგვარ მკვლევართა შორის აღმოჩნდა ისეთი უდაოდ ნიჭიერი და ავტორიტეტიანი მეცნიერიც, როგორიცაა პროფესორი (ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) აკაკი სურგულაძე. პატივცემულმა მეცნიერმა უკანასკნელი წლების მანძილზე ზედიზედ გამოსცა მონოგრაფიული ნაშრომები, რომლებშიც ვრცლადაა განხილული საქართველოს ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობისა და ამ მოძრაობის მესვეურთა მოღვაწეობის ისტორია. მხედველობაში გვაქვს ნაშრომები: „რუსეთი XIX საუკუნის 60—80-იან წლებში“ (1964 წ.), „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა“ (1968 წ.), „ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ“ (1970 წ.). „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში“ (1973 წ.).

ამ ნაშრომებში პროფ. ა. სურგულაძემ შემოგვთავაზა ახალი ისტორიული კონცეფცია, რომლის არსი მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ავტორი ცდილობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გამოაცხადოს წმინდა ბურჟუაზიულ მოძრაობად, ხოლო მისი მესვეურები (თერგდალეულები) — ბურჟუაზიის იდეოლოგებად ანუ ლიბერალებად; ამ მიზნის მისაღწევად მეცნიერი ყოველნაირად ცდილობს გააზვიადოს ბურჟუაზიის როლი და მისი ეროვნული საკითხის მნიშვნელობა, ხოლო სოციალურ-კლასობრივი მოვლენები მიაფუჩეჩოს და მეორეხარისხოვან საქმედ წარმოგვიდგინოს; ეს კონცეფცია მიმართულია იქითკენ, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ისევე როგორც თერგდალეულთა მოღვაწეობასა და აზროვნებას, გამოაცალოს სოციალური (დემოკრატიული) შინაარსი, რაც თერგდალეულებზე ადრინდელი ვულგარული შეხედულებების ოდნავ შელამაზებული ვარიანტია და სხვა არაფერი.

წინამდებარე ნარკვევი მიზნად ისახავს არა ზემოთ დასახელებული ნაშრომების ყოველმხრივ განხილვასა და მათი ავ-კარგის ამომწურავ აღნუსხვას, არამედ იმ ისტორიული კონცეფციის კრიტიკულ შეფასებას, რომლის საშუალებითაც მათი ავტორი თერგდალეულთა საზოგადოებრივი შეხედულებებისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სოციალურ-კლასობრივი არსის გამორკვევას ცდილობს.

ქვემოთ ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ პატივცემული ავტორის კონცეფციას და დავანახვებთ მკითხველს მის სრულ უნიადაგობას, მაგრამ ვიდრე სადავო პრობლემის არსებით მხარეს შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე წინასწარი შენიშვნა გამოვთქვათ კვლევა-ძიების ავტორისეული სტილის (ანუ ფორმის) ირგვლივ.

I. წინასწარი შენიშვნები

პ ი რ ვ ე ლ ი შ ე ნ ი შ ვ ნ ა შეეხება წყაროებისადმი პატივცემული ავტორის, მეტი რომ არა ვთქვათ, გულგრილ დამოკიდებულებას. დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ფაქტია, რომ ზემოთ ხსენებულ მონოგრაფიულ გამოკვლევებში მკითხველი ვერ იპოვის ახალ საარქივო დოკუმენტს ან სხვა რაიმე ახალ მასალას. ავტორი მთელ თავის მსჯელობას და დასკვნებს აშენებს ყველასათვის ცნობილ ფაქტებზე, რომლებიც მეტწილად სხვისი ნაშრომებიდანაა ნასესხები.

ასეთი უგულებელყოფა საბჭოთა კავშირის საისტორიო არქივებში დაცული ძვირფასი დოკუმენტური მასალისა, ჩვენი აზრით, რუსეთის ისტორიის კურსის შედგენისას ასე თუ ისე კიდევ შესაწყნარებელია, რადგან რუსეთის ისტორიაზე უამრავი მეცნიერული ლიტერატურა არსებობს და მათ საფუძველზე, თუნდაც კომპილაციური წესით, ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს შედგენა, რაც უნდა იყოს, სასარგებლო საქმეა, მაგრამ რანაირად შეიძლება არქივს გვერდი აუაროს მკვლევარმა, რომელსაც სურვილი აქვს ახალი სიტყვა გვითხრას თერგდალეულებსა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე?!

ავტორის გულგრილობა წყაროებისადმი, სამწუხაროდ, იქამდე მიდის, რომ იგი არა მარტო ახალ საარქივო მასალას, არამედ უკვე გამოქვეყნებულ და, მაშასადამე, ყველასათვის ადვილად მისაწვდომ დოკუმენტებსაც არ სწავლობს და არ იყენებს მათ მეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებულ წესების დაცვით.

ნათქვამი ლიტონ სიტყვად რომ არ ჩამოგვართვან, მოვიტანთ ავტორის სტილისათვის დამახასიათებელ მაგალითებს.

1. „ნაშრომში „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა" ავტორს მოტანილი აქვს (გვ. 320) ს. დოდაშვილის ცნობილი „სიტყვა — მოწოდება", რომელიც მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის შესანიშნავი დოკუმენტია და ამის გამო წინათაც არაერთხელ ყოფილა დაბეჭდილი. მოცულობით ეს დოკუმენტი პატარაა, სულ 15 სტრიქონია, მაგრამ ჩვენს ავტორს ამ პატარა დოკუმენტის გადმოწერისას 20-მდე შეცდომა მოსვლია. საიდან გადმობეჭდა მან ეს დოკუმენტი, ან როგორ მოახერხა ამდენი შეცდომის დაშვება?

თუ ავტორს დავუჯერებთ, მას იგი საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივიდან (ფონდი 1457, რეესტრი X, ფურც. 1833) გადმოუღია, მაგრამ ეს მითითება, როგორც ირკვევა, სწორი არ არის: სინამდვილეში დოკუმენტი გადმობეჭდილია პროფ. გ. გოზალიშვილის მიერ ჯერ კიდევ 1935 წელს გამოცემული კრებულიდან „1832 წლის შეთქმულება", სადაც იგი ნაკლულადაა წარმოდგენილი. გ. გოზალიშვილის ხსენებული პუბლიკაციის შეცდომები შემდეგში გაასწორა და დოკუმენტი მეცნიერულად გამოსცა ს. დოდაშვილის თხზულებათა კრებულის სარედაქციო კოლეგიამ, რომელმაც ამასთან დოკუმენტის ნამდვილი სათაური და ავტორის ვინაობაც დაადგინა[1].

ჩვენს ავტორს, როგორც ჩანს, არქივის ეს დოკუმენტი არ უნახავს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეცოდინებოდა, რომ დოკუმენტს ეწოდება არა „პროკლამაცია", არამედ „სიტყვა-მოწოდება", რომელიც არა მარტო „იპოვეს დოდაშვილის ქაღალდებში", არამედ თვით დოდაშვილის კალამს ეკუთვნის; მას ეცოდინებოდა აგრეთვე, რომ ამჟამად დოკუმენტი არქივში ინახება არა მის მიერ მითითებული ფონდისა და რეესტრის 1833-ე ფურცელზე, არამედ 160-ე ფურცელზე, რადგან წინანდელი პაგინაცია არქივმა დიდი ხანია შეცვალა.

ნათქვამიდან ცხადია, რომ ავტორი მთლიანად 40 წლის წინანდელ ნაკლულ გამოცემას ეყრდნობა, მაგრამ ობიექტურობა გვავალებს ისიც აღვნიშნოთ, რომ გ. გოზალიშვილის კრებულში დოკუმენტი გაცილებით უფრო ზუსტადაა დაბეჭდილი, ვიდრე ჩვენი ავტორის წიგნში. პატივცემულ ა. სურგულაძეს წინანდელი პუბლიკაციის ყველა შეცდომა გაუმეორებია, თანაც ახალი შეცდომები დაუშვია. მაგალითად, ს. დოდაშვილის ცნობილი ფრაზა „ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი?!", გოზალიშვილით ასე იკითხება: „ნუ უკვე ჩვენ არ ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი", ა. სურგულაძეს კი ასე

---

1 იხ. ს ი ლ ო მ ო ნ დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, თხზ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961, გვ. 228—229, 382.

გადაუკეთებია: „ნუ (თუ) ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი“.

აქ, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია!

2. იმავე წიგნში პატივცემულ ა. სურგულაძეს მოტანილი აქვს ციტატა დიმიტრი ერისთავის მიერ 1801 წლის მეფის მანიფესტის გამო დაწერილი საყურადღებო შენიშვნებიდან, რომელიც აგრეთვე პროფ. გ. გოზალიშვილის ზემოთ ხსენებულ კრებულშია გამოქვეყნებული (გვ. 117—119). საიდან ამოიღო ა. სურგულაძემ ამ შენიშვნების სიტყვები, არქივიდან თუ ხსენებული კრებულიდან? იგი, რატომღაც, არქივზეც მიგვითითებს (თუმცა შეცდომით და თანაც ძველი პაგინაციით) და გ. გოზალიშვილის კრებულზეც, მაგრამ საოცარი ისაა, რომ მის წიგნში მოტანილი შენიშვნების ტექსტი არც არქივის დოკუმენტს ემთხვევა და არც გ. გოზალიშვილის პუბლიკაციას ეთანხმება, რაშია საქმე?

საქმე ისაა, ძვირფასო, მკითხველო, რომ ჩვენი ავტორი დოკუმენტის ზუსტად გადმოღებას, როგორც ჩანს, სავალდებულოდ არ მიიჩნევს; ის დასაშვებად თვლის ისტორიული დოკუმენტის ნებისმიერად შესწორებას, რათა იგი თავის საკუთარ, წინასწარ შედგენილ აზრს შეუთანხმოს. უთუოდ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ისეთი მოვლენა, როგორიცაა დიმიტრი ერისთავისა და მეფის მანიფესტის სიტყვების ერთმანეთში არევა, დავაკვირდეთ ავტორის მსჯელობას...

მეფის მანიფესტის ცნობილი სიტყვები: „Покровительство и Верховная власть Российской империи над царством грузинским всегда налагали на монархов российских и долг защиты“[1]. ჩვენს ავტორს დიმიტრი ერისთავისთვის მიუკუთვნებია. შემდეგ თვით დიმიტრის შენიშვნებიდან აქა-იქ ამოუღია ცალკეული სიტყვები და ფრაზები, ზოგი სიტყვა ნებისმიერად შეუცვლია, ზოგიც დაუმატებია და ასეთი გზით შეუდგენია არსებითად ახალი დოკუმენტი, რომელსაც იგი ბრჭყალებში ჩასმული ციტატის სახით სთავაზობს მკითხველს. აი, ეს ციტატაც:

„დ. ერისთავს მიაჩნია, რომ საქართველოს სამეფოზე რუსეთის იმპერიის „მფარველობა და უმაღლესი ხელისუფლება სამართლიანი და სასარგებლო იყო, მაგრამ ეს რუსეთის მონარქებს ავალებდა დაეცვა ქვეყანა. სინამდვილეში სულ სხვა რამ მოხდა. ნაცვლად იმისა, რომ ახალგაზრდა ქვეყანას საკუთარი მმართველობის ორგანიზაციაში დახმარებოდა, რუსეთის მონარქმა მოიტაცა საქართველოს სამეფო გვირგვინი და ქვეყანა თავისი რკინის სკიპტრის ქვეშ მოაქცია. საქართველო უველა გარუვნილი რუსი მოხელის გადასახლების ადგილად

[1] „Утверждение русского владичества на Кавказе“, т. I, 1901, с. 33.

გადააქცია, ჩაკლა ახალგაზრდა ქართველების ნიჭი და ნაცელად იმისა, რომ შეერიგებინა მოპირისპირე პარტიები, ხელი მიჰყო ქართველთა წასისინებას"[3]. კრიტიკული შენიშვნები სრულად არაა მოღწეული, მას რამდენიმე (?) ფურცელი აკლია, მაგრამ მოტანილი ადგილებიც ნათლად ადასტურებს, რომ დიმიტრი ერისთავი ტრაქტატის მომხრეა და გმობს ცარიზმის იმ აგრესიულ ღონისძიებას, რომელიც 1801 წელს განხორციელდა"[4].

ვინც არ მოერიდება შრომას, შეადაროს ჩვენი ავტორის მიერ აქ მოტანილი ციტატა დ. ერისთავის შენიშვნების ტექსტს, ის თვალნათლივ დარწმუნდება, რა შორს დგას იგი ხსენებული ტექსტისაგან:

ციტატის პირველ წინადადებაში დიმიტრი ერისთავს ეკუთვნის მარტო ერთი სიტყვა — „სამართლიანი" (справедливо); სიტყვა „სასარგებლო" დამატებულია ავტორის მიერ; დანარჩენი სიტყვები კი მეფის მანიფესტიდანაა ამოღებული.

ციტატის მეორე წინადადება ამ სახით დედანში არ მოიპოვება.

მესამე წინადადება ძირითადად შედგენილია დ. ერისთავის შენიშვნებიდან ნებისმიერად ამოგლეჯილი სიტყვებისაგან, ოღონდ ავტორს დაუმატებია სიტყვები: „ნაცელად იმისა, რომ ახალგაზრდა ქვეყანას საკუთარი მმართველობის ორგანიზაციაში დახმარებოდა".

აქედან ცხადია, რომ ავტორი შეგნებულად ცელის და ასხვაფერებს ისტორიული დოკუმენტის შინაარსს, რათა იგი ხელოვნურად დაუკავშიროს 1783 წლის ტრაქტატს, თუმცა დოკუმენტში ამ ტრაქტატზე ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი.

აი, როგორ იწერება, ზოგჯერ, ისტორია!

3. ნაშრომში „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში" ავტორი ეხება (გვ. 147-ე) პოლონეთის 1863 წლის აჯანყებასთან ა. გერცენის დამოკიდებულების საკითხს და ასეთი ციტატა მოაქვს:

„თუ აჯანყება მარტო ვარშავასა და პოლონეთში მოხდება, ის ძმათა შორის ბრძოლად, — პოლონეთის ომად გადაიქცევა: აჯანყება რომ სახალხო განმათავისუფლებლად გადაიქცეს, ის უნდა მოდიოდეს მთელი პერიფერიიდან; ე. ი. ვარშავასა და კიევთან ერთად ერთდროულად შიდარუსეთისაკენ უნდა დაიძრას კავკასია და თან გაიყოლიოს ასტრახანი, დონი და შავიზღვისპირეთი" — წერდა გერცენი".

საიდანაა ამოღებული ეს ციტატა? ავტორს მითითებული აქვს კრებული „Литературное наслсдство", т. 61. с. 509, მაგრამ ირკვევა,

---

3 აქ ავტორს მითითებული აქვს: საქართველოს ცსა, ფ. 1457, 43, V, გვ. 725; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 117—119.

4 „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა", გვ. 293—294.

რომ ეს მითითებაც სწორი არაა; სინამდვილეში ციტატა ავტორს ამოღებული აქვს სხვისი წიგნიდან[5], რაც შემდეგი სამი გარემოებით მტკიცდება:

ჯერ ერთი, მოტანილი ციტატა ზუსტად ემთხვევა (ერთი სიტყვის გამოკლებით) „სხვა“ ავტორის თარგმანს, რაც ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა ტექსტის მთარგმნელი რომ ორი სხვადასხვა პირი იყოს.

მეორე, ავტორს მოტანილ ციტატაში სიტყვა „კიევში“ შეუცვლია სიტყვით „პოლონეთში“. რატომ დასჭირდა მას ასეთი დაუშვებელი მანიპულაცია? იმიტომ, რომ „სხვის“ წიგნში ციტატა არასრულადაა მოტანილი და ამის გამო ჩვენმა ავტორმა მისი აზრი სწორად ვერ გაიგო („პოლონეთის ომში კიევი რა შუაშიაო, იფიქრა); ავტორს რომ „ლიტერატურნოე ნასლედსტვოს“ მითითებულ ტომში ჩაეხედა, ადვილად დარწმუნდებოდა, რომ მოტანილ ტექსტში ყოველი სიტყვა თავის ადგილზეა და არავითარ „შესწორებას“ არ საჭიროებს[6].

მესამე, ავტორს რომ ხსენებული ტომი თუნდაც ერთხელ ხელში აეღო, ეეღარ იტყოდა მოტანილი ტექსტი გერცენს ეკუთვნისო, რადგან ეცოდინებოდა, რომ იგი ამოღებულია ამ რამდენიმე ხნის წინათ აღმოჩენილი საიდუმლო დოკუმენტიდან, რომელიც ოგარევის ხელითაა დაწერილი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ ჩვენი პატივცემული ავტორი არც ახალი საარქივო დოკუმენტების გამოვლინებით იწუხებს თავს და არც სხვა მკვლევართაგან გამოქვეყნებულ დოკუმენტს ეპყრობა ისე, როგორც ეს მეცნიერთა შორისაა საყოველთაოდ მიღებული.

თუ ისტორიულ წყაროებს გულდასმით არ შევისწავლით და თანაც დოკუმენტებს ნებისმიერად შევასწორებთ, რა თქმა უნდა, ყოველნაირი დებულების „დამტკიცებას“ შევძლებთ, მაგრამ ვის რად სჭირდება ასეთი გზით „დამტკიცებული“ დებულებები?

მ ე ო რ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა შეეხება ისტორიული ფაქტებისა და მოვლენებისადმი ავტორის ტ ე ნ დ ე ნ ც ი ურ მ ი დ გ ო მ ა ს. საკვირველია. მაგრამ ფაქტია, რომ ავტორი საგანგებოდ არჩევს, წინა პლანზე სწევს და გადაჭარბებულ შეფასებას აძლევს ისეთ ფაქტებს, რომლებიც მის კონცეფციას ცოტად თუ ბევრად მხარს უჭერენ, ხოლო ისეთ ფაქტებს, რომლებიც მის თვალსაზრისს აშკარად ეწინააღმდეგებიან და

---

5 იხ. წიგნი „თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან“, 1962, გვ. 127.

6 სიზუსტისათვის აღვნიშნავთ, რომ წიგნის სხვა ადგილას (გვ. 217) ავტორს თავისი „შესწორება“ თვითონვე დაუწყებია და ციტატა სწორად მოაქვს.

არღვევენ, ან სავსებით გვერდს უვლის, ან კიდევ აკნინებს და აფუჩეჩებს.

მოვიტანთ დამახასიათებელ მაგალითებს:

1. ავტორი სავსებით გვერდს უვლის და არსებითად სრულიად არაფერს ამბობს ი. ჭავჭავაძის პოლიტიკურ-ეკონომიურ შეხედულებებზე, თუმცა, როგორც ცნობილია. ეს შეხედულებები დიდი მწერლის მსოფლმხედველობის ქვაკუთხედს წარმოადგენენ. რა არის ამის მიზეზი?

გონების დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ ი. ჭავჭავაძის პოლიტიკურ-ეკონომიური შეხედულებანი, რომლებიც თავიდან ბოლომდე დემოკრატიული (ანტიბატონყმური) სოციალური შინაარსითაა გაჟღენთილი, ძირფესვიანად ეწინააღმდეგებიან და არღვევენ ა. სურგულაძის ხელოვნურ კონცეფციას, სწორედ ამის გამოა, რომ ჩვენი ავტორი მათ წინდახედულად გვერდს უვლის.

რაც შეეხება ილიას ისეთ სახელგანთქმულ მხატვრულ ნაწარმოებებს, როგორიცაა „კაცია-ადამიანი?“, „გლახის ნაამბობი“ და „კაკო ყაჩაღი“, რომელთა სავსებით გვერდის აქცევა ალბათ შეუძლებელი იყო, მაინც სოციალური დედაარსი რომ მიჩქმალოს. ავტორი ტენდენციური მსჯელობის კორიანტელს აყენებს და ყოველნაირად ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს, თითქოს ხსენებულ ნაწარმოებთა მთავარი თემა (იდეა) სოციალური საკითხი (ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა კი არაა, არამედ — ეროვნული საკითხი ანუ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ავტორს სურს დაგვარწმუნოს:

„ილიას მხატვრულ ნაწარმოებებში, ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ რომაა დაწერილი, წინ პლანზე მაინც ერი და ეროვნული საკითხია წამოწეული... ერის დიდ გულშემატკივარს ებრალება მცოზნარა ლუარსაბ თათქარიძეც და მრუში დათიკოც... ისინი ხომ ქართველები არიან, პატარა და დაჩაგრული ერის შვილები!“[7].

ჰეშმარიტად დიდი ერუდიცია და მჭევრმეტყველების განსაკუთრებული უნარია საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ „კაკო ყაჩაღში“, „კაცია-ადამიანსა“ და „გლახის ნაამბობში“ წინა პლანზე ერი და ეროვნული საკითხი დაინახო!

მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, რა ვუყოთ თვით ილია ჭავჭავაძეს, რომელიც სრულიად გარკვეული და საჯაროდ აცხადებდა: „ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველ-

---

7 ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრიეი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 188—189.

გან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მეჭონი, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივე წყალში გადასაყრელნი იქნებიანო"?[8].

2. ავტორი არსებითად გვერდს უვლის თერგდალეულთა არალეგალური რევოლუციური მოღვაწეობის დამადასტურებელ ახალ საარქივო დოკუმენტებს, რომლებიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში 60-იანი წლების დასაწყისში გამომზეურდა და რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ქართველ სამოციანელთა საზოგადოებრივი შეხედულებების გასაგებად, არამედ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სოციალური არსის გასაგებადაც. რა არის ამის მიზეზი?

ავტორის განცხადებით, ხსენებულ დოკუმენტებზე ის „ყურადღებას აღარ ამახვილებს" იმის გამო, რომ სხვა მკვლევრების მიერ ისინი ფართოდ არიან განხილულიო[9]. მაგრამ, ვფიქრობთ, ასეთ განმარტებას არ შეიძლება სერიოზულად შევხედოთ, რადგან, ჯერ ერთი, თითქმის ყველა მის მიერ განხილული საკითხი სხვა მკვლევრების მიერ მრავალჯერ განხილული და გადაღეჭილია. მაგრამ ეს როდი უშლის მას ხელს კვლავ განიხილოს ისინი; მეორეც, რაკი ავტორი უარს ამბობს განიხილოს თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი საბუთები, რაღა უფლება აქვს მას გააკრიტიკოს და უარჰყოს იმ მკვლევართა დასკვნები, რომლებმაც ხსენებული საბუთები აღმოაჩინეს და მეცნიერულად შეისწავლეს? ნუთუ ჩვენი ავტორისთვის ცნობილი არ არის ის ჭეშმარიტება, რომ მეცნიერებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ფაქტებსა და საბუთებს ენიჭებათ.

ავტორმა ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, კარგად იცის, მაგრამ საქმე ისაა, რომ ზემოთ ხსენებული თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები აშკარად ეწინააღმდეგება და პირდაპირ აცამტვერებს მის მცდარ ისტორიულ კონცეფციას; სწორედ ესაა ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ ხსენებულ დოკუმენტებს იგი წინდახედულად გვერდს უვლის.

სამწუხაროდ, ავტორმა ვერ გაიგო რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ქართველი ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობის მიზეზები და სათანადოდ ვერ შეაფასა ამ დიდი ისტორიული ფაქტის მნიშვნელობა. ამითაა გამოწვეული ის უსაფუძვლო და თანაც ერთმანეთის საწინააღმდეგო გამონათქვამები, რომლებიც მის ნაშრომშია გაბნეული. მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

3. ავტორი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, თითქოს ნ. ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა" ასახული იყოს არა კრწანი-

---

[8] ი. ჯავახაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. II, 1951, გვ. 47.

[9] დასახ. ნაშრომი, გვ. 217.

სის ომით გამოწვეული სიტუაცია, არამედ 1783 წლის ტრაქტატის-დროინდელი სიტუაცია; ის ამბობს:

„პოემას, თუ მას ისტორიული სიმართლის თვალსაზრისით განვიხილავთ, მოვლენათა ერთგვარი ანაქრონიზმი ახასიათებს, აქ გადაადგილებულია ზოგიერთი ისტორიული დეტალი... ბევრს პგონია, რომ ბარათაშვილს პოემაში სამსჯაროზე გამოაქვს ის ისტორიული აქტი, რომელსაც ცარიზმის ანექსია ეწოდება და რომელიც 1801 წელს განხორციელდა. სინამდვილეში პოემაში 1801 წლის აქტი სრულებითაც არაა ნაგულისხმევი. პოეტის გონება ამ შემთხვევაში 1783 წლის მფარველობით ტრაქტატს დასტრიალებს"[10].

რა უნდა ითქვას ავტორის ასეთი უცნაური მსჯელობის გამო?

ვისაც ნ. ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა" ერთხელ მაინც წაუკითხავს, მან არ შეიძლება არ იცოდეს, რომ მასში აღწერილია ირანის შაჰის აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა (1795 წელს) და მის მიერ თბილისის აოხრება (რასაც პოემის მთელი პირველი კარი ეძღვნება), ხოლო 1783 წლის ტრაქტატზე პოემაში ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი. ერეკლე მეფემ სწორედ კრწანისის ტრაგედიის შემდეგ გადაწყვიტა „ქართლის ბედი" (ე. ი. საქართველოს რუსეთთან შეერთება), რაც პირდაპირ არის კიდევაც ნათქვამი პოემაში; ჩვენი ავტორი ყოველნაირად ცდილობს გადაასხვაფეროს ნ. ბარათაშვილის პოემის შინაარსი, მაგრამ ფაქტები ჯიუტი რამ არის და მათი გაელენით იგი თეითონაც იძულებულია აღიაროს:

„რუსული ორიენტაციის უპირატესობის აღიარება, საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულად შეფასება მარტოოდენ ბარათაშვილის პირადი თვალსაზრისი როდია. ამ თვალსაზრისს 30-იანი წლების მიწურულს ქართველ მოწინავე ინტელიგენციაში ფეხი მძლავრად გაუდგამს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ აღ. ჰავჰავაძის თხზულება... აღ. ჰავჰავაძეს მიაჩნია, რომ „აღა-მაჰმად-ხანის უკანასკნელმა შემოსევამ და თბილისის აოხრებამ 1795 წელს გადაწყვიტა საქართველოს ბედი. საქართველომ თვალნი თვისნი მიაპყრო ერთმორწმუნე რუსეთს, რომელშიც იგი წინათაც პოვებდა დასაყრდენს"[11].

უველაფერი ეს მართალია, მაგრამ რაღა შუაშია აქ 1783 წლის ტრაქტატი? განა ცხადი არ არის, რომ ისტორიული ფაქტების „გადაადგილება" და რაღაც ანაქრონიზმების დაშვება სჭირდება არა ნ. ბარათაშვილს, არამედ ჩვენს ავტორს.

მ ე ს ა მ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა შეეხება მეცნიერული კამათის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დარღვევას. ვფიქრობთ, არავისთვის არ

---

10 ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, გვ. 342, 345.

11 იქვე, გვ. 359—360.

შეიძლება სადავო იყოს ის ანბანური ჰეშმარიტება, რომ მოწინააღმდეგის პოზიციის შეფასებისას აუცილებელია ელემენტარული ობიექტურობისა და კეთილსინდისიერების დაცვა. არ ვიცით, ნებსით თუ უნებლიეთ, მაგრამ ფაქტია, რომ ავტორი უცერემონიოდ არღვევს მეცნიერული პაექრობის ამ სავალდებულო წესს.

საილუსტრაციოდ მოვიტანთ სამ დამახასიათებელ მაგალითს (მკითხველს ვთხოვთ გვაპატიოს, რომ ამ შემთხვევაში იძულებული ვართ ჩვენს ნაშრომებზე ცილაპარაკოთ).

1. წიგნში „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში" პროფ. ა. სურგულაძე ეხება ჩვენს სტატიას „დასების თეორიის გადასინჯვისათვის", რომელიც 1956 წელს „ლიტერატურული გაზეთის" ფურცლებზე დაიბეჭდა. იგი სიტყვით (ე. ი. ფორმალურად) იძულებულია აღიაროს, რომ „სტატია დროული და მართებული იყო", მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ აღიარებას, როცა ავტორი იქვე ცდილობს არა მარტო სავსებით გააუფასუროს ხსენებული სტატია, არამედ სხვისი აზრების მითვისებაც კი დაგვაბრალოს?! ა. სურგულაძის მტკიცებით, „პრიორიტეტი" დასების თეორიის გადასინჯვის საკითხში გასული საუკუნის ბურჟუაზიულ მოღვაწეს არჩილ ჯორჯაძეს ეკუთვნის, ხოლო საბჭოთა მეცნიერთაგან ხსენებული თეორია პირველად (1951 წელს) ეჭვის ქვეშ მხოლოდ პროფ. ლ. გორგილაძემ დააყენა; მეცნიერი ბრძანებს, პ. რატიანმა „რატომღაც საჭიროდ არ ჩათვალა მოეტანა სტატიაში არჩილ ჯორჯაძის თვალსაზრისი, რომელიც თითქმის ემთხვევა პრ. რატიანის თვალსაზრისს და ჯერ კიდევ 1914 წელსაა გამოთქმული"[12].

რა უნდა ითქვას ამ ბრალდების გამო?

ქვემოთ ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ ამ საკითხს და თვალნათლივ დავანახებთ მკითხველს, რომ ჩვენს თვალსაზრისს ა. ჯორჯაძის თვალსაზრისთან არათუ საერთო არაფერი აქვს, არამედ არც შეიძლება ჰქონდეს; რაც შეეხება პროფ. ლ. გორგილაძეს, ის მართლაც სერიოზული საბჭოთა მეცნიერია და არაფერია იმაში საკვირველი, რომ მან ჯერ კიდევ 1951 წელს შეამჩნია დასების თეორიის უსაფუძვლობა; მაგრამ რატომ დაუმალა პატივცემულმა ა. სურგულაძემ მკითხველს ის ფაქტი, რომ სწორედ იმავე 1951 წელს გამოქვეყნდა ჩვენი წერილი, რომელშიც ლ. გორგილაძისაგან დამოუკიდებლად, სწორედ იგივე აზრია გამოთქმული? ვაკრიტიკებდით რა პროფ. გ. ხაჭაპურიძის შეხედულებებს XIX საუკუნის საქართველოს ისტორიაზე, ხსენებულ წერილში ჩვენ ვამბობდით:

„წიგნის ავტორი ვერ ამჩნევს, რომ გასული საუკუნის მეორე ნა-

---

12 დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

ხევრის აზროვნების დაყოფა ტრადიციულ „დასებად“ არ შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს, სათანადოდ ვერ ასახავს საქმის ფაქტიურ ვითარებას (კერძოდ, მაგალითად, უგულებელყოფს ხალხოსანთა მოძრაობას) და რომ დიდი ხანია დროა გადაისინჯოს დასების ეს ძველი თეორია“[13].

რა არის ეს, თუ არა დასების თეორიის ეჭვის ქვეშ დაყენება?!

შეიძლება პატივცემულმა მეცნიერმა გვითხრას, რომ ჩვენი წერილი სოხუმში დაიბეჭდა, რის გამო იგი მას არ იცნობდა, მაგრამ იმას ხომ ვერ იტყვის, რომ არ იცნობდა ჩვენს სტატიას „დასების თეორიის გადასინჯვისათვის“, სადაც ხსენებული წერილი (ლ. გორგილაძის წერილთან ერთად) დამოწმებულია? რაკი იგი ამ სტატიას აკრიტიკებს; რაკი აგრეთვე ზრუნავს იმისათვის, რომ მან ა. ჯორჯაძის „პრიორიტეტი“ არ შელახოს, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სტატია. თუ შესწავლილი არა, წაკითხული ექნება. მაშ, რატომ მიჩქმალა მან ის ფაქტი, რომ დასების თეორიის უსაფუძვლობასა. და მისი გადასინჯვის აუცილებლობაზე 1951 წელს, ლ. გორგილაძესთან ერთად, ჩვენც მივუთითეთ? ნუთუ ამას ეწოდება მეცნიერული ობიექტურობა და კეთილსინდისიერება?!

2. იმავე ნაშრომში ავტორი არაერთხელ აცხადებს (გვ. 21. 145, 147, 148 და ა. შ.), თითქოს ჩვენ ილია ჭავჭავაძეს და სხვა გამოჩენილ სამოციანელებს სეპარატისტებად მივიჩნეეთ და ამის გამო სასტიკად გვაკრიტიკებს. მაგრამ ჩვენს ნაშრომებში არც ი. ჭავჭავაძე და არც სხვა რომელიმე სამოციანელი არსად და არასდროს არ მიგვიჩნევია სეპარატისტად; სიტყვა „სეპარატიზმი“ სამოციანელებზე მსჯელობისას ჩვენ ნახსენებიც კი არსად გვაქვს, რაც ყოველ დაინტერესებულ მკითხველს ადვილად შეუძლია შეამოწმოს: უფრო მეტის თქმაც შეიძლება: ჩვენ არც შეგვეძლო აღნიშნულ კონტექსტში გვეხმარა სიტყვა „სეპარატიზმი“, რადგან ცნობილია, რომ სეპარატიზმი წმინდა ბურჟუაზიული მოძრაობაა და სამოციანი წლების საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომელიც ჩვენი თვალსაზრისით დემოკრატიული მოძრაობაა, მას საერთო არაფერი აქვს. მაშ, საიდან მოიტანა ავტორმა ასეთი ბრალდება? ეს ავტორის საიდუმლოებას შეადგენს და ამაზე ვერაფერს ვიტყვით, ოღონდ ერთი რამ კი ცხადია: როცა მოწინააღმდეგეს მიაწერენ აზრს, რომელიც მას არათუ არ უთქვამს, არამედ არც შეეძლო ეთქვა. რადგან ეს აზრი მთელ მის მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგება, მაშინ მეცნიერულ ობიექტურობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

---

13 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ოზხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XXIV, გვ. 532.

3. იმავე ნაშრომის 55-ე გვერდზე ავტორი გვაკრიტიკებს იმის გამო, რომ ჩვენ, თითქოს, მხედველობიდან გამოგვრჩა და საერთოდ ვერ დავაფასეთ 1832 წლის შეთქმულების მნიშვნელობა როგორც საერთოდ თერგდალეულთა იდეოლოგიის, ისე, კერძოდ, ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში. ავტორი ამბობს:

„მკვლევარს (პ. რატიანს) საერთოდ გამორჩა მხედველობიდან 1832 წლის შეთქმულება და, საერთოდ, ქართველ ოცდათიანელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგია, რომელიც ქართველი სამოციანელების იდეოლოგიის და, კერძოდ, მათი იდეური მედროშის ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მთავარ საფუძველს წარმოადგენდა".

მაშასადამე, ავტორის აზრით, გამოდის, რომ პ. რატიანს, რომელსაც თვით ა. სურგულაძის თქმით, მთელი „ოცი წელი უმუშავნია" (იქვე, გვ. 20) ილიას მსოფლმხედველობის შესასწავლად, ისიც კი ვერ გაუგია, თუ რა წარმოადგენდა „დიდი მწერლის შემოქმედების მთავარ საფუძველს", მას „მხედველობიდან გამორჩენია" არა მარტო 1832 წლის შეთქმულება, არამედ საერთოდ ქართველ ოცდაათიანელთა „ეროვნულ-განმათავისუფლებელი" იდეოლოგია; სამაგიეროდ, თვით ავტორს (უნდა იფიქროს მკითხველმა) ყველაფერი ეს კარგად სცოდნია, თუმცა ილიას მემკვიდრეობის შესასწავლად არც ერთი წელი არ დაუხარჯავს... ვისაც სურს, დაიჯეროს!

საჭიროდ მიგვაჩნია გადაჭრით განვაცხადოთ, რომ ავტორის ცდებს, XIX საუკუნის პირველი ნახევრის მთელი ფეოდალური იდეოლოგია, კერძოდ კი 1832 წლის შეთქმულების თავადური ნაწილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიად გამოაცხადოს და იგი თერგდალეულთა რეეოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის მთავარ საფუძვლად მიიჩნიოს, არ გააჩნია არავითარი რეალურ-ისტორიული საფუძველი და ამგვარ ცდებს საქმეში ჩახედულ მკვლევართა შორის მხოლოდ ღიმილის გამოწვევა შეუძლია!

რაც შეეხება ბრალდებას, თითქოს ჩვენ 1832 წლის შეთქმულება „სავსებით მხედველობიდან გამოგვრჩა", ამაზე პატივცემულ მკვლევარს გვინდა შემდეგი მოვახსენოთ: 1951 წლიდან მოკიდებული სულ უკანასკნელ დრომდე ჩვენ არა ერთხელ და გარკვეით გამოგვითქვამს ჩვენი აზრი 1832 წლის შეთქმულებაზე, მაგრამ რაკი ავტორმა ეს არ იცის (ან არ სურს იცოდეს), იძულებული ვართ მოვიტანოთ გრძელი ამონაწერი ერთი ჩვენი განმაზოგადებელი ნაშრომიდან, რომელიც დაიბეჭდა ჯერ კიდევ 1962 წელს, აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით გამოცემულ საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში. ეს წიგნი დაბეჭდილია თბილისში, 10 ათასიანი ტირაჟით, და მასში ნათქვამია:

„საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახვა დაკავშირებულია თავადაზნაურთა 1932 წლის ცნობილ შეთქმულებასთან. ეს შეთქმულება ძირითადად თავადაზნაურთა კლასის განწყობილებას და ინტერესებს გამოხატავდა, მაგრამ იდეურ-პოლიტიკური შემადგენლობის მხრივ შეთქმულება ერთგვაროვანი არ ყოფილა. მასში დიდგვარიან თავადიშვილებსა და ლიბერალურად განწყობილ თავადაზნაურობის წარმომადგენლებთან ერთად, რომლებიც მეტ-ნაკლებად თავადაზნაურთა კლასის იდეოლოგიას გამოხატავდნენ, მონაწილეობდნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც თავიანთი შეხედულებებით ასახავდნენ ქართველი ხალხის, კერძოდ, მისი ძირითადი და დაჩაგრული ნაწილის — გლეხობის მისწრაფებებსა და ინტერესებს; ეს იყო შეთქმულების მემარცხენე ჯგუფი, რომელმაც დასაბამი მისცა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მისი უველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო თავისი დროის მოწინავე და გამოჩენილი მოაზროვნე სოლომონ დოდაშვილი, აგრეთვე მისი მეგობარი ს. რაზმაძე.

მართალია, ს. დოდაშვილსაც არ ჰქონია საესებით ნათელი და გარკვეული საზოგადოებრივი შეხედულებანი და მისი მსოფლმხედველობა შეთქმულების დასაწყისში ჯერ კიდევ ბუნდოვანი და ჩამოუყალიბებელი იყო, მაგრამ მისი გონებრივი განვითარება სწრაფად მიდიოდა წინ და მისი შეხედულებებიც თანდათან გარკვეული ხდებოდა, სწორედ ისევე, როგორც თანდათანობით ხდებოდა იმ ხანაში ქართველი გლეხობის კლასობრივი გათვითცნობიერება. ს. დოდაშვილმა მალე იგრძნო, რომ გლეხობის ინტერესები ძირფესვიანად განსხვავდებოდა თავადაზნაურთა ინტერესებისაგან. ის მიხვდა, რომ თავადაზნაურების მიერ დასმულ „ნაციონალურ საკითხს“ არაფერი აქვს საერთო ქართველი ხალხის ნამდვილ სოციალური და ეროვნული განთავისუფლების ამოცანასთან. ამით აიხსნება, რომ ის შემდგომში ჩამოშორდა თავადაზნაურთა შეთქმულებას.

მეფის თვითმპყრობელობამ დასაწყისშივე სასტიკი ზომებით სცადა ჩაეხშო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მაგრამ მან ვერ შეძლო განმათავისულებელი იდეების მოსპობა. პირიქით, რაც უფრო ძლიერდებოდა ორმაგი ჩაგვრით შეწუხებული ხალხის დრტვინვა, მით უფრო ნაყოფიერი ნიადაგი იქმნებოდა განმათავისუფლებელი იდეების გასავრცელებლად. ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამ იდეებმა თავისი გამოხატულება და ანარეკლი ჰპოვეს ისეთი გამოჩენილი მწერლებისა და მოაზროვნეების შემოქმედებაში, როგორიც იყვნენ: ს. დოდაშვილი, ა. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი და სხვ. შემდგომში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპზე, ეს იდეე-

ბი გააღრმავეს, გააფართოეს და განამტკიცეს სამოციანი წლების სახელოვანმა მწერლებმა და მოაზროვნეებმა — თერგდალეულებმა“[14].

ასეთია ჩვენი შეხედულება 1832 წლის შეთქმულებასა და მასში მონაწილე სხვადასხვა ჯგუფების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ იდეებზე. არა გვგონია შეიძლებოდეს, რომ ამ სტრიქონების ავტორს დავაბრალოთ „1832 წლის შეთქმულება სავსებით მხედველობიდან გამორჩაო“, თუკი, რა თქმა უნდა, საბოლოოდ არ დავკარგავთ ობიექტურობის გრძნობას.

დაბოლოს, მ ე ო თ ხ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა შეეხება ავტორის მიერ ლოგიკის ელემენტარული კანონების უგულებელყოფას. სამწუხაროდ, ავტორი სულ იმის ფიქრსა და ზრუნვაშია, რომ ისტორიული ფაქტები, აგრეთვე ისტორიულ პირთა მოქმედება, როგორმე თავის საკუთარ კონცეფციას შეუთანხმოს, მაგრამ ეს ყოვლად შეუძლებელი საქმეა და სწორედ ამით აიხსნება, რომ მის ნაშრომებში ასე უხვადაა გაბნეული ულოგიკობის განსაცვიფრებელი მაგალითები.

გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს:

1. ნაშრომში „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა“ ავტორი, ეხება რა XIX ს-ის პირველი მეოთხედის თავადაზნაურულ იდეოლოგიას, ამბობს:

„დაჯერებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი თავადობის პოლიტიკური იდეალი თავისი შინაარსით ეროვნულ-პროგრესული იყო. იგი მთელი ქართველი ხალხის ინტერესებს უპასუხებდა, ცარიზმის აგრესიას წინ ეღობებოდა და ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნების კეთილშობილ იდეას ემსახურებოდა“.

ეს ნათქვამია ნაშრომის 178-ე გვერდზე, ხოლო იმავე ნაშრომის 405-ე გვერდზე ვკითხულობთ:

„1802 წლის ფრონდა და გლეხთა მასობრივ აჯანყებებთან მიტმასნილი (Sic) თავადური მოძრაობანი, 1804, 1812 და 1819—1820 წლებში იყო ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმის გამოხატულება“.

თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ამგვარი მსჯელობა მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძვლებს, არა გვგონია ძნელი შესამჩნევი იყოს, რომ აქ გამოთქმული ორი დებულება ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ერთმანეთს: სად ქართველი ხალხის ინტერესები და სად ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმი?!

2. ნაშრომში „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს-ის მეორე ნახევარში“ ავტორი ძალიან მოკლედ, მხოლოდ გაკვრით ეხება რუ-

---

[14] საქართველოს ისტორია, ტ. II, დამხმარე სახელმძღვანელო ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1962, გვ. 110—111.

სეთის განმთავისუფლებელ მოძრაობაში ქართველი ახალგაზრდობის მონაწილეობას, მაგრამ მაინც ახერხებს ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე ორი, ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო აზრის გამოთქმას: ერთ შემთხვევაში ავტორი გვიმტკიცებს, რომ 60-იანი წლების დამდეგს რუსეთსა და საქართველოში მყოფი თერგდალეულები მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთ საქმეს ემსახურებოდნენო, ხოლო მეორე შემთხვევაში — ისინი ერთმანეთს მოწყვეტილი იყვნენ და ამოცანებიც სხვადასხვა ჰქონდათო. მოვუსმინოთ:

„პეტერბურგელ თერგდალეულთა მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძის სამშობლოში გამომგზავრების შემდეგაც დაუცხრომლად მიმდინარეობდა... მართალია, გარიცხული სტუდენტების უმრავლესობამ სამშობლოს მიაშურა, მაგრამ ნაწილი მაინც დარჩა დედაქალაქში და აქტიურად მონაწილეობდა იმ მრქეფარე რევოლუციურ საქმიანობაში, რომელიც „ზემლია ი ვოლიას“ მეთაურობით გაიშალა... ამ მეზნებარე ახალგაზრდებს მტკიცედ ჰქონდათ გამჯდარი რწმენა იმისა, რომ მათი სამშობლოს მომავალი განუყოფლად იყო დაკავშირებული რევოლუციურ გეგმებთან მთელი რუსეთის მასშტაბით... ამ ახალგაზრდებს, საერთო-რუსული მოძრაობის საქმით გატაცებულთ, ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდათ მშობლიური მხარე და იქ შექმნილი ვითარება“.

ასე წერს ავტორი წიგნის 216—217 გვერდებზე, ახლა ვნახოთ, რა არის ნათქვამი იმავე წიგნის 129-ე გვერდზე:

„მართალია, ქართველ სტუდენტთა ერთი ნაწილი (ბ. ღოღობერიძე. დ. ღოღობერიძე, გ. ჯავახიშვილი, ნ. ყიფიანი, ნ. საჯანელი (Sic), ვ. ჩერქეზიშვილი და სხვ.) აქტიურად მონაწილეობდა რუსი ახალგაზრდების იმ ფარულ რევოლუციურ საქმიანობაში, რომელიც 60-იანი წლების დასაწყისში გაჩაღდა და რუსეთში სახალხო აჯანყების არალეგალურ მზადებას მეთაურობდა, მაგრამ ეს კერძო შემთხვევები მთლიანად თერგდალეულებზე ვერ გავრცელდება. ეს ახალგაზრდები ამ დროს პრაქტიკულად თერგდალეულებს უკვე მოცილებული იყვნენ და დიდ სარუსეთო მოძრაობაში იყვნენ ჩაბმული. მათი საქმიანობა პეტერბურგის საიდუმლო ორგანიზაციის, განსაკუთრებით „ზემლია ი ვოლიას“ მიერ დაყენებული საკითხების გადაჭრით იყო რეგლამენტირებული“.

საქმეში ჩახედული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ აქ ავტორი ყოველი ფეხის ნაბიჯზე (და თანაც შეგნებულად) ასხვაფერებს და ამახინჯებს ისტორიულ ფაქტებს (მაგალითად, რატომ არ ასახელებს იგი ისეთ გამოჩენილ თერგდალეულებს, როგორიც იყვნენ ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და კირილე ლორთქიფანიძე, რომლებიც სწორედ ი. ჭავჭავაძის წამოსვლის შემდეგ მოღვაწეობდნენ პეტერბურგში? ცხადია, იმიტომ, რომ მათი მოღვაწეობა ყველასათვის ცნო-

ბილია და როგორღა ხტყოდა „ეს ახალგაზრდები თერგდალეულებს მოცილებული იყვნენო?“ ან კიდევ: ნუთუ ავტორმა არ იცის ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ არც ვ. ჩერქეზიშვილს, არც ნ. ყიფიანს და არც ხ. სავანელს „ზემლია ი ვოლიასთან“ არ ჰქონიათ, და არც შეეძლოთ ჰქონოდათ, რაიმე კავშირი, რადგან რევოლუციურ მოძრაობაში მათი ჩაბმის დროს ეს ორგანიზაცია დიდი ხნის დაშლილი იყო?), მაგრამ ყოველივე ამასაც რომ თავი დავანებოთ, არა გვგონია ძნელი მისახვედრი იყოს, რომ ზემოთ მოტანილი ციტატები ერთმანეთს ძირფესვიანად ეწინააღმდეგება და რომელი მათგანი დაიჯეროს მკითხველმა?

3. ნაშრომში „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს-ის მეორე ნახევარში“ ავტორი ულოგიკო მსჯელობის პირდაპირ კლასიკურ მაგალითებს იძლევა. ვნახოთ, მაგალითად, როგორ ახასიათებს იგი იმ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც ჯერ 1832 წლის შეთქმულებაში იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას, ხოლო შემდეგ ჟურნალ „ცისკრის“ ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი:

„მოღვაწეთა ერთი ჯგუფი, რომელიც ადრე — ოცდათორმეტი წლის შეთქმულების პროცესში, მემარჯვენე ფრთას განასახიერებდა, კვლავ დარჩა სოციალური კონსერვატიზმის პოზიციაზე და საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის კონსერვაციის მოსარჩლედ გამოვიდა.

გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი და ზოგიერთი სხვა ოცდათორმეტიანი, რუსეთის ძლიერების მეხოტბე და მისი პოლიტიკის დამცველ ერთგულ ჯარისკაცებად იქცნენ“ (გვ. 52—53).

როგორც ვხედავთ, აქ ავტორი სრულიად გარკვევით და არაორაზროვნად ამბობს, რომ „ცისკრის“ ჯგუფი, და მათ შორის გრიგოლ ორბელიანი და დიმიტრი ყიფიანი, იყვნენ სოციალურ საკითხში კონსერვატორები, ე. ი. ბატონყმობის მოსარჩლენი, ხოლო პოლიტიკაში— რეაქციონერები, ე. ი. ცარიზმის პოლიტიკის დამცველი ერთგული ჯარისკაცები. ნაშრომის სხვა ადგილას ავტორი კვლავ იმეორებს, ამ აზრს და თან უმატებს, რომ ხსენებული მოღვაწენი ეროვნულ საკითხშიც ასეთივე კონსერვატორები იყვნენ და გულგრილად უცქეროდნენ, თუ როგორ სპობდა ცარიზმი ქართველ ერსო. მოვუსმინოთ:

„კონსერვატორები კვლავ ებღაუჭებოდნენ ძველსა და დრომოჭმულს, წოდებრივი პრივილეგიების შენარჩუნება-განმტკიცებისათვის იბრძოდნენ და ცარიზმის ადგილობრივ ხელისუფლებასა და რუსეთის იმპერატორს შეღაღადებდნენ ყოველმხრივ დაეცვათ ტახტის ერთგული თავადაზნაურული კლასის ინტერესები. ეროვნულ საკითხში კონსერვატორები კვლავ გულგრილი რჩებოდნენ ცარიზმის კოლონიური

პოლიტიკისადმი, რაც ქართველი ერის ასიმილაციას ითვალისწინებდა" (გვ. 335).

დავიხსომოთ ეს სიტყვები და ახლა ვნახოთ, რა არის ნათქვამი იმავე მოღვაწეების შესახებ წიგნის სხვა გვერდებზე:

„გრ. ორბელიანი და დ. ყიფიანი თავიანთი ეროვნული კონცეფციით სრულიადაც არ ეკუთვნოდნენ კონსერვატორების თაობას. პირველი... უპირატესად ახალი თაობის მხარეზე იდგა, მასთან ერთად მონაწილეობდა ყოველგვარ ეროვნულ თაოსნობაში, მეორე, — ცარიზმისადმი ერთგული სამსახურის მიუხედავად, პატრიოტი ქართველის იდეალურ ტიპს წარმოადგენდა" (გვ. 352).

შემდეგ:

„ეროვნული ტრადიციების დაცვის, ერის სულიერი ძალების გამოელინების, ერის ისტორიული საზღვრების (Sic) აღდგენის, ხალხის შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციის საქმეში გრ. ორბელიანი ახალთაობასთან თანამშრომლობდა... გრ. ორბელიანი, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანებთან, დიმიტრი ყიფიანთან და სხვებთან ერთად, მხარში ედგა ახალთაობას და წამოწყებული ეროვნული თაოსნობის წარმატებით განხორციელებას ნიჭსა და უნარს, ცოდნას და გამოცდილებას არ აკლებდა" (გვ. 344—345).

ამ იდეალურ სურათს კვლავ უხეშად არღვევს ასეთი ეპიზოდი:

1871 წელს... საქართველოს რუსეთის მონარქი ალექსანდრე მეორე ეწვია. თავადაზნაურობა დაფაცურდა, რომ იმპერატორისათვის თავისი უჭვეშევრდომილესი ერთგულება დაედასტურებინა და მისთვის რაიმე ახალი წოდებრივი პრივილეგია გამოეძალა. თავადაზნაურობამ სპეციალური შეკრებაც მოიწვია და აირჩია კომისია ადრესის შესადგენად... მაგრამ კომისიის კონსერვატორულმა ჯგუფმა, რომელშიც გრ. ორბელიანი, გ. ბირთველიჩი-თუმანიშვილი, დ. ჯორჯაძე, რ. ანდრონიკაშვილი (მარშალი) და სხვები შედიოდნენ, ბარონ ნიკოლაის მხარდაჭერით ადრესი თვითნებურად გადააკეთა, უმაღლესი სასწავლებლის გახსნა ამოიღო და მასში უმნიშვნელო ხასიათის წოდებრივი მოთხოვნები წამოაყენა...

ზემოაღნიშნულ ფაქტში თვალნათლივ გამოვლინდა კონსერვატორთა სულიერი კრედო, მათი ლაქიური სულისკვეთება, ერისათვის საჭირბოროტო საკითხებისადმი აღმაშფოთებელი გულცივობა და წოდებრივი ეგოიზმი" (გვ. 335—336).

ასეთ გამანადგურებელ კრიტიკას კვლავ ისეთი დითირამბები მოსდევს, როგორიცაა:

„დ. ყიფიანი საუკეთესო ქართველი იყო, რომელსაც უყვარდა მშობლიური ქვეყანა, მისი დიდებული წარსული, მისი ენა და კულტურა. იგი ამაყობდა თავისი ქართველობით... დიმიტრი ყიფიანი, ისე

როგორც თერგდალეულნი, იღვწოდა ერის გამოღვიძებისათვის; ეროვნული თვითმმართველობის გაფართოებისათვის; ერობისათვის, სასამართლოში ქართული ენის დაკანონებისათვის" (გვ. 347, 350).

თუ სიტყვებს საერთოდ რაიმე აზრი და მნიშვნელობა აქვთ, ყოვლად შეუძლებელია, რომ ერთი და იგივე მოღვაწე გამოვაცხადოთ კონსერვატორად (ე. ი. ბატონყმობის დამცველად) და ამავე დროს — იდეალურ ქართველად; ყოვლად შეუძლებელია, ავრეთვე, რომ ერთი და იგივე პიროვნება ერთსა და იმავე დროს იყოს ცარიზმის პოლიტიკის დამცველი, — მისი ერთგული ჯარისკაცი, რომელიც რუსეთის იმპერატორს ტახტის ერთგულ ფეოდალთა ინტერესების დაცვას შეღაღადებს, და ამავე დროს — ერის სულიერი ძალების; მისი შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციისათვის აქტიურად მებრძოლი; რა ფანტაზია უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ წარმოიდგინოს მოღვაწე, რომელიც ცარიზმის უხეშ კოლონიურ პოლიტიკას და მშობლიური ერის ასიმილაციას გულგრილად უყურებს, ხოლო ამავე დროს თავისი ქვეყნის პატრიოტია, თავისი ქართველობით ამაყობს და თერგდალეულებთან ერთად ხალხის გამოღვიძებისათვის იღვწის?! ვინ დაიჯერებს, რომ ლაჟიური სულისკვეთებით გაჟღენთილი კონსერვატორი, რომელსაც ერისათვის საჭირბოროტო საკითხებისადმი აღმაშფოთებელი გულგრილობა და წოდებრივი ეგოიზმი ახასიათებს, ამავე დროს თავდადებული საზოგადო მოღვაწეა და სახალხო საქმეს ნიჭსა და უნარს, ცოდნასა და გამოცდილებას არ აკლებს?!

ცნებებისა და აზრების მთელი ეს გაუგონარი არევ-დარევა იმის შედეგია, რომ პატივცემულმა ავტორმა ვერ გაიგო გრიგოლ ორბელიანის, დიმიტრი უყიფიანისა და საერთოდ ჟურნალ „ცისკრის" ირგვლივ შემოკრებილი მოღვაწეების საზოგადოებრივ შეხედულებათა არსი ანუ ამ შეხედულებათა სოციალურ-კლასობრივი ბუნება; ამავე დროს, ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია გამორკვეულია, რომ ხსენებული მოღვაწენი არც კონსერვატორები და რეაქციონერები ყოფილან და არც „იდეალური ქართველები" — ისინი იყვნენ თავისი კლასის განათლებული წარმომადგენლები, რომელთაც თანამედროვე მეცნიერება „თავადაზნაურულ ლიბერალებს" უწოდებს, ეს არის და ეს.

4. არავითარ ლოგიკას არ ემორჩილება ავტორის მსჯელობა რუსეთის იმპერიაში შექმნილი პირველი რევოლუციური სიტუაციის ირგვლივ. ერთ თავის ნაშრომში (1964 წ.) ავტორი, ვ. ი. ლენინის ცნობილ მითითებაზე დაყრდნობით, სამართლიანად ამტკიცებს, რომ რუსეთში პირველი რევოლუციური სიტუაცია 1859—1861 წლებში არსებობდაო[15], მაგრამ მომდევნო ნაშრომში (1968 წ.) მას ლენინის მი-

15 რუსეთი XIX ს. 60—80-იან წლებში, გვ. 5—7.

თითებაც ავიწყდება, თავისი საკუთარი მტკიცებაც და პირველი რევოლუციური სიტუაციის ფარგლებს ორი ათეული წლით აფართოებს; ის ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, თითქოს მთელ "60—70-იან წლებში რუსეთში რევოლუციური სიტუაცია სუფევდა, რევოლუციონურ-დემოკრატიული მოძრაობა არყეედა თვითმპყრობელობის ბურჯებს"[16]; მაგრამ საქმე ამითაც არ თავდება და მესამე ნაშრომში (1973 წ.) ავტორი ხსენებული რევოლუციური სიტუაციის უკვე ახალ დათარიღებას გვთავაზობს; ის ამბობს: „1860—1861 წლები რუსეთის იმპერიაში რევოლუციური სიტუაციის ხანას წარმოადგენს"[17].

ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე ასე წერა რუსეთის ისტორიის სპეციალისტს არ ეკადრება, მაგრამ ამაზე უფრო საოცარი ისაა, რომ ავტორი, როცა ეს მას სჭირდება, სავსებით გამორიცხავს საქართველოს რუსეთის იმპერიის ფარგლებიდან, რათა საშუალება ჰქონდეს ამტკიცოს, რომ საქართველოში რევოლუციური სიტუაცია არ ყოფილაო. დავაკვირდეთ მის მსჯელობას:

„1860—1861 წლები, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის იმპერიაში რევოლუციური სიტუაციის ხანას წარმოადგენდა. რუსეთი სახალხო რევოლუციის ზღურბლთან იდგა. მძლავრ ანტიბატონყმურ მოძრაობას იმპერიის შიგნით (Sic) მხარს უბამდა და აძლიერებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა განაპირა-კოლონიურ რაიონებში"...[18] მაგრამ არ იფიქროთ, რომ ყოველივე ეს საქართველოსაც შეეხებოდეს, პირიქით, ავტორი გვარწმუნებს, საქართველო ჯერ საამისოდ მომწიფებული არ იყოო; მოვუსმინოთ:

„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გლეხობა მძიმე სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება და მაღალი ტრადიციები გააჩნდა, მაინც შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ 1861 წლისათვის მასობრივი სახალხო აჯანყების ვითარება საქართველოში არ არსებულა... რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრი იმ დროისათვის არც სოციალური, არც ეროვნული გამოსვლისათვის მ ო მ წ ი ფ ე ბ უ ლ ი (ხაზი ავტორისაა, პ. რ.) ჯერ კიდევ არ ყოფილა"[19].

ყოველივე ეს ჰეშმარიტებისაგან, რა თქმა უნდა, ძალიან შორსაა, მაგრამ საინტერესოა გავიგოთ, რატომ გამოთიშა ავტორმა საქართველო რუსეთის იმპერიის იმდროინდელი საზოგადოებრივი და პოლი-

---

16 „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა", გვ. 143.

17 ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 197.

18 იქვე.

19 იქვე, გვ. 119.

ტიკური ცხოვრების ფერხულიდან? რატომ დაიეიწყა მან ქართველი გლეხობისა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის მრავალრიცხოვანი პოლიტიკური გამოსვლები და აჯანყებები, რომელთა მიზანი ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლება იყო? რატომ დასწამა მან ქართულ საზოგადოებრივ აზრს მოუმწიფებლობა იმ დროს, როცა აჯანყებული უბრალო გლეხებიც კი აცხადებდნენ, „კაცის კაცი აღარ უნდა არსებობდესო“, ხოლო რევოლუციური იდეებით აღფრთოვანებული პოეტი-ტრიბუნი ხალხს მოუწოდებდა: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ, გათენდა დღე დიდებისაო“?.

იმიტომ, ძვირფასო მკითხველო, რომ ხსენებული ფაქტები ეწინააღმდეგებიან და ძირს უთხრიან ავტორის ხელოვნურად შეთხზულ კონცეფციას. მხოლოდ ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას, რომ ავტორი თვალს ხუჭავს ყველასათვის ცნობილ ფაქტებზე და უარყოფს საქართველოში რევოლუციური სიტუაციის არსებობას.

მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალებაო, ნათქვამია. არავითარ ხელოვნურ კონცეფციას არ შეუძლია მიაფუჩეჩოს და უარყოს ის უცილობელი ისტორიული ფაქტი, რომ 60-იან წლებშიც და 1905 წლის მღელვარე დღეებშიც ქართველი ხალხი მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში იდგა!

ასეთია მოკლედ ჩვენი წინასწარი შენიშვნები პატივცემული ავტორის მეცნიერული სტილის ირგელივ.

როგორც დავინახეთ, პროფ. ა. სურგულაძე ძალიან თავისებური მეთოდით იკვლევს ისტორიულ მოვლენებს. მისი მეთოდით შეიარაღებული მეცნიერებისათვის ზედმეტია ლოგიკაც, ახალი საარქივო მასალებიცა და ელემენტარული ობიექტურობაც; მისთვის საკმარისია სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ და მრავალჯერ განხილულ მასალებში შეარჩიოს მისი, წინასწარი შეთხზული კონცეფციის შესაფერი ფაქტები და არგუმენტები, ნებისმიერად შეასწოროს და შეალამაზოს ისინი და ამ გზით „დაასაბუთოს“ თავისი მცდარი, ყოველგვარ ისტორიულ საფუძველს მოკლებული თვალსაზრისი. რაც შეეხება საკითხის არსებითად განხილვას და მეცნიერული ჰეშმარიტების დადგენას, ეს მისთვის სავალდებულო არ არის.

პატივცემული ა. სურგულაძე თვითონაც არ მალავს, რომ სწორედ ასეთი მეთოდით მუშაობს. ამის საუკეთესო მოწმობაა მისი დამოკიდებულება ე. წ. „კრიტიკული შენიშვნებისა“ და „საერთო კრიტიკული შენიშვნებისადმი“, რომლებიც უძვირფასესი ისტორიული დოკუმენტებია. ავტორი გადაჭრით აცხადებს, ეს დოკუმენტები „უპირატესად ბურჟუაზიული წრეების პოზიციას ასახავდნენო“, მაგრამ საიდან დაადგინა მან ასეთი „ჰეშმარიტება“?

მოეუსმინოთ:

„ჩვენს პირდაპირ მიზანს არ შეადგენს ამ დოკუმენტების შინაარსისა და ავტორობის სპეციალური კვლევა. საკითხის გარშემო არსებული ვრცელი ლიტერატურიდან უფრო დამაჯერებლად გვეჩვენება ახალგაზრდა მკვლევრის ო. ჟორდანიას ნარკვევი“[20].

მაგრამ რატომ მაინც და მაინც ხსენებული ახალგაზრდა ავტორის აზრები მოეწონა ჩვენს მკვლევარს? ცხადია, იმიტომ, რომ ეს აზრები მის კონცეფციას ასე თუ ისე უდგებიან. მაშასადამე, არ არის საჭირო არავითარი „სპეციალური კვლევა“. დაე, ამაზე თავი სხვებმა იმტვრიონ, ჩვენი ავტორი კი ყოველთვის იპოვის ერთ ან ორ თანამოაზრეს, რომელთა „სპეციალური გამოკვლევები“ მის „განზოგადებულ“ ნაშრომებს ფაქტებითა და არგუმენტებით მოამარაგებენ.

ასეთ მეთოდს, როგორც ცნობილია, მეცნიერებაში ეკლექტიზმის მეთოდი ეწოდება.

ამ მეთოდით შეიარაღებულ მკვლევარს შეუძლია ყოველგვარი მეცნიერული პრობლემა ადვილად „გადაჭრას“, მას შეუძლია სქელტანიანი წიგნებიც კი დაწეროს, ოღონდ მეცნიერების საგანძურს ვერ გაამდიდრებს.

გადავდივართ სადავო პრობლემის არსებითად განხილვაზე.

დავიწყოთ „ერის“ ცნების ავტორისეული გაგების კრიტიკით.

2. ერის ცნების მეცნიერული და მცდარი გაგება

პირველი ძირითადი საკითხი, რომელსაც პატივცემული ა. სურგულაძე არასწორად წყვეტს და რომელიც ეროვნულ საკითხში მისი დანარჩენი შეცდომების წყაროა, ესაა „ერის“ ცნების შინაარსის განსაზღვრა.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა, როგორც ცნობილია, საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა ღრმად შესწავლის საფუძველზე, დიდი ხანია შეიმუშავეს მწყობრი მოძღვრება ერებსა და ეროვნულ ურთიერთობებზე და ჩამოაყალიბეს ეროვნული საკითხის გადაწყვეტის მეცნიერული პრინციპები. გაითვალისწინა რა ერის არსზე და მის ძირითად ნიშნებზე კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის მიერ გამოთქმული შეხედულებანი, ი. ბ. სტალინმა ჯერ კიდევ 1913 წელს მოგვცა ერის ცნების კლასიკური განსაზღვრა, რომელიც ვ. ი. ლენინმა მოიწონა და საბჭოთა მეცნიერებაში საყოველთაოდ იქნა აღიარებული. ეს განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა შორის დიდი ხნის განმავლობაში დაეჭას არ იწვევდა, მაგრამ სტალინის კულტის კრი–

---

20 ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 180.

ტიკის შემდეგ ზოგიერთმა მეცნიერმა (მათ შორის პროფ. ა. სურგულაძემ) იგი ნაკლულად მიიჩნია და მისი გადასინჯვა მოითხოვა.

1966—1968 წლებში ჟურნალ „ვოპროსი ისტორიის“ ფურცლებზე გაიშალა ფართო დისკუსია ერის თეორიის ზოგიერთ სადავო საკითხზე, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი „ერის“ ცნების განსაზღვრის საკითხს ეჭირა. დისკუსიამ, რომელშიც 50-ზე მეტმა გამოჩენილმა საბჭოთა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა, დაწვრილებით განიხილა „ერის“ ცნების შინაარსი და იმ დასკვნამდე მიეიდა, რომ ი. ბ. სტალინის ფორმულა ხსენებული შინაარსის ერთადერთი სწორი და მეცნიერული განსაზღვრაა. 1970 წელს „ვოპროსი ისტორიის“ სარედაქციო კოლეგიამ გამოაქვეყნა დისკუსიის შემაჯამებელი წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„კ. მარქსმა, ფ. ენგელსმა და ვ. ი. ლენინმა თავიანთ ნაშრომებსა და გამოთქმებში გამოარკვიეს ერის არსი, ახსნეს მისი წარმოშობის მიზეზები და პირობები, დაახასიათეს მისი ძირითადი ნიშნები. დისკუსიის მსვლელობაში სავსებით სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ ერის ცნობილი განსაზღვრა, რომელიც ი. ბ. სტალინმა ჩამოაყალიბა, ყოველივე იმის განზოგადებაა, რაც კ. მარქსს, ფ. ენგელსსა და ვ. ი. ლენინს უთქვამთ ერის არსსა და მის მთავარ ნიშნებზე. ამ განსაზღვრაში ნათქვამია: „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“. ცნობილია, რომ ი. ბ. სტალინის ის ნაშრომი, რომელშიც ეს განსაზღვრაა მოცემული, დადებითად იყო შეფასებული ვ. ი. ლენინის მიერ. მოტანილი განსაზღვრა ერისა, როგორც ეს სამართლიანად აღინიშნა დისკუსიის მსვლელობაში, მეცნიერული, მარქსისტული განსაზღვრაა, იგი ერების მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემადგენელი ნაწილია“[21].

ასეთია ერის ის განსაზღვრა, რომელმაც უმკაცრესი კრიტიკის ჭარცეცხლში გამოიარა, მაგრამ მაინც ძალაში დარჩა და ამჟამადაც მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით არის აღიარებული ნამდვილად მეცნიერულ, მარქსისტულ-ლენინურ განსაზღვრად; თუმცა, რასაკვირველია, სტალინის განსაზღვრა დოგმა არ არის და მისი შემდგომი გაუმჯობესება-სრულყოფა, თუ ეს შესაძლებელია, არავის ეკრძალება.

პროფ. ა. სურგულაძემ ჯერ კიდევ 1970 წელს გამოსცა სპეციალური ნარკვევი „ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ“, რომელშიც დააყენა საკითხი ერის ცნების სტალინისეული განსაზღვრი-

[21] »Вопросы истории», 1970, № 8, с. 90.

სათვის კიდევ ერთი ნიშნის, სახელდობრ „ეროვნული სახელმწიფოებრიობის“ დამატების შესახებ. ავტორმა შემოგვთავაზა ერის ახალი განმარტება, რომელიც ამბობს:

„ერი ადამიანთა მყარი ისტორიულ-ეთნიკური ერთობაა, რომელიც ზრდას კაპიტალისტურ ან სოციალისტურ ეპოქაში ასრულებს, ეროვნულ სახელმწიფოდ ყალიბდება და ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და კულტურის ერთობით ხასიათდება“[22].

როგორც ვხედავთ, ამ განსაზღვრაში მთავარი სიახლე (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიტყვა „ეთნიკურის“ უადგილოდ დამატებას) ისაა, რომ ეროვნული სახელმწიფოს არსებობა აღიარებულია ერის არსებობის აუცილებელ ნიშნად. მაგრამ ყოველმა საქმეში ჩახედულმა მკითხველმა კარგად იცის, რომ ეს აზრი არც ახალია და არც ორიგინალური. ასეთი მოსაზრება წინადაც არაერთხელ ყოფილა გამოთქმული და ზოგიერთმა მეცნიერმა ზემოთ ხსენებული დისკუსიის მსვლელობაშიც გამოთქვა, რასაც არც ჩვენი ავტორი უარყოფს.

მაგრამ გააჩნია თუ არა ამგვარ „შესწორებას“ რაიმე თეორიული ან ისტორიული საფუძველი? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი „დამატებისა“ თუ „შესწორებისათვის“ არავითარი რეალური საფუძველი არ არსებობს, რაც ჩინებულად დაასაბუთა სტალინმა ჯერ კიდევ 1929 წელს, ნაშრომში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“. უპასუხებდა რა მეშკოვს, კოვალჩუკსა და სხვებს, ი. ბ. სტალინი ამბობდა:

„რუს მარქსისტებს უკვე დიდი ხანია აქვთ თავიანთი თეორია ერისა... როგორც თქვენი წერილიდან ჩანს, თქვენ ეს თეორია არასაკმარისად მიგაჩნიათ. ამიტომ, წინადადებას იძლევით დაემატოს ერის ოთხ ნიშანს მეხუთე ნიშანი, სახელდობრ: თავისი საკუთარი განკერძოებული ეროვნული სახელმწიფოს არსებობა. თქვენი აზრით, თუ ეს მეხუთე ნიშანი არ არის, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ერი.

მე ვფიქრობ, რომ თქვენ მიერ წამოყენებული სქემა „ერისა“ მისი ახალი, მეხუთე ნიშნით — უაღრესად მცდარია და არ შეიძლება გამართლებულ იქნას არც თეორიულად; არც პრაქტიკულ-პოლიტიკურად.

თქვენი სქემის მიხედვით ერებად უნდა გვეცნო მხოლოდ ისეთი ერები, რომლებსაც თავიანთი საკუთარი, სხვებისაგან განცალკევებული, სახელმწიფო აქვთ, ხოლო ყველა ჩაგრული ერი, რომლებიც დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას მოკლებული არიან, უნდა ამოგვეშალა ერების რიცხვიდან, ამასთან ჩაგრული ერების ბრძოლა ერო-

22 დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

ვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, კოლონიური ხალხების ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ უნდა გამოგვერიცხა „ნაციონალური მოძრაობის", „ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის" ცნებიდან.

უფრო მეტიც. თქვენი სქემის მიხედვით უნდა გვემტკიცებინა, რომ:

ა) ირლანდიელები ერი გახდნენ მხოლოდ „ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს" შექმნის შემდეგ, მანამდე კი ისინი ერს არ წარმოადგენდნენ;

ბ) ნორვეგიელები ერი არ იყვნენ მანამდე, სანამ ნორვეგია შვეციას არ გამოეყო, და ერი გახდნენ მხოლოდ ასეთი გამოყოფის შემდეგ;

გ) უკრაინელები ერი არ იყვნენ, როცა უკრაინა მეფის რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა, ისინი ერი გახდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთს გამოეყვნენ ცენტრალური რადისა და გეტმან სკოროპადსკის დროს...

ასეთი მაგალითი შეიძლებოდა მრავალზე მრავალი მოგვეყვანა.

ცხადია, სქემა, რომელსაც ასეთ აბსურდულ დასკვნამდე მივყევართ, არ შეიძლება მეცნიერულ სქემად ჩაითვალოს"[23].

არა გვგონია შეიძლებოდეს იმის უარყოფა, რომ აქ მოტანილი მსჯელობა სავსებით ლოგიკურია, ხოლო მაგალითები — საფუძვლიანი და დამაჯერებელი.

მაგრამ საინტერესოა გაირკვეს ის არგუმენტები, რომელთა დახმარებითაც პროფ. ა. სურგულაძე და მისი თანამოაზრენი თავიანთი მცდარი აზრის დასაბუთებას ცდილობენ. რამდენადაც პატივცემული ა. სურგულაძე არსებითად მხოლოდ იმეორებს დისკუსიაში მონაწილე თანამოაზრეების არგუმენტებს, ჩვენთვის სავსებით საკმარისია გავეცნოთ, თუ როგორაა შეფასებული ხსენებული არგუმენტები დისკუსიის მონაწილე მეცნიერთა უმრავლესობის მიერ და როგორ აისახა დისკუსიის შედეგად მიღებული დასკვნები „ვოპროსი ისტორიის" სარედაქციო წერილში. აი, რა არის ხსენებულ წერილში ნათქვამი:

„ძირითადი მოსაზრებანი, წამოყენებულნი იმის დასამტკიცებლად, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობა ერის ნიშანს წარმოადგენს, დაიყვანებიან იმ უზარმაზარი როლის აღნიშვნამდე, რომელიც რიგი დასავლეთევროპიელი ერების ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესში სახელმწიფოებრიობამ ითამაშა... ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის სიტყვებიც კი მოჰყავდათ იმის შესახებ, რომ ეროვნული სახელმწიფოების შექმნა წარმოადგენს „ყოველი ეროვნული მოძრაობის ტენდენციას (მისწრაფებას)", რომ „ეროვნული სახელმწიფო" არის „სა-

---

[23] ი. სტალინი, თხზ., ტ. 11, გვ. 369—371.

ყოველთაო წესი“, ხოლო ეროვნულად აჭრელებული სახელმწიფო, ე. ი. მრავალეროვანი სახელმწიფო, მხოლოდ გამონაკლისია. ამ დებულებებიდან (და კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ანალოგიური გამოთქმებიდან) კეთდებოდა დასკვნა იმის შესახებ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლები თითქოს ეროვნულ სახელმწიფოებრიობას განიხილავდნენ როგორც ერის ნიშანს...

მრავალმა ავტორმა მოიყვანა იმის დამამტკიცებელი დამაჯერებელი საბუთები, რომ ერის ძირითად ნიშნად სახელმწიფოებრიობის მიჩნევა კანონზომიერი არ იქნება. ასეთ წინადადებას ეწინააღმდეგება თვით ფაქტი ეროვნული სახელმწიფოების გვერდით მთელი რიგი მრავალეროვანი სახელმწიფოების (მათ შორის მეფის რუსეთის) არსებობისა, რომლებშიც უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებულ ერებს არ ჰქონიათ ფაქიანთი ეროვნული სახელმწიფოებრიობა. აღინიშნა, რომ კ. მარქსი, ფ. ენგელსი და ვ. ი. ლენინი, მიუთითებდნენ რა სახელმწიფოებრიობის დიდ როლზე ერის ჩამოყალიბებაში, არ მიიჩნევდნენ ეროვნულ სახელმწიფოებრიობას არც ერის ჩამოყალიბების აუცილებელ პირობად და არც მით უმეტეს მის ნიშნად. რაც შეეხება მარქსისტულ-ლენინურ პრინციპს ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, თვით სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე (რასაც ერის განსაზღვრაში ეროვნული სახელმწიფოებრიობის შეტანის მომხრენი იმოწმებენ), ეს პრინციპი, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, ეროვნული ჩაგვრისა და უთანასწორობის წინააღმდეგ იყო მიმართული და არ ნიშნავს იმას, რომ ყოველმა ერმა უთუოდ თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნას... ყოველივე აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ერის განვითარებისა და კონსოლიდაციის საქმეში, მაგრამ არ წარმოადგენს არც ერის შექმნის და არც მისი არსებობის აუცილებელ პირობას“[24].

ასეთი ნათელი მეცნიერული განმარტების შემდეგ თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენი ავტორი ხელს აიღებდა თავის მცდარ შეხედულებებზე როგორც ერის ცნების, ისე მისგან გამომდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსის გაგებაში, მაგრამ მოხდა პირიქით; ნაშრომში „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში“, რომელიც 1973 წელს გამოქვეყნდა, იგი კიდევ უფრო აღრმავებს შეცდომებს და ყოველი ღონისძიებით ცდილობს თავისი ხელოვნური ისტორიული კონცეფციის დაცვას.

ვნახოთ ეს კონკრეტულ მაგალითებზე.

---

[24] «Вопросы истории», 1970, № 8, с. 95—96.

თანამედროვე მეცნიერება, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, ისტორიული მოვლენის ახსნისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანთა სოციალურ ურთიერთობას ანუ კლასთა ბრძოლას, რომელიც ისტორიის მამოძრავებელ ფაქტორად არის აღიარებული. საბჭოთა მეცნიერისათვის არ შეიძლება სადავო იყოს, რომ დღემდე არსებული საზოგადოების ისტორია არსებითად კლასთა ბრძოლის ისტორიაა; ყოველმა ისტორიკოსმა იცის, რომ „სწორედ მარქსი იყო ის, ვინც პირველად აღმოაჩინა ისტორიის მოძრაობის დიდი კანონი, — კანონი, რომლის თანახმად ყველა ისტორიული ბრძოლა, წარმოებს ის პოლიტიკურ, რელიგიურ, ფილოსოფიურ თუ სხვა იდეოლოგიურ სფეროში — სინამდვილეში მხოლოდ საზოგადოებრივ კლასთა ბრძოლის მეტ-ნაკლებ ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს, და ამ კლასთა არსებობა და, მაშასადამე, აგრეთვე შეჯახება, თავის მხრივ პირობადებულია მათი ეკონომიური მდგომარეობის განვითარების დონით, მათი წარმოების წესით და ამით გამოწვეული მათი გაცვლა-გამოცვლით“[25].

აქედან ცხადია, რომ თანამედროვე მეცნიერება ყოველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას, და მათ შორის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასაც, განიხილავს არა მისი სოციალური შინაარსისაგან მოწყვეტით, არამედ ამ შინაარსის დიდი ისტორიული როლის გათვალისწინებით.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსის გასაგებად სოციალურ-კლასობრივი მომენტის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე განსაკუთრებით დაბეჯითებით მიგვითითებდა ვ. ი. ლენინი, რომელმაც რუსეთისა და ევროპის უახლესი ისტორიის გამოცდილების გათვალისწინებით ეროვნული საკითხის გადაწყვეტის მწყობრი მეცნიერული მოძღვრება შექმნა. სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ „ერის მარქსისტული თეორიის განვითარებაში ვ. ი. ლენინის წვლილი, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ მან მთავარი ყურადღება მიაქცია ერის **სოციალურ** არსის გამოკვლევას და, კერძოდ სოციალურსა და ეთნიკურს შორის სწორი ურთიერთობის დადგენას“[26].

ნათქვამიდან, ეფიქრობთ, დღესავით ნათელია, რომ თანამედროვე მეცნიერება არ ცნობს სოციალური შინაარსისაგან დაცლილ „წმინდა“ ეთნიკური ხასიათის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

---

25 მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1950, გვ. 265—266.

26 Ленинизм и национальный вопрос в современных условиях, М., 1974, с. 15.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სხვა ქვეყნებშიც და საქართველოშიც მიზნად ისახავდა ხალხის როგორც ეროვნული, ისე სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებას: „ერის არსში, ეროვნულ ურთიერთობებში სოციალური და ეთნიკური დიალექტიკურ ურთიერთკავშირში, ურღვევ ერთიანობაში იმყოფებიან, თუმცა განმსაზღვრელ როლს მეტწილად სოციალური, კლასობრივი ფაქტორები თამაშობენ"[27].

ასეთია თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსზე, ამ მოძრაობაში სოციალურისა და ეროვნულის ურთიერთობაზე.

ახლა ვნახოთ, როგორ ესმის პროფ. ა. სურგულაძეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსი.

მისი ნაშრომების ყურადღებით შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ავტორის ისტორიულ კონცეფციას თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში სოციალური მომენტის უგულებელყოფისა და ეთნიკური მომენტის გაზვიადების ტენდენცია.

ბატონყმური ჩაგვრისაგან ხალხის განთავისუფლებისა და დემოკრატიული წყობილების დამყარების საკითხი, ავტორის აზრით, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ ეტაპზე (30—40-იან წლებში) სულაც არ მდგარა, ხოლო 60-იან წლებში — მეორეხარისხოვან და უმნიშვნელო საქმედ იყო მიჩნეული (აქედანაა ავტორის მტკიცება, ილია ჭავჭავაძეს ლუარსაბ თათქარიძე და ზნედაცემული დათიკო, როგორც ქართველები, ეცოდებოდაო, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი).

ავტორის კონცეფციით, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ხალხის (გლეხობის) სოციალურ (ანტიბატონყმურ) მოძრაობასთან იყოს დაკავშირებული, რადგან ეს ორი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოძრაობაა; ამიტომ, საესებით შესაძლებელია, რომ ესა თუ ის მოღვაწე სოციალური თვალსაზრისით კონსერვატორი და რეაქციონერი იყოს, ხოლო ეროვნული თვალსაზრისით — პროგრესის მედროშე და იდეალური ადამიანი (აქედანაა ავტორის მტკიცება, გრ. ორბელიანი და დ. ყიფიანი ერთსა და იმავე დროს ბატონყმობის დამცველი რეაქციონერებიც იყვნენ და ხალხის ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლი იდეალური ქართველებიცო).

ესეც უნდა ითქვას: სიტყვით ავტორი ზოგჯერ აღიარებს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანი სოციალური ჩა-

---

[27] იქვე.

გვრის (ბატონყმური ურთიერთობის) მოსპობაც იყოო, მაგრამ ეს მხოლოდ ლიტონი განცხადებაა, სინამდვილეში იგი სოციალურ საკითხს უგულებელყოფს ყველგან, სადაც კი ეს მისი კონცეფციისათვის საჭიროა. ამით აიხსნება ის უცნაური ფაქტი, რომ ავტორი 1832 წლის შეთქმულების მონაწილე თავადების უმრავლესობას, რომელსაც, მისივე სიტყვით, ხალხის სოციალური ტკივილები სრულებით არ აწუხებდა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპის წარმომადგენლებად სთვლის.

გავეცნოთ ავტორის მსჯელობის რამდენიმე ნიმუშს.

უპირველეს ყოვლისა, ვნახოთ როგორ განსაზღვრავს იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსს.

ჯერ კიდევ 1970 წელს ავტორმა შემოგვთავაზა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსის შემდეგი საკუთარი განსაზღვრა, რომელიც ზუსტად გაიმეორა 1974 წელს გამოცემულ ნაშრომებშიც:

„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, იმ ერის მოძრაობაა, რომელიც ეროვნულ თავისუფლებას მოკლებულია და მისი მოპოვებისათვის იბრძვის“[28].

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ამ მარტივ განსაზღვრაში ლაპარაკია მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე, ხოლო სოციალური მომენტი სრულიად უგულებელყოფილია. მაგრამ მივყვეთ ქვემოთ.

როდის იწყება და რა მიზანს ისახავს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელი კლასია მისი ხელმძღვანელი? მოვუსმინოთ:

„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ხალხების ერებად კონსოლიდაციის ხანგრძლივი პროცესის დამამთავრებელ ეტაპზე წარმოიშვება. ესაა ბურჟუაზიული მოძრაობა და მის მედროშედ უ ე ლ გ ა ნ (ხაზი ჩვენია — პ. რ.) ბურჟუაზია გამოდის... თუ კაპიტალიზმის გაფურჩქვნისა და განმტკიცების ეტაპზე ამ მოძრაობის ავანგარდი ბურჟუაზიაა, და მას ეპყრა ხელთ მოძრაობის დროშა, შემდგომში, კაპიტალიზმის ლპობისა და პროლეტარულ რევოლუციის ეპოქაში ეროვნული მოძრაობის ავანგარდში ბურჟუაზიის ნაცვლად პროლეტარიატი დგება, რომლის მთავარ მოკავშირედ გლეხობა გამოდის“[29].

შემდეგ:

„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი ტენდენცია უ ე ლ ა ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი (ხაზი ჩვენია — პ. რ.) ეროვნული

---

28 ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ, გვ. 72; ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 417—418.

29 ქართული საზოგ. აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 418.

სახელმწიფოების შექმნა-ჩამოყალიბება იყო. სწორედ კაპიტალიზმის აღმავლობის ხანაში ჩამოყალიბდა ეროვნულ სახელმწიფოებად ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი და სხვ. ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება ძირითადი მისწრაფება იყო იტალიელი და გერმანელი ერებისა... ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ტენდენცია განსაზღვრავდა რუსეთის და აესტრიის მრავალეროვან სახელმწიფოებში გაერთიანებული, კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას (პოლონეთი, უკრაინა, ბელორუსია, ბალტიისპირეთი, ამიერკავკასია), ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის ნიშნით მიმდინარეობდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმართული ერთის მხრივ თურქეთის, მეორეს მხრივ ავსტრია-უნგრეთის ძალადობის წინააღმდეგ"[30].

მოტანილი მსჯელობა იმსახურებს, სულ მცირე, სამ სერიოზულ შენიშვნას:

ჯერ ერთი, ავტორს არასწორად აქვს წარმოდგენილი ის ისტორიული პირობები, რომელშიც ევროპის დასავლეთსა და აღმოსავლეთში ერების წარმოშობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესი მიმდინარეობდა; მას ჰგონია, რომ ეს პროცესი ყველა ქვეყანაში ერთნაირი იყო; ავტორი ვერ ამჩნევს, რომ ინგლისში (უირლანდიოდ), საფრანგეთსა და იტალიაში ერების წარმოშობა დროის მიხედვით ცენტრალიზებული სახელმწიფოების წარმოშობას დაემთხვა და. ბუნებრივია, რომ ეს ერები დამოუკიდებელ ბურჟუაზიულ ნაციონალურ სახელმწიფოებად განვითარდნენ. აღმოსაელეთში კი სხვაგვარი პირობები იყო, რის გამო აქ ერები დამოუკიდებელ ნაციონალურ სახელმწიფოებად კი არ განვითარდნენ, არამედ შექმნეს რამდენიმე მრავალეროვანი ბურჟუაზიული სახელმწიფო (ავსტრია, უნგრეთი, რუსეთი), რომლებიც გაბატონებული და დაჩაგრული ერებისაგან შედგებოდნენ.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ამ ორი სხვადასხვა ისტორიული ვითარების ერთმანეთში არევა და იმ თავისებურებათა დავიწყება, რომელშიც რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმდინარეობდა, გარდუვალად გამოიწვევს ისტორიული პერსპექტივის დამახინჯებას, — გამოიწვევს იმ პრინციპული განსხვავების უგულებელყოფას, რომელიც დიდი და პატარა ერების, გაბატონებული და დაჩაგრული ერების ნაციონალურ მოძრაობებს შორის არსებობს.

მეორე, ავტორი შაბლონურად უდგება ბურჟუაზიის ისტორიული

---

30 ერის ცნებისა და რეოლუციამდელ..., გვ. 74.

როლის გაგებას და ვერ ამჩნევს, რომ ეკონომიურად ჩამორჩენილი და დაჩაგრული ერების სუსტ ბურჟუაზიას არ შეეძლო ისეთივე პროგრესული როლი ეთამაშა თავისი ქვეყნის ისტორიაში, როგორც ეს, ვთქვათ, ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზიამ თავის დროზე ითამაშა.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ იმის მტკიცება, თითქოს ყველა ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშედ ბურჟუაზია გამოდიოდა, გარდუვლად მიგვიყვანს ისტორიული ფაქტების უგულებელყოფამდე. რანაირად შეიძლებოდა, რომ ქართველი ბურჟუაზია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე ყოფილიყო, როცა იგი, — როგორც ეს ყველასათვის ცნობილია, — რეფორმამდელ ხანაში და თვით რეფორმების პერიოდშიც (60-იან წლებში), როგორც კლასი ჯერ არც კი არსებობდა?!

მესამე, ავტორს არასწორად ესმის გლეხობის (აგრეთვე ქალაქის ღარიბი მოსახლეობის) ისტორიული როლი, ის ვერ ხედავს იმ პირდაპირ კავშირს, რომელიც გლეხთა აჯანყებებსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის არსებობს. მას ჰგონია, რომ მუშათა მოძრაობის დაწყებამდე გლეხობა არ თამაშობდა რაიმე სერიოზულ როლს მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ მიმართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

გამოდის, რომ ქართველი ბურჟუაზია, იმ დროსაც კი, როცა იგი არ არსებობდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი და მედროშე იყო, ხოლო ქართველი გლეხობა, რომელიც მოსახლეობის ცხრა მეათედს შეადგენდა და მთელი XIX საუკუნის განმავლობაში აჯანყებას აჯანყებაზე აწყობდა როგორც რუსეთის თვითმპყრობელობის, ისე „საკუთარი" თავადაზნაურობის წინააღმდეგ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში არავითარ სერიოზულ როლს არ თამაშობდა... ვისაც სურს, დაიჯეროს!

მაგრამ საქმე ამითაც არ მთავრდება. ჩვენი ავტორის აზრით, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, თურმე არა მარტო ბურჟუაზია, არამედ ზოგჯერ რეაქციული თავადაზნაურობაც კი ხელმძღვანელობდა. როგორ ხდებოდა ასეთი დაუჯერებელი ამბავი?

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ავტორის აზრით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ბურჟუაზიული მოძრაობაა და მისი ხელმძღვანელი ყველგან ბურჟუაზიაა, მაგრამ საქმე ისაა, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში ბურჟუაზია არ არსებობდა, რაც ჩვენმა ავტორმაც კარგად იცის; იმ დროს საზოგადოების ძირითად კლასებს თავადაზნაურობა და გლეხობა შეადგენდნენ, მაგრამ რამდე-

ნადაც ავტორი გლეხობას და მის იდეოლოგებს ანგარიშში არ აგდებს, იძულებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპის დროშა რეაქციულ თავადაზნაურობას გადაულოცოს. მართალია, ასეთი სახიფათო ოპერაციის ჩასატარებლად მას წინ გადაულახავი თეორიული და ისტორიული ხასიათის წინააღმდეგობანი ხვდება, მაგრამ მეცნიერი არაეითარ დაბრკოლებას არ უშინდება.

გავადევნოთ თვალი ავტორის აზრთა დენას:

„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მის პირველ ეტაპზე ბურჟუაზიული მოძრაობაა. ეს თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ამ ეტაპზე მისი მედროშე არის ბურჟუაზია... ბურჟუაზიას ამ დროს ხელთ ეპყრა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა. იგი ერის ავანგარდი იყო წინსვლის გზაზე. მაშინდელ ვითარებაში იგი იყო ხელმძღვანელი, დამრაზმავი, პროგრესული ძალა საზოგადოების დახავსებული, დრომოჭმული ძალების წინააღმდეგ... ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც XIX ს. 30—40-იან წლებში ჩაისახა და 60—70-იან წლებში განმტკიცდა, ეროვნულთან ერთად სოციალური შინაარსისაც იყო და ითვალისწინებდა არა მარტო ცარიზმის კოლონიური უღლისაგან ქვეყნის განთავისუფლებას, არამედ თავადაზნაურულ-ფეოდალური ბატონობის მოსპობას, მისი სოციალური პრივილეგიების ლიკვიდაციას“[31].

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რა მოუხერხოთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში არც 30-იან და არც 60-იან წლებში ეროვნული ბურჟუაზია, როგორც კლასი, არ არსებობდა? ვის, რომელი კლასს უნდა ეკისრა „არა მარტო ცარიზმის კოლონიური უღლისაგან ქვეყნის განთავისუფლება, არამედ თავადაზნაურულ-ფეოდალური ბატონყმობის მოსპობა, მისი სოციალური პრივილეგიების მოსპობა?“ მოვუსმინოთ:

„კაპიტალისტური ურთიერთობის აღმოცენებისა და განმტკიცების ეპოქაში, ეროვნული მოძრაობის თავისთავად ბურჟუაზიული შინაარსის მიუხედავად, მრავალჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვან ძალად თავადაზნაურულ-მემამულური კლასის წარმომადგენლები გამოსულან (ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ძალების მოუმწიფებლობის გამო) და ისეთი პროგრამა დაუსახავთ, რომელიც მხოლოდ ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენას გულისხმობდა და ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობას უცვლელად ტოვებდა“[32].

ასე ადვილად, როგორც იტყვიან, კალმის ერთი მოსმით გამოაცალა ავტორმა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სოციალური

---

31 ერის ცნებისა და რეოლუციამდელ..., გვ. 74—76.

32 იქვე, გვ. 78.

(დემოკრატიული) შინაარსი და დაიყვანა იგი „წმინდა“ ეროვნულ (ეთნიკურ) მოძრაობამდე. ამის შემდეგ მას, ცხადია, ხელს არაფერი უშლიდა, რომ ქართველი თავადაზნაურობის ის რეაქციული ნაწილი, რომელიც „ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობას უცვლელად ტოვებდა“, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპის მესვეურად გამოეცხადებინა, და გამოაცხადა კიდეეაც. მოეუსმინოთ:

„დაჯერებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი თავადების პოლიტიკური იდეალი თავისი შინაარსით ეროვნულ-განმათავისუფლებელი იყო, იგი მთელი ქართველი ხალხის ინტერესებს უპასუხებდა, ცარიზმის აგრესიას წინ ეღობებოდა და ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნების კეთილშობილურ იდეას ემსახურებოდა“[33].

ასე გააიგივა ავტორმა მთელი ქართველი ხალხის ინტერესები ერთი მუჭა რეაქციონერი თავადების ინტერესებთან, — იმ თავადებისა, რომლებსაც, თვით ჩვენი ავტორის აღიარებით, „სიტყვის გაგონებაც კი არ სურდათ სოციალურ ურთიერთობაში რაიმე ცვლილებაზე“, რადგან „მამულიც და ყმაც საშეილიშვილო საკუთრებად მიაჩნდათ“[34].

რაც შეეხება საკუთრივ 1832 წლის შეთქმულებას, მის შესახებ ავტორი ამბობს:

„შეთქმულების მონაწილეთა უდიდესი უმრავლესობა იმის გამო, რომ თავადაზნაურული კლასის წარმომადგენლები იყვნენ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში სოციალურ მხარეს უყურადღებოდ ტოვებდნენ. მათ პროგრამაში არ შედიოდა არსებითი ცვლილება ქართველი ხალხის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში“[35].

ამრიგად, თუ ავტორს დაეუჯერებთ, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთადერთი მიზანი ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების შენარჩუნება და მისი დამცველი ქართული სახელმწიფოს აღდგენა ყოფილა!

აი, სადამდე მიიყვანს მკვლევარს სოციალ-კლასობრივი მომენტის უგულებელყოფა, — ისტორიის დიდი კანონის დავიწყება!

ვფიქრობთ, ყველაფერი ღღესავით ნათელია.

დაგვრჩენია გავარკვიოთ საკითხი, როგორ აფასებს ავტორი 60-იანელთა (თერგდალეულთა) იდეოლოგიას?

ავტორი რომ ლოგიკურად მსჯელობდეს (რამდენადაც ეროვნული ბურჟუაზია ჩვენში არც 60-იან წლებში არსებობდა), მისი კონცე-

---

33 ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, გვ. 178.

34 იქვე, გვ. 179.

35 ერის ცნებისა და რეფორმაციამდე..., გვ. 88.

ფციით თერგდალეულებიც თავადაზნაურთა კლასის წარმომადგენლებად (იდეოლოგებად) უნდა გამოცხადებულიყვნენ, — სწორედ ისე, როგორც ამას თავის დროზე ცნობილი „რაპპელები“ და ბურჟუაზიული მოაზროვნეები აკეთებდნენ. მაგრამ ჩვენს დროში რაპული და ბურჟუაზიული შეხედულებების აშკარად ქადაგება შეუძლებელი საქმეა, ამიტომ ავტორი ამჯობინებს თავისი კონცეფციის ლოგიკური წყობა დაარღვიოს და თერგდალეულები, საერთოდ, კლასების გარეშე მდგომ მოღვაწეებად წარმოგვიდგინოს, ის ამბობს:

„საეს ებით მართებულად მიუთითებენ ქართველი მკვლევარები (მ. დუდუჩავა, კენჭოშვილი და სხვ.), რომ ილია და მისი თანამებრძოლები გამოდიოდნენ „მთელი ერის“ თეორიიდან. მათთან უველაზე მაღლა იდგა არა რომელიმე კლასის ან წოდების, არამედ მთლიანად ერის ინტერესები. „მთლიანი ერის“ თერგდალეულურ თეორიას საფუძვლად ედო წოდებათა ერთიანობა, რაც განსაკუთრებითაა ხაზგასმული ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის, ს. მესხის და სხვათა მსოფლმხედველობაში და რაც საბჭოთა მკვლევარების მიერ მიჩნეულია უველაზე სუსტ მხარედ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა“[36].

ეს თვალსაზრისი, როგორც ცნობილია, ახალი არ არის და ჩვენც არაერთხელ გვქონდა შემთხვევა მისი უსაფუძვლობა დაგვესაბუთებინა[37], ამიტომ მის დაწვრილებით კრიტიკას აქ აღარ გამოვუდგებით, ოღონდ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება მკითხველს მოვაგონოთ დიდი ლენინის შესანიშნავი აზრი იმის შესახებ, რომ „არც ერთ ცოცხალ ადამიანს არ შეუძლია არ მიემხროს ამა თუ იმ კლასს“[38] და რომ „საზოგადოებაში, რომელსაც კლასობრივი წინააღმდეგობანი ღრღნის, არ შეიძლება არასოდეს გარეკლასობრივი ან ზეკლასობრივი იდეოლოგია არსებობდეს“[39].

ამრიგად, ვერ ჩასწვდა რა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნამდვილ არსს, ჩვენმა ავტორმა ვერც თერგდალეულთა იდეოლოგიის კლასობრივი ბუნების განსაზღვრა შესძლო. მისი ისტორიული კონცეფცია, რომლის დასაცავად ავტორი არ ერიდება არც თეორიისა და არც ისტორიის უგულებელყოფას, დაუძლეველ წინააღმდეგობებსა და შეცდომებზეა აგებული, ამიტომ, ამ კონ-

---

36 ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 423.

37 იხ. პ. რატიანი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, 1962, გვ. 31.

38 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 664.

39 იქვე, ტ. 5, გვ. 481.

ცეფციის საშუალებით საქართველოს ისტორიის მოვლენათა სწორი ახსნა და გაგება ყოვლად შეუძლებელია.

აქ ბუნებრივად იბადება კითხვა: საიდან, რა ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა ავტორმა თავისი ისტორიული კონცეფცია?

პროფ. ა. სურგულაძე თვითონაც არ მალავს, რომ მისი კონცეფციის ერთ-ერთი წყარო XIX საუკუნის ზოგიერთი ქართველი მოაზროვნის, კერძოდ, არჩილ ჯორჯაძის შეხედულებებია, ამიტომ ზედმეტი არ იქნება მოკლედ მაინც გავეცნოთ ამ შეხედულებებს.

4. ა. ჯორჯაძე და ეროვნული საკითხი

ზემოთ ჩვენ უკვე ვნახეთ, რა დაჟინებით მოითხოვდა პატივცემული ა. სურგულაძე ერის ცნების გადასინჯვას და მისთვის ახალი, მეხუთე ძირითადი ნიშნის — „სახელმწიფოებრიობის“ დამატებას; ჩვენ ვნახეთ აგრეთვე, რომ, ავტორის აზრით, სწორედ სახელმწიფოს აღდგენა იყო უპირველესი და ძირითადი ამოცანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომლის ხელმძღვანელად ანუ მედროშედ ბურჟუაზია და თავადაზნაურობა გამოდიოდა, ხოლო რაც შეეხება სოციალურ საკითხს (ე. ი. ბატონყმური უღლისაგან გლეხთა განთავისუფლებას), ასეთ ამოცანას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები ან სულ არ ისახავდნენ (პირველ ეტაპზე) ან კიდევ მეორეხარისხოვან საქმედ მიიჩნევდნენ (60-იან წლებში).

ახლა ვნახოთ როგორ მსჯელობს ამ საკითხებზე არჩილ ჯორჯაძე.

„ქართულმა სახელმწიფომ შეჰქმნა ქართული ეროვნება[40] და ეროვნული შემეცნება. ეს შემეცნება ძლიერი იყო ქართულ სახელმწიფოს ძლიერების ხანაში, ხოლო სუსტი ამ სახელმწიფოს დასუსტების დროს. მეტსაც ვიტყვით, ჩვენი ეროვნული თვითშემეცნება ძალადობით იყო შექმნილი სწორედ ისე, როგორც ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია“[41].

შემდეგ:

„სახელმწიფოს, თავის ძალდატანებითი ორგანოებით, შეუქმნია არა ერთი და ორი ერი ეთნოგრაფიულად სხვადასხვა ელემენტებისაგან შემდგარი. შორს რომ არ წავიდეთ, ქართულ ეროვნების შემოქმედი მთავარი ფაქტორი — „სამეფო“ ამავე გზაზე იდგა... სახელმწიფოებრივმა ორგანიზაციამ, რომელიც ბატონ-ყმობის და პატრონ-

40 ავტორი „ერსა“ და „ეროვნებას“ ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობს.

41 ა. ჯორჯაძე, თხზ., წიგნი, I, 1911, გვ. 26—27.

ყმობის ნიადაგზე განმტკიცდა, წარმოშობა ჩვენში ქართული ეროვნული თვითშემეცნება. ამ ეროვნულ თვითშემეცნების შინაარსს მარტოოდენ პოლიტიკური მთლიანობის აზრი კი არ შეადგენდა, არამედ ღმერთის და ბატონის წინაშე დამორჩილების გრძნობაც"[42].

შემდეგ:

„თუ გვინდა კონკრეტულად შევისწავლოთ ეროვნების ჩასახვის და განვითარების პროცესი, სახელმწიფოსაკენ უნდა მივაპყრათ გულისყური და ამ პოლიტიკურ ორგანიზაციაში ვპოვებთ იმ მოძრავ ძალას, რომელიც, სრულიად შეუგნებლივ, საუკუნეთა განმავლობაში თავის ფარგლებში და თავის ორგანოების დახმარებით ამუშავებდა ეროვნულ შემეცნების გრძნობას"[43].

შემდეგ:

„შეურყეველია ის აზრი, რომ არც ენას, არც რასას, არც საერთო თავგადასავალს, არც სხვა რამ ამ ხასიათისას არ ჰქონია ძალა ეროვნების შექმნისა. ეს სასწაული არ მოუხდენიათ არც ამ ელემენტებს ერთად აღებულებს. ეროვნების წარმოშობისათვის საჭირო იყო სხვაგვარი ძალა. საჭირო იყო ერთგვარი ორგანო, რომელსაც გათქვეფისა, ჩაყრისა და შეერთების ძალა შესწევდა და ეს ორგანო იყო სახელმწიფო"[44].

შემდეგ:

„რუსეთის დამკვიდრების შემდეგ საქართველოს დაქანებულის ნაბიჯით მიაქანებდნენ დენაციონალიზაციისაკენ. დენაციონალიზაცია გამოწვეული იყო უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოებრივ ორგანოების მოსპობით... სახელმწიფო ორგანოები (მეფობა) ჰქმნიდა ქართულ ეროვნებას. მოისპო მეფობა, დაძაბუნდა, შეირყა ეროვნებაც"[45].

დაბოლოს:

„ჩვენი ცხოვრების პოლიტიკური პირობები ისე მოეწყვნენ, რომ დღეს აუცილებლად გვესაჭიროება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მომხდარი შეცდომის და უსამართლობის გასწორება. დღეს უნდა აღვადგინოთ პ რ ი ნ ც ი პ ი სახელმწიფოებრიობისა. ასე რომ ჩვენ წარსულიდან მარტოოდენ ამ პრინციპს ვიღებთ და შინაარსს კი ვდებთ ჩვენი დროის მოთხოვნილებათა მიხედვით. როგორც გინდათ განმარტეთ

---

42 იქვე, გვ. 29—30.

43 იქვე, გვ. 36.

44 იქვე, გვ. 43.

45 ა. ჯორჯაძე, თხზ., წიგნი, I, 1911, გვ. 116—117.

და გაიგეთ მეფე ერეკლეს ანდერძი, უცილობელი და უტყუარი კი მასში ერთად-ერთი აზრია, ეს არის ავტონომიის აზრი"[46].

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ზემოთ მოტანილი აზრები წარმოადგენენ ერთ-ერთ წყაროს, რომელმაც პროფ. ა. სურგულაძის ისტორიული კონცეფცია იდეურად ასაზრდოვა. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი კონცეფცია მთლიანად ემთხვევა ა. ჯორჯაძის შეხედულებებს (მაგალითად, თანამედროვე ავტორი, ცხადია, ვერ იტყოდა, „ქართული ეროვნული თვითშეგნების შინაარსს, ღმერთის და ბატონის წინაშე დამორჩილების გრძნობა შეადგენდაო"), მაგრამ ა. ჯორჯაძის შეხედულებათა გარკვეული გავლენა მის კონცეფციაზე უეჭველი ფაქტია. პატივცემულმა ა. სურგულაძემ გაიზიარა ა. ჯორჯაძის ძირითადი დებულება, სახელდობრ ის დებულება, რომ სახელმწიფოებრიობა არის ერის ძირითადი ნიშანი, ხოლო სახელმწიფოებრიობის პრინციპის აღდგენა — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი მიზანი. აქედან გამომდინარეობს ავტორის დაჟინებითი ცდა, ეროვნული საკითხი ყოველმხრივ გააზვიადოს, ხოლო სოციალური — ყოველმხრივ მიჩქმალოს.

იმ ფაქტს, რომ მისი კონცეფცია ადრინდელი შეხედულებებიდან გამომდინარეობს, ჩვენი ავტორი, როგორც უკვე ითქვა, არსებითად თვითონვე აღიარებს. დავაკვირდეთ, მაგალითად, მის შემდეგ მსჯელობას:

„ა. ჯორჯაძემ ქართველ სამოციანელთა სამოღვაწეო პროგრამის დედაბოძად ეროვნული საკითხი აღიარა. ილია ჭავჭავაძეში იგი ხედავდა ეროვნული ცხოვრების წინამძღოლს... ეროვნული ჰირვარამის გამომხატველს...

კ. აბაშიძე აკაკი წერეთლის შემოქმედების ქვაკუთხედად აღრეთვე ეროვნულ იდეალს თვლიდა...

ფედერალისტური პარტიის ლიდერებმა სწორად გაიაზრეს[47] (ხაზი ჩვენია, პ. რ.) სამოციანელთა პროგრამის დედა-აზრი. ეს დედა-აზრი მართლაც ეროვნული საკითხი იყო"[48].

შემდეგ:

„1964 წელს ჩვენ გამოვაქვეყნეთ ნაშრომი „რუსეთი XIX ს. 60—80-იან წლებში", სადაც ცალკე თავად გამოვყავით „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის ისტორიაში XIX საუკუნის 60—70-იან წლებში"... ამ მოძრაობის ძირითად ლოზუნგად მივიჩნიეთ

---

46 იქვე, გვ. 132—133.

47 ამ ადგილას ტექსტში დაშვებულია კორექტურული შეცდომა: „გაიაზრეს" ნაცვლად წერია „გაიზიარეს". ვასწორებთ შეცდომას კონტექსტის მიხედვით.

48 ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 7, 9, 10.

„ჩვენი ფიქრი ჩვენადვე გვეყუდნეს“; „ჩ ვ ე ნ გ ა ვ ი ზ ი ა რ ე თ ა დ რ ე გ ა მ ო თ ქ მ უ ლ ი თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი (ხაზი ჩვენია — პ. რ.) ყველაზე მტკივნეული, ყველაზე ძირითადი საკითხი, რომლის გარშემო ქართველ 60-იანელთა საზოგადოებრივი მოღვაწეობა გაიშალა, ეროვნული საკითხი იყო“[49].

შემდეგ:

„ჩვენში ერის ძირითად კომპონენტად ეროვნულ სახელმწიფოს აღიარებდა ფედერალისტი ა. ჯორჯაძე. ამასთან ქართველი ხალხის ბრძოლას სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის იგი XIX—XX საუკუნის მოძრაობათა ქვაკუთხედად აცხადებდა. ერის ნიშნად ეროვნული სახელმწიფოს აღიარებაში ა. ჯორჯაძე მართალი იყო...“[50].

ან კიდევ:

„ჩვენ შეეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ 60-იანი წლების დასაწყისის ქართველ მოღვაწეთა სამოქმედო პროგრამის დედააზრი, საფუძველთა-საფუძველი ეროვნული საკითხი იყო. ამ კუთხიდან უყურებდნენ ისინი ცხოვრების წინაშე მდგარ ყველა პრობლემას“[51].

ამ ამონაწერებიდან ცხადია, რომ ის „ადრე გამოთქმული თვალსაზრისი“, რომელიც ჩვენს ავტორს ჯერ კიდევ 1964 წელს გაუზიარებია, სხვა არაფერია, თუ არა ფედერალისტური პარტიის ლიდერების — არჩილ ჯორჯაძისა და კიტა აბაშიძის მიერ გამოთქმული და „სწორად გააზრებული“ შეხედულებანი.

ამის შემდეგ საკვირველი აღარაა არც ის გარემოება, რომ ავტორი სავსებით აიგივებს ერთმანეთთან ა. ჯორჯაძის ცნობილ „საერთო ნიადაგის“ ბურჟუაზიულ თეორიას და ი. ჭავჭავაძის წოდებათა შერიგების თვალსაზრისს და არც ის, რომ, მისი ფიქრით, ა. ჯორჯაძის შეხედულება ე. წ. დასების თეორიაზე, ვითომ, „თითქმის ემთხვევა“ თანამედროვე მკვლევრის თვალსაზრისს, რის გამო საჭიროა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ „დასების თეორიის გადასინჯვის საკითხში“ ა. ჯორჯაძის პრიორიტეტი არ შეილახოს.

ეს საკითხები, ჩვენი აზრით, უაღრესად პრინციპული მნიშვნელობის საკითხებია, ამიტომ გავეცნოთ მათ უფრო ახლოს.

ნაშრომში, „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში“, ავტორი ამბობს:

„ფედერალისტებს მიაჩნდათ, რომ ქართველი ერის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში ჰეგემონის როლი ბურჟუაზიას უნდა შეესრულე-

---

49 იქვე, გვ. 34—35.

50 ერის ცნებისა და რეფორმამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ, გვ. 16.

51 ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 246.

ბინა, მას უნდა გაედევნა უცხო ელემენტი საქართველოს ეკონომიური ცხოვრებიდან, თვით დაპატრონებოდა ვაჭრობა-მრეწველობას. ეს იყო იგივე „საერთო ნიადაგის“ თეორია, რომელსაც ადრე ქართველი სოციალისტები ქადაგებდნენ“[52].

აქედან აშკარაა, რომ ავტორი ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავს ა. ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის“ თეორიასა და იმ შეხედულებებს შორის, რომლებსაც თერგდალეულები ქადაგებდნენ. უფრო მეტიც, ავტორის აზრით, სწორედ თერგდალეულები იყვნენ „საერთო ნიადაგის“ ბურჟუაზიული თეორიის შემქმნელები, ა. ჯორჯაძე კი მხოლოდ მემკვიდრე იყო მათი.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ავტორი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ „საერთო ნიადაგის“ თეორია არც ისე ცუდი რამ არის, როგორც აქამდე გვეგონა, და რომ ეს თეორია 90-იან წლებამდე თითქოს დადებით როლსაც კი თამაშობდა. მოვუსმინოთ:

„ჩვენ ის გვინდა ვთქვათ, რომ 60—70-იანი წლებისათვის საერთო ნიადაგის თეორიას, კლასთა თანამშრომლობის თეორიას, ცხადია თავისთავად უტოპიურს, არ შეეძლო შეესრულებინა ისეთივე უარყოფითი როლი, როგორსაც იგი 90-იანი წლებიდან, ჩვენში მუშათა მოძრაობის აღმავლობის დროიდან ასრულებდა. პირიქით, გარკვეული მიმართულებით ეს თეორია მეტ იმპულსს აძლევდა ეროვნულ ძალებს“[53].

რა უნდა ითქვას ამ უცნაური მსჯელობის გამო?

„საერთო ნიადაგის“ თეორია რომ მშრომელი ხალხის წინააღმდეგ მიმართული ბურჟუაზიული თეორიაა, ხოლო მისი ავტორი და შემქმნელი სოციალ-ფედერალისტური პარტიის ლიდერი ა. ჯორჯაძეა, ეს ჭეშმარიტება დიდი ხანია მეცნიერულად დაასაბუთა შესანიშნავმა მარქსისტმა მოაზროვნემ ალექსანდრე წულუკიძემ. თავის სახელგანთქმულ ნაშრომში „ოცნება და სინამდვილე“ ა. წულუკიძემ დაწვრილებით განიხილა და პირდაპირ გააცამტვერა ეს მავნე თეორია, თუმცა თერგდალეულთა შეხედულებებთან მის რაიმე ნათესაობაზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს. პირიქით, ა. წულუკიძე ყოველთვის დიდი პატივისცემით ეპყრობოდა თერგდალეულებს და ამაყობდა იმით, რომ თვითონაც მათ პროგრესულ იდეებზე აღიზარდა.

შემთხვევითია თუ არა ის გარემოება, რომ ა. წულუკიძე, დეტალურად იხილავდა და დაუნდობლად აკრიტიკებდა რა „საერთო ნიადაგის“ თეორიას, ერთ სიტყვასაც არ ამბობდა მის ნათესაობაზე ი. ჭავჭავაძის მიერ „ცხოვრება და კანონში“ გამოთქმულ წოდებათა შერიგების თვალსაზრისთან?

---

52 ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 6.

53 ■ ქ ვ ე, გვ. 424.

ცხადია, ეს შემთხვევითი არ არის.

ალექსანდრე წულუკიძე გამოჩენილი მოაზროვნე იყო და მშვენივრად ხედავდა იმ არსებით განსხვავებას, რომელიც ა. ჯორჯაძისა და ი. ჭავჭავაძის შეხედულებებს შორის არსებობდა. სამწუხაროა, რომ ჩვენი ავტორი (და ზოგიერთი სხვა თანამედროვე მეცნიერი) ამ განსხვავებას ამჟამადაც ვერ ხედავს.

ამავე დროს თითქოს ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ბურჟუაზიის იდეოლოგთა „საერთო ნიადაგის" თეორია დემოკრატიის (ხალხის) ინტერესებს უქვემდებარებს „საერთო ეროვნულ (ე. ი. ბურჟუაზიის) ინტერესებს", ხოლო რევოლუციურ დემოკრატთა „წოდებათა შერიგების" თვალსაზრისი მოითხოვს თავადაზნაურთა პრივილეგიების გაუქმებას და ყველა წოდების უფლებრივ გათანასწორებას, ე. ი. გლეხისა და თავადის თანასწორობას. მართალია, ეს თვალსაზრისი უტოპიურია (ე. ი. განუხორციელებელია), მაგრამ უდაოა, რომ მასში გამოხატულია არა გაბატონებული კლასების (თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის), არამედ მშრომელი ხალხის ინტერესები.

როცა კაპიტალისტების წარმომადგენელი ხალხს მიმართავს: საერთო ეროვნულ ნიადაგზე გავერთიანდეთო, ეს იმის მოთხოვნას უდრის, რომ მშრომელებმა თავიანთი საკუთარი ინტერესები დაივიწყონ და „საერო" ინტერესების გულისათვის ბურჟუაზიას ემსახურონ; ხოლო როცა გლეხთა კლასის წარმომადგენელი თავადაზნაურობას მიმართავს: უფლებათა თანასწორობის ნიადაგზე გავერთიანდეთო, ეს უდრის მოთხოვნას, თავადაზნაურობამ ხელი აიღოს თავის წოდებრივ პრივილეგიებზე და გლეხთა წოდებას გაუთანაბრდეს. რა არის საერთო ამ ორ, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ თვალსაზრისს შორის?!

ილია ჭავჭავაძემ წოდებათა შერიგების უტოპიური თვალსაზრისი წამოაყენა არა 60-იანი წლების დასაწყისში (როგორც ეს ჩვენს ავტორს ჰგონია), არამედ 70-იანი წლების ბოლოს, როცა გამოქვეყნდა მისი შესანიშნავი გამოკვლევა „ცხოვრება და კანონი". ვისაც ეს ნაწარმოები ერთხელ მაინც წაუკითხავს, მას ეცოდინება, რომ იქ ლაპარაკია ქართველი ხალხის თვითმმართველობის მოწყობაზე — წოდებრიობის პრინციპის უარყოფის საფუძველზე. ილია მოითხოვდა თავადისა და გლეხის შერიგებას, მათ შორის „ჩატეხილი ხიდის" აღდგენას და ამ ორ წოდებას შორის თანასწორობის დამყარებას; დიდი დემოკრატი იმედოვნებდა, რომ ეს მოხდებოდა მშვიდობიანი გზით, განათლებული თავადაზნაურობის მიერ თავის უფლებებზე ნებაყოფლობით ხელის აღებით, რაც, რა თქმა უნდა, უტოპიაა, მაგრამ ეს უტოპია მშრომელი ხალხის ინტერესებისთვის ზრუნვამ, დაბეჩავებული ქართველი გლეხობისადმი დახმარების მხურვალე წუხილმა გამოიწვია

და მას, ცხადია, არაფერი აქვს საერთო არც ბურჟუაზიულსა და არც ფეოდალურ იდეოლოგიასთან.

სულ სხვაა არჩილ ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის“ თეორია. ეფიქრობთ, დღეს ანბანურ ჭეშმარიტებათა რიცხვს ეკუთვნის დებულება იმის შესახებ, რომ ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგები, და მათ შორის, პირველ რიგში, არჩილ ჯორჯაძე, ცდილობდნენ ამ კლასის ინტერესები მთელი ქართველი ერის ინტერესებად გაესაღებინათ, ბურჟუაზიის კლასობრივი მისწრაფებანი მთელი ერის მისწრაფებად დაეხატათ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სოციალური შინაარსი უარეყოთ და ეს მოძრაობა წარმოედგინათ როგორც მხოლოდ ეროვნული ბრძოლა დამპყრობლის წინააღმდეგ; ბურჟუაზიის იდეოლოგები ყოველნაირად ცდილობდნენ მიეჩქმალათ კლასობრივი ბრძოლა, რათა ამით გაემაგრებინათ ერის „საერთო ნიადაგი“ და აღედგინათ ქართული სახელმწიფო, რომელიც, რა თქმა უნდა, მათი ინტერესების დამცველი უნდა ყოფილიყო.

ყოველივე ეს ბურჟუაზიის იდეოლოგებს სჭირდებოდათ არა „თეორიული ვარჯიშობისათვის“, არამედ თავისი რეალური კლასობრივი ინტერესებისათვის. დღეს კი ამგვარი თეორიების ან თუნდაც მათი ზოგიერთი მხარის გაცოცხლების ცდები არავის არ სჭირდება და ასეთი ცდები მხოლოდ ისტორიულ ანაქრონიზმად შეიძლება ჩაითვალოს.

დასასრულ, აუცილებლად მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვთქვათ ე. წ. „დასების თეორიისა“ და აგრეთვე ამ თეორიის გადასინჯვის საკითხში ა. ჯორჯაძის „პრიორიტეტის“ შესახებ.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პატივცემულმა ა. სურგულაძემ წამოგვიყენა ბრალდება, თითქოს სტატიაში „დასების თეორიის გადასინჯვისათვის“, რომელიც 1956 წელს გამოვაქვეყნეთ, „რატომღაც საჭიროდ არ ჩავთვალეთ მოგვეტანა არჩილ ჯორჯაძის თვალსაზრისი, რომელიც თითქმის ემთხვევა პრ. რატიანის თვალსაზრისს და ჯერ კიდევ 1914 წელსაა გამოთქმული“[54]. ამ ბრალდების დასაბუთების მიზნით, ავტორმა სრულიად უადგილოდ მოიტანა გრძელი ამონაწერი ა. ჯორჯაძის ნაწერებიდან და დაასკვნა: „ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ, რომ იგი ნათელჰყოფს ა. ჯორჯაძის პრიორიტეტს დასების თეორიის გადასინჯვის საკითხშიო“[55].

აქედან ცხადია, რომ პროფ. ა. სურგულაძის რწმენით, ა. ჯორჯაძეს ჯერ კიდევ 1914 წელს არა მარტო სწორად გაუგია თერგდალეულთა საზოგადოებრივი მოღვაწეობის არსი (ამის შესახებ ხომ პირდაპირ ამბობს პატივცემული ავტორი: „ფედერალისტური პარტიის

---

54 ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 242.
55 იქვე, გვ. 243.

ლიდერებმა სწორად გაიაზრეს სამოციანელთა პროგრამის დედააზრიო!“)[56], არამედ პირველს დაუყენებია დასების თეორიის გადასინჯვის საკითხი თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით, ე. ი. „თითქმის“ იმგვარად, როგორც ეს ჩვენ სტატიაშია დაყენებული.

ეს დაუჯერებელი ამბავი არა გვგონია ვინმემ დაიჯეროს, მაგრამ მკითხველს საეჭვო რომ აღარაფერი დარჩეს, მოვიტანთ რამდენიმე საბუთს, რომლებიც თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ ჩვენს თვალსაზრისს ა. ჯორჯაძის თვალსაზრისთან არათუ საერთო არაფერი აქვს, არამედ არც შეიძლება რომ ჰქონდეს.

მკითხველისათვის, ვფიქრობთ, ცნობილია, რომ ჩვენს ნაშრომებში ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და მათი თანამოაზრენი (ე. წ. თერგდალეულები) მიჩნეულნი არიან რევოლუციურ-დემოკრატებად, ე. ი. ქართველი ხალხის, პირველ რიგში კი მშრომელი გლეხობის იდეოლოგებად. სწორედ ასეთი თვალსაზრისია გატარებული ზემოთ ხსენებულ ჩვენს სტატიაშიც, რომელშიც ნათქვამია:

„ცნობილია, რომ თერგდალეულების დიდმა უმრავლესობამ განათლება პეტერბურგში მიიღო. სწორედ იქ შეითვისეს მათ დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატების — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის განმათავისუფლებელი იდეები და იქვე, სტუდენტობის დროს ჩაებნენ 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობაში... ი. ჭავჭავაძე ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნის დროს ითვლებოდა ახალგაზრდა თერგდალეულების აღიარებულ ხელმძღვანელად... საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან გარს შემოიკრიბა დემოკრატიული და რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილი ახალგაზრდობა, დააარსა უაღრესად პროგრესული დემოკრატიული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ და გააჩაღა ბრძოლა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის“[57].

ახლა ვნახოთ, რას ამბობს ი. ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეებზე ა. ჯორჯაძე.

„თავი და თავი ის არის, რომ ჩვენში როგორც რომანტიკოსი პოეტები იყვნენ თავად-აზნაურნი. ისე მესამოცე წლების მოღვაწენიც იგივე თავადაზნაურები იყვნენ. იმ ხანაში ჩვენში არ იყო შეხლა „რაზნოჩინცებისა“ თავად-აზნაურულ ინტელიგენციასთან (ჩონქაძეები გამონაკლისს შეადგენდნენ)... მესამოცე წლების ჩვენებურ მოძრაობას არც სირთულე, არც სიძლიერე რუსეთის მოძრაობისა არ ჰქონდა“[58].

---

56 იქვე, გვ. 10.

57 ილია ჭავჭავაძე, მოღვაწეობა და აზროვნება, 1965, გვ. 459—460.

58 ა. ჯორჯაძე, თხზ., წიგნი V, გვ. 76—77.

შემდეგ:

„მაშინ, როდესაც რუსეთში ინტელიგენციამ სავსებით სძლია თავისი წოდებრიობა, ჩვენმა ინტელიგენციამ ეს ვერ მოახერხა. და შედეგი ამისა ის იყო, რომ მან თანდათან შეითვისა პოლიტიკური აზროვნება ქართველ თავადაზნაურობისა... „ცისკრის“ დროს ინტელიგენცია, როგორც თავადაზნაურობისაგან გამოყოფილი ერთეული, არა სჩანს. ეს გამოთიშვა ხდება „საქართველოს მოამბეში“ და „დროებაში“. თითქოს დამთავრებული ხასიათი ეძლევა ამ მოვლენას. ნამდვილად კი სრული გათიშვა არც აქ ხდება. რუსეთის ინტელიგენციისათვის იმ ხანაში არ არსებობდა ეჭვი იმ საკითხში, თუ რა იყო მიზეზი რუსეთის დაქვეითებისა... ჩვენშიაც უნდა გარკვეული ყოფილიყო ეს აზრი, მაგრამ ამ საკითხის გარკვევის დროს იმთავითვე მოსჩანს ორი ნაკადული და ამიტომ საკითხიც ბუნდოვანი და გაურკვეველი რჩებოდა იმ დრომდე ს ა ნ ა მ ს ა ბ ო ლ ო ო დ გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა (ხაზი ჩვენია — პ. რ.) არა ხედა თავადაზნაურულ პოლიტიკურ აზროვნებას“[59].

შემდეგ:

„ჩვენმა ინტელიგენციამ თავადაზნაურობის ზეგავლენით... ერთის მხრით, სავსებით გასწყვიტა კავშირი რუსეთის რადიკალურ ინტელიგენციასთან, რომელიც ამ ხანაში საბოლოოდ გაეყარა და გაეთიშა მართველობას, მეორე მხრით. შეითვისა პოლიტიკური აზროვნება ქართველი თავადაზნაურობისა. მაგრამ ეს პროცესიც მოხდა თანდათან, და როდესაც ეს მოხდა საბოლოოდ, „მესამოციანობა“ აღარ იყო, ჯგუფი დარღვეული იყო“[60].

დაბოლოს:

„თავადაზნაურულმა ინტელიგენციამ, რომლის წრეშიაც მესამოცე წლების მოღვაწენიც იყვნენ, სამშობლოს სამსახური მოინდომა ორაზროვნობის. ყიზილბაშურის მეთოდის საშუალებით და ამ ინტელიგენციამ მოიმკო ის, რაც დათესა, ე. ი. სრული გაკოტრება თავისი პოლიტიკური პროგრამისა“[61].

ამ ამონაწერებიდან დღესავით ნათელია, რომ ა. ჯორჯაძეს 60-იანი წლების მოწინავე ქართველი ინტელიგენცია (თერგდალეულები) მიაჩნდა არა რევოლუციურ-დემოკრატებად, ე. ი. მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველებად, არამედ თავადაზნაურთა წარმომადგენლებად, რომლებმაც მართალია, თავდაპირველად, რუსეთის რადიკალური ინტელიგენციის გავლენით, სცადეს გამიჯვნოდნენ თავადაზნაურთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებას, მაგრამ ეს ვერ შეძლეს და

---

59 ა. ჯორჯაძე, თხზ., წიგნი V, გვ. 185.

60 იქვე, გვ. 190.

61 იქვე, წიგნი II, გვ. V—VI.

საბოლოოდ თავადაზნაურთა შეხედულებები შეითვისეს, რის შედეგად სრულ გაკოტრებამდე მივიდნენ.

აქედან ნათელია, აგრეთვე, რომ „სამოციანელობა“, ა. ჯორჯაძის აზრით, მოისპო, ე. ი. თერგდალეულთა ერთიანი ჯგუფი დაიშალა იმ დროს, როდესაც ამ ჯგუფმა „საესებით გაწყვიტა კავშირი რუსეთის რადიკალურ ინტელიგენციასთან“ და საბოლოოდ შეითვისა ქართველი თავადაზნაურობის პოლიტიკური აზროვნება.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ასეთი თვალსაზრისიდან მხოლოდ ერთი ნაბიჯი-ღა რჩება ილია ჭავჭავაძის რეაქციონერად და მონარქისტად გამოცხადებამდე, და ა. ჯორჯაძემ ეს ნაბიჯიც მალე გადადგა: 1910 წელს, — იმ დროს, როდესაც ქართველ ხალხს ჯერ კიდევ ვერ განექარვებინა ილიას ეერაგული მკვლელობით გამოწვეული გულისტკივილი, — მან დაწერა ღვარძლიანი სტატია „ავადმყოფი საზოგადოება“, რომელშიც თერგდალეულთა სახელოვანი ბელადი მონარქისტად და რუსეთის ტახტის მეხოტბედ არის გამოცხადებული. ა. ჯორჯაძემ აშკარად ცილი დასწამა ილია ჭავჭავაძეს, როცა განაცხადა, რომ დიდი მწერალი თითქოს „ამაყობდა თავის ერთგულებით“ რუსეთის მეფის ტახტისადმი და რომ იგი თითქოს ქადაგებდა „ჩვენ უნდა ეიყვეთ მომხრე მონარქიული პრინციპისაო“[62].

ნუთუ ძნელი შესამჩნევია, რომ ამგვარ უხამს აზრებს თანამედროვე მკვლევრის თვალსაზრისთან საერთო არაფერი აქვს, და არც შეიძლება რომ ჰქონდეს?!

ცნობილია, რომ ა. ჯორჯაძე თავისი დროის თვალსაჩინო მოღვაწე და მოაზროვნე იყო, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ის ბურჟუაზიული მიმართულების მოაზროვნე იყო და ისტორიულ მოვლენებს იდეალისტურ-პოზიტივისტური მეთოდით იკვლევდა; ეს მეთოდი კი თანამედროვე მეცნიერული მეთოდისაგან ისეა დაშორებული, როგორც ცა — დედამიწისაგან.

იმისათვის, რომ მკითხველმა თვალნათლივ წარმოიდგინოს, როგორ უყურებდა ა. ჯორჯაძე თანამედროვე მეცნიერების მეთოდს — ისტორიის მატერიალისტურ, მარქსისტულ გაგებას, თავს ნებას მივცემთ მისი ნაშრომებიდან მოვიტანოთ რამდენიმე დამახასიათებელი ამოხაწერი:

„ზოგიერთ“ მეცნიერულ ცრუმორწმუნეობას აქვს დიდი ზეგავლენა ადამიანთა მოქმედებაზე. ამგვარ ზეგავლენის ნიმუშს ჩვენ ვპოულობთ ისტორიული მატერიალიზმის მოძღვრებაში“[63].

შემდეგ:

---

62 ა. ჯორჯაძე, თხზ., წიგნი II, გვ. 223.

63 იქვე, წიგნი IV, გვ. 73.

„ისტორიული მატერიალიზმი ლოღიკურად არ არის დაკავშირებული მარქსის ეკონომიურ მოძღვრებასთან, ე. ი. სოციოლოგიაში შეიძლება კაცი მატერიალისტი იყოს, ეკონომიურ კითხვებში კი „მარქსიზმის“ წინააღმდეგი“[64].

შემდეგ:

„ამგვარად ჩვენ ვნახეთ, რომ ისტორიული მატერიალიზმის მეტოდოლოგია არამეცნიერული მეტოდოლოგიაა; აგრეთვე ვნახეთ, რომ ისტორიული პრობლემა ლოღიკურად არ არის დაკავშირებული ამა თუ იმ ეკონომიურ მოძღვრებასთან“[65].

დაბოლოს:

„ფსიხო-ფიზიოლოგიაშიც არ მართლდება ის ჰიპოტეზა, რომ რაოდენობა ყოველ შემთხვევაში შეიძლება თვისებად იქცეს ხოლმე. ასე, რომ ეს კანონი არ მართლდება არც ბიოლოგიაში, არც ფიზიკაში. ამიტომაც ის, რაც ჰეგელს და მარქსს შეუცდომელ ჭეშმარიტებად მიაჩნდათ, ამგვარი ჭეშმარიტება არ ყოფილა... ირღვევა რა დიალექტიკური პროცესის ფილოსოფიური განმარტება, არ შეიძლება არ დაირღვეს ის სოციოლოგიური შენობაც, რომელსაც „დიალექტურ მატერიალიზმს“ უწოდებენ მარქსი და ენგელსი“[66].

მსგავსი „მეცნიერული“ მსჯელობის მაგალითები ა. ჯორჯაძის ნაწერებიდან კიდევ ბევრი შეგვეძლო მოგვეტანა, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს ამონაწერებიც საკმარისია იმ აზრის საილუსტრაციოდ, რომ ა. ჯორჯაძის შეხედულებებს არაფერი აქვთ საერთო თანამედროვე მეცნიერებასთან.

უფრო მეტის თქმაც შეიძლება: ა. ჯორჯაძის თვალსაზრისი XIX საუკუნის საქართველოს ისტორიაზე, ისევე როგორც საერთოდ საზოგადოების განვითარების ისტორიულ პროცესზე, აშკარად ეწინააღმდეგება თანამედროვე მეცნიერების (მარქსიზმ-ლენინიზმის) თვალსაზრისს. ამიტომ, ვინც ა. ჯორჯაძის თვალსაზრისის თუნდაც ზოგიერთ ძირითად პრინციპს გაიზიარებს, ის ვერასგზით ვერ აიცდენს თავიდან თანამედროვე მეცნიერების ძირითადი პრინციპების უგულებელყოფას და პირდაპირ დამახინჯებასაც კი.

ასეთია, ჩვენი აზრით, თანამედროვე მეცნიერების დამოკიდებულება ა. ჯორჯაძის იდეალისტურ-პოზიტივისტურ შეხედულებებთან.

ასეთია ჩვენი შენიშვნები პროფ. ა. სურგულაძის მცდარი ისტორიული კონცეფციის ირგვლივ.

---

[64] იქვე, გვ. 76.

[65] იქვე, გვ. 81.

[66] იქვე, გვ. 84.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათის საკითხისათვის*

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია საუსეა დიდმნიშვნელოვანი და მღელვარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებით, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს ქართველი ხალხის ცხოვრებაში, დაიცვეს მისი სასიცოცხლო ინტერესები, განსაზღვრეს პროგრესულ ძალთა წინსვლის მიმართულება, უზრუნველჰყვეს ერის მატერიალური და სულიერი კულტურის მაღალი დონე. ასეთ დიდ ისტორიულ მოვლენათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საპატიო ადგილი უჭირავს მეცხრამეტე საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც სათავეში ედგნენ სახელოვანი ქართველი სამოციანელები ანუ თერგდალეულები, დიდი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.

ამჟამად, ქართველ მეცნიერთა ხანგრძლივი საკვლევაძიებო მუშაობის შედეგად, საბოლოოდ არის დადგენილი და დასაბუთებული ის ჭეშმარიტება, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რევოლუციურ-დემოკრატიული ხასიათის მოძრაობა იყო და მიზნად ისახავდა არა ექსპლუატატორული კლასების (თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის) ინტერესების დაცვას, არამედ მშრომელი ხალხის განთავისუფლებას როგორც სოციალური, ისე ეროვნული ჩაგვრისაგან: ეს მოძრაობა შემადგენელი ნაწილი იყო იმ დიდი რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისა, რომელიც რუსეთის იმპერიაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო და ისეთი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით დამთავრდა, როგორიც იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ძმური კავშირის შექმნა.

აქედან ცხადია, თუ რა დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსის სწორ გაგებას, მისი მიზნებისა და სახელმძღვანელო იდეების მეცნიერულ განსაზღვრას, მისი განვითარების ეტაპების დადგენას.

1. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათის განმსაზღვრელი ისტორიული პირობები

ცნობილია, რომ ქართველი ხალხი და მისი მოწინავე, განათლებული შვილები წინათაც არა ერთხელ გამოსულან როგორც გარეშე,

---

* ეს სტატია შემოკლებით დაიბეჭდა ჟურნ. „საქართველოს კომუნისტში" (1983, № 9).

ისე შინაური მტრების წინააღმდეგ, მაგრამ XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არსებითად, ხარისხობრივად განსხვავდებოდა ხალხის ყველა წინანდელი გამოსვლისაგან. ფეოდალიზმის ეპოქაში, მაგალითად, ხალხის ბრძოლა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ, უკეთეს შემთხვევაში, დამპყრობთა განდევნით მთავრდებოდა, ქვეყნის შიგნით არსებული სოციალური ჩაგვრა (ბატონყმობა) კი ხელუხლებელი რჩებოდა. ცხადია, ანალოგიური შედეგი მოჰყვებოდა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ ხალხის ბრძოლას იმ შემთხვევაშიც, თუ ბრძოლას სათავეში ბურჟუაზიის წარმომადგენლები (ნაციონალისტები) მოექცეოდნენ, რადგან არც თავადაზნაურობისა და არც ბურჟუაზიის იდეოლოგებს არ შეუძლიათ საკუთარ კლასობრივ პრივილეგიებზე ხელი აიღონ და მშრომელი ხალხის (მუშებისა და გლეხების) სოციალური განთავისუფლებისათვის ნამდვილი, რევოლუციური ბრძოლა აწარმოონ. საქართველოს ისტორიამ არაერთი შემთხვევა იცის, როცა გარეშე მტრის წინააღმდეგ, ხალხთან ერთად, აქტიურად იბრძოდნენ გაბატონებული კლასების მოწინაღე და შეგნებული წარმომადგენლები, მაგრამ ისტორიამ არ იცის არც ერთი შემთხვევა მშრომელთა ინტერესების დასაცავად გაბატონებული კლასების რევოლუციური ბრძოლისა.

სულ სხვაგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე ახალ დროში, კერძოდ კი XIX საუკუნის საქართველოში, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებამ და ერის თვითშეგნების ზრდამ დღის წესრიგში მშრომელთა სოციალური განთავისუფლების საკითხი დააყენა. ამ დროიდან თავისუფლებისათვის ბრძოლას სათავეში უდგებიან მშრომელი ხალხის წარმომადგენლები — ქართველი ერის ყველაზე საუკეთესო შვილები, მათ შორის თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ინტელიგენციის წრიდან გამოსული შეგნებული და კეთილშობილი მოღვაწენი, რომლებმაც შეითვისეს ევროპისა და რუსეთის პროგრესული იდეები და გააჩაღეს უკომპრომისო ბრძოლა ხალხის ინტერესების დასაცავად. ესენი იყვნენ ჯერ გლეხობის იდეოლოგები ანუ რევოლუციური დემოკრატები. ხოლო შემდეგ მუშათა კლასის იდეოლოგები ანუ სოციალ-დემოკრატები. კლასთა ბრძოლის განვითარების ამ მაღალ ეტაპზე ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის მჭიდროდ დაუკავშირდა სოციალური თავისუფლებისათვის მის ბრძოლას და გადაიქცა, ჯერ რუსეთის განმათავისუფლებელი რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის, ხოლო შემდეგ რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის განუყოფელ ნაწილად.

რუსეთის იმპერიის ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდა დიდი რუსი ხალხი, რომელმაც უველაზე ადრე აღმართა ცარიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის

ბრძოლა. რუსი ხალხის საუკეთესო შვილები, თავდადებით ებრძოდნენ რა ცარიზმს, ამავე დროს ყოველნაირად ეხმარებოდნენ და ხელს უწყობდნენ რუსეთის სახელმწიფოში შემავალი არარუსი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის არსისა და მისი განვითარების ძირითადი ეტაპების გასაგებად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის ნაშრომს „რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან", რომელშიც ნათქვამია: „განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში სამი მთავარი ეტაპი განვლო, შესაბამისად რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეჭედს ასვამდნენ: 1. თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861 წლამდე; 2. რაზნოჩინული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე; 3. პროლეტარული — 1895 წლიდან დღემდე"[1].

ლენინი გვასწავლის, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი (თავადაზნაურული) პერიოდის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწენი იყვნენ სახელოვანი დეკაბრისტები, რომლებმაც გააგრძელეს რადიშჩევის რევოლუციური ტრადიციები და მრისხანე აჯანყება მოაწყვეს ცარიზმის წინააღმდეგ. დეკაბრისტების შემდეგ თვითმპყრობელობისა და დრომოჭმული ბატონყმური წესრიგის წინააღმდეგ გამოვიდნენ დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატები — ა. გერცენი, ბ. ბელინსკი, ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლიუბოვი და სხვები, რომლებიც გამოხატავდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლი მშრომელი ხალხის, პირველ რიგში გლეხების ინტერესებს. 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დამდეგს რუსეთში აშკარად გამოხატული რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა.

აი, როგორ აგვიწერს იმ ხანებში რუსეთში შექმნილ ვითარებას გამოჩენილი ქართველი სამოციანელი ნ. ნიკოლაძე: „ხალხში ისეთი საყოველთაო დრტვინვა იყო, რომ ამას ვერ შეამჩნევდა მხოლოდ წინასწარგანზრახვით განგებ დაბრმავებული თავადაზნაურთა პარტია— ახალი თაობა, თავისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით, დადგა ხალხის მხარეზე... ახალ თაობას არ შეეძლო მეფე ალექსანდრე მეორის ცრურელორმისტულ მთავრობასთან ხელიხელჩაკიდებული სიარული, ეს ორი ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო ძალა მალე უეჭველად უნდა დასტაკებოდა ერთმანეთს და დაეწყო ურთიერთშორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა".

ასეთმა ვითარებამ მეფის მთავრობა აიძულა, ერთი მხრივ, უკიდურესად გაეძლიერებინა რეპრესიები რევოლუციონერთა წინააღმდეგ

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XX, გვ. 292.

და გამოეცხადებინა „თეთრი ტერორი“, ხოლო მეორე მხრივ, ეზრუნა რეფორმების გატარებასა და საძულველი ბატონყმობის გაუქმებაზე. მაგრამ კუდმოკვეცილმა საგლეხო რეფორმამ ვერ დააკმაყოფილა ვერც გლეხობა და ვერც მისი დამცველი რევოლუციონერები, რომლებიც საგლეხო რეფორმის შემდეგაც განაგრძობდნენ თავდადებულ ბრძოლას მემამულურ-ბატონყმური ურთიერთობისა და მისი დამცველი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება იმ დროს უაღრესად მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის დაწინაურებულ ცხოვრებასთან, საქართველო რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, აქტიურად იყო ჩაბმული მისი ცხოვრების ფერხულში და მხარს უბამდა რუსეთის განახლების პროცესს. ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდ გავლენას განიცდიდა.

ცნობილია, რომ საქართველოში — ამ უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის ქვეყანაში, ჯერ კიდევ XII—XIII საუკუნეებში შეიქმნა პირობები ქვეყნის ძირფესვიანი განახლებისათვის. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ფართოდ განვითარების შედეგად, იმ დროს საქართველოში სწრაფად ვითარდებოდა ვაჭრობა და ხელოსნობა, ჩნდებოდა ახალი დიდი ქალაქები და იქმნებოდა პირობები ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ნაცვლად, უფრო პროგრესული ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებისათვის. მაგრამ გარეშე მტრების მრავალრიცხოვანმა გამანადგურებელმა თავდასხმებმა საქართველოს არ მისცა საშუალება თავისი განვითარების ბუნებრივ-ისტორიული გზით წასულიყო. სისხლისმღერელმა ომებმა, საუკუნეთა განმავლობაში რომ გრძელდებოდა, მოშალა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება და გამოიწვია საქართველოს დაყოფა ცალკე სამეფო-სამთავროებად. მიუხედავად ამისა, ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლებისა და წინსვლის ტენდენციები საქართველოში არასოდეს არ შეწყვეტილა და ხალხი, როგორც კი ოდნავ მშვიდობიან ცხოვრებას მოიპოვებდა, სწრაფად იწყებდა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების აღორძინებას. ასე მოხდა, მაგალითად, კახეთში — XVI საუკუნეში, ქართლში — XVII საუკუნეში, ხოლო უფრო ფართო მასშტაბით ქართლ-კახეთსა და იმერეთში — ერეკლე II-სა და სოლომონ I-ის მეფობის დროს.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებით მთელ მსოფლიოში ახალი, ბურჟუაზიული ერა დაიწყო და განახლების სიომ საქართველოშიც დაჰბერა, ქართველი ხალხის მაშინდელმა მესვეურებმა უაღრესად

ენერგიული ზომები მიიღეს იმისათვის, რომ გადაელახათ დაბალი კულტურის მქონე მუსულმანური სახელმწიფოების გარემოცვა და გამოეყვანათ საქართველო ევროპული პროგრესის ფართო გზაზე. ამ დიდი მიზნის მისაღწევად ხანგრძლივი ომებით დასუსტებულ ქვეყანას არ აღმოაჩნდა საკმარისი შინაგანი ძალები და მისმა ბრძენმა ხელმძღვანელებმა, ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვითარების ფხიზელი ანალიზის, ყველა ფაქტისა და მოვლენის მნიშვნელობის სათანადოდ გათვალისწინების შემდეგ, მიიღეს გადაწყვეტილება, თავიანთი სამშობლოს ბედი ძლიერი და ერთმორწმუნე რუსეთის ბედთან დაეკავშირებინათ.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას, ცარიზმის რეაქციული კოლონიური პოლიტიკის ყველა უარყოფითი მხარის მიუხედავად, ობიექტურად დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. ქართველმა ხალხმა მოიპოვა ნანატრი მშვიდობა, შეწყდა სისხლისღვრა, ტყვეებით ვაჭრობა და ლეკთა რაზმების თარეში; სამშობლომ დაიბრუნა ირანისა და თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების დიდი ნაწილი, მოისპო ქვეყნის წინსვლის შემაფერხებელი ფეოდალური ბარიერები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა, ცალკე სამეფო-სამთავროებად დაყოფილ კუთხეებს ერთმანეთისგან სთიშავდა; სწრაფად წავიდა წინ საქართველოს ეკონომიური ცხოვრება, რასაც შედეგად მოჰყვა, ერთი მხრივ, ფეოდალური წყობილების რღვევის დაჩქარება და კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფი განვითარება, ხოლო მეორე მხრივ, ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორიული პროცესის დამთავრება.

ეს დადებითი მოვლენები საქართველოს ცხოვრებაში ხდებოდა მეფის მთავრობის სურვილებისაგან დამოუკიდებლად, საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერების შესაბამისად, — იმ კანონზომიერებისა, რომლის განვითარება არ არის დამოკიდებული ცალკეული ადამიანების, მათ შორის მეფეების ნება-სურვილზე. რაც შეეხება მეფის მთავრობას, ცარიზმს, — ის რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა ხალხის, მათ შორის თვით რუსი ხალხის, დაუძინებელი მტერი იყო. მეფის თვითმპყრობელობამ რუსეთი გადააქცია „ხალხთა საპყრობილედ", სადაც გამეფებული იყო ერების ჩაგვრისა და შევიწროების უხეში რეაქციული პოლიტიკა. ეს პოლიტიკა განსაკუთრებით მძიმე და აუტანელი იყო რუსეთის განაპირა მხარეებში, მათ შორის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, სადაც თვითმპყრობელობის ცენზურა ზოგჯერ თვით ჩვენი სამშობლოს, საქართველოს სახელის ხსენებასაც კი კრძალავდა.

საქართველოს მშრომელთა დევნა-შევიწროების საქმეში ცარიზმს ეხმარებოდა ქართველი თავადაზნაურობის რეაქციული ნაწილი, რო-

მელიც სამშობლოს თავისუფლებას ჩინ-მედლებზე სცვლიდა. რეაქციონერ თავადაზნაურთა ცნობილმა მეთაურმა გიორგი მუხრანსკიმ 1872 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა წიგნაკი, რომელშიც სცადა თეორიულად „დაესაბუთებინა“ მეფის მთავრობის მზაკვრული გეგმა ქართველი ერის მოსპობისა. მუხრანსკი ამტკიცებდა, პატარა ერების არსებობის დრო წავიდა და ახლა ისინი დიდ სახელმწიფოებში უნდა გაითქვიფონო.

ამრიგად, საქართველოს მშრომელები, პირველ რიგში ყმა გლეხები, ორმაგ ჩაგვრას განიცდიდნენ: ერთი მხრივ, მათ სდევნიდა და ავიწროებდა მეფის მთავრობა, ხოლო მეორე მხრივ. სისხლს სწოვდნენ „საკუთარი“ ბატონები. ამიტომ საკვირველი როდია, რომ მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა იარაღი აისხა და თავგანწირვით შეუტია როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებს. იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად დიდი იყო ხალხის ტანჯვა-შევიწროება, საკმარისია გავიხსენოთ გლეხთა აჯანყებების მრისხანე ტალღა, რომელმაც რეფორმამდელ ხანაში და თვით რეფორმების დროს მთელ საქართველოს გადაუარა. 1804 წელს აჯანყდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით უკიდურესად შევიწროებული მთიულეთი; 1812 წელს დიდი შეიარაღებული აჯანყება მოხდა კახეთში, სადაც ცარიზმის პოლიტიკით გამოწვეულმა გლეხთა გაჭირვებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია; 1819—1820 წლებში ასეთივე აჯანყება მოხდა იმერეთში; 1841 წელს აჯანყდა გურიის, ხოლო 1857 წელს — სამეგრელოს გლეხობა; 1865 წელს აჯანყდა დედაქალაქ თბილისის ღარიბი მოსახლეობა, რომელმაც ვეღარ აიტანა მეფის მთავრობისა და მისი დამჭაშების აღვირახსნილი კოლონიური პოლიტიკა, ამას მოჰყვა სისხლისმღვრელი აჯანყებები აფხაზეთში, სვანეთში და ა. შ.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო აჯანყებული ქართველი ხალხის იდეოლოგია, იგი გამოხატავდა ქართველი გლეხობისა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ფიქრებს, ზრახვებსა და ოცნებებს, მიმართულს ყოველგვარი ჩაგვრის მოსპობისა და ქვეყნად სამართლიანობის დამყარებისაკენ.

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოში განვითარების დაახლოებით ისეთივე პერიოდები განვლო, როგორც რუსეთში. მისი პირველი ანუ თავადაზნაურული პერიოდი იწყება მეცხრამეტე საუკუნის 20—30-იან წლებში, უფრო ზუსტად 1832 წლის ცნობილი შეთქმულების პერიოდში და გრძელდება 60-იანი წლების დამდეგამდე; მეორე, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ანუ რაზნოჩინული პერიოდი იწყება 60-იანი წლების დამდეგს და გრძელდება 90-იანი წლების ბოლომდე, ე. ი. მუშათა კლასის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის და-

წყებამდე; ამის შემდეგ კი განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე, პროლეტარული პერიოდი იწყება.

ქართველ თავადაზნაურთა 1832 წლის შეთქმულება, რომელიც დეკაბრისტთა გარკვეულ გავლენას განიცდიდა, თავისი შემადგენლობით ერთგვაროვანი არ ყოფილა. მასში თავადაზნაურთა კლასის ინტერესების დამცველებთან (კონსერვატორებსა და თავადაზნაურულ ლიბერალებთან) ერთად, შედიოდნენ ისეთი მოღვაწენიც, რომლებიც ქართველი ხალხისა და მისი დაჩაგრული ნაწილის — გლეხობის ინტერესებსა და მისწრაფებებს გამოხატავდნენ. ეს იყო შეთქმულთა მემარცხენე ჯგუფი, რომელმაც დასაბამი მისცა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამ ჯგუფის ხელმძღვანელი და ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი სოლომონ დოდაშვილი.

მეფის მთავრობა სასტიკად გაუსწორდა შეთქმულების მონაწილეებს, განსაკუთრებით კი ს. დოდაშვილსა და მის თანამოაზრეებს, მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეების ჩახშობა მან ვერ შესძლო. ეს იდეები აშკარად გამოსჭვივის მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ისეთი გამოჩენილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ნაწერებში, როგორიც იყვნენ: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი და სხვები.

ქართველი ხალხის ბრძოლა ბატონყმური წესწყობილებისა და მისი დამცველი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით გაძლიერდა და გამწვავდა ბურჟუაზიული რეფორმების წინ, როცა რუსეთსაც და საქართველოსაც თავს რევოლუციის აჩრდილი დასტრიალებდა. ხალხის მასების საყოველთაო მღელვარებისა და კლასთა ბრძოლის უკიდურეს გამწვავებას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია, და გამოიწვია კიდევაც, ამ ბრძოლის იდეოლოგიური ფორმის გაძლიერება; სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა თერგდალეულთა სახელოვანი თაობა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, დანიელ ჭონქაძე, ბესარიონ ღოღობერიძე, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი და სხვები. ქართველი ერის ამ შესანიშნავმა, კეთილშობილმა შვილებმა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აიყვანეს განვითარების ახალ, რევოლუციურ-დემოკრატიულ საფეხურზე.

როგორც ითქვა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩვენი ცხოვრების ვითარებით იყო გამოწვეული და მოთმინებიდან გამოსული აჯანყებული ხალხის სულისკვეთებას გამოხატავდა, მაგრამ თეორიულად იგი ევროპისა და რუსეთის მოწინავე იდეებით იყო ნასაზრდოები. ახალგაზრდა თერგდალეულებმა ჯერ კიდევ

რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ყოფნისას, შეითვისეს და შეისისხლხორცეს ის პროგრესული იდეები, რომელთა საშუალებით მათ ქართველი ხალხისათვის ბედნიერების მოტანა სურდათ.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოკიდებული რუსეთში „ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა“. (თხზ., ტ. II, გვ. 628). ასევე მწვავედ იდგა ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი საქართველოშიც, მაგრამ აქ მას ემატებოდა აგრეთვე ეროვნული ჩაგვრისაგან ხალხის განთავისუფლების საკითხი, ამიტომ იყო, რომ თერგდალეულებმა თავიანთ საბრძოლო დროშას ერთ მხარეს დააწერეს სოციალური შინაარსის ლოზუნგი: „ძმობა, თანასწორობა, თავისუფლება“!, ხოლო მეორე მხარეს — ეროვნული შინაარსის ლოზუნგი: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“.

გავეცნოთ მათ მოღვაწეობას უფრო ახლოს.

2. თერგდალეულთა ბრძოლა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის. „სამართლიანი საზოგადოების“ შექმნის იდეა

ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების კრიზისმა. რაც ჯერ კიდევ XVIII ს. მეორე ნახევარში დაიწყო, გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დამდეგს უმაღლეს წერტილს მიაღწია. იმ დროს რუსეთშიც და საქართველოშიც რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა და დღის წესრიგში დადგა ბატონყმური ურთიერთობისა და მისი სოციალური საყრდენის — მემამულური მიწათმფლობელობის ძალდატანების გზით ლიკვიდაციის საკითხი.

ძველი, უკვე დრომოჭმული წესწყობილების დანგრევისა და ახალი, უფროპროგრესული ბურჟუაზიული ურთიერთობის შექმნის აუცილებლობა იმ დროს ყველას კარგად ესმოდა, მაგრამ მთელი საქმე ის იყო, თუ როგორ და რა გზით მოხდებოდა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთი გარდაქმნა. ლენინის აზრით, არსებობდა რუსეთის იმდროინდელი ცხოვრების გარდაქმნის ორი გზა: ერთი იყო ე. წ. „პრუსიული გზა“, რომელიც ბატონყმური მეურნეობის თანდათანობით შეცვლას გულისხმობდა, მაგრამ ისე, რომ მემამულეთა მიწათმფლობელობა და მისი დამცველი თვითმპყრობელობა ხელუხლებელი რჩებოდა, ხოლო მეორე, — ე. წ. „ამერიკული გზა“, რომელიც თვითმპყრობელობისა და მემამულეთა ძალაუფლების ძალდატანებით მოსპობას გულისხმობდა. „პრუსიული“ გზით, რუსეთის განვითარების მომხრედ გამოდიოდნენ მეფის მთავრობა და მემამულეთა კლასი, როგორც რეაქციონერები, ისე ლიბერალები, ხოლო „ამერიკული“ გზით

რუსეთის განვითარებისათვის იბრძოდნენ რუსეთის გლეხობა და მისი ინტერესების დამცველი რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენცია ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლიუბოვის მეთაურობით.

დავსვათ კითხვა: იდგნენ თუ არა ქართველი სამოციანელები ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის ისეთსავე პოზიციებზე, როგორზეც დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატები იდგნენ? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აყენებდნენ თუ არა ისინი ყმაგლეხთა განთავისუფლების ისეთსავე რევოლუციურ-დემოკრატიულ მოთხოვნებს, როგორც ნ. ჩერნიშევსკი და მისი თანამებრძოლები?

ამ საკითხზე ჩვენში ბევრი თქმულა და დაწერილა. იყვნენ წინათ (და აქა-იქ ახლაც არიან) მკვლევრები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ილია ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლებს თითქოს ბატონყმობის მოსპობა კი არა, მისი მხოლოდ შეკეთება-შელამაზება სურდათ; ან კიდევ თერგდალეულები თითქოს ხალხის კი არა, ბურჟუაზიის ინტერესების დამცველები, ე. ი. მისი იდეოლოგები იყვნენ. ასეთი მსჯელობა, ცხადია, გაუგებრობის შედეგია და იგი გამოწვეული იყო საკითხის შეუსწავლელობით, ან კიდევ ზოგიერთი ავტორის თეორიული მოუმზადებლობით.

ვინც არ მოერიდება შრომას გულდასმით შეისწავლოს და ერთმანეთს შეუდაროს რუსეთის სახელოვანი რევოლუციური დემოკრატებისა და ქართველი სამოციანელების საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, ის თვალნათლივ დარწმუნდება, რომ ჩვენი თერგდალეულები იმდროინდელი რუსეთის ყველაზე გამოჩენილი მოაზროვნეების ღირსეული თანამოაზრენი იყვნენ და სავსებით მათ სიმაღლეზე იდგნენ რევოლუციური დემოკრატიის ყველა ძირითად საკითხში, კერძოდ კი გლეხთა განთავისუფლების პირობების საკითხში.

რევოლუციის იდეა წითელ ზოლად გასდევს თერგდალეულთა იმდროინდელ ნაწერებს, როგორც მხატვრულს, ისე პუბლიცისტურს. ამ აზრის საილუსტრაციოდ საკმარისია ადამიანმა გულდასმით წაიკითხოს თუნდაც ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები", სადაც რევოლუცია „დაწუნარების სათავედ" არის გამოცხადებული, ხოლო მისი, როგორც თერგდალეულთა ხელმძღვანელის, მოქმედების პროგრამა შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გაუადვილო და ის თვითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება ყოველ კაცში არ ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაცივებულის გულის გასათბობად!". ნუთუ ძნელია იმის მიხვედრა, თუ რა დიდ ცეცხლზეა აქ საუბარი? ანდა გავიხსენოთ ილიას შესანიშნავი პოემა „აჩრდილი", რომელიც იმავე ხანებში დაიწერა. ამ პოემაში ხომ ერცლად და ამომწურავადაა ჩამოყა-

ლიბებული თერგდალეულთა სამოქმედო პროგრამა! დიდი მწერალი დარწმუნებულია, რომ:

ეეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლვას,
ეეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჰეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —

და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების.

ი. ჭავჭავაძის, და საერთოდ თერგდალეულთა მთელი თაობის, ანტიბატონყმური შეხედულებების გასაგებად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პოემა „კაკო ყაჩაღს“, რომელშიც ავტორი პირდაპირ მოუწოდებს გლეხებს, იარაღით გაუსწორდნენ საძულველ ბატონებს. ეს პოემა უბრწყინვალესი ისტორიული დოკუმენტია, ნამდვილი რევოლუციური შინაარსის პროკლამაციაა, რომელშიც კონცენტრირებულადაა ასახული ქართველ გლეხთა იმდროინდელი სულისკვეთება და თერგდალეულთა ანტიბატონყმური შეხედულებები.

მაგრამ რევოლუცია თერგდალეულებს სჭირდებოდათ არა მარტო ბატონყმობისა და მისი ნაშთების მოსასპობად, არამედ ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრის მოსასპობადაც. ამ გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული მათი ნაწერები ისეთივე რევოლუციურ-დემოკრატიული ხასიათისაა, როგორც მათი ანტიბატონყმური ნაწერები. თერგდალეულებს სწამდათ, რომ რევოლუციის ქარიშხალი მოსპობდა როგორც სოციალურ, ისე ეროვნულ ჩაგვრას რუსეთის მთელ იმპერიაში და, მაშასადამე, ცხადია, საქართველოშიც. ამიტომ შესტრფოდა ილია ჭავჭავაძე გარიბალდის ბრძოლას იტალიის განთავისუფლებისათვის და ოცნებობდა იმ დღეზე, როცა „ხალხთა ბორკილის მსხვრევის ხმას“ საქართველოშიც გაიგონებდა, აქედანვეა მისი მგზნებარე მოწოდება:

ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აბსხი,
დრო მოდის გამარჯვებისა!

ასე აშკარად და გაბედულად მოუწოდებდნენ ხალხს თავისუფლებისათვის საბრძოლველად თერგდალეულთა ხელმძღვანელები ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები. ასეთი საბრძოლო განწყობილება გამოსჭვივის ყოველი მათგანის იმდროინდელ ნაწერებში, როგორც პოეზიაში, ისე პროზასა და პუბლიცისტიკაში. ამის საუკეთესო მოწ-

შობაა თერგდალეულთა მთავარი ორგანო „საქართველოს მოამბე“ (1863 წ.), რომლის ფურცლებზე მკითხველი ადვილად იპოვის საოცრად გაბედულ, რევოლუციურ აზრებს ხალხის ძალაუფლებაზე, რესპუბლიკურ წყობილებაზე კონსტიტუციაზე, დემოკრატიულ მმართველობაზე და სხვა ამგვარ საკითხებზე. ამის საუკეთესო მოწმობაა, აგრეთვე, იმავე ხანებში თერგდალეულების მიერ პეტერბურგში გამოცემული მშვენიერი კრებული „ჩონგური“, რომელიც რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის შესანიშნავი ნიმუშია; ამასვე გვიმოწმებს გერცენისა და ოგარევის სახელგანთქმული „კოლოკოლის“ ფურცლებზე ნ. ნიკოლაძის მიერ გამოქვეყნებული უაღრესად საინტერესო წერილები, რომლებშიც ავტორი ქებას ასხამს აჯანყებულ თბილისელ ღატაკებს, მეფის მთავრობასა და მის ჩინოვნიკებს კი სამარცხვინო ბოძზე აკრავს.

თერგდალეულები არ კმაყოფილდებოდნენ მარტოოდენ რევოლუციური აგიტაციით და, ამასთან ერთად, უაღრესად აქტიურ პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდნენ მშრომელთა ინტერესების დასაცავად. საგლეხო რეფორმის მომზადებისა და გატარების პერიოდში თერგდალეულთა ხელმძღვანელები გაბედულად გამოდიოდნენ თავადაზნაურთა კრებებზე და მოითხოვდნენ გლეხთა მიწიანად განთავისუფლებას, რისთვისაც ილიას და აკაკის რეაქციონერი თავადები სასიკვდილოდ დასდევდნენ. ფრიად საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ილია ჭავჭავაძემ მოახერხა თვით ამიერკავკასიის საგლეხო კომიტეტში ანონიმურად შეეტანა დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი (ე. წ. „კრიტიკული შენიშვნები“), რომელშიც ჩამოყალიბებული იყო უმა გლეხთა განთავისუფლების რევოლუციურ-დემოკრატიული პირობები.

განსაკუთრებით საყურადღებო და დიდი მნიშვნელობის მქონეა ფაქტი რუსეთის არალეგალურ რევოლუციურ ორგანიზაციებში თერგდალეულთა აქტიური მონაწილეობისა, რაც ცნობილი გახდა ამ ცოტა ხნის წინათ აღმოჩენილი ახალი, უაღრესად საიდუმლო საარქივო დოკუმენტების წყალობით. ეს ახალი, მრავალრიცხოვანი დოკუმენტები გვიჩვენებენ, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის არალეგალურ რევოლუციურ ორგანიზაციებში მოღვაწეობდა რამდენიმე ათეული ქართველი სტუდენტი, თერგდალეულთა წრის აქტიური წევრები, რომლებმაც რუსეთის თვითმპყრობელობის მხრივ განიცადეს სასტიკი რეპრესიები: სასწავლებლებიდან გარიცხვა, დაპატიმრება, ციმბირში გადასახლება და ა. შ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის უშუალო შემადგენელი ნაწილი იყო და მიზნად ისახავდა არა მარტო ქართველი

ხალხის, არამედ რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა დაჩაგრული ხალხის განთავისუფლებას.

თერგდალეულები სრულიადაც არ ყოფილან ეროვნული ჩარჩოებით შეზღუდული მოღვაწენი; ისინი ყოველთვის შორს იდგნენ ნაციონალისტურ-სეპარატისტული განწყობილებისაგან. მართალია, მათ უსაზღვროდ უყვარდათ თავიანთი სამშობლო და თავდადებული პატრიოტები იყვნენ, მაგრამ მათი პატრიოტიზმი ინტერნაციონალური ხასიათისა იყო. ისინი მხარს უჭერდნენ და მიესალმებოდნენ არა მარტო ყველა ქვეყნის გლეხთა დემოკრატიულ მოძრაობას, არამედ მუშათა საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობასაც. ამ აზრის საუკეთესო ილუსტრაცია თერგდალეულთა მთავარი ხელმძღვანელის შესანიშნავი მეცნიერულ-პუბლიცისტური ნაშრომებია, რომლებშიც აეტორი საქმის დიდი ცოდნით და, ამავე დროს, განსაკუთრებული სიმპათიითა და პატივისცემით ლაპარაკობს ევროპის ძირითადი სახელმწიფოების (ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და სხვ.) მუშათა კლასის ბრძოლაზე ამ ქვეყნების წურბელა-ბურჟუების წინააღმდეგ. ამასვე მოწმობს მისივე უკანდავი ლექსი, მიძღვნილი პარიზის კომუნისადმი, სადაც აეტორი კომუნარების დროშას „ტყვირთ მძიმეთა და მაშვრალთა დროშას“ უწოდებს, ხოლო კომუნის ჩამხრჩობ ბურჟუებს—„მტარვალებს“.

თერგდალეულებს სურდათ შეექმნათ ისეთი სამართლიანი საზოგადოება, სადაც ადგილი არ ექნებოდა ადამიანის არც სოციალურსა და არც ეროვნულ ჩაგვრას, მოისპობოდა ყოველგვარი წოდებრივი პრივილეგიები და კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორი უფლებით ისარგებლებდა. ერთი სიტყვით, თერგდალეულებს სურდათ ქვეყნად ძმობა, თანასწორობა და თავისუფლება დაემყარებინათ.

თერგდალეულთა ფიქრით, მათს სამართლიან საზოგადოებას საფუძვლად უნდა დადებოდა შრომა. ყველა ადამიანი, რა წოდებისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ვალდებული იქნებოდა ეშრომა, ხოლო იმისათვის, რომ შრომა საიმედოდ ყოფილიყო დაცული ჩაგვრისა და შევიწროებისგან, მშრომელები უნდა გაერთიანებულიყვნენ ისეთ ასოციაციებსა და კოოპერატიულ ამხანაგობებში, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მშრომელი ადამიანის მეურნეობის უკეთ მოწყობას და ამავე დროს დაიცავდნენ თავისუფალ შრომას ყოველგვარი ძალადობისა და ექსპლოატაციისაგან.

თერგდალეულებს გულწრფელად სწამდათ, რომ მათი სამართლიანი საზოგადოება, თუკი ის ამენდებოდა, ბედნიერებას მოუტანდა მშრომელ ხალხს, მაგრამ ისინი ღრმად ცდებოდნენ: სამართლიანი საზოგადოების თეორია, რაც მათ რუსეთისა და ევროპის უტოპისტ-სოციალისტებისაგან (ჩერნიშევსკი, სენ-სიმონი და სხვ.) ისესხეს, არ ით-

ვალისწინებდა არც კერძო საკუთრებისა და არც კლასების სრულ მოსპობას, უამისოდ კი შეუძლებელია შრომის ნამდვილი განთავისუფლება. თერგდალეულები არ იცნობდნენ კ. მარქსის მოძღვრებას და თუმცა ბევრ საკითხში მჭიდროდ მიუახლოვდნენ მარქსისტულ თვალსაზრისს, მაგრამ მარქსიზმის ბოლომდე გაგება და საქართველოს სინამდვილისათვის მისი მიყენება, მათ ვერ შეძლეს, — უფრო სწორად, იმდროინდელ საქართველოს პირობებში მათ ამის გაკეთება არ შეეძლოთ.

მარქსიზმი გვასწავლის (და ეს ისტორიის მთელმა შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა), რომ შრომის განთავისუფლება და ადამიანთა ჩაგვრის მოსპობა შეუძლებელია ისე, თუ არ მოისპო კერძო საკუთრება მიწაზე და წარმოების საშუალებებზე, თუ არ მოისპო აგრეთვე ანტაგონისტური კლასები. უამისოდ ყოველგვარი იდეა „სამართლიანი საზოგადოების“ აშენებისა, ცარიელი ოცნება, განუხორციელებელი უტოპიაა.

თერგდალეულებმა ვერ იპოვეს სწორი გზა მომავალი, ნამდვილად სამართლიანი საზოგადოების, ე. ი. სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად; მათი „სამართლიანი საზოგადოება“ ფაქტიურად იმავე უსამართლო ბურჟუაზიული საზოგადოების ნაირსახეობად გადაიქცეოდა, რადგან იმავე კერძო საკუთრებას ეყრდნობოდა, რომელიც განუწყვეტლივ ბადებს ქონებრივ უთანაბრობას და მისგან გამომდინარე უსამართლობას, ჩაგვრასა და ექსპლოატაციას.

მიუხედავად ამისა, თერგდალეულთა ბრძოლას სამართლიანი საზოგადოებისათვის, ქვეყნად ძმობის, თანასწორობისა და თავისუფლებისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის მოსამზადებლად ნამდვილად სამართლიანი და ბედნიერი საზოგადოების, — კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

3. გვიანდელი თერგდალეულები. რევოლუციური ხალხოსნობა. მუშათა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დასაწყისი

ბურჟუაზიული რეფორმების შემდეგ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება რუსეთშიც და საქართველოშიც არსებითად შეიცვალა. მაღალი იდეალები, რომლისკენაც 60-იანი წლების რევოლუციური დემოკრატები მიისწრაფოდნენ, იმ დროს განუხორციელებელი აღმოჩნდა. რევოლუციური სიტუაცია ვერ გადაიზარდა საყოველთაო-სახალხო აჯანყებაში, რასაც, თერგდალეულთა ჩანაფიქრით, ერთდროულად უნდა გადაეწყვიტა როგორც მემამულურ-ბატონყმური წყობილების ძალით დამხობის, ისე ეროვნული ჩაგვრისაგან რუსეთის ხალხთა გან-

თავისუფლების ამოცანა. თვითმპყრობელობამ უმკაცრესი რეპრესიებით ჩაახშო რევოლუციური მოძრაობა და მთელ რუსეთში სასტიკი ტერორი დაამყარა. რეფორმების შემდეგ არაჩვეულებრივად გაძლიერდა არარუს ხალხთა, მათ შორის ქართველი ხალხის, ეროვნული ჩაგვრა. რაც განსაკუთრებით აუტანელი გახდა 80-იანი წლების დამდეგიდან, როცა რუსეთის მეფის ტახტზე უკიდურესი რეაქციონერი ალექსანდრე III ავიდა. ამ დროს ქართული ენისა და კულტურის დევნა-შევიწროებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ცარიზმი აშკარად და დაუფარავად დაადგა საქართველოს, როგორც ერის, მოსპობის გზას.

თვითმპყრობელობის აღვირახსნილ რეაქციულ პოლიტიკას თერგდალეულებმა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერებით უპასუხეს. მათ შეცვალეს ტაქტიკა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უპირველეს და უმთავრეს ამოცანად ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვა გამოაცხადეს. 70-იან და 80-იან წლებში თერგდალეულებმა უმაგალითო იდეური ომი გაუჩაღეს თვითმპყრობელობისა და მისი დამცველი რეაქციონერების, ყველა ამ კატკოვების, იანოვსკებისა და დონდუკოვ-კორსაკოვების წინააღმდეგ.

თერგდალეულებს სურდათ ცარიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში აქტიურად ჩაებათ ქართველი ხალხის ყველა კლასი და წოდება, რათა ამ გზით გაეძლიერებინათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და უფრო საიმედოდ დაეცვათ ეროვნული ინტერესები. სწორედ ამ მიზნით წამოაყენეს მათ ე. წ. „წოდებათა შერიგების“ თეორია, მაგარმ ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საქართველოს პირობებში, როცა კლასობრივი ბრძოლა სულ უფრო და უფრო მწვავე და სასტიკი ხდებოდა, შეუძლებელი იყო მთელი ხალხის გაერთიანება და ცარიზმის წინააღმდეგ სერიოზული ერთობლივი ფრონტის ორგანიზაცია. უფრო მეტიც, ერთიანობის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა თვით თერგდალეულთა შორისაც კი, რის გამო 70-იანი წლების ბოლოს თერგდალეულთა ერთიანი იდეური მიმდინარეობა დაიშალა. ამის მიზეზი, ცხადია, რეფორმისშემდგომი ხანის საქართველოს ცხოვრებაში მომხდარი რადიკალური ცვლილებები იყო.

როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული რეფორმის წინ საქართველოს მრეწველობის საკომანდო სიმაღლეები უცხო კაპიტალს ეპირა, ადგილობრივი ბურჟუაზია კი (როგორც სომხური, ისე განსაკუთრებით ქართული) ჯერ ძალიან სუსტი და თანაც უუფლებო იყო. იგი ქალაქისა და სოფლის მშრომელებთან ერთად ე. წ. „მესამე წოდების“ ერთიან ბანაკს შეადგენდა და თუმცა გაუბედავად, მაგრამ მაინც ხალხთან ერთად ებრძოდა მემამულეთა კლასისა და მისი დამცველი მეფის მთავრობის ძალაუფლებას.

რეფორმების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ქართველი ბურჟუაზია ჩამოყალიბდა როგორც კლასი და დაუპირისპირდა თავის გუშინდელ მოკავშირეს — მშრომელ ხალხს. ასე გამოეცალა სოციალური საფუძველი თერგდალეულთა ერთიანობას და მომზადდა პირობები სამოღვაწეო ასპარეზზე ქართველი ბურჟუაზიის წარმომადგენლების (ე. წ. ბურჟუაზიული ლიბერალების) გამოსვლისათვის.

70-იანი წლების მიწურულში თერგდალეულთა ერთიანი იდეური ბანაკი დაიშალა და მისგან ორი ახალი მიმართულების ჯგუფი ჩამოყალიბდა. ერთი მათგანი იყო შედარებით მცირერიცხოვანი, მაგრამ საკმაოდ გავლენიანი ჯგუფი, რომელსაც გამოჩენილი სამოციანელები ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი მეთაურობდნენ. ეს ჯგუფი ძირითადად აღმავალი ქართველი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა და გარკვეულ დრომდე (მუშათა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დაწყებამდე) პროგრესულ როლს თამაშობდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი და თანაც უფრო გავლენიანი იდეური ჯგუფი, რომელიც თერგდალეულთა დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა, ეს იყო გაზეთ „ივერიის“ ირგვლივ შემოკრებილი წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების დემოკრატთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ დიდი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა. იაკობ გოგებაშვილი და სხვები. ამ სახელოვანმა ჯგუფმა განსაკუთრებული როლი შეასრულა 80—90-იანი წლების რეაქციის ხანაში ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დასაცავად. ამ ჯგუფის წევრები შეადგენდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად ბირთვს, მის ნამდვილ სულსა და გულს. მართალია, მათი ძირითადი იდეები და შეხედულებები ამ დროისათვის დაძველდნენ და ალარ შეეფერებოდნენ შექმნილ ისტორიულ პირობებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, „გვიანდელი თერგდალეულების“ მხურვალე მოწოდებები ქართველი ხალხის მთელი ძალების გაერთიანების, ადამიანთა შორის ძმობის, ერთობისა და სიყვარულის დამყარების შესახებ, უკვალოდ არ დაკარგულა: მათ დაიცვეს ქართული ენა და კულტურა და მოამზადეს ნიადაგი 1905 წლის ჰექა-ქუხილისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპზე (XIX საუკუნის მეორე ნახევარში), მშრომელი ხალხის (გლეხობის) ინტერესების დასაცავად, თერგდალეულებთან ერთად, თავდაღებით იბრძოდა ქართველი რე-

ვოლუციური ახალგაზრდობის კიდევ ერთი ჯგუფი, რომლის წევრები ხალხოსნების სახით არიან ცნობილი. ამ ჯგუფში შედიოდნენ: ივანე ჯაბადარი, გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), მიხეილ ჩიკოიძე და სხვები.

ქართველი ხალხოსნები, რუსი ხალხოსნების მსგავსად, მიზნად ისახავდნენ თვითმპყრობელობის დამხობას და გლეხებისათვის „მიწისა და თავისუფლების" მოპოვებას. ისინი ოცნებობდნენ სოციალიზმის აშენებაზე, მაგრამ არ ესმოდათ მუშათა კლასის ისტორიული როლი და მთავარ რევოლუციურ ძალად გლეხობა მიაჩნდათ.

ხალხოსანთა შორის ბევრი იყო ხალხის გულწრფელი მეგობარი და გაბედული რევოლუციონერი, მაგრამ მათს რევოლუციურ აგიტაციას და „ხალხში სიარულს" რაიმე რეალური პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია. ეს იმით აიხსნება, რომ ხალხოსნებს არ გააჩნდათ სწორი თეორია და არ იცნობდნენ გლეხთა ცხოვრებას. მთავრობამ, პროვოკატორების დახმარებით, შედარებით, ადვილად მოახერხა 70-იანი წლების რევოლუციურ-ხალხოსნური ორგანიზაციების განადგურება. 80—90-იან წლებში კი ხალხოსანთა დიდი ნაწილი ლიბერალიზმის გზას დაადგა და ხალხში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოებით კმაყოფილდებოდა.

როგორც უკვე ითქვა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ანუ რაზნოჩინული ეტაპი გაგრძელდა 90-იანი წლების ბოლომდე, უფრო ზუსტად 1898—1900 წლებამდე, ამის შემდეგ კი დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე, პროლეტარული ეტაპი, როცა რუსეთის ხალხთა განთავისუფლების საქმე თავის ხელში აიღო მუშათა კლასმა და მისმა ავანგარდმა — კომუნისტურმა პარტიამ.

დიდი ლენინის მიერ შექმნილმა ახალი ტიპის პარტიამ მუშათა და გლეხთა განთავისუფლების საქმე მიიყვანა სრულ გამარჯვებამდე. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო როგორც მეფისა და მემამულეების, ისე კაპიტალისტების ბატონობა და შექმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ურღვევი, ძმური კავშირი, რომელმაც ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა ხალხს, და მათ შორის ქართველ ხალხს, თავისუფლება და ბედნიერება მოუტანა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში

(ზოგადი მიმოხილვა)

1. რევოლუციური სიტუაცია საქართველოში 50—60-იან წლებში და რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის დასაწყისი

დიდი ისტორიული მოვლენები, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოში ხდებოდა ფეოდალური წყობილების რღვევისა და კაპიტალისტური ურთიერთობის გამარჯვების ხანაში, სავსებით დამახასიათებელი იყო იმავე ეპოქის საქართველოს მატერიალური და სულიერი ცხოვრებისათვისაც. საქართველოს ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ჯერ კიდევ რეფორმის წინა სანაში შედარებით სწრაფად ვითარდებოდა და ფეხდაფეხ მიჰყვებოდა რუსეთის ცხოვრების განვითარებას. უკვე ყირიმის ომის ეპოქაში, როცა საქართველოს დაჩაგრული კლასების, პირველ რიგში კი ყმაგლეხობის ტანჯვამ, სიღატაკემ და გაჭირვებამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია და, ამის გამო, არაჩვეულებრივად გაიზარდა ხალხის პოლიტიკური აქტივობა, საქართველოშიც დღის წესრიგში დადგა ძველი, საუკუნეობრივი რუტინით დახავსებული წყობილებისა და მასთან ერთად ცხოვრების მთელი წინანდელი ფორმების ძირფესვიანად გარდაქმნის აუცილებლობის საკითხი. ფეოდალურ-ბატონყმური წყობილებისა და მისი დამცველი ძალების წინააღმდეგ აღდგენენ საქართველოს მშრომელი მასები, რომლებიც ბურჟუაზიული რეფორმების წინ და თვით რეფორმების ხანაში იარაღით ხელში იბრძოდნენ როგორც „საკუთარი" თავადაზნაურობის, ისე მისი მფარველი თვითმპყრობელური სახელმწიფოს წინააღმდეგ. გლეხთა სტიქიური მოძრაობა, რომელმაც საფუძველი შეურყია ბატონყმურ წყობილებას, განსაკუთრებით გაძლიერდა 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში, როცა საქართველოში, ისევე როგორც რუსეთშიც, აშკარად გამოხატული რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა.

1857 წელს გლეხთა გრანდიოზულმა აჯანყებამ იფეთქა საქართველოს დასავლეთ ნაწილში — სამეგრელოში, რომლის ტერიტორია რუსეთ-თურქეთის ომის დროს საომარ ასპარეზად იყო ქცეული. ომმა გააჩანაგა ყმაგლეხთა ისედაც ღატაკი მეურნეობა. ომის შემდეგ კი თავადაზნაურობამ გაამრავლა ბეგარა-გადასახადები, რამაც გლეხობის მდგომარეობა აუტანელი გახადა. მოთმინებიდან გამოსულმა გლეხებმა იარაღი აისხეს და მჭედელ უტუ მიქავას მეთაურობით დაიძრნენ თავისი კლასობრივი მტრის წინააღმდეგ. აჯანყებულებს, რომელთა

რიცხვი ოციათასამდე აღწევდა, მიჰქონდათ წითლად შეღებილი ქსოვილის დროშები. მათი მთავარი ლოზუნგი იყო: „თავადთა და აზნაურთა წოდება არ უნდა არსებობდეს, რადგან ყველა ადამიანები ძმები არიან".

აჯანყებული გლეხები შიშის ზარს სცემდნენ საძულველ მებატონეებს, სწვავდნენ და ანადგურებდნენ მათ სახლ-კარს. მათ დაამარცხეს თავადაზნაურთა შეიარაღებული რაზმები, ბრძოლით აიღეს სამეგრელოს სამთავროს ცენტრი ჭ. ზუგდიდი და ხელთ იგდეს ძალაუფლება თითქმის მთელ სამეგრელოში. მაგრამ სამეგრელოს თავადაზნაურობას მიეშველა მეფის მთავრობა, რომელმაც დიდი სამხედრო ძალით ჩაახშო აჯანყება[1].

იმავე ხანებში გლეხთა მღელვარებას და შეიარაღებულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა საქართველოს ბევრ სხვა მხარეშიც. 1857 წ. შემოდგომაზე გლეხთა მოძრაობამ სერიოზული ხასიათი მიიღო იმერეთში, კერძოდ, ამაღლებისა და ბაღდადის უბნებში, სადაც ყმაგლეხები აუჯანყდნენ თავიანთ მემამულეებს. აჯანყებულთა წინააღმდეგ ქუთაისის გუბერნატორმა გაგზავნა ზარბაზნებით შეიარაღებული ჯარის ნაწილი და აჯანყება ჩააქრეს, ხოლო მისი მეთაურები (16 გლეხი) ციმბირში გადაასახლეს[2]. 1862 წელს გლეხთა შეიარაღებული გამოსვლა მოხდა გურიაში. ყმაგლეხები გამოვიდნენ დიდი მემამულეების — გურიელების, ნაკაშიძეებისა და მაჭუტაძეების წინააღმდეგ. აჯანყება სწრაფად ვითარდებოდა და ფართო ხასიათს იღებდა, მაგრამ მთავრობამ დიდი ჯარი გაგზავნა აჯანყების ადგილებში და გლეხები აქაც იძულებული იყვნენ იარაღი დაეყარათ[3]. 1863 წელს გლეხთა მოძრაობა გაიშალა ქართლის რაიონებშიც. გლეხები იარაღით ხელში იბრძოდნენ მემამულეების წინააღმდეგ ქსნის ხეობაში და სურამის რაიონში, აგრეთვე სოფელ ერეთში. 1864 წელს გლეხთა მღელვარებას ადგილი ჰქონდა თბილისის მაზრასა და თიანეთის ოკრუგში (სოფ. მატანი). 1863 და 1865 წლებში კვლავ განმეორდა სისხლისმღვრელი შეტაკებები შეიარაღებულ გლეხობასა და მთავრობის ჯარებს შორის სამეგრელოში. გლეხობის ბრძოლამ მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო აგრეთვე აფხაზეთში, სადაც რეფორმის წინ (1866 წ.) ადგილი ჰქონდა გლეხთა გრანდიოზულ აჯანყებას[4].

---

1 დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. დ. ლ ე მ ო ნ ჯ ა ვ ა ს, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში, თბ., 1957.

2 გ. ხ ა ჯ ა პ უ რ ი ძ ე, გლეხთა მოძრაობა საქართველოში, თბ., 1933, გვ. 73.

3 შ. ჩ ხ ე ტ ი ა, გლეხთა მოძრაობა გურიაში 1862 წელს, „საისტორიო მოამბე", № 7, გვ. 169—228.

4 დაწვრ. იხ. Г. Д. Дзидзария. Восстание 1866 года в Абхазии, Сухуми, 1955.

გლეხობასთან ერთად სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ენერგიულად იბრძოდა საქართველოს ქალაქების მოსახლეობაც. ამ ბრძოლის ერთ-ერთი მძლავრი გამოხატულება იყო თბილისის ღარიბი მოსახლეობის აჯანყება 1865 წელს, რომლის უშუალო საბაბი ქალაქში გადასახადების გადიდება გახდა. აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ამქრებად გაერთიანებული ხელოსნები და წვრილი ვაჭრები, მუშები, სოფლიდან სამუშაოს საძებრად ჩამოსული გლეხები და, საერთოდ, ქალაქის ე. წ. ღარიბი მოსახლეობა, აგრეთვე ბურჟუაზიის ზოგიერთი წარმომადგენელი. 27 ივნისს ერევნის (ამჟამად ლენინის სახელობის) მოედანზე თავი მოიყარა ათიათასამდე კაცმა. ვერც პოლიციის ძალებმა და ვერც მთავრობის დიდმა მოხელეებმა ვერ შეძლეს აღშფოთებული ხალხის დაშოშმინება. მეფის ნაცვლის მოვალეობის ამსრულებელი გენერალი ორბელიანი ხალხმა სტვენითა და ქვის სროლით გააქცია მოედნიდან. აჯანყებულებმა უარი განაცხადეს გადასახადის გადახდაზე და დაარბიეს ქალაქის თავისა და გადასახადების ამკრეფის სახლ-კარი, თვით გადასახადის ამკრეფი კი მოჰკლეს. მთავრობამ აჯანყებულთა წინააღმდეგ დაძრა რეგულარული ჯარის მრავალრიცხოვანი ნაწილები. თბილისის ქუჩებში მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებები, რომლის დროს რამდენიმე ათეული კაცი მოკლეს. აჯანყება დამარცხდა. მისი აქტიური მონაწილენი (80 კაცი) სამართალში მისცეს და საპატიმროებსა და კატორღაში გაგზავნეს[5].

ასეთ ვითარებაში ჩაისახა და ჩამოყალიბდა 60-იანი წლების მოწინავე ქართველი ინტელიგენციის — ე. წ. თერგდალეულების — რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგია, რომელმაც გააძლიერა, გაარღმავა და ახალ (ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ) საფეხურზე აიყვანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. თერგდალეულთა იდეები, მათი პოლიტიკური პროგრამა გამოხატავდა ქართველი ხალხის, პირველ რიგში კი გლეხობის იმდროინდელ სულისკვეთებასა და მისწრაფებებს. ეს იდეები საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ნაყოფი იყო, მაგრამ თეორიულად თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო და მათი შინაარსის განსაზღვრაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულმა იდეოლოგიამ, — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის შეხედულებებმა.

50—60-იან წლებში რუსეთის დიდ საუნივერსიტეტო ქალაქებში მრავალი ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა. მარტო პეტებურგში 60-

---

5 საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, 1958, გვ. 484—486.

იანი წლების დამდეგს სწავლობდა ოცდაათამდე ქართველი სტუდენტი. მათ შორის იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, ნიკოლოზ და ბესარიონ ღოღობერიძეები, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი და სხვ., რომლებიც შემდგომში გახდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, თერგდალეულთა მოძრაობის ხელმძღვანელები და აქტიური მონაწილენი.

პეტერბურგის ქართველი სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩაბმული რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ბევრი მათგანი პირადად იცნობდა ნ. ჩერნიშევსკის და ხშირად დადიოდა მის ბინაში, რომელიც იმ დროს, როგორც ცნობილია, რევოლუციური შტაბის როლს ასრულებდა. 1861 წელს ქართველმა სტუდენტებმა ერთსულოვნად მიიღეს მონაწილეობა პეტერბურგის სტუდენტთა ცნობილ პოლიტიკურ დემონსტრაციებში, რისთვისაც 13 ქართველი სტუდენტი დაპატიმრებული იყო, ბევრი მათგანი კი სასწავლებლებიდან გამორიცხეს. სტუდენტთა მღელვარების ჩაქრობის შემდეგ, ქართველი სტუდენტების ერთი ნაწილი პეტერბურგშივე დარჩა და აქტიურად მონაწილეობდა ისეთი არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციების მუშაობაში, როგორიც იყო „ზემლია ი. ვოლია", იშუტინელების წრე, „სმორგონის აკადემია". „ნაროდნაია რასპრავა" და სხვ., ხოლო მეორე, უფრო დიდი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა და ენერგიული რევოლუციური აგიტაცია გააჩაღა მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ.

თავიანთ მებრძოლ, რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალულ წერილებს თერგდალეულები ჯერ თავადაზნაურულ-ლიბერალური მიმართულების ჟურნალ „ცისკარში" ათავსებდნენ, შემდეგ კი, როცა მათი ბრძოლა ლიბერალების წინააღმდეგ მეტისმეტად გამწვავდა, დააარსეს საკუთარი ორგანო „საქართველოს მოამბე" (1863 წ.), რომელიც რევოლუციურ-განმათავისუფლებელი იდეების შესანიშნავ ტრიბუნად იქცა.

„საქართველოს მოამბემ" მარტო ერთ წელიწადს გასძლო, მაგრამ მისი იძულებითი დახურვის შემდეგაც, თერგდალეულებს არ შეუნელებიათ ბრძოლა ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. 1866 წელს მათ დააარსეს მებრძოლი დემოკრატიული გაზეთი „დროება", რომელიც მთელი ოცი წლის განმავლობაში დაუღალავად იბრძოდა 60-იანი წლების პროგრესული იდეების განხორციელებისათვის.

2. თერგდალეულთა ბრძოლა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ, „სამართლიანი საზოგადოების“ შექმნისათვის

ძირითადი საზოგადოებრივი საკითხი, რომელიც 60-იან წლებში განსაკუთრებული სიმწვავით იდგა საქართველოს (ისევე როგორც რუსეთის) მოწინავე მოღვაწეთა წინაშე, ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი იყო. თერგდალეულები დაუნდობლად ებრძოდნენ არა მარტო რეაქციონერ ქართველ მემამულეებს, რომლებიც გააფთრებით იცავდნენ ბატონყმურ წყობილებას. არამედ აგრეთვე ქართველ ლიბერალებსაც (დ. უიფიანი, გ. ორბელიანი, ი. კერესელიძე, ალ. ორბელიანი და სხვ.), რომლებიც სიტყვით ბატონყმობის მოსპობის მომხრეებად გამოდიოდნენ, საქმით კი ყოველნაირად იცავდნენ თავადაზნაურთა ეკონომიური და პოლიტიკური პრივილეგიების ხელუხლებლობას.

საგლეხო რეფორმის ირგვლივ საქართველოში გაჩაღდა სასტიკი კლასობრივი ბრძოლა მემამულეებსა და გლეხობას შორის. გლეხობა იბრძოდა მიწისა და თავისუფლებისათვის; მისი მიზანი იყო მემამულეთა მიწების, განსაკუთრებით კი მსხვილი ლატიფუნდიების მოსპობა და მემამულური ექსპლოატაციისაგან სრული განთავისუფლება, რაც მხოლოდ რევოლუციური გზით იყო შესაძლებელი.

გლეხობის ამ ბრძოლას საესებით უჭერდნენ მხარს თერგდალეულები, რომლებიც თავიანთ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ნაწერებში აშკარად ატარებდნენ გლეხური რევოლუციის იდეას. მძიმე ცენზურული პირობების მიუხედავად, თერგდალეულები ახერხებდნენ გაეპარებინათ ლეგალურ პრესაში, უაღრესად გაბედული აზრები, დაუღალავად ქადაგებდნენ ძმობას, ერთობასა და თავისუფლებას. მათი ორგანოს „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე მკითხველი ადვილად პოულობს მეფის მთავრობის საწინააღმდეგო რევოლუციურ მოწოდებებს.

თერგდალეულთა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები განსაკუთრებით მკაფიოდ ჩამოყალიბებულია ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და დ. ჭონქაძის შესანიშნავ მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში, აგრეთვე ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, ა. ფურცელაძის, ქ. ლორთქიფანიძისა და სხვა თერგდალეულთა მებრძოლ პუბლიცისტურ წერილებში, რომლებიც 60-იანი წლების ქართულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა. თერგდალეულთა ზოგიერთი მხატვრული ნაწარმოები (მაგალითად, ი. ჭავჭავაძის პოემები „აჩრდილი“ და „ქაკო ყაჩაღი“, დ. ჭონქაძის მოთხრობა „სურამის ციხე“ და სხვ.) შეიცავდნენ პირდაპირ მოწოდებას ქართველი გლეხობისადმი, იარაღით ხელში გასწორებოდნენ თავიანთ მჩაგვრელებს.

მაგრამ თერგდალეულები მარტო რევოლუციურ აგიტაციას როდი სჯერდებოდნენ, ისინი პრაქტიკულადაც იბრძოდნენ გლეხთა ინტერესების დასაცავად. ამასთან, თავიანთი მიზნებისათვის ისინი იყენებდნენ როგორც არალეგალურ, ისე ლეგალურ საშუალებებს. დამახასიათებელია შემდეგი ფაქტი: თავადაზნაურთა ერთ-ერთ კრებაზე, სადაც გლეხთა განთავისუფლების პირობებს იხილავდნენ, თერგდალეულთა მეთაურმა ი. ჭავჭავაძემ მკვეთრად და გაბედულად დააყენა გლეხობისათვის მიწის გადაცემის აუცილებლობის საკითხი; მისმა სიტყვებმა იმდენად აღაშფოთა იქ დამსწრე თავადები, რომ ერთმა მათგანმა ხანჯალი იშიშვლა და ახალგაზრდა პოეტს სასიკვდილოდ მიუხტა. გაგიჟებული თავადი ძლივს შეაჩერეს[6].

როცა მთავრობის მოხელეებისა და ქართველი თავადებისაგან შემდგარმა ცენტრალურმა საგლეხო კომიტეტმა რეფორმის აშკარად რეაქციული პროექტი შეადგინა, თერგდალეულებმა სასტიკი პროტესტი ვანაცხადეს და ეს პროექტი გამანადგურებელი კრიტიკის ცეცხლში გატარეს. მათ მოახერხეს თავიანთი „კრიტიკული შენიშვნები", რომელიც ნ. ჩერნიშევსკის პოლიტიკური პროგრამის პირდაპირი ანარეკლია, წარედგინათ (ანონიმურად) ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში[7], თუმცა როგორც მოსალოდნელიც იყო, მათ კრიტიკას არ მოუხდენია რაიმე გადამწყვეტი გავლენა გლეხთა განთავისუფლების პირობების შემუშავებაზე.

საგლეხო რეფორმის დაწყების შემდეგ (1864 წ.) თერგდალეულები განაგრძობდნენ მებატონე „განმათავისუფლებელთა" დაუნდობელ კრიტიკას; მათ სამარცხვინო ბოძზე გააკრეს ბატონყმური რეფორმის ავტორები. 1865 წელს გერცენის „კოლოკოლის" ფურცლებზე დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის ვრცელი წერილი „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში", რომელშიც გამოხატულია დემოკრატიული ქართველი ახალგაზრდობის საერთო აზრი რეფორმაზე. ნ. ნიკოლაძემ საგლეხო რეფორმას უწოდა „მძარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება"[8].

რეფორმისშემდგომ ხანაში თერგდალეულები კვლავ თავდადებით იბრძოდნენ ბატონყმობის ყოველგვარი ნაშთების წინააღმდეგ და გლეხთა მდგომარეობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. ისინი ცდი-

---

6 ქრ. მამაცაშვილის მოგონება კრებულში „ი. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", 1907, გვ. 67.

7 როგორც გამოირკვა, „კრიტიკული შენიშვნები" ი. ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის (იხ. პ. რატიანი, ი. ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა, თბ., 1963).

8 „კოლოკოლი", № 199.

ლობდნენ გამოენახათ გზები ისეთი „სამართლიანი საზოგადოების“ ასაშენებლად, სადაც ადგილი აღარ იქნებოდა ადამიანთა არც სოციალურ და არც ნაციონალურ ჩაგვრას, მოისპობოდა წოდებათა შორის ყოველგვარი პრივილეგიები და კანონის წინაშე ყველა ადამიანს ერთნაირი უფლებები ექნებოდა; ისინი ოცნებობდნენ „იდეალურ საზოგადოებაზე“, რომლის ყოველი წევრი ვალდებული იქნებოდა ეშრომა, ხოლო მშრომელთა შორის გამეფდებოდა „ძმობა, ერთობა და თავისუფლება“.

მაგრამ ამ კეთილშობილი ადამიანების გეგმები უტოპიური და განუხორციელებელი იყო. მათ არ იცოდნენ საზოგადოების განვითარების ნამდვილი კანონზომიერებანი. ვერ გაიგეს მუშათა კლასის ისტორიული როლი და ვერ იპოვეს ნამდვილად სამართლიანი საზოგადოებისაკენ — სოციალიზმისაკენ მიმავალი სწორი გზა.

70-იანი წლების მეორე ნახევარში თერგდალეულთა შორის წარმოიშვა სერიოზული უთანხმოება ეკონომიურ საკითხებზე, რასაც შედეგად მოჰყვა თერგდალეულთა ჯგუფის, როგორც ერთიანი იდეური მიმდინარეობის დაშლა.

თერგდალეულთა ერთიანი მიმდინარეობის დაშლა ბუნებრივი შედეგი იყო კაპიტალიზმის განვითარების გამო აღმოცენებულ წინააღმდეგობათა გამწვავებისა რეფორმისშემდგომი ხანის საქართველოს სხვადასხვა კლასებს შორის. თუ წინათ, — ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში, — ერთი დროშის ქვეშ იდგა მთელი ე. წ. „მესამე წოდება“ (გლეხობა, ქალაქის ღარიბი მოსახლეობა და ბურჟუაზია), რაც „ხალხს“ შეადგენდა, — რეფორმის შემდეგ თავი იჩინა მძაფრმა ანტაგონიზმმა ბურჟუაზიასა და წვრილმწარმოებელს შორის; ქონებრივი უთანასწორობის ზრდამ მკვეთრად გათიშა და ერთმანეთს დაუპირისპირა ბურჟუაზიისა და „ხალხის“ ინტერესები ჯერ ეკონომიურ, ხოლო შემდეგ პოლიტიკურ სფეროშიც. საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთ განვითარებას არ შეეძლო არ გამოეწვია თერგდალეულთა ერთიანი მიმდინარეობის დაშლა.

თერგდალეულები ორ ძირითად ბანაკად გაიყვნენ: ერთ ბანაკში მოექცნენ აღმავალი ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგები, ხოლო მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი ბანაკი შეადგინეს წვრილბურჟუაზიულ-გლეხური იდეოლოგიის წარმომადგენლებმა, რომლებიც „მთელი ქართველი ერის“ სახელით ლაპარაკობდნენ.

ახალგაზრდა ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი), გ. თუმანიშვილი და საქართველოს მრავალი სხვა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, პროგრესული შიშართულების ჯგუფი იყო და თავისი არსებობის პირველ ხანებში შედარებით აქტიურად იბრძო-

და ცარიზმისა და რეაქციული თავადაზნაურობის წინააღმდეგ. ამ ჯგუფის წევრები თავს იყრიდნენ ჯერ გაზეთ „ობზორის“, ხოლო შემდეგ „გაზეთების „ნოვოე ობოზრენიეს“ და „ქვალის“ გარშემო. ისინი ფიქრობდნენ, რომ „ერისა და ქვეყნის გამომყვანი სიღარიბისა და მონობისაგან... ყველგან მარტო... ბურჟუაზია ყოფილა და იქნება“[9].

შემდეგში ბურჟუაზიის იდეოლოგებმა თანდათან დაივიწყეს „ერისა და ქვეყნის“ ინტერესები და ზურგი აქციეს დემოკრატიას. 90-იანი წლების ბოლოდან მათ ნაციონალიზმის დროშას შეაფარეს თავი.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი როლი ითამაშა წერილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების დემოკრატ მოღვაწეთა ჯგუფმა, რომელიც თავს იყრიდა ყოველდღიურ გაზეთ „ივერიას“ გარშემო. ეს იყო გვიანდელი თერგდალეულების ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ დიდი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი, ი. გოგებაშვილი, რ. ერისთავი, ს. მესხი და სხვები. გვიანდელი თერგდალეულები 80—90-იანი წლების პერიოდშიც განაგრძობდნენ სამოციანელთა საერთო-საგანმანათლებლო და დემოკრატიული იდეების ქადაგებას, მოუწოდებდნენ „მთელ ერს“ საყოველთაო თანხმობის, ძმობის, ერთობისა და სიყვარულისაკენ. მაგრამ ამ დროს ეს იდეები უკვე ჩამორჩენილი და დრომოჭმული იყო. საქართველოს ცხოვრება რეფორმის შემდეგ სწრაფად წავიდა წინ. გაჩნდნენ ახალი კლასები: ბურჟუაზია და პროლეტარიატი, რომლებიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ: დაიშალა თვით გლეხობაც კულაკებად და სოფლის ღატაკებად. კაპიტალიზმმა უკიდურესად გაამწვავა კლასთა ბრძოლა ქალაქადაც და სოფლადაც. ასეთ პირობებში „მთელი ერის“ საერთო ინტერესებზე ლაპარაკი, ცხადია, უნიადაგო იყო.

ასე გამოეცალა სოციალური საფუძველი თერგდალეულთა იდეოლოგიას.

3. თერგდალეულთა ბრძოლა ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის

ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ პრძოლის საკითხთან ერთად, თერგდალეულთა წინაშე იმთავითვე უაღრესად მწვავედ დადგა აგრეთვე მეორე უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი საკითხი — ეროვნული ჩაგვრისა და ეროვნული უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი, რაც საქართველოს მაშინდელი კოლონიური მდგომარეობით იყო გამოწვეული.

---

9 ნ. ნიკოლაძე, „მოამბე“, № 8, 1894 წ. გვ. 136—137.

ეროვნული საკითხი საქართველოში ჯერ კიდევ თავადაზნაურულმა რევოლუციონერებმა დააყენეს. მაგრამ იმ დროს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ პერიოდში 1832—1860 წწ.), ეს საკითხი არ იყო დაკავშირებული ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლასთან და მოწყვეტილი იყო დემოკრატიულ ნიადაგს, თავადაზნაურულ რევოლუციონერებს ნაკლებად აინტერესებდათ ბატონყმობის მოსპობა, რის გამო მოკლებული იყვნენ გლეხობის მხარდაჭერას.

სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა 60-იან წლებში, როცა საქართველოში, ისევე როგორც მთელ რუსეთში, განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პერიოდი დაიწყო. ამ დროს ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლების საკითხი მჭიდროდ დაუკავშირდა და გადაეჯაჭვა მისი სოციალური განთავისუფლების საკითხს და ორივე ერთად თერგდალეულთა პოლიტიკური პროგრამის ძირითად მუხლებად იქცა. ამით საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ საფეხურზე ავიდა, რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსით შეივსო და რუსეთის საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელ ნაწილად იქცა.

რუსეთის დიდ რევოლუციურ-დემოკრატებთან თერგდალეულებს ანათესავებდა და აახლოვებდა არა მარტო მათი საერთო, ანტიბატონყმური იდეები, არამედ აგრეთვე ეროვნული საკითხის გადაჭრის ის დემოკრატიული პრინციპებიც, რომლებიც ნ. ჩერნიშევსკიმ და მისმა თანამებრძოლებმა შეიმუშავეს. მოქმედებდნენ რა ჩერნიშევსკის რევოლუციური პროგრამის შესაბამისად, 60-იან წლებში თერგდალეულები იბრძოდნენ ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის საყოველთაო-სახალხო აჯანყების გზით, რასაც ისინი ამიერკავკასიისა და მთელი რუსეთის ხალხთა საერთო განმათავისუფლებელ ბრძოლას უკავშირებდნენ.

50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში, როცა რუსეთსა და საქართველოში რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა, თერგდალეულებმა უაღრესად ენერგიული აგიტაცია გააჩაღეს აჯანყებისათვის ხალხის მოსამზადებლად. მათ წამოაყენეს ლოზუნგი „ჩვენი თავი ჩვენადვე გეეყუდნესო“ და მოუწოდეს მშრომელ მასებს იარაღი აესხათ ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ქართველ ხალხში განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობდა ი. ჭავჭავაძის ლექსი — მოწოდება, რომელიც ასე იწყებოდა:

ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა.
თოფ-იარაღი აისხი,
ღრო მოდის გამარჯვებისა!

საყოველთაო-სახალხო აჯანყებას, რომლისკენაც რევოლუციური სიტუაციის ხანაში თერგდალეულები ხალხს მოუწოდებდნენ, მათი ჩანაფიქრით, ერთდროულად უნდა გადაეწყვიტა როგორც ბატონყმური წყობილების ძალდატანებით მოსპობის, ისე ეროვნული ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლების ამოცანები. მაგრამ მას შემდეგ, რაც რევოლუციური სიტუაცია დამთავრდა, მდგომარეობა რუსეთშიც და საქართველოშიც არსებითად შეიცვალა. ცარიზმმა შეძლო რუსეთის. რევოლუციური ძალების დათრგუნვა და პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების ჩაქრობა; ცარიზმმა შეძლო აგრეთვე კავკასიის მთიელთა საბოლოოდ დამარცხება და, ამრიგად, შეიქმნა პირობები საქართველოსა და მთელი კავკასიის ეკონომიური დაპყრობისათვის, რასაც შედეგად თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის არაჩვეულებრივი გაძლიერება მოჰყვა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში სულ უფრო-დაუფრო ძლიერდებოდა. მეფის მთავრობა აშკარად დაადგა საქართველოს როგორც ერის მოსპობისა და ქართველი ხალხის ძალით გარუსების პოლიტიკას. სასტიკად იდევნებოდა ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული პრესა, ქართული თეატრი; სკოლებში პირველი კლასებიდანვე აიკრძალა ქართულად სწავლება; აიკრძალა, საქართველოს თვით სახელის ხსენებაც კი, — „საქართველოს“ მაგიერ გაზეთებს უნდა ეწერათ „თბილისის გუბერნია“ და „ქუთაისის გუბერნია“.

ასეთი ვითარების გამო თერგდალეულებმა შესცვალეს თავიანთი წინანდელი ტაქტიკა და ეროვნული საკითხი ქართველი ხალხის ყველაზე მტკივნეულ და საჭირბოროტო საკითხად, ერის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად გამოაცხადეს, ხოლო ყველა დანარჩენი საკითხი, მათ შორის მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობის საკითხიც, მას დაუქვემდებარეს. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ე. წ. „წოდებათა შერიგების“ მცდარი თეორია, რომელიც დამახასიათებელია გვიანდელი თერგდალეულების იდეოლოგიისათვის. ამ თეორიის ავტორებს მიაჩნდათ, რომ იმ კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში, რომელშიც რეფორმის შემდეგ საქართველო მოექცა, კლასთა ბრძოლის გამწვავება დაასუსტებდა ქართველ ერს, რასაც ცარიზმი მის მოსასპობად გამოიყენებდა. ამიტომ, ისინი მოუწოდებდნენ ქართველ ხალხს, განურჩევლად წოდებისა, საერთო ძალით დაეცვა თავისი ეროვნული თვითმყოფობა, თავისი ენა და კულტურა.

ქართველი ხალხის მოწინავე ინტელიგენციის ბრძოლამ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო 80-იანი წლების დამდეგიდან, როცა ალექსანდრე III-ის აღვირახსნილი რეაქციის წყალობით ეროვნულმა ჩაგვრამ საქართველოში უკიდურეს საზღვარს მიაღწია. ამ დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის

დროშის ქვეშ დადგა საქართველოს თითქმის ყველა საზოგადოებრივი ძალა, გარდა ქართველი თავადაზნაურობისა და სამღვდელოების უკიდურესად რეაქციული ნაწილისა.

ცარიზმის დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ 80-იან წლებში იბრძოდნენ არა მარტო ყველა მიმართულების ქართველი დემოკრატები, არამედ აგრეთვე თავადაზნაურული ლიბერალებიც, რომლებიც თუმცა მკიდროდ იყვნენ დაკავშირებული მეფის მთავრობასთან, მაგრამ სამშობლოსათვის კრიტიკულ მომენტში მაინც საკმაოდ გაბედულად აიმაღლეს ხმა ქართული ენისა და კულტურის დასაცავად. ამ ნიადაგზე მეფის მთავრობამ სამსახურიდან მოხსნა და სტავროპოლში გადაასახლა ლიბერალური მოძრაობის ხელმძღვანელი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე დ. უიფიანი, რომელიც გადასახლების ადგილზე მხეცურად მოჰკლეს ცარიზმის დაქირავებულმა აგენტებმა.

ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ იმ ხანებში საკმაოდ აქტიურად იბრძოდნენ აგრეთვე აღმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგები ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, გ. ზდანოვიჩი და სხვ.), მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ ძალას შეადგენდნენ წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების დემოკრატები, გვიანდელი თერგდალეულები, რომლებსაც სათავეში დიდი ქართველი მწერლები ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი ედგნენ. გვიანდელი თერგდალეულები ეწეოდნენ უაღრესად მძიმე და შეუპოვარ ბრძოლას ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, ისინი სისტემატურად ათავსებდნენ ქართულ და რუსულ დემოკრატიულ პრესაში მებრძოლ წერილებს, რომლებშიც დაუნდობლად ამათრახებდნენ კატკოვს და მის მსგავს შოვინისტ-რეაქციონერებს. მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეს გამოჩენილი მოღვაწენი არ სჯერდებოდნენ მარტო იდეურ ბრძოლას მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ამასთან ერთად, მათ გაშალეს უაღრესად ენერგიული პრაქტიკულ-ორგანიზაციული მუშაობა სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სამეურნეო დაწესებულებათა და საზოგადოებათა შესაქმნელად, რომელთა მიზანს ქართული კულტურის დაცვა და მისი შემდგომი განვითარება წარმოადგენდა. ასეთ დაწესებულებებსა და საზოგადოებებს ისინი ხალხის თვითმოქმედების ორგანოებს ეძახდნენ.

თვითმოქმედების ორგანოებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, რომელიც 1879 წელს შეიქმნა. ეს საზოგადოება აარსებდა ქართულ სკოლებს და სამკითხველოებს, იცავდა ქართული კულტურის უნიკალურ ძეგლებს, ადგენდა და სცემდა სხვადასხვა სახელმძღვანელოებს ქართულ ენაზე, აგროვებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს

და ა. შ. ასეთი საქმიანობით საზოგადოება ხელს უწყობდა ქართველი ხალხის გათვითცნობიერებას და გამოფხიზლებას, ამზადებდა ნიადაგს მასების მოძრაობისათვის.

მაგრამ ე. წ. ხალხის თვითმოქმედების ორგანოები, და მათ შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც“, არ ყოფილან მასობრივი, ნამდვილად ხალხური დაწესებულებანი; გლეხური დემოკრატიის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გადაქცევა საერთო-სახალხო მოძრაობად ცარიზმისა და ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ. ამის მიზეზი იყო მათი მცდარი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი. საქართველოს მშრომელები სრული თანაგრძნობით ეპყრობოდნენ და მხარს უჭერდნენ დემოკრატიული ინტელიგენციის ბრძოლას ქართველი ერის შელახული უფლებების დასაცავად, მაგრამ მათთვის გაუგებარი და სრულიად მიუღებელი იყო წოდებათა შერიგების ქადაგება, რადგან მუშებსა და გლეხებს ერთნაირად სტანჯავდა როგორც კოლონიური ჩაგვრის მძიმე უღელი, ისე ქართველი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის აღვირახსნილი ექსპლოატაცია.

4. ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში

ქართველი დემოკრატიული ახალგაზრდობის ის თაობა, რომელიც 70-იან წლებში სწავლობდა რუსეთის უნივერსიტეტებში, ხალხოსანთა იდეების გავლენის ქვეშ მოექცა და აქტიური მონაწილეობა მიიღო ხალხოსნურ მოძრაობაში. ამ ახალგაზრდობის ერთი ნაწილი (ივ. ჯაბადარი, გ. ზდანოვიჩი, მ. ჩიკოიძე, ა. ციციშვილი და სხვ.) თვით რუსეთის ხალხოსნურ ორგანიზაციებში იღებდა აქტიურ მონაწილეობას, ხოლო მეორე, უფრო დიდი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა და აქ გააჩაღა მუშაობა ხალხოსნური საიდუმლო ორგანიზაციების შესაქმნელად.

რევოლუციურად განწყობილ ქართველ ახალგაზრდობაში ხალხოსნებს ბევრი მიმდევარი გაუჩნდა. 1873—1876 წლების მანძილზე საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში შეიქმნა მრავალრიცხოვანი საიდუმლო ორგანიზაციები, რომლებმაც ენერგიული არალეგალური მუშაობა გააჩაღეს მეფის მთავრობის წინააღმდეგ. განსაკუთრებით ძლიერი ხალხოსნური ორგანიზაციები შეიქმნა თბილისში, გორში, ქუთაისსა და ოზურგეთში.

ქართველი ხალხოსნები, რუსი ხალხოსნების მსგავსად, „გავიდნენ ხალხში“ და ეწეოდნენ აგიტაციას გლეხობაში, მოუწოდებდნენ ხალხს რევოლუციური მოქმედებისაკენ. ხალხოსნური მოძრაობის ხელმძღვანელები და აქტიური მონაწილენი საქართველოში იყვნენ: ე. იოსე-

ლიანი, ი. ჭიქოძე, გ. ყიფიანი, ს. ჭრელაშვილი, ს. მგალობლიშვილი, შ. დავითაშვილი, გ. ჩიტაძე და სხვები.

ქართველი ხალხოსნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი ძირითადად ემთხვეოდა რუსი ხალხოსნების შეხედულებებს, მაგრამ მათი პროგრამა ზოგიერთ საკითხში მაინც განსხვავდებოდა რუსი ხალხოსნების პროგრამისაგან. საქართველოს თავისებური, კოლონიური მდგომარეობის გამო ქართველ ხალხოსნებს არ შეეძლოთ გვერდი აეცილოთ ეროვნული საკითხისათვის და მათ პროგრამაში კიდევაც ჰპოვა ადგილი ეროვნული ჩაგვრისა და ეროვნული უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებმა. მაგრამ, თერგდალეულებისაგან განსხვავებით, ქართველი ხალხოსნები პირველ რიგში სოციალურ პრობლემებს აყენებდნენ, ეროვნულ საკითხს კი შემდეგ განიხილავდნენ. ქართველ ხალხოსნებს მიაჩნდათ, რომ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთის ყველა ხალხის ბრძოლა ერთიანი გეგმით უნდა წარმართულიყო. ამიტომ მათ უაღრესად მჭიდრო კავშირი დაამყარეს რუს ხალხოსნებთან.

70-იანი წლების ქართველი ხალხოსნები გაბედული რევოლუციონერები იყვნენ და თავგანწირვით იბრძოდნენ ხალხის ინტერესებისათვის. მიუხედავად ამისა, მათ რევოლუციურ აგიტაციას და „ხალხში სიარულის“ ტაქტიკას რაიმე მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. 1876 წელს ქართველი რევოლუციური ხალხოსნების ორგანიზაცია გასცა მის რიგებში შეპარულმა პროვოკატორმა. მეფის მთავრობამ მოკლე დროში გაანადგურა ხალხოსანთა ძირითადი ჯგუფები; საიდუმლო ორგანიზაციის მონაწილეთა დიდი უმრავლესობა დააპატიმრეს.

70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დამდეგს, როცა რუსეთში კვლავ რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა, ქართველ ხალხოსანთა საიდუმლო ორგანიზაციის მუშაობა მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა. ამ პერიოდში შეიქმნა ხალხოსანთა ახალი საიდუმლო ორგანიზაციები, რომლებიც „ნაროდნაია ვოლიას“ პოზიციებზე იდგნენ და მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის ტერორისტულ მეთოდს აღიარებდნენ. მაგრამ არც ამ წრეების მუშაობას მოჰყოლია რაიმე, ცოტად თუ ბევრად დადებითი შედეგები.

80—90-იანი წლების ხანაში ქართველ ხალხოსანთა დიდმა უმრავლესობამ ხელი აიღო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაზე და ქართველი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ლეგალური ღონისძიებებით, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობით ცდილობდა. ლეგალურმა ხალხოსნებმა შექმნეს თავიანთი ბეჭდვითი ორგანოები — გაზეთი „შრომა“ და ჟურნალი „იმედი“, რომლებიც 80-იან წლებში გამოდიოდა. მაგრამ ამ ორგანოების ფურცლებ-

ზე ხალხოსნურმა შეხედულებებმა დაჰკარგეს წინანდელი რევოლუციური ელფერი და არსებითად ლიბერალიზმამდე ჩამოქვეითდნენ.

90-იან წლებში ხალხოსნობა, როგორც იდეური მიმდინარეობა საქართველოში, საბოლოოდ გაკოტრდა.

5. მარქსიზმის გავრცელება საქართველოში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მუშათა კლასის ჩამოყალიბება. უკვე 70-იანი წლებიდან საქართველოს მუშათა კლასი იწყებს საგაფიცვო ბრძოლას თავისი მეტისმეტად მძიმე ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად. მაგრამ 70—80-იანი წლების პერიოდში საქართველოს მუშათა კლასს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეგნებული თავისი კლასობრივი ინტერესები, მუშათა მოძრაობა ატარებდა სტიქიურ ხასიათს, ხოლო მუშათა აზრი იმყოფებოდა სხვადასხვა წვრილბურჟუაზიული შეხედულებების (თერგდალეულების, ხალხოსნებისა და სხვ.) ტყვეობაში.

მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებაზე და მათ სახელოვან ავტორებზე ქართულ დემოკრატიულ პრესაში საკმაოდ ბევრს წერდნენ უკვე 70—80-იანი წლების ხანაში, მაგრამ იმ დროს მოწინავე ქართველ ინტელიგენციას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სწორი წარმოდგენა მარქსისტულ მოძღვრებაზე.

გ. პლეხანოვის მიერ „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ დაარსებამ და 80-იან წლებში რუსეთში მარქსისტული იდეების გავრცელებამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე. საქართველოში გაბატონებული წვრილბურჟუაზიული თეორიების მდგომარეობა შეირყა. დაიწყო ახალი გზების ძიება. მოწინავე ქართველმა რევოლუციონერებმა თვალი მიაპყრეს მარქსისა და ენგელსის მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებას.

მარქსიზმის, როგორც მუშათა კლასის იდეოლოგიის, გავრცელება საქართველოში დაიწყო 90-იანი წლებიდან, როდესაც კლასობრივი ანტაგონიზმის ზრდამ და მუშათა მოძრაობის აღმავლობამ მოამზადეს პირობები მასებში მეცნიერული სოციალიზმის რევოლუციური თეორიის გასავრცელებლად.

პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის რევოლუციურმა მოღვაწეობამ, მისმა უკვდავმა ნაშრომებმა და აგრეთვე მის მიერ შექმნილმა პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა“ უდიდესი გავლენა მოახდინეს მუშათა მოძრაობაზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში. დღის წესრიგში დადგა საქარ-

თველოსა და ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის მარქსიზმთან შეერთების ამოცანა, რომელიც წარმატებით განახორციელა საქართველოსა და ამიერკავკასიის მარქსისტ-ლენინელთა პირველმა თაობამ.

ქართველმა მარქსისტებმა, რომლებიც დიდი ლენინის გზით მიდიოდნენ და მისი გენიალური მითითებებით ხელმძღვანელობდნენ, მხურვალედ დაუჭირეს მხარი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ დემოკრატიულ მოძრაობას, რომელიც რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო. ქართველი მარქსისტები გადაჭრით იცავდნენ ერთა თვითგამორკვევის ლენინურ პრინციპს და დაუნდობლად ებრძოდნენ ცარიზმის დიდმპყრობელურ-შოვინისტურ პოლიტიკას; მათ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მჭიდროდ დაუკავშირეს მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობას და რუსეთის დემოკრატიული რევოლუციის ინტერესებს დაუქვემდებარეს. მათ დაანახვეს მშრომელ ხალხს, რომ ეროვნული ჩაგვრის მოსპობა მხოლოდ რუსეთის ყველა ეროვნების ხალხთა ერთობლივი რევოლუციური ბრძოლით შეიძლებოდა.

ასე ავიდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა განვითარების ახალ, მესამე ეტაპზე — პროლეტარულ ეტაპზე.

ალექსანდრე წულუკიძე როგორც მოაზროვნე

შესავალი

თუკი ვინმე იყო რევოლუციამდელ საქართველოში მეცნიერებისათვის დაბადებული, ასეთად პირველ რიგში ალექსანდრე (საშა) წულუკიძე წარმოგვიდგება. სამწუხაროდ, საშას არ დასცალდა ბოლომდე გაეშალა თავისი საოცრად ხალასი ნიჭი. იგი ოცდაცხრა წლისა არც კი იყო, როცა გარდაიცვალა, მაგრამ უკვდავების მოპოვება მაინც მოასწრო!

დღესაც განცვიფრებას იწვევს მისი აზრის სიღრმე, ლოგიკის ძალა, ურთულესი საზოგადოებრივი მოვლენების სწორად გაგებისა და მათი შინაარსის მარტივად, ყველასათვის მისაწვდომად გადმოცემის უნარი. და მერე როგორ პირობებში მუშაობდა ეს ფაქიზი ბუნების ადამიანი! მას სდევნიდნენ, აპატიმრებდნენ, ავადმყოფობა სულს უხუთავდა, მაგრამ მაინც მუშაობდა, — მუშაობდა გატაცებით, დინჯად, ნამუსიანად, უანგაროდ; მისი პატიოსნების წინაშე მტრებიც კი ქედს იხრიდნენ!

ალექსანდრე წულიკუძის ნაშრომები მოწინავე ქართული აზროვნების ნამდვილი თვალმარგალიტებია; მათ დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა და, ალბათ, არც არასდროს დაკარგავენ. მისი დამსახურება განსაკუთრებით დიდია პოლიტიკური ეკონომიის დარგში. მისი „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“ ამ ჟანრის ლიტერატურის ნამდვილი შევდრია. არანაკლები მნიშვნელობა აქვთ მის ფილოსოფიურსა და პარტიულ-პოლიტიკურ პრობლემებზე დაწერილ გამოკვლევებს („ოცნება და სინამდვილე“ და სხვ.), აგრეთვე ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაშრომებს („ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ და სხვ.), რომლებმაც თვალსაჩინო ადგილი დაიჭირეს ქართული აზროვნებისა და კრიტიკის ისტორიაში.

ყველაფერი ეს ცნობილია და ქართველ მკვლევართაგან ერთსულოვნად აღიარებულიც, მაგრამ შედარებით ნაკლებადაა ცნობილი ალ. წულუკიძის დამსახურება საქართველოს ისტორიის ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის სწორად დაყენებასა და გადაწყვეტაში.

ჭვეშოთ ჩვენ შევეცდებით ცოტად თუ ბევრად დაწვრილებით განვიხილოთ ალ. წულუკიძის ის ნაშრომები, რომლებშიც საქართველოს ისტორიის დიდმნიშვნელოვანი პრობლემებია განხილული, მაგრამ წინასწარ ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ მათი სახელოვანი ავტორის მოღვაწეობისა და აზროვნების ზოგიერთ თავისებურებაზე.

ცნობილია, რომ ადამიანის ბიოგრაფია მჭიდროდაა დაკავშირებული მის აზროვნებასთან. ამიტომ, ამა თუ იმ მოღვაწის მემკვიდრეობის სწორად გაგებისა და შეფასებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმ საერთო პირობების (ზოგადი ვითარების) გათვალისწინებას, რომელშიც ეს მოღვაწე იზრდებოდა, არამედ მისი ბიოგრაფიის იმ თავისებურებათა გათვალისწინებასაც, რომელთა წყალობით იგი სხვებისაგან, — ზოგჯერ თვით უახლოესი თანამებრძოლებისაგანაც კი, — საგრძნობლად განსხვავდებოდა.

ალ. წულუკიძე ძალიან თავისებური, თითქმის განუმეორებელი პიროვნებაა, — ახალი ტიპის მოღვაწეა, რომელსაც იმდროინდელ საქართველოში (ი. ბ. სტალინს გარდა) ბადალი არა ჰყავს. მასში მეცნიერისა და თეორეტიკოსის დიდი ნიჭი ორგანულად არის შეხამებული პრაქტიკოს-რევოლუციონერის მტკიცე ნებისყოფასთან; ალ. წულუკიძე ერთი მთლიანი, მონოლითური მოღვაწეა, მტრებთან შეუდრეკელი და უკომპრომისო მებრძოლია, ამავე დროს იგი ყოველთვის, თვით უძნელეს პირობებშიც კი, ახერხებს ადამიანებთან გულთბილი დამოკიდებულების შენარჩუნებას. „მე (კ. მარქსის) „კაპიტალი“ მხოლოდ სახელმძღვანელოდ, გზის მაჩვენებლად, ლამპარად მიდა, დანარჩენი კი ისევ ადამიანთა თანაგრძნობით უნდა განსორციელდესო“, — ამბობს იგი და ამ სიტყვებით მთელი მისი ხასიათია გადმოცემული.

ალექსანდრე წულუკიძის იშვიათი ნიჭი და ვაჟკაცობა, უპირველეს ყოვლისა, თვით იმ ფაქტში გამოჩნდა, რომ მან, მდიდარი თავადის შვილმა, სრულიად ახალგაზრდამ, თავისი ნებით მიატოვა უზრუნველყოფილი ცხოვრება და შეგნებულად დაადგა მშრომელი ხალხის. დაჩაგრული პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ხიფათიან გზას. ამ ფაქტს განსაკუთრებულ, შეიძლება ითქვას, ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს ის გარემოება, რომ სამა წულუკიძეს, — ვიდრე იგი ცხოვრების გზას აირჩევდა. — არც ევროპაში უცხოვრია და არც რუსეთში. მარქსიზმთან ის მიიყვანა თვით საქართველოს ცხოვრებამ, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარების შინაგანმა ლოგიკამ.

ბავშვობა და ყრმობა სამამ დაბა ხონში გაატარა. ხონი მისი დროს აქტიურად იყო ჩაბმული სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობაში და ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის განვითარებაზე დაკვირვების კარგ საშუალებას იძლეოდა. ხონიდან, დიდი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოე-

ბული ახალგაზრდა, ქუთაისში გადავიდა და ერთხანს იქაურ გიმნაზიაში სწავლობდა. სწორედ ქუთაისში, — ქართული კულტურის ამ შესანიშნავ ცენტრში, — შეისისხლხორცა ალ. წულუკიძემ მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის დიდი მონაპოვრები და აირჩია ცხოვრების გზა, რომელიც ამ მონაპოვრების შემდგომი განვითარებისა და ყველაზე პროგრესულ მოძღვრებასთან მათი შეერთებისაკენ მიდიოდა. შემთხვევითი როდი იყო, რომ ქუთაისიდან საშა თბილისში გადმოვიდა და მუშაობა ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში" დაიწყო. ახალგაზრდა პუბლიცისტი და რევოლუციონერი უდიდესი გულისყურით აკვირდებოდა მშობლიური ქვეყნის საზოგადოებრივ მოვლენათა განვითარებას და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი ცხოვრების მიზანი საბოლოოდ გამოირკვა, მან გადაწყვიტა გამგზავრებულიყო რუსეთს, რათა სამშობლოში შეძენილი ცოდნა გაეღრმავებინა და მარქსისტული აზროვნების ნამდვილ მწვერვალებს დაუფლებოდა.

იმ იდეური წყაროების დასადგენად, რომლებმაც ალ. წულუკიძის მარქსისტული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყვეს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ერთ მის პირად წერილს მეგობრისადმი, გამოგზავნილს მოსკოვიდან 1897 წლის 18 ნოემბერს. ამ წერილში ავტორი პირდაპირ მიუთითებს იმ განსაკუთრებულ როლზე, რომელიც მისი მსოფლმხედველობის ფორმირებაში ქართველი სამოციანელების რევოლუციურ-დემოკრატიულმა იდეებმა შეასრულეს. წერილში ნათქვამია:

„ჩემი წარსული ცხოვრება შენ კარგად იცი... გავიდა ჩანი და ზოგიერთი გარემოების გამო (ამას, თუ საჭირო იქნება, რომ გნახავ მაშინ გეტყვი) არარაობა ამნაირი ცხოვრებისა მე შევიგენ ცოტად თუ ბევრად და ამის შედეგი იყო თვითგანვითარების ხელის მოკიდება, როგორც წინააღმდეგობას, პირდაპირს კონტრასტს ჩემის ცხოვრებისას ყოველ ახალ აზრს წიგნში ამოკითხულს, სამოციანი წლების იდეალებს (განსაკუთრებით) გატაცებით ვეძლეოდი (ხაზი ჩვენია — პ. რ.) და ამ გზით, ამნაირად დღემდე მოვდივარ და ამ გზითვე მინდა მომავლისაკენ გზა გავიკაფო"[1].

გამოჩენილი ქართველი მარქსისტის ეს განცხადება უძვირფასესი საბუთია იმ აზრის საილუსტრაციოდ, რომ საქართველოში (ისევე როგორც რუსეთში) სოციალ-დემოკრატიის წინამორბედნი პირველ რიგში იყვნენ სწორედ სამოციანელები, რომელთა საზოგადოებრივი იდეები და იდეალები ყველაზე ახლოს იდგა მარქსისტულ მოძღვრებასთან. ეჭვს გარეშეა, რომ ქართველ სამოციანელთა ანუ თერგდალეულთა

---

1 ა. წულუკიძე. თხზულებანი, 1967, გვ. 386.

იდეების შემდგომი განვითარება მხოლოდ მარქსიზმის აღიარებით და მარქსისტული აზროვნების შეთვისებით იყო შესაძლებელი.

თერგდალეულებმა გზა გაუკაფეს ჩვენში მარქსისტულ აზროვნებას და მოამზადეს პირობები ნამდვილი, რევოლუციური მარქსიზმის გამარჯვებისათვის.

ფრიად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ალ. წულუკიძე ზემომოტანილ თავის განცხადებაში თერგდალეულებს აშკარა უპირატესობას ანიჭებს ხალხოსნებთან შედარებით. ეს ფაქტიც, ცხადია, შემთხვევითი არაა და სავსებით კანონზომიერია. ცნობილია, რომ ხალხოსნობას ჩვენში არ ჰქონია ისეთი ღრმა სოციალური ფესვები, როგორიც რუსეთში ჰქონდა; ჩვენში ის უფრო გარედან შემოტანილი მოძრაობა იყო, ვიდრე ჩვენი ქვეყნის ცხოვრების შინაგანი განვითარებით გამოწვეული მოვლენა. ამით აიხსნება, რომ ხალხოსნურმა მოძრაობამ, მიუხედავად იმისა, რომ მასში არა ერთი სიმპათიური და ხალხისათვის თავდადებული პირი მონაწილეობდა, ვერ დატოვა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი კვალი საქართველოს ცხოვრებაში, ხოლო თავისი არსებობის ბოლო ხანებში ეს მოძრაობა იმდენად გაკოტრდა, რომ ყველაზე უხამსი ნიჰილისტური იდეების ქადაგებამდე ჩამოქვეითდა (ივ. ჯაბადარი, სანდალა და სხვ.).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ის ეროვნული ნიჰილიზმი ყოფილა წმინდა ქართული მოვლენა, რომელიც სოციალ-დემოკრატთა ერთ ნაწილში (ნ. ჟორდანია და სხვ.) იყო იმ დროს გავრცელებული. ისეთი „მარქსიზმი", რომელიც ერების ინტერესებს არაფრად აგდებდა, არ შეიძლებოდა საქართველოში დაბადებულიყო. იგი ჩვენში ევროპიდან შემოიტანა ზოგიერთმა სოც-დემოკრატმა მოღვაწემ, რომლებსაც არ ჰქონდათ იმის უნარი, რომ საქართველოს ცხოვრების განვითარებით დღის წესრიგში დასმული კითხვები მარქსისტულად შეესწავლათ და მარქსისტული მოძღვრების არსის შესაბამისად გადაეწყვიტათ.

თუმცა ესეც უნდა ითქვას: იმდროინდელ პირობებში მარქსისტული მოძღვრების არსში ჩაწვდომა და ამ მოძღვრების საშუალებით საზოგადოებრივ მოვლენათა სწორი, მეცნიერული ახსნა, უდიდეს სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამით აიხსნება, რომ მაშინდელ ქართველ მარქსისტთა შორის მხოლოდ ალექსანდრე წულუკიძემ და იოსებ სტალინმა შესძლეს რევოლუციური მარქსიზმის თეორიულ მწვერვალებზე ასვლა და ამის წყალობით საქართველოს ცხოვრების არა ერთი მოვლენის მეცნიერული გაშუქება. ალ. წულუკიძე იყო არა მარტო გამოჩენილი რევოლუციონერი, არამედ დიდი მოაზროვნეც, რომელიც თავისი გენიალური მასწავლებლის ვ. ი. ლენინის გზით მიდიოდა და მარქსიზმის შემოქმედებითად გამოყენების ბრწყინვალე

მაგალითებს იძლეოდა. პირველ რიგში სწორედ მისი შესანიშნავი ნაშრომების წყალობით მოხდა გარდატეხა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში და ჩვენში საბოლოოდ და სამუდამოდ გაიმარჯვა ნამდვილმა, შემოქმედებითმა, რევოლუციურმა მარქსიზმმა!

ეს იყო დიდი ისტორიული მოვლენა, რომლის წყალობით ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარება მსოფლიოს მოწინავე აზროვნების დონეს გაუთანაბრდა.

თავი I

საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემები ალ. წულუკიძის ნაშრომებში. სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალის ისტორიული როლის განსაზღვრა

1. ცხოვრების შუაგულში

ალექსანდრე წულუკიძის, როგორც მოაზროვნის, განსაკუთრებულ დამსახურებად ჩვენ ის გარემოება კი არ მიგვაჩნია, რომ მან ზედმიწევნით კარგად შეისწავლა კ. მარქსის ნაშრომები, კერძოდ კი „კაპიტალი" (თუმცა თავისთავად ესეც დიდი დამსახურებაა), არამედ ის, რომ მან პირველმა შესძლო მარქსის მოძღვრების თვალთახედვით საქართველოს ისტორიის, კერძოდ კი ეკონომიური ისტორიის ურთულეს მოვლენათა ღრმად შესწავლა და რიგი საკვანძო საკითხების მეცნიერული გაშუქება. ამ უძნელესი ამოცანის გადაწყვეტა მან მოახერხა, ერთი მხრივ, თეორიული ცოდნის გაღრმავებისათვის შეუპოვარი ბრძოლით, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ცხოვრების მოვლენებზე უშუალო დაკვირვებით.

ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ალ. წულუკიძის ერთი საინტერესო წერილი, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში" 1896 წლის 2 მაისს. სათაურით: „ქართველ სტუდენტების საყურადღებოდ". წერილში საუბარია ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტების, კერძოდ კი რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე სტუდენტების საქმიანობის ხასიათზე, მაგრამ ავტორის მსჯელობა გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს თვით ალ. წულუკიძის მუშაობის სტილზეც. ეხება რა ჩვენი იმდროინდელი ახალგაზრდა ინტელიგენტების ერთი ნაწილის უუნარობის მიზეზებს, ავტორი ამბობს:

„იზრდება ქართველი: გიმნაზიას ასრულებს, ბრწყინვალე იდეებით რუსეთისაკენ მიემგზავრება და უნივერსიტეტში შედის; ახალი ცხოვრება, ახალი აზრები, ამხანაგთა წრეები, საკმაო საშუალება გო-

ნების განსავითარებლად, ყველაფერი ხელს უწყობს მათ მიზნის მიღწევას, გარდა ზოგიერთი დაბრკოლებისა... მაგრამ რას ვხედავთ? ამთავრებენ რა კურსს, ჩამოდიან სამშობლოში, გარნა მათთვის ზრუნვამ, მათმა გამეცნიერებამ სამშობლოს მაინც „არა რა არგო!“ რა არის ამის მიზეზი? რას დავაბრალოთ. რომ ოდესმე დაიმედებული საბრალო მშობლები სასოწარკვეთილებით გაიძახიან: „ესეც ჩვენი ინტელიგენცია: შალომასავით იყვლიფება: ჩვენი მას არ ესმის და მისი ჩვენ არა გაგვეგება-რაო!“ მართლა რომ ეს სამწუხარო მოვლინება ისეთი რთულია, რომ ძნელია გადაჭრით პასუხის მიცემა ამ კითხვაზე. მხოლოდ ჩვენის ფიქრით, ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი არის მათგან თავისი ქვეყნის არ ცოდნა. ვის რა უჭირს, ვინ რისთვის კვნესის სამშობლოს მრავალ სოფელ-დაბაში, მხოლოდ გაზეთის ფურცლებზე გაკვრით თუ ეცნობებათ მათ განათლებულს თავს და კაბინეტში ცალმხრივი მსჯელობით ცდილობენ ცხოვრების მრავალმხრივ სენს ძირი მოუთხარონ. დიაღ, ცდილობენ! მაგრამ რა ჭნას იქ ცდამ, სადაც ცნობა არ არის! მაშინ ზოგიერთი სამოყვრო მეცადინეობაც გადაიქცევა სამტროდ. „მაშ რა ვქნათო?“ დამეკითხება ცოტათი გაჯავრებული ახალგაზრდობა. მარტივათ გიპასუხებთ: ის დრო, რომელსაც თქვენ რუსეთის ციე ჰაერითგან სამშობლოს თბილ ჰაერს ქვეშ დროებით, საორთველოდ დაბრუნებულნი. ცეკვაში, ღვინოში და ქალების „არშიყობაში“ გართობას ანდომებთ, მოიხმარეთ სასარგებლოდ, გაიცანით თავთავისი კუთხე, სოფელი. დაბა, ქალაქი, შესძინეთ თქვენს თეორიულ ცოდნას პრაქტიკული გამოცდილებაც. გაიცანით რიგიანათ ზოგიერთი მხარეები ხალხის გაჭირვებული ცხოვრებისა, დააკვირდით. ახსენით თეორეთიკებისათვის ძნელად ასახსნელი კითხვები; დაუახლოვდით ხალხს, მოისმინეთ მისი მწუხარება, დაუმეგობრდით მას მისივე ვარამის გაზიარებით, შესძინეთ მისი გონების ბნელ სალაროს მცირე რამ გამოსადეგი თეორიული ცოდნა... თუ იმ ერს, რომლის სასარგებლოდ მოღვაწეობისათვის ვემზადებით, არ გავიცნობთ, ამაო იქნება ყოველივე ღაღადება“[1].

ასე შესანიშნავად მსჯელობდა საშა წულუკიძე ჯერ კიდევ 1896 წელს. იმ დროს იგი ოცი წლისაც არ იყო, მაგრამ უკვე კარგად იცოდა, როგორ უნდა ემუშავნა და როგორ გაეწია სასარგებლო სამსახური თავისი ერისათვის. განუხრელად იცავდა რა მუშაობისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის იმ პრინციპებს, რომლებიც ასე რელიეფურადაა ჩამოყალიბებული ზემოთ ციტირებულ მის წერილში. ალ. წულუკიძე არაჩვეულებრივი ენერგიით, მონდომებითა და დაჟინებით სწავლობდა თავისი ქვეყნის საზოგადოებრივ მოვლენებს. ჯერ კიდევ 1895 წელს

---

1 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 366—367.

იგი „ივერიაში“ ათავსებს კორესპონდენციების მთელ სერიას, რომლებშიც დიდი უშუალობითაა გადმოცემული მისი მშობლიური ხონის ცხოვრების მაჯისცემა. კორესპონდენციებში „დაბა ხონი, 10 ოქტომბერი“, „დაბა ხონი, 18 ოქტომბერი“, „დაბა ხონი, 30 ნოემბერი“, აგრეთვე მხატვრულ ესკიზში „ღამის სურათები“ მემატიანის სიზუსტით არის გადმოცემული იმდროინდელი ქართული დაბის ცხოვრების სურათი, განსაკუთრებით კი ღატაკი და გაჭირვებული ხალხის ცხოვრება.

უფრო გვიან პრესაში ქვეყნდება საშა წულუკიძის შესანიშნავი კორესპონდენციები, რომლებშიც ქ. ბათუმის იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებაა გადმოცემული. კორესპონდენციებში „ბათუმი, 10 თებერვალი“. „ბათუმი, 19 თებერვალი“, „ბათუმი, 25 აპრილი“, „ისევ ბათუმის საბჭოს შესახებ“ და „წერილი რედაქციას“, რომლებიც 1901 წელს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ დაიბეჭდა, ცოცხლადაა წარმოდგენილი საქართველოს ამ სამრეწველო ქალაქის ცხოვრებაში მომხდარი საზოგადოებრივი მოვლენების დედააზრი და დამახასიათებელი დეტალები.

ამავე დროს ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია არალეგალურად ბეჭდავს და მუშებს შორის ავრცელებს ალ. წულუკიძის მიერ დაწერილ ფურცლებს, რომლებშიც იშვიათი ოსტატობითაა გადმოცემული მარქსისტული მოძღვრების ძირითადი დებულებები და გადაშლილია მუშათა კლასის განთავისუფლების თვალწარმტაცი პერსპექტივები.

მოკლე დროში, სულ რამდენიმე წლის მანძილზე ალ. წულუკიძემ მოასწრო მთელი საქართველოს და ამიერკავკასიის ცხოვრების მაჯისცემის საფუძვლიანი გაცნობა. ხონი, ქუთაისი, ჭიათურა, თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ბაქო, მოსკოვი, — აი, ის ქალაქები, სადაც იგი მოღვაწეობდა და უშუალოდ აკვირდებოდა ცხოვრების მოვლენებს. გარდა ამისა, ჩვენთვის ცნობილია, რომ საშა გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ჭიათურის შავიქვის მწარმოებელთა საბჭოს საქმიანობას. ქუთაისისა და თბილისის სათავადაზნაურო ბანკების ირგვლივ გაჩაღებულ ბრძოლას, საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში დაარსებული ამხანაგობების მუშაობას და ა. შ. ერთი სიტყვით, ივი ცხოვრებდა თავისი ქვეყნის ცხოვრების შიგ შუაგულში, ბეჯითად და სერიოზულად სწავლობდა ხალხის ჭირ-ვარამს და მოუწოდებდა მშრომელებს ცხოვრების ძირფესვიანი გარდაქმნისაკენ.

ამგვარმა დაუღალავმა მოღვაწეობამ, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების შეერთებამ ალ. წულუკიძეს საშუალება მისცა გამოეთქვა ფრიად საყურადღებო აზრები და გაეკეთებინა დიდმნიშვნელოვანი დასკვნები თავისი ქვეყნის ისტორიის საკითხებზე. მართალია, ალ. წულუკიძეს სპეციალური ისტორიული ნაშრომი არ დაუ-

წერია, მაგრამ მისი შეხედულებები საქართველოს ისტორიის, კერძოდ კი ეკონომიური ისტორიის საკვანძო საკითხებზე უხვად არის გაბნეული მის გამოკვლევებსა და წერილებში.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ცოტად თუ ბევრად დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველს ამ შეხედულებათა შინაარსი, მაგრამ მანამდე საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც შევეხოთ იმ მეთოდს, რომლითაც ალ. წულუკიძე საზოგადოებრივი მოვლენების კვლევისას ხელმძღვანელობდა.

2. კვლევის მეთოდი

ალ. წულუკიძე, ისევე როგორც ყოველი მარქსისტი, რომელიც საზოგადოებრივ მოვლენებს იკვლევს, რა თქმა უნდა, ისტორიის მატერიალისტური გაგების მეთოდით ხელმძღვანელობს. მაგრამ საქმე ისაა, რომ, ბევრი მისი თანამებრძოლისაგან განსხვავებით, იგი ზედმიწევნით კარგად ფლობს ამ მეთოდს და აქტიურად იყენებს მას ურთულესი ისტორიული მოვლენების ასახსნელად. იმისათვის, რომ მკითხველმა წარმოადგინოს, რა ნათლად და გარკვევით მსჯელობს ალ. წულუკიძე ისტორიის მატერიალისტური გაგების მეთოდზე და რა ღრმად აქვს შეთვისებული ამ მეთოდიდან გამომდინარე სახელმძღვანელო პრინციპები, კერძოდ კი ისტორიზმის პრინციპი, თავს ნებას მივცემთ მოვიტანოთ სათანადო ამონაწერები მისი ნაშრომებიდან.

სტატიაში „საუბარი მკითხველთან", რომელიც ანტონიო ლაბრიოლას ცნობილი წიგნის გარჩევას ეძღვნება, აგრეთვე მთელ რიგ სხვა სტატიებში, ალ. წულუკიძე მკაცრად აკრიტიკებს სხვადასხვა ჟურის სოციოლოგთა სუბიექტურ-იდეალისტურ შეხედულებებს და დაწვრილებით განმარტავს ისტორიის მატერიალისტური (მონისტური) გაგების მეთოდს; ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს, ერთი მხრივ, ისტორიზმის პრინციპს, ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიური ფაქტორის გადამწყვეტ როლს. ამასთან, ავტორი საგანგებოდ აფრთხილებს მკითხველს, რომ ისტორიაში ეკონომიური ფაქტორის გადამწყვეტი როლის აღიარება, არ ნიშნავს — როგორც ამას მარქსიზმის ვულგარიზატორები ფიქრობდნენ, — თითქოს ყოველი ისტორიული მოვლენა და ყოველი ადამიანური საქმე უთუოდ ეკონომიური პირობებით ავხსნათ.

გავეცნოთ ავტორის მსჯელობის ზოგიერთ დამახასიათებელ მაგალითს:

„ღვთის მეტყველების წარმოდგენით კაცობრიობის ისტორიას წინდაწინ განსაზღვრული გეგმა ჰქონდა; იურისტები, რომელთაც შენიშნეს სხვადასხვა დაწესებულების ფორმების ცვლა, რთული სოციალური განწყობილების მიზეზათ გონებას რაცხდნენ. პოლიტიკო-

სები, რომელთა აზრით სახელმწიფოს მმართველთ შეუძლიათ დაისახონ მიზანი და კიდეც განახორციელონ, ფიქრობდნენ, რომ მთელი ისტორია მთავრობის სურვილების, პროექტების და გეგმების ნაყოფია. ჩვენი აზრით კი, ადამიანის მოქმედება წინათ განზრახული ნების და გეგმის ნაყოფი როდია; ისტორიას თუმცა ადამიანის მოქმედება ქმნის, მაგრამ იგი არ არის კრიტიკული აზრის ანუ ცნობიერი ნების ნაყოფი"[2].

შემდეგ: „ყოველი გენიოსი მხოლოდ მაშინ გენიოსობს, როცა სოციალური პირობები ეთანხმება მის მოქმედებას, მისწრაფებას, ხელს უწყობს მისი აზრის განხორციელებას. ეს კი მაშინ შეიძლება, თუ გენიოსის აზრი თვით ცხოვრების აზრია, ე. ი. თუ მისი იდეალი თანამედროვე ცხოვრების პირობების აუცილებელი შედეგია; დიად ნიჭს შეუძლია მხოლოდ ამცნოს საზოგადოებას მისი ნამდვილი გზა და კვალი, გამოურკვიოს იმ ელემენტების ვითარება, რომელიც აუცილებლად განსაზღვრულ მომავლისაკენ მიისწრაფვის, თვითონ სამეცნიერო ნავით გაჰყვეს ცხოვრების ძლიერ ტალღებს და ეს განსაზღვრული მიმართულება თვით საზოგადოებისათვის სასარგებლოთ გამოიყენოს...

ამნაირად, სოციალური პირობები შობს გენიოსებს, ჰქმნის მეცნიერებას და ზრდის ადამიანის გონებას[3]".

შემდეგ: „ყველგან და ყოველთვის ასე იყო. მეცნიერება ცხოვრებასთან ერთად იზრდებოდა. მეცნიერებას თვით ცხოვრება ჰქმნიდა და არა მეცნიერება ცხოვრებას. თავისი ხანგრძლივი განვითარების დროს გონებამ მრავალი მიმართულება და თეორიები შექმნა, რომელნიც ერთ ჯაჭვს შეადგენენ კაცობრიობის გონების განვითარებისას. მათ შორის განუწყვეტელი კავშირია ისე, როგორც თვით ისტორიულ ცხოვრების სხვადასხვა ეპოქები, რომელნიც სხვადასხვა თეორიების მშობელია, ერთმანეთზე გადაბმული არიან და ერთ მთელ გრძელ ისტორიას წარმოადგენენ.

წარსული აწმყოს მშობელი იყო, მხოლოდ აწმყოში უთუოდ მოსავალია ჩასახული, აი ამიტომ შეუძლია ადამიანს წარსულის და აწმყოს ცოდნა მომავლის მოსაგვარებლად გამოიყენოს და სწორეთ ამ გზით შექმნა ადამიანმა მეცნიერება"[4].

მაგრამ როგორ უნდა აღმოაჩინოს მეცნიერებამ ის კანონები, რომლის მეოხებითაც წარსული აწმყოს შობს, ხოლო აწმყო მომავალს? ამ კითხვაზე ავტორი ასეთ შესანიშნავ პასუხს გვაძლევს:

„ამისათვის საკმაო არ არის მარტო ისტორიული ფაქტების ცოდ-

---

2 ა. წ ე ლ უ კ ი ძ ე, ნაწყვეტები, 1967, გვ. 37.

3 იქვე, გვ. 52—53.

4 ა. წ ე ლ უ კ ი ძ ე, ნაწყვეტები, 1967, გვ. 32—33.

ნა, მათი მწყობრად და ლამაზად მბობა. საჭიროა მეცნიერული მეთოდი, რომელიც ამ ფაქტებს რაიმე გარკვეულ ხასიათს მისცემს, მოვლენათა კავშირს იპოვის... საჭიროა კვლევის მეთოდი, რომელმაც უნდა ჩამოასხას, ააგოს მრავალგვარი ისტორიული ფაქტები ერთ მძიებზე და საზოგადოებრივი განვითარების კანონი გვამცნოს. მრავალი შრომისა და ცდომის შემდეგ ეს საკითხი, ჩვენი აზრით, გადაწყვიტა პრინციპიალურად ისტორიის მატერიალისტურმა გაგებამ"[5].

შემდეგ: „ეკონომიურმა კანონებმა სამუდამოდ დაამარცხეს ყოველნაირი ილუზიები და სოციალურ მოვლენათა ხელმძღვანელნი გახდნენ. დიდმა სამრეწველო რევოლუციამ ყველასათვის ცხადპყო, რომ საზოგადოებრივი კლასები და მათი ურთიერთშორის დამოკიდებულება უბრალო შემთხვევის, ანუ ვისიმე სურვილის ნაყოფი როდია; ის ისტორიულათ და სოციალურათ წარმოების განსაზღვრული მატერიალისტური პირობების წარმოშობილია...

რა თქმა უნდა, მხოლოდ სრულიად უვიცს შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ინდივიდუალური ზნეობა თვითეული ადამიანისა შეეფერება მის ეკონომიურ მდგომარეობას; არავინ არ ცხოვრობს თავის კლასში კარჩაკეტილი, ყველა კლასებს გაევლება აქვთ ერთმანეთზე. წრისა და ტრადიციის გაელენა ისე მჭიდროთ არის ერთმანეთში ჩართული, რომ შეუძლებელია ყოველი ადამიანის განვითარება კლასის განყენებულსა და საზოგადო ცხოვრებას შეედრებოდეს"[6].

დასასრულ, მოვიტანთ კიდევ ერთ საინტერესო ამონაწერს, საიდანაც მშვენივრად ჩანს, რომ ალ. წულუკიძე თვით ისტორიის მატერიალისტური გაგების თეორიას განიხილავს როგორც გარკვეული ისტორიული ვითარების პროდუქტს, — როგორც პროლეტარიატის ეპოქის კანონზომიერ მოვლენას.

„აზრთა და შეხედულებათა შეცვლა ნელ-ნელა და თანდათანობით ხდებოდა. ცხადია, მარქსსა და ენგელსსაც ყავდათ ისტორიაში თავისი წინამორბედნი, თუმცა პირველათ ამ ორმა მეცნიერმა დაასაბუთა მონისტური თეორია... ახალი მოძღვრების ნამდვილი წინამორბედნი თანამედროვე ისტორიის ფაქტები იყო: ეს ფაქტები უფრო თვალსაჩინო შეიქმნა მას შემდეგ, რაც ინგლისმა განვლო მე-18 საუკუნის ბოლოს დიდი სამრეწველო რევოლუცია, მხოლოთ საფრანგეთში მოხდა დიადი სოციალური ცვლილება. ისტორიის მატერიალისტური გაგება განსაზღვრული ისტორიული პირობებიდან წარმოიშვა; ეს როდი იყო ორი მწერლის აზრთა შეჯახება, არამედ მთელი მეცნიერების გამარჯვება, რომელიც ახალმა

---

5 იქვე, გვ. 33—34.

6 ა. წულუკიძე, თხზულებანი, 1967, გვ. 38—39, 40.

ცხოვრებამ შეა. ეს ცხოვრება — პროლეტარიატის ცხოვრებაა ეს მოძღვრება ამ დროისა და ადგილის შექმნილია და შემცდარი ვიქნებით, თუ ვიფიქრეთ, თითქოს ყველგან და ყოველთვის შეიძლებოდა იგივე მომხდარიყო. მაშინ რატომ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ძველი საბერძნეთის ჭალაქი, სადაც მონობა სუფევდა, მასთან ერთად თანამედროვე ტექნიკას განავითარებდა? რატომ არ ვიფიქროთ, რომ არისტოტელს შეეძლო დაეწერა კომუნისტური პარტიის მანიფესტი, ან, რომ თანამედროვე გამოგონებანი შეიძლებოდა ყოველი დროისა და ადგილის კაცს მოსვლოდა თავში, რომ ამ გამოგონებათათვის არც განსაზღვრული პირობა იყო საჭირო, არც მოთხოვნილება და არც მრავალჯერ განმეორებული გამოცდილება"[7].

ასე შესანიშნავად მსჯელობდა ალ. წულუკიძე ისტორიის მატერიალისტური გაგების თვალსაზრისზე. შეგვეძლო მისი ნაშრომებიდან მოგვეტანა კიდევ ბევრი ამონაწერი, რომლებიც ცხადჰყოფდნენ, თუ რა ღრმად და ყოველმხრივ ჰქონდა მას შეთვისებული ისტორიულ მოვლენათა კვლევის ყველაზე მოწინავე თეორია, მაგრამ ეს ზედმეტად მიგვაჩნია; ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველი ავტორის კვლევის მეთოდზე ნამდვილი წარმოდგენა უნდა მოგვცეს არა მისმა მსჯელობამ ამ მეთოდის ირგვლივ, არამედ მისმა გამოკვლევებმა.

ალექსანდრე წულუკიძის ნაწერებიდან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მშვენივრად ჩანს, რომ მათი ავტორი არა მარტო სწორად მსჯელობდა ისტორიის მატერიალისტური გაგების მეთოდზე, არამედ ოსტატურადაც იყენებდა ამ მეთოდს საქართველოს ისტორიის ურთულეს მოვლენათა გასარკვევად.

3. საქართველოს ეკონომიური განვითარების ზოგიერთი საკითხი. ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლის პროცესი

ალექსანდრე წულუკიძეს, როგორც უკვე ითქვა, ისტორიულ თემაზე დაწერილი სპეციალური ნაშრომი არ დაუტოვებია, მაგრამ მის ისტორიული კონცეფცია და მისი შეხედულებები საქართველოს ისტორიის ეკონომიურ, სოციალურ და ეროვნულ პრობლემებზე სრულიად გარკვეით გამოსჭვივის თითქმის ყველა მისი ძირითადი ნაშრომიდან, რომლებიც არა მარტო მაღალი თეორიული დონით გამოირჩევიან, არამედ საქართველოს ისტორიის წაყვანი მოვლენების შესანიშნავ ცოდნასაც ამჟღავნებენ.

ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ალ. წულუკიძემ, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომებზე დაყრდნობით, პირველმა მო-

---

[7] ა. წულუკიძე, თხზულებანი, 1967, გვ. 38.

გვცა ქართული ფეოდალიზმის, როგორც წარმოების გარკვეული წესის, სწორი განსაზღვრა, დიდი სიზუსტით გადმოსცა ფეოდალური სოციალ-ეკონომიური წყობის რღვევისა და კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პროცესი და ჩამოაყალიბა მეცნიერული დებულებები ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლის დროსა და პირობებზე, ფეოდალური ქალაქების წარმოშობაზე, სავაჭრო კაპიტალის ისტორიულ როლზე და საქართველოს ეკონომიური განვითარების მრავალ სხვა საკითხზე.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმ დროს, როდესაც ალ. წულუკიძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა, ისტორიკოსებს არა თუ საქართველოში, არამედ რუსეთშიც კი არ ჰქონდათ სწორი წარმოდგენა არც წარმოების ფეოდალურ წესზე, არც ფეოდალური წყობის რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესზე და არც სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალის ისტორიულ როლზე. მართალია, ზოგადი მსჯელობა ფეოდალიზმზე, აგრეთვე ნატურალურ მეურნეობასა და ბატონყმობაზე, მანამდეც გვხვდება როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მოაზროვნეთა ნაწერებში, მაგრამ მათი ეს მსჯელობა ჯერ კიდევ შორს იყო ფეოდალიზმის, როგორც სოციალ-ეკონომიური ფორმაციის არსის მეცნიერული გაგებიდან და მხოლოდ ზოგიერთი ცალკე საკითხის გაშუქებისას ახერხებდნენ იმდროინდელი მოაზროვნენი მიახლოებოდნენ ისტორიის მატერიალისტურ გაგებას. ცნობილია, რომ იმ ურთულესმა სოციალ-ეკონომიურმა პრობლემებმა, რომლებიც ფეოდალიზმისა და მისგან აღმოცენებული კაპიტალიზმის ისტორიასთანაა დაკავშირებული, რუსეთში პირველად ვ. ი. ლენინის ნაშრომებში ჰპოვეს ნამდვილად მეცნიერული გადაწყვეტა. ალ. წულუკიძე თავისი გენიალური მასწავლებლის ვ. ი. ლენინის გზით მიდიოდა და თუმცა მას არ დასცალდა ბოლომდე მიეყვანა დაწყებული თეორიული მუშაობა, მაგრამ რის გაკეთებაც მოასწრო, ისიც ფასდაუდებელი განძია ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა.

თავის პირველსავე მეცნიერულ ნაშრომში „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“, რომელიც 1898 წელს გამოქვეყნდა, ალ. წულუკიძე ამჟღავნებს როგორც მარქსისტული თეორიის, ისე საქართველოს ეკონომიური ისტორიის შესანიშნავ ცოდნას. ამ ნაშრომში მოკლედ, მაგრამ ღრმად და მკვეთრადაა გადმოცემული, ერთი მხრივ, ქართული ფეოდალიზმის რღვევის, დაქვეითებისა და დაკნინების, ხოლო მეორე მხრივ, ახალი, კაპიტალისტური წყობის აღმოცენებისა და გაბატონების პროცესი. ავტორი დიდი დამაჯერებლობით, თანაც არაჩვეულებრივი მხატვრული ოსტატობით გვიხატავს თავადაზნაურთა კლასის „ძველი დიდების“ დაცემას და ცხოვრების მოედანზე კაპიტალის წარმომადგენელთა გაბატონებას.

გავეცნოთ ამ ნაშრომს უფრო ახლოს.

ეხება რა ფეოდალურ ხანას და ქართველი ხალხის ცხოვრებაში „დროთა ბრუნვის“ წყალობით მომხდარ ისტორიულ ცვლილებებს, ავტორი ამბობს:

„იყო დრო, როდესაც მკლავ-ღონიერობა, სიჩაუქე, ხმლის მომარჯვებული ხმარება იცავდა მტრისაგან ჩვენს პატარა ქვეყანას. ის დრო იყო მხედრობისა, როდესაც თავად-აზნაურობა სამშობლოს მცველობდა, მტერს იგერიებდა და შინ განცხრომითა და ზეიმით ატარებდა დროს: შრომა მისთვის სავალდებულო არ იყო, რადგან მშრომელი ელემენტი — გლეხობა მის საკუთრებას შეადგენდა და თავის მცირე, პატრიარქალურ მოთხოვნილებას ყმების ძალ-ღონით იკმაყოფილებდა. სამაგიეროდ იგი ყმებს პატრონობდა, ხმლით დარაჯობდა სამშობლოს კარებს და მთელი მისი წარსული სისხლით არის შეღებილი. „გამოიცვალა ქვეყანა, ჩარხი უკუღმა ტრიალებს“, თავად-აზნაურობას ფარხმალი დაჟანგული უკიდია კედელზე, მხოლოდ ხანდახან სავარჯიშოთ თუ ვინმე ისევ ძმაზე გაილაშქრებს, თორემ გარეშე მტრებთან ბრძოლა აღარ სჭირდება, იგი სხვის მფარველობის ქვეშ იმყოფება. ოთია მესხი რაშზედაც რომ შეაჯინოთ, ის აღარ იქნება, რაც ოდესმე ჯორზე მჯდომი იყო. რაღა თქმა უნდა, სამაგიერო სამადლობელი სამსახურიც დაეკარგათ. ყმები ჩამოეცალნენ და ყველა იძულებულია თავის თავს ეყმოს. ხშირად გუშინდელი ბატონი იმის ყმაა ეკონომიურად, რომელსაც გუშინ თვითონ ბატონობდა. თავადაზნაურობა, როგორც წოდება, დღევანდელი ცხოვრების ხორცმეტია“[8].

ამ საინტერესო და უდავოდ სწორ მსჯელობაში განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ავტორი თავადაზნაურობის როლის შეფასებას ისტორიზმის პრინციპის დაცვით უდგება. მან მშვენივრად იცის, რომ იყო დრო, როდესაც ჩვენი თავადაზნაურობა გარკვეულ საზოგადოებრივ ფუნქციას ასრულებდა და „სამშობლოს კარებს ხმლით დარაჯობდა“. მაგრამ ახალ დროში, კერძოდ კი რეფორმების შემდგომ ხანაში, თავადაზნაურობა, როგორც კლასი, საზოგადოების ხორცმეტი გახდა. სამაგიეროდ აღმოცენდა და გაძლიერდა ახალი კლასი, — ბურჟუაზია: ამ კლასის ბევრი წარმომადგენელი, ახალ დროში ფულით აღზევებული, ადრე შესაძლოა იმის ყმა იყო, ვისაც დღეს იგი ეკონომიურად გაუბატონდა.

ახასიათებს რა მწერალ ლალიონის მიერ დახატულ ტიპებს — აზნაურ ივანე დაღაძეს და მის ყოფილ გლეხს, ვაჭრობით გამდიდრებულ ნიკო კალაძეს, ალ. წულუკიძე სამართლიანად შენიშნავს: „ივანეს და ნიკოს მორიგება შეუძლებელია, რადგან თვით ცხოვრებას გადაუმტერებია ერთი მეორისათვის. ერთია ძველი, ფეოდალური

[8] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 15.

დროის წარმომადგენელი, მეორე — ახალი, ფულის მეურნეობის ხანის შეილი; ერთია რაინდი, მეორე — წვრილფეხა ბურჟუა, რომელიც გასხვილფეხებას, გადიდებას აპირებს. ამ ორ ტიპთა შორის მოურიგებელი ბრძოლაა გამართული"[9].

მაგრამ რა არის საზოგადოებაში მომხდარი ამგვარი ცვლილების ეკონომიური სარჩული, — ის ეკონომიური საფუძველი, რომელმაც კლასთა ასეთი დაყოფა და ურთიერთ დაპირისპირება წარმოშვა? ამ კითხვაზე ალ. წულუკიძე შემდეგ საგულისხმო პასუხს გვაძლევს:

„უწინდელი ნატურალური მეურნეობა ფულის მეურნეობამ შეცვალა: საჭირო საგნის შესაძენად, არსებითი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად „ფულია" საჭირო. წინეთ, როდესაც მოთხოვნილება, კარჩაკეტილი ცხოვრების გამო, მეტად მცირე, განსაზღვრული იყო, ყველა ოჯახშივე ნაწარმოებით იკმაყოფილებდა თავის საჭიროებას. არაფრისათვის გადასვლა გადაღმა არ სჭირდებოდა. დღეს რაკი ძველი, პატრიარქალური წეს-წყობილება გართულდა, ყველაფერს თვითონ ვეღარ იმზადებენ, გადაღმა გადასვლა აუცილებელია, ბაზარი საყოველთაო მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი გახდა. ამ ხანაში ფული საჭირო ხდება, როგორც საყოველთაო საზომი საქონელი... ფული აუცილებელი ხდება იმ მეურნეობაში, სადაც საქონლის წარმოება დაიწყეს. იგი ყველასათვის კერპია, ყველა მისკენ მიისწრაფის, ყველა მის მოპოვებას ცდილობს... ამ სურვილს საზღვარი არა აქვს"[10].

სწორედ ამ „ფულის" წარმომადგენელია ვაჭარი ნიკო, მაგრამ იგი ძველი ყაიდის ვაჭარი კი არ არის, არამედ ახალი ტიპის ვაჭარია, — ვაჭარმრეწველია, სოფლის კაპიტალისტია, რომელიც მარტო ვაჭრობით კი არ კმაყოფილდება, არამედ მოქმედება წარმოების სფეროშიც გადააქვს და დაქირავებული მუშების ხარჯზეც მდიდრდება.

მეცნიერული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ალ. წულუკიძის ის მჯელობა, რომელიც ხსენებული ნიკოს, როგორც ახალი ტიპის ვაჭრისა ან მრეწველის დახასიათებას ეძღვნება. ნიკო მდიდრდება არა მარტო ვაჭრობით, არამედ მევახშეობასა და მიწათმოქმედებაში დაბანდებული კაპიტალითაც. „მისი დევიზია: რაც შეიძლება იაფად იყიდოს და მეტ ფასად გაასაღოს", ამ გზით იგი „ფულით ფულს იძენს, თავის კაპიტალს სარგებელს გამოაღებინებს", მაგრამ ეს კიდევ ცოტაა:

„თუ ბანაკში ვისიმე გაღატაკებული თავადის მამული იყიდება, ნიკო იქითკენ მიეშურება და დაუყოვნებლივ ახალ ქონებას იძენს. აგერ ერთ აზნაურს თამასუქის ვადა გაუვიდა, რომელსაც ნიკომ საჭიროე-

---

[9] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 17.
[10] იქვე, გვ. 19.

ბის დროს სარგებლით ფული ასესხა; ნიკოს საჩივარი შეაქვს, აღმასრულებელი ფურცელი გამოაქვს და ას თუმანში ათასი თუშნის მამულს ინარჩუნებს; გაჭირვებული გლეხი, რომელსაც მრავალი გადასახადი კარზე მოდგომია, ხოლო გადასახდელი კი არა აბადია-რა. ნიკოსაკენ გარბის, ორიოდე ქცევა ადგილი აქვს, იმასაც იმას უგირავებს და ვალს ისტუმრებს. რამდენსამე წლის განმავლობაში ნიკო ადგილის მოსავლით სარგებლობს და შემდეგ კი მთლად ისაკუთრებს. ნიკო მამულის პატრონიც გახდა; ერთ თავადს არ აქვს ახლა იმოდენი მიწა-წყალი; სამაგიეროდ მოვლაც შეუძლია; ხეხილები გააშენა, ვენახი მშვენიერად მოაწყო, ერთი სიტყვით, კულტურული მეურნეობა დაიწყო, ყველაფრისათვის საშუალება აქვს. მუშა მის განკარგულებაშია, ყველა სოფლის ბობოლები მას ფეხქვეშ ეგებიან. უკანონო საქციელს დაუკანონებენ"[11].

ასე კარგად ხედავდა 22 წლის საშა წულუკიძე იმ ეპოქალურ ცვლილებებს, რომლებიც გასულ საუკუნეში საქართველოს სოფლის ცხოვრებაში ხდებოდა. შემდეგში მან კიდევ უფრო გააღრმავა თავისი ცოდნა, გულმოდგინეთ შეისწავლა მარქსის, ენგელსისა და ლენინის ნაწერები, შეისწავლა აგრეთვე ყველაფერი, რაც მისი ქვეყნის ისტორიას შეეხებოდა და ქართული მარქსისტული აზროვნება ახალი, ბრწყინვალე დებულებებით გაამდიდრა.

ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლია (და არც საჭიროა), რომ დეტალურად განვიხილოთ ალ. წულუკიძის ნაშრომებში წარმოდგენილი ყველა დებულება, რომლებიც საქართველოს ეკონომიური ცხოვრების სხვადასხვა მხარეს გვისურათებენ; თავს ნებას მივცემთ მოვიტანოთ მხოლოდ რამდენიმე ზოგადი ხასიათის ამონაწერი, რის შემდეგ შედარებით დაწვრილებით განვიხილავთ ალ. წულუკიძის შეხედულებებს საჟარო და საბაზრო კაპიტალის ისტორიულ როლზე, რომლებსაც თავიანთი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავთ.

სტატიაში „ჩვენი უთანხმოება", სადაც ავტორი ვ. წ-ს (ვასილ წერეთელს) ეკამათება, მოკლედ და შეკუმშულადაა გადმოცემული ფეოდალური და კაპიტალისტური წყობილების ეკონომიური შინაარსი, ზუსტადაა განსაზღვრული, ერთი მხრივ, მიწის (მამულის), როგორც ფეოდალური წყობილების საფუძვლის, ხოლო მეორე მხრივ, კაპიტალის, როგორც ბურჟუაზიული წყობილების საფუძვლის როლი, და მნიშვნელობა. აგრეთვე მათი ურთიერთდაპირისპირებულობა.

„ფეოდალურ ხანაში, — ამბობს ალ. წულუკიძე, — სოციალურ ურთიერთობას საფუძვლად მიწის საკუთრება ედვა. მიწა და მასზე დამკვიდრებული ბატონ-ყმობა იყო მაშინდელი ცხოვრების შინაარსი,

---

11 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 20—21.

მთელი პოლიტიკური და იურიდიული წყობილება მით განისაზღვრებოდა და სულდგმულობდა. მოკლედ რომ ვთქვათ, იმ ხანაში მამული იყო უმთავრესი ცხოვრების ძარღვი, მისი მეტ-ნაკლებობით მისი პატრონის უფლება-უპირატესობაც განისაზღვრებოდა. კაპიტალისტური წყობილების დროს „მამული“ ჰკარგავს თავის „პირვანდელ“ ძალას, სიმდიდრე საქონლის რაოდენობით განისაზღვრება, ყველაფერი ფულით იზომება, თითონ მამულიც საქონლად იქცევა; თვითმოზარდი ღირებულება (самовозрастающая стоимость) არის ნიშნობლივი თვისება ახალი ხანის, კაპიტალი ხდება ცხოვრების მამოძრაველებელი და სხვა დროის წარმომადგენელი. აი, რა აზრით შეიძლება „მამულისა“ და „კაპიტალის“ დაპირისპირება. „მამული ყოფილა ყოველ ისტორიულ ხანაში, კაპიტალი კი არაო“, გვეუბნება ბ. ე. წ., მაგრამ დღევანდელი „მამული“ სხვა სახისაა, იგი თვით კაპიტალის ნაწილი ხდება და, როგორც ამგვარი, ფეოდალური ხანის მამულს უპირისპირდება. მას დღეს საცვლელი ღირებულება აქვს, გუშინ კი მხოლოდ სახმარი ღირებულება ჰქონდა“[12].

ასეთი შესანიშნავი, ღრმად მეცნიერული მსჯელობა გვხვდება ალექსანდრე წულუკიძის თითქმის ყველა ნაშრომში. სულ პატარა სტატიებშიც კი, რომლებიც რევოლუციური პროკლამაციების როლს ასრულებენ, ავტორი ძალიან ხშირად, სტრიქონებს შორის ურთავს ისტორიიდან ან თანამედროვე ცხოვრებიდან აღებული ურთულესი მოვლენების საოცრად გამჭვირვალე ანალიზს. ამ მხრივ დამახასიათებელია სტატია „მოლოდინში“, რომელშიც ავტორი მუშებსა და გლეხებს თვითმპყრობელობის დამხობისაკენ მოუწოდებს და იქვე მეცნიერულად ასაბუთებს იმ აზრს, რომ ექსპლოატატორთა ბატონობის მოსპობა ისტორიული აუცილებლობითაა ვამოწვეული. „ვინ უნდა დაამხოს ეს უსამართლო წყობილება, თუ არა ამ უსამართლობით გაწვალებულმა და გაღატაკებულმა კლასმა?“ — კითხულობს ავტორი და ამ კითხვაზე საკმაებით სწორ, მეცნიერულ პასუხს აძლევს:

„ასეთი შედეგი უბრალო სურვილი როდია, აღელვებული ოცნების ნაყოფს კი არ წარმოადგენს, არა! ეს აუცილებელი შედეგია; ამის თავდები თვით ისტორიაა, ამას უზრუნველყოფს დღევანდელი ცხოვრების ვითარება!

აბა ჩავხედოთ ცხოვრებას.

კაპიტალისტურმა წარმოებამ, ბურჟუაზიის პირით, „თავისუფლებისა, ძმობისა და ერთობის სახელით“, მწარმოებელი განათავისუფლა ბატონის ყმობისაგან, მხოლოდ იმიტომ, რომ კიდევ უფრო მძიმე ბორკილები ჩაება მისთვის და იურიდიულად განთავისუფლებული ეკონო-

---

[12] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 73.

მიურად კაპიტალის მონათ გაეხადა. მხოლოდ ამისათვის საჭირო იყო კიდევ მეორენაირი თავისუფლება, საჭირო იყო მწარმოებელი თავისუფალი ყოფილიყო აგრეთვე ყოველნაირ საწარმოო საშუალებისაგან, ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, ქონებისაგან, საკუთრებისაგან. ამ პირობებში მწარმოებელი იძულებული იქნებოდა თავისი სამუშაო ძალა გაეყიდა, სხვისთვის ეშრომნა. ასეთი თავისუფლება მიანიჭა კაპიტალმა მწარმოებელს. მწარმოებელს ჩამოერთვა ის საკუთრება, რომელიც საკუთარი შრომით შეიძინა და იძულებული გახდა გაეყიდა ეს შრომა, რათა ამით სხვისი საკუთრება შეექმნა და გაეზარდა...

ამნაირათ კაპიტალი დღითი-დღე იზრდება სხვისი შრომით, ქმნის აუარებელ სიმდიდრეს უმცირესობისათვის და მასთან ერთად ზრდის და აძლიერებს უმრავლესობის სიღარიბეს, გაჭირვებას, ტანჯვას წვალებას"[13].

უაღრესად საინტერესო მასალას, ალ. წულუკიძის ეკონომიურ შეხედულებათა გასაგებად, შეიცავს მისი ნაშრომი „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან", რომელშიც არა მარტო კ. მარქსის „კაპიტალის" ძირითადი დებულებებია იშვიათი სიზუსტით და ყველასათვის ადვილად გასაგებად გადმოცემული, არამედ საქართველოს ეკონომიური ისტორიის საკვანძო საკითხებიცაა განხილული და გადაწყვეტილი კ. მარქსის დებულებათა შუქზე. ავტორი ცდილობს დაეხმაროს ქართველ მკითხველს „რთული ეკონომიური ურთიერთობის გარკვევაში", რის გამო უბრალოდ კი არ გადმოგვცემს „კაპიტალის" შინაარსს, არამედ მკითხველისათვის ნაცნობ ქართულ მასალას მიმართავს და ოსტატურად იყენებს მას, ერთი მხრივ, კ. მარქსის დებულებების საილუსტრაციოდ, ხოლო მეორე მხრივ, იმავე დებულებების საშუალებით საქართველოს ეკონომიური ისტორიის ფაქტებისა და მოვლენების გასაანალიზებლად.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი.

ნაშრომის პირველსავე თავში, რომლის სათაურია „საქონელი", ავტორი „კაპიტალის" პირველი თავის დებულებათა საილუსტრაციოდ ფართოდ იყენებს ქართულ მასალას და მასზე დაყრდნობით იშვიათი ოსტატობით განმარტავს, რა არის საქონელი და როგორია მისი სახმარი ღირებულება. იმისათვის, რომ მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს, რა მარჯვედ და ეფექტურად იყენებს ალ. წულუკიძე საქართველოს ისტორიის ცოდნას, რათა „კაპიტალის" შინაარსი მკითხველთა ფართო მასისათვის გასაგები გახადოს, მოვიტანთ სათანადო ამონაწერს (გრძელი ციტატისათვის მკითხველის წინაშე ბოდიშს ვიხდით!):

„ძველად საქართველოში, როცა ბატონყმობა იყო, საჭირო ნივ-

---

[13] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, ნარკვევები, 1967, გვ. 288.

თების შესაძენად ჩვენს ბატონს ფული არ სჭიროდა: ჰადი, პერი, ღვინო, შალი, დარაია, წუღა-მესტი, ფაფანაკი და სხვა ოჯახის საჭიროებანი თვით ოჯახშივე კეთდებოდა ყმების შემწეობით; ყმები ბატონის საკუთრება იყო და შრომის ფასად ყმისათვის ისიც დიდ ჯილდოდ ჩაითვლებოდა, თუ ბატონი ყმას მოწყალე თვალით შეხედავდა. ნაშრომს არ დაუწუნებდა და „ბატონის მათრახს" რამდენიმე ხნით მაინც გადაურჩებოდა. ასე იყო ძველად, „დალოცვილ დროში". მაგრამ დროთა ბრუნვამ ბატონებიც შეაბრუნა, ყმები ჩამოაცალა, საჭიროება გაუორკეცა; თავის მამულ-დედულით და „ბიჭებით" გადიდებულ ახალ მოთხოვნილებას ვეღარ იკმაყოფილებდა და საჭირო შეიქმნა მისი ოჯახიდან გადალმა გადაბრძანება. ქალაქებში რაღაც დიდი ზრიალ-ტრიალი გაჩენილიყო, „ახალ-მოდის" ფარჩეულობა მაღაზიების ფანჯრებიდან თვალებს უბრჭყვიალებდა რეტდასხმულ ვაჟბატონს; მან გაისვა ჯიბეზე ხელი, აქაო და ამ ვიღაც მოთრეულ ტიკიტომრებს არ ჩამოუვარდეო, გაყიდული მამულიდან აღებული ბრჭყვიალა ოქრო მედიდურად გადუგდო „მედუქნეს" და საჩოხე შალი წამოიღო. „დახე ამ ჩვენს ქვეყანას, როგორად გამოცვლილა!" წინეთ სახლში მუქთად უმზადებდნენ. დღეს კი გარეთ ფულს ახდევინებენ. მერე იცით ვინ არის ის მედუქნე? ეს ის ივანიკაა, რომლის დედა ბატონს კაი-კაი საჩოხე შალებს უკეთებდა; დღეს კი ეს ივანიკა ამნაირ შალში იმავე ბატონის შვილს ფულს ახდევინებს. წინათ თუ ივანიკას ოჯახში შალს აკეთებდნენ იმიტომ, რომ ბატონისათვის „სასახლეში" საჩოხეთ მიერთმიათ, დღეს აკეთებენ ბაზარში გასატანად, გასაყიდად. ამ შალს წინათაც და ახლაც მოსახმარი ღირებულება ჰქონდა და აქვს, ე. ი. იგი ადამიანისათვის გამოსადეგი იყო და არის, მხოლოდ ახლა კიდევ რაღაც ახალი თვისება შეუძენია.

რა თვისებაა ეს თვისება, ან როგორ შეიძინა იგი? რისთვის ჩამოუტანიათ ქალაქში შალი? სხვა რამეზე გასაცვლელად. მაშასადამე, დღემდე... პატრონისათვის საინტერესო იყო შალის მხოლოდ მოსახმარი ღირებულება, ე. ი. რამდენად კარგად, გამოსადეგად იყო ის გაკეთებული, დღეს კი მას იგი იმდენად ეპიტნავება. რამდენადაც ეს სხვისათვის საჭიროა, გასაცვლელად აუცილებელია. დღეიდან მისი შალი ისეთ ნივთად გადაიქცა, რომელიც გასაცვლელად არის დამზადებული, ასეთ ნივთს ქვია საქონელი სანამ პატრონი თავის პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამზადებდა შალს და თვითვე გაიხმარდა, ეს შალი საქონელი არ იყო, მხოლოდ როცა დანიშნულება შეუცვალა და ბაზრისაკენ აქნევინა თავი გასაცვლელად. შალი საქონლად გადაიქცა. ამნაირად, საქონელი ისეთი ნივთია, რომელიც გასაცვლელად არის დამზადებული...

რა რომ მოსახმარი ღირებულება გასაცვლელად დამზადდება, ნივთს საცვლელი ღირებულება შეეძინება; ამიტომ ყოველ საქონელს საცვლელი ღირებულება აქვს"[14].

ასე მოხდენილად და ეფექტურადაა გამოყენებული ქართული მასალა ხსენებული ნაშრომის თითქმის ყველა თავში. ავტორი არ უშვებს მკითხველისათვის ნაცნობი ადგილობრივი მასალის გამოყენების თითქმის არც ერთ შემთხვევას. მაგალითად, ნაშრომის მეორე თავში, სადაც საქონლის გაცვლა-გამოცვლისა და „ფულის" პრობლემებია განხილული, ალ. წულუკიძე მკითხველს მიმართავს: „გაიხსენეთ გიორგი ერისთავის „ძუნწი", როგორის სიყვარულით, ალერსით ელამუნება ეს გმირი ლითონს, როგორის აღტაცებით ისმენს მის ხმაურობას. რანაირი გულისფანცქალით დასჩერებია თავის სკივრში ჩამარხულ განძს, რომელიც მისთვისაც და სხვისთვისაც გამოუსადეგარია, სრულიად უმნიშვნელოა ცხოვრებაში"[15].

ასე აცოცხლებს ალ. წულუკიძე მშრალ თეორიულ ფორმულებს, უდგამს მათ სულს და ანათლებს ქართველ მკითხველს.

ნაშრომის მომდევნო (მესამე) თავში, სადაც განხილულია ზედმეტი ღირებულების წყაროს საკითხი, ავტორი კვლავ ეფექტიანად იყენებს ქართველი მუშების ცხოვრებიდან აღებულ მასალას. ის ამბობს: „სამუშაო ძალის ღირებულებაზე მეტად დიდი გავლენა აქვს თვითონ მუშის გონებრივ და ზნეობრივ მხარეებს: მის ზნე-ჩვეულებას, კულტურულ მოთხოვნილებას; მაგალითად, ინგლისის მუშა არასოდეს არ დაკმაყოფილდება იმ ფასით, რა ფასსაც ჩვენში ჯერდებიან. იქ მეტი მოთხოვნილება აქვს მუშას: ინგლისის მუშა ხშირად ხორცითა და რძით იკვებება. ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს ბლომათ კითხულობს, თეატრში და მრავალ სხვა გასართობში დაიარება, მაშინ როდესაც ჩვენს მუშას ხორცი სანატრელად აქვს, რძეს ხომ ვერც კი ნახულობს, ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნებისათვის მას ვინ რას მისცემს, თეატრის კარებს მხოლოდ შორიდან შესცქერის და სამუშაოდან დაბრუნებული ნოტიო. ბინძურ სარდაფში რიგიანად გამოძინებასაც კი ვერ ასწრებს. ამიტომ ინგლისელი მუშის ქირა ჩვენებს სანატრელად გახდომია; მხოლოდ იქაც და აქაც ამ საქონლის ღირებულების საზომი მაინც ერთია"[16].

მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს.

ნაშრომის მერვე თავში, სადაც სამუშაო ქირის საკითხია განხილული, ავტორი ადგილობრივი მონაცემებით ახასიათებს მუშის სა-

---

[14] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 186—187.

[15] იქვე, გვ. 198.

[16] ი ქ ვ ე, გვ. 202.

მუშაო ქირის რაობას და თეალნათლივ გვიჩვენებს იმ განსხვავებას, რომელიც ნომინალურ სამუშაო ქირასა და რეალურ სამუშაო ქირას შორის არსებობს. ის ამბობს:

„კაპიტალისტური წარმოების დროს სამუშაო ქირა მუშას უმეტეს ნაწილად ფულად ეძლევა. ამ ფულით ის იკმაყოფილებს თავის უმთავრეს მოთხოვნილებას: იძენს საჭმელ-სასმელს, იცვამს, იბურავს, ქირაობს ოთახს, ათბობს, ანათებს მას და სხვა. ამიტომ სამუშაო ქირის რაოდენობა იმით უნდა გავზომოთ, თუ რამდენის შეძენა შეუძლია მუშას ამ ქირით. ქუთაისში ოთახი, სასმელ-საჭმელი ბევრად უფრო იაფია, ვიდრე ბაქოში, ბათუმში, თბილისში, მაშასადამე, 25 მანეთით თვეში ქუთაისში უფრო მეტ მოთხოვნილებას დაიკმაყოფილებ. ვიდრე სხვა დიდ ქალაქებში: ხშირად, ერთ ადგილს რომ 25 მანეთით შეიძენ, მეორე ადგილას იმდენივე ფულით მის ნახევარ მოთხოვნილებას ვერ დაიკმაყოფილებ; ამიტომ სამუშაო ქირის რაოდენობა თავის-თავად ჯერ კიდევ არაფერს გვეუბნება: ჩვენ ამით ვერ ვტყობილობთ, თუ რამდენად უზრუნველყოფილია მუშა ამ ფულით; ამისათვის საჭიროა შევიტყოთ იმ საქონლის ფასები, რომელიც მუშამ უნდა შეიძინოს. შეიძლება სახელად ბევრი იქნეს ფული, სახრავად კი ძალიან ცოტა. სწორედ ამ მოსაზრებით მეცნიერებაშიაც მიღებულია ორი სახელწოდება სამუშაო ქირის: 1) ნ ო მ ი ნ ა ლ უ რ ი ს ა მ უ შ ა ო ქ ი რ ა, ე. ი. სამუშაო ქირის რაოდენობა, მიუხედავად იმისა, თუ რა და რა მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს იგი და 2) რ ე ა ლ უ რ ი ს ა მ უ შ ა ო ქ ი რ ა, ე. ი. ნამდვილად რამდენი საქონლის შეძენა შეიძლება მით, რამდენად უზრუნველჰყოფს მუშას ის. ანუ, სხვაფერ რომ ვთქვათ: არა ფულის რაოდენობა, არამედ იმ საგნების რაოდენობა, რომელიც მუშას შეუძლია შეიძინოს ამ ფულით“[17].

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ასეთი პასაჟების მნიშვნელობა არ ამოიწურება მარტო კ. მარქსის „კაპიტალის“ დებულებათა ილუსტრაციით; ესაუბრება რა ქართველ მუშებს პოლიტიკური ეკონომიის ურთულეს კატეგორიებზე. ავტორი ამავე დროს გვაწვდის საქართველოს რეალური ცხოვრებიდან აღებულ ძვირფას ცნობებს აქტუალურ ეკონომიურ პრობლემებზე, აკვირდება, ანალიზს უკეთებს ამ ცნობებს და აკეთებს ფრიად საყურადღებო დასკვნებს, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ქართული მარქსისტული აზრის შემდგომი განვითარებისათვის.

ნაშრომში „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“, ისევე როგორც სხვა ნაშრომებში, ალ. წულუკიძე საქართველოს ისტორიას მჭიდროდ უკავშირებს ევროპის სახელმწიფოთა ისტორიას; მან იცის,

---

[17] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, ხიხულებანი, 1967, გვ. 252—253.

რომ ქართული ფეოდალიზმი ევროპული ფეოდალიზმის მსგავსია; მან იცის, აგრეთვე, რომ ფეოდალიზმის წიაღში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების პროცესი საქართველოში დაახლოებით იმგვარადვე მიმდინარეობდა, როგორც ევროპის სახელმწიფოებში. ამიტომ, იგი სავსებით სამართლიანად ფიქრობს, რომ „კაპიტალიდან" გამომდინარე დასკვნები, რომლებიც ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიური განვითარების ანალიზის შედეგადაა მიღებული, შეიძლება საქართველოს ცხოვრებაზეც გავავრცელოთ და მათი საშუალებით წარმატებით გადაწყვიტოთ საქართველოს ეკონომიური ცხოვრების საჭირბოროტო პრობლემები. ეს იყო შესანიშნავი აზრი, რომელმაც პირველად ალ. წულუკიძის ნაშრომებში ჰპოვა დასაბუთება და რომლის სისწორე სავსებით დაადასტურა ქართული ისტორიული მეცნიერების შემდგომმა განვითარებამ.

მკითხველისათვის რომ ბოლომდე ნათელი გახდეს, რა დიდი მოაზროვნე იყო ალ. წულუკიძე და რა შესანიშნავად იყენებდა იგი მარქსის მოძღვრებას საქართველოს ეკონომიური განვითარების პრობლემათა კვლევისას, ზედმეტი არ იქნება ცოტად თუ ბევრად დაწვრილებით განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ესმოდა მას სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალის როლი საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში.

4. სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალის ისტორიული როლის განსაზღვრა

როგორც ცნობილია, სავაჭრო კაპიტალის როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი ურთულესი საკითხთაგანია, რომელიც არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც დიდი ხნის განმავლობაში მწვავე კამათისა და დავის საგნად იყო ქცეული. რევოლუციამდელ ხანაში, როცა ისტორიულ მეცნიერებაში გაბატონებული მდგომარეობა ჯერ კიდევ ბურჟუაზიულ შეხედულებებს ეჭირა, ამ საკითხის გადაწყვეტა უდიდეს თეორიულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამ სიძნელეებზე რომ გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ, თავს ნებას მივცემთ მკითხველს გავახსენოთ გამოჩენილი რუსი მარქსისტი ისტორიკოსის მ. ნ. პოკროვსკის ე. წ. „სავაჭრო კაპიტალიზმის" კონცეფცია, რომელსაც მარქსისტულობის პრეტენზია გააჩნდა, თუმცა სინამდვილეში მარქსის მოძღვრებასთან საერთო არაფერი ჰქონია.

მ. ნ. პოკროვსკი ჯერ კიდევ 1905 წლის პერიოდში გაემიჯნა თავის ადრინდელ, ლიბერალურ-ბურჟუაზიულ შეხედულებებს, შეუერთდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში და სცადა რუსეთის ისტორიის ძირითადი მოვლენები მარქსისტული მეთოდოლოგიის თვალ-

საზრისით განეხილა, მაგრამ მან ვერ შეძლო სხვადასხვა მცდარი თეორიების, კერძოდ კი ე. წ. „ეკონომიური მატერიალიზმის" ძლიერი გავლენის დაძლევა და რუსეთის ისტორიაზე მარქსისტული თვალსაზრისის შემუშავება. მ. პოკროვსკიმ ჯეროვნად ვერ შეაფასა წარმოების წესის ნამდვილი ისტორიული მნიშვნელობა და რუსეთის საზოგადოებრივი წინსვლის მამოძრავებელ ძალად სავაჭრო კაპიტალი გამოაცხადა. მ. პოკროვსკი ვერ ხედავდა იმ ღრმა და პრინციპული ხასიათის განსხვავებას, რომელიც ისტორიის მატერიალისტურ გაგებას „ეკონომიური მატერიალიზმისაგან" განასხვავებდა, ამიტომ მან ვერ შესძლო გაეგო საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებზე მარქსისტული მოძღვრების ნამდვილი არსი. რუსეთში მომხდარ დიდ ისტორიულ ცვლილებებს მ. პოკროვსკი მხოლოდ და მხოლოდ სავაჭრო კაპიტალის განვითარებით ხსნიდა. როგორც ეს სამართლიანად არის აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლების დამხმარე სახელმძღვანელოში, სავაჭრო კაპიტალი, მ. პოკროვსკის აზრით:

„Являлся основой и движущей силой русского исторического процесса. Отсюда у него выросла теория господства „торгового капитализма" в XVI—XVIII вв.—целой эпохи, лежащей между феодализмом и промышленным капитализмом. Принцип развития торгового капитализма стал основой его исторической концепции и нашел отражение в работах, написанных Покровским уже после Октябрьской революции"[18].

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებშიც კი, თვით 30-იანი წლების დამდეგამდე მ. პოკროვსკიმ და მისმა მიმდევრებმა ვერც რუსეთში და ვერც საქართველოში ვერ შესძლეს ისტორიული პროცესის ლენინური კონცეფციის შეთვისება და სავაჭრო კაპიტალის ისტორიული როლის სწორი, მარქსისტულ-ლენინური განსაზღვრა.

ასეთ პირობებში ჭეშმარიტად გაოცებას იწვევს ის არაჩვეულებრივი გამჭრიახობა და აზროვნების სიღრმე, რომელიც აღ. წულუკიძეს ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წინა ხანებში გამოიჩინა და რომელმაც ამ სრულიად ახალგაზრდა კაცს საშუალება მისცა არა მარტო სწორად გაეგო კ. მარქსის თვალსაზრისი, არამედ წარმატებითაც გამოეყენებინა იგი საქართველოს ეკონომიური ისტორიის, კერძოდ კი სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალის ნამდვილი როლისა და მნიშვნელობის გასაგებად.

აღ. წულუკიძის პირველსავე დიდ ნაშრომში „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში", რომელზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, მოცემუ-

[18] Историография истории СССР, М. 1961, с. 475.

ლია სავაჭრო კაპიტალის როლის განსაზღვრის ფრიად საინტერესო ცდა. ნაშრომიდან აშკარად ჩანს, რომ მისი ავტორი ეკონომიური ფაქტორის (ამ შემთხვევაში — სავაჭრო კაპიტალის) ისტორიულ როლს განიხილავს არა მექანიკურად (როგორც ამას „ეკონომიური მატერიალიზმის“ მიმდევრები აკეთებდნენ), არამედ დიალექტიკურად. ამით აიხსნება, რომ იგი, გადმოსცემს რა კ. მარქსის აზრს ვაჭრობაზე, როგორც სასაქონლო მეურნეობის განვითარების ხელის შემწყობ ფაქტორზე, იქვე საჭიროდ მიიჩნევს განმარტოს, ერთი მხრივ, ის ისტორიული პირობები, როცა ვაჭრობა კაპიტალიზმის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად გამოდის, ხოლო მეორე მხრივ, ის უკუგავლენა, რომელსაც წარმოების განვითარება ვაჭრობის განვითარებაზე ახდენს. დავაკვირდეთ მის მსჯელობას:

„სავაჭრო კაპიტალი აუცილებლად ჩნდება იქ, სადაც საქონლის წარმოება ახალი დაწყებულია. „რაც უფრო ნაკლებად არის განვითარებული წარმოება, — ამბობს კარლ მარქსი, — „მით უფრო მეტი ფული გროვდება ვაჭრის ხელშიო“. მაშასადამე, წარმოების განვითარება, მისი ზრდა ვაჭარს ასპარეზს უპატარავებს, რადგან მის ადგილს მსხვილი კაპიტალისტი იჭერს; მხოლოდ პირველი წინაპირობებია მეორისა, ის გზას უკაფავს მეორეს დაახლოებას, რასაკვირველია, დღევანდელ ცხოვრებაში, როდესაც ყველა ქვეყნებმა, ერთმანეთში რკინის გზებით გადაბმულებმა, მსოფლიო ბაზრის საბმულში შეყვეს თავი და გაევროპელების გზას დაადგნენ. აი რას ამბობს იგივე ავტორი ამის შესახებ: „მისი (ვაჭრული კაპიტალის) არსებობა და განვითარება დანიშნულ დრომდე, ისტორიული პირობაა კაპიტალური წესწყობილების განსავითარებლად, 1) როგორც ერთ ადგილას მეტი ფულის შეგროვების დასაწყისი ხანა და 2) რადგან კაპიტალისტური წესწყობილების დროს წარმოება სავაჭროთ ხდება, საქონელი ერთბაშად ბევრი უნდა გასაღდეს და არა თითო-თითო, მაშასადამე, ვაჭარიც საჭიროა; ის თავის საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად როდი ყიდულობს, არამედ ის ერთად იმიტომ ყიდულობს, რომ შემდეგ სხვა ბევრს მიჰყიდოს. მეორე მხრივ, ვაჭრული კაპიტალის განვითარება ხელს უწყობს იმ გარემოებას, რომ წარმოება თანდათან მხოლოდ საცვლელ საქონელს აკეთებს, მისი მეოხებით უფრო და უფრო მეტი ნაწარმოები საქონლად ხდება“. რასაკვირველია, მარქსის აზრით, ყველაფერს ამას ხელს უნდა უწყობდეს სხვა პირობები. მხოლოდ ჩვენში რომ სხვა პირობები ძალიან უწყობენ ხელს, ეს ცხადია, თუ გავიხსენებთ, რა მშიდროდ ვართ დაკავშირებულნი დასავლეთ ევროპის წარმოებასთან, რამდენს მადნეულობას და სხვა ბუნების სიმდიდრეს აწარმოებენ დღესაც საქართველოში, როგორ დაქსელილია და, უეჭველია,

კიდევ უფრო დაიქსელება მომავალში მთელი ამიერ-იმიერ კავკასია რკინის გზებით, რომელიც საქონლის გადატან-გადმოტანას და ხალხის მიმოსვლას აადვილებს და მით წარმოებასაც ბაზარს უფართოებს"[19].

ამ ამონაწერიდან ცხადია, უპირველეს ყოვლისა, რომ ალ. წულუკიძეს სავაჭრო კაპიტალი მიაჩნდა კაპიტალისტური წარმოების წინამორბედად და მისთვის „გზის გამკაფავად" არა ყველა და ყოველგვარ დროსა და ვითარებაში, არამედ მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ პირობებში, როცა კაპიტალიზმის განვითარებისათვის აუცილებელი სხვა ფაქტორებიც სახეზეა.

ამ ამონაწერებიდან ცხადია, აგრეთვე, რომ ალ. წულუკიძე განვითარების მთავარ ფაქტორად მიიჩნევდა არა ვაჭრობას (გაცვლის სფეროს), — როგორც ამას მ. ნ. პოკროვსკი შერებოდა, — არამედ წარმოებას; მან მშვენივრად იცოდა, რომ კაპიტალისტური წარმოება მაშინვე ავიწროებს და იქვემდებარებს სავაჭრო კაპიტალს, როგორც კი იგი განვითარების გარკვეულ საფეხურს მიაღწევს.

ამ ამონაწერიდან ცხადია, დაბოლოს, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, როცა ჩვენი ქვეყანა ბუნებრივი სიმდიდრეების სამრეწველო დამუშავებამ ევროპულ წარმოებას, ხოლო რკინიგზების ფართო ქსელმა მსოფლიო ბაზარს დაუკავშირა, ყველა პირობა არსებობდა იმისათვის, რომ სავაჭრო კაპიტალს შეესრულებინა თავისი ისტორიული მისია — ხელი შეეწყო და გზა გაეკაფა კაპიტალისტური წარმოების სწრაფი განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში.

ასე საფუძვლიანად და მრავალმხრივ უდგებოდა ალ. წულუკიძე სავაჭრო კაპიტალის ისტორიული როლის გაგებას თავის პირველსავე მეცნიერულ გამოკვლევაში. შემდგომ ნაშრომებში მან კიდევ უფრო გაალრმავა ამ საკითხის შესწავლა და ქართველ მოაზროვნეთა შორის პირველმა ჩამოაყალიბა მეცნიერული თვალსაზრისი იმ როლზე, რომელიც საქართველოს ეკონომიური განვითარების ისტორიაში სავაჭრო (აგრეთვე სავახშო) კაპიტალმა შეასრულა.

ნაშრომში „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან". ალ. წულუკიძე, ფეხდაფეხ მიჰყვება რა კ. მარქსის „კაპიტალის" შინაარსს, მკაფიოდ და ნათლად გადმოსცემს ფეოდალიზმის წიაღში კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების პროცესს და დაწვრილებით იკვლევს ამ პროცესის თანმხლებ ისეთ ეკონომიურ მოვლენებს, როგორიცაა: თავდაპირველი დაგროვება, შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, თავისუფალი მუშახელის შექმნა, ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარება, ახალი ქალაქების გაჩენა და სხვ. ამასთან, იგი არსად არ განიცდის

---

[19] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 24.

„ეკონომიური მატერიალიზმის“ თეორიის გავლენას, ხაზგასმით აღნიშნავს ისტორიულ განვითარებაში წარმოების წამყვან, გადამწყვეტ როლს; მისი აზრით, სწორედ წარმოების წესში მომხდარი ცვლილებები და საქონლის გამრავლება იწვევს ვაჭრობის გაძლიერებას, ბაზრის გაფართოებას და ახალი ქალაქების შექმნას, და არა პირიქით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ა. წულუკიძის სამართლიანი აზრით, ვაჭრობა-ხელოსნობა და მათი მეხეობით წარმოშობილი ქალაქები, რომლებმაც ფეოდალური წყობილების დაშლას და ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის განვითარებას ხელი შეუწყვეს, იყვნენ არა ფეოდალიზმის „უცხო სხეულები“, არამედ ამ ფორმაციის შინაგანი განვითარების შედეგად წარმოქმნილი მოვლენები, რომლებიც გარკვეულ დრომდე და გარკვეულ ფარგლებში ფეოდალური საზოგადოების ინტერესებს შეესაბამებოდნენ და ამ საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურებოდნენ.

გავეცნოთ ამ საკითხებზე ალ. წულუკიძის მსჯელობის რამდენიმე ნიმუშს:

იკვლევს რა კაპიტალისტური წარმოების თავდაპირველ პირობებს, ალ. წულუკიძე ამბობს: „ძველი მემამულის მყუდროება არღვეოდა, ფეოდალურ ურთიერთობას ნიადაგი ეცლებოდა და ამ ნიადაგზე გამაგრებას, გაძლიერებას ბურჟუაზია ეპირებოდა. ამის მიზეზი თვით ფეოდალური წყობილების განვითარება იყო. მან თვითონვე გამოითხარა თავისი სამარე, თვითონვე შექმნა ის პირობები, რომელსაც მისთვის სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღო“[20].

მაგრამ როგორ მოხდა ეს გარდაქმნა, რა ფაქტორებმა შეუწყვეს ხელი ფეოდალიზმის დაშლას?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ალ. წულუკიძე, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს ფეოდალურ საზოგადოებაში მოთხოვნილებათა ბუნებრივ ზრდასა და მისგან გამოწვეულ შრომის განაწილებაზე, რომელმაც თავის მხრივ ხელოსნური წარმოების მანამდე არნახული განვითარება გამოიწვია. ის ამბობს:

„მცხოვრებლების რიცხვი იზრდებოდა და წარმოებაც გაფართოებულიყო, მხოლოდ წარმოების გაფართოება შესაძლებელი იყო იმ დროს უმთავრესი საწარმოო იარაღის — მიწის გაფართოებით; ეს იწვევდა დაუცხრომელ და ურიცხვ ომებს, ეს ომები საშუალებას აძლევდა მეომართ გაცნობოდნენ ახალ ქვეყნებს, ახალ ცხოვრებას, შეესწავლათ რაც თვითონ არ იცოდნენ და ამ ქვეყნებში მოიპოვებოდა, გადმოეტანათ წარმოების ახალი იარაღები; ეს გაცნობა კარ-ჩაკეტილ მცხოვრებლებს უძრავდა გადასვლა-გადმოსელის სურვილს, უფარ-

[20] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 270.

თოებდა მოთხოვნილებებს... ფეოდალის მოთხოვნილება ყოველთვის მეტია გლეხის მოთხოვნილებაზე, მხოლოდ სამაგიეროდ გლეხები მის განკარგულებაში იმყოფებოდნენ: მას შეეძლო საჭიროების მიხედვით მოეხმარა უმების ძალ-ღონე; მას შეეძლო ეს ძალ-ღონე ისე გაენაწილებინა, რომ ერთისათვის ეკეთებინებია იარაღი, მეორისათვის ეშენებინებია სახლი, მესამისათვის ფეხსაცმელი შეეკვეთა და სხვა. ამნაირად მემამულეს წარმოებაში შრომის განაწილება შეჰქონდა, მხოლოდ როცა შრომა განაწილებული იყო და მწარმოებელნი თავ-თავის ხელობას ეჩვეოდნენ, რასაკვირველია, უსარგებლო იქნებოდა სხვა საქმის მიჩნევა. ამნაირად მემამულემ გაასპეციალისტა მწარმოებლები, თვისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გაამრავალა ხელოსნები და მით ფეოდალურ წყობილებას ნიადაგი შეურყია: ფეოდალურმა წყობილებამ თავისი მოწინააღმდეგე ძალა შექმნა: ხელოსნის ნაწარმოები ხშირად აღემატებოდა ოჯახის საჭიროებას, თვით ბატონის მოთხოვნილებასაც და ამიტომ ზედმეტი შრომის ნაწარმოებს ის მახლობელ თემებთან ასაღებდა... ტექნიკა თანდათან უმჯობესდებოდა, ხელოსნური წარმოება დღითი დღე იზრდებოდა, ყმა-ხელოსნები სოფელს შორდებოდნენ და ახალ ადგილზე ბინავდებოდნენ, იმ ადგილებზე, სადაც მათ ნაწარმოებზე მეტი მოთხოვნილება იყო"[21].

ასე ნათლად, და თანაც მეცნიერული სიზუსტით, გადმოგვცემს ა. წულუკიძე ფეოდალური საზოგადოების წიაღში შრომის საზოგადოებრივი განაწილების შედეგად ხელოსნური წარმოების განვითარებას და ხელოსნობის დიდ ისტორიულ როლს, მაგრამ ამასთან ერთად ავტორი შრომის განაწილების არც სხვა შედეგებს ივიწყებს და ასევე მკაფიოდ გადმოგვცემს საქონლის გაცვლა-გამოცვლის, ვაჭართა გამრავლებისა და ახალი ქალაქების წარმოშობის პროცესს.

„მეორე მხრივ, — ამბობს იგი, — ხელოსნური წარმოება შრომის განაწილებას მოასწავებდა. შრომის განაწილებით საქონლის გაცვლა-გამოცვლას უფრო ფართო ასპარეზი ეძლეოდა. ვიდრე წინათ. გაცვლა-გამოცვლის ზრდა-განვითარებამ კიდევ უფრო განავითარა საქონლის საჭიროება, გაზარდა და გაადიდა ბაზარი; ბაზრის გადიდებამ საქონლის გადიდებას წელი გაუმაგრა; საქონლის სიმრავლემ გაამრავლა ვაჭრები, რომელთაც ეს საქონელი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდათ გასასაღებლად.

ვაჭრები ეძებდნენ ისეთ ადგილებს, სადაც მეტი ხალხი იკრიბებოდა, მეტი სიმდიდრე ედინებოდა. აქვე ესახლებოდნენ ხელოსნებიც, რადგან თავის ნაშრომებს აქ უფრო ადვილად ასაღებდნენ. ეს ადგილები გადაიქცა ბაზრებად, სადაც ყველა მყიდველ-გამყიდველნი ერთმა-

---

[21] ა. წულუკიძე, თხზულებანი, 1967, გვ. 270—271.

ნეთს ხვდებოდნენ. თავის ქონების გარეშე მტრისაგან დასაცველად ამ ადგილების ირგვლივ ქვიტკირის გალავნებს ავლებდნენ, შიგ ბევრნაირად რთავდნენ და ალამაზებდნენ, ასე რომ ბოლოს ასეთი ადგილები ქალაქებად გადაიქცა"[22].

როგორც ვხედავთ, ის ეკონომიური ფაქტორები, რომლებიც ფეოდალიზმის წიაღში წარმოიშობიან, მაგრამ ახალი ურთიერთობის განვითარების პირობებს ქმნიან, ავტორის მიერ განხილულია არა მექანიკურად, არამედ დიალექტიკურად; ალ. წულუკიძე დაწერილებით იკვლევს არა მარტო მათს წარმოშობასა და განვითარებას, არამედ ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთზემოქმედებასაც.

მაგრამ რა ხდება შემდეგ, როგორ შეუწყვეს ხელი ქალაქებმა ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებას? ავტორი განაგრძობს ანალიზს:

„თავდაპირველად ეს ქალაქები, რასაკვირველია, მებატონეების საკუთრებას შეადგენდნენ, რადგან მათ მამულზე იყო აგებული; მხოლოდ, რა რომ მოქალაქენი მოღონიერდნენ, სიმდიდრე შეიძინეს, თავის დასაცველად სხვისი პატრონობა აღარ ეჭირვებოდათ, მათ იგრძნეს ფეოდალური დამოკიდებულების ბორკილი, მძიმე ტვირთად ეჩვენათ ყოველნაირი საბატონო გადასახადი და ბოლოს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს თავის ბატონებს. ამ ბრძოლაში მონაწილეობას, რასაკვირველია, ხელოსნებიც ღებულობდნენ, რომელთა რიცხვი ქალაქებში დღითი დღე იზრდებოდა.

ამნაირად ბატონისაგან დამოკიდებულ ყმისაგან გამოიჩეკა თავისუფალი მოქალაქე. ფეოდალური ურთიერთობის განვითარებამ წარმოშვა ბურჟუაზიული წესწყობილება"[23].

მოტანილი ამონაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ ავტორი უნაკლოდ ფლობს საკითხის თეორიას, — კ. მარქსის მოძღვრებას კაპიტალისტური წარმოების დასაწყის პერიოდზე; ზემოთ ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ამ ცოდნას წარმატებით იყენებდა იგი საქართველოს ეკონომიური ისტორიის პრობლემათა გაშუქებისას. გავეცნოთ კიდევ რამდენიმე მაგალითს.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ალ. წულუკიძეს, წინააღმდეგ ნაროდნიკებისა, ოდნავადაც არ მიაჩნია საეჭვოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში კაპიტალიზმის გამარჯვების ფაქტი. ამას მოწმობს, თუნდაც, მისი შემდეგი შესანიშნავი განცხადება:

„ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება განსაზღვრულ ის-

---

22 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 271—272.

23 იქვე.

ტორიულ კალაპოტში ჩადგა. ძველი ეკონომიური ურთიერთობა ძირიანად შეიცვალა და მედიდურად მთის წვერებიდან გადმომცქერალ კოშკში კარჩაკეტილი მებატონის უფროსობა ახალმა წოდებამ დაიუფლა. ფეოდალის მაგიერ დღეს ცხოვრებას ბურჟუაზია მეთაურობს. ამ მეთაურობის ზრდა-განვითარება თვალსაჩინო ტენდენციაა თანამედროვე „ქართლის ცხოვრებისა“[24].

მაგრამ როდის მოხდა ძველი ეკონომიური ურთიერთობის ეს „ძირიანად შეცვლა“, ან, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ჩვენში კაპიტალიზმის გამარჯვება და გაბატონება?

ალ. წულუკიძის აზრით, ეს მოხდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, საგლეხო რეფორმის შემდეგ. ამიტომაც ამბობს იგი: „ჩვენმა რეფორმის შემდეგდროინდელმა ცხოვრებამ წარმოშვა მკლავაძის (ნინოშვილი) დავლაძის (ლალიონი) და ქამუშაძის (კლდიაშვილი) ტიპებიო“[25].

აქვე უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ისიც, რომ ალ. წულუკიძეს მშვენივრად ესმის ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების პროგრესული როლი. ის ამბობს: „უველა ერი ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებამ განავითარა; საქართველოს გაფანტული და დაქუცმაცებული ნაწილები ეკონომიურად ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებამ ერთმეორეს დაუკავშირა და ეს პროცესი დღითი-დღე მატულობს, რათა ბოლოს მთელი ერი ერთ უღელში ჩააბას სამუდამოთ და ევროპის გზაზე აზია არონიოს“.

ოღონდ საქმე ისაა, რომ ეკონომიურმა აღორძინებამ სიკეთე მარტო ჩვენი ერის ერთ მცირე ნაწილს — ფულიანებს მოუტანა, ხოლო ერის მეორე, დიდი ნაწილი კიდევ უფრო გააღარიბა. თანამედროვე საზოგადოება, ალ. წულუკიძის თქმით, „გაყოფილია ორ დიდი ნაწილად. ერთი მხრივ დგას შეძლებული უმცირესობა, ე. ი. საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც ყოველნაირი საშუალება აქვს ცხოვრებაში, აქვს ფული — თანამედროვე ცხოვრების ეს უმთავრესი ძარღვი... საზოგადოების მეორე ნაწილს, მუშას, მშრომელ ხალხს, სწორედ ეს აკლია, და თან აკლია უველა ის, რაც შედეგია ფულისა — მოსვენება და კმაყოფილება... ამნაირად ფული გაბატონდა, ფული შეიქმნა უმთავრესი საქონელი, ყოველივე ფულით შეიძლებოდა და შეიძლება იყიდოს, ფული — ეს თანამედროვე ბატონია“[26].

მაგრამ რა გზით შეიძლება ფულის შოვნა და ფულადი კაპიტალის ზრდა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, ა. წულუკიძე იძლევა

---

[24] იქვე, გვ. 131.

[25] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 81.

[26] იქვე, გვ. 96—97.

ვაჭრობის, მევახშეობის, კაპიტალისტური წარმოების ამომწურავ დახასიათებას და დიდი სიცხადით უჩვენებს მკითხველს ჩვენებური ფულის პატრონთა მძარცველურ ბუნებას. „ფულის გაზრდასაც თავისი კანონები აქვსო", — ამბობს იგი და იქვე აყალიბებს ამ კანონების არსს:

„ფულის გაზრდა, სხვანაირად, სარგებლობის მიღება სამნაირად ხდება: ვაჭრობით, მევახშეობით და წარმოებით, წარმოებაში ფულის დაბანდებით.

პირველ შემთხვევაში ვაჭარი ნიეთს, საქონელს ყიდულობს და შემდეგ ან იქ, საცა იყიდა, ან სხვა ადგილას, სხვა ბაზარზე ყიდის. მაგრამ ეს სულ ერთია. საქმე ის არის, რომ მან უნდა მოიგოს, როგორც თვით ამბობს. თუ არ მოიგო, ის ვაჭრობასაც არ დაიწყებს: უნდა მოიგო ან, უფრო ნათლად რომ ვთქვათ, მანეთის საქონელი ექვს აბაზად, მანეთნახევრად, ხშირად ორ მანეთადაც უნდა გაყიდოს, ყოველ მანეთზე აბაზი, ათი შაური, მანეთიც უნდა მოიგოს. ამნაირად, ვაჭრის დანიშნულება მხოლოდ ესაა: მყიდველს რაც შეიძლება მეტი წაართვას, ცუდი საქონელი მისცეს, ბევრი ფული გადაახდევინოს, — აი რას მისდევს ვაჭარი, აი რაა მისი მიზანი. მაშ, ცხადია, ვაჭრის მთელი სიმდიდრე მყიდველის გაძარცვაზეა აგებული, მთელი მისი არსებობა ხალხის ჯიბის გათხელებაზეა აშენებული.

მევახშეობა — ეს მეორე სახეა ფულის მოგებისა... მევახშე სარგებლობს ხალხის გაჭირვებით: ფულს ასესხებს, სამაგიეროდ სარგებელს ითხოვს და ხშირად იმდენსაც, რომ კაცი ჭკუიდან უნდა შეშლილიყო, რომ მთელი თანამედროვე ცხოვრება მოწამლულ-მოშხამული არ იყოს: თუმანზე ხანდახან თვეში ექვს შაურს — ათ შაურს ითხოვს და აბაზი ხომ კანონიერი სარგებელია ყველა მევახშისათვის, ყველა გამსესხებლისათვის ჩვენში"[27].

ამის შემდეგ ავტორი დაწვრილებით იხილავს საკითხს, თუ როგორ იზრდება კაპიტალისტურ წარმოებაში დაბანდებული ფული (კაპიტალი) მუშის შრომის ექსპლოატაციის ხარჯზე და როგორ უსინდისოდ ითვისებენ კაპიტალისტები მუშის ოფლით შექმნილი ღირებულების დიდ ნაწილს.

ავტორის მსჯელობა ყველგან უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, როგორც კაპიტალისტური ურთიერთობის ღრმა კრიტიკით, ისე ამ კრიტიკის პოპულარული და ყველასათვის გასაგები ფორმით.

ჩვენი მიზნისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ალ. წულუკიძის შესანიშნავი, ჭეშმარიტად დიალექტიკური მსჯელობა საქართველოში

---

27 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 97—98.

მევახშეობის გავრცელების მიზეზებზე და იმ ისტორიულ როლზე, რომელიც მევახშეობამ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შეასრულა.

„დიდი ხანია ჩვენ მწერლობაში მევახშეობას უჩივიანო" — ამბობს ალ. წულუკიძე 1899 წელს გამოქვეყნებულ ერთ წერილში და იქვე იძლევა ამ მოვლენის მკაფიო და ვრცელ დახასიათებას, ისტორიული პერსპექტივის სრული გათვალისწინებით. ამასთან, მისი ნაწერი, როგორც ყოველთვის, აქაც იკითხება ცხოველი ინტერესით, როგორც მხატვრული ნაწარმოები.

გავეცნოთ მევახშეობაზე მისი მსჯელობის რამდენიმე ნიმუშს (გრძელი ციტატებისათვის მკითხველის წინაშე კვლავ ბოდიშს ვიხდით):

„მას შემდეგ, რაც რომ ჩვენ ცხოვრებაში ძველი ფორმა მეურნეობისა, ფულის მეურნეობამ შეცვალა, რაც რომ საგნების ერთი ნაწილი საქონლად იქცა, ე. ი. ბაზარში გასაყიდად გამოიტანეს და ფულზე ცვლა დაიწყეს, მევახშეობაც დაიწყო. იქ, სადაც ფულის მოთხოვნილება ჩნდება ხოლმე, ყოველთვის მისი დასაკმაყოფილებელი ელემენტებიც იჩენს თავს. ახალი ცხოვრების მრავალ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად თავადაზნაურობამ ფულის ძებნა დაიწყო; მას მარტო ჭამა-სმა, უბრალო ჩაცმა-დახურვა აღარ ჰყოფნიდა. ის თავის „დიდებული" ღირსების დასაცველად დიდებულ ცხოვრებას ესწრაფოდა, ქალაქში სხვადასხვაგვარ დროს გატარებას, მდიდრულათ ჩაცმა-დახურვას და სხვა. ამისათვის ფული იყო საჭირო... მის წინ დაუყოვნებლივ გაჩნდა მევახშე, მდაბალთ თავი დაუკრა და მოახსენა: კნიაზ, ფული გნებავს? მე მოგართმევ, მხოლოდ, რადგან ეხლა სახიფათო დროება დადგა, სამაგიეროდ რამე ხელისმოსაჭიდებელი ჩამაბარო. აი თუნდაც თქვენი მამული. თავადს ძალიან უკვირდა, რომ ძველებურად მის ულვაშის ღერს აღარ ენდობოდნენ. მაგრამ რა გაეწყობოდა, უნდა დათანხმებოდა ყოველგვარ პირობას, რადგან ზამთარი მოახლოებული იყო და ოჯახობით ქალაქში საცხოვრებლად უნდა გადაბარგებულიყო"[28].

მაგრამ მევახშე მარტო თავადს როდი უჭერდა ყელში თოკს, ის კიდევ უფრო შეუბრალებლად ეპყრობოდა გლეხს, რომელსაც ფული სჭირდებოდა თავისი პატარა მეურნეობისათვის და სახელმწიფო ხარჯების გასასტუმრებლად, გლეხიც, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ მევახშეს მიმართავდა: „არიქა, ნათლია, ფული გვჭირია და დაგვეხმარეო". გარემოებით შევიწროვებულნი იძულებულნი არიან მევახშის სასტიკ პირობებს დაეთანხმონ, რის შედეგად „ჩვენი ნათლია დღითიდღე ამატებს თავის თანხას, მამულებს იძენს და პატარა „თავადი"

---

[28] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 47—48.

ხდება, რასაკვირველია, ახალი დროის შესაფერისი. რასაც სხვები კარგავენ გაჭირვების გამო, ის იძენს როგორც გასესხებული თანხის პატრონი. ერთი მხრივ, თუ თავადი, წვრილი მწარმოებელი ანუ გლეხი ღარიბდება, მეორე მხრით, მევახშე მდიდრდება, მის ხელში ფული გროვდება და ამნაირად კაპიტალი თანდათან შენდება"[29].

აქედან ცხადია, რომ ალ. წულუკიძის დაკვირვებით, ჩვენებური მევახშე (ისევე, როგორც ვაჭარი), რომელიც თვით ჩვენს ცხოვრების ღვიძლი შვილია, ახალ დროში მარტო ფულის დაგროვებით როდი კმაყოფილდება; ამასთან ერთად მევახშე ხდება ახალი დროის „თავადი", ე. ი. მიწათმოქმედი — ექსპლოატატორი ანუ სოფლის კულაკი-კაპიტალისტი. მაგრამ რა პირობები იწვევს მევახშეობის ასეთ გაფურჩქვნას და რამდენად ხანგრძლივი შეიძლება იყოს მევახშის თავისუფალი პარპაში? ამაზე ალ. წულუკიძე საუსებით მეცნიერულ პასუხს გვაძლევს:

„რასაკვირველია, თუ გლეხს დასამუშავებელი არა აბადია რა, საწარმოო იარაღი, რათა საკუთრად დაიწყოს წარმოება, მაშინ მას სასესხებლად ფული არ ეჭირვება, და რომ ეჭირვებოდეს კიდეც, არავინ ასესხებს... ამიტომ მევახშეობა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც მცხოვრებლებს რამე გააჩნიათ. გლეხს შეუძლია ნასესხები ფულით საწარმოო მასალა შეიძინოს და მით საქონელი გააკეთოს, როდესაც მსხვილი წარმოება ვითარდება და მით წვრილი მწარმოებლები უკანასკნელ საკუთრებასაც ჰკარგავენ, იქ მევახშეობა ისპობა და მევახშის კაპიტალის ადგილს უფრო დიდი, უფრო ძლიერი სამრეწველო კაპიტალი იჭერს. ამისათვის მევახშე ყოველთვის კონსერვატორია. მას არ უნდა, რომ არსებული ეკონომიური ურთიერთობა შეიცვალოს, მისთვის იქ უფრო კარგი ასპარეზია, სადაც მხოლოდ წვრილი წარმოებაა ფესმოკიდებული, საქონელი ცოტაა წვრილ-წვრილად მზადდება... აი აქ სრულიად თავისუფლად დათარეშობს მევახშე. აქ ის პატარა მეფეა და მის სამფლობელოს ვერავინ დაიხსნის მისი ძლიერი კლანჭებიდან, სანამ უფრო ძლიერი მეტოქე არ გაუჩნდება... ის დრო, როდესაც მევახშეობა არის უმთავრესი ფორმა ეკონომიური ცხოვრებისა, ფრიად სამწუხაროა ორნაირად: ერთი, რომ ის აუძლურებს მწარმოებელთა ძალას, მის მაგიერ, რომ განავითაროს იგი და, მეორეს მხრით, უხშობს მცხოვრებლებს ყოველგვარ გამალვიძებელ აზრს, მისწრაფებას. სინამდვილეს ბნელით მოსავს და ამით ამ საოცარ მდგომარეობას განამტკიცებს"[30].

---

[29] ა. წულუკიძე, თხზულებანი, 1967, გვ. 48.

[30] იქვე, გვ. 48—49.

ამ სწორი მსჯელობიდან თითქოს ბუნებრიად გამომდინარეობს დასკვნა, რომელიც ასე გავრცელებულია წვრილბურჟუაზიული მიმართულების მოაზროვნეთა შორის, და ნაწილობრივ საბჭოთა ისტორიკოსებს შორისაცაა ფეხმოკიდებული, სახელდობრ ის დასკვნა, რომ მევახშეობა პროგრესის შემფერხებელი მოვლენაა და ისტორიაში მხოლოდ უარყოფით როლს თამაშობს. მაგრამ ალ. წულუკიძე ასეთ შაბლონურ დასკვნას არ აკეთებს, ის გაცილებით უფრო შორს იხედება და იმ უარყოფით მოვლენებთან ერთად, რომლებიც მევახშეობის (ისევე როგორც ვაჭრობის) განვითარებას თან სდევენ, ხედავს ფრიად მნიშვნელოვან დადებით მოვლენასაც; ის ამბობს:

„მევახშეობა აუცილებელი წინამორბედია კაპიტალისტური წარმოებისა, რადგან იგი არღვევს წოდებრივ სიდიადეს, სპობს ფეოდალურ საკუთრებას, ძირს უთხრის გლეხის მეურნეობას და მით ნიადაგს უმზადებს, პირობებს ჰქმნის მსხვილი წარმოების განსავითარებლად.

ერთი უმთავრესი პირობაა: უმიწაწყლო, ბოგანო ხალხი მზად ხვდება მომავალ „ბატონს“, რომელსაც თავის ხელებს უწედის და ეუბნება: წამიყვანე, მამუშავე და საზრდო მომეცი, თორემ შიმშილით ლამის სული დავლიო. ისიც ამას დაეძებს და მედიდურათ მიუძღვება წინ ქარხნის კარებისაკენ. მეორეც ისაა, რომ იგი თავს უყრის ერთად ფულს, აგროვებს კაპიტალს, ე. ი. საჭირო იარაღს იძენს წარმოების დასაწყებად. ამნაირად მევახშე თუმცა აზრით და გრძნობით კონსერვატორია, მაგრამ თავისი მოქმედებით იგი ნამდვილი რევოლუციონერია, ძველ წყობილებას ძირს უთხრის და ამ ნანგრევებზე ახალს აშენებს“[31].

მაგრამ ალ. წულუკიძემ ჩინებულად იცის. რომ მევახშეობა (ისევე, როგორც ვაჭრობა) ასეთ რევოლუციურ როლს ასრულებს არა ყოველ დროსა და ყველა ვითარებაში, არამედ მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ პირობებში, როცა მსხვილი კაპიტალისტური წარმოების განვითარებისათვის სხვა პირობებიც მომზადებულია; მან მშვენივრად იცის, რომ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებისათვის პირობები ყოველმხრივ მომწიფებული იყო, რის გამო ჩვენებური მევახშეობა, ყველა მისი უარყოფითი თვისებების მიუხედავად, გარკვეულ დადებით როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით. საკითხის სწორედ ასეთ გაგებას შეესაბამება ალ. წულუკიძის დასკვნითი

---

31 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 49.

მსჯელობა, რომელიც ჩვენ დიალექტიკური აზროვნების ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშად მიგვაჩნია.

დამაჯერებლად ასაბუთებს რა მევახშეობის წყალობით წვრილი წარმოების განადგურების გარდუვალობას, ალ. წულუკიძე ასეთ დასკვნამდე მიდის:

„ამ პროცესის საზოგადო ხასიათი ყოველგან ერთნაირი იყო და არის. ძველ საბერძნეთში და რომში, საშუალო საუკუნეებში ევროპის ყველა მხარეში და დღეს ჩვენში მევახშეობა სულს უხუთავს სოფელს, აღარიბებს მცხოვრებლებს, ნელ-ნელა არღვევს წყობილებას, ზნე-ჩვეულებას და მის ნაცვლად ახალი შეაქვს, ამ ახალს ავითარებს და, სადაც სხვა ისტორიული პირობებიც ხელს უწყობს, მსხვილი წარმოების წინამორბედი ხდება. ჩვენში ამ პირობების არსებობა ეჭვს გარეშეა. სამთამადნო მსხვილმა წარმოებამ, ნავთის და სხვა მრავალი ბუნების სიმდიდრის კაპიტალისტური წესრიგით დამუშავებამ, უკვე მზად იპოვა უმთავრესი პირობა თავისი დარგის გასავითარებლად. მშრომელი ელემენტი, წარმოების იარაღს გაშორებული, თავის ფიზიკურ ძალას უხვად აწვდის ამ ახალ საქმეებს და სხვა თანამედროვე ერების „ფეხშიშველთ რაზმთ“ ბლომად ემატება. ამნაირად, მევახშეობა შეცვლილი ეკონომიური ურთიერთობის თანდაყოლილი ჭირია, ფულის მეურნეობის ღვიძლი შვილი. მაშასადამე, მისი მოვლინება ჩვენ ცხოვრებაში აუცილებელი იყო, მისი აღგვა არაეითარ საშუალებას არ შეუძლია იმავე პირობებში, მხოლოთ იგი ნიადაგს უმზადებდა და უმზადებს კაპიტალისტურ წარმოებას, თვით ამ მოვლენის მსხვერპლი შეიქმნება და მით თავის ისტორიულ მისიას შეასრულებს“[32].

ასეთია მოკლედ საქართველოს ეკონომიური განვითარების პრობლემებზე, კერძოდ კი სავაჭრო და სავახშო კაპიტალის ისტორიულ როლზე, ალ. წულუკიძის ნაშრომებში წარმოდგენილი შეხედულებები.

გადავიდეთ საქართველოს სოციალური განვითარების პრობლემების ირგვლივ ალ. წულუკიძის მიერ გამოთქმულ შეხედულებათა განხილვაზე.

---

32 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 51.

თავი II

საქართველოს სოციალური განვითარების პრობლემები ალ. წულუკიძის ნაშრომებში. ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა

1. ალ. წულუკიძე საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებებისა და ეროვნული ბურჟუაზიის ისტორიული როლის შესახებ

ზემოთ ჩვენ თვალნათლივ დავინახეთ, რა ოსტატურად იყენებდა ალ. წულუკიძე ისტორიის მატერიალისტური გაგების მეთოდს როგორც საერთოდ საზოგადოების ეკონომიური განვითარების, ისე კერძოდ საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის აღმოცენებისა და განვითარების ისტორიის შესასწავლად; ახლა ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ასევე ოსტატურად იყენებს იგი ხსენებულ მეთოდს საზოგადოების სოციალური განვითარების პრობლემების, კერძოდ კი რეფორმის შემდეგრდოინდელ საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივი ვითარების, კლასობრივ ძალთა თანაფარდობის, ეროვნული ბურჟუაზიის ისტორიული როლის, მუშათა და გლეხთა კავშირისა და სხვა დიდმნიშვნელოვანი სოციალური მოვლენების დასახასიათებლად.

ალექსანდრე წულუკიძის განსაკუთრებით მნიშვნელოვან დამსახურებად ის ფაქტი უნდა ჩაითვალოს, რომ მან XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის შესწავლისას მექანიკურად კი არ გადმოიტანა ევროპის ისტორიის შაბლონური გაგება, რომელიც მის დროს ფართოდ იყო გავრცელებული მარქსიზმის ვულგარიზატორთა შორის, არამედ შემოქმედებითად მიუყენა მარქსიზმის ფუძემდებლური დებულებები საქართველოს ცხოვრებას და დაინახა ის თავისებურებები, რომლებიც საქართველოს იმდროინდელ ცხოვრებას ევროპის სათანდო პერიოდის ცხოვრებასთან შედარებით ახასიათებდა; როგორც დიდმა ლენინმა მოახდინა რუსეთის ბურჟუაზიული განვითარების ისტორიის თავისებურებათა ანალიზი და მარქსიზმის შემოქმედებითად გამოყენებითა და განვითარებით მეცნიერულად განჭვრიტა რუსეთის რევოლუციის განვითარების ნამდვილი გზები, ისე მისმა ნიჭიერმა მოწაფემ ალ. წულუკიძემ მოახდინა საქართველოს ახალი ისტორიის მოვლენათა მარქსისტული ანალიზი და დაინახა ის თავისებურებანი, რომლებიც საქართველოს ცხოვრებას ევროპის ძირითად სახელმწიფოთა ცხოვრებისაგან განასხვავებდა. სწორედ მარქსიზმის ასეთმა შემოქმედებითმა გამოყენებამ მისცა საშუალება ალ. წულუკიძეს თავი დაეღწია საქართველოს ისტორიაზე იმ ვულგარულ-ნი-

ჰილისტური კონცეფციების გაელენისაგან, რომლებიც მის დროს საქართველოში ერცელდებოდა და მარქსიზმის სახელით გამოდიოდა.

საქართველოს ცხოვრების თავისებურებათა გათვალისწინების შედეგად, ალ. წულუკიძემ შეძლო მოეცა ქართველი ბურჟუაზიის ისტორიული როლისა და მნიშვნელობის ლენინური შეფასება, რაც მის დროს სრულიად ახალი სიტყვა იყო ქართველ მარქსისტთა შორის. ალ. წულუკიძემ ღრმად და საფუძვლიანად დაასაბუთა ის აზრი, რომ ჩვენი ეროვნული ბურჟუაზია, ევროპის ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, არ იყო, და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, პროგრესის მედროშე; რომ ქართველ ბურჟუაზიას ისტორიამ არ არგუნა ერისათვის ისეთი სარგებლობა მოეტანა, როგორი სარგებლობაც თავიანთ ერებს ინგლისის, საფრანგეთისა და ევროპის სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების ბურჟუაზიამ მოუტანა. ქართველი ბურჟუაზიის ისტორიული როლის ასეთი შეფასება წითელ ზოლად გასდევს ალ. წულუკიძის მთელ ნააზრევს.

ვინც ყურადღებით გაეცნობა ალ. წულუკიძის ჯერ კიდევ 1899 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომებს — „ღია წერილი ბ-ნ გიორგი წერეთელს" და „საუბარი მკითხველთან". ის ადვილად დარწმუნდება, რომ მათი ავტორი არ მისდევს ევროპულ შაბლონს და კლასთა თანაფარდობის დადგენას, მათი ურთიერთდაპირისპირებული ინტერესების შეფასებას თავისი ქვეყნის რეალური ვითარების მიხედვით უდგება. ავტორი გარკვევით მიუთითებს, რომ ჩვენი ცხოვრება სხვასთან შედარებით ახალგაზრდაა"[1] და რომ ჩვენს ცხოვრებაში წარმოქმნილი კლასების თანაფარდობა და ინტერესები „ყოველად შეუძლებელია ევროპის სრულიად გამორკვეულ, კრიტიკულად მოაზროვნე და მოქმედ კლასთა წარმომადგენელთ შევადაროთ"[2]. თავის შემდგომ ნაშრომებში ალ. წულუკიძემ კიდევ უფრო განავითარა ზემოხსენებული აზრი და შეიმუშავა მთელი კონცეფცია, რომლის მიხედვით ბურჟუაზიის ისტორიული როლი საქართველოში სულ სხვაგვარადაა წარმოდგენილი. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი სტატია „სხვაგან და ჩვენში", რომელიც 1902 წელს დაიბეჭდა გაზეთ „კვალში".

გავეცნოთ ამ სტატიის შინაარსს.

„ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება განსაზღვრულ ისტორიულ კალაპოტში ჩადგა. ძველი ეკონომიური ურთიერთობა ძირიანად შეიცვალა და მედიდურად მთის წვერებიდან გადმომცქერალ კოშკში კარჩაკეტილი მებატონის უფროსობა ახალმა წოდებამ დაიუფ-

---

[1] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 31.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 29.

ლა. ფეოდალის მაგიერ დღეს ცხოვრებას ბურჟუაზია მეთაურობს. ამ მეთაურობის ზრდა-განვითარება თვალსაჩინო ტენდენციაა თანამედროვე „ქართლის ცხოვრებისა“[3].

რაკი ასეთი ვითარებაა, ავტორი ბუნებრივად მიიჩნევს კითხვას: რას აკეთებს, ანუ რა შეუძლია გააკეთოს ამ „ახალმა ბატონმა“ ჩვენთვის, ე. ი. ქართველი ერისათვის?

ამ კითხვაზე ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი (ე. წ. „შუათანა დასის“ მოტრფიალენი) ასეთ პასუხს იძლეოდა:

„...ერისა და ქვეყნის გამომყვანი სიღარიბისა და მონობისაგან, უმეცრებისა და უსწორ-მასწორობისაგან ყოველთვის და ყოველგან მარტო ეს საშუალო დასი, ბურჟუაზია. ყოფილა და იქნება“ (ნ. ნიკოლაძე).

ასევე ფიქრობდა არ. ჯორჯაძეც, რომლის აზრი ალ. წულუკიძეს შემდეგნაირად აქვს გადმოცემული:

„ჩვენი ბურჟუაზია ყველაფერს გააკეთებს, რაც კი სხვაგან გაუკეთებია (ბურჟუაზიას); განავითარებს ენას, შექმნის სამშობლო ლიტერატურას, დაამკვიდრებს ეროვნულ თვითცნობიერებას, აღორძინებს საწარმოო ძალებს ქართულ ნიადაგზე და მით ქვეყანას ჭონებრივ და გონებრივ ზრდას უქადისო. ამისათვის საჭიროა ჩვენც ხელი შევუწყოთ მასო“[4].

ალ. წულუკიძე არ ეთანხმება და გადაჭრით უარყოფს ქართველი ბურჟუაზიის როლის ასეთ შეფასებას, იგი ღრმა ანალიზს უკეთებს ევროპისა და საქართველოს ეკონომიურსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას და გამოთქვამს თავისი დროისათვის უაღრესად ახალსა და ორიგინალურ აზრს, რომელსაც ფრიად საფუძვლიანი მეცნიერული მსჯელობით ასაბუთებს. „რა აკეთა, რას შერებოდა“ ევროპის ბურჟუაზია ეროვნული კულტურის განსავითარებლად, დედა-ენის გასამდიდრებლად, სამშობლო ნიადაგზე მეცნიერების დასამკვიდრებლად, სამშობლო მწერლობის ასაღორძინებლად?“ — კითხულობს იგი და იქვე იძლევა იმ ისტორიული პირობების მეცნიერულ ანალიზს, რომლებმაც განაპირობეს ბურჟუაზიის, როგორც კლასის, სხვადასხვაგვარი როლი ევროპასა და საქართველოში. ალ. წულუკიძის მსჯელობა ამ საკითხზე ჩვენ მიგვაჩნია შემოქმედებითი მარქსიზმის შესანიშნავ ნიმუშად. ამიტომ, თავს ნებას მივცემთ მოვიტანოთ მისი სტატიიდან ვრცელი ამონაწერები:

---

3 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 131.
4 ი ქ ვ ე, გვ. 132.

„ინგლისის ერის ყველა ელემენტი, ყველა კლასი ერთ ენაზე ლაპარაკობენ, ერთ ენაზე სწერენ, აზროვნებენ და ამ ენისა და მწერლობის განვითარება მათი ეკონომიური წინააღმდეგობის გათვითცნობიერება იყო. ენის განმავითარებელი, წინ წამწევი აქ უმთავრესად ბურჟუაზია უნდა ჩაითვალოს: ის ანვითარებდა ეროვნულ ნიადაგზე მეცნიერებას, აფაქიზებდა მწერლობას, ზრდიდა და ამდიდრებდა მას. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მხოლოდ ეს კლასი იყო უზრუნველყოფილი ცხოვრებაში, მას მოეპოვებოდა საშუალება და თავისუფალი დრო სწავლა-განათლებისათვის; ეს კი აუცილებლად საჭირო იყო მისი სამრეწველო საქმეების მოსაგვარებლად. მას სჭიროდა ვაჭრობა-მრეწველობის გაფართოება, ამისათვის სახელმწიფო ძალა მისი სურვილისამებრ უნდა მიმართულიყო, მხოლოდ ამის მომართვა შესაძლებელი იყო ეროვნულ ნიადაგზე; მისთვის საარსებო კითხვას წარმოადგენდა განსაზღვრული ბაზარი, რომელსაც ვაჭრობაში მეტოქე ერების წინაშე უპირატესობა მისთვის უნდა მიეზღო, ის უნდა დაეჯილდოებინა აუარებელი სიმდიდრით; ამისათვის თავისებურობა, ეროვნული თვითარსებობა აუცილებელი პირობა იყო მისი წინსვლის დასაჩქარებლად; მას თავისი საკუთრება სამსაჯულოში დედაენაზე უნდა დაეცო, შვილი ამავე ენაზე აღეზარდა მოხელედ, ვაჭრად, მრეწველად. ირგვლივ ყველგან დედა-ენა იყო გამეფებული. მრეწველობაში მისი ინტერესების დაცვა დედა-ენის მომარჯვებას საჭიროებდა: სამეცნიერო ნაწარმოები, რომელიც მისი განვითარების უმთავრეს პირობას შეადგენდა, ან დედა-ენაზე დაიწერებოდა ან დაუყოვნებლივ გადმოითარგმნებოდა. ერთი სიტყვით, მას უდედაენოდ არსებობა არ შეეძლო, უიმისოდ ნაბიჯს ვერ გადადგამდა წინ თავისი კეთილდღეობის განსამტკიცებლად. თავისი ენის დაცვა, თავის ეროვნული თვითცნობიერებისა და თვითარსებობის დამკვიდრება მისი წარმოების გაფართოებას მოასწავებდა. მას საერთაშორისო ბაზარზე თავის ეროვნული „მე“ სხვისათვის უნდა დაეპირისპირებინა, თავისი საქონელი ინგლისური ზედწარწერით ცხრა მთას იქით უნდა გაემგზავრებია, სადაც მოხვეჭილი სახელი და დიდება კიდევ უფრო ამდიდრებდა და ადიდებდა მას. მისთვის ეროვნული ზრდა საარსებო კითხვას შეადგენდა... ასე იყო სხვაგან“[5].

ალ. წულუკიძის ეს შესანიშნავი დაკვირვება და მწყობრი, ლოგიკური მსჯელობა სავსებით დამაჯერებლად გვისურათებს იმ პირობებს, რომლებშიც ინგლისის (აგრეთვე საფრანგეთისა და ევროპის სხვა განვითარებული ქვეყნების) ბურჟუაზიას უხდებოდა თავისი პროგრესული ისტორიული მისიის შესრულება, მაგრამ შეიძლება თუ არა აქედან

---

[5] ა. წულუკიძე, თხზულებანი, 1967, გვ. 132—133.

იმ დასკვნის გამოტანა, რომ ბურჟუაზია ყველა ქვეყანაში (და მათ შორის საქართველოშიც) ასეთსავე პროგრესულ როლს ასრულებდა ენის, ლიტერატურისა და საერთოდ ერის სულიერი კულტურის ამაღლების საქმეში? ცხადია, არა!

ალ. წულუკიძე განაგრძობს:

„ჩვენში კი ეს მისიაც ნაკლებ არგუნა ბედმა ჩვენს ბურჟუაზიას. ქართველი ბურჟუაზიისათვის ქართული ენა აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს. მართლმსაჯულებას იგი სხვა ენაზე დაეძებს, საკუთრებას სხვა ენის საშუალებით დაიმტკიცებს, მეცნიერებას სხვაგან ეწაფება, უბრალო სავაჭრო რეკლამასაც უცხო ენაზე სწერს. ოჯახიდან დედაენა სრულიად განდევნილი აქვს, მის ბავშვებს ეროპული „გუვერნანტკები“ თავს ევლებიან, რომელიმე ქართულ გაზეთს მხოლოდ საქველმოქმედო მიზნით თუ გამოიწერენ, ისიც ხშირად გაუხსნელი დევს საწერ მაგიდაზე და, როგორც ერთმა ჭკუთათურმა ინტელიგენტმა ალიარა რამდენიმე წლის წინათ ერთ კრებაზე, „შაბათობით, თავის შესაქცევად“ თუ წაიკითხავენ. თავისი ინტერესების დაცვა და ამ ინტერესებისათვის ზრუნვა მწერლობაში უცხო ენაზე უფრო ესაჭიროება; ერთის სიტყვით, ქართული მისთვის ზედმეტ ხილს შეადგენს და ხშირად რომელიმე — ძის ქალიშვილი, რომელიც ბავშვობისას ჩვენ სოფლებში, შეიძლება, ფეხშიშველი ღობე-ყორეს ედებოდა, დღეს პრანჭიობით ეკითხება კავალერს а что такое джинчари? ქართველი ბურჟუა ყიდულობს უცხოელისაგან, ყიდის უმეტესად უცხოეთში, შინაური ბაზარიც არა თხოულობს მისგან დედაენის ცოდნას. შვილი ქართული ენის ცოდნით მოხელე ვერ გახდება, თავისუფალი პროფესიები: ვექილობა, ექიმობა და სხვ. უცხო ენის ცოდნას მოითხოვენ და რამდენად უფრო მეტს სხვა ენაზე მეცადინეობს, იმდენად უკეთესი სპეციალისტი ხდება; მეცნიერი, შთამომავლობით ქართველი, მეცნიერულ ნაწარმოებს უცხო ენაზე წერს და თუ პატრიოტული მოსაზრებით ქართულ ენაზე მეცნიერული შრომა დაწერა, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თაროებზე წლიდან წლამდე ხელუხლებლად იჩიჩქნება. ქართველი ბურჟუაზიისათვის ეროვნული ზრდა-განვითარება საარსებო კითხვას არ წარმოადგენს, ასეა ჩვენში“[6].

როგორც ეხედავთ, ავტორი აქ სრულიად გარკვევით და ნათლად ალნიშნავს იმ ფაქტს, რომ კაპიტალიზმის განვითარების პროცესი საქართველოში ევროპის ქვეყნებისაგან არსებითად განსხვავებულ ვითარებაში მიმდინარეობდა, რის გამო ჩვენებურ ბურჟუაზიას არ შეეძლო ისეთივე პროგრესული როლი შეესრულებინა ერის ცხოვრებაში, როგორც ეს თავის დროზე ევროპის ბურჟუაზიამ შეასრულა. „ჩვენში

[6] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 133—134.

ბურჟუაზიის როლი, — დაასკვნის ავტორი, — ეროვნული გათვითცნობიერების განსამტკიცებლად სრულიად უმნიშვნელოა: მას ამისათვის საზოგადო პოლიტიკურ-ეკონომიური პირობები ხელს არ უწყობენ; საზოგადოებრივი ურთიერთობა მას სხვა ეროვნების ნიადაგზე ამძლავრებს: სამშობლო მისთვის მხოლოდ ტერიტორიული საზღვრებია, სადაც იგი უცხო ენაზედაც კარგად აწარმოებს თავის სამრეწველო საქმეებს"[7].

მაგრამ აქ ბუნებრივად წამოიჭრება კითხვა: რაკი ჩვენებურ ბურჟუაზიას, საქართველოს ცხოვრების თავისებურებათა გამო, არ შეეძლო პროგრესის მოთავეობა ეკისრა და ერის გათვითცნობიერებას, მისი კულტურის განვითარებას სათავეში ჩადგომოდა, ვის, საზოგადოების რომელ კლასს უნდა ეღო ხელში პროგრესის დროშა და განეხორციელებინა ერის გათვითცნობიერების, მისი სულიერი სიმდიდრის განვითარების ამოცანა? ამ კითხვაზე ა. წულუკიძე ასეთ ბრძნულ პასუხს გვაძლევს:

„თუ ევროპაში ბურჟუაზია იყო ერის სულიერი სიმდიდრის განმავითარებელი, ჩვენში მატერიალურად ხელმოკლე და გონებრივად ახლად აღორძინებული მშრომელი ხალხია... თუ ევროპაში ბურჟუაზია უდგა მეთაურად ეროვნულ ზრდას, ჩვენში ერის მეორე ნაწილი მეთაურობს; უკანასკნელი იძულებულია ამ ზრდას ხელი შეუწყოს და ეს ნიადაგი თავის გასამაგრებლად გამოიყენოს. ჩვენც ამ ნაწილის გათვითცნობიერებას ვემსახუროთ და ამაში ვპოვოთ ჩვენი „ეროვნული" მოქმედების პროგრამა"[8].

ამრიგად, რეფორმისშემდგომი დროის საქართველოში პროგრესის მედროშედ და ქართველი ერის ზრდა-განვითარების მეთაურად ალექსანდრე წულუკიძემ მიიჩნია არა ბურჟუაზია, როგორც ეს ბევრს, ვულგარულად მოაზროვნე ავტორს ეგონა (და ზოგს დღესაც ჰგონია), არამედ მშრომელი ხალხი; ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ „მშრომელ ხალხში" ის გულისხმობს მუშებსა და გლეხებს, ქალაქისა და სოფლის პროლეტარულ და ნახევრადპროლეტარულ ელემენტებს.

ეს იყო ახალი და უაღრესად ორიგინალური აზრი, — ნაშდვილი მეცნიერული აღმოჩენა, რომელიც საქართველოს მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობას წარმართავდა სწორი გზით; ეს იყო საქართველოს პირობებში მარქსისტული მოძღვრების შემოქმედებითად გამოყენების ლენინური გზა.

სტატია „სხვაგან და ჩვენში", რომელიც 1902 წელს „ქვალში" დაიბეჭდა და რომელშიც ალ. წულუკიძემ თავისი ახალი თვალსაზრისი

---

[7] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 134.

[8] ი ქ ვ ე.

შოკლედ ჩამოაყალიბა, წარმოადგენს ნაწილს იმავე ავტორის ცნობილი გამოკვლევისას, „ოცნება და სინამდვილე", რომელიც 1903 წელს ქ. ქუთაისში ცალკე წიგნად გამოიცა. ამ კაპიტალურ ნაშრომში უდიდესი დამაჯერებლობით და მეცნიერული საფუძვლიანობითაა დასაბუთებული ის აზრი, რომ ქართველ ბურჟუაზიასა და ქართველ მუშებს შორის ინტერესთა არაეითარი ერთიანობა არ არსებობს; რომ ქართველ ბურჟუაზიას არ შესწევს უნარი ერის საზოგადოებრივი საქმეების გაძღოლისა; რომ არარეალურია და ფუჭი ოცნებაა ბურჟუაზიის იდეოლოგთა ყოველგვარი ცდა, გამონახონ რაღაც „საერთო ნიადაგი" კაპიტალისტებსა და მუშებს შორის შეხმატკბილებული თანამშრომლობისათვის.

„ოცნება და სინამდვილეში" ალ. წულუკიძე იხილავს და მკაცრად აკრიტიკებს ქართველი ბურჟუაზიის ცნობილი იდეოლოგის არჩილ ჯორჯაძის შეხედულებებს, მაგრამ მისი კრიტიკა შეეხება არა მარტო ა. ჯორჯაძეს, არამედ, საერთოდ, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა წარმომადგენელს. ალ. წულუკიძემ თეორიულად დაამარცხა და დასძლია ქართველი ბურჟუაზიისა და გაბურჟუების გზაზე შემდგარი შემამულეების იდეოლოგია ე. წ. ლიბერალიზმი. გამოაცალა მას ფეხქვეშ ნიადაგი და საფუძვლიანად გააქარწყლა საზოგადოებაში მისი გავლენა. „ოცნება და სინამდვილე" მარქსისტულ-ლენინური თეორიის უკვდავი ნაშრომია, ამავე დროს იგი მოწინავე ქართული მეცნიერული აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია. ამიტომ, ზედმეტი არ იქნება გავეცნოთ ამ ნაშრომს უფრო ახლოს.

2. ბრძოლა ლიბერალიზმის წინააღმდეგ. „ოცნება და სინამდვილე". საერთო ნიადაგის ბურჟუაზიული თეორიის კრიტიკა

ნაშრომში, რომლის სრული სათაურია „ოცნება და სინამდვილე (კრიტიკული შენიშვნები ბ. არჩილ ჯორჯაძის „პროგრამის" გამო)", ალ. წულუკიძე იხილავს და შემოქმედებითი მარქსიზმის პოზიციებიდან წყვეტს საზოგადოებრივი მეცნიერების ურთულეს საკითხებს, რომლებსაც მისი დროისათვის არა მარტო თეორიული, არამედ აგრეთვე, უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდათ. ნაშრომი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში ავტორი იხილავს ა. ჯორჯაძის შემცდარი შეხედულებების ზოგად თეორიულ საფუძვლებს, ხოლო მეორეში — იმ პრაქტიკულ პროგრამას, რომელიც, ა. ჯორჯაძის აზრით, მოპირდაპირე კლასების „საერთო მოქმედების" ნიადაგს წარმოადგენდა.

იხილავს რა ა. ჯორჯაძის შეხედულებათა ზოგად თეორიულ საფუძვლებს, — მის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას, ალ. წულუკიძე ნათლად და დამაჯერებლად უჩვენებს მკითხველს, რომ ქართველი ბურჟუაზიის ეს გამოჩენილი იდეოლოგი მთლიანად და სავსებით იმყოფებოდა იდეალისტური ფილოსოფიის ტყვეობაში, — იმ იდეალისტური ფილოსოფიისა, რომელიც ევროპისა და რუსეთის მოწინავე აზროვნებისათვის დიდი ხნის განვლილ საფეხურს წარმოადგენდა. მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის დებულებათა ოსტატური გამოყენებით ალ. წულუკიძე ადვილად ანგრევს და პირდაპირ აცამტვერებს ა. ჯორჯაძის იდეალისტურ-ეკლექტიკურ კონცეფციას, მაგრამ ის მარტო ამითაც არ კმაყოფილდება და ამავე დროს ცდილობს მკითხველს პოპულარული ფორმით განუმარტოს ისტორიის მატერიალისტური გაგების ძირითადი დებულებები, რითაც ხელს უწყობს მშრომელ მასებში მარქსიზმის გავრცელებას. გავეცნოთ მისი მსჯელობის რამდენიმე ნიმუშს.

ალ. ჯორჯაძის მტკიცებას, რომ თითქოს საზოგადოების კლასებად დაყოფა, მიუხედავად იმისა, რომ მას საფუძველი თვით „ხალხის მატერიალურ ცხოვრებაში აქვს“, შეიძლება ინტელიგენციის დახმარებით შევცვალოთ და მის ნაცვლად კლასთა გაერთიანება და მათი ინტერესების შერიგება მოვახდინოთო, ალ. წულუკიძე ასეთ საყურადღებო მსჯელობას უპირისპირებს:

„ვინ უნდა უარყოს „საზოგადოებისა და ხალხის დაყოფა და დაქუცმაცება“, ვინ უნდა „შეაერთოს და გაამრთელოს“ დაყოფილი და დაქუცმაცებული საზოგადოება? უეჭველია, იმან, ვისაც ამისათვის ძალ-ღონე შესწევს და შეიგნებს ამ საჭიროებას; ბ. არ. ჯორჯაძის აზრით, ასეთია ინტელიგენცია, რადგან მისი სიტყვით, „ინტელიგენცია ცხოვრების შეგნებაა, გონიერება და ამ შეგნებისა და გონიერებისდაგვარად მოქმედება“. მაშასადამე, ავტორს სწამს, რომ გონიერებას შეუძლია მოსპოს ის, რასაც „საძირკველი თვით საზოგადოებაში, ხალხის მატერიალურ ცხოვრებაშივე აქვს“, „შეარიგოს, შეაერთოს საზოგადოების ის ელემენტები, რომელნიც ერთმანეთის ეკონომიურ წინააღმდეგობაში ცხოვრობენ“...

ეს აზრი არ ახალია — ძველია. ქვეყნიერების მმართველი გონიერებააო, ამბობდნენ წარსული საუკუნის განმანათლებელნი, „კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანია“ ისტორიის შემქმნელი და წინამძღოლიო, დღესაც იმეორებენ რუსეთში „ისტორიული წერილების“ ავტორის (იგულისხმება ნაროდნიკების ცნობილი ლიდერი პ. ლავროვი, — პ. რ.) მოწაფეები. ამ ჯგუფის მოაზროვნეთა წარმოდგენით, უპირველესი კითხვაა ის, თუ როგორ უნდა მიმდინარეობდეს ისტორია, რომელია უწმინდესი იდეალი, რომ მისდაგვარად „კრიტიკულად მო-

აზროვნე ადამიანმა“ ისტორიის ჩარხიც ააბრუნოს. ბ. არჩილ ჯორჯაძის სიტყვით რომ ვთქვათ, „კაცს და იმის მოქმედებას აზრი, მიზანი და ლტოლვილება უნდა ჰქონდეს, ცხოვრების ობიექტურ პროცესს კი არავითარი აზრი, მიზანი და ლტოლვილება არა აქვს“; ინტელიგენცია უნდა განთავისუფლდეს „კაცთა ცხოვრების ვითომდა ობიექტურ (დამოუკიდებელი, უაზრო და უმიზნო) პროცესის მონობისაგან“ და „გონიერებისა და შეგნების გვარად იმოქმედოს „...ავტორი უაზრო და უმიზნო ცხოვრებას უპირდაპირებს ადამიანის აზრს, მოქმედებას, „ლტოლვილებას“[9].

საკითხის ამგვარად დაყენების უსაფუძვლობა რომ მკითხველისათვის ნათელი გახადოს, ალ. წულუკიძე დიდი მონდომებით, სიზუსტითა და ყველასათვის გასაგები ფორმით გადმოსცემს ისტორიის მარქსისტულ გაგებას, აღნიშნავს ფორმაციათა ცვლის მიზეზებსა და შინაგან კანონზომიერებებს, განმარტავს საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობათა გადამწყვეტ როლს იდეების (გონიერების) ჩამოყალიბებაში, აგრეთვე არკვევს აუცილებლობისა და თავისუფლების ფილოსოფიურ პრობლემას და, ბოლოს, ასეთ საფუძვლიან დასკვნას აკეთებს:

„ბ. არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რომელიც ობიექტური ცხოვრების მიმდინარეობას სუბიექტის აზრსა და ლტოლვილებას უპირდაპირებს — ოცნებაა, რადგან ობიექტური პროცესი სუბიექტის აზრსა და ლტოლვილებას შეიცავს და განსაზღვრავს. ეს ობიექტური პროცესი იმავე სუბიექტთა საშუალებებით ხდება და რამდენად ადამიანის „აზრი და ლტოლვილება“ შეესაბამება ცხოვრების მიმდინარეობას, იმდენად ცხოვრების წინსვლა უზრუნველყოფილია და პიროვნება აუცილებლობის შეგნებით თავისუფლებას იძენს“[10].

ამის შემდეგ ავტორი საგანგებოდ ჩერდება ინტელიგენციის (გონიერების) როლზე და შესანიშნავად გადმოსცემს ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში ინტელიგენციის როლის მარქსისტულ-ლენინურ გაგებას. ალ. წულუკიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იმ დროს, როდესაც არა მარტო ნაროდნიკ-იდეალისტებს, არამედ მარქსისტული მოძღვრების მომხრე მოაზროვნეთა დიდ ნაწილსაც არა სწორად ესმოდა ინტელიგენციის საზოგადოებრივი როლი და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამახინჯებდა მის ნამდვილ, მარქსისტულ გაგებას, ალ. წულუკიძემ შესძლო ამ ურთულესი საკითხის დიალექტიკურ-მატერიალისტური პრინციპების მიხედვით განხილვა და მწყობრად,

---

[9] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 142—143.
[10] ი ქ ვ ე, გვ. 178—179.

ლოგიკურად ჩამოაყალიბა პრობლემის დედააზრი. აი, რა შესანიშნავად მსჯელობს იგი ამ საკითხზე:

„გონიერება ხომ ციდან ჩამოვარდნილი მანანა არ არის, იგი განსაზღვრულ პირობებში ვითარდება და განსაზღვრული მასალით შეუძლია ისარგებლოს, ის ხომ თვით ისტორიულ ცვლილებათა შედეგია და გარეშე პირობების ნაყოფი; სოციალურ ცხოვრებაში შემუშავებული გონიერება სოციალური მცნებაა და ამიტომ შეუძლია მხოლოდ არსებული სოციალური ძალების შეთანხმებით ასეთი თუ ისეთი მოქმედება გამოიჩინოს. არისტოტელიც „გონიერება“ იყო, ე. ი. ინტელიგენტი, მხოლოდ მისი შეხედულება მონობაზე, ვიცი, ბ. არჩილ ჯორჯაძის ნაზ ბუნებას არ მოეწონება დღეს: ადამ სმიტი, რიკარდო „გონიერება“ იყვნენ, ე. ი. ინტელიგენტები, მხოლოდ თანამედროვე წყობილება უცვლელად, მუდმივად მიაჩნდათ და ამ „შეგნების და გვარად“ ცხოვრების აქა-იქ გაშალაშინებას ცდილობდნენ, მაშინ როდესაც, თვით ბ. არჩილ ჯორჯაძემაც აღიარა, რომ ადრე თუ გვიან არსებული წყობილება უნდა შეიცვალოსო. მის მიერ ათვალწუნებული მარქსისტები (არ შეკრთეთ, ბ. ჯორჯაძე, ჩვენები კი არა, თუ გინდ ევროპიელნი), რომელნიც შეურიგებელ ანტაგონიზმს პოვებენ კლასთა შორის არსებულ წყობილებაში და ადამიანთა „აზრს“, „იდეალს“ და „ლტოლვილებას“ „უაზრო ობიექტურ ცხოვრების პროცესს“ უმორჩილებენ „ ესენიც ხომ გონივრებაა, ე. ი. ინტელიგენტები, მხოლოდ მათი შეხედულება ცხოვრებაზე სრულიად არ ეთანხმება არისტოტელეს, სმიტ-რიკარდოს და მით უმეტეს ბ. არჩილ ჯორჯაძისას. ბ. ილია ჭავჭავაძე ხომ „გონიერებაა“, ე. ი. ინტელიგენტი, მაგრამ ბ. არჩილ ჯორჯაძემ „მოამბიდან“ გვამცნო (მართალია მოწიწებით, მაგრამ მაინც), რომ პოეტის ეკონომიური შეხედულება მას არ აკმაყოფილებს, მის „გონიერებას“ არ ეთანხმება, ახლა უნდა ახალი სული ჩაბეროს „კაცია-ადამიანის“ ავტორის გონიერებას. ეგებ მარტო და მხოლოდ ის არის „გონიერება“, ე. ი. ინტელიგენტი, ვინც ცხოვრებას ჯორჯაძისებურად შეიგნებს და მის „გონიერების“ დაგვარად იმოქმედებს?“[11].

როგორც ვხედავთ, „გონიერებას“ ანუ ინტელიგენციის აზროვნებას ალ. წულუკიძე განიხილავს როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების პროდუქტს, რომელიც იცვლება და ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად. მაგრამ შეუძლია თუ არა ინტელიგენტს, რომელიც ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში მოღვაწეობს, ყველა კლასის ინტერესები ერთნაირად დაიცვას და ერთ რომელიმე კლასს არ მიეკედლოს? სხვა სიტყვებით

---

[11] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 152—153.

რომ ვთქვათ, შეუძლია თუ არა ამა თუ იმ მოღვაწეს მოპირდაპირე კლასის ინტერესებზე მაღლა დადგეს და მთელი ერის ინტერესების დამცველად, ყველა კლასის საერთო ძიძად მოგვევლინოს? ამ კითხვას ალ. წულუკიძე სრულიად გარკვეულსა და ნათელ პასუხს აძლევს:

„იქ, სადაც ცხოვრების შინაარსს მოწინააღმდეგე ჯგუფთა ინტერესების შეტაკება წარმოადგენს და ერთის გამარჯვება დამყარებულია მეორეს დამარცხებაზე. ყველაზე თანასწორი ძიძაობა შეუძლებელია: ან ერთს უნდა აწოვოს ინტელიგენტმა თავისი გონიერების ძუძუ ან მეორეს: გონიერებას შეუძლია თავისი ოცნების კოშკი ტომას მორის კუნძულზე ააგოს. მხოლოდ გონიერებას არ შეუძლია პრაქტიკულ მოქმედებაში ჩაებას და არც წვადი დასწვას, არც შამფური, ყველას ერთნაირად მოუხდეს მისი მალამო[12].

ესაა შესანიშნავი მსჯელობა, რომელსაც თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს, რადგან ამჟამადაც მოიპოვებიან მკვლევრები, რომლებიც საწინააღმდეგოს დამტკიცებას ცდილობენ.

თავის მსჯელობას ინტელიგენციის როლზე ალ. წულუკიძე შემდეგი, საკმაოდ სწორი და სამართლიანი დასკვნით ამთავრებს:

„ინტელიგენცია არ წარმოადგენს ერთ მთელს, განუყოფელ ჯგუფს, რადგან თანამედროვე ცხოვრების ინტერესების წინააღმდეგობა რამდენიმე შეუთანხმებელ იდეოლოგიურ მიმართულებას ბადებს, და ყოველი ახრი, საზოგადოებრივი კითხვის გამოსარკვევად წარმოთქმული, რომელიმე ამ მიმართულების გამოსარჩლება იქნება: ამიტომ ინტელიგენტების „აზრნი და ღტოლვილებანი“ სხვადასხვა „ნიადაგზე“ აღმოცენებულნი არიან და ამის გამო მრავალგვარი და მრავალფეროვანია[13]“.

რაც შეეხება საკუთრივ ევროპის ბურჟუაზიული ინტელიგენციის როლს და ა. ჯორჯაძის ცდას, წარმოადგინოს იგი როგორც ხალხის უანგარო სამსახურის ნიმუში, ამაზეც ა. წულუკიძე უაღრესად ზუსტსა და მეცნიერულად დასაბუთებულ პასუხს აძლევს. ის ამბობს:

„ბურჟუაზია იბრძოდა ფეოდალური პრივილეგიების დასამხობად, ბურჟუაზია დაეძებდა თავისუფალ მუშახელს. ბურჟუაზიას უნდოდა ვაჭრობის სრული თავისუფლება. თავისუფლებას ის იმიტომ სჭედდა, რომ ქარხნები თავისუფლად აემუშავებინა და დამტვრეული ფეოდალიზმის ბორკილიდან ფეხამოდგმული უარეს ბორკილებს აბამს სხვებს: ეს „სხვები“ იყო სწორედ ის, ვინაც ის ბორკილები დაამსხვრევინა, ვისაც „ძმობის, ერთობის და თავისუფლების“ ქადაგით თან მიითრევდა; მას გაუბატონდა, მასთან ერთობას ის აღარ კადრულობს და მისი

---

12 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 153.

13 ი ქ ვ ე, გვ. 179.

თავისუფლება ბაჯაღლოებთან ერთად ჯიბეში უფართხალებს. დიახ, ბურჟუაზიის ინტელიგენცია იბრძოდა მხოლოდ და მხოლოდ ამისათვის... მაშინდელ მოღვაწეებში ჩვენთვის ბევრი სიმპატიური პირი ურევია, მხოლოდ ჩვენ ვამბობთ საზოგადოდ ინტელიგენციაზე და არა თითოროლა პირზე[14]".

აქედან სავსებით ცხადია, რომ ევროპის ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგების ხალხისადმი უანგარო სამსახურზე ლაპარაკიც არ შეიძლება, მაგრამ იქნებ ქართველი ბურჟუაზია და მისი იდეოლოგი ა. ჯორჯაძე იღვწიან დემოკრატიის (ხალხის) ინტერესებისათვის და ამიტომაც წამოაყენეს მოწინააღმდეგე კლასთა „საერთო მოქმედების" თეორია, რომელმაც ქართველი კაპიტალისტებისა და ქართველი მუშების ინტერესები უნდა შეარიგოს?

ამ კითხვის გარკვევას ეძღვნება „ოცნება და სინამდვილის" მეორე ნაწილი. აქ განხილულია სამი უმთავრესი კითხვა ჩვენი ცხოვრებისა, რომელთა გარკვევაში, ა. ჯორჯაძის აზრით, — „ჩვენს მოპირდაპირე დასებს საერთო მოქმედება შეუძლიათ". ეს კითხვებია: „ა) ქართული ენის დაცვა; ბ) ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და დ) ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა".

ალ. წულუკიძე იწყებს მეორე კითხვის გარკვევით. „კაპიტალის" შესანიშნავი ცოდნა მას საშუალებას აძლევს სულ ადვილად გააბათილოს ა. ჯორჯაძის მცდარი დებულებები და ის აზრი დაასაბუთოს, რომ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება თვითონ ქმნის პირობებს კლასთა ბრძოლის გამწვავებისათვის და ამით არა თუ ხელს არ უწყობს, არამედ ყოველგვარ საფუძველს აცლის მოპირდაპირე კლასთა თანამშრომლობის „საერთო ნიადაგს". ა. ჯორჯაძის დებულებას იმის შესახებ, რომ „ქართველ ვაჭარ-მრეწველთა გამრავლება და მუშათა რიცხვის ზრდა ქალაქებში — კლასთა ბრძოლის ნიადაგად კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ აუცილებელ პირობად ჩვენი ხალხის ნაციონალურ აღორძინებისაო", ალ. წულუკიძე შემდეგი, სრულიად საფუძვლიანი მსჯელობით არღვევს:

„კლასთა ბრძოლა და ნაციონალური აღორძინება ერთმანეთს სრულიად არ უარყოფენ, წინააღმდეგ, ორივეს ერთი წყარო აქვს — ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და ერთიმეორის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენენ. ამას მოწმობს მთელი ევროპის ისტორია: ყველა ერი ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებამ განავითარა; საქართველოს გაფანტული და დაჩუცმაცებული ნაწილები ეკონომიურად ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებამ ერთმანეთს დაუკავშირა... მხოლოდ არცერთი ევროპის ერთაგანი კლასთა ბრძოლას არ

---

14 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 154.

გადარჩენია და „საერთო მოქმედების ნიადაგზე“ ვერც ერთმა ფეხი ვერ მოიკიდა, თუმცა მათ ბ. არჩილ ჯორჯაძეზე არა ნაკლები მქადაგებლები ჰყავდათ... მიზეზი ცხადია. თანამედროვე კაპიტალისტური წარმოება აშენებულია ზედმეტ ღირებულებაზე, რომელიც წარმოადგენს უყიდველ შრომას, მუქთად დასაკუთრებულ მშრომელის ძალას... ამიტომ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება ამ წინააღმდეგობის განვითარებას მოასწავებს. „ვაჭარ-მრეწველთა გამრავლება და მუშათა რიცხვის ზრდა ქალაქებში“ „კლასთა ბრძოლის ნიადაგს“ თვითვე ქმნის და ბ. არჩილ ჯორჯაძეს ცხოვრება სულაც არ დაეკითხება ამის შესახებ“[15].

შემდეგ:

„მწარმოებლის ზედმეტ შრომას არა მწარმოებელი ისაკუთრებს; ამნაირად, საზოგადოებრივი ნაწარმოები, მწარმოებელთა შეერთებული ძალით გაკეთებული, კერძო ადამიანის საკუთრება ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ადამიანი მასალისა და იარაღის მესაკუთრე არის. ეს არსებითი წინააღმდეგობა დღევანდელი კაპიტალისტური წარმოებისა მუდმივს, დაუცხრომელს ანტაგონიზმს ამყარებს მწარმოებელსა და საწარმოო იარაღის მესაკუთრეს შორის. ვაჭრობა-მრეწველობის ზრდა საქონლის წარმოების ზრდას მოასწავებს, მხოლოდ, რადგან, ეს უკანასკნელი ხსენებული წინააღმდეგობის გამწვავებაა, ამიტომ „საერთო ნიადაგი“ თანდათან ფეხიდან ეცლებათ, კლასთა შორის ბრძოლა ცნობიერდება და მოწინააღმდეგენი გაწვრთნილნი და გამობრძმედილნი მეტის ცოდნითა და მოხერხებით უთვალთვალებენ ერთმანეთს დასამარცხებლად. ბ. არჩილ ჯორჯაძეს სწორედ აქ მოუწადინებია „ხიდის“ გადება, მაგრამ რადგან ორივე მხრიდან ყოველთვის ანგრევდნენ ხოლმე ასეთ ხიდებს და საცალფეხო ბოგირებიც მხოლოდ დროებითი ყოფილა, ამიტომ ავტორი ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზე ხატავს, ისიც იმნაირად, რომ მის ხიდს ვერც ერთ მხარეზე, ვერც შეორეზე თავი ვერ მოუკიდებია“[16].

ასე საფუძვლიანად, თანაც ხატოვნად, ყველასათვის მისაწვდომად და გასაგებად, ასაბუთებს ალ. წულუკიძე „საერთო ნიადაგის“ ბურჟუაზიული თეორიის სიყალბეს და უნიადაგობას. დიდი რევოლუციონერი პირდაპირ სასაცილოდ იგდებს ა. ჯორჯაძის იდეალისტურ თეზისს, რომლის თანახმად მშრომელმა ხალხმა საკუთარი ინტერესები „საერთო ინტერესებზე“ (ე. ი. ბურჟუაზიის ინტერესებზე) დაბლა უნდა დააყენოს, რათა ამით თავისი ე. წ. „საზოგადო თვითცნობიერება“ დაამტკიცოს. მშრომელთა ინტერესების უსაზღვროდ ერთგული

---

15 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 156—157.

16 იქვე, გვ. 159—160.

მებრძოლი გულისტკივილით და აღშფოთებით ლაპარაკობს „ფეხშიშველთა“ რაზმზე, რომელსაც უღალატებენ, შენი ინტერესები კაპიტალისტთა ინტერესებს უნდა დაუმორჩილო, თუ გსურს ერის წინსვლა და ბედნიერებაო. ასეთ ღალატს ალ. წულუკიძე, სრულიად სამართლიანად, უდაბნოში მოღალატეების ხმად მიიჩნევს და ბავშვურ ტიტინს ადარებს. ის ამბობს:

„თქვენს წინაშე დგას „ფეხშიშველთა“ რაზმი, ტანჯვითა და წვალებით მოზარდი, რომელსაც საზოგადოების უმცირესი, მხოლოდ უძლიერესი ნაწილი საარსებო ლუკმას პირიდან სტაცებს, სტაცებს არა მოკლე ხნით და შემთხვევით, არამედ ხანგრძლივ და სისტემატურად. ეს მტაცებლობა მისი არსებობის პირობად გადაქცეულა და მხოლოდ ამ წინააღმდეგობის შეგნებით, ამ მტაცებლობის პირობების გამორკვევით, კლასიკური თვითცნობიერების განმტკიცებით შეუძლია „ხალხს“ ტანჯვა შეიმსუბუქოს და სანეტარო მომავალს მიუახლოვდეს და ამ დროს მოესმის ზევიდან დარიგების ხმა: „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენი“, გაუყარე ხელი შენს მოწინააღმდეგეებს, დაივიწყე შენი გულის ვარამი, თუმცა ამით შენი მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება, მაგრამ შენ „საზოგადო თვითცნობიერების სიმწიფეს დაამტკიცებ“. მით უფრო დიდი „საერო“ საქმე გაკეთდებაო! ეს ხმა უეჭველია მღალატებლის ხმაა უდაბნოში; ამას მოწმობს მთელი წარსული ი'ტორია ევროპისა, დღევანდელი ცხოვრების ვითარების განმარტება და თვით ბ. არჩილ ჯორჯაძის მუდარა, რომელიც მწვავე შეტაკების დროს რაღაც ბავშვურ ტიტინად მოისმის და მწარე ჭრილობას პირველ დახმარებითი მალამოდაც ვერ გამოადგება“[17].

ასევე უსაფუძვლოდ, არარეალურად და უსარგებლოდ მიიჩნევს ალ. წულუკიძე მოწინააღმდეგის იმ აზრსაც, რომ თითქოს ე. წ. „მფარველობითი სისტემის“ შემოღებით, აგრეთვე სინდიკატებისა და ამხანაგობების დაარსებით შეიძლებოდეს საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და ამ გზით ერის გამდიდრება. ემყარება რა კ. მარქსის პოლიტიკური ეკონომიის ურყევ დებულებებს, იგი ნათლად და დამაჯერებლად განუმარტავს მკითხველს, რომ „მფარველობითი სისტემაც“, სინდიკატებიცა და სხვადასხვა ამხანაგობებიც ბურჟუაზიული წყობილების პირობებში მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებიან და ხალხის კეთილდღეობისათვის არავითარ „საერთო ნიადაგს“ არ ქმნიან.

ალ. წულუკიძე არ კმაყოფილდება „საერთო ნიადაგის“ თეორიის ძირითად დებულებათა კრიტიკით, მათი უსაფუძვლობის დასაბუთებით. ის ფეხდაფეხ მიჰყვება მოწინააღმდეგის აზრის დენას და ააშკა-

---

[17] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 160—161.

რავებს ა. ჯორჯაძის მსოფლმხედველობის კლასობრივ (ბურჟუაზიულ) ბუნებას; ალ. წულუკიძე მეცნიერულად ასაბუთებს იმ აზრს, რომ ა. ჯორჯაძის ვითომდა „დემოკრატიული ინტერესები" სინამდვილეში წმინდა ბურჟუაზიულია, ე. ი. კაპიტალისტთა კლასის ინტერესებია. მისი დასკვნითი მსჯელობა ამ საკითხზე პირდაპირ მათემატიკური სიზუსტით გადმოგვცემს საკითხის არსს და აშიშველებს ა. ჯორჯაძის როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგ.ს პოზიციას. აი ეს მსჯელობაც:

„ბ. არჩილ ჯორჯაძის „დემოკრატიული ინტერესები" — ბურჟუაზიულია; კლასთა ბრძოლის გადაფუჩეჩება მისთვის საერო ინტერესს წარმოადგენს, რომელსაც „მშრომელმა ხალხმა თავისი კერძო ინტერესები" უნდა უმსხვერპლოს; მხოლოდ, რადგან ეს „ხალხი" უმეტესობას შეადგენს და საერო ინტერესებს მისი ინტერესები წარმოადგენენ, ამიტომ ბ. არჩილ ჯორჯაძე ეროვნული ინტერესების სახით უმცირესობის, არა მწარმოებელთა ინტერესებს იცავს. სწორედ ეს ხდის ავტორის „ინტერესებს" არა დემოკრატიულად, არამედ ნამდვილ ბურჟუაზიულად"[18].

განსაკუთრებით საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანია „ოცნება და სინამდვილის" ავტორის მსჯელობა ქართული ენისა და საერთოდ ქართული კულტურის განვითარებაში ეროვნული ბურჟუაზიის როლის ირგვლივ. ზემოთ ჩვენ ნაწილობრივ უკვე გვქონდა ამ თემაზე საუბარი, მაგრამ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება კვლავ შევეხოთ ამ უაღრესად საინტერესო საკითხის ზოგიერთ ასპექტს.

თუ რამდენად ორიგინალური და ახალი იყო იმ დროისათვის „ოცნება და სინამდვილეში" ქართული ენის შესახებ გამოთქმული შეხედულებანი. ამას მოწმობს ალ. წულუკიძის ის პრინციპული მნიშვნელობის განცხადება, რომელიც მას თავისი მსჯელობისათვის ნაშრომის სქოლიოში წაუმძღვარებია. აი, რა არის ხსენებულ სქოლიოში ნათქვამი:

„იმის თქმა, რომ ენა, ლიტერატურა ყველასათვის ერთნაირად ძვირფასი და საპატრონოა, არაფერს არ არკვევს. ეს მხოლოდ შაბლონური აზრის განმეორებაა, რომელსაც საზოგადოებრივი თვითცნობიერებისათვის არავითარი სარგებლობა არა აქვს. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჩვენ, ენის, როგორც სოციალური ურთიერთობის (იარაღის). მხარეს ვეხებით და მით სრული წინააღმდეგი ვხვდებით იმ წარმოდგენისა, რომელიც საზოგადოებაში გამეფებულა. ამ გამეფებას არა ერთხელ უწყობდა ხელს თვით ჩვენი პრინციპიალური თანამოაზრეების ბუნდოვანი საუბარი ამ საგნის შესახებ. მხოლოდ დროა

---

[18] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 179.

ამ ბუნდოვნებას ბოლო მოეღოს და საგანი ისე გავიცნოთ, როგორც არის"[19].

მაგრამ როგორ უნდა გავიცნოთ საგანი, „ისე, როგორც არის", ე. ი. როგორ გამოვარკვიოთ ენის ნამდვილი დანიშნულება და მისი განვითარების კანონზომიერება?

ალ. წულუკიძე ენის დანიშნულებისა და განვითარების პრობლემას სოციალური თვალსაზრისით განიხილავს, მაგრამ იგი ენას ზედნაშენურ კატეგორიად და კლასობრივ მოვლენად კი არ აცხადებს, როგორც ამას მარქსიზმის ვულგარიზატორები (მაგალითად, ნ. მარი და მისი მოწაფეები) სჩადიოდნენ, არამედ ენას მიიჩნევს საზოგადოების ყველა კლასის ერთობლივი შემოქმედების ნაყოფად და მთელი საზოგადოების სულიერი ურთიერთობის იარაღად. იგი არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ენა „ყველასათვის სახმარებელია" და ამიტომ „მის განვითარებაში საზოგადოების ყველა ელემენტი მონაწილეობას ღებულობსო". აი, მისი სიტყვები:

„ენა არის სულიერი ურთიერთობის იარაღი, რომელსაც მოხმარება ეპირვება, ასეთი თუ ისეთი წარმართვა უნდა. ცხოვრების საჭიროება თვითეულ საზოგადოებრივ ჯგუფს განსაზღვრულ პირობებში აყენებს, მხოლოდ ეს პირობები შესაფერ მიზანს უსახავს და ამ მიზნისაკენ არის მიმართული ყველა სოციალური იარაღი... მოწინააღმდეგეთა ინტერესების განვითარების დროს ენაც ვითარდება და მის განვითარებაში ყველა საზოგადოებრივი ელემენტი მონაწილეობას ღებულობს ისე, როგორც ყველა მეომარი ერთნაირად ცდილობს საომარი იარაღების გაუმჯობესებას; მხოლოდ სულიერი იარაღი მით განსხვავდება უკანასკნელისაგან, რომ ის უფრო ნაზია, რთული და მრავალ მისწრაფებათა გამომთქმელი. ამიტომ ენაც ადვილი მისაჩნევია „საერთო ნიადაგად", რამდენადაც ის ყველასათვის სახმარებელია, ის „საერთო ნიადაგს" წარმოადგენს, ისე როგორც ბრძოლის ველი"[20].

ყოველივე ეს უდავო ჭეშმარიტებაა, მაგრამ ალ. წულუკიძე ენის ანალიზს მარტო ამ ჭეშმარიტებათა დასაბუთებაზე როდი აჩერებს; იგი უფრო შორს მიდის და მარქსისტული დიალექტიკის ოსტატური გამოყენებით იმ აზრს ასაბუთებს, რომ ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში ენას სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები ურთიერთ ბრძოლის იარაღად იყენებენ და ამიტომ იგი მათ შორის თანამშრომლობის „საერთო ნიადაგად" კი არა, ურთიერთ ბრძოლისა და ხსენებული „საერთო ნიადაგის" ნგრევის, მოსპობის იარაღად ხდება. ამით აიხსნება, რომ ენის განვითარებით ყველა კლასი ყოველ-

---

19 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, ნაშრომები, 1967, გვ. 167.

20 იქვე, გვ. 166—167.

თვის ერთნაირად როდია დაინტერესებული; ისტორიაში არაიშვიათად იქმნება ისეთი სიტუაცია, როცა ქვეყნის გაბატონებული კლასი სრულიადაც არ არის დაინტერესებული მშობლიური ენის (და საერთოდ კულტურის) განვითარებით. აი, როგორ მსჯელობს ამ საკითხზე ალ. წულუკიძე:

„მას შემდეგ, რაც საზოგადოება ჯგუფებად დაიყო და ამ ჯგუფთა შეტაკება შეიქნა ისტორიის შინაარსი, მათი ცხოვრების ძარღვი, ამ ცხოვრების იარაღსაც — ენას, რომელიც მათი სოციალური ურთიერთობის სულიერი მხარის გამომთქმელია, თვითეული საზოგადოებრივი ჯგუფი თავისებურად ხმარობდა, თავისი ინტერესების დასაცველად იმარჯვებდა... მხოლოდ რამდენად ამ სულიერი გამოხატულებით გამოითქმის დამალული სოციალური წინააღმდეგობა, იმდენად იგი იარაღია ერთი მეორის დასამარცხებლად მოსახმარი. თქმა არ უნდა, უველასათვის სასურველია ამ იარაღის გამახვილება, მხოლოდ ეს განვითარება ხდება არა „საერთო მოქმედების ნიადაგად“, არამედ ამ „ნიადაგის“ აღმოსაფხვრელად, მოსასპობად. სანამ თანამედროვე ცხოვრების პირობები არსებობენ, მისი ძირითადი წინააღმდეგობა ფესვიანად არ ამოთხრილა, მანამ არ არის „საერთო ნიადაგი“, მხოლოდ მომავალი ერთ დიდ „საერთო მოქმედების ნიადაგს“ გვიმზადებს, რომელზედაც უველა „საფუძვლები“ გამოიცვლება. შური და მტრობა მოისპობა და მუდმივი წინააღმდეგობა ნამდვილ საერთო მისწრაფებად შეიცვლება“[21].

ემყარება რა ასეთ თვალსაზრისს, ალ. წულუკიძე ინგლისის ისტორიის მაგალითზე ნათელჰყოფს, რომ ევროპის მოწინავე ქვეყნების ბურჟუაზია თავისი საკუთარი ინტერესების გულისათვის აკეთებდა პროგრესულ საქმეს — ავითარებდა მშობლიურ ენას, მაგრამ საქართველოში „ეს მისიაც ნაკლებად არგუნა ბედმა ჩვენს ბურჟუაზიას: იგი თავის სამშობლოს იმ სამსახურს ვერ გაუწევს, რომელიც ინგლისელმა თავისი ინტერესების დასაცავად ინგლისს გაუწია“[22].

ალ. წულუკიძის ეს დასკვნა ემყარება მისი დროის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე ფხიზელ დაკვირვებასა და მეცნიერულ ანალიზს. ასეთივე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგია ის დიდი ისტორიული ოპტიმიზმი ქართული ენისა და კულტურის განვითარების პერსპექტივებისადმი, რომელიც ალ. წულუკიძის თითქმის უველა ნაშრომში გამოსჭვივის. დიდი პროლეტარული რევოლუციონერი და მოაზროვნე, ქართველი ბურჟუაზიის უბადრუკობისა და უმწეობის მიუხედავად, დარწმუნებულია, რომ ქართველი ხალხის სულიერი

---

21 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 166—167.

22 იქვე, გვ. 169.

კულტურის განვითარება არ შეფერხდება, რადგან ამ დიდ კულტურულ-ისტორიულ მისიას შეასრულებს საქართველოს მშრომელი ხალხი, პირველ რიგში კი ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასი. შესანიშნავად ჟღერს ქართული ენის განვითარების პერსპექტიებზე ალ. წულუკიძის დასკვნითი სიტყვები:

„მაშ ქართულ ენას განადგურება მოელის, მისი განვითარება შეუძლებელია, მისი არსებობა ხანმოკლე ყოფილა?“ — მოუთმენლად შეგვეკითხება ბ. არჩილ ჯორჯაძე და, შეიძლება, ბევრი სხვაც. — უეჭველია, ის სანეტარო დღეები, რომლებიც ევროპის მწერლობას, ენასა და მეცნიერებას ხვდა წილად, ჩვენთვის ჯერ კიდევ საოცნებოა. მხოლოდ სასოწარკვეთილება, ჩვენის აზრით, უსაფუძვლო იქნება, რადგან თუ ევროპაში ბურჟუაზია იყო ერის სულიერი სიმდიდრის განმავითარებელი, ჩვენში საზოგადოების მეორე კლასი იქნება, — ეს კლასია მატერიალურად ხელმოკლე და გონებრივად ახლად აღორძინებული მშრომელი ხალხი. მძიმე ტვირთი აწევს მას კისერზე, მხოლოდ მისი დასავლეთელი თანამოძმეების ისტორია, წარსული ცხოვრების მაგალითები, თანამედროვე პირობების აუტანელი სიმძიმე საუკეთესო განმავითარებელი სკოლაა მისთვის და ის ამ შეძენილ ცოდნას მთელი ერის საკეთილდღეოდ გამოიყენებს. ის უნდა გახდეს ცხოვრების წინსვლის მებაირახტრე და მან უნდა გააკეთოს დიადი „საერო“ საქმე! ბევრს ეს სიტყვები, ვიცი, ღიმილს მოჰგვრის, ბევრისათვის გაუგებარია ხალხის ასეთი სიძლიერე, რადგან მათი „არისტოკრატიული სინაზე“ ვერ შერიგებია მუშის ტლანქ შეხედულებას, ვერ გაუგია, რომ მის ღარიბ ტანისამოსში გახვეულია ძლიერი ძალა... ჩვენი „ხალხი“ ქართულ ენაზე ღებულობს პირველდაწყებით საზრდოს გონებისას, ამ ენაზე უზიარებს თანამოძმეებს თავის ჭირ-ვარამს, მის ოჯახში... ქართული ენაა გამეფებული, ის აწყდება თეატრის კარებს ქართული წარმოდგენების დროს, სულგანაბული ყურს უგდებს ქართველ „ლექტორებს“ და ამიტომ „სახალხო მოღვაწეობაც“ თავიდანვე ხალხის საქმედ ხღება ჩვენში“[23].

ასე გააცალკევა, დააშორიშორა და ერთმანეთს დაუპირისპირა ალ. წულუკიძემ ქართველი ბურჟუაზიისა და საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესები. ზედმეტია იმაზე სიტყვის გაგრძელება, რომ ამ დაპირისპირებას საფუძველი თვით საქართველოს იმდროინდელ ცხოვრებაში ჰქონდა და ამიტომ კაპიტალისტთა და მშრომელთა ინტერესების შერიგება, მათი თანამშრომლობისათვის რაღაც „საერთო ნიადაგის“ გამოძებნა, ყოვლად უიმედო საქმე იყო.

დაბოლოს, ალ. წულუკიძე იხილავს და საფუძვლიანად აბათილებს

---

[23] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 170—171.

ა. ჯორჯაძის კიდევ ერთ ოცნებას, — „ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენის" თეზისს. იგი გადაჭრით უარყოფს ა. ჯორჯაძის მტკიცებას, თითქოს შესაძლებელი იყოს ეკონომიური ცხოვრების კანონების ჩვენს სურვილებზე შეცვლა და გაღატაკებული ქართველების ხელში მეურნეობის (მიწის) შერჩენა, იგი გადაჭრით უარყოფს აგრეთვე ა. ჯორჯაძის აზრს, თითქოს მიწის შეძენის სურვილი ქართველი გლეხის რაღაც განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს. მოვუსმინოთ:

„ჩვენს გლეხებს, როგორც თვითონ ბ. არჩილ ჯორჯაძე ამბობს, ძალიან ცოტა მიწა აქვთ, მაგრამ ეს რა უნდა იყოს, როცა „ჩვენი თვალსაჩინო თვისება ინდივიდუალიზმია, სურვილი მიწის შეძენისა და მასზე, გამაგრებისაო", გვიქადაგებს ბ. ჯორჯაძე. მერე რომელი ერის გლეხს არა აქვს ასეთი თვისება? ფრანგს, გერმანელს, ბულგარელს, რუსს, — ყველას თვისებას შეადგენს „სურვილი მიწის შეძენისა და მასზედ გამაგრებისა", ყველას უყვარს ის ადგილი, სადაც „შობილა, გაზრდილა და უსროლია ისარი", „სად მამა-პაპა ეგულეის" და ეს ბუნებრივი კანონია, რომელსაც ყველა ერთნაირად ემორჩილება და იგი ქართველი გლეხის განმასხვავებელ „თვისებას" არ შეადგენს. საქმე იმაშია, თუ რამდენად განსახორციელებელია ეს სურვილი"[24].

რაც შეეხება საკრედიტო დაწესებულებებს, კერძოდ კი ე. წ. „საგლეხო ბანკს", რომელსაც ა. ჯორჯაძის აზრით, თითქოს შეეძლო გლეხისათვის მიწის შეძენაში არსებითი დახმარების გაწევა, ა. წულუკიძე დაწვრილებით იხილავს ამ საკითხს. მეცნიერულად არკვევს სხენებული დაწესებულებების ნამდვილ დანიშნულებას და იმ აზრს ასაბუთებს, რომ ასეთი ბანკების საშუალებით მიწის შეძენა მდიდარი გლეხისთვისაც კი საზარალოა, ხოლო ღატაკთათვის სრულიად მიუწვდომელიო. აი, როგორ მსჯელობს იგი ე. წ. „საგლეხო ბანკის" შესახებ, რომელიც რუსეთში 1882 წლიდან მოქმედებდა:

„ეს ბანკი ისეთივე კომერციული დაწესებულებაა, როგორც ყველა სხვა ბანკები. მას საკუთარი ინტერესები აქვს, რომლებიც აიძულებს თავისი ქონება უკლებლად დაიცვას და ის მაინც არ დაკარგოს, რაც გაუცია. ამიტომ მსესხებელი ქონებრივად საიმედო უნდა იყოს... ფულის სესხება რთულ პროცესს წარმოადგენს (თანდებლობა, თხოვნა, ნასყიდობის შესრულება და სხვ.). გასაჭირია $7^1/_2$—$8^1/_2$ პროცენტი გლეხისათვის და ამიტომ მისი ამღები ყოველთვის შეძლებული გლეხი რჩება; მამულების ყიდვა კი ამ ბანკებით სრულიად საზარალოა... რასაკვირველია სოფლის პროლეტარიატი და გლეხთა ის ნაწილი, რომელსაც თავისი სარჩენი მიწა-წყალი არ აბადია (მხოლოდ უმეტე-

---

24 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 173—174.

სობა ესენი არიან რუსეთშიაც და ჩვენშიაც) ამნაირ უხეირო შემწეობასაც მოკლებულნი არიან, რადგან კრედიტებისათვის „სანდო" პირები არ არიან"[25].

ასეთია „ოცნება და სინამდვილის" მოკლე შინაარსი. ამ შესანიშნავმა ნაწარმოებმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ქართველი ბურჟუაზიისა და გაბურჟუების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის იდეოლოგიას — ლიბერალიზმს. მან თეორიულადაც და ისტორიულადაც დაასაბუთა ბურჟუაზიის იდეოლოგთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების სრული უმწეობა, გააბათილა და გააქარწყლა კლასთა „საერთო ნიადაგის" ყალბი თეორია და მეცნიერული სიზუსტით დაამტკიცა, რომ ლიბერალთა ე. წ. „დემოკრატიული ინტერესები" სინამდვილეში ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებია და ქართველი ერის ნამდვილ ინტერესებთან მას არსებითად საერთო არაფერი აქვს. „ოცნება და სინამდვილემ" შეასრულა დიდი ისტორიული ამოცანა: მან, ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს, საქართველოში ლიბერალიზმი გამოჰყო დემოკრატიისაგან, — გამოჰყო დამაჯერებლად, საფუძვლიანად. მეცნიერული საბუთიანობით.

თუ რამდენად დიდმნიშვნელოვანი იყო ამ ამოცანის შესრულება, ამას მოწმობს ვ. ი. ლენინის არაერთგზის მითითება დემოკრატიისაგან ლიბერალიზმის გამოყოფის აუცილებლობაზე. „ოცნება და სინამდვილის" გამოქვეყნებიდან მრავალი წლის შემდეგაც კი, სახელდობრ 1913 წელს, ვ. ი. ლენინი ამ პრობლემის გადაწყვეტას რუსეთის მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდა. ამ საკითხისადმი საგანგებოდ მიძღვნილ სტატიაში, რომლის სათაურია „ლიბერალიზმის გამოყოფა დემოკრატიისაგან" (1913 წ.), ლენინი ამბობს:

„რუსეთში დემოკრატიისაგან ლიბერალიზმის გამოყოფის საკითხი მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია...

რუსეთის დემოკრატია ერთ სერიოზულ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს ისე, თუ ვერ შეიგნო ის ღრმა კლასობრივი ფესვები, რომლებიც ლიბერალიზმს ჰ ყ ო ფ ს დემოკრატიისაგან, — თუ ეს შეგნება ვერ გაავრცელა მ ა ს ე ბ შ ი, — და ამრიგად თუ ვერ ისწავლა „საბალხო თავისუფლების" საქმისათვის ლიბერალიზმის ღალატისა და მერყეობის ნეიტრალიზება. უამისოდ — ზედმეტია ტყუილად ლაპარაკი განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებათა შესახებ"[26].

ალ. წულუკიძეს ზედმიწევნით ჰქონია შეგნებული ლიბერალური

---

25 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 170—177.

26 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 19, გვ. 353—356.

იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის, „ლიბერალიზმის ღალატისა და მერყეობის ნეიტრალიზების“ აუცილებლობა. ამით აიხსნება, რომ იგი ქართველი ლიბერალების წინააღმდეგ ილაშქრებდა არა მარტო „ცნება და სინამდვილეში“, არამედ მთელ რიგ სხვა ნაშრომებშიც. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა მისი პოლემიკური ნაშრომები, „ჩვ-ნი უთანხმოება“ და „ახირებული პრეტენზია“, აგრეთვე „ბ.-ნ გოგიჩაიშვილის საპოლემიკო ნიმუშები“, რომლებშიც ვ. წ.-ს (ვასილ წერეთლის) და ფ. გოგიჩაიშვილის ლიბერალური შეხედულებების გამანადგურებელი კრიტიკაა მოცემული: ასევე საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანია მისი სტატია, „ბანკეტი 31 დეკემბერს“, რომელშიც ცოცხლად და დამაჯერებლადაა დახატული, ერთი მხრივ, ლიბერალური იდეების გაკოტრება, ხოლო მეორე მხრივ, ლიბერალების მიმართ ქართველი სოციალ-დემოკრატების (ბოლშევიკების) ტაქტიკის ბრწყინვალე გამარჯვება.

დაბოლოს, არ შეიძლება განსაკუთრებით არ მოვიხსენიოთ ალ. წულუკიძის სტატია „მოლოდინში“ (1904 წ.), რომელიც თუმცა მოცულობით პატარაა (სულ ხუთი გვერდია), მაგრამ თავისი ღრმა შინაარსით ქართული მარქსისტულ-ლენინური აზროვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ამ სტატიაში მოცემულია იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ღრმად მეცნიერული შეფასება. გამომჟღავნებულია ლიბერალიზმის ვაჭრულ-ლაქიური სული და დასახულია ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის ბრძოლის სწორი, ლენინური გზა.

ახასიათებს რა 1905 წლის ჭექა-ქუხილის წინ რუსეთში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას და იმ ფაქტორებს, რომლებმაც თვითმპყრობელური სახელმწიფოს ღრმა კრიზისი გამოიწვია, სტატიის ავტორი გადადის ლიბერალების დახასიათებაზე და მათ პოლიტიკას, მათ შეხედულებებს ზუსტად ისეთსავე შეფასებას აძლევს, როგორსაც ვ. ი. ლენინი აძლევდა. ლიბერალებს იგი უწოდებს ჩარჩ-ვაჭრებს, რომლებიც „მზად არიან შეევაჭრონ მთავრობას და ხალხის დაბეჩავებისა და დარბევის ფასად შეიძინონ ბურჟუაზიისათვის თავისუფლება“; ლიბერალები სასოებით მოელიან მეფის „ყოელად მოწყალე“ საჩუქარს — კონსტიტუციას, მაგრამ ვიტეს ქარხანაში გამომცხვარი საქონელი — კონსტიტუცია ჯერაც არ გამოუტანიათ ბაზარზე“.

საყურადღებო ისაა, რომ ალ. წულუკიძე არ კმაყოფილდება ლიბერალთა პოზიციის ზოგადი დახასიათებით და ისტორიზმის პრინციპზე დაყრდნობით აშიშვლებს, ერთი მხრივ, მეფის მთავრობასთან რუსეთის ბურჟუაზიის დამოკიდებულების ისტორიულ და კლასობრივ ფესვებს, ხოლო მეორე მხრივ, თვით მეფის თვითმპყრობელობის სიდამპლესა

და რეაქციულ-დესპოტურ ბუნებას. აი, როგორ საინტერესოდ მსჯელობს იგი ამ საკითხზე:

„ორთავიანი არწივის ფრთებ ქვეშ გამოიჩეკა და გაიზარდა რუსეთის ბურჟუაზია, მისი მფარველობით მოიმაგრა ნორჩი სხეული, მაგრამ ეს მფარველობა ახლა მას არ ეჭირვება, არწივის ბასრი კლანჭები მასაც კაწრავს აქა-იქ, მეფის თვითმპყრობელობის თვითნებობა და უნამუსო ძალდატანება მის მშვიდობიანობასაც არღვევს. მისთვისაც საჭიროა თავისუფლება და სწორედ ლიბერალებიც ამ თავისუფლების მოლოდინში იმყოფებიან.

რა საქონელი უნდა გამოიტანოს თვითმპყრობელობამ, რომელიც კარგა ხანია დამპალი საქონლით ვაჭრობს, რა თავისუფლება უნდა გაიღოს თავისუფლების შეურიგებელმა მტერმა, რომელიც... თავისუფლებისათვის მებრძოლთ ათასობით სახრჩობელაზე გზავნის, ციხეში ალპობს, ციმბირში აყინებს, რომელსაც თავისი ტახტი სალდათების ხიშტებზე აუგია...

ლიბერალები კი სწორედ ამ ავაზაკს ევაჭრებიან! დაე!

ამავე დროს რუსეთის პროლეტარიატი ძალას იკრებს, ფრთებს ისწორებს და ისიც მოლოდინშია... ის არ მოელის საზიზღარი მეფის ძღვენს. დამპალ საქონელს — შეჭრილ-შემოჭრილ კონსტიტუციას, არა! ის ემზადება უკანასკნელი, საბოლოო ბრძოლისათვის. ამ ბრძოლამ ძირიანად უნდა აღმოფხვრას მეფის თვითმპყრობელობა"[27].

ამის შემდეგ სტატიის ავტორი გადადის პროლეტარიატის ბრძოლის პერსპექტივებზე. ერთგულად მიჰყვება რა ლენინის სტრატეგიულ და ტაქტიკურ ხაზს, ალ. წულუკიძე სთვლის, რომ პროლეტარიატმა ჯერ მეფის თვითმპყრობელობა უნდა დაამხოს, ხოლო შემდეგ თავისი მახვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართოს; ამასთან, პროლეტარიატის ბრძოლის ამ ორი — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციების — ეტაპის ამოცანებს ალ. წულუკიძე განიხილავს არა ერთმანეთისაგან იზოლირებულად, არამედ ერთმანეთთან კავშირში, როგორც პროლეტარიატის ბრძოლის ერთიან პროცესს. აი, მისი სიტყვები:

„რუსეთის პროლეტარიატი ამ ბრძოლაში ეჯახება ახლობელ მტერს — მეფის თვითმპყრობელობას; მაშასადამე, მან უწინარეს ყოვლისა ეს მტერი უნდა გაანადგუროს, მან უნდა მოუსპოს სიცოცხლე ამ საზიზღარ მხეცს, რომელიც ჰაერს შხამავს, სიბინძურეს აერცელებს. რუსეთის პროლეტარიატმა ამ გამარჯვებით უნდა იპოვოს პოლიტიკური ძალა, რათა ეს ძალა დაუპირისპიროს მეორე ძლიერი

---

27 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 287.

მტრის — ბურჟუაზიის პოლიტიკურ ძალას. ლიბერალებს ხომ პოლიტიკური თავისუფლება უმთავრესად ბურჟუაზიისათვის უნდათ. ისინი ყოველთვის რაღაც ნაფიჩხებს იმეტებენ ხალხისათვის, მხოლოდ ხალხმა, რუსეთის პროლეტარიატის სახით, უკვე შეიგნო და გაიცნო ასეთი „მოკეთეების“ გულის პასუხი. ის ასეთ მოკეთეების წინააღმდეგ ყოველთვის იარაღს იმახვილებს, ის ყველგან და ყოველ შემთხვევაში შეებრძოლება ლიბერალების მატყუარა პოლიტიკას. ის საბრძოლველად ერთდება და პარტიას ადგენს.

მხოლოდ ეს მზადება, შიგ პარტიული ორგანიზაციების მოწყობა, მოწესრიგება დიდი ბრძოლის მომასწავებელია; ეს მზადება წერილმან შეტაკებებს საერთო, მოწესრიგებულ ბრძოლად გადააქცევს!

პროლეტარიატი მთელი რუსეთის რევოლუციის მოლოდინშია!“[28].

ასეთია მოკლედ ალექსანდრე წულუკიძის იმ თეორიული ნაშრომების შინაარსი და მნიშვნელობა, რომლებიც ლიბერალიზმის წინააღმდეგ არიან მიმართული. აქედან ცხადია, რომ ალ. წულუკიძე, ისევე როგორც მისი მასწავლებელი ვ. ი. ლენინი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა როგორც საერთოდ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლას, ისე კერძოდ ამ იდეოლოგიის დემოკრატიისაგან გამოყოფის პირობებს. თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ გ. პლეხანოვისა და მისი მენშევიკი მეგობრების კონცეფციით რევოლუციაში მუშათა კლასის მოკავშირედ გამოდიოდა არა გლეხობა, არამედ ბურჟუაზია, რის გამო ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ლიბერალიზმი და დემოკრატიზმი ერთმანეთში გაეთქვიფათ და წაეშალათ ყოველგვარი ზღვარი ბურჟუაზიისა და გლეხობის სოციალურ-კლასობრივ ბაზაში, ადვილი გასაგები გახდება, თუ რატომ ანიჭებდნენ ამ საკითხს ლენინი და ლენინელები ასეთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

დემოკრატიისაგან ლიბერალიზმის გამოყოფით და, მაშასადამე, ლიბერალთა მერყეობისა და ღალატის ნეიტრალიზებით, ბოშლევიკები გზას უკაფავდნენ ნამდვილი დემოკრატიის (ხალხის) ერთიანობას, გზას უკაფავდნენ მუშათა და გლეხთა კავშირის იდეას; ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგიის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით ისინი ამზადებდნენ პირობებს ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ ალ. წულუკიძეს მუშათა კლასის გამარჯვების აუცილებელ პირობად მიაჩნდა მისი განუყრელი კავშირი მშრომელ ხალხთან, პირველ რიგში გლეხობასთან.

---

[28] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 289.

3. მუშათა და გლეხთა კავშირის იდეა.

იმ უაღრესად რთულ თეორიულ საკითხებს შორის, რომლებიც რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის განვითარებამ სოციალ-დემოკრატიის წინაშე დააყენა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ძნელად გადასაწყვეტი საკითხი რევოლუციაში გლეხობის როლის საკითხი იყო. ალ. წულუკიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი თავიდანვე თავისუფალი იყო გლეხობის როლის ისეთი შეუფასებლობისაგან, რომელიც გ. პლეხანოვისა და მისი თანამოაზრეებისაგან მოდიოდა, და ამ დიდმნიშვნელოვან საკითხში, ისევე როგორც ყველა სხვა საკითხშიც, მთლიანად ლენინური კონცეფციის სიმაღლეზე იდგა.

ალ. წულუკიძეს, როგორც მარქსისტ მოაზროვნეს, ცხადია, კარგად ესმოდა, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობა დამყარდა, ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ღერძად ის ძირითადი წინააღმდეგობა გადაიქცა, რომელიც კაპიტალიზმმა მოიტანა: ეს იყო წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის, ე. ი. მუშებსა და ბურჟუაზიას შორის. „აი, რა ნათლად და გარკვევით მსჯელობს იგი ამ საკითხებზე: „შრომა და კაპიტალი — აი ის ორი დიადი ძალა, რომლებიც ერთმანეთს ასაზრდოებენ და თანვე ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმიან; შრომისა და კაპიტალის წარმომადგენელი — აი თანამედროვე ცხოვრების უძლიერესი კლასები, რომელთა გარშემო ტრიალებენ ყველა დანარჩენები"[29].

ალ. წულუკიძეს, ცხადია, კარგად ესმოდა აგრეთვე ის მარქსისტული აზრი, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა და რომ სწორედ მუშათა კლასმა უნდა დაამხოს ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრაზე დამყარებული საზოგადოება, მან უნდა გატეხოს კაპიტალის ძალა და დათრგუნოს სიმდიდრით გალაღებული ბურჟუაზია. ასეთი მისია მუშათა კლასს თვით ისტორიამ დააკისრა. „ვინ უნდა დაამხოს ეს უსამართლო წყობილება, თუ არა ამ უსამართლობით გაწვალებულმა და გალატაკებულმა კლასმა?... პროლეტარიატმა შეიგნო თავისი ისტორიული მისია და იცრებს საბრძოლველ ძალას, რათა საბოლოოდ დაამხოს და გაანადგუროს დღევანდელი წესწყობილება... ის კაპიტალიზმის წინააღმდეგ იბრძვის!"[30].

მუშათა კლასის როლის სწორედ ამგვარი გაგებით აიხსნება, რომ ალ. წულუკიძე მთელ თავის ძალღონეს, ნიჭსა და უნარს პროლეტარიატის საქმეს ახმარს და ამ კლასის გამარჯვებისათვის სიცოცხლესაც.

---

29 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 329.

30 ი ქ ვ ე, გვ. 288—289.

არ იშურებს; სწორედ ამ მიზეზის გამოა, რომ მისი ძლიერი გონება მეშათა მოძრაობას, მის გზებსა და ფორმებს, პროლეტარიატის შეგნებულობის ამაღლებას, პროლეტარული პარტიის შექმნას და სხვა ამგვარ საკვანძო საკითხებს დასტრიალებს.

მაგრამ ალ. წულუკიძემ ისიც კარგად იცის, რომ პროლეტარიატი ერთადერთი დაჩაგრული კლასი როდია; მან იცის, რომ კაპიტალიზმისაგან, აგრეთვე ბატონყმური წყობილების ძლიერი ნაშთებისაგან, მუშათა კლასზე არა ნაკლებ იჩაგრება ქალაქისა და სოფლის მშრომელი მოსახლეობა, იჩაგრება გაღატაკებული ქართველი გლეხობა, რომელიც ერის უმრავლესობას შეადგენს. ამით აიხსნება, რომ ალ. წულუკიძის ნაწერებს თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს აზრი მუშათა და ღარიბ გლეხთა ინტერესების გარკვეული ერთიანობისა, რამაც უნდა განაპირობოს მათი ერთობლივი ბრძოლა არა მარტო მეფისა და მემამულეების, არამედ აგრეთვე ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

გ. პლეხანოვისა და მისი მენშევიკი მეგობრებისაგან განსხვავებით, ალ. წულუკიძეს მშრომელი გლეხობა მიაჩნდა არა კონსერვატულ ძალად, არამედ რევოლუციურ ძალად, პროლეტარიატის ბუნებრივ მოკავშირედ. მართალია, ალ. წულუკიძეს მუშათა და გლეხთა კავშირის საკითხი საგანგებოდ არ განუხილავს, მაგრამ მის ნაწერებზე დაკვირვება აშკარად გვიჩვენებს, რომ მისთვის „მშრომელი გლეხობის", „მშრომელი ხალხის" ინტერესები მუდამ განუყრელად დაკავშირებულია მუშათა კლასის ინტერესებთან.

მოვიტანოთ ამ აზრის დამადასტურებელი ფაქტები.

უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ ზემოთ უკვე განხილული ნაშრომის „ოცნება და სინამდვილის" ის ადგილები, სადაც საზოგადოებრივი პროგრესის მედროშედ მშრომელი ხალხია გამოცხადებული. დავაკვირდეთ თუნდაც ავტორის შემდეგ სიტყვებს: „თუ ევროპაში ბურჟუაზია იყო ერის სულიერი სიმდიდრის განმავითარებელი, ჩვენში საზოგადოების მეორე კლასი იქნება — ეს კლასია მატერიალურად ხელმოკლე და გონებრივად ახლად აღორძინებული მ შ რ ო მ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი"[31] (ხაზგასმა ყველგან ჩვენია, პ. რ.).

როგორც ვხედავთ, აქ არც მუშათა კლასია დასახელებული, არც გლეხობა, არც ხელოსნები; მათ ნაცვლად ნახმარია კრებითი ტერმინი „ხალხი". შემთხვევითია, თუ არა ეს ფაქტი? ცხადია, არა! ეს რომ შემთხვევითი ფაქტი არ არის, იქიდან ჩანს, რომ ავტორი სხვა ნაშრომებშიც ხშირად ხმარობს ტერმინს „მშრომელ ხალხს" ისეთ კონტექსტში, სადაც მუშათა კლასზე ან მუშათა კლასსა და გლეხობაზეა ლაპარაკი. ამ მხრივ საინტერესო მასალას გვაძლევს ალ. წულუკიძის.

---

31 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 170.

მიერ დაწერილი „რსდმპ ბათუმის კომიტეტის ფურცლები“, სადაც პოპულარული ფორმითაა განმარტებული რევოლუციაში მუშათა კლასისა და გლეხობის ამოცანები.

მოვიტანოთ სათანდო ამონაწერები ამ ნაშრომიდან.

„თანამედროვე საზოგადოება... გაყოფილია ორ დიდ ნაწილად... თუ საზოგადოების პირველ ნაწილს — კაპიტალისტებს, ბურჟუაზიას, ფული აქვს, საზოგადოების მეორე ნაწილს, მ უ შ ა ს, მ შ რ ო მ ე ლ ხ ა ლ ხ ს, სწორედ ეს აკლია და თან აკლია ყველა ის, რაც შეიძენია ფულისა — მოსვენება და კმაყოფილება“[32].

იმავე ნაშრომის სხვა ადგილას აეტორი ეხება მევახშის სარგებელს და ამბობს:

„ეს სარგებელი ჩვენი ჯიბიდან ამოდის: როგორც მყიდველი, ისე მსესხებელი — ეს, უმეტეს ნაწილად, თუ სულ არა, ჩ ვ ე ნ, მ შ რ ო მ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი, მ უ შ ე ბ ი ვ ა რ თ. ჩვენი ორიოდე გროშით სეჭდება როგორც ვაჭარი, ისე მევახშე“[33].

ამ ამონაწერებიდან ცხადია, რომ „მუშათა კლასის“ გვერდით „მშრომელი ხალხის“ ხსენება ჩვენი ავტორისათვის შემთხვევითი ფაქტი კი არაა, არამედ მისი თვალსაზრისის შეგნებული და გააზრებული გამოხატულებაა, მაგრამ რას გულისხმობს იგი „მშრომელ ხალხში“? მოტანილ კონტექსტში (ე. ი. იმ დროს, როცა ტერმინი „მშრომელი ხალხი“ „მუშის“ გვერდითაა ნახსენები) მასში ძირითადად, რა თქმა უნდა, მშრომელი გლეხობა იგულისხმება („ძირითადადო“, ვამბობთ იმიტომ, რომ გლეხობის გარდა, მასში იგულისხმება აგრეთვე ქალაქის ღარიბი მოსახლეობა — ხელოსნები და ჭარგლები).

მაშასადამე, ალ. წულუკიძის აზრით, მშრომელი გლეხობა ისევე იჩაგრება მეფისა და კაპიტალისტებისაგან, როგორც ქარხნის მუშები, ამიტომ მუშები და გლეხები ძმები არიან და ერთობლივად, შეერთებული ძალით უნდა ებრძოდნენ თავიანთ მტრებს. ალ. წულუკიძე პირდაპირ უწოდებს მუშებსა და გლეხებს ძმებს და მოუწოდებს მათ ერთობლივი ბრძოლისაკენ როგორც მეფის მთავრობის, ისე ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მოვუსმინოთ:

„ჩვენი ბატონია ვაჭარ-მრეწველთა კლასი — ბურჟუაზია, ჩვენი ბატონია მთავრობა... მას გამოყავს ჩვენს წინააღმდეგ ჯარი, რომელიც ჩვენდა სამარცხვინოდ ჩ ვ ე ნ ი ვ ე ძ მ ე ბ ი ს ა გ ა ნ — მ უ შ ე ბ ი ს ა და გ ლ ე ხ ე ბ ი ს ა გ ა ნ შ ე დ გ ე ბ ა, გამოყავს ჯარი და ტყვია-წამლით გვამშვიდებს... მთავრობა და ბურჟუაზია ხელიხელ ჩაყიდებული მიდიან ჩვენს წინააღმდეგ, საერთო ძალ-ღონით სურთ შეინარჩუნონ

---

32 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი 1967, გვ. 96.

33 ი ქ ვ ე, გვ. 98.

ბატონობა... ამიტომ საჭიროა ჩვენი შეერთება ჯერ ერთმანეთს შორის რუსეთის იმპერიაში, შემდეგ მთელი ქვეყნის მუშებთან"[34].

შემდეგ:

„რუსეთის ხელმწიფე... ყოველთვის წინააღმდეგი იქნება აასრულოს ხალხის კანონიერი მოთხოვნილება, რადგან ეს ეწინააღმდეგება მის არსებობას, როგორც თვითმპყრობელ მთავრობისას. ამიტომაც ხალხი — ჩვენ, დღიური მუშები და გლეხკაცობა — ყოველთვის მტრად მიაჩნია რუსეთის ხელმწიფეს, მათი ძლიერ ეშინია და ამნაირი შიში სწორედ სამართლიანია: მუშა, გლესი, როდესაც შეიგნებს თავის ბედკრულ მდგომარეობას, ეცდება თავი დააღწიოს მუდმივ ძარცვა-გლეჯას და მაშინ რუსეთის თვითმპყრობელი ხელმწიფის დღენიც დათვლილი იქნება.

ამიტომაც მთავრობა ყოველი ზომებით სდევნის მუშათა და გლეხთა მოძრაობას: „ის მზად არის ყველა აჯანყებული მუშა და გლეხი სალდათების ტყვიის მსხვერპლი გახადოს, ოღონდ მოძრაობა ჩააქროს, ხალხს დაუკარგოს იმედი კარგი მომავლისა"[35].

მოტანილი ამონაწერებიდან ცხადია, რომ ალ. წულუკიძის სამართლიანი აზრით, მუშათა კლასი მარტო, იზოლირებულად კი არ იბრძვის მეფის მთავრობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. არამედ მას ჰყავს ერთგული მოკავშირე გლეხობის სახით, ყველა მშრომელის სახით; ექსპლოატატორთა დასამხობად მუშათა კლასის ხელმძღვანელობით იბრძვის ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელი — იბრძვის მთელი ხალხი. ამიტომაც ამბობს ალ. წულუკიძე:

„ერის უმრავლესობა — აი ვის მივმართავთ ჩვენ. იმ უმრავლესობას, რომელიც ერის სიმდიდრესა და დიდებას ქმნის და თვითონ კი ამ სიმდიდრისაგან ნაფიჩხებიღა რჩება; იმ უმრავლესობას, რომელიც ტანჯვითა და წვალებით იწვრთნება ახალი ცხოვრების მოსაგვარებლად, რომელიც სწორედ ამიტომ წინ იყურება და ყოველივე ხელშემშლელ, ბნელ, უკან დამწევ ძალას გმირული თავგანწირვით შებრძოლებია. ჩვენ სწორედ ეს უმრავლესობა მიგვაჩნია ერის კულტურულ ძალად"[36].

მაგრამ ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ალ. წულუკიძემ არ იცოდა, რომ მის დროს გლეხობა უკვე აღარ წარმოადგენდა ერთ მთლიან კლასს და რომ ქონებრივი დიფერენციაციის შედეგად გლეხობაც დაყოფილი იყო ჯგუფებად, რომლებიც ერთნაირად როდი იყვნენ დაინტერესებული რევოლუციური გარდაქმნებით; ალ. წულუ-

---

34 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 116.

35 იქვე, გვ. 128—129.

36 იქვე, გვ. 310.

კიძე უველგან ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მხედველობაში აქვს სწორედ მშრომელი, გაპროლეტარებული, ან კიდევ მცირემიწიანი გლეხი, რომელიც იძულებულია თავისი სამუშაო ძალა გაჰყიდოს. ალ. წულუკიძის აზრით, სწორედ გლეხობის ეს ნაწილი წარმოადგენდა მუშათა კლასის ერთგულ მოკავშირეს და ამასთან ერთად ქართველი ერის უმრავლესობას.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად ნათლად და გარკვევით აქვს წარმოდგენილი ალ. წულუკიძეს ქართველი გლეხისა და ხელოსნის გაღატაკების პროცესი, აგრეთვე გლეხობის ქონებრივი დაყოფა, მოვიტანთ ორ დამახასიათებელ ამონაწერს.

„რსდმპ ბათუმის კომიტეტის ფურცლებში“ ავტორი ასე წარმოგვიდგენს გლეხისა და ხელოსნის პროლეტარიზაციის პროცესს:

„თანამედროვე წესწყობილებამ, როდესაც ცხოვრებაში გამეფებულია გამუდმებული მეტოქეობა, როცა უველას სურს თვითონ გამდიდრდეს და გამდიდრდეს სხვისი საშუალებით, ამნაირმა წესწყობილებამ ბევრ გლეხს, ბევრ ხელოსანს გამოუთხარა ძირი. გლეხმა და ხელოსანმა ვერ შესძლეს მეტოქეობა გაეწიათ იმ პირებისათვის, რომლებმაც მანქანები შეიძინეს და შრომა გაიადვილეს. ამიტომაც იყო, რომ ბევრი გლეხი და ბევრი ხელოსანი გაკოტრდა და ყოველ დღე ახალ-ახალი კოტრდება; მათ დაკარგეს უველა თავისი ქონება, ან თუ შერჩათ რამე, ძლიერ ცოტა, რაც არ კმარა უველა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ახლა ისინი ნამდვილი ბოგანო, უსახლკარო შეიქმნენ. მათ არა აქვთ არავითარი ქონება, გარდა თავისი თავისა, მათ შერჩათ მხოლოდ პიროვნება — ესენია დღევანდელი მუშები, ეს ვართ ჩვენ... ცხოვრებამ გვაიძულა გავყიდოთ ჩვენი თავი, გვაიძულა გავყიდოთ ჩვენი სამუშაო ძალა“[37].

გლეხთა გაღატაკებამ გამოიწვია მათი მასობრივი ლტოლვა ქალაქებისაკენ, საშოვარზე, სიარული, ლუკმა პურისათვის თავგანწირული ბრძოლა. ამგვარი გლეხების მდგომარეობა მუშის მდგომარეობაზე უარესი თუ იყო, თორემ უკეთესი არ ყოფილა. ალ. წულუკიძე ამბობს;

„უველას კარგად მოეხსენება, თუ როგორ აამოძრავა ეკონომიურმა სივიწროვემ ჩვენებური გლეხები: სვანი, რაჭველი, იმერელი, კახელი, ქართლელი ურიცხვად მოედინებიან ქალაქებისაკენ და ადგილს დაეძებენ. დიახ, შინ საცხოვრებელი არ ყოფნის და სხვაგან მიდის, მხოლოდ რაცა აქვს სოფელში, ისიც არ არის ყოველთვის უზრუნველყოფილა“[38].

---

37 ა. წულუკიძე, თხზულებანი, 1967, გვ. 99.

38 იქვე, გვ. 174.

მაგრამ როგორ უნდა ეშველოს ამ მდგომარეობას, როგორ უნდა დავეხმაროთ გაჭირვებულ გლეხობას?

ალ. წულუკიძე მკაცრად აკრიტიკებს იმ მოღვაწეებს, რომლებიც გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას ბანკებისა და სავაჭრო-საკრედიტო დაწესებულებების საშუალებით ფიქრობდნენ, იგი საქმის ცოდნით და სავსებით დამაჯერებლად ასაბუთებს იმ აზრს, რომ საბანკო კრედიტით მხოლოდ მდიდარ გლეხებს შეუძლიათ ისარგებლონ, ღარიბი გლეხებისათვის კი იგი მიუწვდომელია. ალ. წულუკიძის მსჯელობა ამ საკითხზე თვალნათლივ გვიჩვენებს, გლეხობის რომელ ნაწილს მიიჩნევდა იგი მუშათა კლასის ბოლომდე ერთგულ მოკავშირედ და ქართველი ერის იმ უმრავლესობად, რომელიც მუშათა კლასთან ერთად „ერის სიმდიდრესა და დიდებას ქმნის". აი, მისი მსჯელობის დამახასიათებელი ნიმუში:

„გასაჭირია $7^1/_2$—$8^1/_2$ პროცენტი გლეხისათვის და ამიტომ მისი ამღები ყოველთვის შეძლებული გლეხი რჩება; მამულების ყიდვა კი ამ ბანკების შემწეობით საზარალოა... რასაკვირველია, სოფლის პროლეტარიატი და გლეხთა ის ნაწილი, რომელსაც თავისი სარჩენი მიწა-წყალი არ აბადია (მხოლოდ უმეტესობა ესენი არიან რუსეთშიც და ჩვენშიაც) ამნაირ უხეირო შემწეობასაც მოკლებულნი არიან, რადგან კრედიტისთვის „სანდო" პირები არ არიან"[39].

მაშასადამე, „სოფლის პროლეტარიატი და გლეხთა ის ნაწილი, რომელსაც, თავის სარჩენი მიწა-წყალი არ აბადია", — აი, ვინ მიაჩნია ალ. წულუკიძეს მუშათა კლასის ნამდვილ მოკავშირედ; სწორედ გლეხთა ეს ნაწილი, მუშათა კლასთან ერთად, შეადგენს ერის უმრავლესობას, რომელიც ქმნის ერის მატერიალურ და სულიერ კულტურას.

ასე შესანიშნავად მსჯელობდა ალ. წულუკიძე მუშათა და გლეხთა მდგომარეობაზე, მათ ურთიერთობასა და ძმურ კავშირზე. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ მუშათა და გლეხთა კავშირის ასეთი სწორი, მეცნიერული გაგება მას შეეძლო შეემუშავებინა, ერთი მხრივ, მარქსის მოძღვრების შემოქმედებითად გამოყენების, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ცხოვრების მოვლენათა გულდასმით შესწავლის შედეგად; მიჰყვებოდა რა დიდი ლენინის გზას. ალ. წულუკიძეს შაბლონურად კი არ გადმოჰქონდა ევროპის რევოლუციური მოძრაობის გამოცდილება, როგორც ამას მენშევიკები და მათი ბელადი გ. პლეხანოვი აკეთებდნენ, არამედ ყურადღებით სწავლობდა თავისი ქვეყნის კონკრეტულ ვითარებას, ითვალისწინებდა მის თავისებურებებს და მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითად გამოყენების

---

39 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 177.

გზით გამოჰყავდა სწორი, მეცნიერული დასკვნები, რომლებიც გზას უნათებდნენ საქართველოს მუშებსა და გლეხებს მათს ბრძოლაში სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის.

4. წვრილბურჟუაზიულ-ხალხოსნური და მენშევიკური შეხედულებების კრიტიკა

ალექსანდრე წულუკიძის როგორც შესანიშნავი მარქსისტი მოაზროვნის დასახასიათებლად, უაღრესად საინტერესო მასალას შეიცავს მისი კრიტიკული გამოსვლები სხვადასხვა ჯურის წვრილბურჟუაზიულ და ოპორტუნისტულ მოაზროვნეთა წინააღმდეგ. ზემოთ ჩვენ უკვე დავინახეთ, რა ღრმად და საფუძვლიანად გააკრიტიკა ალ. წულუკიძემ ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგთა (ა. ჯორჯაძე და სხვ.) შეხედულებანი, კერძოდ, მათი ე. წ. „საერთო ნიადაგის" თეორია; ახლა კი მოკლედ გავეცნოთ მის კრიტიკულ გამოსვლებს სხვადასხვა წვრილბურჟუაზიული თეორიების, განსაკუთრებით კი ქართველი ხალხოსნებისა და მენშევიკების ყალბი თეორიების წინააღმდეგ.

ალ. წულუკიძის ნაწერებში უხვადაა გაბნეული ფრიად საყურადღებო კრიტიკული შენიშვნები ევროპისა და რუსეთის იმ გამოჩენილ მოაზროვნეთა შეხედვლებების ირგვლივ, რომლებიც მარქსიზმს ეწინააღმდეგებოდნენ და მეცნიერული სოციალიზმის მასებში გავრცელების საქმეს ხელს უშლიდნენ. გზას უკაფავდა რა მარქსისტული შეხედულებების გავრცელებას, გამოჩენილი რევოლუციონერი დიდი დამაჯერებლობით და თანაც პოპულარული, ყველასათვის მისაწვდომი ფორმით განუმარტავდა მუშებს ევროპის უტოპიური სოციალიზმის მამამთავრების — რობერტ ოუენის, სენ-სიმონის, ფურიესა და სხვათა იდეების უნიადაგობას[40], აკრიტიკებდა ე. ბერნშტეინისა და კ. კაუცკის ოპორტუნისტულ შეხედულებებს[41], ნიღაბს ხდიდა და ააშკარავებდა რუსი ხალხოსნების (პ. ლავროვი და სხვ.) თეორიების იდეალისტურ ბუნებას[42]. ალ. წულუკიძის კრიტიკული გამოსვლებიდან მშვენივრად ჩანს, არა მარტო მისი მებრძოლი ბუნება, მისი შეურიგებლობა მეცნიერული სოციალიზმის მოწინააღმდეგეთა მიმართ, არამედ ისიც, თუ რა ღრმად და საფუძვლიანად ფლობდა იგი მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმის მოძღვრებას. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ალ. წულუკიძის კრიტიკული შენიშვნები ქართველი საზოგადო მოღვაწეების მიმართ; თუ ევროპისა და რუსეთის

---

40 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 44, 220.

41 იქვე, გვ. 172, 353.

42 იქვე, გვ. 143.

სხვადასხვა იდეურ მიმდინარეობათა შეფასება ალ. წულუკიძეს მარქსიზმის კლასიკოსების, ან მათი გამოჩენილი რუსი და ევროპელი მოწაფეების ნაშრომებში შეეძლო ამოეკითხა, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებისა და მოვლენების, მისი იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობების მარქსისტული შეფასება მას თვითონ, თავისი საკუთარი ჰკუით უნდა მოეხდინა, და სწორედ აქ გამოჩნდა ალ. წულუკიძის, როგორც უაღრესად ღრმა მოაზროვნის, შესანიშნავი თვისებები.

ჯერ კიდევ 1899 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ღია წერილი ბ-ნ გიორგი წერეთელს“ ალ. წულუკიძემ გვიჩვენა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების ასახსნელად მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითად გამოყენების ბრწყინვალე მაგალითი. ეს სტატია დაიწერა მოსკოვში. ამ დროს მის ავტორს, ხანგრძლივი და ინტენსიური შრომის შედეგად, უკვე საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი არა მარტო კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ძირითადი ნაშრომები, არამედ ვ. ი. ლენინის ადრინდელი ნაშრომებიც; გარდა ამისა, ავტორი მშვენივრად იცნობდა თავისი ქვეყნის ცხოვრებას, და აი, ასეთმა თეორიულმა და პრაქტიკულმა ცოდნამ მას საშუალება მისცა ახალი სიტყვა ეთქვა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ; „ღია წერილში“ ალ. წულუკიძე აშკარად გაემიჯნა არა მარტო „კვალის“ რედაქტორს გ. წერეთელს, რომელსაც იმ ხანებში თაეი მარქსისტად და „მესამე დასის“ მეთაურად მოჰქონდა, არამედ „მესამე დასის“ ოპორტუნისტულ უმრავლესობასაც. რომელსაც ნ. ჟორდანია მეთაურობდა; ამ წერილით ნამდვილი მარქსისტ-ლენინელები გარკვევით დაუპირისპირდნენ მენშევიკურ-ოპორტუნისტული ყაიდის სოც-დემოკრატებს, რომლებსაც მუშათა კლასის მოკავშირე ლიბერალური ბურჟუაზია მიაჩნდათ.

მაგრამ „ღია წერილის“ მნიშვნელობა ამითაც არ ამოიწურება. ამ წერილის განსაკუთრებული მნიშვნელობა ისაა, რომ მასში ქართულმა მარქსისტულ-ლენინურმა აზრმა პირველად დააყენა საკითხი საქართველოს ცხოვრების თავისებურებათა გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ. ალ. წულუკიძე პირდაპირ მიუთითებს, რომ არ შეიძლება საქართველოს რეფორმისშემდგომდროინდელი ცხოვრება ევროპის განვითარებული სახელმწიფოების ცხოვრებას შეეუდაროთ და იქაური გამოცდილება ჩვენში შაბლონურად გადმოვიტანოთ. ეს იყო შესანიშნავი აზრი, რომელიც ალ. წულუკიძემ, როგორც ზემოთ დავინახეთ, შემდგომში კიდევ უფრო განავითარა და მოგვცა საქართველოს ცხოვრების, მისი საზოგადოებრივი კლასებისა და იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობათა ნამდვილად მეცნიერული ანალიზი.

ქართული მარქსისტულ-ლენინური კრიტიკული აზრის განვითარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ალ. წულუკიძის გამოსვლას ცნობილი ხალხოსნის გიორგი მაიაშვილ-ზდანოვიჩის წინააღმდეგ. 1903 წლის იანვარში გაზეთ „კვალში" დაიბეჭდა ალ. წულუკიძის სტატია „ჩემი შთაბეჭდილებანი (ციათურის შავი ქვის მწარმოებელთა V კრების გამო)", რომელშიც დიდი ოსტატობით, ცოცხლად და დამაჯერებლად არის გადმოცემული ხალხოსნური იდეოლოგიის გადაგვარებისა და დაკნინების პროცესი. ცნობილი ხალხოსანი რევოლუციონერის გ. მაიაშვილის მაგალითზე ავტორი თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ როგორ სამარცხვინოდ ჩამოქვეითდა რევოლუციონერ-ხალხოსანთა მაღალი იდეები ლიბერალური ბურჟუაზიის ჩვეულებრივ, მეშჩანურ შეხედულებებამდე. მოვუსმინოთ:

„ქუთაისის თეატრის ქანდარაზე ვიდექ, დავყურებდი ძირს მღელვარე კრებას, მის წინაშე მომქერმეტყველე საბჭოს თავმჯდომარეს და უნებურად დარბაზიდან ფიქრმა წარსულისაკენ გამიტაცა. მაგონდება ის დრო, როცა გაფაციცებით დავეძებდი მაიაშვილის ნაწერებს, სულგანაბული ვისმენდი მის თავგადასავალს და, როცა პირველად ახლად დაბრუნებული გიორგი (იგულისხმება მისი გადასახლებიდან დაბრუნება, პ. რ.) შორიახლო მოლაპარაკე დავინახე. რაღაც არაჩვეულებრივი სიამოვნება ვიგრძენ. აქ, სადაც ქალაქუნობის და სიფლიდის მეტს ვერას ეხედავდი, ადამიანური ამპარტავნობა და მხნეობა მიჩლუნგებულიყო, წარმტაცი იდეები მიმქრალიყვნენ და თავდადებულ საქმიანობას, გულწრფელ სიყვარულს მხოლოდღა წიგნებში ეპოულობდი, ვიხილე ადამიანი, რომელიც ეს არის ბრძოლის ველიდან დაბრუნებულა, სიმართლისათვის პატიოსნად მღელვარებდა, მოძმეს ამხნევებდა და თავგამეტებით სახიფათო ბილიკზე შეუფერხებლად მოაბიჯებდა"[43].

მაგრამ ეს იყო წარსულში, ახლა კი „სადღაა ის მღელვარება, რომელიც „გალიორკაზე" დაეძებდა თავის ერთგულ მეგობარს, სადღაა ის სიმარტივე, რომელიც რთულ საზოგადოებრივ საქმეს წინ მიუძღოდა, სადღაა სიმართლისათვის თავდავიწყება, რომელიც საზოგადოების დაჩაგრულ ნაწილს გულში იმედს უღვივებდა და საიმედო ლამპრად უნათებდა?"[44].

ამის შემდეგ ავტორი დაწვრილებით აღწერს როგორც თვით გ. მაიაშვილის, ისე მის ირგვლივ შემოკრებილი ლიბერალური ინტელიგენციის ანგარებიან საქმიანობას, ამხელს მათ ჩარჩულ-ლაქიურ სულისკვეთებას, მათ ზნეობრივ გათახსირებას და დაასკვნის: „ვხედავ ყველაფერს ამას და ოცნება ისევ წარსულისაკენ მიტაცებს, გულდა-

---

43 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 135.

44 ი ქ ვ ე, გვ. 135—136.

წყვეტილი ვადარებ აწმყოს, ვუმზერ იმავე ადამიანს... და უნებურად ვრწმუნდები, რომ მაიაშვილს უკვე ზდანოვიჩის თბილ საუნეში თავი შეუფარებია განსასვენებლად. მშვიდობა შენდა, ყოფილო ადამიანო!"[45].

ასე სასტიკად, მაგრამ საესებით ობიექტურად გააკრიტიკა ალ. წულუკიძემ ქართველ ხალხოსანთა ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი. მაგრამ ავტორი მარტო ამითაც არ კმაყოფილდება და რუსი ხალხოსნების ცნობილი ბელადის პ. ლავროვის შეხედულებათა კრიტიკის გზით ააშკარავებს ხალხოსანთა საზოგადოებრივი შეხედულებების იდეალისტურ ბუნებას, აგრეთვე მათ პირდაპირ კავშირს ბურჟუაზიულ და მენშევიკურ იდეალისტურ კონცეფციებთან.

ეკამათებოდა რა ა. ჯორჯაძეს, რომელიც ამტკიცებდა, რომ საზოგადოების ამა თუ იმ მიმართულებით განვითარებას „გონიერება" (ინტელიგენცია) წარმართავსო, ალ. წულუკიძე სამართლიანად მიუთითებდა:

„ეს აზრი არ ახალია — ძველია. ქვეყნიერების მმართველი გონიერებააო, ამბობდნენ წარსული საუკუნის განმანათლებელნი. „კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანია" ისტორიის შემქმნელი და წინამძღოლიო, დღესაც იმეორებენ რუსეთში „ისტორიული წერილების" ავტორის მოწაფეები. ამ ჯგუფის მოაზროვნეთა წარმოდგენით, უპირველესი კითხვაა ის, თუ როგორ უნდა მიმდინარეობდეს ისტორია, რომელია უწმინდესი იდეალი, რომ მისდა გვარად „კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანმა „ისტორიის ჩარხიც აბრუნოს"[46].

ამის შემდეგ ავტორს მოაქვს ამონაწერები პ. ლავროვის ნაშრომებიდან, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ პ. ლავროვიც და ა. ჯორჯაძეც „წარსული საუკუნის განმანათლებელთა" იდეალისტური ფილოსოფიის ტყვეობაში იმყოფებოდნენ და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა ახსნას ამ ფილოსოფიის პრინციპების დახმარებით ცდილობდნენ. ალ. წულუკიძემ გაბედულად გაიღაშქრა ხსენებული ფილოსოფიის წინააღმდეგ და მარქსისტული თეორიის ოსტატური გამოყენების მეოხებით პირდაპირ გააცამტვერა განმანათლებელთა და ხალხოსანთა იდეალისტური კონცეფციები „კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანის", აგრეთვე „გმირებისა" და „ბრბოს" ისტორიული როლის შესახებ. ამ პოლემიკის პროცესში ალ. წულუკიძემ ზუსტად და გარკვევით ჩამოაყალიბა მარქსისტული თვალსაზრისი აზრისა და არსის ურთიერთობაზე, თავისუფლებასა და აუცილებლობაზე, ისტორიაში პიროვნების როლზე და სხვა ურთულეს ფილოსოფიურ პრობლემებზე.

---

[45] იქვე, გვ. 139.

[46] ა. წულუკიძე, თხზულებანი, 1967, გვ. 142—143.

ჩვენ აქ აღარ გამოვუდგებით ამ საკითხებზე ალ. წულუკიძის მიერ ჩამოყალიბებული დებულებების შინაარსის გადმოცემას, რადგან ისინი ყველასათვის ცნობილი მარქსისტული დებულებებია; ვიტყვით მხოლოდ, რომ ალ. წულუკიძე იშვიათი ოსტატობითა და ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოსცემდა მარქსისტული მატერიალისტური დიალექტიკის დებულებებს, რითაც ხელს უწყობდა მშრომელთა ფართო მასებში მათს გავრცელებას.

ალ. წულუკიძის განსაკუთრებული ნიჭისა და გამჭრიახობის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ მან პირველმა შეამჩნია ის არსებითი განსხვავება, რომელიც „მესამე დასის“ უმრავლესობის შეხედულებებს და რევოლუციური მარქსიზმის იდეებს შორის არსებობდა და გადაჭრით გაილაშქრა ქართული მენშევიზმის ოპორტუნისტული ხაზის წინააღმდეგ. მის ნაწერებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ალ. წულუკიძეს თავიდანვე არ აკმაყოფილებდა „მესამე დასის“ უმრავლესობისა და მათი ორგანოს გაზეთ „კვალის“ მიმართულება და ყოველნაირად ცდილობდა გამიჯვნოდა მას; შემდეგში ალ. წულუკიძე აშკარად დაუპირისპირდა ხსენებულ უმრავლესობას და დაუნდობლად გააკრიტიკა ქართული მენშევიზმის მამათავრის ნ. ჟორდანიას ოპორტუნისტული შეხედულებანი.

გაეცნოთ ამ საკითხს უფრო ახლოს.

იმ აზრის საილუსტრაციოდ, რომ ალ. წულუკიძეს თავიდანვე არ აკმაყოფილებდა „მესამე დასის“ უმრავლესობისა და მისი ორგანოს მიმართულება, შეგვიძლია მიეუთითოთ შემდეგ ფაქტებზე:

ჯერ კიდევ სტატიაში „ღია წერილი ბ-ნ გიორგი წერეთელს“, რომელიც „კვალში“ 1899 წლის აპრილში დაიბეჭდა, ალ. წულუკიძემ ნათელჰყო, რომ გ. წერეთელს, რომელსაც თავი მარქსისტად და „მესამე დასის“ მეთაურად მოჰქონდა, სინამდვილეში მარქსიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა. მან პირდაპირ დაუყენა „კვალის“ რედაქტორს ულმობელი კითხვა: „ბატონო გიორგი, მითხარით, როგორ მოვათავსოთ ერთად: ერთი მხრით, ცნობილი მეცნიერის (იგულისხმება კ. მარქსი, პ. რ.) სწავლა კლასიურ ანტაგონიზმზე, რომლის მომხრეთ თქვენ თავს სახავთ და, მეორე მხრით, თქვენივე მფარველობით კილო „ახლად აღორძინებულ ვაჭარ-მრეწველი კლასის“ შესახებ?!“.

თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ ვაჭარ-მრეწველთა კლასის მიმართ მფარველობითი კილო დამახასიათებელი იყო არა მარტო გ. წერეთლის, არამედ საერთოდ „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობისათვის, მათ შორის აგრეთვე ხსენებული უმრავლესობის ლიდერის ნ. ჟორდანიასათვის, ადვილად წარმოვიდგენთ, რა დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა იმდროინდელ საზოგადოებაზე ალ. წულუკიძის მიერ დასმულ კითხვას. ამ კითხვამ ეჭვის ქვეშ დაა-

ყენა არა მარტო გ. წერეთლის მარქსისტობა, არამედ აგრეთვე ნ. ჟორდანიასი და მისი მენშევიკი თანამოაზრეების მარქსისტობაც. ამიტომ მკითხველისათვის მოულოდნელი და საკვირველი როდია, რომ წერილში „ახირებული პრეტენზია", რომელიც 1900 წლის აგვისტოში დაიბეჭდა, ალ. წულუკიძე გადაჭრით უარყოფს ვასილ წერეთლის მიერ გამოთქმულ აზრს, თითქოს ნ. ჟორდანია ალ. წულუკიძის ბელადი ყოფილიყოს. „არ მყავს და არც მინდა ვისიმე ბელადობაო", — აცხადებს ამგვარი აზრით აღშფოთებული ალ. წულუკიძე.

ნ. ჟორდანიას შეხედულებებისაგან რომ მისი საკუთარი შეხედულებები პრინციპულად განსხვავდებოდა, ამაზე ალ. წულუკიძე პირდაპირ მიუთითებს აგრეთვე ნაშრომში „ოცნება და სინამდვილე", რომელიც 1903 წელს ცალკე წიგნად გამოიცა ჭუთაისში. ეხება და აკრიტიკებს რა ა. ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის" თეორიას, კერძოდ კი საკითხს იმ როლის შესახებ, რომელსაც კლასთა ურთიერთობაში ენა ასრულებს, ალ. წულუკიძე პირდაპირ აცხადებს, რომ იგი სრული წინააღმდეგია ენის დანიშნულებაზე „იმ წარმოდგენისა, რომელიც საზოგადოებაში გამეფებულა" და რომლის გამეფებას ხელი შეუწყო „მესამე დასის" უმრავლესობის (ნ. ჟორდანიას და სხვ.) ბუნდოვანმა შეხედულებებმა. „მხოლოდ დროა ამ ბუნდოვანებებს ბოლო მოეღოს და საგანი ისე გავიცნოთ როგორც არისო"[47], — დაასკვნის ალ. წულუკიძე.

უფრო გვიან, სახელდობრ 1905 წლის დამდეგს, ალ. წულუკიძემ საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა ნ. ჟორდანიას კრიტიკას და დიდი დამჯერებლობით ცხადჰყო მისი შეხედულებების ოპორტუნისტული ბუნება. მხედველობაში გვაქვს სტატია „პაწია შენიშვნა [illegible] კითხვაზე", რომელშიც ავტორმა გადაჭრით უკუაგდო ქართველ მენშევიკთა ლიდერის დემაგოგიური გამოხდომები, მიმართული ინტელიგენციის წრიდან გამოსული პროფესიული რევოლუციონერების წინააღმდეგ, და თვალნათლივ დაანახვა მკითხველს ნ. ჟორდანიას შეხედულებათა პირდაპირი ნათესაობა იდეალისტურ-ხალხოსნურ შეხედულებებთან.

ალ. წულუკიძის ზემოთ ხსენებული სტატია წარმოადგენდა პასუხს ნ. ჟორდანიას ცილისმწამებლურ წერილზე „რა არის პარტია", რომელიც ბოლშევიკებისა და მათი დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის წინააღმდეგ იყო მიმართული. ალ. წულუკიძე სასაცილოდ იგდებს ნ. ჟორდანიას პრიმიტიულ შეხედულებებს, რომლის მიხედვით ინტელიგენცია თითქოს მუშათა პარტიის მტერია, და მტკიცედ იცავს ლენინის დებულებებს პარტიის, როგორც მუშათა კლასის შეგნებული ავანგარდის, აგრეთვე მუშათა კლასის ერთგული ინტელიგენციის ის-

---

47 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 167.

ტორიულ როლზე. ნ. ჟორდანიას დემაგოგიურ ბრალდებას, თითქოს ბოლშევიკებმა განაახლეს ხალხოსნური თეორია „გმირისა“ და „ბრბოს“ შესახებ, ალ. წულუკიძემ შემდეგი შესანიშნავი, სავსებით მეცნიერული მსჯელობა დაუპირისპირა:

„კაპიტალისტური წარმოების აღორძინება-განვითარებამ განავითარა კლასიური წინააღმდეგობა, ჩამოაყალიბა საზოგადოების მოწინააღმდეგე ჯგუფები და ინტელიგენციის კრებულის სხვადასხვაობაც, აზრთა და მისწრაფებათა წინააღმდეგობა ცხადყო, კიდევ უფრო განამტკიცა. საზოგადოებაში მებრძოლ კლასებს თავისი მომხრე, იდეოლოგი ინტელიგენტები გაუჩნდნენ და შესაფერ მოქმედებას მიყვეს ხელი. ბურჟუაზიის ინტელიგენციას მუშათა კლასმა თავისი ინტელიგენტები დაუპირისპირა და მათი საშუალებით მუშათა მოძრაობის თეორიული გამოხატულება შეიმუშავა. გონებრივმა მუშაკმა — მუშათა ინტელიგენციამ ფიზიკური შრომის პირობები შეითვისა, შეიგნო და სხვა დაწინაურებული ერების მოძრაობის მაგალითებით, თავისი ქვეყნის ცხოველმყოფელი ფაქტებით განსწავლული, ის თეორიულად გამოხატავს პრაქტიკული ცხოვრების საჭიროებას და მისდა შესაფერად მკაფიოდ გარკვეულ, მეცნიერულად შემუშავებულ პროგრამას ადგენს და ამ პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად პრაქტიკულ მოღვაწეებთან ერთად ნათლად სამოქმედო წესებს იმუშავებს“[48].

აქედან ცხადია, რა ღრმად და მეცნიერულად ესმოდა ალ. წულუკიძეს როგორც საერთოდ ინტელიგენციის, ისე საკუთრივ მუშათა კლასის ინტელიგენციის როლი და დანიშნულება; აქედან ცხადია, აგრეთვე, რა შორს იყო სინამდვილისაგან ნ. ჟორდანიას მიერ ბოლშევიკებისადმი წაყენებული დემაგოგიური ბრალდება, თითქოს მათ გააცოცხლეს ხალხოსანთა იდეალისტური თეორია „ბრბოსა“ და „გმირების“ შესახებ. ალ. წულუკიძემ ცხადჰყო, რომ ინტელიგენციის როლის ხალხოსნურ-იდეალისტური გაგება ნათესაურ კავშირში სწორედ მენშევიკებისა და მათი ლიდერის ნ. ჟორდანიას შეხედულებებთან იმყოფებოდა.

ალ. წულუკიძის გამოსვლა ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ რაღაც შემთხვევითი, ან ტაქტიკური მოსაზრებით ნაკარნახევი ფაქტი კი არ ყოფილა, არამედ მას ჰქონდა უაღრესად ღრმა სოციალურ-პოლიტიკური ფესვები. საქართველოს ისტორიის ის მეცნიერული კონცეფცია, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითად გამოყენების შედეგად ალ. წულუკიძემ შეიმუშავა, ძირიანად ეწინააღმდეგებოდა „მესამე დასის“ უმრავლესობისა და მისი ორგანოს გაზეთ „კვალის“ მიმართულე-

[48] ა. წულუკიძე, თხზულებანი, 1967, გვ. 326.

ბას. ამიტომ, ალ. წულუკიძეს არ შეეძლო არ გამოეცხადებინა, და გამოუცხადა კიდეც, სასტიკი ომი ხსენებულ ოპორტუნისტულ მიმართულებას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ძველი მუშა-რევოლუციონერების გადმოცემით, საშა ამკარად და დაუფარავად გამოთქვამდა ხოლმე თურმე თავის უკმაყოფილებას „კვალის" მიმართულების გამო. მაგალითად, აი, რა ზუსტად და მოსწრებულად დაუხასიათებია მას „კვალი" მუშებთან ერთ-ერთი საუბრის დროს:

„სრულიად არაა, ძმაო, ეს გაზეთი პროლეტარული...

ბურჟუა — რადიკალი,
აი ჩვენი „კვალი"[19].

ასე თანამიმდევრულად და შეუპოვრად იბრძოდა საშა წულუკიძე ყველა ჯურის ოპორტუნისტების, მათ შორის მენშევიკების წინააღმდეგ.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვით გვინდა შევეხოთ ალ. წულუკიძის ღამოკიდებულებას თერგდალეულებისა და მათი იდეური ბელადის ილია ჭავჭავაძისადმი.

საყურადღებო ისტორიული ფაქტია, რომ ისეთი გამოჩენილი მარქსისტი თეორეტიკოსები, როგორიც ალ. წულუკიძე და ი. სტალინი იყვნენ, არასდროს არ გამოსულან თერგდალეულთა შეხედულებების კრიტიკით და არც ერთი წერილი არ დაუწერიათ მათ წინააღმდეგ. ეს გარემოება, ცხადია, შემთხვევითი არ არის. ვინც ყურადღებით შეისწავლის ა. წულუკიძისა და ი. სტალინის ნაწერებს, აგრეთვე — ვინც სათანადოდ გაითვალისწინებს იმ საზოგადოებრივ ატმოსფეროს, რომელიც თერგდალეულთა წინააღმდეგ ნ. ჟორდანიას და „მესამე დასის" ზოგიერთი სხვა გამოჩენილი მოღვაწის უხეში გალაშქრებით იყო შექმნილი, უდავოდ იმ დასკვნამდე მივა, რომ ზემოხსენებული ქართველი ლენინელები უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევდნენ თერგდალეულთა რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეოლოგიას და ამის გამო თერგდალეულთა შეხედულებების კრიტიკისაგან შეგნებულად თავს იკავებდნენ. როგორც ლენინი აფასებდა და განსაკუთრებულ პატივს სცემდა რუსეთის დიდ რევოლუციონერ-დემოკრატებს — გერცენს, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობრულიუბოვს, ასევე მისი ქართველი მოწაფეები ა. წულუკიძე და ი. სტალინი აფასებდნენ და განსაკუთრებულ პატივს სცემდენ ქართველ სამოციანელებს — რუსი რევოლუციონერი დემოკრატების მოწაფეებსა და თანამებრძოლებს.

---

[19] ბათუმის რევოლუციური მუზეუმი, ფ. № 5, საქმე 36, კ. გოგოლაძის მოგონება.

ალ. წულუკიძეს (ისევე როგორც ი. სტალინს) არ შეეძლო არ შეემჩნია, რომ თერგდალეულებმა უაღრესად პროგრესული და რევოლუციური როლი შეასრულეს საქართველოს ისტორიაში; მას არ შეეძლო არ დაენახა, რომ თერგდალეულებმა გზა გაუკაფეს და ნიადაგი მოუმზადეს ქართველი ხალხის უაღრესად მძლავრ რევოლუციურ მოძრაობას; მას არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ თერგდალეულები საქართველოში (ისევე როგორც დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატები რუსეთში) სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი წინამორბედნი იყვნენ. ამიტომ, სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერია ალ. წულუკიძის განცხადება, „სამოციანი წლების იდეალებს (განსაკუთრებით) გატაცებით ვეძლეოდი და ამ გზით, ამნაირად დღემდე მიედივარ და ამ გზითვე მინდა მომავლისაკენ გზა გავიკაფიო"[50].

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თითქოს ალ. წულუკიძეს სავსებით აკმაყოფილებდა თერგდალეულთა იდეები და იდეალები? ცხადია, არა! ალ. წულუკიძეს, როგორც გამოჩენილ მარქსისტ მოაზროვნეს, არ შეეძლო არ დაენახა თერგდალეულთა შეხედულებების ნაკლოვანებანი და სუსტი მხარეები; მას არ შეეძლო არ შეემჩნია, აგრეთვე ის ფაქტი, რომ თერგდალეულთა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები მხოლოდ 60-იანი წლებისათვის იყო პროგრესული მოვლენა, 90-იანი წლებისათვის კი, როცა საქართველოში მარქსიზმი გავრცელდა, ისინი აღარ გამოდგებოდნენ მშრომელი ხალხისათვის გზის მაჩვენებელ ლამპრად[51]. მიუხედავად ამისა, ალ. წულუკიძე, როგორც ითქვა, შეგნებულად იკავებს თავს თერგდალეულთა შეხედულებების კრიტიკისაგან, რადგან მშვენივრად იცის, რომ რა ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს ი. ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების მოღვაწეობას, ის მაინც ღირსია უდიდესი პატივისცემისა და დაფასებისა; ალ. წულუკიძეს არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ თერგდალეულთა სახელოვანი ხელმძღვანელები — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, რომლებიც ამავე დროს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უველასაგან აღიარებული ხელმძღვანელებიც იყვნენ, განასახიერებდნენ ქართული კულტურისა და აზროვნების განვითარების უაღრესად მაღალ ეტაპს, — რევოლუციურ-დემოკრატიულ ეტაპს, რომლის შემდეგ ქართული აზრის განვითარება მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის გზით იყო შესაძლებელი.

---

50 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 386.

51 ერთ კერძო წერილში, რომელიც 1900 წლის დამდეგსაა დაწერილი, ალ. წულუკიძე პირდაპირ მიუთითებს, რომ მას ი. ჭავჭავაძის შეხედულებები არ აკმაყოფილებს, რადგან ეს შეხედულებები „თანამედროვე ცოდნას არ ეთანხმება" იქვე,(გვ. 391).

თავი III

ეროვნული საკითხი ალ. წულუკიძის ნაშრომებში. მემკვიდრეობის პრობლემის მარქსისტულ-ლენინური გადაწყვეტა

ზემოთ ჩვენ უკვე დავინახეთ, რა გატაცებით, ღრმად და ყოველმხრივ სწავლობდა ალ. წულუკიძე საქართველოს ეკონომიური თუ სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხებს და რა შესანიშნავი აზრები გამოთქვა მან ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ურთულესი პრობლემების ირგვლივ; ახლა ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ამ გამოჩენილმა მარქსისტმა მოაზროვნემ არა ნაკლებ საინტერესო და საყურადღებო შეხედულებები გამოთქვა აგრეთვე ეროვნულ საკითხზე, რომელიც მის დროს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე საშინბოროტო და თანაც თეორიულად შედარებით ნაკლებად დამუშავებული საკითხი იყო.

ალექსანდრე წულუკიძის ნაწერები საკუთრივ ეროვნულ საკითხზე, მოცულობით შედარებით მცირეა, მაგრამ მათში ჩაქსოვილი აზრები იმდენად ღრმა და ორიგინალურია, რომ მათ ავტორს არ შეიძლება დიდი მოაზროვნის სახელი სამუდამოდ არ დაუმკვიდრდეს.

გავეცნოთ ახლოს ალ. წულუკიძის შეხედულებებს ეროვნულ საკითხზე.

1. ეროვნული საკითხის მარქსისტული დაყენება. ნაციონალიზმი და მისი ორი ნაირსახეობა

ეროვნული საკითხისადმი მიძღვნილი თავისი პირველი ნაშრომი, სათაურით „ნაციონალიზმი და სოციალიზმი", ალ. წულუკიძემ 1901 წელს, გაზეთ „ბრძოლაში" (№ 2—3) გამოაქვეყნა. თუ იმ პარემოებას გავითვალისწინებთ, რომ მეორე ინტერნაციონალიზმის ბელადებმა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ფუძემდებლური დებულებები ეროვნულ საკითხზე საბოლოოდ დაივიწყეს, არ შეიძლება არ გაგვაკვირვოს ალ. წულუკიძის საოცარმა გამჭრიახობამ და ღრმად მეცნიერულმა დაკვირვებებმა ეროვნული საკითხის ურთულეს თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებზე. ემყარება და ოსტატურად იყენებს რა მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდს, ალ. წულუკიძე ეროვნულ საკითხს იხილავს არა როგორც ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ და ყველა დროისათვის ერთნაირი მნიშვნელობის მქონე საკითხს, ამასთან როგორც ისტორიულად ცვალებად მოვლენას, რომლის როლისა და მნიშვნელობის განსაკუთრებული ზრდა მთელ მსოფლიოში კაპიტა-

ლისტური ურთიერთობის განვითარებასა და დამკვიდრებასთანაა დაკავშირებული. ალ. წულუკიძემ მშვენივრად იცის, რომ ერი ეთნიკური კატეგორია კი არაა, რგოროც ამას სხვადასხვა ჯურის იდეალისტები და ოპორტუნისტები ფიქრობდნენ, არამედ ისტორიული კატეგორიაა და, მაშასადამე, ეროვნული საკითხიც ისტორიული ვითარების ნაყოფია; მან ჩინებულად იცის, აგრეთვე, რომ ეროვნული საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ საკითხთან, სახელდობრ ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების არტახებიდან ხალხის განთავისუფლების საკითხთან, მან შესანიშნავად იცის, დაბოლოს, რომ ნაციონალურ იდეას ფესვები თვით ხალხში აქვს გადგმული და ამის გამო ეროვნული საკითხის გადაწყვეტით დაინტერესებულია (განსაკუთრებით ეროვნული მოძრაობის პირველ ეტაპზე) არა მარტო ბურჟუაზია, არამედ აგრეთვე მშრომელი ხალხი — მუშები და გლეხები.

იმისათვის, რომ მკითხველმა თვალნათლივ დაინახოს, რა მკაფიოდ და საფუძვლიანად მსჯელობს ალ. წულუკიძე ამ საკითხებზე, თავს ნებას მივცემთ მოვიტანოთ ვრცელი ამონაწერები მისი შესანიშნავი სტატიიდან „ნაციონალიზმი და სოციალიზმი“.

„ჩვენ ვიცით, რომ ნაციონალურ იდეას ისეთი ფართო გამოყენება არა ჰქონდა საშუალო საუკუნეების ცხოვრებაში, როდესაც მეფობდა ნატურალური მეურნეობა, როგორც დღევანდელ კაპიტალისტურ წყობილებაში. მაშინდელი ევროპა, დაყოფილი უთვალავ სამთავროებად, არ იყო ნაყოფიერი ნიადაგი ნაციონალურ იდეის განსავითარებლად. მაშინდელი საზოგადოებრივი წყობილება ხელს უშლიდა მიეღო ამ იდეას ისეთი სახე, როგორი სახეც აქვს დღეს — კაპიტალისტურ წყობილებაში. მაშინ გლეხის ინტერესები თავის სოფლის იქით აღარ მიდიოდა: იქ ხნავდა, იქ თესავდა და იქვე მოჰყავდა ყველაფერი თავისთვის საჭირო. ფეოდალები არხეინად გრძნობდნენ თავს: მათ გარშემოელებული ჰქონდათ „თავისი“ სოფლები და „თავისი“ გლეხებიდან იღებდნენ ყველაფერს თავისი განებივრებული ცხოვრებისათვის...

სულ სხვაგვარად შეიცვალა გარემოება, როდესაც ცხოვრების მოედანზე გამოვიდა მრეწველი. ეს ვაჟბატონი ქმნის ცხოვრებისათვის საჭირო საგნებს თავის მოსახმარად კი არა — გასაცვლელად სხვა საგნებზე (ფულზე). მას სურს, თუ თავის სოფელში (ან ქალაქში) ვერ უშოვა თავის საქონელს მუშტარი, სხვაგან უშოვოს, თუ თავის თემის მუშტარი არა ყოფნის, სხვა თემის ბაზარიც მოიპოვოს. აი ამ მრეწველთა კლასის წარმოშობით ძირეულად შეიცვალა პოლიტიკური წყობილება და აქედან ნაციონალური იდეის გავრცელებაც. ცენტრალურ მართველობას საზრუნველად გაუხდა მოუპოვოს თავის ქვეყნის მრე-

წველთა კლასს რაც შეიძლება ფართო ბაზარი. თუნდ მთელ ქვეყანაზედაც. აუცილებელ საჭიროდ გახდა ალაგმვა ფეოდალების თვითნებობისა (პარტიკულარიზმისა) და პოლიტიკური ძალის ცენტრალურ მართველობაში მოკრებისა. საჭირო შეიქმნა ძლიერი ჯარი, ფლოტი, მდიდარი ხაზინა"[1].

როგორც ვხედავთ, ავტორი საკმაოდ ლოგიკურად და საფუძვლიანად ასაბუთებს არა მარტო იმ აზრს, რომ ნაციონალური (ეროვნული) იდეა ისტორიული კატეგორიაა და რომ მისი მნიშვნელობის ზრდა საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურთანაა დაკავშირებული, არამედ იმ აზრსაც. რომ ეროვნული იდეის მნიშვნელობის ზრდა პირდაპირაა დამოკიდებული სოციალური ურთიერთობის განვითარებასთან; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტორი ნათლად ხედავს. რომ ეროვნული საკითხი უაღრესად მჭიდროდაა გადახლართულ-გადანასკვული სოციალურ საკითხთან და მისი მნიშვნელობაც ამ უკანასკნელის განვითარების დონითაა განპირობებული. ემყარება რა ამ უდავოდ სწორ, მეცნიერულ დებულებებს, ავტორი პირდაპირ ასახელებს იმ კლასს, რომელიც. თავისი კლასობრივი ინტერესების გამო. ყველაზე მეტადაა დაინტერესებული შუასაუკუნეების კარჩაკეტილი მეურნეობის მოსპობით და ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნით. ის ამბობს:

„სხვადასხვა ეროვნების მრეწველ ვაჭართა შორის მალე ჩნდება დაუცხრომელი ჭიშპობა, და გამარჯვებაც იმისია, ვინც თავის სახელმწიფოს მართველობაში ძლიერ დახმარებას იპოვის. მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოს შეუძლია მოიპოვოს თავის მრეწველ ვაჭრებისათვის სასარგებლო სავაჭრო ხელშეკრულებანი და თავის „სამშობლო ნაწარმოებს" გაუკაფოს გზა მსოფლიო ბაზარზე. ამის შემდეგ გასაკვირველი აღარ არის, რომ მსხვილი ბურჟუაზია ყველგან და ყოველთვის მომხრეა ძლიერი „ნაციონალური პოლიტიკისა". ნაციონალური იდეაც სხვას ვერ იპოვის ისეთ თავგამოდებულ მომხრეს და დამცველს, როგორც ბურჟუაზიას. ბურჟუაზიისათვის ძლიერი ნაციონალური სახელმწიფო ნიშნავს დიდ მოგებას"[2].

მაგრამ ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების მოსპობით და ძლიერი ეროვნული გაერთიანებით დაინტერესებული იყო არა მარტო ბურჟუაზია, არამედ ექსპლოატირებული კლასებიც. განაგრძობს რა ისტორიული პროცესის მარქსისტულ ანალიზს, ალ. წულუკიძე დამაჯერებლად ასაბუთებს, თუ რატომ არიან დაინტერესებული მუშები

---

[1] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 84—85.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 85.

და გლეხები ძველი (ფეოდალური) წესწყობილების მოსპობით და ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს შექმნით.

„არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, — ამბობს იგი, — რომ კაპიტალიზმის პირველ საფეხურზე მუშათა კლასიც დაინტერესებულია ძლიერი ნაციონალური სახელმწიფოთი, რამდენადაც ეს ძლიერება ნიშნავს ფეოდალების უფლებების შეზღუდვას და ნაციონალურ გაერთიანებას, რადგან ერთის მხრივ, შეზღუდვა ფეოდალების უფლებებისა და, მეორე მხრივ, ნაციონალური გაერთიანება ხელს უწყობს „მწარმოებელი" ძალის განვითარებას. ნაციონალური გაერთიანება მუშისათვის ნიშნავს გაძლიერებულ მრეწველობას, მაშასადამე, დიდ სამუშაო ჭირასაც, ნიშნავს აგრეთვე თავისუფლებას ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლისას. მაშასადამე, თავისი საქონლის, სამუშაო ძალის უფრო სარფიანად გაყიდვას"[3].

რაც შეეხება გლეხობას, მათ შესახებ ალ. წულუკიძე ამბობს:

„კაპიტალისტურ წყობილებაში თვით გლეხიც კი დაინტერესებულია მრეწველობა-ვაჭრობის განვითარებით, საქონლის შინაურ ბაზარზე გაცვლის თავისუფლებით, საქონლის სხვა ქვეყნებში გატანის აწევით, სავაჭრო ხელშეკრულებათა სარგებლობით და სხვ. მაშასადამე, — ნაციონალურ გაერთიანებით, ნაციონალურ ძლიერებით. ამ გარემოებათა წყალობით ნაციონალურ იდეას უჩნდება ნ ი ა დ ა გ ი თ ვ ი თ ხ ა ლ ხ შ ი და სწორედ ეს შეადგენს ჩვენი დროის ნაციონალიზმის განსაკუთრებულ დამახასიათებელ მხარეს"[4].

რაკი ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს შექმნით არა მარტო ბურჟუაზია, არამედ თვით ხალხიც იყო დაინტერესებული, ცხადია, ეროვნული მოძრაობა მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული სოციალურ მოძრაობასთან, შუასაუკუნეების არტახებიდან ხალხის განთავისუფლებასთან, რასაც შედეგად ძლიერი და დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა უნდა მოჰყოლოდა. ალ. წულუკიძემ მშვენივრად იცის, რომ ევროპისა და აზიის დიდი ეროვნული სახელმწიფოები სწორედ ამ გზით შეიქმნა. აი, როგორ მსჯელობს იგი ამის შესახებ:

„რადგან ნაციონალურ იდეას ფესვი მოკიდებული ჰქონდა თვით ხ ა ლ ხ ი ს ინტერესებში, მისი მოძრაობაც მტკიცედ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ხალხისავე ინტერესებთან და თითქმის ყველა საზოგადოებრივ მოძრაობას, ყველა რევოლუციას XIX საუკუნეში სახეში ჰქონდა უმთავრესად ორი მიზანი; ერთის მხრივ, საერთო განმათავისუფლებელი ინტერესები, განთავისუფლება ადამიანის პიროვნებისა იმ ბორკილებიდან, რომლითაც მიჯაჭვული იყო საშუალო საუკუნეებში

---

[3] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე. თხზულებანი, 1967, გვ. 86.

[4] ი ქ ვ ე.

და რომელიც ხელს უშლიდა მრეწველობის განვითარებას და, მეორე მხრივ, ეროვნული გაერთიანება, ეროვნული გაძლიერება.

ამის შემდეგ ჩვენთვის ადვილი გასაგებია ეროვნებათა ის აღორძინება, რომელიც XIX საუკუნემ გვაჩვენა. შეერთება იტალიისა, გერმანიისა, ნაციონალური მოძრაობა ვენგრიაში, აღორძინება სლოვაკთა ერებისა, შეერთება იაპონიისა — აი ფაქტები, რომლებიც არა ერთსა და ორს ეჩვენა გასაკვირველად.

ნაციონალური იდეის განვითარება აქამდე მხარდამხარ მიდიოდა საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომელსაც ბურჟუაზია ხელმძღვანელობდა"[5].

მაგრამ ყოველივე ეს ხდებოდა კაპიტალიზმის განვითარების პირველ საფეხურზე, როცა ბურჟუაზია ჯერ კიდევ აღმავალი კლასი იყო და პროგრესულ როლს თამაშობდა; შემდეგში კი ვითარება არსებითად შეიცვალა ალ. წულუკიძე ლოგიკურად მიჰყვება ისტორიულ მოვლენათა განვითარების კანონზომიერებას და თვალნათლივ გვიჩვენებს, როგორ გადაიქცა ნაციონალური იდეა, დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების ხელში, პატარა ერების ჩაგვრისა და დამონების იარაღად. აქ ალ. წულუკიძე პირდაპირ აყალიბებს ეროვნული საკითხის ლენინური თეორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკვანძო დებულებას, სახელდობრ დებულებას იმ არსებითი განსხვავების შესახებ, რომელიც გაბატონებული და დაჩაგრული ერების ნაციონალიზმს შორის არსებობს. მოვუსმინოთ:

„ნუ დავივიწყებთ, რომ ეს გამარჯვება (დიდი სახელმწიფოების ა. პ. რ.) მოხდა ბრძოლით; რომ ეროვნული განვითარება ერთი რომელიმე სახელმწიფოსი, ერთი რომელიმე ეროვნებისა ნიშნავს დაჩაგვრას, დამონებას და განადგურებასაც მეორე სახელმწიფოს და ეროვნებისა. და ყველა თანამედროვე სახელმწიფოს ძლიერება დამყარებულია მრავალ ერთა დაჩაგვრა-დამონებაზე. აი ეს გარემოება აუცილებლად ხდის ნაციონალიზმის ორად გაყოფას. თანამედროვე ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ ნაციონალიზმს გაბატონებული ნაციებისას და ნაციონალიზმს დაჩაგრული ნაციებისას. და აქ შორდებიან ერთმანეთს პროლეტარიატის და ბურჟუაზიის გზებიც ნაციონალიზმის კითხვაში"[6].

ეს დებულება ჩვენ ქართული მარქსისტულ-ლენინური აზროვნების შესანიშნავ ნიმუშად მიგვაჩნია. აქედან ცხადია, რა მაღალ თეორიულ დონეზე აიყვანა ალექსანდრე წულუკიძემ ეროვნული საკითხის მეცნიერული გაგება.

ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი ყოველთვის განსაკუთრებით ხაზს

---

[5] ა. წულუკიძე, თხზულებანი, 1967, გვ. 86.

[6] იქვე, გვ. 87.

უსვამდა და ბოლშევიკური პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევდა სწორედ იმ განსხვავების დანახვასა და გათვალისწინებას, რომელიც არსებობდა დიდი და პატარა ერების, დამჩაგვრელი და დაჩაგრული ერების ნაციონალიზმს შორის. აი, მაგალითად, რას ამბობდა ლენინი თავის მოხსენებაში კომინტერნის II კონგრესზე, ნაციონალურ და კოლონიურ საკითხზე შედგენილი თეზისების განხილვისას:

„რა არის ჩვენი თეზისების ყველაზე მნიშვნელოვანი, ძირითადი იდეა? განსხვავება ჩაგრულ და მჩაგვრელ ხალხთა შორის... ეს იდეა ხალხთა განსხვავებისა, მათი დაყოფისა მჩაგვრელ და ჩაგრულ ხალხებად — გატარებულია ყველა თეზისში“[7].

ამ აზრს ვ. ი. ლენინი არაერთხელ იმეორებდა. მაგალითად, ცნობილ ჩანაწერში: „К вопросу о национальностях или об автономизации“, რომელიც უშუალოდ საქართველოს ამბებისადმია მიძღვნილი, ვკითხულობთ:

„ნაციონალურ საკითხზე დაწერილ ჩემს ნაწარმოებებში მე უკვე ვწერდი, რომ არაფრად არ ვარგა აბსტრაქტულად საკითხის დაყენება ნაციონალიზმზე საერთოდ. აუცილებელია განვასხვავოთ ნაციონალიზმი მჩაგვრელი ერისა და ნაციონალიზმი დაჩაგრული ერისა, ნაციონალიზმი დიდი ერისა და ნაციონალიზმი პატარა ერისა“[8].

აქედან დღესავით ნათელია, რა შესანიშნავად აყენებდა და სწყვეტდა ალ. წულუკიძე, ჯერ კიდევ რევოლუციის გარიჟრაჟზე, ლენინური ეროვნული პოლიტიკის ურთულეს თეორიულ პრობლემებს. მაგრამ მივყვეთ ქვემოთ.

განაგრძობს რა ისტორიული პროცესის მეცნიერულ ანალიზს ალ. წულუკიძე ააშკარავებს დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების მტაცებლურ ბუნებას, ძალმომრეობაზე დამყარებულ მათს პოლიტიკას და გვიჩვენებს იმ მიზეზებს, რომლებიც პატარა ერებში ნაციონალურ მოძრაობას იწვევენ. ის ამბობს:

„წინანდელი სახელმწიფო არ იყო ნაციონალური იმ აზრით, როგორც ეხლა გვესმის ამ სიტყვების მნიშვნელობა, ის კმაყოფილდებოდა დამორჩილებული ხალხის მხოლოდ გარეგანი შემოერთებით და არ ერეოდა ამ ხალხის შინაურ ცხოვრებაში. მაშინდელი სახელმწიფო ხშირად შესდგებოდა მრავალი ეროვნების შეერთებით, რომლებიც ერთიერთმანეთისაგან განირჩეოდნენ ენითაც, სარწმუნოებითაც, ზნე-ჩვეულებითაც და შინაური ცხოვრების მართვა-გამგეობითაც.

სულ სხვაა დღევანდელი ნაციონალური სახელმწიფო. ის თავით

---

[7] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 285—286.

[8] В. И. Ленин, о национальном и национально-колониальном вопросе, М., 1956, გვ. 548.

ბოლომდე ცენტრალისტური მიდრეკილებებით არის გამსჭვალული; ის ცდილობს ძალით მოახვიოს თავისი ენა, თავისი კულტურა ყველა მცხოვრებთ, ცდილობს სრულიად მოსპოს ეროვნების ინდივიდუალური განსხვავება და ყოველიფერზე სურს თავის საკუთარი ინდივიდუალური ბეჭედი დაასვას თუნდაც დამორჩილებული ერით ეკონომიურად ვერ სარგებლობდეს... ამ ნაციონალურმა ჩაგვრამ, შევიწროებამ შეჰქმნა ნაციონალური მოძრაობა იმგვარ ნაციებშიც კი. სადაც უამისოდ ადგილი არ ექნებოდა ამ მოძრაობას"[9].

დაჩაგრულ ერთა ეს ეროვნული მოძრაობა ალ. წულუკიძეს სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიაჩნდა და მთელი მისი სიმპათიები მის მხარეზეა, მაგრამ დიდი რეეოლუციონერი და მოაზროვნე მარტო სიმპათიებით როდი კმაყოფილდება; იგი მეცნიერული სიზუსტით განსაზღვრავს პროლეტარიატისა და მისი იდეოლოგიის დამოკიდებულებას ჩაგრულ ერთა ეროვნული მოძრაობისადმი: იგი მოითხოვს, რომ პროლეტარიატმა მხარი დაუჭიროს ჩაგრულ ერთა ბრძოლას დიდი ერების მხრით ძალმომრეობისა და შევიწროვების წინააღმდეგ.

„ხომ იმაზედ ბუნებრივი არა იქნება რა, რომ დაჩაგვრისაგან დაიცვა დედაენა, შენი საუკუნეობით გადმოცემული ჩვეულებანი, რომლებსაც სიყრმიდანვე შეეზარდე? განსაკუთრებით ეს დაცვა ბუნებრივია ჩვენს დროში, როცა ხალხის ძალამ გაიღვიძა, როცა ხალხი დგება ყოველგვარი შევიწროების წინააღმდეგ. ნაციონალური შევიწროებაც ვერ ასცდებოდა ამ ბედს... რამდენადაც ნაციონალური ბრძოლა მიმართულია წინააღმდეგ ნაციონალური შევიწროებისა. წინააღმდეგ ძალად გაგერმანელებისა, გარუსებისა და სხვ. სოციალიზმი თანაუგრძნობს მას. ნაციონალური თავისუფლება არის ერთი მხარეთაგანი პიროვნული და საზოგადოებრივი თავისუფლებისა და ამიტომ ნაციონალური თავისუფლება განუყრელად შედის პროლეტარიატის საერთო დემოკრატიულ პროგრამაში"[10].

ამრიგად, ალ. წულუკიძის სამართლიანი აზრით, მას შემდეგ, რაც შეიქმნა დიდი ეროვნული სახელმწიფოები, რომლებიც პატარა ერების ჩაგვრის, შევიწროებისა და სრულიად მოსპობის პოლიტიკას ახორციელებდნენ; მას შემდეგ, რაც „ხალხის ძალამ გაიღვიძა" და „ხალხი დგება ყოველგვარი შევიწროების წინააღმდეგ", მუშათა კლასს და მის პარტიას არ შეუძლია მხარი არ დაუჭიროს დაჩაგრულ ერთა სამართლიან ბრძოლას ძალმომრეობისა და შევიწროების წინააღმდეგ. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ალ. წულუკიძე მომხრეა, მუშათა კლასმა მხარი დაუჭიროს პატარა და დაჩაგრული ერების ნაციონალურ მოძ-

---

[9] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 87.
[10] იქვე, გვ. 87—88.

რაობას უპირობოდ და ყოველგვარ ვითარებაში? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხომ არ აიდეალებს ალ. წულუკიძე ჩაგრულ ერთა ნაციონალურ მოძრაობას და ხომ არ აყენებს მას საერთო დემოკრატიულ მოძრაობაზე მაღლა?

სრულიადაც არა! ალ. წულუკიძემ ზედმიწევნით იცის, რომ ნაციონალიზმი ბურჟუაზიული მოძრაობაა და მაშინაც კი, როცა საქმე ეხება პატარა და დაჩაგრული ერის ნაციონალიზმს, რომელიც მოსახლეობის ფართო ფენების ბუნებრივ ინტერესებს გამოხატავს, ხშირად ხდება ხოლმე, რომ დაჩაგრული ერის ნაციონალიზმი დამჩაგვრელი ერის ნაციონალიზმად გადაიქცევა; ალ. წულუკიძემ მშვენივრად იცის. აგრეთვე, რომ ნაციონალური თავისუფლება საერთო-დემოკრატიული თავისუფლების ნაწილია და, როგორც ასეთი, მას უნდა დაექვემდებაროს.

ეს უკანასკნელი საკითხი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანია, ამიტომ გავეცნოთ მას უფრო ახლოს.

2. სოციალური და ეროვნული საკითხების ურთიერთდამოკიდებულება

ზემოთ უკვე დავინახეთ, რომ ალექსანდრე წულუკიძის თვალსაზრისით სოციალური და ეროვნული საკითხები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და გადანასკვული, რამდენადაც ეროვნული საკითხი ნაყოფია სოციალურ ურთიერთობათა განვითარების გარკვეული (ბურჟუაზიული) ეტაპისა; ზემოთ დავინახეთ, აგრეთვე, რომ, ალ. წულუკიძის აზრით, ნაციონალური იდეა (ნაციონალიზმი) ბურჟუაზიის ხელში იქცევა ჩაგვრისა და ძალადობის იარაღად, ე. ი. ნამდვილი დემოკრატიის მტრად; ზემოთ დავინახეთ, დაბოლოს, რომ ალ. წულუკიძის აზრით, მუშათა კლასი და მისი პარტია, მართალია, მხარს უნდა უჭერდნენ დაჩაგრული ერების ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ გარკვეულ პირობებში.

ბუნებრივად ისმება კითხვა: როგორია ის პირობები, როცა მეცნიერული სოციალიზმის თვალსაზრისით, მუშათა კლასმა მხარი უნდა დაუჭიროს ჩაგრულ ხალხთა ნაციონალურ მოძრაობას? ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს მუშათა დემოკრატიასა (სოციალიზმი) და დაჩაგრული ერის ნაციონალიზმს შორის?

ალ. წულუკიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ უაღრესად რთული პრობლემის გაგებაშიც იგი მთლიანად ლენინური მოძღვრების სიმაღლეზე დგას და ნათლად გადმოგვცემს ბოლშევიკური პარ-

ტიის სოციალური და ეროვნული პოლიტიკის ურთიერთობის თეორიულ საფუძვლებს.

გავეცნოთ მისი მსჯელობის რამდენიმე ნიმუშს.

„გასაკვირველი არ არის, როცა სოციალისტური პარტია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უწევს შემავიწროებელთა ნაციონალიზმს, მაგრამ რატომ სოციალისტური პარტია ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ არ უჭერს მხარს მებრძოლ შევიწროებულ ერებს? ჩვენ ვთქვით, რომ ნაციონალური თავისუფლება განუყრელად შედის პროლეტარიატის საერთო დემოკრატიულ პროგრამაში. ეს სიტყვებიეე გვაძლევენ გადაჭრილ პასუხს ჩვენ კითხვაზედ: ნაციონალური თავისუფლება გამოდის როგორც ნ ა წ ი ლ ი დემოკრატიული თავისუფლებისა და, მაშასადამე, მას, ნაციონალურ თავისუფლებას, არ შეუძლია დაიმორჩილოს მ თ ე ლ ი საერთო-დემოკრატიული თავისუფლება, და ამიტომ ყოველთვის, როდესაც კი ნაციონალური და საერთო-დემოკრატიული ინტერესები ერთმანეთს უკავშირდებიან, ნაციონალურმა ინტერესებმა უნდა დაუთმონ. აი ის შეხედულება, რომელზედაც დგას შეგნებული პროლეტარიატი და რომელსაც არასოდეს არ თანაუგრძნობს ბურჟუაზია. უკანასკნელი, წინააღმდეგ, იმ აზრისა არის. რომ ყველა ინტერესები უნდა დაექვემდებაროს, დაემორჩილოს ნაციონალურ ინტერესებს«[11].

მაგრამ რატომ არის ნაციონალური თავისუფლება საერთო დემოკრატიული თავისუფლების ნაწილი და, მაშასადამე, რატომაა აუცილებელი, რომ მან, — ნაციონალურმა თავისუფლებამ, — დაუთმოს საერთო-დემოკრატიულ თავისუფლებას? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განა ცოტაა ისტორიაში იმის მაგალითები, როცა სხვადასხვა კლასთა ინტერესები ერთიანდებიან და ამის შედეგად ერის საერთო ინტერესები ცალკე კლასების ინტერესებზე მაღლა დგებიან?!

ამ კითხვაზე ალ. წულუკიძე ასეთ, მეცნიერულად საესებით დასაბუთებულ პასუხს გვაძლევს:

„ჩვენ ვამტკიცებთ. რომ თუ შეიძლება სხვადასხვა კლასების ინტერესების ერთიანობაზე ლაპარაკი, რომ თუ ისტორიაში დგებიან ისეთი მომენტები, როდესაც საერთო ინტერესები მაღლა დგებიან კერძო კლასობრივ ინტერესებზე,—ესევე მომენტები ვერასგზით უარს ვერ გახდიან, ვერ მოსპობენ ინტერესების იმ ძირეულ წინააღმდეგობას, რომელიც დღითი-დღე ვითარდება თვით ეკონომიური პროცესით იმ საზოგადოებაში, რომელიც დამყარებულია კერძო საკუთრებაზე და ადამიანისაგან ადამიანის დამონებაზე. ინტერესების წინააღმდეგობა, — წესია, მათი (ინტერესების) შეთანხმება კი — დროებითი მოვლენაა,

---

11 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 88—89.

გამონაკლისია. ასეთია, ჩვენი აზრით, დამოკიდებულება ნაციონალიზმისა და კლასობრიეი ბრძოლისა"[12].

ემყარება რა ასეთ სწორ თვალსაზრისს და იშველიებს რა ევროპის (სახელდობრ, საფრანგეთის) ისტორიის მაგალითებს, ალ. წულუკიძე გვიხატავს ბურჟუაზიის მიერ ნაციონალური დროშის საფარით, „პატრიოტიზმზე" და „სამშობლოზე" ხმამაღლა ყვირილით, ხალხის დემოკრატიული უფლებების შევიწროების, მისი ფეხქვეშ გათელვის დამაჯერებელ სურათს; ამასთან ის არკვევს იმ მიზეზებს, რომელთა გამო მუშათა სოციალური დემოკრატია იძულებულია ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს ბრძოლა გამოუცხადოს.

„ნაციონალური იდეა, თავისთავად რომ ავიღოთ, ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ი დ ე ა ა, დემოკრატიზმთან კი მას მხოლოდ დროებითი კავშირი აქვს შეკრული და შეუძლია ყოველ წუთს გასწყვიტოს ეს კავშირი შეიძლება ვთქვათ, რომ ბურჟუაზიისათვის აუცილებელია ცოტა რამ დემოკრატობა... მაგრამ მისი დემოკრატობა განსაზღვრულია, მას დემოკრატიზმიდან ცოტა რამ ნაწილი უნდა და არა დემოკრატიის ს რ უ ლ ი გამარჯვება... ისტორიას არა ერთი მაგალითით დაუმტკიცებია ბურჟუაზიის და სრული დემოკრატიული იდეის შორი-შორობა. ხშირად დაჩაგრული ერების ნაციონალიზმი დამჩაგრელთა ნაციონალიზმად შეიცვლება ხოლმე, როგორც, მაგალითად, ვენგრიაში ვხედავთ"[13].

მაშასადამე, ალ. წულუკიძის სამართლიანი დასკვნით, ისტორია გვიმოწმებს რომ ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და ნამდვილი დემოკრატია ერთმანეთისაგან შორი-შორს დგანან და ხშირად თვით დაჩაგრული ერის ნაციონალიზმიც კი არ გამოდგება ნამდვილ დემოკრატიის საიმედო მოკავშირედ.

მაგრამ ამას გარდა არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც აუცილებელს ხდის, რომ პროლეტარიატმა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადოს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს; საქმე ისაა, რომ ნაციონალურ იდეას ბურჟუაზია იყენებს პროლეტარიატის წინააღმდეგ, მის მოსატყუებლად, — იყენებს იმისათვის, რომ მუშათა მოძრაობა ბურჟუაზიის ინტერესებს დაუქვემდებაროს. ამასთან დაკავშირებით ალ. წულუკიძე ამბობს:

„ნაციონალური იდეა ბურჟუაზიისათვის შესანიშნავი იარაღია პროლეტარიატის წინააღმდეგ; სოციალიზმი ასწავლის პროლეტარიატს, რომ მისი ინტერესები პირდაპირ წინააღმდეგნი არიან ბურჟუაზიის ინტერესებისა, რომ ის უნდა ეწეოდეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძო-

---

[12] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 92—93.

[13] იქვე, გვ. 89.

ლას, რომ მისმა გამარჯვებამ აუცილებლად ბურჟუაზიის საფლავზედ უნდა გადაიაროს... აბა ამის შემდეგ როგორ არ მოებღაუჭოს ბურჟუაზია ნაციონალურ იდეას, რომელიც ეუბნება: პროლეტარიატს და ბურჟუაზიას აქვთ საერთო „ნაციონალური“ ინტერესები, რომ ამ „წმინდა ნაციონალურ“ ინტერესების გულისათვის პროლეტარიატმა (დროებით ან სამუდამოდ) უნდა უარჰყოს კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასთან, დემოკრატიისათვის და სოციალიზმისათვის ბრძოლა“[14].

სტატიას „ნაციონალიზმი და სოციალიზმი“ ალ. წულუკიძე ამთავრებს ასეთი ყოველმხრივ შესანიშნავი და საყურადღებო დასკვნით:

„ჩვენ ვხედავთ, რომ ნაციონალური იდეა თავის განვითარებაში უარყოფს ყოველგვარ დემოკრატიზმს, რომ ნაციონალიზმი დაჩაგრული ერებისაც კი გადადის დამჩაგვრელთა ნაციონალიზმზე, როდესაც კი ბურჟუაზიის ინტერესები წამოჰყოფენ თავს. ვხედავთ, რომ მსოფლიო ნაციონალიზმი ჰბადებს იმ საშინელ მოვლენას, როგორიც არის იმპერიალიზმი... და გამოგვყავს დასკვნა, რომ პროლეტარიატისათვის ნაციონალური იდეა თავისთავად მოწინააღმდეგე, მტრული იდეაა... პროლეტარიატს საკმაოდ ისტორიული გამოცდილება აქვს, რომ აშკარად აღარ ენდოს ბურჟუაზიას, თუნდ მის დემოკრატიულ ნაწილსაც, მის დემოკრატიულ სიმტკიცეში. პროლეტარიატს აღარა სურს, რომ ის მხოლოდ ბრმა იარაღად გამოდიოდეს ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავად. მას სურს ნამდვილი დემოკრატია და არა მისი აჩრდილი და ამგვარი დემოკრატიის დამპყრობელი კი მხოლოდ პროლეტარიატია. აქედან დასკვნა ცხადია: ვისაც სურს ისარგებლოს ამ დემოკრატიით, ვინც მის მოპოვებაში დაინტერესებულია, უნდა გაჰყვეს პროლეტარიატს და არა პროლეტარიატი მათ. პროლეტარიატის დემოკრატიული პროგრამა სავსებით შეიცავს დაჩაგრული ერების ინტერესებს, ეროვნულ თავისუფლებას და ამ ერებს სრული ნდობით შეუძლიათ გაჰყვნენ პროლეტარიატს დემოკრატიისათვის ბრძოლაში: ის არ მოატყუებს მათ, როგორც ატყუებდა მათ ბურჟუაზია ყველა განმათავისუფლებელ ბრძოლაში“[15].

ასე ნათლად და გარკვევით აყალიბებდა ა. წულუკიძე, ჯერ კიდევ 1901 წელს, მუშათა კლასისა და მისი პარტიის პოლიტიკას ეროვნულ საკითხში. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ მითითება პროლეტარიატის დემოკრატიულ პროგრამაზე, რომელიც „სავსებით შეიცავს დაჩაგრული ერების ინტერესებს. ეროვნულ თავისუფლებას“, გულისხმობს ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, რომელიც ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პოლიტიკის ნამდვილ ქვაკუთხედს წარმოადგენს.

---

14 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 90.

15 იქვე, გვ. 93.

ალექსანდრე წულუკიძეს ღრმად სწამდა, რომ ეროვნული საკითხის ნამდვილი და საბოლოო გადაჭრა შეეძლო მხოლოდ მუშათა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, რომელსაც თავის ხელში უნდა აეღო, და აიღო კიდევაც, მშრომელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობა; იგი მიხვედრილი იყო იმ დიდ აზრს, რომ მუშათა კლასის ბრძოლა სოციალიზმისათვის შეესაბამებოდა და გამოხატავდა არა მარტო საკუთრივ მის კლასობრივ ინტერესებს, არამედ აგრეთვე ყველა დაჩაგრული ადამიანისა და ყველა დაჩაგრული ერის სასიცოცხლო ინტერესებს.

3. ეროვნული ავტონომიის პრობლემა

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ალ. წულუკიძემ ძირითადად ჯერ კიდევ პარტიის II ყრილობამდე შესძლო ეროვნული საკითხის გადაწყვეტის სწორი, მარქსისტულ-ლენინური პრინციპების შემუშავება. შემდგომში, დაეყრდნო რა ამ პრინციპებს, აგრეთვე საქართველოს იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების დიალექტიკურ-მატერიალისტურ ანალიზს, მან გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგიის განადგურების საქმეში.

როგორც ცნობილია, სოციალ-ფედერალისტთა ბურჟუაზიულმა პარტიამ და მისმა ბელადმა არჩილ ჯორჯაძემ დიდი შრომა და ენერგია დახარჯეს იმისათვის, რომ საქართველოს მშრომელთა რევოლუციური მოძრაობა ბურჟუაზიის სამსახურში ჩაეყენებინათ; სწორედ ამ ამოცანას ისახავდა მიზნად ა. ჯორჯაძის ცნობილი „საერთო ნიადაგის" თეორიაც და ე. წ. „ეროვნული ავტონომიის" მოთხოვნაც, რომელიც 1903 წელს გაზეთ „საქართველოს" (პარიზი) ფურცლებზე იყო წამოყენებული.

ალ. წულუკიძემ, როგორც ვიცით, ჯორჯაძის შეხედულებათა კრიტიკას მიუძღვნა კაპიტალური ნაშრომი „ოცნება და სინამდვილე", რომლითაც პირდაპირ გაიკამტვერა „საერთო ნიადაგის" ბურჟუაზიული თეორია. რაც შეეხება ეროვნული ავტონომიის მოთხოვნას, ამ საკითხზე ალ. წულუკიძემ ჟურნალ „მოგზაურში" 1905 წელს გამოაქვეყნა ორი უაღრესად საყურადღებო სტატია, რომლებშიც დიდი დამაჯერებლობით დაასაბუთა მუშათა კლასის ინტერესებთან იმ დროს ავტონომიის მოთხოვნის შეუთავსებლობა.

გავეცნოთ ამ სტატიების შინაარსს.

პირველი სტატია, რომლის სათაურია „ეროვნული ავტონომია და მისი მოტრფიალენი", დაიბეჭდა „მოგზაურის" მე-15 ნომერში, ხოლო მეორე — „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები", იმავე ჟურნალის მე-17 ნომერში. მათი შინაარსი მოწმობს, რომ ავტორი სრუ-

ლიადაც არ გამოდის ავტონომიის, როგორც ასეთის, პრინციპულ მოწინააღმდეგედ; იგი მხოლოდ იმ გარემოებას უსვამს ხაზს, რომ აღებულ მომენტში, ე. ი. 1905 წლის მღელვარე ეპოქაში, როცა რევოლუციის გამარჯვებისათვის აუცილებელი იყო მთელი რუსეთის მუშათა კლასის ერთიანობა, ავტონომია სარგებლობას მოუტანდა არა მუშათა კლასს, არამედ ბურჟუაზიას.

როგორ ასაბუთებს ამ აზრს ალ. წულუკიძე?

სტატიაში „ეროვნული ავტონომია და მისი მოტრფიალენი“ ავტორი, უპირველეს ყოვლისა, აშკარავებს ეროვნული ავტონომიით ბურჟუაზიის დაინტერესების ნამდვილ მიზეზებს და ჩამოთვლის იმ მოტივებს, რომელთა საშუალებით ლიბერალებს ხალხის მოტყუება სურდათ. ის ამბობს:

„ჩვენი ბურჟუაზია, როგორც სუსტი და განუვითარებელი, ვერ ბედავს აშკარად და თამამად თავის სახის გამოჩენას, აშკარად, დაუფარავად მშრომელი ხალხისათვის ბრძოლის გამოცხადებას. მას არ შესწევს ძალა თავის ინტერესების თავისით დაცვის. მას ესაჭიროება დახმარება ხალხის, და ამიტომ თავის დროშაზე აწერს მაღალ ფრაზებს; „ეროვნული ავტონომია“, და ეს ავტონომია უნდა ხალხის სახელით გაასაღოს, დაჩაგრული ერის ვითომდა მფარველობა გამოიჩინოს.

ხალხს მთავრობა ამით ახლო ეყოლება. საკუთარი პარლამენტი ექნება. საკუთარი კანონების გამომცემელი ქართველი ხალხისათვის, და თუმცა ის ბურჟუაზიული იქნება, მარა ხალხის ინტერესებს მაინც უკეთ დაიცავს, ვინემ სადღაც შორს, პეტერბურგში გადაკარგული პარლამენტი. სადაც ქართველებს 15-მდე დეპუტატი თუ ეყოლება. ეს არის დედა ძარღვი ეროვნულ ავტონომიის. ამან უნდა გვიხსნას ს.ჩიადასხვა შევიწროებისაგან, დაამყაროს ერთა შორის სოლიდარული მოქმედება და სხვ. ასე ღილინებენ ტკბილ ხმაზე ჩვენი ლიბერალები, ნაციონალ-დემოკრატები, ფედერალისტ-სოციალისტები და ძმანი მათნი“[16].

ამის შემდეგ ავტორი მიუთითებს ქართველი ერის ანტაგონისტურ კლასებად დაყოფის ფაქტზე. ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არსებულ შეურიგებელ წინააღმდეგობაზე და დაწვრილებით განუმარტავს მკითხველს, თუ რატომ იყო ეროვნული ავტონომია იმ დროს მუშათა კლასის საქმისათვის მიუღებელი.

„ეროვნული ავტონომია ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, ერთი ერის მეორისაგან ჩამოშორებას, და ამით მათი ერთიმეორისაკენ დაპირისპირებას... მუშა ხალხი, რომელი ეროვნებისაც უნდა იყოს იგი, ერთსა და იმავე ტაფაში იწვის, ერთსა და იმავე კაპიტალის ბატონობას ებრძვის. მასში კაპიტალი ხედავს არა ეროვნების წარმომადგე-

---

16 ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, 1972, № 1, გვ. 60.

ნელს, არამედ მხოლოდ სამუშაო ძალის მატარებელს, და რადგან ამ მხრივ ყველა ერის შვილი თანასწორია, ისიც თანასწორად ყველეფს და სარგებლობს ყველა ძალღონით, განურჩევლად მათი ეროვნებისა. მაშ რა აქვთ სხვადასხვა ერთა მუშა ხალხს ერთმანეთში გასაყოფი, გარდა გასაჭირისა? რა აქვთ მათ ისეთი, რომლის გამო საჭირო ხდებოდეს მათი ერთმანეთის ჩამოშორება და განცალკევება? არაფერი. პირიქით, მათი ინტერესი თხოულობს, ეროვნების მიუხედავად, ყველას შეერთებას, შეკავშირებას და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საერთო ძალით გალაშქრებას"[17].

ასე მსჯელობს ალ. წულუკიძე სტატიაში „ეროვნული ავტონომია და მისი მოტრფიალენი", რომელსაც ლიბერალთა ბანაკში დიდი შეშფოთება გამოუწვევია. „ცნობის ფურცელი" დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ალ. წულუკიძის სტატიას და დაბეჭდა მის წინააღმდეგ ს. ფირცხალავას („კალამი") და გ. ლასხიშვილის („განი") სტატიები. ეროვნული ავტონომიის საკითხი უაღრესად მწვავე და თანაც შეუსწავლელი საკითხი იყო, ამით აიხსნება, რომ ალ. წულუკიძე კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და სტატიაში „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესების", კიდევ უფრო გულდასმით, დაწვრილებით და დამაჯერებლად დაასაბუთა მუშათა კლასის ინტერესებისათვის იმდროინდელ ვითარებაში ავტონომიის მიუღებლობა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ალ. წულუკიძე არ შეუშინდა თვით კ. კაუცკის დიდ ავტორიტეტსაც კი, რომლის საშუალებით მოწინააღმდეგენი მის ჩაჩუმებას ცდილობდნენ, და ეროვნული ავტონომიის აკარგის შეფასებისას მთავარი როლი მიაკუთვნა არა კ. კაუცკის მიერ ევროპაში გამოთქმულ შეხედულებებს, არამედ ადგილობრივი ვითარების, ჩვენი ცხოვრების სპეციფიკური პირობების გათვალისწინებას.

„ბ. განი, — ამბობს იგი, — კაუცკის სახელით გვაშინებს და გვარცხვენს: ეს როგორ არ იცითო? რატომ გონია ბ. განს, რომ „პრავდაში" კაუცკის წერილს ჩვენ ვერ წავიკითხავდით, ეს რა ასეთი უხილავი დოკუმენტია? ვაუწყებთ ბ. განს, რომ კაუცკის მოყვანილი ადგილი სრულიად არ არღვევს ჩვენსას სულ უბრალო მოსაზრებით: ის ჩვენს ავტონომიაზე და აქაურ პირობებზე არ ლაპარაკობს! ჩვენ არ ვიცით, რას იტყვის კაუცკი ამის შესახებ (გვგონია, თქვენ არ დაგეთანხმებათ), მხოლოდ ჩვენ არც ისეთი ბრმა თაყვანისმცემლები გახლავართ ავტორიტეტების, რომ, თუ ევროპაში კაუცკიმ თქვა. უკრიტიკოთ გავიმეოროთ. ჩვენთვის ავტონომია და ფედერაცია დღევანდელ პირობებში

---

[17] ჟურნალ „საქართველოს კომუნისტი", 1972, № 1, გვ. 60—61.

მავნებელია — აი მოკლეთ ჩვენ აზრი და ამ აზრის დასარღვევად აეტორიტეტებსაც საბუთს მოვთხოვთ"[18].

ალ. წულუკიძის ზემოთ განხილული სტატიები, ისევე როგორც ყველა მისი ნაწერი და ნაფიქრ-ნააზრი, გაჟღენთილია მშრომელი ხალხისადმი სიყვარულით, საქართველოს, ამიერკავკასიისა და მთელი რუსეთის ყველა ერის ძმობა-მეგობრობის სულისკვეთებით. ალ. წულუკიძე აღფრთოვანებულია იმ ფაქტით, რომ 1905 წელს „დადგა სასიხარულო დრო, როცა კავკასიაში ეროვნებათა შორის შური და შუღლი მოისპო, მივაღწიეთ ისეთ ჟამს, როცა ქართველი და სომეხი, რუსი და ებრაელი, თათარი და პოლონელი ძმურად, ამხანაგურად ხელიხელ ჩაკიდებულნი, ერთი ინტერესით გამსჭვალულნი, საერთო იარაღით აღჭურვილნი კავკასიის ყოველ კუთხეში პროლეტარიატის იდეალისაკენ მიისწრაფიან და მათ შორის უთანხმოებისა და უნდობლობის პირობები დღითი-დღე ისპობა"[19].

დიდი რევოლუციონერი და მოაზროვნე არაჩვეულებრივი სიმტკიცით, თანმიმდევრობით და ოსტატობით აყალიბებს მუშათა კლასისა და მისი პარტიის საბრძოლო ამოცანებს, დაუღალავად ქადაგებს მშრომელი ხალხისა და დაჩაგრული ერების შეკავშირების აუცილებლობას.

„შეგნებული ერთობა — აი პროლეტარიატის საბრძოლველი იარაღი, მტრის საწინააღმდეგო ძალა... მხოლოდ მუშების პარტიას შეუძლია შესაფერისი წინააღმდეგობა გაუწიოს მჭიდროდ შეკრულ კაპიტალისტების ძალას; აი ამ ძალის განმტკიცებას ცდილობს დღეს ქართველი და სომეხი, რუსი და ებრაელი. ერთი სიტყვით, ყველა მუშა, განურჩევლად ეროვნებისა. ამას ეუბნება მათი ინტერესები. ეს ძალა იკვრის და მასში მონაწილეობა ქართველებსაც გვიდევს. და აი სწორედ ახლა, როცა მას მეტი სიმტკიცე, ერთობა ესაჭიროება, გვეუბნებიან: განცალკევდითო; დღეს, როცა საერთო იერიშით ციხე შენძრეულია, მხოლოდ არ დანგრეულა, გვირჩევენ: დაიშალენითო; სწორედ მაშინ, როცა იმის ზრუნვაში ვართ, რომ გავიმაგროთ მომავალი პოზიცია, ნანგრევებზე მეტი ძალა და გავლენა მოვიპოვოთ. სწორედ მაშინ ამ ძალისა და გავლენის მჭონე ერთეულს არწმუნებენ: „დაიქსაქსენითო"[20].

ალექსანდრე წულუკიძე მხურვალედ მოუწოდებს მუშებსა და ყველა მშრომელს, თავი არ მოიტყუონ და არ აჰყვნენ ბურჟუაზიის მსახურთა დემაგოგიას, ხოლო ლიბერალებს ურჩევს, ტყუილად ნუ შეიწუხებენ თავს ჩვენი ერისათვის საჭირო კანონებზე, მის სპეციფიკურ

---

18 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებები, 1967, გვ. 353.

19 ი ქ ვ ე, გვ. 350.

20 იქვე, 1967, გვ. 348.

საჭიროებებზე და დედაენის დაცვაზე ლაპარაკით, რადგან არც ერთი ამ საკითხის გადაწყვეტა მათ არ შეუძლიათ და არც სურთ.

„ვის საჭიროებაზე ლაპარაკობთ, ვის შესაფერ კანონებზე ზრუნავთ, რომელ დედაენაზე ლაპარაკობთ?

იმ საჭიროებაზე, რომელზედაც მთელი რუსეთის პროლეტარიატი ზრუნავს, იმ კანონებზე, რომელიც ყველა მუშისათვის ერთნაირად საზრუნავი და საბრძოლველია, იმ დედაენაზე, რომელზედაც ჩვენი პროლეტარიატი ლაპარაკობს, კითხულობს, გონებრივად ვითარდება და თავის კლასობრივ ინტერესებს იგნებს? თუ ამაებზე ზრუნავთ, ტყუილა შეწუხებულხართ ავტონომიის გამოგონებით[21].

მაგრამ კიდევაც რომ მოხდეს სასწაული, რუსეთის მეფემ ჩვენი ლიბერალების ღაღადისი შეიწყნაროს და ავტონომია უბოძოს, აქედან სრულებით არაფერი გამოვა და ქართველი ხალხი ვერაფითარ თავისუფლებას ვერ მოიპოვებს, თუ რუსეთის წესწყობილება ძირიანად არ შეიცვალაო, ამტკიცებს ალ. წულუკიძე.

„რა გარანტია აქეთ ჩვენს ავტონომისტებს ავტონომიის დაცვისა, ძალდატანებიდან თავის დაღწევის? გაიხსენეთ ფინლანდია, რა იქნა მისი „თავისუფლება?" თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რა იქნა და რად გაიქცა. აქედან ცხადია, თავი და თავი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ რუსეთის სახელმწიფო დემოკრატიულ საფუძველზე აშენდეს და ყველაფერი ის, რაც ამის განხორციელებას ხელს უშლის დღეს, უარყოფილ იქნას"[22].

ამრიგად, არა კუდმოკვეცილი ავტონომია, არა ბურჟუაზიის იდეოლოგთაგან გამოგონილი ე. წ. „საერთო ნიადაგის" ყალბი თეორია, არამედ მუშათა კლასის შეკავშირება და მისი გმირული ბრძოლა დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის — აი ის გზა, რომელიც ქართველ ხალხს მოუტანს ნამდვილ განთავისუფლებას, როგორც სოციალური, ისე ეროვნული ჩაგვრისაგან.

ალექსანდრე წულუკიძის უდიდეს დამსახურებად ქართული სოზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში სამუდამოდ დარჩება იმ ფაქტის დადგენა, რომ კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში, ევროპასთან შედარებით, არსებითი თავისებურებანი ახასიათებდა და ამის გამო პროგრესის სათავეში ჩვენში იდგა არა ბურჟუაზია და მისი იდეოლოგები, არამედ მშრომელი ხალხი და მისი იდეოლოგები. ეს იყო უდიდესი აღმოჩენა და ჭეშმარიტად ოქროს ასოებით არის ისტორიაში ჩასაწერი ალექსანდრე წულუკიძის უკვდავი სიტყვები:

„თუ ევროპაში ბურჟუაზია იყო ერის სულიერი სიმდიდრის განმავითარებელი, ჩვენში საზოგადოების მეორე კლასი იქნება — ეს

---

21 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 351—352.

22 ი ქ ვ ე, გვ. 349.

კლასია მატერიალურად ხელმოკლე და გონებრივად ახლად აღორძინებული მშრომელი ხალხი. მძიმე ტვირთი აწევს მას კისერზე, მხოლოდ მისი დასავლეთელი თანამოძმეების ისტორია, წარსული ცხოვრების მაგალითები, თანამედროვე პირობების აუტანელი სიმძიმე საუკეთესო განმავითარებელი სკოლაა მისთვის და ის ამ შეძენილ ცოდნას მთელი ერის საკეთილდღეოდ გამოიყენებს. ის უნდა გახდეს ცხოვრების წინსვლის მებაირახტრე და მან უნდა გააკეთოს დიადი „საერო" საქმე!"[23].

4. ალექსანდრე წულუკიძე და წარსულის მემკვიდრეობის პრობლემა

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ზემოთ მოტანილი შესანიშნავი დებულებიდან თავისთავად გამომდინარეობს წარსულის მემკვიდრეობისადმი მუშათა კლასის დამოკიდებულების საკითხის სწორი გადაწყვეტა. რაკი ალ. წულუკიძემ ქართველი ხალხის სულიერი კულტურის გამამდიდრებლად მშრომელი ხალხი, პირველ რიგში მუშათა კლასი აღიარა; რაკი მან სწორედ მშრომელ ხალხს დააკისრა დიადი „საერო" ამოცანა — შეისწავლოს მისი დასავლეთელი თანამოძმეების ისტორია, საკუთარი წარსული ცხოვრების მაგალითები, თანამედროვე ვითარება და მთელი ეს ცოდნა „ერის საკეთილდღეოდ გამოიყენოს"; რაკი ერთი სიტყვით, მან პროგრესის მებაირახტრედ. ბურჟუაზიის ნაცვლად, მშრომელი ხალხი მიიჩნია. თავისთავად ცხადია, რომ, მისი აზრით, იგივე მშრომელი ხალხია მემკვიდრე და განმავითარებელი წარსულში შექმნილი დიდი სულიერი კულტურისა. — ყოველივე კარგისა, რაც ქართველ ერს საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნია.

ეს იყო მემკვიდრეობის პრობლემის სწორი მარქსისტულ-ლენინური გადაწყვეტა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ქართული კულტურის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, არამედ მუშათა მოძრაობის წარმატებისა და გაძლიერების. მის მხარეზე დემოკრატიული ინტელიგენციის გადასვლის თვალსაზრისითაც.

აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ალ. წულუკიძის ღროს (და გაცილებით უფრო გვიანაც) საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მოღვაწეთა ერთ ნაწილს არასწორად, ყალბად და ნიჰილისტურად ესმოდა ეროვნული კულტურის, ენისა და ზნეჩვეულებების მიმართ მარქსისტების დამოკიდებულება. ისეთი გამოჩენილი ბოლშევიკიც კი, როგორიც ფ. მახარაძე იყო. 1917 წელს ამბობდა: „ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალური ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება

23 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 170.

ნაციონალურ ზნეჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია"[24].

აქედან აშკარაა, რაოდენ ღრმად იყო ფესვგადგმული ნიჰილისტური შეხედულებები სოციალ-დემოკრატ მოღვაწეთა ერთ ნაწილში; აქედან აშკარაა, აგრეთვე, რა დიდი და ღრმა მოაზროვნე იყო ალ. წულუკიძე, რომელმაც ჯერ კიდევ რევოლუციის გარიჟრაჟზე სწორად განსაზღვრა ბოლშევიკური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

წინააღმდეგ მარქსიზმ-ლენინიზმის ვულგარიზატორებისა, ალ. წულუკიძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნულ კულტურას, ენას, ზნე-ჩვეულებებს. მისი აზრით, ქართული ენა აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენდა ქართველი ბურჟუაზიისათვის, თორემ ქართველი ხალხისათვის, — მუშებისა და გლეხებისათვის იგი არსებობის აუცილებელი პირობა იყო. აი, რატომ ფიქრობდა ალ. წულუკიძე, რომ ქართული ენის დაცვისა და შემდგომი განვითარების ამოცანა, ბურჟუაზიის ნაცვლად, მშრომელ ხალხს უნდა ეკისრა. აი, როგორ მსჯელობს იგი ამ საკითხზე:

„ჩვენი ხალხი ქართულ ენაზე ღებულობს პირველდაწყებით საზრდოს გონებისას, ამ ენაზე უზიარებს თანამოძმეებს თავის ჰირ-ვარამს, მის ოჯახში (რამდენადაც ამას ოჯახი ეწოდება თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების დროს) ქართული ენაა გამეფებული, ის აწყდება თეატრის კარებს ქართული წარმოდგენების დროს, სულგანაბული ყურს უგდებს ქართველ „ლექტორს" და ამიტომ „სახალხო მოღვაწეობაც" თავიდანვე ხალხის საქმედ ხდება ჩვენში. სახალხო კითხვები, სახალხო თეატრი და სხვა მსგავსი დაწესებულებანი თავიდანვე განსაზღვრულ სახეს ღებულობს, გამორკვეულ ნიადაგზე მყარდება: ხალხის თვითცნობიერების გასაღვივებლად არის იგი ქვეყნად მოვლენილი, თუ ამ თვითცნობიერების დასახშობად, ჯგუფთა ინტერესების დასაფარავად, ჩასაფუჩეჩებლად. პირველი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მოქმედებს თვით ხალხი, მხოლოდ მეორისათვის — ბურჟუაზია"[25].

ალ. წულუკიძე სასტიკად დასცინის და ამათრახებს გადაგვარებულ ქართველებს, რომლებმაც იმდენად დაივიწყეს დედაენა, რომ მას ოჯახშიაც კი ალარ ხმარობდნენ; ამასთან ერთად დიდი მოაზროვნე აშკარავებს ამ მოვლენის სოციალურ-კლასობრივ სარჩულს. ის ამბობს:

„ქართველი ბურჟუაზიისათვის ქართული ენა აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს: მართლმსაჯულებას იგი სხვა ენაზე დაეძებს,

---

24 ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. IV, გვ. 121—124.

25 ა. წულუკიძე, თხზულებანი, 1967, გვ. 170—171.

მეცნიერებას სხვაგან ეწაფება, უბრალო სავაჭრო რეკლამებსაც კი სხვა ენაზე სწერს. მისი ოჯახიდან ქართული ენა სრულიად განდევნილია, ვით „არა დიდკაცური“ ენა, მის ბავშვებს ევროპიელი „გუვერნანტკები“ თავს ევლებიან; მხოლოდ საქველმოქმედო მიზნით თუ იწერენ რომელიმე ქართულ გაზეთს; ისიც ხშირად გაუხსნელი დევს სამწერლო მაგიდაზე, და როგორც ერთმა ქუთათურმა „ინტელიგენტმა“ აღიარა რამდენიმე წლის წინათ ერთ კრებაზე, „შაბათობით თავის შესაქცევად“ თუ წაიკითხება“[26]. ერთი სიტყვით, ქართული მათთვის ფუფუნებას შეადგენს და ხშირად რომელიმე — ძის ქალიშვილი, რომელიც ბავშვობისას ჩვენს სოფლებში შეიძლება ფეხშიშველი ღობე-ყორეს ედებოდა, დღეს პრანჭიაობით ეკითხება „კავალერს“ „а что такое джинчари?“

ეს ნაღველნარევი სტრიქონები აშკარად მეტყველებენ არა მარტო იმას, თუ რა უსაზღვროდ უყვარდა ალექსანდრე წულუკიძეს თავისი მშობლიური ენა, არამედ იმასაც, თუ რა დიდ გულისწყრომას იწვევდა მასში დედაენის უგულებელყოფა, მის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება.

დედაენის დასაცავად ხმა ალ. წულუკიძემ ჯერ კიდევ 1895 წელს აღიმაღლა. მან გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა საგანგებო წერილი, რომელშიც სასტიკად გააკრიტიკა ქართული სკოლებიდან მშობლიური ენის განდევნის რუსიფიკატორული პოლიტიკა. სწორედ ამ პოლიტიკის ნაყოფი იყო სკოლებში სწავლების ისეთი მახინჯი ფორმების დანერგვა, როგორიც იყო მაგალითად, ე. წ. ლეიციკის „ბუნებრივი მეთოდი“, რომელიც ისე იყო დაშორებული პედაგოგიური მეცნიერებისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან.

„მწუხარებით ვაუწყებთ ქართველ საზოგადოებას, — წერდა ალ. წულუკიძე ზემოთ ხსენებულ წერილში, — რომ დაბა ხონშიაც (ჩვენდა საუბედუროდ სხვაგანაც შემოუღიათ ეს მეთოდი), მთელი გროვა ახალგაზრდა მანდილოსანთა იქნევება ამ ყოველივე პედაგოგიურს მოსაზრებას მოკლებული მეთოდით, რომელსაც ავტორმა „ბუნებითი“ უწოდა და რომელიც განათლების მაგიერ აჩლუნგებს, ხრწნის ბავშვის მკვირცხლსა და მშვენიერ ნიჭს. აბა რა სარგებლობა უნდა მისცეს ქართველს და რა ცოდნით აღჭურვილი შეილები უნდა დაუბრუნოს მშობლებს იმ სკოლამ, სადაც ქართული გაკვეთილი კვირაში მხოლოდ ორჯერ არის, დანარჩენ დროს კი იმ საოცარ მეთოდს ანდომებენ!... განა ასეთ პირობებში ჩაყენებული სახალხო სკოლა როდისმე გაახარებს მშობლის დაიმედებულს გულს? არა! ის ჭეშმარიტება რომ

---

[26] ა. წულუკიძე, თხზულებანი, 1967, გვ. 169—170.

უდედაენოდ რიგიანი ცოდნის შეძენა შეუძლებელი არის, კარგა ხანია, რაც კაცობრიობამ შეიგრძნო და დაამტკიცა"[27].

ნათქვამიდან ცხადია, რომ ნამდვილი ლენინელებისათვის დედაენას არასოდეს არ ჰქონია და არც შეიძლება, რომ ჰქონდეს „მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა". იგივე უნდა ითქვას, ცხადია, მშობლიურ ლიტერატურაზეც.

ალ. წულუკიძის უახლოესი მეგობრების, მუშა-რევოლუციონერების მოგონებებიდან ირკვევა, რომ დიდი რევოლუციონერი და მოაზროვნე ყოველთვის განსაკუთრებული პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდა ქართული ლიტერატურის კლასიკოსებს, კერძოდ კი შოთა რუსთაველსა და ილია ჭავჭავაძეს. ბათუმის რევოლუციურ მუზეუმში ინახება კ. კანდელაკის მოგონება[28], საიდანაც ჩანს, რომ საშას საგანგებო მითითებით ბათუმის მუშათა შორის, პროკლამაციებთან ერთად, ავრცელებდნენ ქართული ლიტერატურის კლასიკოსების — ილია ჭავჭავაძის, ეგნატე ნინოშვილის, ალ. ყაზბეგისა და სხვათა ნაწერებს.

იმავე მუზეუმში ინახება კაპიტონ გოგოლაძის მოგონება[29], რომელშიც ნათქვამია:

„ერთხელ „ვეფხისტყაოსანზე" ჩამოვარდა ლაპარაკი. ერთმა ნიჰილისტურად განწყობილმა ამხანაგმა წამოიძახა:

— რას წარმოადგენს ეს „ვეფხისტყაოსანი"? უდიდესი აბდა-უბდაა და მეტი არაფერი.

საშას თან გული მოუვიდა და თან სიცილი აუტყდა, — „ვეფხისტყაოსანი",—თქვა მან — უდიდესი ნაწარმოებია არა მარტო ქართულ მწერლობაში, არამედ მსოფლიო ნაწარმოებთა შორისაც... რაც მეტჯერ კითხულობ, მით უფრო მეტ მარგალიტებს ჰპოულობ მასში".

აქედან ცხადია, თუ რამდენად განსხვავდებოდა ალექსანდრე წულუკიძე იმ ვულგარულად მოაზროვნე მარქსისტებისაგან. რომლებიც ქართული ლიტერატურის კლასიკოსებს აბუჩად იგდებდნენ და თვით დიდი რუსთაველის გენიალურ პოემასაც კი თავადაზნაურობის გასართობად დაწერილ „სალაღობო ნაწარმოებად" სთელიდნენ.

ალექსანდრე წულუკიძისათვის უცხო იყო ყოველგვარი ნიჰილიზმი, ის აღსავსე იყო ოპტიმიზმით; ცხოვრებისა და სილამაზის სიყვარულით. „ბევრი ახალი ამბავი მომდის მაქედან, — წერდა საშა 1897 წელს მოსკოვიდან თავის მეგობარს ელენე ჭიჭინაძეს, ქართული ჟურნალ-გაზეთების „ფერისცვალების" გამო, — სწორედ აღტაცებაში მოვდი-

---

27 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 359.

28 ფონდი № 5, საქმე 69/67, გვ. 14—14.

29 ფონდი № 5, საქმე 36, გვ. 4—28.

ვარ, პესიმისტობა არ შემიძლია რადგან მწამს უკეთესი მომავალი, მწამს პროგრესი“[30].

ალექსანდრე წულუკიძის, როგორც დიდი მოქალაქისა და პატრიოტის დასახასიათებლად, აგრეთვე მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის მიზანდასახულობისა და მრავალფეროვნების გასაგებად, ეფიქრობთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის წერილს პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილისადმი, რომელიც 1900 წლის 4 იანვარსაა დაწერილი. ჩვენი აზრით, ამ წერილში როგორც სარკეში ასახულია ალექსანდრე წულუკიძის მთელი პიროვნება, — მისი ფაქიზი ადამიანური ბუნება და გულწრფელი პატრიოტიზმი, მისი უსაზღვრო სიყვარული ქართული კულტურისადმი.

აი ეს წერილიც (მოგვაქვს მთლიანად):

„ბატონო ალექსანდრე“!

თბილისის რამდენიმე მასწავლებელმა ქალმა განიზრახა საბავშვო წიგნების გამოცემა. შეადგინა წრე აქტიური ინტელიგენტებისაგან, მოიპოვა მცირეოდენი მატერიალური ღონე და საქმეს განახორციელებს ახლო მომავალში, თუ თქვენი ყურადღება მოიპოვა. მე დამავალეს შემდეგის თხოვნით მომემართა თქვენთვის: თქვენ გქონიათ შეკრებილი ბევრი ქართული ზღაპარი. რადგან ამ წრემ გადაწყვიტა ზღაპრების გამოცემით დაიწყოს თავისი მოქმედება, ამიტომ მოგმართავთ თქვენ და გთხოვთ მოგვაწვდინოთ თქვენ მიერ შეკრებილი ზღაპრები და თან ნებაც დაგვრთოთ ბავშვებისათვის საყურადღებო ზღაპრები ამოვარჩიოთ და გამოვცეთ. თუ თქვენი სურვილი იქნება, გამოვაცხადებთ, რომ ეს ზღაპრები თქვენ მიერ შეკრებილია. დარწმუნებული ვართ, როგორც ყოველთვის, ამ კეთილს საქმეს ხელს გაუმართაით და ამ მოკლე ხანში გამოგვიგზავნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმედია, გვაცნობებთ მაინც, რომ ეს თქვენთვის შეუძლებელია და ჩვენც რამე სხვა ღონეს ვიხმართ, თუმცა ჩვენთვის ეს ძლიერ გასაჭირი იქნება, რადგან ორიგინალური ჩვენში ძნელი მოსაპოვებელია, მხოლოდ თარგმანებით გამოცემის დაწყება კი არ არის სასურველი. საჭიროდ ვსცნობთ აგრეთვე გაცნობოთ, რომ ზღაპრები გამოცემული იქნება სურათებით; ჩვენი აზრია სურათები რაც შეიძლება კარგად შესრულებული იქნეს და წიგნი გარეგნობით იზიდავდეს ბავშვის და საზოგადოდ ყველას ყურადღებას. შეიძლება შეუძლებლობის გამო ეს ზღაპრები ნაწილ-ნაწილად გამოვცეთ, რომ მცირე ფასი დავადოთ თვითონ წიგნაკს და მით ადვილ მისაწვდომი გავხადოთ ყველასათვის. გთხოვთ თქვენი რჩევა და აზრი ხშირ-ხშირად მოგვაწვდინოთ და ცოდ-

---

30 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1967, გვ. 378.

ნით და გამოცდილებით ხელი შეუწყოთ ამ ახალს, მაგრამ სასარგებლო ქართულ საქმეს.

თქვენი მარად პატივსცემის მსურველი
ალექსანდრე წულუკიძე

გთხოვთ პასუხი „კვალის" რედაქციაში გამოგზავნოთ"[31].

როგორც ვხედავთ, ეს წერილი უაღრესად დიდი ადამიანური დოკუმენტია!

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ გამოჩენილი რევოლუციონერის ასეთი განსაკუთრებული ზრუნვა საბავშვო წიგნებისა და ქართული ზღაპრების სანიმუშო გამოცემისათვის იმ დროს, როცა მას, ერთი მხრივ, მეფის ჟანდარმები სდევნიდნენ, ხოლო მეორე მხრივ, საშინელი სენი სულს უხუთავდა, მხოლოდ განსაკუთრებულ ადამიანს, თავისი ქვეყნის დიდ პატრიოტსა და მოქალაქეს შეეძლო გამოეჩინა.

აი, ამის გამო ვამბობთ, ჩვენ, რომ ალექსანდრე (საშა) წულუკიძე იყო განსაკუთრებული ადამიანი, — საქართველოს მუშათა კლასისა და ქართველი ერის ღირსეული შვილი, რომლის ფასდაუდებელი მემკვიდრეობა დღესაც ინარჩუნებს თავის მეცნიერულ ღირებულებას და აქტიურად ემსახურება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს.

ასეთია ალექსანდრე წულუკიძის შეხედულებები საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

ასეთი იყო საშა წულუკიძე როგორც მოაზროვნე და ადამიანი!

П. К. РАТИАНИ

ОЧЕРКИ ПО НОВОЙ ИСТОРИИ ГРУЗИИ

Резюме

В предлагаемых «Очерках...» публикуются исследования автора, в которых рассмотрены узловые вопросы новой истории Грузии. Среди них центральное место занимает работа: «Грузия во второй половине XIX века».

Кроме того, в «Очерках...» публикуются исследования, касающиеся истории национально-освободительного, революционно-демократического движения в Грузии в XIX веке, излагаются экономические, социальные и национальные взгляды выдающегося марксиста и революционного деятеля А. Цулукидзе.

---

31 ა. წულუკიძე, თხზულებანი, 1967, გვ. 392—393.

შინაარსი

ნაწილი პირველი

საქართველო XIX საუკუნის მეორე ნახევარში

თავი I

ბურჟუაზიული რეფორმები საქართველოში

1. სოციალურ-პოლიტიკური ვითარება რეფორმის წინ 3
2. საგლეხო რეფორმის მომზადება. ბატონყმობის გაუქმება . . . 18
3. ცვლილება სოფლის მმართველობაში. საქალაქო და სასამართლო რეფორმები 31

თავი II

კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში

1. კაპიტალიზმის განვითარება მრეწველობაში 39
2. კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში 56
3. რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომი და მასში ქართველი ხალხის მონაწილეობა 75

თავი III

ქართველი ერის ჩამოყალიბება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოება. თერგდალეულთა მოღვაწეობა

1. ქართველი ერის ჩამოყალიბება 85
2. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გაძლიერება და ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 92
3. ქართველი სამოციანელების ანუ თერგდალეულების მოღვაწეობა . 102

თავი IV

აგრარული საკითხი საქართველოში რეფორმისშემდგომ პერიოდში. ქართველი ხალხოსნები

1. მიწათმფლობელობა საქართველოში რეფორმის შემდეგ და გლეხთა აგრარული მოძრაობა 117
2. ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში 127

თავი V

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებანი 80—90-იანი წლების საქართველოში. რეაქციის გაძლიერება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

1. თერგდალეულთა ჯგუფის დაშლა. ახალი დემოკრატიული მიმართულებები. ბრძოლა სოციალურ-ეკონომიური პროგრესისათვის . . . 132
2. ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის გაძლიერება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 80—90-იან წლებში 148

თავი VI

საქართველოს მუშათა კლასის ჩამოყალიბება და მუშათა მოძრაობის დასაწყისი. მარქსიზმის გავრცელება საქართველოში

1. საქართველოს პროლეტარიატის გაჩენა და მუშათა სტიქიური მოძრაობა 70—90-იან წლებში 161
2. რეოლუციური მოძრაობა საქართველოში და მუშათა კლასის იდეოლოგიის — მარქსიზმის გავრცელება 172

თავი VII

ქართული კულტურა XIX საუკუნის მეორე ნახევარში

1. მეცნიერება, განათლება, პრესა 187
2. ლიტერატურა და ხელოვნება 199

ნაწილი მეორე

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სოციალური არსის სწორი გაგებისათვის 211

1. წინასწარი შენიშვნები . . . 214
2. ერის ცნების მეცნიერული და მცდარი გაგება 233
3. ისტორიის დიდი კანონის დაუწყება . 238
4. ა. ჯორჯაძე და ეროვნული საკითხი . 246

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათის საკითხისათვის

1. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათის განმსაზღვრელი ისტორიული პირობები 257
2. თერგდალეულთა ბრძოლა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის. „სამართლიანი საზოგადოების" შექმნის იდეა 264
3. გვიანდელი თერგდალეულები. რეოლუციური ხალხისნობა. მუშათა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დასაწყისი 269

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში

1. რეოლუციური სიტუაცია საქართველოში 50—60-იან წლებში და რეოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის დასაწყისი 273

2. თერგდალეულთა ბრძოლა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ, „სამართლიანი საზოგადოების“ შექმნისათვის 277
3. თერგდალეულთა ბრძოლა ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის 280
4. ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში 284
5. მარქსიზმის გავრცელება საქართველოში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი 286

ალექსანდრე წულუკიძე როგორც მოაზროვნე

შესავალი 288

თავი I

საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემები ალ. წულუკიძის ნაშრომებში. სავაჭრო და საბანკო კაპიტალის ისტორიული როლის განსაზღვრა

1. ცხოვრების შუაგულში 292
2. კვლევის მეთოდი 295
3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი საკითხი. ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლის პროცესი 298
4. სავაჭრო და საბანკო კაპიტალის ისტორიული როლის განსაზღვრა 308

თავი II

საქართველოს სოციალური განვითარების პრობლემები ალ. წულუკიძის ნაშრომებში. ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა

1. ალ. წულუკიძე საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებებისა და ეროვნული ბურჟუაზიის ისტორიული როლის შესახებ . 321
2. ბრძოლა ლიბერალიზმის წინააღმდეგ. „ოცნება და სინამდვილე“. „საერთო ნიადაგის“ ბურჟუაზიული თეორიის კრიტიკა 327
3. მუშათა და გლეხთა კავშირის იდეა 344
4. წვრილბურჟუაზიულ-ხალხოსნური და მენშევიკური შეხედულებების კრიტიკა 350

თავი III

ეროვნული საკითხი ალ. წულუკიძის ნაშრომებში. მემკვიდრეობის პრობლემის მარქსისტულ-ლენინური გადაწყვეტა

1. ეროვნული საკითხის მარქსისტული დაყენება. ნაციონალიზმი და მისი ორი ნაირსახეობა 359
2. სოციალური და ეროვნული საკითხების ურთიერთდამოკიდებულება . 366
3. ეროვნული ავტონომიის პრობლემა 370
4. ალექსანდრე წულუკიძე და წარსულის მემკვიდრეობის პრობლემა . 375
Очерки по новой истории Грузии (резюме) . . . 380

Прокофий Константинович Ратиани

ОЧЕРКИ ПО НОВОЙ ИСТОРИИ ГРУЗИИ

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1986

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3166

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი
მხატვარი გ. ლომიძე
მხატვრული რედაქტორი მ. ხურციძავა
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი ე. გოგავა

გადაეცა წარმოებას 11.9.1986; ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.12.1986;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საღ. გატ. 24.0; პირობითი საბეჭდი თაბახი 24.0;
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 20.7;

ტირაჟი 3000; შეკვეთა № 2810; უე 01316;

ფასი 3 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

შეცდომების გასწორება

გვ.	სტრიქონი ზემ.	სტრიქონი ქვემ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
47	4	—	განეცის ექსპორტი მარგ.ნეცის მსოფლიო ექსპორტის 53.8 პროცენტს	განეცის მსოფლიო მოპოვების 38,2 პროცენტს. ხოლო ქართული მარ-
140	1	—	ვაჟა-ფშაველა	ვაჟა-ფშაველა
238	—	2	современных	современных
288	—	10	შეედრია	შედეერია
301	—	5	ბანაკში	ბანკში